
სტამბოლელი ნაბიჭვარი
ელიფ შაფაქი

1

დარიჩინი

კურთხეულია ყველაფერი, რაც ციდან მოდის, მათ შორის - წვიმაც.

ღვთის საგმობი სიტყვა ერთხელაც არ უნდა დასცდეს შენს ბაგეებს და სულერთია, რისთვის იხსნება ზეცა - იმისთვის, რომ თავსხმა წვიმა წამოვიდეს თუ იმისთვის, ცივზე ცივი თოვლჭყაპი მოგვევლინოს. ეს იცის ყველამ, მათ შორის - ზელიჰამაც.

ივლისის პირველ პარასკევს მოძრაობა მეტისმეტად გადატვირთული იყო. ზელიჰა ტროტუარს ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა და მეწაღესავით ილანძღებოდა - შეხვედრაზე იგვიანებდა. სისინით უკურთხებდა ქვაფენილის ამოტეხილ ქვებს, თავისი ფეხსაცმლის მაღალ ქუსლებს, ადევნებულ მამაკაცებსა და უკლებლივ ყველა მძღოლს, რომლებიც გაშმაგებით აკივლებდნენ მანქანის საყვირს, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში წარმოქმნილ საცობს ასეთი ხმაურით ვერაფერს დააკლებ. კონსტანტინოპოლის დაპყრობისათვის ზელიჰა აუგად მოიხსენიებდა ოტომანთა მთელ დინასტიასაც, რომელმაც ოდესღაც დაიპყრო ეს ქალაქი, მერე კი ვერა და ვერ შეელია საკუთარ შეცდომას. აგინებდა წვიმასაც... დაწყევლილ ზაფხულის წვიმას.

წვიმის მოსვლა სტამბოლში ნამდვილი წამებაა. სხვაგან ციდან წამოსული თქეში საჩუქარია, ღვთის წყალობა, რომელსაც ყველა და ყველაფერი ელოდება. კარგია წვიმა მოსავლისთვის, ცხოველებისთვის, მცენარეებისთვის და თუ საკითხს რომანტიკულად მივუდგებით, შეყვარებულებისთვისაც.

სტამბოლში საქმე სულ სხვაგვარადაა. იმიტომ კი არა, რომ დავსველდებით ან დავისვრებით, არამედ იმიტომ, რომ წვიმის მოსვლასთან ერთად ბრაზი გვერევა. ისე გვაშფოთებს ჭენჭყო და აურზაური, თითქოს გაწვიმებამდე არც ერთი გვენახოს, არც მეორე. ძიძგილაობაც ხომ უნდა ვახსენოთ? მოვა თუ არა წვიმა, ათი მილიონი სტამბოლელი

წყლით სავსე სათლში ჩაყრილი კნუტებივით ამაოდ ეძიძგილავება ციდან ჩამოვარდნილ წვეთებს.

ადამიანებს კი არა, ქუჩებსაც რაღაც ემართება. აქაური ქუჩების წარღვნამდელ სახელწოდებებს თუნუქის ტრაფარეტები გვამცნობს. თითქმის ყველა კუთხეში წააწყდებით ნაგვის გროვას. აქვეა ვეებერთელა ორმოებიც, რომლებიც სულ მალე ლაპლაპა თანამედროვე შენობებით ამოივსება, და თოლიები...

სტამბოლში ყველა ვბრაზობთ, როდესაც ცა იხსნება და პირდაპირ თავზე გვაჟინჟღლავს.

დედამიწას წვიმის უკანასკნელი წვეთებიც აღწევს, წყლის უთვალავი წვეთი თავს ძლივს იმაგრებს ჩამორეცხილ ფოთლებზე და დგება მომენტი, როდესაც არც ადამიანმა, არც თავად წვიმამ დანამდვილებით არ იციან, ბოლოს და ბოლოს, გადაიღო თუ არა.

მერე ყველაფერი ნათდება. უსასრულოდ გრძელდება წუთი, როდესაც ცა თითქოს ბოდიშს იხდის ლაფისთვის, შიგ რომ ჩაგვტოვა. ადამიანები, რომლებსაც ჯერაც არ შეგვშრობია თმაში ჩაცვენილი წვიმის წვეთები და ტანსაცმლის ნაკეცებში მოხვედრილი ტალახი, მოღუშული შევცქერით ლაჟვარდისფრად მოწმენდილ ზეცას, ზემოთ ვიხედებით და ღიმილს ვერ ვიკავებთ. ყოველ ჯერზე ვპატიობთ ცას მასზე გაბრაზებული.

ისევ თავსხმა იყო და ჯერჯერობით ზელიჰას გულშიც მიტევების მხოლოდ მცირე ნატამალი თუ მოიძებნებოდა.

ქოლგა არ ჰქონდა. თვლიდა, თუ გაბრიყვდებოდა და კიდევ ერთხელ გადაყრიდა ფულს ქუჩის კიდევ ერთი მოვაჭრისაგან კიდევ ერთი ქოლგის საყიდლად, რომელიც გამოდარებისთანავე უმალ სადღაც დარჩებოდა, თავით ფეხებამდე დასველება მასზე ახი იქნებოდა. თანაც, რაღა დროსი იყო - უკვე ერთთავად გაეწუწა წვიმას. სწორედ ამით ჰგავს ერთმანეთს წვიმა და სევდა: ცდილობ, არ დასველდე, არაფერი შეგეხოს, დაცული იყო, მაგრამ როდესაც ხედავ, რომ ამაოდ ირჯები, ერთი ბეწო პრობლემა უსასრულო ნიაღვრად გეჩვენება და ფიქრობ, დიდი ამბავი, შენც თუ დასველდებოდი.

მუქი კულულებიდან ჩამოსული წვიმის წყალი ზელიჰას ფართო მხრებზე იშლებოდა. კაზანჯის გვარის სხვა ქალების მსგავსად, ზელიჰასაც ბუნებრივად შავი, ხვეული თმა ჰქონდა, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, საკუთარი ვარცხნილობა მოსწონდა. მომწვანო-მოლურჯო, დიდრონ, ძალიან ჭკვიან თვალებს მოწკურავდა ხოლმე და აშკარად ინდიფერენტულ გამომეტყველებას იღებდა. ზელიჰა ასე მხოლოდ სამი ტიპის ადამიანებს უყურებდა: უიმედოდ გულუბრყვილოებს, უიმედოდ გულჩათხრობილებსა და უიმედოდ იმედიანებს. თავად ამ სამისგან არც ერთ ტიპს არ მიეკუთვნებოდა და ამდენად, ძნელი მისახვედრი იყო, რა გახლდათ მათდამი მისი მსუბუქი გულგრილობის მიზეზი.

გულგრილობა ერთ წუთს აქ იყო, უგრძნობლობამდე გააბრუებდა მის სულს, მეორე წუთს კი მყისიერად გადაივლიდა ხოლმე და ზელიჰაც მარტოდმარტო რჩებოდა საკუთარ თავთან.

უგრძნობი და გაშეშებული იყო ზელიჰა ივლისის იმ პირველ პარასკევსაც. მასავით ენერგიული ადამიანისათვის ეს მეტისმეტად მძიმე გახლდათ. შეიძლება ამიტომაც არ გასჩენია ზელიჰას იმ დღეს არც ქალაქთან და არც წვიმასთან შერკინების სურვილი. ხან ჩვეულებრივზე მეტად გულგრილი იყო, ხან ნაკლებად. ზელიჰას განწყობა ორ უკიდურესობას შორის მერყეობდა: ხან უხალისო და თავშეკავებული გახლდათ, ხან კი მრისხანება ერეოდა.

მიქროდა ზელიჰა, მყვირალა ფერის ქოლგებით, საწვიმრებითა დაპოლიეთილენის მოსასხამებით მოვაჭრე ქუჩის გამყიდველები კი გაოგნებული აყოლებდნენ თვალს. ზელიჰა მათ მზერას ისევე არ იმჩნევდა, როგორც მის სხეულზე დამშეული თვალებით მიშტერებული მამაკაცების გამოხედვას. გამყიდველები გამკიცხავად შესცქეროდნენ ზელიჰას ცხვირში გაყრილ ბრჭყვიალა რკალს. მათთვის ის გზიდან აცდენისა და ავხორცობის მტკიცებულება იყო.

ზელიჰა ამ პირსინგით განსაკუთრებულად იმიტომ ამაყობდა, რომ საკუთარიხელით გაეკეთებინა. ეტკინა, მაგრამ ნახვრეტი სწორედ იქ გამოვიდა, სადაც სურდა. მისი სტილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ სამოსში დამტვრეულ ქვაფენილზე სიარული და ბორანზე შეხტო-

მა უჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩაცმულობის გამო მამაკაცების რისხვას, ქალების საყვედურებსა და დედის გაუთავებელ ბუზღუნს იმსახურებდა, არ არსებობდა დედამიწაზე ძალა, რომელიც ამ ქალაქში მცხოვრები ქალების უმეტესობაზე მაღალ ზელიჰას აიძულებდა, უარი ეთქვა მყვირალა მოკლე ქვედაკაბების, ნეილონის პრიალა წინდების, სავსე მკერდზე მოტკეცილი ბლუზებისა და, რა თქმა უნდა, უზარმაზარ ქუსლებზე შემდგარი ფეხსაცმლის ტარებაზე.

მიაბიჯებდა ზელიჰა მეჩხერ ქვაფენილზე და დაჰყურებდა ტალახიან გუბეს. ღია იისფერ ქვედაკაბაზე მუქი შხეფები ემჩნეოდა. ზელიჰამ ერთი გვარიანად შეიგინა.

ის ოჯახში ერთადერთი ქალი იყო, რომელიც ასე დაუფარავად, ხმამაღლა და გაწაფულად ბილწსიტყვაობდა. მთელ თურქეთში მისთანასულ რამდენიმე თუ მოიძებნებოდა. დადიოდა და იგინებოდა, თითქოს ამით ანაზღაურებდა ყველაფერს. მირბოდა ზელიჰა და აგინებდა ადგილობრივ ხელისუფლებას, ძველსაც და ახალსაც. პატარაობიდანვე ერთი წვიმიანი დღეც არ ახსოვდა ისეთი, რომ ქვაფენილის ქვები ადგილზე ჩასმული და გასწორებული ყოფილიყო.

ვიდრე გინებას მორჩებოდა, უეცრად გაჩუმდა, ნიკაპი ასწია, თითქოს ვიღაცამ დაუძახაო, მაგრამ ნაცვლად იმისა, ნაცნობის დასანახავად აქეთ-იქით დაეწყო ყურება, კვამლისფერ ცას უკმაყოფილო სახით უთხრა რაღაც.

თვალები მოწკურა, ორაზროვნად ამოიოხრა და ისევ მიაყოლა ერთი-ორი სალანძღავი. წვიმას აგინებდა. დიდედის დაუწერელი და დაურღვეველი წესების თანახმად, ეს წმინდა წყლის ღვთის გმობა იყო. დიდი ბებიის აზრით, შეიძლება წვიმა არ გიყვარდათ, არც უნდა გყვარებოდათ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გეყიამყრალათ არაფრის გამო, რაც ციდან მოდის, რადგან თავისთავად არაფერი მოდის და ყველაფრის უკან ყოვლისშემძლე ალაჰი დგას.

რა თქმა უნდა, ზელიჰამ იცოდა დიდედის დაუწერელი და დაურღვეველი წესები, მაგრამ ივლისის იმ პირველ პარასკევს ზედმეტად ნირწამხდარი იყო იმისათვის, რომ ასეთ რამეებზე ეფიქრა. ესეც რომ არა,

ნათქვამი უკვე ნათქვამი იყო; ის, რაც ცხოვრებაში მოხდა - უკვე მომხდარი იყო. მოკლედ, რაც იყო, იყო. ზელიჰას სინანულის დრო არ ჰქონდა, გინეკოლოგთან შეხვედრაზე იგვიანებდა. გინეკოლოგთან ვიზიტი ხუმრობა ხომ არ არის? როცა აღმოაჩენ, რომ ასეთ შეხვედრაზე გაგვიანდება, შეიძლება წასვლა სულაც გადაიფიქრო.

ყვითელი ტაქსი ერთბაშად გაჩერდა. მანქანის უკანა ფრთა დასაწებებელი ეტიკეტებით აეჭრელებინათ. მძღოლი უხეში შესახედაობის, შავგვრემანი კაცი გახლდათ. საპატასნაირი ულვაშის ქვეშ ოქროს წინა კბილი მოუჩანდა. სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, ალბათ, ქუჩაში მოსიარულე ქალებს აშინებდა. ყველა ფანჯარა ბოლომდე ჩამოეწია და ადგილობრივი როკსადგურის ტალღაზე ხმამაღლა ამღერებდა მადონას „Like a Vირგინ“-ს.

აშკარა შეუსაბამობა იყო ამ კაცის ყოვლად ტრადიციულ გარეგნობასა და მის განსხვავებულ მუსიკალურ გემოვნებას შორის.

მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა, ფანჯრიდან თავი გამოყო, ზელიჰას დაუსტვინა და მიაძახა: „საჩემო რა გაქვს?“ მძღოლის სიტყვები ზელიჰას ხმამ გადაფარა:

- რა იყო, შე ქლესა, ამ ქალაქში ქალმა მშვიდად ვეღარ უნდა გაიაროს?

- ფეხით რატომ უნდა იარო, როცა მე შემიძლია შენი წაყვანა? ასეთი მაგარი ტანი რატომ უნდა დასველდეს? - ჰკითხა მძღოლმა.

„My fear is fading fast, been saving it all for you“, - გაჰკიოდა მანქანაში მადონა.

ზელიჰა გინებას მოჰყვა. ეს კიდევ ერთი დაუწერელი და დაურღვეველი წესის ხელყოფა იყო, ოღონდ ამჯერად ზელიჰა დიდედის რომელიმე კანონს კი არა, ქალური წინდახედულობის ერთ-ერთ წესს ღალატობდა. არასოდეს შეაჩვენო ის, ვინც გაწუხებს.

სტამბოლელი ქალის წინდახედულობის ოქროს წესი: არასოდეს გასცე პასუხი ქუჩაში შეხვედრილ აბეზარს, რადგან ქალი, რომელიც ხურდას აბრუნებს, რომ არაფერი ვთქვათ ქალზე, რომელიც იგინება,

თავისი საქციელით მხოლოდ და მხოლოდ კიდევ მეტად აღიზიანებს მას, ვინც თავს აბეზრებს!

ზელიჰა არც ისეთი სულელი იყო, რომ მისთვის კარგად ნაცნობი წესი ასე ხელაღებით დაერღვია, მაგრამ ივლისის ის პირველი პარასკევი არც ერთ სხვა დღეს არ ჰგავდა. იმ დღეს ზელიჰაში მეორე მეს გაეღვიძებინა და ეს „მე“ მასზე გაცილებით უდარდელი, თავხედი და სახიფათოდ გაბრაზებული გახლდათ.

მეორე „მე“ ზელიჰას მთელ შინაგან სამყაროს დაჰპატრონებოდა, ყველაფერს აკონტროლებდა და გადაწყვეტილებებსაც თავად იღებდა,როგორც ეგოს, ასევე ალტერ ეგოს სახელით. შეიძლება სწორედ ამიტომაც განაგრძობდა ზელიჰა ხმამაღლა გინებას. მისმა ლანძღვა-გინებამ მადონას სიმღერაც ჩაახშო. გამვლელები და ქოლგებით მოვაჭრეები ერთად შექუჩდნენ. ცდილობდნენ, გაერკვიათ, რა ჯანდაბა ხდებოდა. ზელიჰას კიდევ ერთი აბეზარი ადევნებოდა. ეს უკანასკნელი ატეხილმა აურზაურმა უცებ მიახვედრა, რომ შეშლილ ქალთან საქმის დაჭერა არ ივარგებდა. ტაქსის მძღოლი, რომელიც არც გონიერებით გამოირჩეოდა, არც მორიდებულობით, ამ ჩოჩქოლს გაღიმებული ადევნებდა თვალს.

ზელიჰა მძღოლის ქათქათა, უნაკლო კბილების დანახვამ გააოგნა. აინტერესებდა, ფაიფურის იყო თუ არა.თანდათან აზვირთდა ადრენალინის კიდევ ერთი ტალღა და ზელიჰასაც მუცელში რაღაცამ დაუარა, გული აუჩქარდა და იგრძნო, რომ მთელ თავის საგვარეულოში ის, ალბათ, ერთადერთი ქალი იყო, რომელიც ოდესმე ადამიანის მოკვლას შეძლებდა.

ბედად, ტაქსის უკან ჩამომდგარი „ტოიოტას“ მძღოლმა მოთმინება დაკარგა და საყვირს დააჭირა. ზელიჰა, თითქოს ცუდ სიზმარს თავი დააღწიაო, გონს მოვიდა. მიხვდა, რამდენად ცუდ მდგომარეობაში იყო და გააჟრჟოლა.

ძალადობისაკენ მიდრეკილებამ, თავად რომ ახასიათებდა, ზელიჰას ამჯერადაც შიში მოჰგვარა. თვალის დახამხამებაში დამშვიდდა და გვერდზე გაუხვია. ფრთხილად მიიკვლევდა გზას ბრბოში. სიჩქარეში

მარჯვენა ფეხსაცმლის ქუსლი ქვაფენილის მორყეული ქვის ქვეშ გაეჭედა. გაცოფებულმა ამოსწია ტერფი ქვის ქვეშ დაგუბებული წყლიდან, მაგრამ ვიდრე ფეხს გაითავისუფლებდა, ქუსლი მოტყდა და ერთი განსაკუთრებული წესიც გაახსენდა, რომელიც არამც და არამც არ უნდა დავიწყებოდა.

სტამბოლელი ქალის წინდახედულობის ვერცხლის წესი: არასოდეს დაკარგო მოთმინება ქუჩაში შეხვედრილი აბეზრის გამო, რადგან ქალი, რომელიც შეურაცხყოფას სიანჩხლით პასუხობს, კიდევ უფრო ცუდ დღეში იგდებს თავს!

ტაქსის მძღოლს გაეცინა. „ტოიოტას“ პატრონი საყვირს ისევ აბღავლებდა. წვიმამ ხალხი შეაფუცხუნა. რამდენიმე ფეხით მოსიარულე ერთხმად ავიშვიშდა, თუმცა, ძნელი გასარკვევი იყო, რამ გამოიწვია მათი უკმაყოფილება.

აურზაურში ზელიჰამ ტაქსის უკანა მხარეს, ბამპერზე, ალაპლაპებულ ფერადოვან დასაკრავს მოჰკრა თვალი.

„Don’t call me wretched! - ეწერა დასაკრავზე, - The wretched too have a heart“.

იდგა ზელიჰა და მიშტერებოდა დასაკრავზე დაწერილ სიტყვებს. უეცრად იგრძნო, რომ ძალიან დაღლილი იყო, დაღლილი და გაოგნებული. მის დანახვაზე მავანი იფიქრებდა, რომ ზელიჰას საზრუნავი ძალიან განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სტამბოლელის ყოველდღიური პრობლემებისაგან.

დასაკრავზე წარწერა ამოუცნობ კოდს უფრო ჰგავდა, რომელიც ვიღაც მეოცნებეს საგანგებოდ მისთვის შეედგინა, თავად ზელიჰა კი ამ კოდის გაშიფვრას ვერასოდეს შეძლებდა.

მალე ტაქსიცა და „ტოიოტაც“ იქაურობას გაეცალნენ. ფეხით მოსიარულეები თავ-თავიანთ გზას დაადგნენ, დაღონებულ ზელიჰას კი ისე სათუთად ეჭირა ხელში ფეხსაცმლის მოტეხილი ქუსლი, თითქოს მკვდარი ჩიტი ყოფილიყოს.

იმწუთას ზელიჰას ქაოსურ სამყაროში შეიძლება ყველაფერი ყოფილიყო, მათ შორის - მკვდარი ჩიტებიც, მაგრამ სისათუთისა და დაღონების, აბა, რა მოგახსენოთ.

წელში გაიმართა და შეეცადა, ცალ ქუსლზე რაც შეიძლებოდა კარგად გაევლო. თავიდან, ცოტა არ იყოს, მოუხერხებლად გამოსდიოდა, მაგრამ ცოტა ხანში ქოლგებიან ბრბოში სწრაფად მიიკვლევდა გზას, ჭკუიდან შესაშლელ ფეხებს კოჭლობ-კოჭლობით ისე ადგამდა, თითქოს რაღაც მელოდიას უკრავსო.

მისი ლავანდისფერი ტანსაცმელი არანაირად არ ეხამებოდა ყავისფერ, ნაცრისფერ, ყავისფერზე უფრო ყავისფერსა და ნაცრისფერზე უფრო ნაცრისფერ გარემოს. მიუხედავად იმისა, რომ ზელიჰას სამოსის შეფერილობა იქაურობას არ უხდებოდა, ქუჩაში მოსიარულე ბრბო ერთბაშად ისრუტავდა ამ დისჰარმონიას და თითქოს ფეხს უწყობდა კიდეც მას. არ იფიქროთ, რომ ბრბო ასობით მსუნთქავი, გაოფლილი და ავადმყოფი სხეულის ნაზავი იყო. არა, ეს გახლდათ წვიმის ქვეშ მოყოლილი ერთადერთი მსუნთქავი და ოფლიანი ავადმყოფი, რომლისთვისაც დიდი მნიშვნელობა არც დარს ჰქონდა, არც ავდარს.

სტამბოლში სიარული ბრბოსთან ერთად სიარულს ნიშნავს.

გალათის ხიდზე უხეში შესახედაობის უამრავი მეთევზე ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულიყო. ცალ ხელში ყველას ქოლგა ეჭირა, მეორეში - ანკესი. ჩაუარა ზელიჰამ მეთევზეებს და შეშურდა მათი უშფოთველობა, არარსებული თევზის ანდა ისეთი ციცქნა ლიფსიტების საათობით ლოდინის უნარი, რომლებიც მხოლოდ სხვა მიუწვდომელი თევზის სატყუარად თუ გამოდგებოდა.

მცირედის მიღწევით ბევრის მიღწევა მართლაც გასაოცარი უნარია. გასაოცარია იმ ადამიანების კმაყოფილება, რომლებიც დღის ბოლოს შინ ხელცარიელი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ბრუნდებიან!

ზელიჰას ეჭვი ჰქონდა, რომ ჩვენს სამყაროში სიმშვიდე იღბალი იყო,ხოლო იღბალი - ბედნიერება. ეჭვის თვალით უყურებდა ყველაფერს, რაც ამ კონკრეტულ საკითხს ეხებოდა, რადგან არასოდეს განე-

ცადა ასეთი სიმშვიდე და არც იმას ფიქრობდა, რომ ოდესმე განიცდიდა. ყოველ შემთხვევაში, დღეს ამის იმედი ნამდვილად არ ჰქონდა.

ეჩქარებოდა, მაგრამ „გრანდ-ბაზრისკენ“ მაინც გადაუხვია და ნაბიჯსაც უკლო. ზელიჰას საყიდლებზე სიარულის დრო არ ჰქონდა, მაგრამ მაღაზიების ვიტრინებს რომ გადახედა, იფიქრა, აქაურობას ერთს თვალს შევავლებო.

სიგარეტს მოუკიდა, კვამლი პირიდან ბოლქვებად გამოუშვა და თავი უკეთესად იგრძნო. მოეშვა. ქალს, რომელიც ქუჩაში ეწეოდა, სტამბოლში დიდად არ აფასებდნენ, მაგრამ ამის ჯავრი ვის ჰქონდა? ზელიჰამ, რომელმაც, ის-ის იყო, მთელ საზოგადოებას ომი გამოუცხადა, თავი მხრებში ჩარგო და ბაზრის ძველი ნაწილისაკენ გაემართა.

ბაზრის გამყიდველები, განსაკუთრებით ძვირფასეულობით მოვაჭრეები, ზელიჰას შენობით ელაპარაკებოდნენ. ყველანაირი ბრჭყვიალა აქსესუარი ზელიჰას სუსტი წერტილი იყო. თვლიანი თმის სარჭები, ხელოვნური ბრილიანტის ბროშები, თვალში საცემი საყურეები, მარგალიტის ქინძისთავები, ზებრასავით ზოლიანი შარფები, ატლასის ჩანთები, შიფონის თავშლები, აბრეშუმის პომპონები და, როგორც წესი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი.

ერთხელაც არ გაუვლია ამ ბაზარში ისე, რომ, სულცოტა, რამდენიმე მაღაზიაში არ შეევლო, გამყიდველებს არ შევაჭრებოდა და შეთავაზებულზე გაცილებით ნაკლები არ გადაეხადა ისეთ ნივთებში, რომლების შეძენასაც სულაც არ აპირებდა.

იმ დღეს ზელიჰამ მხოლოდ ერთი-ორ დახლს ჩაუარა და მხოლოდ ერთი-ორ ფანჯარაში შეიჭყიტა.

ზელიჰა დიდ-პატარა ქილებითა და ქოთნებით სავსე დახლთან შეჩერდა. რა ფერისა და სახის ბალახი და სანელებელი არ ჩაეყარათ ამ შუშებში. გაახსენდა, როგორ სთხოვა დილით სამისგან ერთ-ერთმა დამ, დარიჩინი იყიდეო. დარიჩინი რომ უნდა მიეტანა, ახსოვდა, მაგრამ ზუსტად რომელმა დამ სთხოვა, ეს ვერაფრით გაიხსენა.

ოთხ დას შორის ზელიჰა ყველაზე უმცროსი იყო. სულ კამათობდნენ. ოთხივეს ღრმად სწამდა, რომ არასოდეს არაფერი ეშლებოდა და

სხვებისათვის ძალიან ბევრი რამის სწავლება შეეძლო. აი, სხვისგან სწავლისა კი რა მოგახსენოთ. მათი შემხედვარე თავს ისე ცუდად იგრძნობდით, თითქოს ლატარიის მოსაგებად სულ რაღაც ერთი ციფრი დაგკლებოდეთ. როცა უნდა გეცადათ სიტუაციაში გარკვევა, ვერაფრით აარიდებდით თავს უსაშველო უსამართლობას.

ყველაფრის მიუხედავად, ზელიჰამ მაინც იყიდა დარიჩინი, დაფქული არა, ღეროები. გამყიდველმა საჭორაოდ დაპატიჟა, თან ჩაი და სიგარეტი შესთავაზა. ზელიჰაც დარჩა.

იჯდა ზელიჰა და ლაპარაკობდა, თან გულგრილად ათვალიერებდა თაროებს. მისი მზერა ჩაის მინის სერვიზმა მიიპყრო. მოოქრული ვარსკვლავებით დამშვენებული ჩაის ჭიქები, სიფრიფანა, დახვეწილი კოვზები და მუცელზე ოქროსვარაყიანი ნაზი ლამბაქები სწორედ იმ ნივთების ნუსხაში იყო, რომელთა ყიდვის ცდუნებასაც ზელიჰა ვერ უძლებდა. სახლში უკვე ჩაის, სულ ცოტა, ოცდაათი სხვადასხვანაირი სერვიზი ჰქონდათ, ყველა მისი ნაყიდი, მაგრამ კიდევ ერთის ყიდვით არაფერი დაშავდებოდა. ასეთი ჭურჭელი ხომ ძალიან ადვილად იმსხვრევა.

- ჯანდაბა, რა თხელია, - ჩაიბუტბუტა ზელიჰამ. კაზანჯის გვარის ქალებს შორის ის ერთადერთი იყო, ვისაც ჩაის ჭიქის გატეხის გამო გაცეცხლება შეეძლო. რაც შეეხება მის სამოცდაჩვიდმეტი წლის დიდედას, მას ამ საკითხისადმი სრულიად განსხვავებული მიდგომა ჰქონდა.

„ავი თვალია! - შესძახებდა ხოლმე ბებია ყოველ ჯერზე, როცა მათ სახლში მორიგი ჩაის ჭიქა იფშვნებოდა, - გაიგონეთ ის ავბედი ხმა? ჭახ! გულში გამიარა! ვიღაცის შურიანი და ბოროტი ავი თვალი იყო. ალაჰმა დაგვიფაროს ყველა!“

ჭიქის ან სარკის გაბზარვაზე დიდედა შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე. თვლიდა, რომ შეშლილ სამყაროში, სადაც ბოროტ ხალხს ვერაფრით გამოლევ, უკეთესიც კი იყო, უფლის უცოდველ სულებში შეჭრისა და მათი ცხოვრების დანგრევის ნაცვლად, ავი თვალი მინის ზღუდეს თუ შეასკდებოდა.

ოცი წუთი გავიდა მას შემდეგ, რაც ზელიჰა ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ კვარტალში მდიდრულ ოფისში შევიდა. ცალ ხელში მოტეხილი

ფეხსაცმლის ქუსლი ეჭირა, მეორეში ჩაის ახალი სერვიზი. შეწუხდა, როცა კარს მიღმა აღმოჩნდა. გაახსენდა, რომ შეფუთული დარიჩინის ღეროები „გრანდ-ბაზარში“ დარჩენოდა.

* * *

მოსაცდელში სამი ქალი იჯდა. სამივეს საშინელი თმა ჰქონდა. მათ გარდა ერთი კაციც იყო, ოღონდ თმა თითქმის არ ჰქონდა. ზელიჰამ უმალ შენიშნა, როგორ ისხდნენ ეს ადამიანები და ერთი ცინიკური დასკვნაც გააკეთა: ყველაზე ახალგაზრდა ყველაზე ნაკლებად ღელავდა, ზლაზვნით ფურცლავდა ფოტოებიან ქალების ჟურნალს და მეტისმეტად ზარმაცი ჩანდა იმისათვის, რომ სტატიებიც წაეკითხა. შეიძლება ჩასახვის საწინააღმდეგო აბების ახალი რეცეპტის მისაღებად იყო მოსული.

ფუნთუშა ქერა ქალი ფანჯარასთან იჯდა. ოცდათხუთმეტ წლამდე იქნებოდა. მისი თმის შავი ძირები შეღებვას იხვეწებოდა. ქალი ფეხებს ეყრდნობოდა და ნერვიულად ირწეოდა. აშკარად სხვა რამეზე ფიქრობდა.შეიძლება აქ ჩვეულებრივი შემოწმების გასავლელად, ანდა ყოველწლიური პაპ-ნაცხის გასაკეთებლად მოსულიყო.

მესამე ქალს, რომელსაც თავშალიც ეხურა და მეუღლეც ახლდა, თავი ყველაზე მშვიდად ეჭირა. კოპი შეეყარა, ტუჩის კუთხეები კი ქვემოთ ჰქონდა დაშვებული. ზელიჰას აზრით, ეს ქალი ორსულად ვერ რჩებოდა. ზელიჰა ფიქრობდა, რომ სამომავლო პერსპექტივების ამარა ცხოვრება მოსაბეზრებელი იყო. პირადად მისთვის უშვილობა არ იყო ყველაზე დიდი საშინელება, რომელიც ქალს შეიძლება თავს დაატყდეს.

- თქვენ! - ჩაიჟღურტულა რეგისტრატორმა და სახეზე ნაძალადევი, უაზრო ღიმილი მოეფინა. ამ საქმეში ისე გაწაფულიყო, რომ მის გამომეტყველებას ვერც სიყალბეს დასწამებდით, ვერც უშინაარსობას, - სამ საათზე ხართ ჩაწერილი?

რეგისტრატორს „რ“-ს წარმოთქმა აშკარად უჭირდა. ნაკლის დასაფარავად „რ“-ს უჩვეულოდ წელავდა და მახვილსაც სწორედ მასზე აკეთებდა. სადაც კი მისი ენა ამ ავბედით ბგერას გადააწყდებოდა, ხმას

უწევდა და განსაკუთრებულად იღიმებოდა. ამ სატანჯველისაგან რომ ეხსნა, ზელიჰამ რეგისტრატორს უმალ დაუქნია თავი. შეიძლება მეტისმეტად მონდომებულადაც კი გამოუვიდა.

- სახელდობრ, რისთვის მობრძანდით, ქალბატონო სამსაათიანო?

ზელიჰამ უაზრო შეკითხვა არ შეიმჩნია. მან უკვე მეტისმეტად კარგად იცოდა, რომ სწორედ მსგავსი უპირობო და ყოვლისმომცველი ქალური უშუალობა იყო ის, რაც ასე საშინლად აკლდა ცხოვრებაში.

ზელიჰას აზრით, ზოგიერთი ქალი თავგამოდებული ღიმილის ოსტატიიყო. ასეთები სპარტანული მოვალეობის გრძნობის გამო იღიმებიან. უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ადამიანს ამდენად არაბუნებრივი რამეების ამდენად ბუნებრივად კეთება ესწავლა, მაგრამ ამაზე ფიქრი თავიდან ამოიგდო და პასუხის გასაცემად თავს ძალა დაატანა.

- აბორტი, - მიუგო ზელიჰამ რეგისტრატორს.

ეს სიტყვა ჰაერში გამოეკიდა. ყველა გაისუსა. ვიდრე სახიდან ღიმილი გაუქრებოდა, რეგისტრატორმა თვალები მოჭუტა, მერე ისევ ფართოდ დაჭყიტა. ზელიჰას გულზე მოეშვა. უპირობო და ყოვლისმომცველმა ქალურმა უშუალობამ მასში, ბოლოს და ბოლოს, შურისძიების ჟინი გააღვიძა.

- შეხვედრა მაქვს დანიშნული... - თქვა ზელიჰამ, თან კულულს იჩურთავდა ყურს უკან. სახესა და მხრებზე თმა სქელი, შავი ჩადრივით ჩამოშლოდა. კეხიანი ცხვირი კარგად რომ გამოეჩინა, ნიკაპი მაღლა ასწია და საჭიროდ ჩათვალა, ნათქვამი კიდევ ერთხელ გაემეორებინა. ჩაფიქრებულზე გვარიანად ხმამაღლა კი გამოუვიდა, თუმცა, შეიძლება სულაც არ ჰქონდა რაიმე განზრახვა.

- აბორტი უნდა გავიკეთო, - გაიმეორა ზელიჰამ. რეგისტრატორი, რომელსაც ახალი პაციენტის მიუკერძოებლად რეგისტრაცია ევალებოდა, რამდენიმე წამს გაუნძრევლად იდგა და საყვედურით სავსე თვალებით შესცქეროდა გამბედავ ზელიჰას. წინ უზარმაზარი გადაშლილი ტყავისყდიანი ჩანაწერების წიგნი ედო. ბოლოს რეგისტრატორმა წიგნაკში რაღაც მიაჯღაბნა.

- ვწუხვარ, რომ დავიგვიანე, - ჩაილაპარაკა ამასობაში ზელიჰამ.

კედლის საათის მიხედვით ზელიჰას ორმოცდაექვსი წუთით დაეგვიანა. თვალი წამით საათს გაუშტერა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

- წვიმის გამო, - დასძინა ზელიჰამ. ცოტა არ იყოს, უსამართლოდაც კი გამოუვიდა წვიმასთან. საყიდლებზე რომ არაფერი ვთქვათ, დაგვიანება მოძრაობის, გაფუჭებული ქვაფენილის, თვითმმართველობის, ადევნებული გამვლელისა და ტაქსის მძღოლის ბრალიც იყო, მაგრამ ზელიჰამ ამ ყველაფრის გახსენება არ ისურვა. შეიძლება მან სტამბოლელი ქალის წინდახედულობის ოქროს წესი დაარღვია, შეიძლება დაარღვია ვერცხლის წესიც, მაგრამ სპილენძის წესის ერთგულება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი.

სტამბოლელი ქალის წინდახედულობის სპილენძის წესი: ქუჩაში აბეზარს თუ გადაეყრები, აჯობებს, ეს ამბავი გზაშივე დაივიწყო, რადგან მთელი დღის განმავლობაში მისი გახსენება კიდევ უფრო აგიშლის ნერვებს!

ზელიჰა საკმაოდ გონიერი იყო და იცოდა, რომ თუ იმდღევანდელ ამბებს გაიხსენებდა, სხვა ქალები, რომლებსაც ვისიმე მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდათ, მსგავს სიტუაციებში მოხვედრილი ამხანაგის კრიტიკას მოჰყვებოდნენ. სწორედ ამიტომ იყო, ზელიჰამ რეგისტრატორს მოკლედ რომ მოუჭრა და ყველაფერი წვიმას დაჰბრალდა.

- თქვენი ასაკი, ქალბატონო? - დაინტერესდა რეგისტრატორი. ძალიან გამღიზიანებელი და სრულიად უსარგებლო კითხვა იყო.

ზელიჰამ რეგისტრატორს მოწკურული თვალებით შეხედა, თითქოს ეს უკანასკნელი ბინდბუნდი, მრუმე ყოფილიყო, რომელსაც საგნების უკეთ გასარჩევად ადამიანმა თვალი უნდა შეაჩვიოს.

უეცრად ზელიჰას თავისი თავის შესახებ ერთი მწარე სიმართლე, ანუ საკუთარი ასაკი გაახსენდა. უამრავი ქალის მსგავსად, რომლებსაც მოსალოდნელზე მეტი გარჯა უწევთ, ზელიჰა წუხდა, რომ ყველაფრის მიუხედავად, იმაზე გაცილებით ახალგაზრდა იყო, ვიდრე სურდა, ყოფილიყო.

- ცხრამეტი წლის ვარ, - მოტყდა ზელიჰა და როგორც კი ეს სიტყვები მის ბაგეებს მოსწყდა, ისე გაწითლდა, თითქოს ყველა, ვინც იქ იყო, შიშველს წასდგომოდა თავს.

- რა თქმა უნდა, თქვენი ქმრის თანხმობა დაგვჭირდება, - განაგრძო რეგისტრატორმა. მისი ხმა უწინდებურად მხიარულად აღარ ჟღერდა. მომდევნო კითხვაზე გადასასვლელად დრო აღარ დაუკარგავს. ისიც იცოდა, დაახლოებით რა პასუხს მოისმენდა, - ქალბატონო, შეიძლება, გკითხოთ, დაქორწინებული ხართ თუ არა?

ზელიჰამ ჩუმად გააპარა თვალი ჯერ ფუნთუშა ქერა ქალისკენ, რომელიც მისგან მარჯვნივ იყო, შემდეგ კი მარცხნივ, თავშლიანისაკენ, რომელიც უხერხულად იკლაკნებოდა. მოსაცდელში მყოფი ადამიანების ცნობისმოყვარე მზერამ ზელიჰა დათრგუნა. დაძაბული გამომეტყველების ნაცვლად ნეტარების ღიმილი დაეფინა სახეზე. განა ეს ინტრიგა მოსწონდა? არა, კარგად შენიღბულმა გულგრილობამ ის-ის იყო, ჩასჩურჩულა: „ყურადღებას ნუ მიაქცევ სხვების აზრს, რადგან დღის ბოლოსათვის მას მნიშვნელობა აღარ ექნება“.

ბოლო დროს ზელიჰას საკუთარი ლექსიკონიდან ზოგიერთი სიტყვის ამოღება ჰქონდა გადაწყვეტილი. ახლა სწორედ ეს გადაწყვეტილება გაახსენდა. რატომაც არა, პირველი „სირცხვილი“ შეიძლებოდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, თავხედობა არ ეყო იმის ხმამაღლა სათქმელად, რაც ოთახში ყველასათვის სავსებით გასაგები იყო.

არ არსებობდა ქმარი, რომელიც შეიძლებოდა აბორტის გაკეთებას დათანხმებულიყო. არ არსებობდა მამა. ბა-ბას ადგილზე მხოლოდ ერთი დიდი ა-რ-ა იყო.

ზელიჰას ბედად, ფორმალობების თვალსაზრისით, უქმრობა კარგიც კი იყო. აღმოჩნდა, რომ მას არავის წერილობითი ნებართვის მიღება არ სჭირდებოდა. ბიუროკრატიული წესები დაქორწინებული წყვილების შვილებზე ნაკლებად დაგიდევდათ ქორწინებაგარეშე ბავშვების გადარჩენას. სტამბოლში უკანონოდ შობილი ბავშვი კიდევ ერთი ნაბიჭვარი იყო, ნაბიჭვარი კი - კიდევ ერთი მორყეული კბილი, რომელიც ქალაქს ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გადმოვარდნოდა პირიდან.

- დაბადების ადგილი? - უნდილად განაგრძო რეგისტრატორმა.

- სტამბოლი!

- სტამბოლი?

ზელიჰამ მხრები აიჩეჩა,თითქოს უნდოდა, ეთქვა, აბა, საიდან უნდა ვიყოო. ზელიჰა ამ ქალაქს ეკუთვნოდა. განა სახეზე არ ეტყობოდა? ბოლოს და ბოლოს, ის ხომ თავს ჭეშმარიტ სტამბოლელად თვლიდა. ასეთი აშკარა რამ როგორ ვერ გამოიცანიო, უნდოდა, ესაყვედურა რეგისტრატორისთვის. ამიტომაც შემობრუნდა მოტეხილ ქუსლზე და სკამზე ჩამოჯდა თავშლიანი ქალის გვერდით.

მხოლოდ ახლაღა შენიშნა თავშლიანის მეუღლე, რომელიც გაოგნებისაგან ადგილიდან ვერ იძვროდა და გარინდებული იჯდა. ეს კაცი იმდენად ზელიჰას არ კიცხავდა, რამდენადაც უხერხულობისაგან სული ეხუთებოდა. ამ აღმაშფოთებლად ქალურ გარემოში იგი ერთადერთი მამაკაცი იყო. ზელიჰას ეს კაცი წამით შეეცოდა. იფიქრა, აივანზე გასვლას და ერთად მოწევას ვთხოვო. დარწმუნებული იყო, კაცი ეწეოდა. თუმცა, ამას სხვანაირად გაიგებდნენ. გაუთხოვარ ქალს არ შეეძლო ცოლიანი მამაკაცისათვის ასეთი რამის თხოვნა. ცოლის გვერდით ჩამომჯდარი ცოლიანი მამაკაციც მტრულად შეხვდებოდა ასეთ წინადადებას. რატომ იყო მამაკაცთან დამეგობრება ძნელი? რატომ უნდა ყოფილიყო ყოველთვის ასე? რატომ არ შეიძლებოდა უბრალოდ აივანზე გასვლა, სიგარეტის მოწევა, გამოლაპარაკება და მერე საკუთარ გზაზე წასვლა?

ზელიჰა ცოტა ხანს ჩუმად იჯდა. იმიტომ არა, რომ ძაღლივით დაღლილი იყო, დაღლილი მართლაც იყო, ან იმიტომ, რომ ყელში ჰქონდა ამოსული იქ მყოფების ყურადღება, თუმცა, მათი ყურადღებით მართლაც ყელამდე იყო, არამედ იმიტომ, რომ ღია ფანჯრის გვერდით უნდოდა ჯდომა. ქუჩის ხმაური მონატრებოდა. დარბაზში ქუჩის მოვაჭრის ხრინწიანი ხმა გაისმა:

- მანდარინი... სურნელოვანი ახალი მანდარინი...

- კარგია, იყვირე, - თავისთვის ჩაილაპარაკა ზელიჰამ.

ზელიჰას სიჩუმე არ უყვარდა. კაცმა რომ თქვას, სძულდა კიდეც. არა უშავდა, თუ ქუჩაში, ბაზარში, ექიმის მოსაცდელში, განურჩევლად ყველგან, დღისითა და ღამით, ხალხი მიშტერებით აჩერდებოდა. არა უშავდა, თუ უყურებდნენ, თვალებს აჭყეტდნენ და თავით ფეხებამდე ათვალიერებდნენ ისე, თითქოს პირველად ხედავდნენ. ასე თუ ისე, ზელიჰა ყოველთვის ახერხებდა მათი მზერის მოგერიებას. აი, მათ სიჩუმესთან გამკლავება კი ნამდვილად არ შეეძლო.

- მემანდარინე... მემანდარინე... რა ღირს კილოგრამი? - დაიყვირა ვიღაც ქალმა ქუჩის გადაღმა მდგომი შენობის ზედა სართულის ღია ფანჯრიდან.

ზელიჰა ყოველთვის ხალისობდა ამ ქალაქის მცხოვრებლებზე, რომლებიც უბრალო პროფესიის ადამიანებს ასე იოლად, თითქმის ძალდაუტანებლად არქმევდნენ წარმოუდგენელ სახელებს. ყველაფერს, რაც ბაზარში იყიდებოდა, „მე“-ს ან რაიმე მსგავსს დაამატებდით და ურბანული პროფესიების გრძელ ნუსხაში შესატანი ახალი სახელიც მზად იყო. ამგვარად, გამომდინარე იქიდან, თუ რა ჰქონდა გასაყიდი, მავანს მარტივად შეიძლებოდა დარქმეოდა „მემანდარინე“, „მეწყლე“, „მებლითე“ ანდა... „მეაბორტე“.

ახლა ზელიჰას ეჭვი არაფერში ეპარებოდა. არა, არც ვინმესთვის გულის გადაშლა სჭირდებოდა, მაგრამ მათ მეზობლად ახალგახსნილ კლინიკაში ტესტი მაინც გაიკეთა.

„საზეიმო გახსნის“ დღეს კლინიკის მესვეურებმა ერთი მუჭა რჩეულისტუმრებისათვის შთამბეჭდავი მიღება გამართეს. შესასვლელის გარეთ თაიგულები და ყვავილწნულები ჩაამწკრივეს ისე, რომ ახალი ამბავი გამვლელებსაც გაეგოთ.

ზელიჰა ამ კლინიკაში მეორე დღეს მივიდა. ყვავილების უმეტესობა უკვე დამჭკნარიყო, მაგრამ ფერად სარეკლამო ფურცლებს არაფერი დაჰკლებოდა. ფლაერებზე მანათობელი ასომთავრულით დაეწერათ: „ორსულობის უფასო ტესტი სისხლში შაქრის შემცველობის ყველა ტესტთან ერთად!“ ზელიჰას ვერ გაეგო, რა სახის ურთიერთკავშირი იყო ამ ორ ტესტს შორის, მაგრამ გამოკვლევა მაინც ჩაიტარა. ანალი-

ზის პასუხიდან გაირკვა, რომ სისხლში შაქრის შემცველობის დონე ნორმალური ჰქონდა, თანაც ორსულად იყო.

- ქალბატონო, შეგიძლიათ შემოხვიდეთ! - დაიძახა კარში ჩამდგარმა რეგისტრატორმა. მისი პროფესიიდან გამომდინარე, ამჯერად „რ“-სათვის თავის არიდება ადვილი არ იქნებოდა, - ექიმი გელოდებათ.

ზელიჰამ ჩაის ჭიქების ყუთსა და მოტეხილ ქუსლს ხელი დაავლო და ფეხზე წამოდგა. იგრძნო, როგორ მიტრიალდა მისკენ ყველა თავი, რომელიც კი ოთახში იყო. ისიც იგრძნო, როგორ აკვირდებოდნენ მის ყველა ჟესტს.

სხვა დროს ზელიჰა რაც შეეძლო სწრაფად გაივლიდა, მაგრამ ახლა მისი მოძრაობები აშკარად შენელებული, თითქმის უსიცოცხლო იყო. სწორედ მაშინ, როდესაც ოთახიდან უნდა გასულიყო, ზელიჰა შეჩერდა და ისე შემობრუნდა, თითქოს საამისოდ ვიღაცას ღილაკისთვის დაეჭირა ხელი. ზუსტად იცოდა, ვისთვის უნდა შეეხედა. მისი თვალსაწიერის ცენტრში ერთ-ერთი ყველაზე გაბოროტებული სახე აღმოჩნდა.

თავშლიანი ქალი დაიმანჭა. აღშფოთებისაგან წაბლისფერი თვალები მოქუფრვოდა და ტუჩებს აცმაცუნებდა. ექიმს წყევლიდა და ამ ცხრამეტი წლისასაც, იმ ბავშვის მოშორებას რომ აპირებდა, რომელიც ალაჰს მისთვის უნდა ეჩუქებინა და არა თავქარიანი გოგოსათვის.

* * *

ექიმი ერთი ჩასკვნილი კაცი იყო. მისი გაჯგიმული ტანადობა ძალაზე მიგანიშნებდათ. რეგისტრატორისაგან განსხვავებით, მის გამოხედვაში არანაირი გაკიცხვა არ იგრძნობოდა, არც სულელური კითხვები უტრიალებდა ენაზე. თითქოს ზელიჰას მისვლა მისთვის ყოველმხრივ სასურველი იყო.

ექიმის გვერდით ზელიჰა მოდუნდა, კანი დაუცხრა. ეს ძალიან ცუდი იყო, რადგან როდესაც მშვიდდებოდა და კანი უცხრებოდა, ჩაისჭიქასავით ნაზი ხდებოდა, ხოლო როდესაც ჩაის ჭიქასავით ნაზი იყო, ტირილს ბევრი არაფერი აკლდა. აი, ეს კი ნამდვილად სძაგდა. პატარაობიდანვე სძულდა სენტიმენტალური ქალები და თავს აღუთქვა, რომ არასოდეს გადაიქცეოდა იმ მოსიარულე არარაობათაგან ერთ-ერთად, რომლე-

ბიც ცრემლებისა და საჩოთირო საყვედურების ზღვას აყენებენ ყველგან, სადაც კი მიდიან. ასეთები კი მის ირგვლივ მრავლად იყვნენ. ზელიჰამ საკუთარ თავს ტირილი აუკრძალა. ამ დრომდე დადებულ პირობას თავს საკმაოდ კარგად ართმევდა. როდესაც ან თუკი თვალზე ცრემლი მოადგებოდა, ზელიჰა სუნთქვას შეიკრავდა და თავის აღთქმას იხსენებდა.

ცრემლების შესაკავებლად ივლისის პირველ პარასკევსაც ის გაიკეთა, რასაც ყოველთვის აკეთებდა. ღრმად ჩაისუნთქა და ძალის დემონსტრირებისათვის ნიკაპი ზემოთ ასწია. თუმცა, ამჯერად ძალიან ცუდად გამოუვიდა: სუნთქვის შეკავება ქვითინით დამთავრდა.

ექიმს არ გაჰკვირვებია. ასეთებს მიჩვეული იყო. ქალები მასთან სულ ტიროდნენ.

- დამშვიდდი, - თქვა ექიმმა და ზელიჰას დაშოშმინება სცადა, თან სამედიცინო ხელთათმანებს ირგებდა, - ყველაფერი კარგად იქნება. ნუ დარდობ. ცოტას წასთვლემ, დაიძინებ, სიზმარს ნახავ. სანამ სიზმარი დამთავრდება, გაგაღვიძებთ და შინ წახვალ, მერე კი არაფერი გაგახსენდება. როდესაც ზელიჰა ასე ტიროდა, ყველაფერი სახეზე ეწერა, ლოყები უცვივდებოდა და მკაფიოდ იკვეთებოდა მისი სახის ყველაზე მეტყველი ნაწილიც, ანუ ცხვირი. მისი დედმამიშვილებისა არ იყოს, მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული განსაკუთრებული კეხიანი ცხვირი ზელიჰას შემთხვევაშიც კეხთან უფრო გამოყვანილი, ხოლო წვერთან წაგრძელებული იყო.

ექიმმა ზელიჰას მხარზე მოუთათუნა ხელი, მერე ქაღალდის ცხვირსახოცი მიაწოდა, ბოლოს კი - ცხვირსახოცების მთელი ყუთიც. საწერ მაგიდასთან ყოველთვის ჰქონდა ქაღალდის ცხვირსახოცების ზედმეტი შეკვრა. ფარმაცევტული კომპანიები ცხვირსახოცების ყუთებს უფასოდ არიგებდნენ. საკუთარი კომპანიის სახელებით დამშვენებული კალმებისა და ჩანაწერების წიგნაკების გარდა, ისინი ქაღალდის ცხვირსახოცებსაც ამზადებდნენ პაციენტი ქალებისათვის, რომლებიც ვერა და ვერ იკავებდნენ ტირილს.

„ლეღვი... გემრიელი ლეღვი... კარგი, მწიფე ლეღვი!“

ნეტავ იგივე გამყიდველი იყო თუ სხვა? რას ეძახდნენ კლიენტები? მელეღვეს?

იწვა ზელიჰა უძრავად მაგიდაზე და ფიქრობდა. უზადოდ სუფთა ოთახის სითეთრე, რომელშიც მაგიდა იდგა, ადამიანს გამბედაობის უკანასკნელ ნატამალსაც გამოაცლიდა. იქაური ხის საბჯენები, დანებიც კი არ აშინებდა ზელიჰას ისე, როგორც აბსოლუტური სითეთრე. იყო რაღაც სიჩუმის მსგავსი თეთრ ფერში. ორივე დაცლილი იყო სიცოცხლისგან, სიჩუმეც და თეთრიც.

ზელიჰა შეეცადა, როგორმე თავი დაეღწია სიჩუმის ფერისათვის, ამასობაში კი მისი ყურადღება შავმა ლაქამ მიიზიდა, ჭერს რომ ემჩნეოდა.რაც უფრო მეტად აკვირდებოდა ლაქას, მით უფრო მეტად ემსგავსებოდა ეს უკანასკნელი შავ ობობას. თავიდან არ იძვროდა, მერე ცოცვა დაიწყო. ინიექცია ზელიჰას სისხლძარღვებს მოედო და ობობაც სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. რამდენიმე წამში ზელიჰა ისე დამძიმდა, რომ თითის აწევაც არ შეეძლო. როგორც კი სცადა წინააღმდეგობა გაეწია ნარკოზით მოგვრილი ძილისათვის, ხელახლა აქვითინდა.

- დარწმუნებული ხარ, რომ ამის გაკეთება გინდა? იქნებ დაფიქრდე, - თქვა ექიმმა ხავერდოვანი ხმით ისე, თითქოს ზელიჰა მტვრის გროვა ყოფილიყო და ექიმს ეშინოდა, ხმამაღალი ლაპარაკით ჩემი სიტყვების ქარმა არ გადახვეტოსო, - თუ დაფიქრება გინდა, ჯერ არ არის ძალიან გვიანი.

გვიანი იყო. ზელიჰამ იცოდა, რომ ეს ახლა, ივლისის ამ პარასკევს დღეს უნდა გაეკეთებინა. დღეს ან არასოდეს.

- საფიქრალი არაფერია. ვერ გავაჩენ, - ზელიჰას ესმოდა, როგორ წამოაყრანტალა ეს სიტყვები.

ექიმმა თავი დააქნია. მოულოდნელად, თითქოს ამ მოძრაობას ელოდებოდაო, ოთახში ახლომახლო მეჩეთიდან წამოსული პარასკევის ლოცვა შემოიჭრა. რამდენიმე წამში ლოცვას კიდევ ერთი მეჩეთი შეუერთდა, მერე კიდევ ერთი და კიდევ ერთი. ზელიჰას აღელვებისაგან სახე მოეღრიცა. ვერ იტანდა, როდესაც ლოცვა, რომელიც თავიდან იმისთვის შეიქმნა, რომ ადამიანის შეურყვნელი ხმით წაეკითხათ, ადა-

მიანურ სითბოს კარგავდა და მიკროფონებისა და კაბინეტებში დამონტაჟებული ხმის გამაძლიერებლების წყალობით ქალაქის თავზე გამოკიდებულ ელექტრონულ ხმაურად იქცეოდა. ცოტა ხანში ხმაური იმდენად გაძლიერდა, იფიქრა, ახლომახლო უკლებლივ ყველა მეჩეთის ხმის გამაძლიერებელ სისტემას რაღაც ხომ არ დაემართაო.

შეიძლება სულაც სმენა გაუმახვილდა.

- ერთ წუთს გაგრძელდება... ნუ ღელავ, - თქვა ექიმმა.

ზელიჰამ შეცბუნებულმა შეხედა. ნუთუ ასე ეტყობოდა სახეზე ელექტროლოცვის სიძულვილი? ამის დარდი არ ჰქონდა. კაზანჯის გვარის ყველა სხვა ქალს შორის იგი ერთადერთი ურწმუნო იყო.

ბავშვობაში წარმოიდგენდა ხოლმე, რომ ალაჰი მისი საუკეთესო მეგობარი იყო. ცხადია, ეს ცუდი არ იყო, მაგრამ ზელიჰას მეორე საუკეთესო მეგობარი ერთი ენაჭარტალა, ჭორფლიანი გოგო გახლდათ, რომელიც მოწევას რვა წლისა დაეჩვია. გოგონა მათი დამლაგებლის, ლოყასავსე ულვაშიანი ქურთი ქალის შვილი იყო.

დამლაგებელი, რომელიც ულვაშის მოპარსვით თავს ყოველთვის არ იწუხებდა, ადრე მათთან კვირაში ორჯერ დადიოდა და ქალიშვილიც მუდამთან ახლდა.

ცოტა ხანში ზელიჰა და დამლაგებლის გოგონა კარგი მეგობრები გახდნენ, საჩვენებელი თითებიც კი გაიჭრეს, რომ ცხოვრების ბოლომდე დადნაფიცები ყოფილიყვნენ. ერთი კვირის განმავლობაში ორივეს თითზე სისხლიანი სახვევი ეკეთა, როგორც მათი დობის სიმბოლო. უწინ, როცა კი ლოცულობდა, ზელიჰა სწორედ ამ სისხლიან სახვევზე ფიქრობდა - ნეტავი ალაჰსაც შესძლებოდა მასთან დად გაფიცვა... დად გაფიცვა...

„მაპატიე“, - უმალ მოიხდიდა ხოლმე ბოდიშს ზელიჰა, მერე კიდევ ერთხელ, მერე კიდევ ერთხელ. როდესაც ალაჰს პატიებას სთხოვ, სამჯერ უნდა მოუბოდიშო: „მაპატიე, მაპატიე, მაპატიე“.

იცოდა, რომ შეცდომას უშვებდა: ალაჰს არ შეეძლო გაპიროვნება, არც უნდა გაპიროვნებულიყო. ალაჰს საამისოდ არც თითები ჰქონდა, არც სისხლი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისთვის ადამიანური თვისებე-

ბის მიწერისაგან თავის შეკავება სჯობდა; ეს კი ადვილი არ იყო, რადგან ალაჰის ოთხმოცდაცხრამეტი სახელიდან ყველა სავსებით მიესადაგებოდა ადამიანთა მოდგმას.

ალაჰი ყველაფერს ხედავდა, მაგრამ თვალები არ ჰქონდა; ყველაფერი ესმოდა, მაგრამ არ ჰქონდა ყურები; შეეძლო ყველას მისწვდომოდა, მაგრამ ხელები არ ჰქონდა... მთელი ამ ინფორმაციიდან რვა წლის ზელიჰას ერთი დასკვნა გაეკეთებინა: ალაჰს შეეძლო დაგვმსგავსებოდა, ჩვენ კი არ შეგვეძლო, მას დავმსგავსებოდით. იქნებ პირიქითაც იყო? ნებისმიერ შემთხვევაში, მასზე ფიქრი უნდა გესწავლათ, ანუ უნდა გესწავლათ ფიქრი მასზე არა, როგორც ადამიანზე.

ამაზე ამდენს, ალბათ, არც იფიქრებდა, ერთხელ შუადღისას, თავისი დის, ფერიდეს საჩვენებელ თითზე სისხლიანი სახვევი რომ არ შეენიშნა. როგორც ჩანს, ქურთის გოგომ ფერიდესაც შეჰფიცა დობა. ზელიჰამ თავი მოტყუებულად იგრძნო. მხოლოდ ახლაღა მიხვდა, მისი მთავარი წინააღმდეგობა ალაჰთან ის კი არ იყო, რომ მას, ალაჰს სისხლი არ ჰქონდა, არამედ ის, რომ მეტისმეტად ბევრი სისხლით გაფიცული და მისახედი დობილი ჰყავდა იმისათვის, რომ საბოლოოდ რომელიმე მათგანისათვის მიეხედა.

ამ ამბის შემდეგ მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ზელიჰას სახლი ძალიან დიდი და ნახევრად დანგრეული იყო, დედამისი კი ანჩხლი და ჯიუტი ქალი გახლდათ. ჰოდა, დამლაგებელმაც ცოტა ხანში მათთან მუშაობას თავი დაანება და თავისი გოგონაც თან წაიყვანა.

დარჩა ზელიჰა ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის გარეშე, მეგობრისა, რომლის მეგობრობაც ერთობ საეჭვო იყო. ზელიჰა ოდნავ ნაწყენი იყო, მაგრამ ზუსტად არ იცოდა ვისზე: დამლაგებელზე, რომელიც წავიდა, დედაზე, რომელმაც დამლაგებელს წასვლა აიძულა, თავის საუკეთესო მეგობარზე, რომელიც ორმაგ თამაშს თამაშობდა, უფროს დაზე, რომელმაც დადნაფიციმოჰპარა, თუ ალაჰზე.

რაკი სხვებზე ხელი არ მიუწვდებოდა, გადაწყვიტა, ალაჰზე ყოფილიყო ნაწყენი. იმის გამო, რომ თავი წარმართად ასეთ მცირე ასაკში

იგრძნო, ზელიჰას ვერ გაეგო, რატომ უნდა ყოფილიყო წარმართი მოწიფულობაშიც.

ოთახში კიდევ ერთი მეჩეთიდან წამოსული ლოცვის ხმა გაისმა. ლოცვები წრეში ჩახატული წრეებივით ექოდ მრავლდებოდა. რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, იმ მომენტში ექიმის კაბინეტში მყოფი ზელიჰა სადილზე დაგვიანებას ჯავრობდა. აინტერესებდა, რა ექნებოდათ სუფრაზე იმ საღამოს და მისი სამი დისგან რომლის ნახელავი იქნებოდა ეს კერძი.

ზელიჰას ყველა დას სხვადასხვა კერძის კეთება გამოსდიოდა კარგად და ზელიჰასაც სხვადასხვანაირი საჭმელი შეეძლო ენატრა, გამომდინარე იქიდან, თუ ვინ ტრიალებდა იმ დღეს სამზარეულოში. სატენიანი მწვანე წიწაკა უნდოდა. მეტისმეტად რთული კერძი იყო, რადგან ყველა და მას განსხვავებულად ამზადებდა. სატენიანი... მწვანე... წიწაკა...

ობობა ქვემოთ ეშვებოდა და ზელიჰას სუნთქვაც თანდათან უნელდებოდა. ისევ ცდილობდა, თვალი არ მოეცილებინა ჭერისთვის. თავს ისე გრძნობდა, თითქოს მის ირგვლივ შეკრებილი ხალხი სხვა სივრცეში იყო. ზელიჰამ მორფევსის საბრძანებელში შეაბიჯა.

იქაურობა ისეთი განათებული იყო, თითქმის კაშკაშებდა. ნელა და ფრთხილად გაუყვა მანქანებითა და ფეხით მოსიარულეებით გადატენილ ხიდს. ხიდზე უძრავად იდგნენ მეთევზეებიც. ანკესის ბოლოებზე მატლები კონწიალობდნენ.

მიიკვლევდა გზას ზელიჰა. რიყის ყველა ქვა, რომელსაც ფეხს აბიჯებდა, მორყეულიყო. შიშით გული უსკდებოდა, რადგან ქვემოთ არაფერი ეგულებოდა.

ცოტა ხანში შეშინებულმა აღმოაჩინა, რომ ზემოთაც იგივე იყო, რაც ქვემოთ. ციდან რიყის ქვების წვიმა მოდიოდა. როდესაც ციდან რიყის ქვა ვარდებოდა, მის ფეხქვეშ ქვაფენილს ერთი ქვა აკლდებოდა. ცის თავზე და მიწის ქვეშ ისევ და ისევ არა იყო რა.

მოდიოდა რიყის ქვების წვიმა და კიდევ უფრო იზრდებოდა ღრმული. ზელიჰა შიშმა აიტანა. ეშინოდა, არ გადაეყლაპა დამშეულ უფსკრულს.

- შეჩერდით! - დაუყვირა ზელიჰამ მის ფეხქვეშ ჩაგორებულ ქვებს, - შეჩერდით! - უბრძანა მანქანებს, რომლებიც ჯერ მისკენ მოექანებოდნენ, შემდეგ კი ზემოდან უვლიდნენ, - შეჩერდით! - შეევედრა ფეხით მოსიარულეებს, რომლებიც განზე სწევდნენ, - შეჩერდით, გთხოვთ!

* * *

როცა გაიღვიძა, უცხო ოთახში მარტო იყო. გული ერეოდა. არც იცოდა და არც უნდოდა, გამოეცნო აქ რამ მოიყვანა. არაფერს გრძნობდა,არც ტკივილს, არც სინანულს.

„ბოლოს და ბოლოს, გულგრილობამ გაიმარჯვა“, - დაასკვნა ზელიჰამ. გვერდითა ოთახში ქათქათა მაგიდაზე მას მარტო ბავშვი კი არა, გრძნობებიც მოაშორეს. იქნებ სადმე იყო კიდეც იმედის ნაპერწკალი; იქნებ ახლა მაინც მოეხერხებინა სათევზაოდ წასვლა და საათობით გაუნძრევლად დგომა იმედგაცრუებისა და მარტოსულობის შეგრძნების გარეშე ისე, თითქოს ცხოვრება ფეხმარდი კურდღელი ყოფილიყო, რომლის დანახვაც მხოლოდ შორიდან შეეძლო და, ალბათ, ვერასოდეს დაიჭერდა.

- როგორც იქნა, გაიღვიძე! - რეგისტრატორი კართან იდგა. წელზე დოინჯი შემოერტყა, - ღმერთო, რა შიში ვჭამეთ! როგორ შეგვაშინე! წარმოგიდგენია მაინც, როგორ ყვიროდი? საშინელება იყო!

ზელიჰა გაუნძრევლად იწვა. თვალსაც არ ახამხამებდა.

- ქუჩაში, ალბათ, ეგონათ, რომ გკლავდით ან რაღაც ეგეთი... მარტო ის მაინტერესებს, პოლიცია რატომ არ მოგვადგა!

„იმიტომ, რომ სტამბოლის პოლიციაზე ლაპარაკობ და არა ვიღაც დაკუნთულ პოლიციელზე ამერიკული კინოდან“, - გაიფიქრა ზელიჰამ და, როგორც იქნა, თვალები ააფახურა. ჯერ ვერ გაეგო, რითი გააბრაზა რეგისტრატორი, მაგრამ რაკი ასე გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, თავის გასამართლებლად ის თქვა, რაც პირველად მოუვიდა თავში:

- იქნებ იმიტომ ვყვიროდი, რომ მეტკინა...

მიუხედავად იმისა, რომ ზელიჰას შენიშვნა დამაჯერებელი ჩანდა, იგი იქვე გააცამტვერეს:

- ქალბატონო, ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ ექიმს... ოპერაცია არ გაუკეთებია. ხელიც კი არ დაგვიკარებია შენთვის!

- რას გულისხმობ? - ენის ბორძიკით იკითხა ზელიჰამ. პასუხზე მეტად ის აინტერესებდა, თავად რამდენად მნიშვნელოვანი კითხვა დასვა, - იმის თქმა გინდა, რომ არ...

- ჰო, არა, - ამოიხვნეშა რეგისტრატორმა. თავი ისე ეჭირა, თითქოს შაკიკის შეტევა ჰქონოდა, - ექიმს აბსოლუტურად არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ისე ყვიროდი. გონებაზე იყავი, ქალო, არაფერი გამოვიდოდა. ჯერ რაღაცას მიედ-მოედებოდი, მერე ყვირილი და გინება დაიწყე. თხუთმეტი წელია ასეთი არაფერი მინახავს. მორფის ორმაგი დოზა თუ იმოქმედებდა შენზე.

ზელიჰა ეჭვობდა, რომ ეს ნათქვამი გარკვეულწილად გაზვიადებული იყო, მაგრამ კამათის თავი არ ჰქონდა. გინეკოლოგთან ორსაათიანმა ვიზიტმა მიახვედრა, რომ აქ პაციენტისაგან ლაპარაკს მხოლოდ მაშინ მოელიან, როდესაც კითხვას უსვამენ.

- ბოლოს და ბოლოს, გონება რომ დაკარგე, ვერ წარმოვიდგენდით, ისევთუ არ დაიწყებდი ყვირილს. ექიმმა, მოდი, მოვიცადოთ, სანამ გონება არ დაეწმინდებაო. თუ ნამდვილად უნდა აბორტის გაკეთება, მერე გაიკეთებსო. აქ მოგიყვანეთ და ძილი გაცადეთ. მართლა გეძინა!

- იმას გულისხმობ, რომ არ... - ვერა და ვერ ამოუშვა პირიდან სიტყვა, რომელიც ასე გაბედულად წარმოთქვა შუადღისას უცხო ადამიანების თვალწინ. ზელიჰა მუცელს ხელით შეეხო, თვალებით კი ნუგეშისცემას ევედრებოდა რეგისტრატორს, რომელსაც მთელ დუნიაზე ყველაზე ნაკლებად შეეძლო მისი დარდის გაქარვება, - გოგონა აქ არის...

- ჰო, მაგრამ, ჯერ არ იცი, გოგოა თუ არა! - უდარდელი ხმით თქვა რეგისტრატორმა, მაგრამ ზელიჰამ იცოდა, უბრალოდ, იცოდა. მორჩა და გათავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბნელდებოდა, ქუჩაში გასულმა თავი ისე იგრძნო, თითქოს ის იყო, თენდებოდა. წვიმას გადაეღო და ცხოვრება მშვენიერი, თითქმის ასატანი ჩანდა. მოძრაობა ისევ გადატვირთული იყო. ქუჩებში ყველგან ჭყაპი იდგა, ნაწვიმრის მძაფრი სუნი კი მთელ

ქალაქს რაღაცნაირ ღვთიურ ელფერს სძენდა. სადღაც-სადღაც ბავშვები ტალახიან გუბეებში დატყაპუნებდნენ. პატარ-პატარა ცოდვების ჩადენა სიამოვნებას ჰგვრიდათ.

თუკი შეიძლება არსებობდეს ცოდვის ჩადენისათვის შესაფერისი დრო, ეს წარმავალი წამი სწორედ ასეთად შეიძლებოდა ჩაგეთვალათ. ეს ის ერთ-ერთი იშვიათი მომენტი იყო, როდესაც ფიქრობ, რომ ალაჰი არა მხოლოდ ზემოდან დაგვყურებს, არამედ ზრუნავს კიდეც ჩვენზე, ერთ-ერთი მომენტი, როდესაც გრძნობ მის სიახლოვეს.

„თითქოს სტამბოლი პარიზის დარად რომანტიკულ ფერადოვან, სანეტარო დედაქალაქად ქცეულა“, - ფიქრობდა ზელიჰა. არა, პარიზში არასოდეს ყოფილა.

შორიახლოს თოლიამ ჩაუფრინა. რაღაც დაშიფრულ შეტყობინებას დასჭყიოდა, შეტყობინებას, რომელსაც ზელიჰა ის-ის იყო, გამოიცნობდა. ნახევარი წუთის განმავლობაში ზელიჰას სწამდა, რომ რაღაც ახალი უნდა დაწყებულიყო.

- ეს რატომ არ გამაკეთებინე, ალაჰ? - თავადაც გაიგონა, როგორ ჩაიბუტბუტა, მაგრამ როგორც კი სიტყვები ბაგეებს მოსწყდა, შეშინებულმა მაშინვე მოუბოდიშა საკუთარ თავში ჩაბუდებულ ათეისტს.

„მაპატიე, მაპატიე, მაპატიე“.

შორს, ცისარტყელას ქვეშ, ზელიჰა კოჭლობით ბრუნდებოდა შინ. ხელში მაგრად ეჭირა ჩაის ჭიქების ყუთი და მოტეხილი ქუსლი. იმაზე ნაკლებად დათრგუნვილად გრძნობდა თავს, ვიდრე მთელი კვირების განმავლობაში.

* * *

ივლისის იმ პირველ პარასკევს ზელიჰა დაახლოებით საღამოს რვა საათზე დაბრუნდა. აქეთ-იქით აშენებულ ხუთჯერ უფრო მაღალ საცხოვრებელ კორპუსებს შორის ოდნავ მოძველებული, მაღალჭერიანი ოტომანური დიდი სახლი უადგილოდ გამოიყურებოდა. ზელიჰა ძლივს ავიდა დახვეულ კიბეზე. კაზანჯის გვარის ყველა ქალი ზედა სართულზე ფართო სასადილო მაგიდის გარშემო შეკრებილიყო. ჭამით იყვნენ გართული. აშკარა იყო, მისთვის დალოდების მიზეზს ვერ ხედავდნენ.

- უცხოს გაუმარჯოს! შემოდი, ვახშამზე დაგვეწვიე, - შესძახა ბანუმ, რომელიც ქათმის დაბრაწულ კნატუნა ფრთას კისერწაგრძელებული დასცქეროდა ზემოდან, - წინასწარმეტყველი მუჰამედი გვირჩევს, საკვები უცხოებს გავუნაწილოთ.

ტუჩები და ლოყები ისე უბზინავდა, თითქოს ქათმის ცხიმის მთელ სახეზე, მათ შორის ელვარე, მოყვითალო-ყავისფერ თვალებზეც, წასასმელად საგანგებოდ მოეცალა.

მასზე თორმეტი წლით უფროსი და, ოცდაათი გირვანქით მძიმე ბანუ, ზელიჰას დედას უფრო ჰგავდა, ვიდრე დას. ბანუს თუ დაუჯერებდით, არანორმალური საჭმლის მომნელებელი სისტემა ჰქონდა, რომელიც იტევდა ყველაფერს, რასაც მისი პატრონი ყლაპავდა. ამას კიდევ ირწმუნებდით, მაგრამ ბანუ ამტკიცებდა, სუფთა წყალსაც კი ჩემი სხეული ცხიმად გარდაქმნის და ამიტომ ვერც ჩემს წონაზე მაგებინებთ პასუხს, ვერც დიეტაზე დაჯდომას მთხოვთო.

- გამოიცანი, რა გვაქვს დღეს მენიუში? - ხალისიანად განაგრძო ბანუმ, თან ზელიჰას თითი დაუქნია, მერე კი ქათმის მეორე ფრთას დასწვდა, - სატენიანი მწვანე წიწაკა!

- დღეს, ალბათ, ჩემი დღეა! - თქვა ზელიჰამ.

იმდღევანდელი მენიუ მდიდრული და კარგად ნაცნობი იყო.

უზარმაზარი ქათმის გარდა, სუფრაზე იდო მაწვნის შეჭამანდი, კარნიარიკი, პილაკი, წინადღის კადინ ბუდუ კოფტე, ტურშუ, ახალი მომზადებული ჩორეკი, აირანის ქილა და, რა თქმა უნდა, სატენიანი მწვანე წიწაკა. ზელიჰამ სკამს წამოავლო ხელი, შიმშილის გრძნობამ რთული დღის წინ ოჯახურ სადილზე დასწრების სურვილის უქონლობა გადასძალა.

- სად იყავით, ახალგაზრდა ქალბატონო? - დაიბუზღუნა დედამისმა, გულსუმმა, რომელიც სხვა ცხოვრებაში შეიძლება ივანე მრისხანე იყო. გულსუმი მხრებში გაიმართა, ნიკაპი ასწია, წარბები შეყარა და მოჭმუხნილი სახე ზელიჰასკენ მიაბრუნა, თითქოს ასე თავისი უმცროსი ქალიშვილის აზრების წაკითხვას შეძლებდა. იდგნენ ასე გულსუმი და ზე-

ლიჰა, დედა და შვილი, და კუშტად შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ორივე მზად იყო ჩხუბისათვის, მაგრამ დაწყება არც ერთს არ უნდოდა.

მზერა პირველად ზელიჰამ აარიდა. ზედმიწევნით კარგად იცოდა,რამდენად დიდი შეცდომა იქნებოდა დედამისის წინაშე საკუთარი ხასიათის გამოვლენა. ამიტომაც თავს ძალა დაატანა, გაიღიმა და პასუხის გაცემა სცადა, თუმცა, ეს არ იყო პირდაპირი პასუხი.

- დღეს ბაზარში კარგი ფასდაკლებები იყო. ჩაის სერვიზი ვიყიდე. მართლა მშვენიერია! მოოქრული ვარსკვლავები აქვს და კოვზები მოჰყვება, რომლებიც ძალიან უხდება.

- ვაი რომ, ძალიან ადვილად ტყდება, - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ჯევრიემ, რომელიც დები კაზანჯების მეორე უფროსი წარმომადგენელი და კერძო სკოლაში სახელმწიფო ისტორიის მასწავლებელი გახლდათ. ჯევრიე ყოველთვის ჯანსაღ, დაბალანსებულ საკვებს იღებდა. მთელ თმას კეფაზე მჭიდროდ იგრეხდა და კოხტა შინიონს იკეთებდა.

- ბაზარში იყავი? ცოტა მაინც რატომ არ წამოიღე დარიჩინის ჩხირები? დილით გითხარი, რომ დღეს ბრინჯის პუდინგის მომზადებას ვაპირებდით, სახლში კი დარიჩინი სულ აღარ იყო, ზედ რომ მოგვეყარა.

ვიდრე პურის ერთი ლუკმიდან მეორეზე გადავიდოდა, ბანუმ წარბი შეიკრა, მაგრამ ამ პრობლემას მისი გონება წამზე დიდი ხნით არ დაუკავებია. ბანუსეული პურის თეორია, რომლის ხშირად გამეორებაც თავად ასე მოსწონდა და რომლის ხორცშესხმასაც გამუდმებით ცდილობდა, შემდეგში მდგომარეობდა: თუ კუჭს თითოეულ და ყოველ ჯერზე პურს სათანადო რაოდენობით არ მიაწვდიდნენ, „ამოვსებას“ ვერ მიხვდებოდა და ამის გამო კიდევ მოითხოვდა საკვებს. იმისათვის, რომ კუჭს სრულად გაეცნობიერებინა საკუთარი სისავსე, ადამიანს ყველაფერზე პურის სათანადო ულუფა უნდა მიეყოლებინა. ასე რომ, ბანუ ერთად მიირთმევდა პურსა და კარტოფილს, პურსა და ბრინჯს, პურსა და პასტას, პურსა და ბორექს, ხოლო როდესაც კუჭისათვის ჩვეულებრივზე გაცილებით მკაფიო მესიჯის გაგზავნა სურდა, ერთად გეახლებოდათ პურსა და პურს. უპურო სადილი ცოდვა იყო, რომელიც ალაჰს შეიძლებოდა ეპატიებინა, მაგრამ ბანუ ამას აშკარად არავის მიუტევებდა.

ზელიჰამ ტუჩები მოკუმა და უსიტყვოდ იდგა. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რა ბედი ეწია დარიჩინის ჩხირებს. კითხვას თავი აარიდა და თეფშზე სატენიანი წიწაკა გადმოიღო. ყოველთვის ადვილად ხვდებოდა, ვისი მომზადებული იყო წიწაკა - ბანუსი, ჯევრიესი თუ ფერიდესი.

ბანუს მომზადებული წიწაკა სავსე იყო სატენით, რომელიც სხვების წიწაკას ძალიან აკლდა ხოლმე, მათ შორის მიწის თხილით, აკაჟუთი და ნუშით.

ფერიდეს მომზადებული წიწაკა გაძეძგილი იყო ბრინჯით. თითოეული მწვანე წიწაკა ისე იყო გაბერილი, რომ დაუნაწილებლად მისი შეჭმა შეუძლებელი იყო. ყველა სახის სანელებლის ფერიდეს სიყვარულს წიწაკების დაძეძგვის სურვილიც ემატებოდა და ტოლმაც ძლივს იტევდა მწვანილსა და სანელებლებს. იმის მიხედვით, სანელებლების რა კომბინაციას მიმართავდა ფერიდე, კერძი ან განსაკუთრებულად კარგი, ან უბრალოდ საშინელი გამოდიოდა.

ჯევრიეს ტოლმა კი, რომელიც ამჯერად მას მოემზადებინა, ყოველთვის უფრო ტკბილი იყო. განურჩევლად ყველაფერს, რაც საჭმელად ვარგისი იყო, ჯევრიე შაქრის ფხვნილს უმატებდა, თითქოს საკუთარ სამყაროში დაბუდებული სიმწარის კომპენსირებას ცდილობდა. ჰოდა, იმ დღეს ტოლმა სწორედ მისი გაკეთებული აღმოჩნდა.

- ექიმთან ვიყავი... - ჩაილუღლუღა ზელიჰამ, თან ტოლმას ფრთხილად აცლიდა ღია მწვანე კანს.

- ექიმთან? - დაიმანჭა ფერიდე და ჩანგალი ჰაერში ისე ასწია, თითქოს დირიჟორის ჯოხით რუკაზე დატანილი მთების შორეულ ქედს აჩვენებდა გეოგრაფიის საკლასო ოთახში შეკრებილ მოსწავლეებს და არა საკუთარი ოჯახის წევრებს.

ფერიდეს მხედველობითი კონტაქტის დამყარების პრობლემა ჰქონდა და თავს უფრო მშვიდად გრძნობდა, თუკი რაიმე საგანს ელაპარაკებოდა. შესაბამისად, მისი სიტყვების ადრესატი ზელიჰას თეფში აღმოჩნდა:

- ამ დილით გაზეთი არ გინახავს? ცხრა წლის გოგონას აპენდიციტი გაუკეთეს და მაკრატელი შიგნით დარჩათ. წარმოდგენა თუ გაქვს, როგორ უნდა ჩასვან ექიმი ციხეში სამსახურებრივი დაუდევრობის გამო?

სამედიცინო პროცედურების შესახებ ფერიდემ კაზანჯის გვარის ყველა ქალზე მეტი იცოდა. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მას რვა სხვადასხვა დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. ყოველ მომდევნო დაავადებას წინაზე უცხო სახელწოდება ჰქონდა.

ძნელი გასარკვევი იყო, ექიმებს უჭირდათ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება თუ თავად ფერიდე იგონებდა ახალ-ახალ სნეულებებს. ასე იყო თუ ისე, ცოტა ხანში ამ ყველაფერს დიდად არავინ დაგიდევდათ. საღი ჭკუა ფერიდესათვის შანგრი-ლა, მიწიერი სამოთხე გახლდათ, რომელიც ჯერ კიდევ მოზარდობის ასაკში დატოვა და სადაც ერთ მშვენიერ დღეს აპირებდა დაბრუნებას. შანგრი-ლასკენ მიმავალ გზაზე ფერიდემ სხვადასხვა გაჩერებაზე შეისვენა. თითოეულ გაჩერებას რაღაც ახირებული სახელი ერქვა და მოსაბეზრებელ მკურნალობას საჭიროებდა.

რაღაც უცნაურობა ფერიდეში ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა ეს უკანასკნელი პატარა გოგონა გახლდათ. სკოლაში ერთ-ერთი რთული მოსწავლე იყო და არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა არაფრისადმი ფიზიკური გეოგრაფიის გაკვეთილების გარდა. რაც შეეხება თავად გეოგრაფიის გაკვეთილებს, არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა არაფრისადმი, რამდენიმე საკითხისგარდა. ასეთი საკითხების რიცხვს უპირველესად ატმოსფეროს შრეები განეკუთვნებოდა. სტრატოსფეროში ოზონის დაშლა და ოკეანის ზედაპირულ დინებებსა და ატმოსფერულ მოდელებს შორის არსებული კავშირი მისი საყვარელი თემები იყო. ფერიდეს შეესწავლა მთელი ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც კი შეძლო მაღალგანედური სტრატოსფერული ცირკულაციის, მეზოსფეროს მახასიათებლების, მთისა და ხეობის ქარების, მზის აქტივობის ციკლების, ტროპიკული განედების, ასევე დედამიწის ფორმისა და ზომის შესახებ.

ყველაფრისაგან, რასაც სკოლაში დაისწავლიდა, სახლში იცლებოდა. საუბარი ისე არ ჩაივლიდა, ატმოსფერო რამდენჯერმე რომ არ ეხსენებინა. ყოველთვის, როდესაც ფიზიკურ გეოგრაფიაში საკუთარ ცოდნას ამზეურებდა, ფერიდე უმაგალითო მონდომებით ლაპარაკობდა და ასე, ღრუბლებში ფარფატ-ფარფატით ატმოსფეროს ერთი შრიდან მეორეში დახტუნავდა.

სკოლის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ ფერიდემ ექსცენტრიკულობისა და გაუცხოების ნიშნები გამოავლინა.

ფიზიკური გეოგრაფიისადმი ინტერესმა, რომელიც ფერიდეს არასოდეს განელებია, კიდევ ერთი ახალი ინტერესის გაღვივებას მისცა ბიძგი და ფერიდე გაიტაცა უბედური შემთხვევებისა და კატასტროფების თემამ. ყოველდღე კითხულობდა ტაბლოიდების მესამე გვერდს. ავტოსაგზაო შემთხვევები, სერიული მკვლელობები, ქარიშხლები, მიწისძვრები, ხანძრები და წყალდიდობები, გადამდები დაავადებები და უცნობი ვირუსები... ამ ყველაფერს ფერიდე ყურადღებით კითხულობდა. მისი შერჩევითი მეხსიერება ადგილობრივ, ნაციონალურ და ინტერნაციონალურ უბედურებებს მხოლოდ იმისთვის ისრუტავდა, რომ ეს ყველაფერი სხვებისათვის ყოვლად მოულოდნელად დაეტეხა თავს.

იმდენად, რამდენადაც დაბადებიდან ნებისმიერ ამბავში ტანჯვა-წამების დანახვის, ანდა ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მისი შეთხზვის მიდრეკილება ჰქონდა, ფერიდეს თვალის დახამხამებაში შეეძლო ნებისმიერი საუბრის ჩამწარება.

ყველაფრის მიუხედავად, მისი ახალი ამბები არავის აღელვებდა, რადგან დიდი ხნის წინ ეთქვათ უარი მისი ნათქვამის დაჯერებაზე. ოჯახს ფერიდეს სიგიჟესთან გასამკლავებლად ერთი გამოსავალი მოეძებნა, კერძოდ, შეშლილობას არადამაჯერებლობაში ურევდნენ.

თავიდან ფერიდეს სტრესით გამოწვეული წყლული დაუდგინეს. დიაგნოზს ოჯახში სერიოზულად არავინ აღიქვამდა, რადგან „სტრესი“ ერთგვარ პოპულარულ გამოთქმად ქცეულიყო. მას შემდეგ, რაც თურქულ კულტურაში შემოვიდა, „სტრესი“ სტამბოლელებმა ისეთი ხალისით მიიღეს, რომ ქალაქში ერთბაშად აღმოჩნდა სტრესით დაავადებუ-

ლი უთვალავი ადამიანი. ფერიდეს სტრესთან დაკავშირებული ხან ერთი დაავადება აწუხებდა, ხან მეორე. გაკვირვებული იყო, რამდენად ბევრი ავადმყოფობის გამოწვევა შეეძლო სტრესს, თუმცა, სინამდვილეში პრაქტიკულად ყველაფერს შეიძლება ჰქონდეს სტრესთან კავშირი.

წყლულის შემდეგ იყო ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, ფსიქოგენური ამნეზია და ფსიქოზური დეპრესია. როგორღაც თავის მოწამვლაც მოახერხა. მაშინ მას ტკბილ-მწარე კოშმარული სიზმრები დაუდგინეს. საკუთარი დაავადებების სახელწოდებებს შორის ეს ტერმინი ფერიდეს ყველაზე მეტად მოსწონდა.

სიგიჟის სამყაროში მოგზაურობის ყველა ეტაპზე ფერიდე თმის ფერსა და ვარცხნილობას იცვლიდა. ასე რომ, ცოტა ხანში ფერიდეს ფსიქოლოგიაში მიმდინარე ცვლილებებზე გამოდევნებულმა ექიმებმა თმის გრაფიკის წარმოება დაიწყეს. მოკლე, საშუალო სიგრძის, ძალიან გრძელი, ერთხელაც ძირში გადაპარსული - ზღარბივით აბურძგნილი, გასწორებული, აპრეხილი და დაწნული; ტონობით თმის სპრეით, გელით, ცვილით ან ვარცხნილობის დასაფიქსირებელი კრემით გაპოხილი - თმის სამაგრებით, თვლებით ან ბაფთებით დახუნძლული - პანკივით გაკრეჭილი - ბალერინასავით ერთ ნასკვად შეკრული - ყველა შესაძლო ფერით მელირებულ და შეღებილ თმაზე მორგებული თითოეული ვარცხნილობა დადგენილი და ფესვგადგმული დაავადების ერთი წარმავალი ეპიზოდი გახლდათ.

ხანგრძლივი, მაგრამ დროებითი „ღრმა დეპრესიული აშლილობა“ „სასაზღვრო მდგომარეობამ“ შეცვალა. ეს ტერმინი კაზანჯების ოჯახის წევრებს საკმაოდ განსხვავებულად ესმოდათ. დედას სიტყვა „სასაზღვრო“ ესმოდა როგორც პოლიციასთან, მებაჟეებსა და უკანონობასთან დაკავშირებული რაღაც პრობლემა. აქედან გამომდინარე, იგი ფერიდეში „საშიშ უცხოელ კრიმინალს“ ხედავდა. დედას კიდევ მეტი ეჭვი გაუჩნდა გიჟ ქალიშვილზე, რომელსაც ისედაც ყველაზე ნაკლებად ენდობოდა.

საოცრად განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ფერიდეს დებს. მათში „საზღვრის“ ცნება კიდეზე ფიქრებს აღძრავდა, ხოლო ფიქრები კიდის შესახებ დაუნდობელ ციცაბო ფერდობს ახსენებდნენ. კარგა ხნის განმავლობაში დები ფერიდეს განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ, თითქოს იგი მთვარეული ყოფილიყო, რომელიც რამდენიმე მეტრი სიმაღლის კედელზე დადიოდა და ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო.

დიდედას სიტყვა „სასაზღვრო“ გისოსებს აგონებდა და საკუთარ შვილიშვილს დიდი ინტერესითა და თანაგრძნობით აკვირდებოდა.

ბოლო დროს ფერიდე ახალ დიაგნოზზე გადაერთო. ამ უკანასკნელის წარმოთქმაც კი არავის შეეძლო, რომ არაფერი ვთქვათ მისი მნიშვნელობის გაგებაზე. ეს „ჰებეფრენიული შიზოფრენია“ იყო. მას შემდეგ, რაც ეს დიაგნოზიდაუსვეს, ფერიდე საკუთარი ნომენკლატურის ერთგული დარჩა. იფიქრებდით, კმაყოფილია, როგორც იქნა, მისთვის ესოდენ საჭირო გონების დაწმენდას მიაღწიაო. როგორიც უნდა ყოფილიყო დიაგნოზი, ფერიდე საკუთარი წარმოსახვითი სამყაროს წესებით ცხოვრობდა და ამ სამყაროს მიღმა ფეხი არასოდეს დაებიჯებინა.

ივლისის იმ პირველ პარასკევს ზელიჰას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია საყოველთაოდ ცნობილი სიძულვილისათვის, რომელსაც მისი და ექიმების მიმართ განიცდიდა. ჭამა დაიწყო. მიხვდა, რამდენად მშიერი იყო მთელი დღის განმავლობაში. თითქმის მექანიკურად მიირთვა ჩორეკის ნაჭერი, ერთი ჭიქა აირანი დაისხა, ჩანგლით კიდევ ერთი მწვანე ტოლმა გადმოიღო თეფშზე და ფარდა ახადა ახალ ამბავს, მასში რომ მწიფდებოდა:

- დღეს გინეკოლოგთან ვიყავი...

- გინეკოლოგთან! - უმალ გაიმეორა ფერიდემ, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული კომენტარი არ გაუკეთებია. გინეკოლოგები წარმოადგენდნენ ექიმების ჯგუფს, რომელთან ურთიერთობის ყველაზე ნაკლები გამოცდილება ჰქონდა.

- დღეს გინეკოლოგთან ვიყავი აბორტის გასაკეთებლად, - ზელიჰამ წინადადება ისე დაასრულა, რომ არავისთვის შეუხედავს.

ბანუს ქათმის ფრთა ხელიდან გაუვარდა. საკუთარ ფეხებს ისე მიაშტერდა, თითქოს მათ ამ საქმესთან რაიმე კავშირი ჰქონოდათ. ჯევრიემ ტუჩები მაგრად მოკუმა; ფერიდემ წამოიკივლა და უცნაურად ახარხარდა. დედა დაძაბულად ისრესდა შუბლს, საშინელი თავის ტკივილის მოახლოებას გრძნობდა; დიდედა... ჰო, შეიძლება იმიტომ, რომ ბოლო თვეებში ყურს საკმაოდ დააკლდა, ან იმიტომ, რომ ჭკუასუსტობის საწყისი სტადია ჰქონდა, დიდედა მაწვნის შეჭამანდის ჭამას განაგრძობდა. ან შეიძლება, სულაც თვლიდა, რომ სანერვიულო არაფერი იყო. რას გაიგებ?

- როგორ შეგეძლო საკუთარი ბავშვის მოკვლა? - იკითხა შეძრწუნებულმა ჯევრიემ.

- ბავშვი არ არის! - მხრები აიჩეჩა ზელიჰამ, - ამ ეტაპზე მე წვეთს უფრო დავარქმევდი. უფრო მეცნიერული იქნებოდა!

- მეცნიერული! შენ მეცნიერული კი არა, ცივსისხლიანი ხარ! - ცრემლები წასკდა ჯევრიეს, - ცივსისხლიანი! აი, ვინ ხარ შენ!

- მაშინ კარგი ამბავი მაქვს. არ მომიკლავს... ის გოგოა თუ რაღაც! - მშვიდად მიუბრუნდა ზელიჰა დას, - იმიტომ კი არა, რომ არ მინდოდა. მინდოდა! ვცადე, ეს წვეთი მომეშორებინა, მაგრამ როგორღაც არ გამოვიდა.

- რას გულისხმობ? - იკითხა ბანუმ. ზელიჰას თავი გაბედულად ეჭირა.

- ალაჰმა ნიშანი მომცა, - უღიმღამოდ თქვა ზელიჰამ. იცოდა, შეცდომა იქნებოდა, თუკი ასეთი ოჯახის წევრებს სხვანაირად ეტყოდა, - მოკლედ, ვწევარ ანესთეზიისგან გაშეშებული. აქეთ-იქით ექიმი და ექთანი დგანან. ოპერაცია რამდენიმე წუთში დაიწყება და ბავშვიც მომშორდება. სამუდამოდ! მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც საოპერაციო მაგიდაზე გონება უნდა დავკარგო, ახლომახლო მეჩეთიდან შუადღის ლოცვა მესმის... ხავერდის ნაჭერივით რბილი ლოცვა. მთელი ჩემი სხეული ამ ლოცვაში ეხვევა. შემდეგ, როგორც კი ლოცვა მთავრდება, ბუტბუტი მესმის, თითქოს ვიღაც ყურში ჩამჩურჩულებს: „ეს ბავშვი არ უნდა მოკლა!“

ჯევრიე შეკრთა, ფერიდემ ნერვიულად ჩაახველა ხელსახოცში, ბანუმ ყელში გაჩხერილი ბურთი გადაყლაპა, ხოლო გულსუმმა კოპი შეყარა. მხოლოდ დიდედა იყო გონებით სადღაც შორს. შეჭამანდი დაემთავრებინა და მორჩილად ელოდა მომდევნო კერძის მოტანას.

- შემდეგ... - ზელიჰამ ამბის მოყოლა განაგრძო, - ეს იდუმალი ხმა მიბრძანებს: „ოოო, ზელიჰა! ოოო, დამნაშავევ ღვთისმოსავი კაზანჯის გვარში! დაე, იცოცხლოს ამ ბავშვმა! შენ ჯერ არ იცი, მაგრამ ეს ბავშვი წინამძღოლი იქნება. ეს ახალშობილი მონარქი გახდება!“

- შეუძლებელია! - ჩაერია მასწავლებელი ჯევრიე, რომელიც საკუთარი ცოდნის გამოვლენის ერთ შემთხვევასაც კი არ უშვებდა ხელიდან, - მონარქები აღარ არსებობენ, ჩვენ თანამედროვე სახელმწიფო ვართ.

- „ო, შე ცოდვილო, ეს ბავშვი სხვებზე იბატონებს! - განაგრძო ზელიჰამ ისე, თითქოს შეგონება არც გაეგონოს, - მარტო ამ ქვეყანაში, მარტო ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში კი არა, მთელ მსოფლიოში ეცოდინებათ მისი სახელი. შენი ბავშვი გაუძღვება მასებს და კაცობრიობას მშვიდობასა და სამართლიანობას მოუტანს!“ - ზელიჰა შეჩერდა და ამოისუნთქა, - მოკლედ, როგორც არის, კარგი ამბავია ყველასთვის! ბავშვი ისევ ჩემთანაა! ცოტა ხანში მაგიდაზე კიდევ ერთი თეფშის დადება მოგვიწევს.

- ნაბიჭვარი! - აღმოხდა გულსუმს, - გინდა, ამ ოჯახში უკანონო ბავშვი შემოიყვანო? ნაბიჭვარი?!

ამ სიტყვას ისეთივე ეფექტი ჰქონდა, როგორიც დამდგარ წყალში ჩაგდებულ რიყის ქვას აქვს ხოლმე.

- გრცხვენოდეს! ყოველთვის არცხვენდი ამ ოჯახს, - გულსუმს ბრაზისაგან სახე დაეღრიცა, - შეხედე შენს გახვრეტილ ცხვირს... ამ მაკიაჟს, ამ საძაგელ მოკლე ქვედაკაბებს და ოჰ, ამ მაღალქუსლიანებს! აი, რა ხდება, როცა... ძუკნასავით იცვამ! დღედაღამ ალაჰს მადლობას უნდა სწირავდე, ამ ოჯახში კაცები რომ არ არიან, თორემ მოგკლავდნენ.

შეიძლება მკვლელობის ნაწილი სინამდვილეს შეესაბამებოდა, მაგრამ ოჯახში მამაკაცების არყოფნას რაც შეეხება, საქმე მთლად ასე

არ ყოფილა. ოჯახს მამაკაცები ჰყავდა, ოღონდ სადღაც. თუმცა, ისიც მართალი იყო, რომ კაზანჯების ოჯახში კაცების რაოდენობა გაცილებით ჩამოუვარდებოდა ქალებისას.

თითქოს ვიღაცას მთელი გვარი გაეთვალა, კაზანჯების ყველა თაობაში მამაკაცები ახალგაზრდა ასაკში მოულოდნელად იხოცებოდნენ. მაგალითად, დიდედას მეუღლე, რიზა სელიმ კაზანჯი, სამოცი წლისა იყო, როდესაც სრულიად მოულოდნელად უსულოდ დაეცა და ვეღარ ამოისუნთქა. შემდეგი თაობის წარმომადგენელი, ლევენთ კაზანჯი, მამისა და მამის მამის დარად გულის შეტევით იქამდე გარდაიცვალა, ვიდრე ორმოცდათერთმეტი წლისა შეიქნებოდა. ისე ჩანდა, თითქოს ოჯახში მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა თაობიდან თაობამდე სულ უფრო მცირდებოდა.

კაზანჯების ბაბუის ძმა რუს მეძავთან ერთად მხოლოდ იმისთვის გაქცეულიყო, რომ ამ უკანასკნელს მთელი მისი ფული მოეპარა, თავად კი სანქტ-პეტერბურგში ყინვას მოეკლა. კიდევ ერთმა ნათესავმა სამუდამო განსასვენებელი მას შემდეგ პოვა, რაც მეტისმეტად მთვრალი ავტობანზე გადასვლას ცდილობდა და მანქანამ დაარტყა. რამდენიმე ბიძაშვილი ჯერ კიდევ ოცი წლისა გარდაცვლილიყო. ერთ-ერთი სავსემთვარეობისას ნასვამი ცურავდა და მაშინ დაიხრჩო; მეორეს მისი გუნდის მიერ თასის მოპოვებით გახარებული ხულიგანის ნასროლი ტყვია მოხვდა მკერდში; კაზანჯების კიდევ ერთი ბიძაშვილი თვითმმართველობის მიერ ქუჩის სანიაღვრე სისტემის აღსადგენად გაჭრილ ექვსმეტრიან თხრილში ჩავარდნილიყო. ჰყავდათ კიდევ ერთი ბიძაშვილი, ზია, რომელსაც გაუგებარი მიზეზის გამო თავი მოეკლა.

თითქოს დაუწერელ წესს იცავდნენო, კაზანჯის გვარის ყველა მამაკაცი ახალგაზრდა გარდაცვლილიყო. დების თაობაში ყველაზე დიდი ასაკი, რომლისთვისაც რომელიმე მამაკაცს მიეღწია, ორმოცდაერთი წელი გახლდათ.

ბაბუას კიდევ ერთ ძმას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ სხვების მაგალითი არ გაემეორებინა. იგი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ჯანმრთელი ცხოვრების წესის დაცვის საკითხს და მკაცრად

იკავებდა თავს ზედმეტი ჭამის, მეძავებთან სექსის, ხულიგნებთან კონტაქტის, ალკოჰოლისა და სხვა სახის მათრობელა სასმელების მიღებისაგან, მაგრამ სამშენებლო მოედანზე ჩამოვარდნილმა ბეტონის ჩარჩომ მოიყოლა ქვეშ და გარდაიცვალა.

ჰყავდათ კიდევ ერთი შორეული ნათესავი, ჯევრიეს ერთადერთი სიყვარული და მეუღლე, ჯელალი, რომელიც ჩხუბის დროს მოკვდა. ჯერაც უცნობი მიზეზების გამო ჯელალს მექრთამეობის ბრალდებით ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ამ დროის განმავლობაში ჯელალის არსებობის შესახებ ოჯახს მხოლოდ ციხიდან იშვიათად გამოგზავნილი გაურკვეველი და უემოციო წერილები ამცნობდა. მისი მეუღლის გარდა, ჯელალის სიკვდილის ამბავი ყველასათვის არარსებული მესამე მკლავის დაკარგვას ჰგავდა. ის სიცოცხლეს ჩხუბისას გამოესალმა, მაგრამ დარტყმას კი არ მოუკლავს, მაღალი ძაბვის ელექტროსადენს დაადგა ფეხი სწორედ მაშინ, როდესაც ორი პატიმრის მუშტი-კრივზე თვალის სადევნებლად უკეთესი ადგილის მოძებნას ცდილობდა.

თავისი ცხოვრების სიყვარულის დაკარგვის შემდეგ ჯევრიემ სახლი გაყიდა და კაზანჯებთან გადავიდა. იუმორის გრძნობას მოკლებული ისტორიის ერთი სპარტანულად მოწესრიგებული და თავშეკავებული მასწავლებელი გახდა. სწორედ ისე, როგორც სკოლაში ებრძოდა პლაგიატს, ჯევრიემ სახლშიც საკუთარ თავზე აიღო იმპულსურობის, განხეთქილებისა და თვითნებობის წინააღმდეგ გალაშქრება.

კიდევ იყო ბანუს მეუღლე, გულჩვილი, კეთილი და იმავდროულად, მოკრძალებული საბაჰათინი. მიუხედავად იმისა, რომ საბაჰათინი კაზანჯების სისხლით ნათესავი არ ყოფილა, თან განსაკუთრებულად ჯანმრთელი და უშუალო მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ქაღალდზე ისევ ცოლ-ქმრად ითვლებოდნენ, თაფლობის თვიდან მცირე ხნის შემდეგ ბანუ დროის უფრო დიდ ნაწილს თავისი ოჯახის დიდ სახლში ატარებდა, ვიდრე ქმართან ერთად.

ფიზიკური დისტანცია მათ შორის იმდენად თვალში საცემი იყო, რომ როდესაც ბანუმ გამოაცხადა, მეუღლისაგან ტყუპ ბიჭს ველოდებიო, ყველა ხუმრობდა, ორსულობა ტექნიკურად შეუძლებელიაო. კა-

ზანჯის ოჯახის მამაკაცების ავი ბედისწერა ტყუპს ადრეულ ასაკში დაატყდა თავს. მას შემდეგ, რაც ახალფეხადგმული ბიჭები ბავშვთა დაავადებების გამო დაკარგა, ბანუ წლების განმავლობაში მუდმივად თავისიანებთან იყო და ქმრის სანახავად მხოლოდ დროდადრო მიდიოდა. საბაჰათინს მხოლოდ იმისთვის სტუმრობდა, რომ ენახა, კარგად იყო თუ არა. მისი ვიზიტები გულშემატკივარი უცხო ადამიანის ყურადღებას უფრო ჰგავდა, ვიდრე მოსიყვარულე მეუღლის საქციელს.

რა თქმა უნდა, იყო მუსტაფაც, ერთადერთი ვაჟი ამ თაობაში, ალაჰის მიერ ოთხ ქალიშვილთან ერთად ბოძებული ძვირფასი მარგალიტი. ლევენთ კაზანჯის უდიდესი სურვილი ჰქონდა, ბიჭი ჰყოლოდა, რომელიც მის გვარს ატარებდა. ამის გამო ოთხივე და ისე გაიზარდა, რომ თავს დაუპატიჟებელ სტუმრებად მიიჩნევდნენ.

პირველი სამი ბავშვი გოგონა იყო. მათ მშობლებს იმდენად მტკიცედ ჰქონდათ ბიჭიანობაზე გეზი აღებული, რომ ბანუც, ჯევრიეც და ფერიდეც თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს ნამდვილი მოვლენის შესავალი, თავიანთი მშობლების სქესობრივი ცხოვრების შემთხვევითი პრელუდია ყოფილიყვნენ.

მეხუთე შვილმა, ანუ ზელიჰამ, იცოდა, რომ ბედისწერის მორიგი გულმოწყალების იმედად ჩასახეს. მას შემდეგ, რაც, ბოლოს და ბოლოს, ბიჭიშეეძინათ, დედ-მამას უნდოდა გაეგო, რამდენად იღბლიანები იყვნენ საიმისოდ, რომ კიდევ ერთი ბიჭი მისცემოდათ.

მუსტაფა დაბადებიდან გამორჩეული იყო. რა აღარ გააკეთეს იმისათვის, რომ ვაჟიშვილი ოჯახის გვარტომობის ნუსხაში მყოფი ყველა მამაკაცისათვის საერთო დაუნდობელი ბედისწერისაგან ეხსნათ. ჩვილი ბიჭუნა ავი თვალისაგან დამცავ კრიალოსნებსა და ავგაროზებში იყო ჩაფლული. როცა სიარულს სწავლობდა, თვალს არ აშორებდნენ. სიკვდილის ანგელოზის, აზრაილისათვის, თვალის ასახვევად რვა წლამდე გოგოსავით გრძელი თმით დაატარებდნენ. როდესაც ვინმეს ბავშვისთვის უნდოდა მიემართა, „გოგოს“ ეძახდნენ: „გოგო, მოდი აქ!“

მიუხედავად იმისა, რომ კარგი მოსწავლე იყო, საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში მუსტაფას ცხოვრება იმან დაანგრია, რომ ადამია-

ნებთან ურთიერთობა არ შეეძლო. სახლში მეფობას ჩვეულ მუსტაფას არ უნდოდა ერთ-ერთი ყოფილიყო საკლასო ოთახში შეკრებილ ბევრ ბავშვს შორის. როცა დრო გავიდა და გულსუმმა მუსტაფასა და მისი მეგობრებისათვის სკოლის დამთავრების აღსანიშნავად წვეულების მოწყობა გადაწყვიტა, ბიჭი იმდენად არაპოპულარული გახლდათ, რომ დასაპატიჟებელი არავინ აღმოჩნდა.

ყოველი დაბადების დღე ავის მომასწავებლად აახლოებდა მუსტაფას კაზანჯის ოჯახის მამაკაცებისათვის საერთო ბედისწერასთან. გარკვეული დროის შემდეგ იფიქრეს, კარგი იქნება, თუ ბიჭს საზღვარგარეთ გავგზავნითო, ბიჭს, რომელიც ასეთი უკარება იყო სახლს გარეთ, შინ კი ასე უპირობოდ, მეფესავით ანებივრებდნენ...

ფულის გამო დიდედას ძვირფასეულობა ერთ თვეში გაიყიდა და კაზანჯების ოჯახის თვრამეტი წლის ვაჟიშვილი სტამბოლიდან არიზონაში გაემგზავრა. იქ აგროტექნიკისა და ბიოსისტემების ინჟინერიის შესწავლა დაიწყო იმ იმედით, რომ სიბერემდე არაფერი ემუქრებოდა.

აქედან გამომდინარე, როდესაც ივლისის იმ პირველ პარასკევს გულსუმი ზელიჰას ლანძღავდა და ეუბნებოდა, მადლობელი უნდა იყო, რომ ოჯახში კაცები არა გვყავსო, მის სიტყვებში მართლაც იყო სიმართლის ნატამალი. იმის მაგივრად, რამე ეთქვა, ზელიჰა ოჯახში ერთადერთი მამრის, მოვერცხლისფრო ჭრელი კატის მოსაძებნად და დასაპურებლად სამზარეულოში გავიდა. კატა გაუმაძღარი ვინმე ბრძანდებოდა, უჩვეულოდ უყვარდა წყალი და მრავლად აღენიშნებოდა სოციალური სტრესის სიმპტომები, რომლებიც ყველაზე უკეთ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: დამოუკიდებელი, ყველაზე უარეს შემთხვევაში კი, ნერვიული. სახელად ფაშა მესამე ერქვა.

კაზანჯების დიდ სახლში კატების თაობები ერთმანეთს ისევე ცვლიდნენ, როგორც ადამიანები. ყველა მათგანი უყვარდათ და ადამიანებისაგან განსხვავებით, უკლებლივ ყველა სიბერემ მოკლა.

კაზანჯების სახლში, სადაც თითოეულ კატას თავისი გამორჩეული ხასიათი ჰქონდა, კატისებრთა ოჯახის ორი საგვარეულოს ერთმანეთის კონკურენტი გენი ჩქეფდა. ერთი მხრივ, ეს გახლდათ „წარჩინებული“

გენები გრძელბეწვიანი, ბრტყელცხვირა, თოვლივით თეთრი სპარსული კატისა, რომელიც დიდედამ მოიყვანა 20-იანი წლების ბოლოს, როდესაც პატარძალი იყო (კატა, ალბათ, მისი მოკრძალებული მზითევიაო, დასცინოდა ბებიას მეზობლის ქალი); მეორე მხრივ იყო ამოუცნობი, მაგრამ აშკარად მოწითურო-მოყავისფრო მაწანწალა კატის „ქუჩის“ გენები, რომელთან შეჯვარებაც სპარსულ კატას ერთ-ერთი გაქცევისას მოეხერხებინა.

თაობიდან თაობაში, თითქოს ერთმანეთს ენაცვლებიანო, კაზანჯების ჭერქვეშ დაბადებული კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლებში, ხან ერთი კატის გენეტიკური თავისებურებები იჩენდა თავს, ხან მეორის. კაზანჯებს მალე მოჰბეზრდათ ახალ-ახალ სახელებზე ფიქრი და გადაწყვიტეს, კატისებრთა გენეალოგიურ ხეს მიჰყოლოდნენ. თუ კნუტი არისტოკრატიული ხაზის ჩამომავალს ჰგავდა, თეთრი, ბომბორა და ბრტყელცხვირა იყო, მას თანამიმდევრულად ფაშა პირველს, ფაშა მეორეს, ფაშა მესამეს... დაარქმევდნენ. თუ კნუტს ქუჩის კატის საგვარეულო ნიშნები ეტყობოდა, მაშინ სულთანს, უფრო აღმატებულ სახელს დაარქმევდნენ, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ქუჩის კატები საკუთარი თავის ბატონ-პატრონი თავისუფალი სულები გახლდნენ და პირფერობა არავისთან სჭირდებოდათ.

ბოლო დრომდე კაზანჯების სახლის ჭერქვეშ იგრძნობოდა ნომინალური განსხვავება, რომელიც, გამონაკლისის გარეშე, ყველა კატის ხასიათის თავისებურებებს შორის იყო. ისინი, რომლებსაც დიდგვაროვანი წარმომავლობა ეტყობოდათ, გულგრილები, ბეჩავები და მშვიდები იყვნენ. როცა კი ვინმე ხელს გადაუსვამდა, გაუთავებლად ილოკებოდნენ ადამიანთან შეხების ყველანაირი კვალის წასაშლელად. მეორე ჯგუფის კატები უფრო ცნობისმოყვარეები და ენერგიულები გახლდნენ. მათ ფუფუნების ისეთი უჩვეულო საგნები ანიჭებდა სიამოვნებას, როგორიც შოკოლადი იყო.

ფაშა მესამე საკუთარი გვარ-ტომის ნიშან-თვისებების ტიპურ განსახიერებას წარმოადგენდა. ყოველთვის გაბღენძილად და რიტმულად დასეირნობდა. იფიქრებდით, დამსხვრეულ მინაზე ფეხის წვერებზე და-

დისო. ფაშა მესამეს ორი რამის კეთება უყვარდა: მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა საამისო მიზეზი, სულ ცდილობდა, ელექტროზონრები გადაეღრღნა და ჩიტებისა და პეპლებისათვის ეთვალთვალა. მეტისმეტად ზარმაცი იყო იმისათვის, რომ ამ უკანასკნელებს დადევნებოდა. შეიძლებოდა, პეპლებისა და ფრინველების ყურება მოჰბეზრებოდა, მაგრამ ზონრების ღრღნა -არასოდეს. სახლში თითქმის ყველა ელექტროზონარი დაეღეჭა, დაეკაწრა, კბილებით დაეჭეჭყა და გაეფუჭებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროშოკი ბევრჯერ მიეღო, ფაშა მესამეს პატივსაცემ ასაკამდე მიეღწია.

- კარგი, ფაშა, კარგი ბიჭი!

ზელიჰამ კატას მისი საყვარელი ფეტას ნატეხები აჭამა. მერე წინსაფარი გაიკეთა და ქვაბების, ტაფებისა და თეფშების გროვას შეუტია. როდესაც სინების რეცხვა მოათავა და დამშვიდდა, ისევ სასადილო მაგიდისკენ წაფრატუნდა. აქ ისევ ისმოდა სიტყვა „ნაბიჭვარი“ და დედამისიც ისევ იბღვირებოდა.

ყველა უძრავად იჯდა იქამდე, ვიდრე ერთ-ერთ მათგანს დესერტი არ გაახსენდა. როცა ჯევრიემ უზარმაზარი ქვაბიდან ციცქნა ფიალებში ბრინჯის პუდინგი ჩამოასხა, ოთახი ტკბილი, ნაზი სურნელით გაიჟღინთა. გაამზადებდა თუ არა ჯევრიე გამოცდილი ადამიანისათვის დამახასიათებელი ძალდაუტანებლობით პუდინგის პატარ-პატარა ულუფას, ფერიდე დაფხვნილ ქოქოსს აყრიდა ზემოდან.

- დარიჩინით გაცილებით უკეთესი იქნებოდა, - დაიწუწუნა ბანუმ, - დარიჩინის ყიდვა არ უნდა დაგვიწყებოდა.

ზელიჰა უკან გადაიწია, ცხვირი ზემოთ ასწია და ჰაერი ისე შეისუნთქა, თითქოს უხილავ სიგარეტს არტყამდა ნაფაზს. დაღლილობა სუნთქვასთან ერთად ნელ-ნელა ამოუშვა და იგრძნო, როგორ განელდა მისი ქამელეონივით ცვალებადი ინდიფერენტულობა.

ყველაფრის გამო, რაც იმ ჯოჯოხეთურ და დაუსრულებელ დღეს მომხდარიყო, გუნება გაუფუჭდა. სასადილო მაგიდას თვალი გადაავლო, ქოქოსის ფანტელებით დაფარული ბრინჯის პუდინგის ფიალები დაინახა და კიდევ მეტად შეაწუხა დანაშაულის გრძნობამ. მერე კი ისე,

რომ მაგიდისთვის თვალი არ მოუშორებია, ისეთი სასიამოვნო და ნაზი ხმით თქვა, იფიქრებდით, სხვა ადამიანი ლაპარაკობსო:

- ვწუხვარ... ძალიან ვწუხვარ.

2

ათურქული ბარდა

„სუპერმარკეტი დათრგუნვილი და გაოგნებული, თუ რაღაც ამდაგვარი, ადამიანებისათვის გამზადებული ხაფანგით სავსე სახიფათო ადგილია“, - ფიქრობდა როუზი, როდესაც სათადარიგო საფენების სტელაჟებისკენ დაიძრა. ამჯერად გადაწყვეტილი ჰქონდა, არაფერი ეყიდა იმის გარდა, რაც მართლაც სჭირდებოდა. ესეც რომ არა, წვრილმანებზე მოცდენის დრო არ იყო. თავისი პატარა გოგონა ავტოსადგომზე მანქანაში დაეტოვებინა და ვერ ისვენებდა. ზოგჯერ ისეთ რაღაცას აკეთებდა, რაც უმალ სანანებელი უხდებოდა, მაგრამ აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო. სიმართლე თუ გინდათ, ბოლო რამდენიმე თვის, უფრო ზუსტად კი, სამ-ნახევარი თვის განმავლობაში, ასეთი შემთხვევები ხშირი იყო. წინააღმდეგობაში, ბრძოლაში, ტირილში, უთანხმოებასა და ხვეწნა-მუდარაში გატარებული ჯოჯოხეთური სამ-ნახევარი თვის თავზე, როგორც იქნა, დადგა მისი ქორწინების დასასრული.

შეიძლება ქორწინება დროებითი ახირებაა და ადამიანს მხოლოდ ჰგონია, რომ ეს ყველაფერი სამუდამოდ გაგრძელდება, მაგრამ ამ იუმორის გაგება შედარებით ძნელია, როდესაც ურთიერთობაში წერტილს შენ კი არა, სხვა სვამს.ვარაუდს, რომ ქორწინება იქამდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე სამუდამოდ არ წახდება, ადამიანები შეცდომაში შეჰყავს. იქამდე აქვთ იმედი, ვიდრე არ მიხვდებიან, რომ საუკეთესო მომავლის იმედით კი არ ცხოვრობენ, არამედ იმისთვის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ტანჯვას ბოლო მოეღება და ცოლიცა და ქმარიც თავ-თავიანთ გზას ეწევიან.

საკუთარი გზის მოძებნა სწორედ ის გახლდათ, რის გაკეთებასაც როუზი მომავალში აპირებდა. თუ ეს ყველაფერი ტანჯვა-წამების ერთგვარი გვირაბი იყო, რომელშიც გაძრომას უფალი აიძულებდა, იქიდან გამოსულს არაფერი ექნებოდა საერთო სუსტ ქალთან, ოდესღაც თავად რომ იყო.

საკუთარი ნების სიმტკიცის დასტურად როუზმა თავს ძალა დაატანა და ჩახითხითება სცადა, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოუვიდა. გაცინების ნაცვლად ამოიოხრა. იმაზე შეჭირვებული ოხვრა ამოუშვა, ვიდრე ჩაფიქრებული ჰქონდა. საქმე ის იყო, რომ ტკბილეულისა და შოკოლადის ფილების რიგთან მისულიყო. ჯობდა, იქ სულ არ დაედგა ფეხი. მოუსვა, მაგრამ, როდესაც კარბ უოტჩერის გურმანებისათვის განკუთვნილი უშაქრო, ვანილისა და ნაღების მწარე შოკოლადს ჩაუარა, ერთბაშად შედგა. ერთი, ორი... ხუთი ფილა აიღო. ნახშირწყლებს კი არ დაგიდევდათ, უბრალოდ ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაახრამუნებდა, უფრო ზუსტად, მოსწონდა, რომ რაღაც სხვა საზრუნავიც შეიძლებოდა ჰქონოდა. მას შემდეგ, რაც არაერთხელ უსაყვედურეს, ფეთხუმი დიასახლისი და საშინელი დედა ხარო, როუზი ნებისმიერი შესაძლო გზით საპირისპიროს დამტკიცების სურვილმა შეიპყრო.

ურიკა თვალის დახამხამებაში მოაბრუნა, მაგრამ მაღალკალორიული, არაჯანსაღი საკვებით სავსე ტალანში ამოყო თავი. სად ჯანდაბაში იყო ბავშვის საფენები? დაბრაწული, ქოქოსიანი ზეფირების გროვას მოჰკრა თვალი. უკან მოხედვაც ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა საზიდარში ზეფირების ერთი, ორი... ექვსი შეკვრა. არა, როუზ, არა... შუადღეზე მთელი კილოგრამი ჩერი გარსიას ნაყინი გადასანსლე... წონაში უკვე ისე მოიმატე... ეს რომ შინაგანი ხმა ყოფილიყო, ასე ხმამაღლა არ მოუვიდოდა. მიუხედავად ამისა, შეგონებამ სადღაც როუზის ქვეცნობიერში დანაშაულის ერთი ღილაკი გააააქტიურა და ქალს საკუთარი თავი თვალწინ წარმოუდგა.

წამის განმავლობაში იდგა და უმზერდა წარმოსახვით სარკეში საკუთარ გამოსახულებას, თუმცა, ძალიან მოხერხებულად აერიდებინა თავი სარკისათვის, ეკოლოგიურად სუფთა ქორფა სალათის ფურცლების მიღმა რომ იყო. გულის ფანცქალით შესცქეროდა გადიდებულ თეძოებსა და დუნდულებს, მაგრამ მაღალ ყვრიმალებს, ოქროსფერ ქერა თმას, ლურჯ დანისლულ თვალებსა და შესანიშნავ ყურებს მაინც გაუღიმა! ყური ხომ ადამიანის სხეულის ესოდენ სანდო ნაწილი გახ-

ლდათ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენს მოიმატებდით, ყოველთვის ერთგული ყურები ზუსტად ისეთი იქნებოდა, როგორიც იყო.

სამწუხაროდ, იმავეს ვერ იტყოდი სხეულის დანარჩენ ნაწილებზე. როუზის გარეგნობას ყველაფერი ეთქმოდა, სანდოს გარდა. მისი სხეული იმდენად ცვალებადი იყო, რომ ჟურნალ „ჯანმრთელი სიცოცხლის“ მიერ ქალი მკითხველებისათვის დადგენილი სხეულის ტიპებიდან თავადაც ვერც ერთს ვერ ირგებდა. მაგალითად, „მსხლისებრთა“ ჯგუფში რომ ყოფილიყო, თეძოები მხრებზე ფართო ექნებოდა; „ვაშლისებრი“ რომ ყოფილიყო, მუცელსა და მკერდზე მომატებისაკენ იქნებოდა მიდრეკილი. რაკი მსხლებსაც ჰგავდა და ვაშლებსაც, როუზმა ზუსტად არ იცოდა, რომელ კატეგორიას ერგებოდა, გარდა „მანგოსებრთა“ ჯგუფისა, რომელსაც ჟურნალში არ ახსენებდნენ. ეს იყო მთლიანად მსუქნების და ქვედა ნაწილში კიდევ უფრო მსუქნების კატეგორია. „რა ჯანდაბაა“, - ფიქრობდა გულში როუზი. ზედმეტ კილოგრამებს უთუოდ დაიკლებდა. ახლა, როცა განქორწინების ჯოჯოხეთური ჟამი გასულიყო, ახალ ქალად აპირებდა გადაქცევას. „ნამდვილად“, - ფიქრობდა როუზი. „ნამდვილად“ იყო სიტყვა, რომელსაც როუზი ისე ხმარობდა, როგორც სიტყვას „დიახ“, „არას“ ნაცვლად კი „ნამდვილად არაო“ ამბობდა.

ახლო მომავალში ყოფილი ქმრისა და მისი დიდი, მრავალთაობიანი ოჯახის ახალი ქალით გაკვირვებაზე ფიქრით გამხნევებულმა როუზმა თვალი გადაავლო სივრცეს, თაროებს შორის რომ იყო. ხელები ტკბილეულისა დაირისებისაკენ წაიღო - ტკბილი და უშაქრო ირისი, ხილის ტკაცუნა რბილი კანფეტები, ძირტკბილას ნაწნავები - როგორც კი მათ ურიკაშიჩაუძახა, ისე აჩქარდა, თითქოს უკან ვიღაც მისდევდა.

როგორც ჩანს, მსუნაგობას დანებებულ როუზში სინდისმა გაიღვიძა - წუთიც და, ახალგაზრდა ქალი ღრმა სინანულს ერკინებოდა. როგორ დატოვა თავისი გოგონა მანქანაში სრულიად მარტო? კვოაზე ყოველდღე გადმოსცემდნენ, როგორ მოიტაცეს მისივე სახლის წინ ახალფეხადგმული გოგონა, ანდა როგორ დასდეს რომელიღაც დედას ბრალი წინდაუხედაობით საფრთხის შექმნაში... გასულ კვირას ერთმა ტუსო-

ნელმა ქალმა საკუთარი სახლი ცეცხლს მისცა და კინაღამ მოკლა ორი შვილი, რომლებსაც ამ დროს შინ ეძინათ. ოდესმე ასეთი რამ მას რომ დამართვოდა, ფიქრობდა როუზი, დედამთილი გულით გაიხარებდა. ყოვლისშემძლე მატრიარქი შუშანა იმწუთას აღძრავდა საქმეს შვილიშვილზე მეურვეობის მოსაპოვებლად.

ფიქრობდა როუზი ასეთ საშინელ ამბებზე და კანკალს ვერაფერს უხერხებდა. მართალია, ბოლო დროს ოჯახს, ცოტა არ იყოს, ნაკლებ დროს უთმობდა და ჩვეულებრივი რამეები ავიწყდებოდა, მაგრამ ვერავინ, ვერც ერთი ჭკუათმყოფელი სულიერი ვერ წაუყენებდა დასაბუთებულ ბრალდებას, ცუდი დედა ხარო. ნამდვილად არა! უნდოდა, ეს ყოფილი ქმრისა და მისი უზარმაზარი ოჯახისათვის დაემტკიცებინა.

მისი მეუღლის ოჯახი სხვა ქვეყნიდან იყო. იქაურები ატარებდნენ გვარებს, რომელთაც როუზი სწორად ვერ წერდა, და საიდუმლოებებს, რომელთა ამოხსნაც მას არ შეეძლო. იქ თავს ყოველთვის უცხოდ გრძნობდა, ყოველთვის იცოდა, რომ ოდარი იყო. ეს აბეზარი სიტყვა მას პირველივე დღეს მიაწებეს.

რა საშინელება იყო იმ ადამიანის გონებითა და გრძნობით ერთგულება, რომელსაც ფიზიკურად დაშორებოდა. როცა ქორწინების ერთი წლისა და რვა თვის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა, როუზს მხოლოდ წყენა და ბავშვი შერჩა.

- სულ ეს დამრჩა... - ჩაიბუტბუტა როუზმა. საკუთარ თავთან ლაპარაკი ქორწინების შემდგომი ქრონიკული გულისწყრომის მართლაც ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენა იყო. როგორი უსასრულოც უნდა ყოფილიყო დიალოგი, სიტყვები არასოდეს გელეოდათ. ბოლო კვირების განმავლობაში როუზი წარმოსახვაში ხშირად ეკამათებოდა ჩახმახჩიანების ოჯახის თითოეულ წევრს, შეუპოვრად იცავდა თავს, ყოველთვის იმარჯვებდა, სხაპასხუპით ამბობდა ყველაფერს, რისი თქმაც გაყრისას არ გამოუვიდა და იმ დროიდან მოყოლებული საწუწუნოდ ჰქონდა.

აი, ისინიც! ულატექსო სუპერშემწოვი ბავშვის საფენები. ის იყო, საფენებს ურიკაზე დებდა, საშუალო ასაკის თმაშევერცხლილი, თხისწვე-

რა მამაკაცი შენიშნა. კაცი უღიმოდა. სინამდვილეში, როუზს მოსწონდა, როდესაც ვინმე მის მიერ გამოვლენილ დედობრივ გრძნობებს ყურადღებას აქცევდა. ახლა, როდესაც მაყურებელი გაუჩნდა, თავს ვერაფერი მოუხერხა და გაიკრიჭა.

საბედნიეროდ, მისწვდა ოდნავ არომატიზებულ სველ ხელსახოცებს ე ვიტამინითა და ალოე-ვერათი. მადლობა ღმერთს, რომ ადამიანები დედობრივ სიყვარულს უფასებდნენ. მეტი აღიარების სურვილით შთაგონებული როუზი საბავშვო პროდუქციის სტელაჟებს შორის გასასვლელში წინ და უკან დადიოდა. ყოველ გავლა-გამოვლაზე ისეთ რაღაცას პოულობდა, მანამდე ყიდვას რომ არ აპირებდა, მაგრამ ახლა ის ვერ გაეგო, რატომ არ უნდა შეეძინა. სამი ბოთლი ლოსიონი საფენებისაგან გაღიზიანებული კანისათვის, ბავშვის უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი აბაზანის იხვი, რომელიც იმ შემთხვევაში თბებოდა, როდესაც აბაზანაში წყალი ზედმეტად ცხელი იყო, ექვსი წყვილი პლასტმასის მისაკრავი, ამის კარში თითები რომ არ მოჰყოლოდა, „მაიმუნი მაქსის“ მანქანის სანაგვე და საღეჭი კბილების ამოსაყვანი წყლით სავსე გასაყინი რგოლი ურიკაში ჩადო. ვის შეეძლო მისთვის უპასუხისმგებლო დედა ეწოდებინა? როგორ შეეძლოთ, ესაყვედურებინათ, წარბსაც არ შეატოკებს, ბავშვს თუ რამე სჭირდებაო? რა, კოლეჯში სწავლას თავი არ დაანება, როცა ბავშვი დაიბადა? არ ცდილობდა ქორწინების შენარჩუნებას?

დროდადრო როუზი წარმოიდგენდა ხოლმე, რომ მისი ძვირფასი პერსონა ისევ დადიოდა კოლეჯში, ისევ ქალიშვილი იყო და, რა თქმა უნდა, ისევ ტანწერწეტა გახლდათ. ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტის კაფეტერიაში სამუშაო მოეძებნა. შეიძლება ამით მის პირველ ოცნებას რამე ეშველებოდა, მაგრამ დანარჩენი ორის შემთხვევაში არაფერი გამოვიდოდა.

მომდევნო ტალანში რომ შეაბიჯა, სახე მოეღრიცა. სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო. ნერვიულად გააპარა თვალი ბადრიჯნის სოუსის ქილებისა და დამწნილებული ვაზის ფოთლის თუნუქელებისკენ. არავითარი ბადრიჯანი! არავითარი ტოლმა! არავითარი უცნაური ეროვნუ-

ლი საჭმელი! საშინელი ყაურმის წარმოდგენაზეც კი კუჭი აუწრიალდა. ამიერიდან მოამზადებდა ყველაფერს, რაც თავად სურდა. როუზს თავისი ქალიშვილისათვის ნამდვილი კენტუკური კერძების მომზადება შეეძლო! უსაშველოდ გაიწელა წუთი, როდესაც როუზი იდგა და გონებაში უნაკლო სადილის მოქექვას ცდილობდა. სახე გაუნათდა, როდესაც ჰამბურგერებზე ფიქრობდა. ნამდვილად! თავი დაირწმუნა როუზმა. უფრო მეტიც, ტაფამწვარი და ნეკერჩხლის სიროფში ჩაბუჟბუჟებული ბლინები, ნივრიანი ჰოთ-დოგები და ცხვრის ხორცის ბარბექიუ, დიახ, განსაკუთრებით ცხვრის ბარბექიუ... ხოლო იმ ტყამპალა იოგურტის მაგივრად, ყველა ჭამაზე რომ ხედავდა და ყელში ჰქონდა ამოსული, ვაშლის სიდრს დალევდნენ! ამიერიდან ყოველდღიურ მენიუსსამხრეთული სამზარეულოდან შეარჩევდა, ცხარე, არომატული წიწაკა ან შებოლილი ბეკონი... ან... თურქული ბარდა.

ამ კერძებს სუფრასთან ისე მიიტანდა, რომ არც კი დაიწუწუნებდა. როუზს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მამაკაცი სჭირდებოდა, რომელიც დღისბოლოს მის წინ იჯდებოდა და მართლა ეყვარებოდა როუზიც და მისი ნათითხნიც. ეს ნამდვილად ის იყო, რაც როუზს სჭირდებოდა: ეთნიკური ტვირთისაგან თავისუფალი საყვარელი, რომლის გარშემო თავმოყრილ ადამიანებს არც ძნელად წარმოსათქმელი სახელები ექნებოდათ და არც ძალიან ბევრნი იქნებოდნენ. უბრალოდ, სჭირდებოდა ახალი შეყვარებული, რომელსაც თურქული ბარდის გემო ეცოდინებოდა.

იყო დრო, როცა როუზსა და ბარსამს ერთმანეთი უყვარდათ - დრო, როდესაც ბარსამი ვერც კი ამჩნევდა და, რა თქმა უნდა, არად დაგიდევდათ, როგორ საჭმელს დაუდებდა როუზი, რადგან სიყვარულში ჩაძირული მამაკაცის მზერა თავად როუზზე იყო მიჯაჭვული.

ასეთი ვნებიანი მომენტების გახსენებაზე როუზს ლოყები შეეფაკლა, მაგრამ იმწუთასვე დაღონდა. ერთი ფრაზა გაახსენდა. ვაგლახ, ბარსამის საშინელი ოჯახი თვალის დახამხამებაში გამოჩნდა სცენაზე, თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ იქაურობას სამუდამოდ დაჰპატრონებოდა. მას შემდეგ ცოლ-ქმრის სიყვარულიც გაცვდა.

როუზის აზრით, ჩახმახჩიანების ხროვას მათ ქორწინებაში არწივისებური ცხვირები რომ არ ჩაეყო, მეუღლე ისევ გვერდით ეყოლებოდა.

- გამუდმებით რატომ ყოფთ ცხვირს ჩვენს საქმეში? - ჰკითხა როუზმა შუშანას, რომელიც მის წარმოსახვაში ახლა სავარძელში იჯდა, შვილიშვილისთვის კიდევ ერთ საბანს ქსოვდა და ნაქსოვის თვლებს ითვლიდა.

დედამთილს პასუხი არ გაუცია. იმედგაცრუებულმა როუზმა კითხვა გაუმეორა. ეს უდავოდ ქორწინების შემდგომი ქრონიკული გულისწყრომის მეორე ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენა გახლდათ. გარდა იმისა, რომ საკუთარ თავთან იწყებდით ლაპარაკს, სიჯიუტეც დაგჩემდებოდათ. კრიზისულ მდგომარეობასთან სახიფათოდ ახლოსაც რომ ყოფილიყავით, არასოდეს მოიდრეკდით ქედს.

ვიდრე საბაყლოს თაროებზე ბაბა განუშს მიშტერებოდა, როუზმა იგივე კითხვა მეუღლის სამ დასაც დაუსვა ერთმანეთის მიყოლებით - მამიდა სურპუნს, მამიდა ზარუჰსა და მამიდა ვარსენიგს:

- ერთხელ მაინც რატომ არ დაგვანებებთ თავს?

როუზი ეროვნული კერძების სექციიდან გამოვიდა, სწრაფად შემობრუნდა ას ოთხმოცი გრადუსით და მომდევნო ტალანში შეუხვია. ბრაზითა და სევდით შთაგონებულმა კონსერვირებული საკვებისა და ლობიოს სტელაჟებს შორის დერეფანი ერთი თავიდან მეორემდე გაიარა და კინაღამ შეასკდა ახალგაზრდას, იქვე რომ იდგა. მამაკაცი თაროს ათვალიერებდა, რომელზეც თურქული ბარდის სხვადასხვა სახეობა ჩაემწკრივებინათ.

„წამის წინ ეს ბიჭი აქ ნამდვილად არ იყო!“ - ფიქრობდა როუზი, თითქოს უცნობმა ხორცი შეისხა, თითქოს ციდან ჩამოვარდაო.

მამაკაცს თეთრი კანი, მოხდენილი ტანი და მუქი თაფლისფერი თვალები ჰქონდა. წაწვეტებული ცხვირი ყურადღებიანი და ბეჯითი ადამიანის შესახედაობას აძლევდა. შავი თმა მოკლედ შეეკრიჭა. როუზი ფიქრობდა, რომ მანამდე სადღაც ენახა, მაგრამ ვერ იხსენებდა, სად.

- კარგია, არა? - იკითხა როუზმა, - სამწუხაროდ, ყველას არ ჰყოფნის ჭკუა იმისთვის, რომ მისი გემო იცოდეს...

ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ფიქრში ხელი შეუშალეს, შეკრთა, საიდანღაც მოსული სახეღაჟღაჟა, პუტკუნა ქალისკენ შეტრიალდა და გაწითლდა. ორივეს ხელში კონსერვირებული თურქული ბარდის თითო-თითო ქილა ეჭირა. მოულოდნელობისაგან მამაკაცური სიფრთხილის გამოჩენა გაუჭირდა.

- მაპატიეთ... - თქვა უცნობმა და თავი მარჯვნივ გადასწია. როუზმა მისი ნერვული ტიკი სიმორცხვით ახსნა.

მიტევების ნიშნად როუზმა მამაკაცს გაუღიმა, სახეში თავხედურად მიაჩერდა და ამით კიდევ უფრო გაანერვიულა. თავაზიანი ბაჭიის გამომეტყველების გარდა, რომელიც ახლა ჰქონდა მის სახეს, დედაბუნებას როუზისათვის კიდევ სამი ცხოველის გამომეტყველება ებოძებინა. საპირისპირო სქესთან ყველანაირი ურთიერთობისას როუზი ამ გამომეტყველებებს რიგრიგობით იყენებდა, - ერთგული ძაღლის თვალებით მაშინ იხედებოდა, როცა სრული საიმედოობის გამოხატვა სურდა; კატასავით ეშმაკური გამომეტყველება მამაკაცების საცდუნებლად სჭირდებოდა, ხოლო როცა აკრიტიკებდნენ, მოჩხუბარ კოიოტს ემსგავსებოდა.

- ო, მე თქვენ გიცნობთ! - სრულიად მოულოდნელად როუზი ერთიანად გაიბადრა. საკუთარი მეხსიერებით კმაყოფილი იყო, - ტვინს ვიჭყლეტდი, ნეტავ სად მინახავს-მეთქი. ახლა კი ვიცი! სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ქათმის კასადილიები მოგწონთ!

ახალგაზრდა კაცმა სტელაჟებს თვალი ააყოლა, თითქოს გაქცევას ფიქრობდა, მაგრამ ვერ გაეგო, საით.

- „კაქტუს-გრილში“ ნახევარ განაკვეთზე ვმუშაობ. გახსოვთ დიდი რესტორანი სტუდენტური კავშირის მეორე სართულზე? - როუზი გველის ტყავში გაძვრა იმისათვის, რომ უცნობი მიეხვედრებინა, - ჩვეულებრივ, ცხელი კერძების დახლის უკან ვდგავარ - ერბოკვერცხი და კასადილიები, ხომ იცით? რა თქმა უნდა, ნახევარი განაკვეთია; ბევრი არაფერია, მაგრამ რა გინდა,რომ ქნა? დროებითია. მართალი გითხრათ, დაწყებითი სკოლის მასწავლებელი მინდა გავხდე.

ახალგაზრდა კაცი გაშტერებული აკვირდებოდა როუზს, თითქოს სამომავლოდ მისი სახის ყველა დეტალის დამახსოვრებას ცდილობდა.

- ყოველ შემთხვევაში, იქ მეყოლებით ნანახი, - დაასკვნა როუზმა, მერე თვალები მოჭუტა, ქვედა ტუჩი დაისველა და კატის გამომეტყველებაზე გადაერთო, - სწავლას თავი შარშან დავანებე, ბავშვი რომ შემეძინა, მაგრამ ახლა კოლეჯში დაბრუნებას ვცდილობ...

- ო, მართლა? - თქვა კაცმა და იმწამს გაჩუმდა. როუზს უცხოელებთან ურთიერთობის მცირეოდენი გამოცდილებარომ ჰქონოდა, უცხოელის პირველი შეხვედრის რეფლექსს, ანუ საუბარში ჩართვისა და საჭირო სიტყვების საჭირო დროს სწორად გამოთქმის შიშს, შეამჩნევდა.

ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მოზარდი იყო, როუზს ერთი მიდრეკილება ჰქონდა, - თვლიდა, რომ ყველაფერი, რაც მის გარშემო იყო, ან მისი მომხრე, ან მოწინააღმდეგე გახლდათ. შესაბამისად, მამაკაცის დუმილი იმით ახსნა, რომ თავად ადამიანის ხეირიანად გაცნობა არ შეეძლო. შეცდომის გამოსასწორებლად, როუზმა უცნობს ხელი გაუწოდა.

- ბოდიში. ჩემი თავის წარდგენა დამავიწყდა. როუზი მქვია.

- მუსტაფა... - ახალგაზრდა კაცმა ნერწყვი გადაყლაპა. ხორხი უთრთოდა.

- საიდან ხართ? - იკითხა როუზმა.

- სტამბოლიდან, - მოკლედ უპასუხა უცნობმა.

როუზმა წარბები აწკიპა. სახეზე შეშფოთება დაეტყო.

მუსტაფას ადგილობრივებთან ურთიერთობის გამოცდილება რომ ჰქონოდა, მათ საინფორმაციო რეფლექსს, ანუ გეოგრაფიისა და ისტორიის საკმარისი ცოდნის არქონის შიშს შეამჩნევდა. როუზმა სცადა, გაეხსენებინა, სად ჯანდაბაში იყო სტამბოლი, ეგვიპტის დედაქალაქი იყო თუ სადღაც ინდოეთში... შეცბუნებისგან წარბი შეიკრა.

ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მოზარდი იყო, მუსტაფას ქალების მიმზიდველობისა და საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვის შიში ჰქონდა. ერთხელაც ვერაფერი ვთქვი საინტერესო და ამის გამო ქალს თავი მოვაბეზრეო, ასე ხსნიდა მუსტაფა როუზის ჟესტს და სიცარიელის შესავსებად საუბრის შეწყვეტა იჩქარა.

- დროებით, როუზ, - თქვა მუსტაფამ. ხმოვნებს წელავდა. სასიამოვნო, მაგრამ აშკარად შესამჩნევი აქცენტით ლაპარაკობდა, - უნდა წავიდე...

მუსტაფამ სასწრაფოდ დააბრუნა ადგილზე თურქული ბარდის ორივე ქილა, მაჯის საათს დააჩერდა, კალათას ხელი დასტაცა და იქაურობას გაეცალა. ვიდრე გაუჩინარდებოდა, როუზმა გაიგონა, როგორ ჩაიბუტბუტა უცნობმა:

- კარგად, - მერე კი თითქოს საკუთარ თავს გამოეხმაურაო, კიდევ ერთხელ დასძინა, - კარგად.

მუსტაფა წავიდა.

იდუმალი თანამოსაუბრის დაკარგვის შემდეგ როუზმა უცებ გააცნობიერა, რამხელა დრო დაეხარჯა უთავბოლოდ სუპერმარკეტში. თურქული ბარდის რამდენიმე ქილას დაავლო ხელი, მათ შორის იმათაც, მუსტაფამ რომ დატოვა, და სალაროსკენ გაეშურა. ჟურნალებისა და წიგნების სტელაჟებს შორის რომ ჩაიარა, მსოფლიოს დიდ ატლასს მოჰკრა თვალი. სწორედ ის იყო, რაც ძალიან სჭირდებოდა. წიგნის სათაურის ქვეშ ეწერა: „დროშების, ფაქტებისა და რუკების მსოფლიო ატლასი მთელი მსოფლიოს მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მოგზაურებისათვის“. როუზმა წიგნი ხელში აიტაცა, ანბანურ საძიებელში სტამბოლი მოძებნა და როგორც კი შესაბამის გვერდს მიაგნო, რუკას ჩახედა, რომ გაეგო, სად იყო ეს ქალაქი.

გარეთ გამოსულ როუზს ავტოსადგომზე 1984 წლის ცისფერი „ჯიპ-ჩეროკი“ ელოდა. არიზონის მზეს მიფიცხებულ მანქანაში პატარა გოგონას ეძინა.

- არმანუშ, გაიღვიძე, ძვირფასო, დედა დაბრუნდა!

ბავშვი შეირხა, მაგრამ თვალები მაშინაც კი არ გაახილა, როცა როუზმა მთელი სახე დაუკოცნა. გოგონას რბილი წაბლისფერი თმა თითქმის თავის ზომის ოქროსფერი ბაფთით შეეკრათ. ტანზე მოვარდისფრო-მონარინჯისფრო ზოლებით გაწყობილი, მეწამულღილებიანი ფუმფულა მწვანე ტანსაცმელი ეცვა. ვიღაც შეშლილის მორთულ საშობაო ნაძვის ხეს ჰგავდა.

- გშია? დედა დღეს შენთვის ნამდვილი ამერიკული საჭმლის მომზადებას აპირებს! - შესძახა როუზმა მას შემდეგ, რაც პარკები უკანა სავარძელზე დააწყო და გზაში მისართმევად ქოქოსის ზეფირის შეკვრა დაიტოვა. უკანა ხედის სარკეში თმას შეავლო თვალი, ბოლო დღეებში ამოჩემებული კასეტა ჩადო და ვიდრე ძრავას დაქოქავდა, ერთ ბღუჯა ზეფირს დაავლო ხელი.

- იცოდი, ბიჭი, ეს-ეს არის სუპერმარკეტში რომ შევხვდი, თურქეთიდან რომ არის? - თქვა როუზმა და ქალიშვილს უკანა ხედის სარკიდან თვალი ჩაუკრა. თითქოს გოგონას ყველაფერი ისეთი ჰქონდა, როგორიც უნდა ჰქონოდა: პაჭუა ცხვირი, ფუნჩულა ხელები, ფეხები, ყველაფერი, სახელის გარდა. როგორ ნანობდა როუზი, გოგონას რაიმე ნაკლებად უცხოური რომ არ დაარქვა, ენი ან კეტი, ან სინდი და დედამთილის გამოჩიჩქნილი სახელის დარქმევას დასთანხმდა. ბავშვს ბავშვის სახელი უნდა რქმეოდა, „არმანუში“ კი ყველაფერი იყო, ბავშვური სახელის გარდა. ის ისე... მოწიფულად და ცივად ჟღერდა - შეიძლება მოზრდილი ადამიანისათვის მართლაც შესაფერისი სახელი იყო. იქნებ როუზს იქამდე უნდა მოეცადა, ვიდრე გოგონათოთხმეტ წელს მიაღწევდა იმისათვის, რომ მისი სახელის წარმოთქმისას ენაზე არ ეკბინა?

როუზმა თვალები გადაატრიალა და კიდევ ერთი ზეფირი შეჭამა და აი, მაშინ ერთი აღმოჩენა გააკეთა: შეეძლო ამიერიდან ქალიშვილისთვის „ამი“ დაეძახებინა. როუზმა გოგონას კოცნა გაუგზავნა. ჰაეროვანი კოცნა ნათლობის რიტუალის ნაწილი იყო.

გზაჯვარედინზე მწვანე შუქის ანთებას უცდიდნენ. როუზი გლორია ესტეფანს აკომპანემენტს უწევდა და საჭეზე ხელებს არაკუნებდა.

„No modern love for me, it’s all a hustle
What’s done is done, now it’s my turn to have fun“.

* * *

რამდენიმე თავი პროდუქტი, რომელიც შეერჩია,მუსტაფამ მოლარეს დაუდო წინ. კალამატას ჯიშის ზეთისხილი, გაყინული ისპანახი და ფეტას პიცა, კიდევ სოკოს სუპის ერთი კონსერვი, ერთი ქილა ქათმის სუპ-კრემი და ერთიც ქათმის წვნიანი ატრიით. შეერთებულ შტატებში

ჩამოსვლამდე არასოდეს დასჭირვებია რამის მომზადება. ყოველთვის, როდესაც თავისი სამოთახიანი სტუდენტური ბინის პატარა სამზარეულოში ტრიალებდა, თავი გადასახლებული, ტახტიდან ჩამოგდებული მეფე ეგონა. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მოსიყვარულე ბებია, დედა და ოთხი და ემსახურებოდა. ახლა ჭურჭლის რეცხვა, ოთახების დალაგება, საუთოებელი და განსაკუთრებით, საყიდლებზე სიარული უზარმაზარ ტვირთად დასწოლოდა. ასე არ გაუჭირდებოდა, იმაზე ფიქრს მაინც თუ მოიშორებდა თავიდან, რომ ეს რამეები მისთვის სხვას უნდა გაეკეთებინა. არც მარტოობა უჭირდა სახლის ყოველდღიური საქმეების კეთებაზე ნაკლებად.

მუსტაფას ბინაში მეზობელი ჰყავდა. დამამთავრებელი კურსის ინდონეზიელი სტუდენტი ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, ბევრს შრომობდა და ყოველღამ დასაძინებლად ისეთ უცნაურ ჩანაწერებს უსმენდა, როგორიც „Sounds of Mountain Streams“ ანდა „Songs of the Whales“ იყო.

მუსტაფას იმედი ჰქონდა, რომ მეზობელთან ერთად არიზონაში თავს ნაკლებად მარტოსულად იგრძნობდა, თუმცა, ინდონეზიელთან მეზობლობას სწორედ რომ საწინააღმდეგო შედეგი ჰქონდა. ღამით, როცა ოჯახისაგან ათასობით მილის დაშორებით საწოლში მარტოდმარტო იწვა, მუსტაფა ვერაფრით იშორებდა ხმებს, რომლებიც თავში უტრიალებდა. კითხულობდნენ ხმები, ვინ იყო იგი და ბრალს სდებდნენ იმისათვის, ვინც იყო. მუსტაფას ცუდად ეძინა. ღამეებს ხშირად ძველი კომედიების ყურებაში ან ინტერნეტში ძრომიალში ატარებდა. ეს შველოდა, რადგან ამ დროს აღარ ფიქრობდა. ირიჟრაჟებდა თუ არა, ფიქრები ისევ უბრუნდებოდნენ. მეცადინეობებს შორის ან სადილობის შესვენებაზე სახლიდან უნივერსიტეტამდე მუსტაფა ფეხით მიდიოდა და საკუთარ თავს სტამბოლზე ფიქრში იჭერდა. როგორ უნდოდა მეხსიერების ამოღება და პროგრამის გადატვირთვა იქამდე, ვიდრე ყველა ფაილი არ წაიშლებოდა და გაქრებოდა.

არიზონას მუსტაფა უნდა დაეცვა ავი ნიშნისაგან, რომელიც კაზანჯის ოჯახის ყველა მამაკაცის ხვედრი გამხდარიყო. თუმცა, მუსტაფას

ასეთი რამეების არ სჯეროდა. ყოველგვარი ცრურწმენის, ავი თვალისაგან დამცავი კრიალოსნების, ყავის ჭიქაზე მკითხაობისა და ოჯახში გამართული მარჩიელობისაგან ჩამოშორება გააზრებულ არჩევანზე მეტად უნებლიე რეფლექსი გახლდათ. მუსტაფას აზრით, ეს ყველაფერი ქალების რთული და ბნელი სამყაროს ნაწილი იყო.

რაც გინდათ, თქვით, მაგრამ მუსტაფასათვის ქალი თავსატეხი იყო. უცნაურია, რომ ამდენ ქალთან ერთად გაზრდილი კაცი მათ საზოგადოებაში მთელი ცხოვრება თავს უცხოდ გრძნობდა.

მუსტაფა ერთადერთი ბიჭი იყო ოჯახში, სადაც მამაკაცები ძალიან ადრე და მოულოდნელად იხოცებოდნენ. ყმაწვილის სქესობრივი ლტოლვა სულ უფრო მეტად იზრდებოდა, მაგრამ ოთხი და, რომლის გარემოცვაშიც უწევდა ცხოვრება, ფანტაზიების თემაზე დადებულ ტაბუსავით იყო. მიუხედავად ამისა, მუსტაფა მაინც ეპარებოდა ენით უთქმელ ფიქრებს ქალების შესახებ. თავიდან ის გოგონები უყვარდებოდა თავდავიწყებით, რომლებიც ხელს ჰკრავდნენ. უარის, დაცინვისა და შეურაცხყოფის შიშით მუსტაფა ქალის სხეულის სურვილით შორიდან იწვოდა და იდაგებოდა. ბოლო წელს პრიალა ამერიკულ ჟურნალებში დაბეჭდილი ტოპმოდელების ფოტოებს ისე გაბრაზებული უცქერდა, თითქოს იმ მტკივნეული ფაქტის ახსნას ცდილობდა, რომ არც ერთ ქალს არასოდეს ექნებოდა მისი სურვილი.

მუსტაფას არასოდეს დაავიწყდებოდა ზელიჰას სასტიკი გამომეტყველება, როდესაც მას „ძვირფას ასოს“ ეძახდა. იმ მომენტში განცდილი უხერხულობა ახლაც უწვავდა გულ-მუცელს. მუსტაფამ იცოდა, რომ ძმის ნაძალადევი მამაკაცურობის მიღმა ზელიჰა ამ უკანასკნელის აღზრდის ნამდვილ ამბავს ხედავდა. ზელიჰას ესმოდა, რომ მუსტაფას დათრგუნვილი დედა ანებივრებდა და ელოლიავებოდა, ხოლო დამთრგუნველი მამა აშინებდა და სცემდა.

- საბოლოოდ საკუთარ თავზე შეყვარებული და გაუბედავი ადამიანი გახდი, - უთქვამს მუსტაფასათვის ზელიჰას. შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო და-ძმას შორის, ან რატომ გრძნობდა მუსტაფა თავს ასე უარყოფილად და ათვალწუნებულად, როცა მის ირგვლივ ამ-

დენი და ტრიალებდა, გვერდით კი დედა ჰყავდა, რომელიც აღმერთებდა.

ზელიჰა მუსტაფას სულ დასცინოდა, დედა კი სულ აღფრთოვანებული იყო ვაჟით. თავად მუსტაფას სურდა, ერთი ჩვეულებრივი მამაკაცი ყოფილიყო, ერთდროულად კარგიც და უწესოც. მას მხოლოდ თანაგრძნობა და უკეთესადამიანად გადაქცევის შესაძლებლობა სჭირდებოდა. ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, შეყვარებული ქალი რომ ჰყოლოდა. მუსტაფამ იცოდა, რომ ამერიკაში ეს არა უკეთესი მომავლისათვის, არამედ წარსულისაგან გასათავისუფლებლად უნდა გაეკეთებინა.

- როგორ ხართ? - ჰკითხა სალაროს აპარატთან ახალგაზრდა ქალმა და გაუღიმა.

ესეც ისეთი რამეების რიგში იყო, მუსტაფა ჯერაც რომ ვერ მისჩვეოდა. ამერიკაში ყველა ყველას ეკითხებოდა, როგორ ხარო, სრულიად უცხოებსაც კი. მუსტაფას ესმოდა, რომ ეს ერთგვარი მისალმება უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი კითხვა. თუმცა, თავად არ იცოდა, სალამზე ისეთივე უხამსი უდარდელობით როგორ უნდა ეპასუხა.

- კარგად, გმადლობთ, - თქვა მუსტაფამ, - თქვენ როგორ ხართ?

გოგონამ გაიღიმა.

- საიდან ბრძანდებით?

„ოდესმე ისევილაპარაკებ, - ფიქრობდა მუსტაფა, - რომ ვერავინ დამისვამს ასეთ შეურაცხმყოფელ შეკითხვას, რადგან წუთითაც არ იფიქრებენ, რომ უცხოელს ელაპარაკებიან“.

მუსტაფამ ცელოფანის პარკი ხელში აიღო და გარეთ გავიდა.

* * *

მექსიკური წარმოშობის ამერიკელების წყვილმა ტროტუარი გადაკვეთა. ქალი საბავშვო ეტლს აწვებოდა, მამაკაცს კი ახალფეხადგმული ბავშვისათვის ჩაეკიდებინა ხელი. ნელა მისეირნობდნენ. როუზი წყვილს შურით შესცქეროდა. ახლა, როცა მისი ქორწინება დამთავრებულიყო, ეგონა, ყველა წყვილი განცხრომით ცხოვრობდა. ეგონა, ყველა მათგანი კმაყოფილი იყო.

- იცი, რა? ნეტავ დაენახა კუდიან ბებიაშენს, იმ თურქს რომ ვეკეკ-ლუცებოდი. წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდა? ამაყი ჩახმახ-ჩიანების ოჯახისათვის ამაზე უარესი კოშმარი აზრადაც არ მომივა. ამა-ყი და გაბღენძილი... ამაყი და...

როუზს წინადადება არ დაუსრულებია - ერთმა ძალიან ეშმაკურმა აზრმა გაიტაცა.

მწვანე შუქი აინთო, როუზის ჯიპის დაგვერდებული ცხვირის წინ ჩამ-წკრივებულმა მანქანებმა რწევა-რწევით წაიწიეს წინ. უკან ჩამომდგარ-მა ფურგონმა დაასიგნალა. როუზი არ განძრეულა. იმდენად საამური ფანტაზია იყო, რომ ადგილიდან ვერ იძროდა. გონებაში დატრიალებუ-ლი სურათებით ტკბებოდა. მისი თვალები ნამდვილ სიშმაგეს ალმაცე-რად ასხივებდა. ეს ნამდვილად ქორწინების შემდგომი ქრონიკული გუ-ლისწყრომის მესამე და ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენა გახლდათ: გარდა იმისა, რომ საკუთარ თავთან იწყებდით ლაპარაკს და სხვებს ეჯიუტებოდით, საკმაოდ უგუნურიც ხდებოდით. როგორც კი ქალი საპატიო გულისწყრომას იგრძნობდა, სამყარო თავდაყირა დგე-ბოდა და უგუნურებაც სავსებით კეთილგონივრულ იერს იძენდა.

შურისძიება ტკბილია. როუზისთვის სულიერი წონასწორობის აღ-დგენა შორეული პერსპექტივა იყო, ინვესტიცია, რომელიც განსაზ-ღვრული დროის შემდეგ ანაზღაურდებოდა. თუმცა, მისაგებელი ყვე-ლას მაინც სწრაფად უნდა მიზღვოდა. უპირველესად ისეთი რამ უნდა გაეკეთებინა, რაც მის ყოფილ დედამთილს გააცოფებდა. დედამიწის ზურგზე ერთადერთი რამ იყო ისეთი, რაც ჩახმახჩიანთა მოდგმის ქა-ლებს ოდარზე მეტად გააღიზიანებდა. ერთადერთი რამ, ანუ თურქი!

რა საინტერესო იქნებოდა ყოფილი ქმრის დაუძინებელ მტერთან არშიყი. მაგრამ სად უნდა გეპოვა თურქი კაცი შუაგულ არიზონის უდაბ-ნოში? კაქტუსებზე იზრდებოდნენ თუ რა?

როუზს საკუთარ გამომეტყველებაზე გაეცინა. რაღაცის შეცნობით გამოწვეული გამომეტყველება მადლიერების უზარმაზარი გრძნობით შეეცვალა. რა შესანიშნავი დამთხვევაა, განგებამ ეს-ეს არის, ერთი თურქი რომ გააცნო. იქნებ არც ყოფილა დამთხვევა?

როუზი სიმღერას ხმას აყოლებდა, თან წინ მიიწევდა. ნაცვლად იმისა, თავის გზას გაჰყოლოდა, მარცხნივ გადაუხვია, ას ოთხმოცი გრადუსით შემობრუნდა და მოძრაობის მეორე ზოლზე გადასულმა მანქანა საპირისპირო მიმართულებით გააქანა.

„Primitive love, I წანტ წჰატ იტ უსედ ტო ბე“.

წუთიც და, 1984 წლის ცისფერმა „ჯიპ-ჩეროკმა“ „ფრაის“ სუპერმარკეტის ავტოსადგომს მიაღწია.

„I don't have to think, right now you've got me at the brink this is good-bye for all the time I cried“.

მანქანამ ნახევარწრე მოხაზა, გარდიგარდმო მანევრი შეასრულა და უნივერსამის მთავარ შესასვლელთან აღმოჩნდა. ის იყო, ახალგაზრდა კაცის პოვნის თითქმის ყველანაირი იმედი გადაეწურა, რომ როუზმა თავისი თურქი ავტობუსის გაჩერებაზე დალანდა. მამაკაცი მორჩილად იდგა. გვერდით თხელი ცელოფანის პარკი ედო.

- ეი, მოსტაფა! - იყვირა როუზმა, თან მანქანის ნახევრად ღია ფანჯრიდან თავი გაყო, - წაგიყვანო?

- რა თქმა უნდა, გმადლობთ, - თავი დაუქნია მუსტაფამ, - მუსტაფა, - ძლივს გასაგონად სცადა თურქმა როუზის პრონონსის გასწორება.

მანქანაში მყოფ როუზს გაეღიმა.

- მუსტაფა, გაიცანი ჩემი ქალიშვილი, არმანუში... მაგრამ მე „ამის“ ვეძახი! ამი, ეს მუსტაფაა, მუსტაფა, ეს ამია...

ვიდრე ახალგაზრდა კაცი ძილმორეულ ბავშვს ალერსიანად უღიმოდა, როუზი მის სახეზე მოწონების ნიშნებს ეძებდა, თუმცა, ერთიც ვერ აღმოაჩინა. გადაწყვიტა, მუსტაფასათვის კიდევ ერთხელ გადაეკრა სიტყვა, ამჯერად უფრო აშკარად:

- ჩემი ქალიშვილის სახელი და გვარი ამი ჩახმახჩიანია.

შეიძლება ამ სიტყვებს მოჰყვა კიდეც ერთგვარი უარყოფითი რეაქცია, მაგრამ მუსტაფას სახეზე არაფერი ეტყობოდა. როუზმა გამეორების საჭიროება იგრძნო, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ პირველ ჯერზე ვერ გაუგეს:

- არმანუშ ჩახმახჩიანი!

ახალგაზრდა კაცს მუქი თაფლისფერი თვალები მხოლოდ ახლა აუციმციმდა, მაგრამ ისე არა, როგორც როუზი მოელოდა.

- ჩაკ-მაკ-ჩიანი... ჩაკ-მაკ-ჩი! ჰო, თურქულივით ჟღერს! - შესძახა გახარებულმა მუსტაფამ.

- სინამდვილეში სომხურია, - თქვა უეცრად შეშფოთებულმა როუზმა, - მამამისი, ჩემს ყოფილ ქმარს, ჩემს ყოფილ ქმარს ვგულისხმობ, - როუზმა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, თითქოს მწარე გემოს მოშორება უნდოდა, - სომეხი იყო, არის.

- ჰო, - აუღელვებლად თქვა მუსტაფამ.

„გაიგო? ვერ გაიგო? - ეკითხებოდა როუზი საკუთარ თავს, თან კბილებით ლოყას იწიწკნიდა. მერე გადაიხარხარა, თითქოს ყელში მომდგარი შეკავებული სლოკინი ამოუშვაო და გაიფიქრა, - მიმზიდველია... ძალიან მიმზიდველი... სწორედეს კაცი იქნება ჩემი ტკბილი შურისძიება“.

- მისმინე, - უთხრა როუზმა, - არ ვიცი, მოგწონს თუ არა მექსიკური ხელოვნება, მაგრამ ხვალ საღამოს ჯგუფური გამოფენა იხსნება. სხვა გეგმები თუ არა გაქვს, შეგვიძლია ჯერ იქ წავიდეთ, მერე კი რამე შევჭამოთ.

- მექსიკური ხელოვნება? - მუსტაფა პასუხს აგვიანებდა.

- ვისაც ეს გამოფენა სხვაგან აქვს ნანახი, ამბობს, რომ მართლაც კარგია, - განაგრძო როუზმა, - აბა, რას იტყვი, წამოხვალ ჩემთან ერთად?

- მექსიკური ხელოვნება? - გაბედულად გაიმეორა მუსტაფამ, - აუცილებლად, რატომაც არა?

- ჩინებულია. სასიამოვნოა, რომ გაგიცანი, მოსტაფა, - ისევ დაამახინჯა მამაკაცის სახელი გამხიარულებულმა როუზმა. მუსტაფას მისთვის ამჯერად არ შეუსწორებია.

3

შაქარი

- მართალია? მითხარით ვინმემ, რომ არ არის სიმართლე! - შესძახა ბიძია დირკან სტამბოლელმა, კარი ხმაურით შეაღო და სასტუმრო ოთახში შეიჭრა. ძმისშვილებს ეძებდა, ან ვინმეს, ვინც მისი ტანჯვის შემსუბუქებას მოისურვებდა. აღშფოთებისაგან შავი თვალები ბუდეებიდან ოდნავ წამოსწეოდა. ბიძიას სქელი, ჩამოშვებული ულვაში ჰქონდა. იმის გამო, რომ ულვაშის ბოლოები აეპრიხა, დირკან სტამბოლელს მოღიმარი გამომეტყველება ჰქონდა მაშინაც კი, როცა ძალიან გაბრაზებული იყო.

- გთხოვ, დაწყნარდი და ჩამოჯექი! - წაილუღლუღა ჩახმახჩიანის გვარის დებს შორის ყველაზე უმცროსმა, მამიდა სურპუნმა ისე, რომ ბიძიასათვის თვალი არც გაუსწორებია. სურპუნი ერთადერთი ადამიანი იყო მთელ ოჯახში, ვისაც დაეჭირა მხარი ბარსამის როუზთან ქორწინებისათვის და ახლა თავს დამნაშავედ გრძნობდა.

კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორი სურპუნ ჩახმახჩიანი თავდაჯერებული ფემინისტი მეცნიერი იყო. სურპუნს სწამდა, რომ მშვიდი დიალოგისა და საღი აზრის მეშვეობით ქვეყნად ყველანაირი პრობლემის მოგვარება შეიძლებოდა. იყო მომენტები, როცა თავისი შეხედულებების გამო სურპუნი თავს მარტოსულად გრძნობდა ისეთი ბობოქარი ადამიანების გვერდით, როგორიც მისი ოჯახის წევრები იყვნენ.

დირკან სტამბოლელმა სურპუნს დაუჯერა და ცარიელი სკამისკენ წაფრატუნდა, თან ულვაშის ბოლოებს კბილებით ციცქნიდა. მთელი ოჯახი წითელი ხის ძველებური მაგიდის გარშემო შეკრებილიყო. მაგიდაზე უამრავი საჭმელი იდო, თუმცა, ჭამით თითქოს არავინ არაფერს ჭამდა. დივანზე მშვიდად ეძინა მამიდა ვარსენიგის პატარა ტყუპს. აქვე იყო მინეაპოლისიდან სომხური ახალგაზრდული თანამეგობრობის მიერ ყურის რაიონში ორგანიზებულ არაოფიციალურ შეხვედრაზე დასასწრებად ჩამოფრენილი ქევორქ ქარაოღლიანიც. ბოლო სამი თვის გან-

მავლობაში ქევორქი მორჩილად ესწრებოდა ამ ჯგუფის ყველა თავყრილობას, საქველმოქმედო კონცერტი იქნებოდა, ყოველწლიური გასეირნება ქალაქგარეთ, საშობაო წვეულება, პარასკევის მსუბუქი საღამო, ყოველწლიური ზამთრის ზეიმი, კვირადღეს მოწყობილი სადილები თუ ერევანში ეკოტურიზმის დახმარებისათვის გამართული ჯომარდობა. ბიძია დირკანს ეჭვი ჰქონდა, რომ სან-ფრანცისკოში მისი სიმპათიური ძმისწულის ესოდენ ხშირი ვიზიტების ერთადერთი მიზეზი ორგანიზაციული ღონისძიებების ერთგულება არ გახლდათ და ქევორქი ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ნანახი გოგონას გაუმხელელ სიყვარულს ატარებდა გულით.

დირკან სტამბოლელი მაგიდაზე გაშლილ საჭმელებს ხარბად მიაჩერდა და ძალიან ბევრი ყინულის ნატეხით გაამერიკულებული იოგურტის ტოლჩისაკენ წაიღო ხელი. სხვადასხვა ზომის თიხის ჭრელ-ჭრელ ფიალებში არაერთი მისი საყვარელი კერძი იყო: ლობიოს პილაკი, კადინ ბუდუ კოფტე, კარნიარიკი, ახალმომზადებული ჩურეკი და, მისდა გასახარად, კიდევ ბასთურმა. მიუხედავად იმისა, რომ ისევ გაბრაზებული იყო, ბასთურმის დანახვამ გული მოულბო, მის გვერდით ჩადგმულმა ბურმამ კი სულ მთლად გაალღო.

მიუხედავად იმისა, რომ ბიძია დირკანის ცოლი გამუდმებით ადევნებდა თვალს ქმრის დიეტას, ბიძიას სამარცხვინო ღიპს ყოველ წელს ცხიმის კიდევ ერთი ფენა ემატებოდა, ისევე, როგორც ხის ტანზე ჩნდება ხოლმე ყოველ წელს ახალი რგოლები. ახლა დირკან სტამბოლელი არც იმას დაგიდევდათ, რომ დაბალი იყო და არც იმას, რომ ტანსრული ბრძანდებოდა.

ორი წლით ადრე ბიძია დირკანს მაკარონის სატელევიზიო რეკლამაში შესთავაზეს როლი. განასახიერა მხიარული მზარეული, რომელსაც გუნებას ვერაფერი წაუხდენდა, ისიც კი, საცოლემ რომ მიატოვა, რადგან საკუთარ სამზარეულოში სპაგეტის მობრაწულას მომზადებაში ხელს უწინდებურად არაფერი უშლიდა.

რეალურ ცხოვრებაში, ისევე როგორც რეკლამაში, ბიძია დირკანს განსაკუთრებულად კარგი ხასიათი ჰქონდა. როცა მისი მრავალი ნაც-

ნობისგან რომელიმეს უნდოდა, დაედასტურებინა გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მსუქანი ადამიანი სხვებზე გაცილებით მხიარულია, დირკანს ახსენებდა. თუმცა, იმ დღეს ბიძია დირკანი თავის თავს არ ჰგავდა.

- სად არის ბარსამი? - იკითხა დირკან სტამბოლელმა, როგორც კი გუფთის გროვას ერთი ბურთულა აართვა, - იცის, რას აპირებს მისი ცოლი?

- ყოფილი ცოლი! - დააკონკრეტა მამიდა ზარუჰმა, რომელიც გაუგონარ ბავშვებთან მთელი დღის განმავლობაში მოჭიდავე დაწყებითი სკოლის ახალბედა მასწავლებელივით ვერ იკავებდა ხოლმე თავს და ყველა შეცდომას ასწორებდა, რომელსაც კი გაიგონებდა.

- ჰო, ყოფილი! თუმცა, ამას არ აღიარებს! გეუბნებით, ეგ ქალი გიჟია. განზრახ აკეთებს. დირკანი არ ვიყო, თუ ამას მარტო იმიტომ არ აკეთებდეს, რომ გული გვატკინოს! რაც გინდათ, ის მითხარით!

- რა უნდა გითხრათ, - დაამშვიდა ბიძია მამიდა ვარსენიგმა, - ეჭვი არ არის, რომ ამას განზრახ აკეთებს...

- არმანუშს უნდა შველა, - ჩაერია საუბარში ოჯახის უფროსი, ბებია შუშანა.

შუშანა მაგიდას მოშორდა და თავის სავარძლამდე ძლივს მიაღწია.

ბებია შესანიშნავი მზარეული იყო, მაგრამ დიდი მადით არასდროს გამოირჩეოდა. ბოლო პერიოდში როგორღაც ახერხებდა და თავი დღეში მხოლოდ ჩაის ერთი ფინჯნისოდენა საკვებით გაჰქონდა. ამის გამო შუშანასქალიშვილები შეშფოთებული იყვნენ.

ბებია განსაკუთრებული ხასიათის ტანდაბალი, გამხდარი ქალი გახლდათ, რომელსაც ამაზე უფრო მძიმე სიტუაციების მართვაც შეეძლო. ხმელ პირისახეზე შეატყობდით,რომ ასეთ ამბებში გარკვეული იყო. შუშანა მარცხს არასოდეს აღიარებდა და მუდამ დარწმუნებული იყო, რომ ცხოვრება ბრძოლაა, ხოლო სომხებისათვის - სამჯერ უფრო დამქანცველი ბრძოლა. ნებისმიერი ადამიანის გადაბირება შეეძლო და ამის გამო წლების განმავლობაში მისი ოჯახის არაერთი წევრი აღმოჩენილიყო უხერხულ მდგომარეობაში.

- ბავშვის კარგად ყოფნაზე მნიშვნელოვანი არაფერია, - ჩაიბუტბუტა ბებია შუშანამ და წმინდა ანტონის ვერცხლის კულონს, რომელსაც მუდამ დაატარებდა, ხელი გადაუსვა. დაკარგული ნივთების მფარველი წმინდანი შუშანას ბევრჯერ დახმარებოდა ცხოვრებისეულ დანაკარგებთან გამკლავებაში.

ბებია შუშანამ საქსოვი ჩხირები აიღო და დაჯდა. ბავშვის ლაჟვარდისფერი საბნის კიდეზე უკვე გამოექსოვა ინიციალები ა. და კ. ოთახში წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ბებია შუშანას ხელებს უყურებდა. ჩხირებს მოხდენილად ამოძრავებდა. ბებიას საქსოვი მთელ ოჯახზე ჯგუფურ თერაპიასავით მოქმედებდა. თითოეული თვლის ზუსტი და თანაბარი მოძრაობა ყველაზე, ვინც ქსოვას თვალს ადევნებდა, დამამშვიდებლად მოქმედებდა, თითქოს არწმუნებდა, ვიდრე ბებია შუშანა ქსოვს, არაფრის არ უნდა გეშინოდეთ, ბოლოს კი ყველაფერი კარგად იქნებაო.

- მართალი ხარ. საწყალი პატარა არმანუში, - თქვა ბიძია დირკანმა, რომელიც, როგორც წესი, ყველა ოჯახური კონფლიქტისას შუშანას მხარეს იყო. ბიძია საკმაოდ ჭკვიანი იყო იმისათვის, რომ ოჯახის ყოვლისშემძლე უფროსისათვის გაეწია წინააღმდეგობა, - რა ეშველება ამ უცოდველ კრავს? - ხმადაბლა იკითხა დირკანმა.

ვიდრე ბიძიას ვინმე რამეს უპასუხებდა, კარის ზღურბლთან ჟღარუნი გაისმა და კარი გასაღებით გაიღო. ოთახში ბარსამი შემოვიდა. სახე გაფითრებოდა. მავთულისჩარჩოიანი სათვალის მიღმა მისი ჩაფიქრებული და გაშტერებული თვალები მოჩანდა.

- ვახ! ნახეთ ვინ მოსულა! - თქვა ბიძია დირკანმა, - ბატონო ბარსამ, თქვენს გოგონას, ალბათ, თურქი გაზრდის, თქვენ კი არაფრის გაკეთებას არ აპირებთ... ამოთ!

- რა შემიძლია? - ამოიგმინა ბარსამ ჩახმახჩიანმა და ბიძას მიუბრუნდა, მერე მზერა კედელზე ჩამოკიდებულ მარტიროს სარიანის ნიღბებიან ნატიურმორტზე ისე გადაიტანა, თითქოს საჭირო პასუხი სადღაც სურათში იყო დაფარული. თუმცა, როგორც ჩანს, ნახატში სანუგეშო ვერაფერი იპოვა. ბარსამმა ლაპარაკი განაგრძო. მისი ხმა ისევე უნუგე-

შოდ ჟღერდა, როგორც მანამდე, - ჩარევის არავითარი უფლება არა მაქვს. როუზი დედამისია.

- ამან! რა დედაა! - გაიცინა დირკან სტამბოლელმა. მისი ტანის ადამიანისათვის დირკანს უცნაურად მწივანა სიცილი ჰქონდა. თავად ეს დეტალი ყოველთვის გაცნობიერებული ჰქონდა და მისი გაკონტროლებაც შეეძლო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სტრესულ მდგომარეობაში იყო.

- რას ეტყვის ეს უმანკო კრავი თავის მეგობრებს, როცა გაიზრდება? მამაჩემი ბარსამ ჩახმახჩიანია, ბაბუაჩემის ძმა - დირკან სტამბოლელი, მისი მამა - ვარვანთ (იერვანთ) სტამბოლელი, მე კი არმანუშ ჩახმახჩიანი გახლავართ. ჩემი წარმომავლობა ნამდვილი რაღაცაა, - მე ვარ შვილიშვილი იმათი, ვინც ათას ცხრაას თხუთმეტში გენოციდს გადაურჩა და თურქი ჯალათების ხელით ყველა ნათესავი დაკარგა, მაგრამ თავად ტვინი გამომირეცხეს, რომ გენოციდი არ მეღიარებინა, რადგან ვიღაც თურქმა, მუსტაფამ გამზარდა! რა ხუმრობაა?.. მე მოვკვდე!

დირკან სტამბოლელი გაჩერდა და საკუთარი ნათქვამის ეფექტის დასანახავად ძმისწულს დააკვირდა. ბარსამი ქვასავით გაშეშებული იდგა.

- მიდი, ბარსამ! - შესძახა ბიძია დირკანმა, ამჯერად უფრო ხმამაღლა, - ჩაფრინდი ტუსონში და წერტილი დაუსვი ამ კომედიას. დაელაპარაკე შენს ცოლს. ჰაიდა!

- ყოფილ ცოლს! - გაუსწორა მამიდა ზარუჰმა ბიძას, თან ბურმის ნაჭრის გადაღებას ცდილობდა, - აუჰ, ამას არ უნდა ვჭამდე. ძალიან ბევრი შაქარი აქვს. იმდენი კალორიაა. შაქრის ხელოვნურ შემცვლელებს რატომ არ ცდი, დე?

- იმიტომ, რომ ჩემს სამზარეულოში ხელოვნური არაფერი მოხვდება, - მიუგო შუშანა ჩახმახჩიანმა, - თამამად მიირთვი, ვიდრე სიბერეში დიაბეტი არ დაგემართება. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

- სწორია, მე ჯერ კიდევ მიდგას შაქრის ჭამის დრო, - მამიდა ზარუჰმა დედას თვალი ჩაუკრა, მაგრამ მხოლოდ ნახევარი ნაჭერი ბურმის

მირთმევა გაბედა, მერე კი ღეჭვა-ღეჭვით ძმას მიუბრუნდა, - მაინც რას აკეთებს როუზი არიზონაში?

- სამუშაო იპოვა, - უსიცოცხლოდ თქვა ბარსამმა.

- აუჰ, რა სამუშაოა! - მამიდა ვარსენიგმა ცხვირის ძვალზე დაიკაკუნა, - რა ჯანდაბას ფიქრობს, ენჩილადებს რომ ტენის, თითქოს გროში არ გააჩნდეს? განგებ აკეთებს, რომ იცოდე. უნდა, მთელმა სამყარომ იფიქროს, რომ ბავშვს არ ვეხმარებით და ჩვენ დაგვადანაშაულოს. მამაცი მარტოხელა დედა, რომელიც ყველანაირ სირთულეს ებრძვის! სწორედ ამ როლის თამაშს ცდილობს!

- არმანუშისგან კარგი გოგო დადგება, - წაიბუტბუტა ბარსამმა, თან სცადა,სასოწარკვეთილად არ გამოსვლოდა, - როუზი არიზონაში დარჩა. კოლეჯში დაბრუნება უნდა. სტუდენტურ კავშირში მუშაობა დროებითია. სინამდვილეში დაწყებითი სკოლის მასწავლებლობა სურს. უნდა, დრო ბავშვებთან ერთადგაატაროს. ამაში ცუდი არაფერია. იმდენად, რამდენადაც თავად კარგად არის და არმანუშსაც კარგად უვლის, რაღა მნიშვნელობა აქვს, ვის ხვდება?

- მართალი ხარ, მაგრამ ცდები კიდეც, - აზრი გამოთქვა მამიდა სურპუნმა, სავარძელში ფეხები მოიკეცა და ისე მოიკალათა. მის თვალებს უეცრად ცინიზმის კვალი დაეტყო, - იდეალურია. ჰო, შეგეძლო გეთქვა, რომ ეს მისი ცხოვრებაა. რა ჩვენი საქმეა. თუ ისტორიასა და წინაპრებს არ აფასებ, არა გაქვს მეხსიერება და პასუხისმგებლობა და თუ მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობ, რა თქმა უნდა, შეგიძლია ასეთი რამ განაცხადო. მაგრამ წარსული აწმყოში ცოცხლობს, ჩვენი წინაპრები კი ჩვენი შვილების სუნთქვით სუნთქავენ და იცი, რა... ვიდრე შენი ქალიშვილი როუზს ჰყავს, მის ცხოვრებაში ჩარევის ყველანაირი უფლება გაქვს, მით უფრო მაშინ, როცა ვიღაც თურქს ხვდება!

მამიდა სურპუნს მამიდა ვარსენიგმა შეაწყვეტინა, რომელსაც ფილოსოფიური გამოსვლები მაინცდამაინც არ ეხერხებოდა და ინტელექტუალურ აბდაუბდას პირდაპირი საუბარი ერჩია:

- ბარსამ, ჩემო კარგო, მაჩვენე ერთი თურქი, რომელიც სომხურად ლაპარაკობს, მაჩვენებ?

იმის მაგივრად, პასუხი გაეცა, ბარსამმა უფროს დას ალმაცერად გახედა.

- მითხარი, რამდენ თურქს უსწავლია ოდესმე სომხური, - განაგრძო მამიდა ვარსენიგმა, - არც ერთს! რატომ სწავლობდნენ ჩვენი დედები მათ ენას და არა პირიქით? ნათელი არ არის, ვინ ვისზე ბატონობდა? მხოლოდ ერთი მუჭა თურქები არიან წარმოშობით ცენტრალური აზიიდან, არა? ისიც იცი, რომ ყველგან არიან! რა დაემართა მილიონობით სომეხს, რომელიც იქ უკვე იყო? თურქებს დაემსგავსნენ! დახოცეს! დააობლეს! გაასახლეს და დაივიწყეს! როგორ შეგიძლია შენი ღვიძლი შვილი იმათ დაუთმო, ვინც დღეს ჩვენს სიმცირესა და დიდ ტკივილზე აგებს პასუხს? მესროპ მაშტოცი საფლავში გადაბრუნდებოდა!

ბარსამი თავს აქნევდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ძმისშვილისათვის ტანჯვა რომ შეემსუბუქებინა, ბიძია დირკანმა ერთი ამბის მოყოლა დაიწყო.

- არაბი თმის შესაჭრელად დალაქთან მიდის. თმას შეიჭრის და ფულის გადახდას ცდილობს, მაგრამ დალაქი ეუბნება: „არ გამოვა. თქვენს ფულს ვერ ავიღებ. ეს საზოგადოებრივი შრომაა“. სასიამოვნოდ გაკვირვებული არაბი იქაურობას ტოვებს. მეორე დილით, საპარიკმახეროს გახსნისას, დალაქი კართან სამადლობელ ბარათსა და კალათით ინდისხურმას პოულობს.

დივანზე მძინარე ტყუპისგან ერთ-ერთი აწრიალდა, მაგრამ საქმე ტირილამდე არ მისულა.

- ზუსტად მომდევნო დღეს თმის შესაჭრელად დალაქთან თურქი მიდის. თმას რომ შეიჭრის, ფულის გადახდას ცდილობს, მაგრამ დალაქი ისევ ამბობს: „თქვენს ფულს ვერ ავიღებ. საზოგადოებრივი შრომაა“. სასიამოვნოდ გაკვირვებული თურქი იქაურობას ტოვებს. მეორე დილით, საპარიკმახეროს გახსნისას, დალაქი კართან სამადლობელ ბარათსა და ყუთით ლუქუმს პოულობს.

დის მოძრაობით გაღვიძებულმა ბავშვმა ტირილი დაიწყო. მამიდა ვარსენიგმა გოგონასთან მიირბინა და მარტოოდენ თითების შეხებით მისი გაჩუმება სცადა.

- მომდევნო დღეს თმის შესაჭრელად შედის სომეხი, - განაგრძო ბიძია დირკანმა, - თმას შეიჭრის და ფულის გადახდას ცდილობს, დალაქი კი წინააღმდეგია: „ბოდიში, თქვენს ფულს ვერ ავიღებ. საზოგადოებრივი შრომაა“. სასიამოვნოდ გაკვირვებული სომეხი იქაურობას ტოვებს. მეორე დილით დალაქი აღებს საპარიკმახეროს... გამოიცანით, რას პოულობს?

- შეხვეულ ბურმას? - ივარაუდა ქევორქმა.

- არა! ერთი დუჟინი სომხები დახვდნენ. თმის უფასოდ შესაჭრელად ელოდებოდნენ!

- გინდა გვითხრა, რომ წუწურაქი ხალხი ვართ? - იკითხა ქევორქმა.

- არა, უვიცო ადამიანო, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ერთმანეთზე ვზრუნავთ. კარგ რამეს თუ ვხედავთ, უმალ ვუზიარებთ მას მეგობრებსა და ნათესავებს. ერთიანობის წყალობით მოახერხა სომეხმა ხალხმა გადარჩენა.

- მაგრამ იმასაც ამბობენ, როცა ორი სომეხი ერთმანეთს ხვდება, სამ სხვადასხვა ეკლესიას ქმნიანო, - ფეხი მიაჭირა თავის ნათქვამს ბიძაშვილმა ქევორქმა.

- ათივე თითზე სანთელი გადავისხი და კმაყოფილი მაინც არ დარჩა, - სომხურად დაიბუზღუნა დირკან სტამბოლელმა. როცა ახალგაზრდა ადამიანისათვის ჭკუის სწავლება უნდოდა, ბიძია ყოველთვის სომხურად იწყებდა ლაპარაკს, მაგრამ ამჯერად არაფერი გამოუვიდა. იმის დასამალად, რომ წინადადების მხოლოდ პირველი ნახევარი გაიგო, მეორე კი ვერა, ქევორქმა, რომელსაც მხოლოდ სალაპარაკო სომხური ესმოდა, მაგრამ საგაზეთო ენისა არაფერი იცოდა, ჩაიხითხითა. შეიძლება ცოტა ზედმეტად ნერვიულადაც კი გამოუვიდა.

- Oğlani kizdirmayasin, - ბებია შუშანამ წარბი აწკიპა. ყოველთვის თურქულად ლაპარაკობდა, როდესაც რომელიმე უფროსისათვის უნდოდა რაღაცის თქმა ისე, რომ ახალგაზრდებს არაფერი გაეგოთ.

ბიძია დირკანმა გაიგო, რაც უთხრეს, იმ ბიჭივით ამოიოხრა, დედა რომ დატუქსავს, და თავის სანუგეშებლად ისევ ბურმას მიუბრუნდა. სიჩუმეჩამოვარდა. გარეთ ის-ის იყო, ანთებული ქუჩის ფარნის სუსტმა სი-

ნათლემ ოთახს უცნაური ნათება მოჰფინა და წამით ყველა და ყველაფერი დადუმდა, - სამი მამაკაცი, სამი თაობის ქალები,იატაკის მოსართავად დაგებული უთვალავი ნოხი, კარადაში გამოფენილი ძველებური ვერცხლის ჭურჭელი, მაღალ კამოდზე შემოდებული სამოვარი, ვიდეომაგნიტოფონში ჩადებული კასეტა („ბროწეულის ფერი“), უამრავი ნახატი, წმინდა ანას ლოცვის ხატი და პლაკატი ქათქათა თოვლში გახვეული არარატის მთის გამოსახულებით. წარსულის აჩრდილები მოსულიყვნენ.

მანქანა გზის ნაპირზე გადავიდა და სახლის წინ ჩამოდგა. ფარების შუქმა ოთახი მოიარა და კედელზე მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული წარწერა გაანათა: „ამინ გეტყვი თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა და რაოდენი გაჰხსნათ ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“. წმ. მათე, 18:18.

კიდევ ერთმა ტროლეიბუსმა გაიარა ზარის რეკვით. ახმაურებული ბავშვები და ტურისტები მიჰყავდა რაშენ-ჰილიდან აკვაპარკში, საზღვაო მუზეუმსა და ფიშერმენს-უორფში. ოთახში სან-ფრანცისკოს პიკის საათის ხმები შემოიჭრა და შიგნით მყოფები ფიქრებიდან გამოარკვია.

- გულის სიღრმეში როუზი ცუდი ადამიანი არ არის, - გაბედა ბარსამმა, - ჩვენს წესებთან შეჩვევა მისთვის ადვილი არ იყო. პირველად რომ შევხვდი, ერთი მორცხვი კენტუკელი გოგო იყო.

- ამბობენ, რომ ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი გზა კეთილი ზრახვებით არის მოკირწყლული, - კბილები გაახრჭიალა ბიძია დირკანმა.

ისე, რომ ბიძიასათვის ყურადღება არ მიუქცევია, ბარსამმა განაგრძო:

- წარმოგიდგენიათ? სასმელსაც კი არ ყიდიან! აკრძალულია! იცით, ელიზაბეტთაუნში, კენტუკიში, ყველაზე ამაღელვებელი მოვლენა ყოველწლიური ფესტივალია, რომლის დროსაც ხალხი დამაარსებელი მამებივით იმოსება? - ბარსამმა ხელები ისე აიქნია, გეგონებოდათ, საკუთარი სიტყვების დადასტურებას ლამობს ან სასოწარკვეთილი ლო-

ცულობს და უფალს ყურადღებას შესთხოვსო, - მერე კი გენერალ ჯორჯ არმსტრონგ კასტერთან შესახვედრად ქალაქში მიდიან.

- სწორედ ამიტომაც არ უნდა შეგერთო ცოლად, - ბიძია დირკანი ჩუმად ქირქილებდა. მისი მრისხანება სადღაც გამქრალიყო. გაღიზიანების ნაცვლად ახლა იმას გრძნობდა, რომ საყვარელ ძმისშვილზე გაბრაზებას, ალბათ, მეტად ვეღარ მოახერხებდა.

- იმის თქმა მინდა, რომ როუზს მრავალეროვნული წარმოშობა არა აქვს, - შენიშნა ბარსამმა, - ის სამხრეთელი წყვილის ერთადერთი შვილია. მისი მშობლები მთელი ცხოვრება საოჯახო ტექნიკის მაღაზიას ამუშავებენ. როუზი პატარა ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს. თვალის გახელაც ვერ მოასწრო და დიასპორის სომეხ კათოლიკეთა დიდ და ერთ მუშტად შეკრულ ოჯახში აღმოჩნდა. უზარმაზარი ოჯახი ტრაგიკული წარსულით! რატომ გგონიათ, რომ ამ ყველაფერს თავს ასე იოლად გაართმევს?

- ჰო, ჩვენთვისაც არ იყო ადვილი, - წინააღმდეგობა გაუწია ძმას მამიდა ვარსენიგმა და ვიდრე ჩანგალს მორიგ გუფთას ჩაასობდა, მისი წვეტიანი ბოლოები ძმისკენ გაიშვირა. დედამისისაგან განსხვავებით, ვარსენიგს კარგი მადა ჰქონდა. იმის გათვალისწინებით, რამდენსაც დღის განმავლობაში მიირთმევდა და თან ახლახან ტყუპიც გააჩინა, ნამდვილი საოცრება იყო, რომ არ სუქდებოდა, - რომ დაფიქრდე, ერთადერთი საჭმელი, რომლის გაკეთებაც შეეძლო, პურზე დადებული შემწვარი ცხვრის ხორცი იყო. როცა უნდა მისულიყავი, თავის ჭუჭყიან წინსაფარს აიფარებდა და ცხვრის ხორცს მოამზადებდა.

ბარსამის გარდა ყველას გაეცინა.

- ჰო, მაგრამ სამართლიანიც უნდა ვიყო, - განაგრძო აუდიტორიის რეაქციით გახარებულმა მამიდა ვარსენიგმა, - საწებელს წარამარა ცვლიდა. შემწვარ ცხვრის ხორცს ხან ტეხასურ-მექსიკური ცხარე სოუსით მივირთმევდით, ხან დოს სოუსით... შენი ცოლის სამზარეულო მრავალფეროვნების სამყარო იყო!

- ყოფილი ცოლის! - ისევ შეასწორა მამიდა ზარუჰმა. - კი, მაგრამ, ხალხო, თქვენც გაუჭირეთ საქმე, - თქვა ბარსამმა ისე, რომ კონკრეტუ-

ლად არავისთვის შეუხედავს, - გაითვალისწინეთ, რომ სამწუხაროდ, „ოდარი“ პირველი სიტყვა იყო, რომელიც ისწავლა.

- ოდარია და, - ბარბაცით წაიწია წინ ბიძია დირკანმა და ძმისწულს მხარზე დაჰკრა ხელი, - ოდარია. რატომ არ უნდა დავუძახოთ ოდარი?

- ამ ოჯახში ვიღაც-ვიღაცები ეკალსაც კი ეძახდნენ, - გაბედა ბარსამმა, რომელიც დარტყმაზე მეტად დირკან სტამბოლელის შეკითხვამ გააოგნა.

- რა უჭირს მერე? - იკითხა მამიდა ვარსენიგმა, ვიდრე დაწნული ფუნთუშის ბოლო ლუკმას პირში ჩაიდებდა. ბარსამის სიტყვები მან საკუთარ თავზე მიიღო, - იმ ქალს როუზი კი არა, ეკალი უნდა რქმეოდა. როუზი არ შეეფერება. ძალიან ტკბილად ჟღერს ასეთი სიმწარისთვის. საწყალ დედამისსა და მამამისს წარმოდგენა მაინც რომ ჰქონოდათ, რა ქალი იქნებოდა, მერწმუნე, ძვირფასო ძამიკო, ეკალს დაარქმევდნენ!

- კმარა ხუმრობა! - ხმამაღლა თქვა შუშანა ჩახმახჩიანმა. მისი შეძახილი არც საყვედურს ჰგავდა, არც გაფრთხილებას. ყველამ, ვინც ოთახში იყო, ოჯახის უფროსის სიტყვები ერთდროულად საყვედურადაც მიიღო და გაფრთხილებადაც. ბინდბუნდი სიბნელეს შეეცვალა. ოთახში სინათლე იჭრებოდა. ბებია შუშანა წამოდგა და ბროლის ჭაღი აანთო.

- არმანუშს უნდა ვუშველოთ. მარტო ეს არის მნიშვნელოვანი, - მშვიდადთქვა შუშანა ჩახმახჩიანმა. კაშკაშა თეთრი სინათლის ქვეშ მისსახეზე გაცილებით უკეთ მოჩანდა უამრავი ნაოჭი. ხელებზე მეწამული ვენები ეტყობოდა, - ამ უცოდველ კრავს ისევე ვჭირდებით, როგორც ჩვენ გვჭირდება იგი, - შეუპოვრობის ნაცვლად ბებიას სახეზე მორჩილება აღებეჭდა. ოჯახის უფროსმა თავი დააქნია და დასძინა, - მარტო სომეხს შეუძლია გაიგოს, რას ნიშნავს, როცა ერი ასე ცოტაკაცდება. გადაჭრილი ხესავით გავხმით... როუზს შეუძლია ვისაც უნდა, იმას ხვდებოდეს და ცოლადაც კი გაჰყვეს, მაგრამ მისი ქალიშვილი სომეხია და სომეხმა უნდა გაზარდოს... - ბებია შუშანა წინ გადაიხარა და უფროს ქალიშვილს ღიმილით უთხრა, - ეგ ნახევარი მომეცი, თეფშზე

რომ გაქვს, კარგი? გინდ გქონია დიაბეტი, გინდ არა, ბურმაზე როგორ უნდა თქვა უარი?

4

მოხალული თხილი

ასია კაზანჯიმ არ იცოდა, რატომ უყვარდა ზოგიერთს დაბადების დღეები ასე ძალიან. თავად ასია იუბილეებს იმთავითვე შეიძლება იმიტომ ვერ იტანდა, რომ პატარაობიდანვე ყველა დაბადების დღეზე ერთი და იმავე ნამცხვრის ჭამას აიძულებდნენ. ეს ძალიან ტკბილი სამფენიანი ვაშლის ტორტი იყო კარამელითა და ძალიან მჟავე ლიმონისნაღებიანი მინანქრით. გოგონას ვერ გაეგო, რატომ ეგონათ დეიდებს, რომ ასეთი ტკბილეულით გაახარებდნენ მას შემდეგ, რაც დისშვილის დაუსრულებელი საპროტესტო გამოთქმები ყველას მოსმენილი ჰქონდა.

შეიძლება ასიას დეიდებს ავიწყდებოდათ დისწულის სიტყვები. შეიძლება ყოველ ჯერზე გონებიდან იშლიდნენ მის ბოლო დაბადების დღესთან დაკავშირებულ მოგონებებს. ეს სავსებით შესაძლებელი იყო. კაზანჯების ოჯახში სხვისი ამბები არასოდეს ავიწყდებოდათ, მაგრამ როდესაც საქმე თავად ეხებოდათ, მეტყველების უნარი ერთმეოდათ.

ასე და ამგვარად, ასია კაზანჯი ყოველ დაბადების დღეზე ერთსა და იმავე ნამცხვარს მიირთმევდა და საკუთარი თავის შესახებ თითო-თითო ახალ ამბავსაც იგებდა. მაგალითად, სამი წლისამ აღმოაჩინა, რომ თითქმის ყველაფერი შეეძლო მიეღო, რასაც მოისურვებდა იმ პირობით, თუ ბავშვურ ცოფის ყრას დაიმართებდა. სამი წლის შემდეგ, სწორედ მაშინ, ექვსი წლისა რომ შეიქნა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოთხოვნები კმაყოფილდებოდა, მიხვდა, უკეთესი იქნებოდა, თუ არ გაბრაზდებოდა, რადგან ასე კიდევ უფრო გაჭიანურდებოდა მისი ბავშვობა. რვა წლის რომ გახდა, ასიამ ისეთი რამ შეიტყო, რასაც მანამდე მხოლოდ ხვდებოდა, მაგრამ დარწმუნებული არ გახლდათ, - გაიგო, რომ ნაბიჭვარი იყო.

„რომ არა ბებია გულსუმი, ამის გასაგებად გაცილებით მეტი დრო დამჭირდებოდა“, - ფიქრობდა ასია წარსულის გახსენებისას და საკუთარი თავის შესახებ ამ დეტალის გარკვევა დიდ მიღწევად არ მიაჩნდა.

ისე მოხდა, რომ იმ დღეს ბებია და შვილიშვილი სასტუმრო ოთახში მარტო დარჩნენ. გულსუმი მცენარეების მორწყვით იყო გართული. ასია ამასობაში საბავშვო გასაფერადებელ რვეულში ჯამბაზს აფერადებდა, თან ბებიას ადევნებდა თვალს.

- რატომ ელაპარაკები მცენარეებს? - დაინტერესდა გოგონა.

- თუ დაელაპარაკები, მცენარე აყვავდება.

- მართლა? - გაიბადრა ასია.

- მართლა. თუ ეტყვი, რომ მიწა დედაა მისი, წყალი კი - მამა, მოცოცხლდება და აყვავდება.

გოგონას მეტი არაფერი უკითხავს, ისევ გასაფერადებელს მიუბრუნდა. ჯამბაზის კოსტიუმი ნარინჯისფრად შეღება, კბილები კი მწვანედ გაუფერადა. ხასხასა ჟოლოსფერი ფეხსაცმელების ჯერი რომ დადგა, ასიამ ბებიას გამოჯავრება დაიწყო:

- საყვარელო, საყვარელო! მიწა დედაა შენი, წყალი კი - მამა.

ბებია გულსუმმა თავი მოიკატუნა, თითქოს არაფერი ესმოდა. უფროსის გულგრილობით გათამამებულმა შვილიშვილმა ღიღინს მოუმატა.

ბებია გულსუმის საყვარელი აფრიკული იის მორწყვის რიგი რომ მოვიდა, ქალმა მცენარეს ღუღუნით ჰკითხა:

- როგორ ხარ, ძვირფასო?

- როგორ ხარ, ძვირფასო? - ღუღუნით გააჯავრა ბებიას გოგონამაც.

გულსუმმა წარბები შეკრა, ტუჩები მოკუმა და განაგრძო:

- რა ლამაზი იისფერია!

- რა ლამაზი იისფერია! - გაიმეორა ასიამაც.

აი, მაშინ კი ბებიამ ტუჩები გახსნა და ჩაიჩურჩულა:

- ნაბიჭვარი, - გულსუმმა ეს სიტყვა იმდენად აუღელვებლად თქვა, ასია მაშინ ვერც კი მიხვდა, ბებია მას რომ მიმართავდა და არა ყვავილს.

გოგონამ სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაიგო, დაახლოებით მაშინ, ცხრა წლის რომ უნდა გამხდარიყო. ვიღაც ბავშვმა დაუძახა სკოლაში ნაბიჭვარი. ათი წლის ასიამ აღმოაჩინა,

რომ ყველა სხვა კლასელი გოგონასაგან განსხვავებით, შინ მისაბაძი მამაკაცი არ მოეპოვებოდა. კიდევ სამი წელიწადი დასჭირდა იმის გასაცნობიერებლად, რომ ამ ყველაფერს მის პიროვნებაზე დიდხანს ექნებოდა გავლენა.

მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე დაბადების დღეზე საკუთარი ცხოვრების შესახებ კიდევ სამ ჭეშმარიტებას ახადა ფარდა: სხვა ოჯახები მისას არ ჰგავდა და ზოგიერთი ოჯახი ნორმალური იყო; მის საგვარეულოში იყო ძალიან ბევრი ქალი და ძალიან ბევრი საიდუმლო მამაკაცების შესახებ, რომლებიც ერთობ ნაადრევად და უცნაურად გაუჩინარებულიყვნენ. კიდევ მოისაზრა, - მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცდილობდა, ლამაზი ქალი არასოდეს იქნებოდა.

ჩვიდმეტის რომ ხდებოდა, ასია კაზანჯი მიხვდა, ზუსტად ისე ეკუთვნოდა სტამბოლს, როგორც თვითმმართველობის მიერ დროებით გამოლაგებული ფირნიშები, რომლებიც იუწყებოდნენ, რომელიღაც გზა შენდება ან რომელიმე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობსო. მიხვდა, რომ ისევე იყო სტამბოლის ნაწილი, როგორც უკუნ ღამეებში ქალაქის თავზე ჩამოწოლილი ნისლი, რომელიც ირიჟრაჟებს თუ არა, არაფრად იქცევა და უმისამართოდ იფანტება.

მომდევნო წელს, მეთვრამეტე დაბადების დღემდე ზუსტად ორი დღე რომ იყო დარჩენილი, ასიამ წამლების ყუთი მოიპარა და თუ რამ კაფსულა ნახაშიგნით, ყველა გადაყლაპა. თვალები რომ გაახილა, საწოლის ირგვლივ დეიდები, დიდედა და ბებია გულსუმი დაინახა. რამდენიმე სახის მღვრიე, სუნიანი ბალახეული ჩაის დალევა აიძულეს, თითქოს ის არკმაროდა, რომ ყველაფერი ამოარწყევინეს, რაც კუჭში ჰქონდა.

ასიას ცხოვრების მეთვრამეტე წელიწადი იმით დაიწყო, რომ გოგონამ აღმოჩენებზე მისამატებელი კიდევ ერთი ფაქტი გამოარკვია. მიხვდა, რომ საზარელ სამყაროში, რომელშიც ყველანი ცხოვრობდნენ, თვითმკვლელობა ისეთივე იშვიათი ფუფუნება იყო, როგორიც ლალის ქვები, და მისნაირი ოჯახის პატრონი ამ პრივილეგიას, რა თქმა უნდა, ვერასოდეს ეღირსებოდა.

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა რაიმე კავშირი ასიას მიერ გამოტანილ ამ დასკვნასა და იმას შორის, რაც შემდეგ მოხდა. დაახლოებით იმავე პერიოდში გოგონა მუსიკით დაინტერესდა. ეს არ ყოფილა საზოგადოდ მუსიკის აბსტრაქტული და ყოვლისმომცველი სიყვარული, არც მუსიკის კონკრეტული ჟანრებით გატაცება. ეს სიყვარული კი არა, ერთადერთი და განუმეორებელი მომღერლის, ჯონი კეშის აკვიატება უფრო იყო.

ასიამ ყველაფერი იცოდა მომღერლის მიერ არკანზასიდან მემფისამდე გავლილი გზის უთვალავი დეტალის, კეშის თანამეინახეების, ქორწინებების, მისი აღმაფრენებისა და დაცემის, სურათების, ჟესტებისა და, რა თქმა უნდა, მისი ლექსების შესახებ. ასიამ, რომელსაც თვრამეტი წლის ასაკში სიმღერა „ცამეტის“ სიტყვები ცხოვრების დევიზად ექცა, გადაწყვიტა, რომ თავადაც ტანჯვისათვის იყო გაჩენილი და სადაც კი მივიდოდა, ყველგან უბედურებას მიიტანდა.

მეცხრამეტე დაბადების დღეზე ასია კაზანჯი თავს უფრო ზრდასრულად გრძნობდა და გონებაში მოენიშნა კიდევ ერთი ჭეშმარიტება, რომელიც მის ცხოვრებას ეხებოდა. მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ სწორედ იმდენი წლის გახდა, რამდენისაც დედამისი იყო, როდესაც ის გაიჩინა, ასია, ცოტა არ იყოს, დაიბნა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ამიერიდან, სავარაუდოდ, ბავშვივით ვეღარ მოექცეოდნენ.

- გაფრთხილებთ, წელს დაბადების დღის ტორტი არ მინდა! - შეუღრინა თავისიანებს ასიამ.

მხარბეჭიან და დოინჯშემორტყმულ გოგონას წამით დაავიწყდა, როცა ასე იდგა, დიდი ძუძუები გადმოყრაზე რომ ჰქონდა. რომ შეემჩნია, ისევ კუზიანის ჩვეულ პოზაში დადგებოდა. ასიას სძაგდა სავსე მკერდი, რომელიც, როგორც მიხვდა, დედისაგან მიღებული გენეტიკური ტვირთი იყო.

ხანდახან ასია კაზანჯი საკუთარ თავს ყურანში ნახსენებ იდუმალ არსებას, დაბეთ-ულ-არზს ადარებდა, რომელიც განკითხვის დღეს უნდა გამოჩენილიყო. კაციჭამია გოლიათი სხეულის ყველა ნაწილს ბუნებაში არსებულ სხვადასხვა ცხოველს დასესხებოდა. ამ ჰიბრიდული

ქმნილების მსგავსად, ასიას ტანიც მისი ოჯახის ქალებისაგან მემკვიდრეობით მიღებული და ერთმანეთთან შეუხამებელი ნაწილებისაგან შედგებოდა.

მაღალი იყო, სტამბოლელი ქალების უმეტესობაზე გაცილებით მაღალი, ისევე როგორც დედამისი, ზელიჰა, რომელსაც გოგონა დანარჩენებივით დეიდას ეძახდა. გარდა ამისა, ასიას დეიდა ჯევრიესთანა გაჩხინკული, დაძარღვული თითები, დეიდა ფერიდეს უშნოდ წაწვეტებული ნიკაპი და დეიდა ბანუს უზარმაზარი ყურები ჰქონდა. მისნაირი თვალში საცემად კეხიანი ცხვირის პატრონს მსოფლიო ისტორია მხოლოდ ორს იცნობდა, - სულთან მეჰმედ დამპყრობელსა და დეიდა ზელიჰას. მოგწონდათ ეს თუ არა, სულთან მეჰმედს კონსტანტინოპოლი დაეპყრო და ეს საკმარისად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო იმისათვის, დამპყრობლის ცხვირის ზომაზე ადამიანებს თვალი რომ დაეხუჭათ. რაც შეეხება დეიდა ზელიჰას, მისი პიროვნება იმდენად შთამბეჭდავი გახლდათ, ხოლო მისი სხეული - იმდენად მომხიბვლელი, რომ არც მის ცხვირსა და არც სხეულის რომელიმე სხვა ნაწილს ნაკლად არავინ აღიქვამდა. „რა ჯანდაბა უნდა მოვუხერხო ამ ცხვირს“, - ფიქრობდა ასია, რადგან მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებში არც იმპერიალისტური მიღწევები შედიოდა და არც ბუნებას ებოძებინა ადამიანების მოხიბვლის უნარი.

ნათესავებისაგან მემკვიდრეობით კარგი რაღაცებიც გამოჰყოლოდა. უპირველესად ეს მისი თმა იყო. შავი, ხვეული, გაწეწილი თმა, თეორიულად კაზანჯის მოდგმის ყველა ქალის თმას ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში ასეთი თმა მხოლოდ დეიდა ზელიჰას ჰქონდა. მაგალითად, მოწესრიგებული დეიდა ჯევრიე, რომელიც საშუალო სკოლის მასწავლებელი გახლდათ, თმას მჭიდრო შინიონად იკრავდა და ისე ატარებდა, ხოლო დეიდა ბანუსთან რაიმე პარალელის გავლება საერთოდ შეუძლებელი იყო, რადგან ბანუ თითქმის ყოველთვის თავშლით დადიოდა. დეიდა ფერიდე გაშმაგებით იცვლიდა ვარცხნილობასა და თმის ფერს იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათზე იყო. ბებია გულსუმი ბამბის ქულასავით იყო. თოვლივით თეთრი თმის შეღებვა არ უნდოდა.

ამბობდა, ასაკოვან ქალს არ შეშვენისო. აი, დიდედა კი თავისი წითური თმის ერთგული გახლდათ. ალცჰაიმერის დაავადების გამო, რომელიც დიდედას დღითი დღე უმძიმდებოდა, მოხუცს უამრავი რამ შეიძლებოდა, არ გახსენებოდა, მათ შორის საკუთარი მონაგრის სახელებიც, მაგრამ თმის ინით შეღებვა ამ დრომდე ერთხელაც არ დავიწყებოდა.

ასია კაზანჯის დადებითი გენეტიკური თვისებების ნუსხა დეიდა ბანუსაგან მემკვიდრეობით მიღებული ნუშისებრი, ნუკრის თვალებით, დეიდა ჯევრიეს მაღალი შუბლითა და დეიდა ფერიდეს ტემპერამენტით სრულდებოდა. სწორედ ამ ტემპერამენტის დამსახურება იყო, რომ ასია მეტისმეტად სწრაფად ფეთქდებოდა და რაღაც უცნაურობის ძალით ცოცხლებს შორის რჩებოდა.

მიუხედავად ისედაც აშკარა მსგავსებისა, ასია კაზანჯი ვერ იტანდა, რომწლიდან წლამდე კიდევ მეტად ემსგავსებოდა თავისიანებს. ასიასა და მისი ოჯახის ქალებს შორისერთადერთი განსხვავება იყო: კაზანჯების უგუნურება. ამ გვარის ქალები, ყველანი, უგუნურები იყვნენ. ერთხანს იმისთვის, რომ მომავალში დანარჩენებივით არ მოქცეულიყო, ასია საკუთარ თავს დაჰპირდა, რომ არასოდეს გადაუხვევდა თავისი რაციონალური და ანალიტიკური გონების გზიდან.

მეცხრამეტე დაბადების დღისათვის ასია კაზანჯი გახლდათ ახალგაზრდა ქალი, რომელიც იმდენად შთაგონებული იყო საკუთარი ინდივიდუალურობის დამტკიცების აუცილებლობით, რომ ყველაზე უცნაური აჯანყებების მოწყობაც კი ხელეწიფებოდა და თუ ამჯერად დაბადების დღის ტორტზე უარს ჩვეულებრივზე უფრო მგზნებარედ ამბობდა, მის სიბრაზეს უწინდელზე უფრო სერიოზული მიზეზიც ჰქონდა.

- აღარავითარი სულელური ტორტი! - გამოაცხადა ასიამ.

- ძალიან დაგაგვიანდათ, ქალბატონო, უკვე მზად არის, - თქვა დეიდა ბანუმ და თვალი შეავლო დისშვილს, რომელმაც წუთის წინ გახსნილ რვა პენტაგრამას გადახედა. თუ მომდევნო სამი კარტი განსაკუთრებულად იმედისმომცემი არ იქნებოდა, მაშინ მაგიდაზე გაშლილი ტაროს დასტა ცუდ ამბავს მოასწავებდა, - მაგრამ თავი მოიკატუნე,

თითქოს არაფერი იცი, თორემ დედაშენს ეწყინება. სიურპრიზი უნდა იყოს!

- როგორ შეიძლება ასეთი ადვილად გამოსაცნობი რამე სიურპრიზი იყოს? - ჩაიბურტყუნა ასიამ, რომელმაც უკვე ძალიან კარგად იცოდა, რომ კაზანჯების ოჯახის წევრობა სხვა ყველაფერთან ერთად აბსურდის ალქიმიის აღიარებას, უაზრობის ერთგვარ ლოგიკად ტრანსფორმირებას ნიშნავდა, რომლითაც ნებისმიერი ადამიანის დარწმუნება იყო შესაძლებელი, ცოტა მეტი მონდომების შემთხვევაში კი - საკუთარი თავისაც.

- პროგნოზირება და წინასწარმეტყველება ამ სახლში ჩემი საქმეა და არა შენი, - თვალი ჩაუკრა ასიას ბანუმ.

ეს სიმართლე იყო, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. დეიდა ბანუ, რომელიც წლების განმავლობაში ნათელმხილველობის ნიჭს იღრმავებდა, კლიენტებს შინ იღებდა და ფულს ამით შოულობდა.

იმისათვის, რომ მკითხავი ლეგენდად ქცეულიყო, სტამბოლში თვალის ერთი დახამხამებაც კმაროდა. თუ იღბალი თქვენს მხარეზე იყო, საკმარისი იყო, ვისიმე მომავალი დაგენახათ და ეს ადამიანი უმალ თქვენი მთავარი კლიენტი ხდებოდა. მერე ქარი, თოლიები და კლიენტებს შორის გამორჩეული რომელიმე ქალი მთელ ქალაქში ხმას ისე სწრაფად დაარხევდნენ, რომ ერთ კვირაში კართან მომლოდინე კლიენტების რიგი დაგიდგებოდათ. ასე გაიკვლია გზა წინასწარ ჭვრეტის ხელოვნების კიბეზე დეიდა ბანუმაც. ყოველ მომდევნო საფეხურზე ასვლისას სულ უფრო მეტად ითქვამდა სახელს.

ბანუსთან კლიენტები მთელი ქალაქიდან მოდიოდნენ, - გამოუცდელები და დაქვრივებულები, ქალწულები და უკბილო ბებიები, ღარიბები და მდიდრები. თითოეულ მათგანს თავისი საფიქრალი ჰქონდა და იმის დარდი კლავდა, რა მოემზადებინა მისთვის ცვალებად ქალბატონ ფორტუნას.

დეიდა ბანუსთან ქალები უამრავი კითხვით მოდიოდნენ, კაზანჯების სახლიდან წასვლისას კი კიდევ მეტი კითხვა მიჰქონდათ თან. მადლიერების გამოსახატავად ან ფორტუნის მოსყიდვის შესაძლებლობის მო-

ლოდინით ზოგიერთი დიდ თანხას იხდიდა, თუმცა, იყვნენ ისეთებიც, ვინც გროშისთვისაც არ იკრავდა ჯიბეზე ხელს. ერთმანეთისაგან განსხვავებულ კლიენტებს ერთი მთავარი თვისება აერთიანებდა: ყველა მათგანი ქალი იყო. იმ დღეს, როდესაც საკუთარი თავი წინასწარმეტყველად შერაცხა, დეიდა ბანუმ დაიფიცა, მამაკაც კლიენტებს არასოდეს მივიღებო.

დროთა განმავლობაში ბანუს ცხოვრებაში ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა. ცვლილებები უპირველესად მის გარეგნობას შეეხო. ნათელმხილველის კარიერის დასაწყისში ბანუ სახლში მხრებზე დაუდევრად მოგდებული დიდებულად მოქარგული ალისფერი მოსახვევებით დააბიჯებდა. მოკლე ხანში მოსახვევები ქიშმირის შარფებმა შეცვალა, შარფები - ფაშმინის მოსასხამებმა, მოსასხამები კი - თავისუფლად გამოკრულმა აბრეშუმის ჩალმებმა. ყველაფერი ყოველთვის წითელი იყო.

ამის შემდეგ დეიდა ბანუმ მოულოდნელად გამოაცხადა ერთი გადაწყვეტილების შესახებ, რომელზეც ალაჰმა უწყის, რამდენ ხანს ფიქრობდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ყველაფერს მატერიალურსა და მიწიერს გასცლოდა და მთლიანად ღმერთის სამსახურისათვის მიეძღვნა თავი. ზარ-ზეიმით გამოაცხადა, რომ მზად იყო, სინანულის ეტაპი გაევლო და უარი ეთქვა ყველა ამქვეყნიურ სიამეზე, ისევე, როგორც დავრიშები აკეთებდნენ წარსულში.

კაზანჯების გვარის ისტორიაში გაუგონარ მკრეხელობაზე ბანუსთვის ხელი რომ აეღებინებინათ, დებმა ერთხმად და ცინიკურად შესძახეს:

- შენ დავრიში არა ხარ, - და სამივე მათგანმა სიტყვა წინააღმდეგობებზე ჩამოაგდო. ცდილობდნენ, რაც შეიძლება დამაჯერებლად ელაპარაკათ.

- გაითვალისწინე, უხეში ჯვალოს ტომრებს ან შალის ტანსაცმელს ატარებდნენ და არა ქიშმირის შარფებს, - სასხვათაშორისოდ შენიშნა დებს შორის ყველაზე მგრძნობიარე დეიდა ჯევრიემ.

შეჭირვებულმა დეიდა ბანუმ ნერწყვი გადაყლაპა. ახლა მას ტანსაცმელიც აწუხებდა და საკუთარი სხეულიც.

- დავრიშებს თივაზე ეძინათ ხოლმე და არა უზარმაზარ ბუმბულის ლეიბებზე, - საუბარში დებს შორის ყველაზე შეშლილი დეიდა ფერიდეც ჩაერთო.

დეიდა ბანუ უსიტყვოდ იდგა და კითხვების ავტორებთან ვიზუალური კონტაქტისათვის თავის ასარიდებლად ოთახს კიდით კიდემდე ათვალიერებდა.

- მაგის გარდა, დავრიშებს სამკაული არ ჰქონდათ. შენს თავს შეხედე! - თქვა დეიდა ზელიჰამ, რომელიც დებს შორის ყველაზე ორიგინალური გახლდათ.

- არც მე. მეც აღარმაქვს. ეგ დრო წავიდა, - თავდაცვის მიზნით საპასუხო შეტევა წამოიწყო დეიდა ბანუმ, მერე კი მორგებული იდუმალი ხმით, ახლახან რომ დაეყენებინა, დასძინა, - ომში ჩემი სამკაულით წავალ და გამარჯვებას მოვიპოვებ!

როცა კაზანჯების ოჯახში ვინმეს გამბედაობა ჰყოფნიდა და უჩვეულოდ იქცეოდა, დანარჩენებს სულ ერთი და იგივე რეაქცია ჰქონდათ, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „მიდი. აი, დარდი“. შესაბამისად, დეიდა ბანუს განზრახვას სერიოზულად არავინ აღიქვამდა.

საყოველთაო სკეპტიციზმი რომ შენიშნა, ბანუმ თავისი ოთახისაკენ გასწია, კარი მოიჯახუნა და მომდევნო ორმოცი დღის განმავლობაში არც გაუღია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამზარეულოსა და საპირფარეშოში მის ხანმოკლე ვიზიტებს. დეიდა ბანუმ კარი მოღებული ერთადერთხელ დატოვა, ისიც მაშინ, როცა მუყაოს პლაკატს აკრავდა წარწერით: „შემოსვლისას საკუთარი თავი ყველამ დაივიწყეთ!“

თავიდან ბანუ ფაშა მესამეს წაყვანას შეეცადა, რომელიც სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა. ალბათ, ფიქრობდა, სევდიანი სინანულისას კომპანიონობას გამიწევსო. სიტყვამ მოიტანა და დავრიშებს საყვარელი შინაური ცხოველები არ ჰყოლიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ფაშა მესამე დროდადრო უკარება გახლდათ, განდეგილის ცხოვრება მისთვის მეტისმეტი იყო. ძალიან ბევრი სისხლხორცეული ინტერესი ჰქონდა, დაწყებული ფეტითა და დამთავრებული ელექტროზონრებით. ერთ საათზე მეტი დრო არ იყო გასული, დეიდა ბანუს სენაკში ფაშა მესამემ ყურისწამღები კნავილი რომ მორთო. კარს ისეთი გააფთრებით კაწრავდა, რომ ოთახიდან დაუყოვნებლივ გაუშვეს.

ერთადერთი გამრთობის დაკარგვის შემდეგ დეიდა ბანუ მარტოობას მიეცა, ლაპარაკი აიკრძალა, ყველასათვის დაყრუვდა და დამუნჯდა. აღარც შხაპს იღებდა, არც თმას ივარცხნიდა და თავის საყვარელ საპნის ოპერასაც არ უყურებდა. ბრაზილიურ დრამაში, სახელწოდებით „შეყვარებული აივის წყევლა“, გულკეთილ სუპერმოდელს უსაყვარლესი ადამიანებისაგან ყველანაირი ღალატის ატანა უწევდა.

ნამდვილი შოკი ის იყო, დეიდა ბანუ, რომელსაც ყოველთვის საუცხოო მადა ჰქონდა, წყლისა და პურის მეტს არაფერს რომ არ ჭამდა. ყველამ იცოდა, როგორ უყვარდა ბანუს ნახშირწყლები, განსაკუთრებით პური, მაგრამ არასოდეს არავის უფიქრია, რომ მარტო პურზე გადავიდოდა. ბანუს საცდუნებლად და წასაქეზებლად მისი დები რას არ აკეთებდნენ, ათასნაირ კერძს ამზადებდნენ, სახლში ტკბილი დესერტების სურნელს აყენებდნენ, ზეთში წვავდნენ თევზს, ბრაწავდნენ ხორცს, ხშირად ბევრ კარაქში, სუნის გასაძლიერებლად.

დეიდა ბანუს წამითაც არ უორჭოფია. უფრო მეტიც, უწინდელზე უფრო განმტკიცდა მასში ღვთისმოსაობის სული. ხმელი პურიც უწინდელზე მეტად შეუყვარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, ორმოცი დღისა და ღამის განმავლობაში ოჯახის წევრებისათვის ბანუ მიუწვდომელი იყო. ყოველდღიური რუტინა, ანუ ჭურჭლისა და სარეცხის რეცხვა, ტელევიზორის ყურება თუ მეზობლებთან ჭორაობაც დეიდა ბანუს ახლა ღვთის გმობად მიაჩნდა და უნდოდა, მასთან საერთო არაფერი ჰქონოდა.

მომდევნო დღეებში განდეგილის ამბით დაინტერესებულ დებს ბანუ სულ ერთსა და იმავე საქმეში გართული ხვდებოდათ - წმინდა ყურანს კითხულობდა ხმამაღლა. ღრმა ნეტარებას მიცემული ბანუ იმ ადამიანებს გაუუცხოვდა, ვისაც მთელი ცხოვრება იცნობდა. ამას მოჰყვა ორმოცდამეერთე დღე. დილით, როცა საუზმედ ყველა შემწვარ სუჯუკსა და ერბოკვერცხს მიირთმევდა, ბანუ თავისი ოთახიდან გამოფრატუნდა. ღიმილისაგან სახეგანათებულს თავზე ალუბლისფერი შარფი ეხურა, თვალები კი უცნაურად უბრწყინავდა.

- ეს რა ჯანდაბა გახურავს თავზე? - ასეთი იყო ბებია გულსუმის პირველი რეაქცია. ბებია, რომელსაც ხასიათი ოდნავადაც არ შერბილებოდა, ხანდაზმულობაშიც ისევე ჰგავდა ივანე მრისხანეს, როგორც წლების წინ.

- ამ წუთიდან თავს ისე დავიბურავ, როგორც ჩემი რწმენა მოითხოვს.

- ეს რაღა სისულელეა! - წარბები შეყარა ბებია გულსუმმა, - თურქმა ქალებმა ჩადრი ცხრამეტი წლის წინ მოიხსნეს. ჩემი არც ერთი ქალიშვილი არ იტყვის უარს ამ ქვეყნის ქალებისათვის დიდი მთავარსარდლის, ათათურქის მიერ ბოძებულ უფლებებზე.

- დიახ, ხმის მიცემის უფლება ქალებს 1934-ში მისცეს, - გამოეხმაურა დედას დეიდა ჯევრიე, - რომ იცოდე, ისტორია წინ მიდის და არა უკან. ეგ რაღაც ახლავე მოიხსენი!

დეიდა ბანუს შარფი არ მოუხსნია. იდგა ასე თავსაფრიანი და რაკი მთღ-ტესტი, ანუ მოთმინების, თაყვანისცემისა და ღვთისმოსაობის გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა, თავი წინასწარმეტყველადაც გამოაცხადა.

ბანუს გარეგნობის კვალდაკვალ ღრმა ცვლილებები განეცადა ნათელმხილველობის მისეულ ტექნიკასაც. თავიდან თავისი კლიენტების მომავალს მხოლოდ და მხოლოდ ყავის ფინჯნების მეშვეობით წინასწარმეტყველებდა, მაგრამ დრო მოვიდა და თანდათან ახალი, არატრადიციული მეთოდების გამოყენებას მიჰყო ხელი. მკითხაობდა ტაროს კარტზე, ხმელი ლობიოს მარცვლებზე, ვერცხლის მონეტებზე, კრი-

ალოსანზე, კარის ზარზე, ხელოვნურ და ბუნებრივ მარგალიტსა და ოკეანის კენჭებზე, ყველაფერზე, რასაც პარანორმალური სამყაროდან ახალი ამბების მოტანა შეეძლო.

ზოგჯერ დეიდა ბანუ დიდი მონდომებით ემუსაიფებოდა საკუთარ მხრებს, რომლებზეც, მისი თქმით, ორი უხილავი ჯინი ჩამოსჯდომოდა და ფეხებს აკონწიალებდა. კეთილი ჯინი მარჯვენა მხარზე იჯდა, ბოროტიკი - მარცხენაზე. მართალია, თავად ბანუმ მათი სახელები იცოდა, მაგრამ არ წამომცდესო, და ქალბატონ სიამესა და ბატონ სიმწარეს ეძახდა.

- თუ მარცხენა მხარზე ბოროტი ჯინი გაზის, ძირს რატომ არ მოისვრი? - ჰკითხა ერთხელ დეიდამისს ასიამ.

- იმიტომ, რომ ცუდი ვინმეების კომპანია ზოგჯერ ყველას სჭირდება, - უპასუხა დისწულს ბანუმ.

ასიამ ჯერ თითქოს წარბები შეჭმუხნა, მერე თვალები გადაატრიალა, მაგრამ არც ერთ ჟესტს იმაზე დიდი შედეგი არ მოჰყოლია, ვიდრე ბავშვური სახის მიღება იყო. ასიამ ერთი მელოდია წაიღიღინა ჯონი კეშის სიმღერიდან, რომელსაც დეიდებთან ყოფნისას ხშირად იხსენებდა ხოლმე: „Why me Lord, what have I ევერ დონე?“

- რას უსტვენ? - ეჭვით იკითხა დეიდა ბანუმ. ბანუს ინგლისურისა არაფერი გაეგებოდა, თან დიდი უნდობლობით უყურებდა ნებისმიერ ენას, რომელშიც აშკარა რამეც კი შეიძლებოდა გამორჩენოდა.

- ისეთ სიმღერას ვმღეროდი, რომელშიც ნათქვამია, რომ როგორც უფროსი დეიდა, შენ, სავარაუდოდ, ჩემთვის მისაბაძი მაგალითი იქნები და კარგისა და ცუდის გარჩევას მასწავლი.

- აი, რას გეტყვი, - გამოაცხადა დეიდა ბანუმ, თან დისშვილს დაჟინებით უცქერდა, - ამ სამყაროში არსებობს ისეთი საშინელი რამეები, რომლებზეც გულკეთილ ადამიანებს, ალაჰმა დალოცოს ყველა, წარმოდგენაც არა აქვთ. გეუბნები, ეს სრულიად შესანიშნავია. ძალიან კარგია, კარგმა ადამიანებმა რომ არაფერი იციან ასეთ რამეებზე, რადგან მათი უმეცრება მათივე გულკეთილობას ამტკიცებს. სხვანაირად კარგები არ იქნებოდნენ, არა?

ასიას ისღა დარჩენოდა, რომ თავი დაექნია. ბოლოს და ბოლოს, მისი აზრით, ალბათ, ჯონი კეშიც იმავეს ფიქრობდა.

- მაგრამ ოდესმე ბოროტების საბადოში თუ შეაბიჯებ, შველა ასეთ ადამიანებს არ უნდა სთხოვო.

- და ფიქრობ, რომ დახმარება ავ ჯინს უნდა ვთხოვო! - აღმოხდა ასიას.

- შეიძლება, - დეიდა ბანუმ გოგონა შეაჯანჯღარა, - იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არასოდეს მოგიწევს.

მორჩა და გათავდა. მას შემდეგ არასდროს უსაუბრიათ იმაზე, რაც კეთილ ადამიანებს ზღუდავდა, და არც იმაზე, რის გამოც უპრინციპოები საჭირონი იყვნენ.

მაშინ, ან დაახლოებით მაშინ, დეიდა ბანუმ კიდევ ერთხელ შეცვალა ნათელმხილველობის ტექნიკა და თხილზე გადავიდა. ხშირად სამკითხაოდ მოხალულ თხილს იყენებდა. ოჯახში ეჭვი ჰქონდათ, რომ ამ სიახლეს, ისევე, როგორც სხვა ინოვაციების უმეტესობას, საფუძვლად წმინდა წყლის დამთხვევა ედო. როგორც ჩანს, დეიდა ბანუს რომელიღაც კლიენტი სწორედ მაშინ წაადგა თავს, როდესაც თხილს ხარბად ნთქავდა. თხილზე მკითხაობა საუკეთესო გასამართლებელი საბუთი იყო, რომელიც დეიდა ბანუს თავში მოუვიდა. ასე ფიქრობდა მისი ოჯახის ყველა წევრი. თხილზე მარჩიელობის ახალი მეთოდის სხვაგვარი ახსნა არც ერთ მათგანს არ მოეპოვებოდა.

ბანუ, რომელიც სტამბოლში მოარული ხმის თანახმად, წმინდანი იყო, ხელმოკლე კლიენტებს ფულს არ ართმევდა და სანაცვლოდ მხოლოდ ერთი მუჭა თხილის მოტანას სთხოვდა. თხილი ბანუს დიდსულოვნების სიმბოლოდ იქცა. ასე იყო თუ ისე, უცნაურმა ახალმა მეთოდმა კიდევ უფრო გაზარდა ბანუს ისედაც გაბერილი პოპულარობა. „თხილის დედასა“ და „თხილის შეიხსაც“ კი ეძახდნენ და ავიწყდებოდათ, რომ შეზღუდული უფლებების მქონე ქალებს ამ პატივსაცემი ტიტულის მიღება არ შეეძლოთ.

ბოროტი ჯინი, მოხალული თხილი... მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ასია კაზანჯი ამ და სხვა უცნაურობებს შესჩვეოდა კი-

დეც, არსებობდა უფროს დეიდასთან დაკავშირებული ერთი ისეთი რამ, რასთან შეგუებაც გოგონას ძალიან უჭირდა: სახელი. შეუძლებელი იყო იმასთან შეგუება, რომ „დეიდა ბანუ“ შეიძლებოდა ვიღაც „თხილის შეიხად“ გადაქცეულიყო. ამის გამო, როცა სახლში კლიენტები იყვნენ, ანდა მაგიდაზე ტაროს კარტი იყო გაშლილი, ასია უბრალოდ თავს არიდებდა მათ. სწორედ ამიტომ მოიკატუნა ასიამ თავი, თითქოს არ მოუსმენია დეიდას ნათქვამი ბოლო სიტყვები, რომლებიც მშვენივრად გაიგონა. ასია ბოლომდე ნეტარ უმეცრებას მიეცემოდა, სასტუმრო ოთახში დეიდა ფერიდე რომ არ შესულიყო. ფერიდეს ხელში უზარმაზარი ბრტყელი თეფში ეჭირა, რომელზეც დაბადების დღისთვის მომზადებული ტორტი ლაპლაპებდა.

- აქ რას აკეთებ? - დაუბღვირა დეიდა ფერიდემ ასიას, - აქ არ უნდა იყო. ბალეტის გაკვეთილი გაქვს ახლა.

ბალეტი ასიას ბორკილებივით ედო კისერზე. თურქეთის საშუალო კლასის წარმომადგენელი დედების დიდი ნაწილის მსგავსად, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ, მათი შვილები გამორჩეული ყოფილიყვნენ ყველაფერში, რაშიც,საერთო შეხედულების შესაბამისად, მაღალი კლასის წარმომადგენლების შვილებს წარმატება ჰქონდათ, ასიას მსხვილბურჟუაზიული ოჯახი გოგონას ისეთი რამეების გაკეთებას აიძულებდა, რისი სურვილი თავად სულაც არ ჰქონდა.

- საგიჟეთი, - ჩაიბურდღუნა ასიამ. იმ დღეებში ეს სიტყვა მისი მანტრა გამხდარიყო და ხშირ-ხშირად იმეორებდა ხოლმე. მერე გოგონამ ხმას ოდნავ აუწია და თქვა, - არა უშავს. სინამდვილეში წასვლასვაპირებდი.

- რაღა აზრი აქვს? - მჭახედ თქვა დეიდა ფერიდემ და ასიას თეფშზე მიუთითა, - სიურპრიზი უნდა ყოფილიყო!

- წელს ტორტი არ უნდა, - სიტყვა ჩაურთო კუთხიდან დეიდა ბანუმ, როგორც კი გამწკრივებული ტაროს კარტებიდან პირველი სამი გადაბრუნა. უმაღლესი ქურუმი ქალი ამოვიდა - უნებლიე შეცნობის, წარმოსახვის, დაფარული ტალანტებისა და შეუცნობლის გახსნის სიმბოლო.

ბანუმ ტუჩები მოკუმა და შემდეგი კარტი გადაატრიალა. ეს კოშკი იყო, ხმაურიანი ცვლილებების, ემოციური აფეთქებებისა და უეცარი დაცემის სიმბოლო. ერთი წუთის განმავლობაში დეიდა ბანუს ჩაფიქრებული ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა, მერე კი მესამე კარტიც გადააბრუნა. თითქოს მალე სტუმარი უნდა ჰყოლოდათ, ყველაზე მოულოდნელი სტუმარი უცხოეთიდან.

- რას ნიშნავს, დაბადების დღის ტორტი არ უნდა? ღვთის გულისათვის, დღეს მისი დაბადების დღეა! - შესძახა დეიდა ფერიდემ დანაოჭებული ტუჩებით. მისი თვალებიდან ბრაზი გამოკრთოდა. მერე, ალბათ, კიდევ ერთი აზრი მოუვიდა, რადგან ასიასკენ შეტრიალდა და ალმაცერად გადახედა, - გეშინია, რომ ვიღაცა ტორტს მოწამლავდა?

გაოცებულმა ასიამ დეიდა ფერიდეს შეხედა. ამდენი ხნის განმავლობაში პირადი ურთიერთობის გამოცდილების მიუხედავად, ასიას ვერ შეემუშავებინა სტრატეგია, ოქროს სტრატეგია, რომელიც დეიდა ფერიდეს წყობიდან გამოსვლის შემთხვევაში თავად სიმშვიდის შენარჩუნებაში დაეხმარებოდა. ჰებეფრენიასთან ერთად ერთგულად გატარებული წლების შემდეგ დეიდა ფერიდეს ცოტა ხნის წინ პარანოიისკენ გადაენაცვლებინა. რაც უფრო მეტად ცდილობდნენ მის რეალობაში დაბრუნებას, მით უფრო პარანოიდული და ეჭვიანი ხდებოდა.

- ეშინია, რომ ვინმე ტორტს მოწამლავს? რა თქმა უნდა, არა, შე უწყინარო და უცნაურო!

ყველამ, ვინც კი ოთახში იყო, თავი კარისკენ მიატრიალა. კარში დეიდა ზელიჰა იდგა. მხრებზე ველვეტის ქურთუკი მოეგდო, ფეხზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. დამცინავი გამომეტყველება, სახეზე რომ ეფინა, ქალს გულის გამგმირავად ლამაზს ხდიდა. როგორც ჩანს, ოთახში შემოპარულიყო და ჩუმად ისმენდა დანარჩენების საუბარს. ნიჭი ჰქონდა, - როცა უნდოდა, მაშინ წაგადგებოდა თავს.

თურქი ქალების უმეტესობას ქვედაკაბები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ახალგაზრდობაში, ალბათ, მოსწონს. მათგან განსხვავებით, ასაკის მატებასთან ერთად, ზელიჰას არც პირველი დაუგრძელებია და არც მეორე დაუდაბლებია. მისი ჩაცმის სტილი ძველებურად თვალში

საცემი იყო. წლებს მის თითოეულ დაზე თავისი დაღი დაესვა, ზელიჰა კი კიდევ უფრო დამშვენებულიყო. თითქოს იცოდა, ასე დგომას რა ეფექტიც ექნებოდა, დეიდა ზელიჰა კარის ზღურბლს არ შორდებოდა და შეღებილ ფრჩხილებს ითვალიერებდა.

ზელიჰა ხელებს ძალიან უვლიდა - მუშაობაში სჭირდებოდა. რაკი არც ბიუროკრატიული ინსტიტუტები იტაცებდა და არც რაიმე სახის ურთიერთდაქვემდებარება, თან გულით უზარმაზარ სიბრაზესა და მრისხანებას ატარებდა, ადრეულ ასაკში მიხვდა, ისეთი პროფესია უნდა აერჩია, რომელიც დამოუკიდებლობის საშუალებასაც მისცემდა და გამომგონებლობისასაც, თან, თუ შესაძლებელი იქნებოდა, სხვა ადამიანებს ცოტათი მაინც ატკენდა რამეს.

ათი წლის წინ დეიდა ზელიჰას ტატუს სალონი გაეხსნა და ორიგინალური ნიმუშების კოლექციის შექმნაც დაეწყო. სისხლისფერი ვარდების, ფერადოვანი პეპლებისა და სიყვარულისაგან გაბუშტული გულების, ანუ ამ საქმის კლასიკასა და ბუსუსებიან მწერებთან, გამძვინვარებულ მგლებსა და უზარმაზარ ობობებთან ერთად ზელიჰამ საკუთარი მოდელებიც დანერგა.

ურთიერთწინააღმდეგობა გახლდათ მთავარი პრინციპი, რომლითაც დეიდა ზელიჰას ნახატები იყო გაჯერებული. ნახევრად მამაკაცისა და ნახევრად ქალის სახეები, ნახევრად ადამიანისა და ნახევრად ცხოველის სხეულები, ნახევრად აყვავებული და ნახევრად გამხმარი ხეები... თუმცა, ზელიჰას ნახატები პოპულარული არ ყოფილა.

კლიენტები ტატუს მეშვეობით რაღაცის თქმას ცდილობდნენ და არა იმას, რომ ისედაც გაურკვეველ ცხოვრებაში კიდევ მეტი ორაზროვნება შეეტანათ. სვირინგს მარტივი ემოცია უნდა გადმოეცა და არა აბსტრაქტული ნააზრევი. ზელიჰამ ეს გაკვეთილი გაითავისა და ახალი სერიის შექმნას შეუდგა. შერეულ კოლექციას ავტორმა „მუდმივი ტანჯვის მართვა“ დაარქვა.

ამ განსაკუთრებულ კოლექციაში ყველა ტატუ მხოლოდ ერთ ადამიანს, ყოფილ გულის სწორს ეძღვნებოდა. მიჰქონდათ მიტოვებულებსა და სასოწარკვეთილებს, გულნატკენებსა და გულმოსულებს ზელიჰას-

თან ყოფილი შეყვარებულების სურათები. უნდოდათ, სამუდამოდ გაეძევებინათ ისინი საკუთარი ცხოვრებიდან, მაგრამ მათდამი გრძნობას რატომღაც ვერა და ვერ ელეოდნენ.

დეიდა ზელიჰა მასთან მიტანილ სურათს აკვირდებოდა და გონებაშიმასზე გამოსახული ადამიანის მსგავს ცხოველს ეძებდა. დანარჩენი შედარებით ადვილი იყო. მარტოსული კლიენტის სხეულზე ჯერ რომელიმე კონკრეტულ ცხოველს დახატავდა, შემდეგ კი ტატუს გამოიყვანდა. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა სხვისი ტოტემის გადმოღებისა და განსხეულების ძველ შამანურ ჩვეულებას. მოწინააღმდეგესთან შედარებითი უპირატესობის მოსაპოვებლად იგი ჯერ უნდა მიგეღოთ, შემდეგ კი შეგეცვალათ. ყოფილი გულის სწორის გადმოღების ან მისი გამოსახულების სხეულზე დატანისას ასევე ხდებოდა მისი განსხეულებაც, ანუ კანს გარეთ დატოვება. როგორც კი ყოფილი გულის სწორი შინაგანისა და გარეგანის მიჯნაზე აღმოჩნდებოდა და მას მარჯვედ მისცემდნენ ცხოველის სახეს, მაშინვე იცვლებოდა ძალაუფლების სტრუქტურამიტოვებულსა და მიმტოვებელს შორის. ამიერიდან ტატუს მატარებელი შეყვარებული თავს აღმატებულად გრძნობდა, თითქოს ყოფილი გულის სწორის სულის გასაღები მის ხელში ყოფილიყო და რაკი სიყვარულს ძალაუფლება უყვარს, ამ ეტაპის მიღწევისთანავე ყოფილი გულის სწორი მიმზიდველობას კარგავდა, მარად ტანჯულები კი, ბოლოს და ბოლოს, თავს აღწევდნენ თავიანთ აკვიატებულ აზრებს. სწორედ ამიტომ ხდება, რომ შეგვიძლია თავდავიწყებით შევიყვაროთ ვინმე, მაგრამ იშვიათად თუ ვახერხებთ თავდავიწყებით შეყვარებული ადამიანების გრძნობის გაზიარებას.

სტამბოლში, რომელიც გულგატეხილთა ქალაქია, დეიდა ზელიჰას თავისი საქმის გასაფართოებლად დიდი დრო არ დასჭირვებია. ზელიჰა ლეგენდად იქცა, მით უფრო, ბოჰემურ წრეებში.

ასიამ განზე გაიხედა, კიდევ უფრო დიდხანს რომ არ ეცქირა დედამისისთვის, დედისთვის, რომლისთვისაც არასოდეს დაეძახა „დედა“. შეიძლება ზელიჰას „გადეიდებით“ გოგონა მასთან დისტანციის შენარჩუნებას ცდილობდა. საკუთარი თავის სიბრალულმა ასია კაზანჯი კინა-

ღამ დაახრჩო. რა მიუტევებელი უსამართლობაა, ალაჰმა საკუთარ დედაზე გაცილებით ნაკლებად ლამაზი ქალიშვილი რომ შექმნა!

- ვერ ხვდებით, რატომ არ უნდა წელს ასიას არანაირი ტორტი? - თქვა დეიდა ზელიჰამ მას შემდეგ, რაც მანიკიურის დათვალიერებას მორჩა, - წონაში მომატების ეშინია.

ასიამ მეტისმეტად კარგად იცოდა, რამდენად დიდი შეცდომა იყო დედამისის თანდასწრებით საკუთარი ხასიათის გამომჟღავნება, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც იწივლა:

- ტყუილია!

დეიდა ზელიჰამ თვალები ეშმაკურად დაახამხამა და უკან დაიხია:

- კარგი, ძვირფასო, თუ ასე გინდა.

ასიამ მხოლოდ ახლა შენიშნა ლანგარი, დეიდა ფერიდეს რომ მოჰქონდა. ზედ ხორცის დიდი გუნდა, მასზე კი დიდი ცომის გუნდა იდო. საღილად მანტი უნდა ჰქონოდათ.

- რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ მანტი არ მიყვარს? - დაიღრიალა ასიამ, - ხომ იცით, რომ ხორცს აღარ ვჭამ? - საკუთარი ხმა თავადაც ეუცხოვა, ხრინწიანადაც და უცნაურად მოეჩვენა.

- ხომ გითხარით, მომატების ეშინია-მეთქი, - დეიდა ზელიჰამ თავი გადააქნია და სახეზე ჩამოშლილი შავი თმის კულული მოიშორა.

- არასდროს გაგიგია სიტყვა „ვეგეტარიანელი“? - თავი ასიამაც გადააქნია, მაგრამ იმის შიშით, ვაითუ დეიდა ზელიჰასავით გამომივიდეს, კულულის გადაწევისაგან თავი შეიკავა.

- რა თქმა უნდა, გამიგია, - თქვა დეიდა ზელიჰამ და მხრებში გაიმართა. რაკი იცოდა, რომ ასე უფრო დამაჯერებლად გამოუვიდოდა, ზელიჰამ უფრო ტკბილი ხმით გააგრძელა, - მაგრამ, ჩემო კარგო, არ დაგავიწყდეს, რომ შენ კაზანჯი ხარ და არა ვეგეტარიანელი!

პირგამშრალმა ასიამ ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

- კაზანჯებს კი წითელი ხორცი გვიყვარს! რაც უფრო წითელი და ცხიმიანია, მით უკეთესი. ჩემი თუ არ გჯერა, სულთან მეხუთეს ჰკითხე. ასე არ არის, სულთან?

დეიდა ზელიჰამ თავი ჩასუქებული კატისაკენ გადასწია, აივნის კართან ხავერდის ბალიშზე რომ იწვა. კატამ ზელიჰას მიბნედილი თვალებით ირიბად ისე გახედა, თითქოს ყველაფერი გაიგო და ყველაფერს ეთანხმებოდა.

კუთხეში დეიდა ბანუ ბუზღუნებდა, თან ტაროს კარტის დასტას ხელახლა ჭრიდა.

- ამ ქვეყანაში ისე საშინლად ღარიბი ხალხიც არის, რომლებსაც წითელი ხორცის გემოც კი არ ეცოდინებოდათ, რომ არა სულდიდი მუსლიმანების მიერ მსხვერპლშეწირვის დღესასწაულზე გაღებული მოწყალება. ამ ადამიანებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ხეირიანად ჭამა. წადი და ჰკითხე იმ უბედურებს, სინამდვილეში რას ნიშნავს ვეგეტარიანელობა. მადლობელი უნდა იყო შენს თეფშზე დადებული ხორცის ყველა პატარა ნაჭრისთვის, რადგან ის ბარაქის ნიშანია.

- საგიჟეთია! ყველა გიჟი ვართ, ყველა, - გაიმეორა ასიამ თავისი მანტრა, ოღონდ ამჯერად მის ხმაში მარცხი იგრძნობოდა, - მივდივარ, ქალბატონებო. შეგიძლიათ ის მიირთვათ, რაც მოგესურვებათ. ბალეტზე უკვე დავიგვიანე!

არავის შეუნიშნავს, რომ ასიამ სიტყვა „ბალეტი“ ისე დაიფრუტუნა, თითქოს პირში დაგროვილი ნახველის გადმოფურთხება უნდოდა. სამაგიეროდ, თავად ასია გრძნობდა თავს საზიზღრად, რადგან გადაპურჭყების სურვილს ვერ მოერია.

5

ვანილი

კაფე „კუნდერა“ სტამბოლის ევროპულ ნაწილში ერთ ვიწრო და დაკლაკნილ ქუჩაზე გახსნილი ყავახანა იყო. „კუნდერა“ ერთადერთი ბისტრო იყო ქალაქში, სადაც საუბრით თავს არ იღლიდნენ და ოფიციანტებსაც ჩაის ფულს იმიტომ უტოვებდნენ, რომ მათგან ცუდი მომსახურება არ მიეღოთ.

როგორ და რისთვის დაარქვეს ამ კაფეს ცნობილი ავტორის სახელი, დანამდვილებით არავინ იცოდა. უცოდინარობას ისიც ემატებოდა, რომ ამ ადგილას არაფერი, სრულიად არაფერი იყო ისეთი, რაც მილან კუნდერას ან მის რომელიმე რომანს მოგაგონებდათ.

კაფეს ოთხივე კედელზე ასობით ყველანაირი ზომისა და ფორმის ჩარჩო ეკიდა. იმდენი ფოტო, ნახატი და ესკიზი გამოეფინათ, ადვილი შესაძლებელი იყო, მავანს ეჭვი შეჰპარვოდა, საერთოდ იყო თუ არა მათ უკან კედლები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იქაურობა აგურებზე კი არა, ჩარჩოებზე იდგა. უკლებლივ ყველა სურათზე გზა იყო გამოსახული. აქ მთელი მსოფლიოს გზების სურათებს მოეყარა თავი: ფართო ამერიკული მაგისტრალები, უსასრულო გზატკეცილები ავსტრალიაში, გერმანიის გადატვირთული ავტობანები, პარიზის მიმზიდველი ბულვარები, ხალხით გადაჭედილი ქუჩები რომში, მაჩუპიქჩუს ვიწრო ბილიკები, ჩრდილოეთ აფრიკის მივიწყებული საქარავნო გზები, მარკო პოლოს მიერ განვლილი გზა და აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ძველი სავაჭრო გზების რუკები.

ასეთი დეკორი კლიენტებს სავსებით აკმაყოფილებდა, ფიქრობდნენ, რომ გამოფენილი სურათები უსარგებლო და უმიზნო ლაქლაქის გამოსადეგი ალტერნატივა იყო. როცა ლაპარაკის გუნებაზე არ იყვნენ, იმისდა მიხედვით, თუ რა კუთხით იდგა მათი მაგიდა და სად ისურვებდნენ იმ კონკრეტულ დღეს თავის ამოყოფას, რომელიმე ჩარჩოს აირჩევდნენ, დაბინდულ მზერას მიაპყრობდნენ და აქაურობისაგან თავის დაღწევის სურვილით შეპყრობილნი ნელ-ნელა სურათზე ასახული შო-

რეული მიწისაკენ დაიძვრებოდნენ. მეორე დღეს შეეძლოთ, სხვაგან ემოგზაურათ.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად შორს შეეძლო ამ სურათებს ადამიანის გადატყორცნა, ერთი რამ ფაქტი გახლდათ - მილან კუნდერასთან საერთო არც ერთ მათგანს არაფერი ჰქონდა. მაშინ, როცა კაფე ახალი გახსნილი იყო, ვარაუდობდნენ, რომ როგორღაც კუნდერა სტამბოლში ყოფილა და სადღაც მიმავალი კაპუჩინოს დასალევად ამ ადგილას შემთხვევით გაჩერებულა. კაპუჩინო არც ისე კარგი გამომდგარა. რაც შეეხება მისთვის ყავასთან ერთად მირთმეულ ვანილის ნამცხვარს, კუნდერას საშინლად არ მოსწონებია, მაგრამ ცოტა ხანში კიდევ ერთი ცალი შეუკვეთია და იმდენად, რამდენადაც არც ხელს უშლიდა ვინმე და ცნობითაც ვერავინ ცნობდა, კაფეში ცოტა ხანს უწერია კიდეც. კუნდერას სახელი იქაურობას იმ დღეს დაერქვა. თუმცა, მეორე ვერსიის თანახმად, კაფეს მეპატრონე მილან კუნდერას თავგადაკლული თაყვანისმცემელი ყოფილა, ყველა მისი წიგნი გადაეკითხა და ყველა მათგანზე ავტორის ავტოგრაფიც ჰქონია. კაფეს მეპატრონეს გადაუწყვეტია, იქაურობა თავისი საყვარელი ავტორისათვის მიეძღვნა.

შეიძლებოდა, ეს შედარებით უფრო სარწმუნო თეორია ყოფილიყო, რომ არა ერთი რამ: კაფეს მეპატრონე, საშუალო ასაკის, ათლეტური შესახედაობის, მუდამ გარუჯული მუსიკოსი და მომღერალი, იმდენად ვერ იტანდა ბეჭდვით სიტყვას, რომ იმ სიმღერების ტექსტებსაც კი არ კითხულობდა, რომელსაც მისი ბენდი ყოველ პარასკევს საღამოობით ასრულებდა.

იმასაც ამტკიცებდნენ, ბისტროსათვის კუნდერას სახელის დარქმევა პატრონის დეფექტური წარმოსახვის ნაყოფია - კაფეცა და მისი ხშირი სტუმრებიც ამ კაცის წარმოსახვითი საგნებიაო.

ოდესღაც კუნდერას ერთი ახალი წიგნის პროექტის ფარგლებში ამ ადგილის შესახებ დაუწყია წერა და აქაურობისთვის სიცოცხლე და ქაოსი შეუმატებია. თუმცა, ცოტა ხანში ავტორი სხვა, გაცილებით მნიშვნელოვან გეგმებზე, ანუ მიწვევებზე, კომისიებსა და პრემიებზე გადართულა და გამალებულ მისვლა-მოსვლაში, ბოლოს და ბოლოს, დავიწ-

ყებია კიდეც სტამბოლის ერთი ბინძური სორო, რომლის არსებობაზეც მხოლოდ და მხოლოდ მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა.

იმ დროიდან კაფე „კუნდერას“ კლიენტები და ოფიციანტები სიცარიელის შეგრძნებას ებრძოდნენ, სევდიან სცენარებს ჩაჰკირკიტებდნენ და მაღალინტელექტუალურ დრამაში წამყვანი როლის შესრულების მოლოდინში ესპრესოს ჭიქებით მირთმეული თურქული ყავის გამო იმანჭებოდნენ.

კაფეს სახელის წარმომავლობასთან დაკავშირებულ ყველა თეორიას შორის განსაკუთრებულად ბევრი მომხრე ბოლო თეორიას ჰქონდა. მიუხედავად ამისა, დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ერთი ახალბედა, ანდა ვინმე ისეთი, ყურადღების მიპყრობა რომ სურდა, და ახალ თეორიას წამოაყენებდა. დანარჩენი კლიენტები ერთი დღით ირწმუნებდნენ ხოლმე მის ნათქვამს, გაეთამაშებოდნენ ახალ მოსაზრებას, მერე კი ესეც მოჰბეზრდებოდათ და თავიანთ დაჭაობებულ და ჩაკეტილ ყოფას უბრუნდებოდნენ.

იმ დღეს კაფეს სახელზე მსჯელობით თავის შექცევა ერთმა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა სცადა. კარიკატურისტის ყველა მეგობარმა, მათ შორის - ცოლმაც, თავი ვალდებულად ჩათვალა, ყურადღებით მოესმინა ლოთისათვის და ასე დაედასტურებინა თავისი მხარდაჭერა - მხატვარმა,როგორც იქნა, გამბედაობა მოიკრიბა და გააკეთა ის, რის გაკეთებასაც გაუთავებლად სთხოვდნენ: ანონიმური ალკოჰოლიკების საზოგადოებაში გაწევრდა.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ყველა, ვინც სუფრას უსხდნენ, კარიკატურისტის მიმართ ჩვეულებრივზე მეტად კეთილგანწყობილი იყო. იმ დღეს მას განმეორებით დასდეს ბრალი თავის კარიკატურებში პრემიერ-მინისტრის შეურაცხყოფაში და თუ საქმის მოსმენის დღეს მოსამართლე ბრალდებას დაეთანხმებოდა, შეიძლებოდა სამწლიანი ციხეც დაერტყა.

ალკოჰოლიკი კარიკატურისტი ცნობილი იყო პოლიტიკური კარიკატურების სერიით, რომელშიც მთელი კაბინეტი ცხვრის ფარად იყო წარმოდგენილი, ხოლო პრემიერ-მინისტრი ცხვრის ტყავში გადაცმუ-

ლი მგელი გახლდათ. ახლა, როცა ნაცადი მეტაფორის გამოყენება აკრძალული ჰქონდა, მხატვარი კაბინეტის მგლების ხროვის სახით წარმოდგენას გეგმავდა, ხოლო პრემიერ-მინისტრი მგლის ტყავში გადაცმული ტურა უნდა ყოფილიყო. იმ შემთხვევისათვის, თუ ამ კარიკატურასაც წაართმევდნენ, შემოქმედს კიდევ ერთი გამოსავალი მოეფიქრებინა: პინგვინები! გადაწყვეტილი ჰქონდა, ყველა პარლამენტარი სმოკინგიანი პინგვინების სახით დაეხატა.

- აი, ჩემი თეორია! - თქვა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა, რომელმაც არც კი იცოდა, როგორ თანაუგრძნობდნენ დანარჩენები და აუდიტორიის, მათ შორის - ცოლისგან, გამომჟღავნებულმა დიდმა ინტერესმა ცოტათი გააკვირვა კიდეც.

მხატვარი ახოვანი კაცი იყო, არისტოკრატიული ცხვირით, მაღალი ყვრიმალებით, მუქი ლურჯი თვალებითა და თითქმის უმოძრაო ტუჩებით. კარგა ხანია მის ცხოვრებაში ტანჯვასა და სევდას შეებიჯებინა, ხოლო მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ მიუწვდომელ ქალს ფარულად გაუმიჯნურდა, მელანქოლია გაუორმაგდა.

მისი შემხედვარე ძნელად თუ წარმოიდგენდით, რომ თავი იუმორით გაჰქონდა და მისი დაღვრემილი სახის მიღმა ძალზე სასაცილო ხუმრობები ჩქეფდა. მიუხედავად იმისა, რომ მხატვარი ყოველთვის გამოუსწორებელი ლოთი იყო, ბოლო დროს ალკოჰოლთან დაკავშირებული მისი პრობლემები ერთბაშად გაიზარდა. გაღვიძებული თავს ისეთ საეჭვო ადგილას აღმოაჩენდა ხოლმე, სადაც მანამდე არასოდეს ყოფილა. თუმცა, ბოლო წვეთი მაინც ერთი შემთხვევა გახდა: ერთხელაც დილით კარიკატურისტი მიხვდა, რომ მეჩეთის შიდა ეზოში სწორედ იმ ბრტყელ ქვაზე იწვა, რომელზეც მიცვალებულებს ბანდნენ. როგორც ჩანს, მაშინ გაითიშა, როდესაც საკუთარი დაკრძალვის გეგმას ადგენდა.

გამთენიისას თვალის გახელა რომ მოახერხა, გვერდით ახალგაზრდა იმამი ედგა. ყმაწვილი დილის ლოცვის წასაკითხად მიდიოდა და გაოგნებული იყო უცხო ადამიანთან შეხვედრით, რომელიც მიცვალებულთა ქვაზე ხვრინავდა. ამ ამბის შემდეგ ალკოჰოლიკი კარიკატუ-

რისტის მეგობრები და მისი ცოლიც კი იმდენად შეშფოთდნენ, რომ მხატვარს პროფესიონალის დახმარების მიღებას სთხოვდნენ და აფიცებდნენ, აღარ დალიოო. ჰოდა, ყველა, ვინც მაგიდასთან იყო, მხატვრის ცოლიც კი, ტაქტის გამო უკან გადაიწივნენ და კარიკატურისტის თეორიის მოსასმენად მოემზადნენ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა ლოთს.

- ამ კაფეს რაც ჰქვია, იმიტომ ჰქვია, რომ სიტყვა „კუნდერა“ კოდია. საკითხის არსი არა იმაშია, თუ რა ჰქვია, არამედ იმაში, თუ რას ნიშნავს ეს სახელი!

- რას უნდა ნიშნავდეს? - იკითხა ულტრანაციონალისტური ფილმების ტანდაბალმა არანაციონალისტმა, ხმელ-ხმელმა სცენარისტმა, რომელიც წვერს ფერფლისფრად იმ დღიდან იღებავდა, რაც დაასკვნა, რომ ახალგაზრდა ქალებს მოწიფული მამაკაცები მოსწონდათ. ეს კაცი პოპულარული ტელესერიალ „თემურ ლომგულის“ სცენარისტი და ავტორი გახლდათ. ფილმის ცენტრალურ ფიგურას, ჯან-ღონით სავსე ეროვნულ გმირს, მთელი ბატალიონების სისხლში გათქვეფა შეეძლო. როდესაც სერიალის ავტორს მისი უგემოვნო შოუსა და ფილმების შესახებ ეკითხებოდნენ, თავის დასაცავად ნაციონალიზმს იშველიებდა და ამბობდა, რომ ნაციონალიზმი მისი პროფესია იყო, ხოლო ნიჰილიზმი - ჭეშმარიტი არჩევანი.

იმ დღეს სცენარისტი კაფეში ახალ მეგობარ გოგონასთან ერთად მივიდა. მიმზიდველი, თვალში საცემი ქალი დიდი სერიოზულობით არ გამოირჩეოდა. სცენარისტი ამას არ ეუბნებოდა, მაგრამ მამაკაცების წრეში მისთანა ქარაფშუტა მდედრებს თავიანთი სახელი ჰქონდათ - მისაყოლებელს ეძახდნენ. რა თქმა უნდა, კაცებისათვის ასეთი ქალები მთავარი კერძი კი არა, საუზმეულია, რომლითაც ერთს კარგად წაიხემსებ. მაგიდაზე დადგმული თასიდან სცენარისტი აკაჟუს მარცვლებს ჩქარ-ჩქარა იღებდა, მეგობარ გოგონაზე ხელი გადაეხვია და როხროხებდა:

- მიდი, მოგვიყევი, რა კოდია!

- მოსაწყენი რამეა, - თქვა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა და პირიდან კვამლის ბოლქვი გამოუშვა. კვამლის რგოლები ჰაერში ყველა მხრიდან ადიოდა - ირგვლივ ყველა საკვამურივით ხრჩოლავდა. კარიკატურისტის ბოლქვიც ზანტად შეუერთდა მაგიდის თავზე დაკიდებულ სქელ, ნაცრისფერ ღრუბელს.

ერთადერთი, ვინც ამ მაგიდასთან არ ეწეოდა, შენიღბული ჰომოსექსუალი კორესპონდენტი გახლდათ. კვამლის სუნს ვერ იტანდა. ყოველდღე, შინმივიდოდა თუ არა, კაფე „კუნდერას“ მყრალი სუნისათვის თავი რომ დაეღწია, ტანთ გაიხდიდა, მაგრამ სხვები რომ ეწეოდნენ, ამას არ აპროტესტებდა. არც კაფეში სიარულს ანებებდა თავს. ჯერ ერთი, „კუნდერაში“ სისტემატურად იმიტომ დადიოდა, რომ ამ ჭრელ ხალხთან ყოფნა მოსწონდა, მეორეც იმიტომ, რომ ალკოჰოლიკ კარიკატურისტს გამიჯნურებოდა.

ისე არ იფიქროთ, რომ შენიღბულ ჰომოსექსუალ კორესპონდენტს უნდოდა, ფიზიკური ურთიერთობა ჰქონოდა ალკოჰოლიკ კარიკატურისტთან. შიშველი მხატვრის მარტო წარმოდგენაზეც კი კორესპონდენტს ტანში ჟრუანტელი უვლიდა. თავს ირწმუნებდა, რომ ეს სექსის ბრალი კი არ იყო, არამედ იმისა, რომ ის და მხატვარი მონათესავე სულები გახლდნენ.

გარდა ამისა, შენიღბულ ჰომოსექსუალ კორესპონდენტს კიდევ ორი დიდი დაბრკოლება უკრავდა ხელ-ფეხს: პირველი - ალკოჰოლიკი კარიკატურისტი ცალსახადჰეტეროსექსუალი იყო და მისი შეცვლის ნაკლები შანსი არსებობდა და მეორე - კარიკატურისტი ჭკუას კარგავდა ერთი ბრაზიანი ასიას გამო. ამას უკვე ყველა ამჩნევდა, თავად გოგონას გარდა.

შენიღბულ ჰომოსექსუალ კორესპონდენტს ალკოჰოლიკ კარიკატურისტთან სასიყვარულო თავგადასავლის არანაირი იმედი არ ჰქონდა. მხოლოდ ის უნდოდა, ახლოს ყოფილიყო მასთან. ყოველ ჯერზე, როცა კი კარიკატურისტი ჭიქისკენ ან საფერფლისკენ წაიღებდა ხელს და შემთხვევით კორესპონდენტის ხელს შეეხებოდა, ეს უკანასკნელი კრთებოდა. აქაოდა, არც მხატვარი და არც რომელიმე მამაკაცი იმ საქ-

მისთვის სულაც არ მაინტერესებსო, იყო მომენტები, როდესაც კორეს-პონდენტს კარიკატურისტისგან თავი შორს ეჭირა და არავინ რომ არ ელოდა, სწორედ მაშინ ესხმოდა თავს მის მოსაზრებებს. ერთი სიტ-ყვით, დიდი ჩახლართული ამბავი იყო.

- მოსაწყენი რამეა, - შენიშნა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა მას შემდეგ, რაც რძიანი ესპრესო გადახუხა, - მოწყენილობა ჩვენი ცხოვ-რების არსია. დღითი დღე ვეშვებით შინაგან სიცარიელეში. რატომ? იმიტომ, რომ საკუთარ კულტურასთან მტკივნეული შეხების შიშით კურდღლის სოროდან ვერ გამოვდივართ. დასავლელი პოლიტიკოსე-ბი თვლიან, რომ არსებობს კულტურული უფსკრული თურქებსა და თურქებს შორის. ნეტავ ასე მარტივად იყოს! ჩვენ სოფლელებით და გა-უთლელი ხიხოებით გარშემორტყმული ერთი მუჭა განათლებული ქა-ლაქელები ვართ. მთელი ქალაქი აიღეს.

ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა ფანჯრებისკენ ალმაცერად ერთი ისე გაიხედა, თითქოს ეშინოდა, რომ სოფლელების ბრბო ხელკეტებსა და ზარბაზნის ჭურვებს დაუშენდა.

- ქუჩები მათია, მოედნებიც, მაგათია ბორნებიც. ყველა სავაჭრო ცენტრი მაგათია. შეიძლება, რამდენიმე წელიწადში მარტო ეს კაფე დაგვრჩეს, როგორც ერთადერთი თავისუფალი ზონა. მათ რომ თავი დავაღწიოთ, ყოველდღე აქეთ მოვეშურებით. ჰო, ისინი! ღმერთო, და-მიფარე ჩემიანებისგან!

- პოეტივით ლაპარაკობ, - თქვა ერთმა გამორჩეულად უნიჭო პოეტ-მა, რომელსაც სწორედ იმიტომ, რომ უნიჭო იყო, ყველაფრის პოეზიი-სათვის მიმსგავსება ჩვევად ჰქონდა.

- სადღაც ჩავრჩით, სადღაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს, წარ-სულსა და მომავალს შორის. ერთი მხრივ, გვყავს გამოსული მოდერ-ნისტები, რომლებიც ისე ამაყობენ მათ მიერ შექმნილი რეჟიმით, რომ ერთ კრიტიკულ სიტყვასაც ვერ იტყვი. ჯარიც ჰყავთ და ნახევარი ქვეყა-ნაც მათ მხარეზეა. მეორე მხრივ, გვყავს ჩვეულებრივი ტრადიციონა-ლისტები, რომელთაც ისე უგონოდ უყვართ ოტომანური წარსული,

რომ ერთ კრიტიკულ სიტყვასაც ვერ იტყვი. ფართო საზოგადოებაც ჰყავთ და ნახევარი ქვეყანაც მათ მხარეზეა. ჩვენ რაღა დაგვრჩა?

კარიკატურისტმა სიგარეტი უფერულ, აქერცლილ ტუჩებს შორის მოიქცია და არც გამოუღია, ვიდრე გაჭიანურებულ წუწუნს არ მორჩა.

- მოდერნისტები გვეუბნებიან, რომ წინ უნდა წავიდეთ, მაგრამ ჩვენ მათი შემოთავაზებული პროგრესის იდეისა არა გვწამს. ტრადიციონალისტები გვეუბნებიან, რომ უკან უნდა წავიდეთ, მაგრამ ჩვენ არც მათ იდეალურ წესრიგში გვინდა დაბრუნება. ორ მხარეს შორის მოყოლილი ორ ნაბიჯს ვდგამთ წინ, ერთს - უკან, სწორედ ისე, ოტომანთა ჯარის ორკესტრი რომ შვრებოდა! მაგრამ ჩვენ ინსტრუმენტებზეც არ ვუკრავთ! სად უნდა გავიქცეთ? უმცირესობაშიც კი არა ვართ. ნეტავი ეროვნული უმცირესობა ვიყოთ, ანდა გაეროს წესდებით დაცული აბორიგენები. ზოგიერთი ძირითადი უფლება მაინც გვექნებოდა, მაგრამ ნიჰილისტები, პესიმისტები და ანარქისტები არ ითვლებიან. გადაშენების პირას მყოფი სახეობა კი ვართ. ჩვენი რიცხვი ყოველდღე მცირდება. რამდენ ხანს შეიძლება გავძლოთ?

დრო ძალიან გაიწელა. მხატვრის კითხვა მაგიდასთან მსხდომებსა და კვამლის ღრუბელს შორის გაიხლართა. კარიკატურისტის ცოლმა, ნერვიულმა ქალმა, დიდრონი, სევდიანი თვალებითა და გულში დაგროვილი უზარმაზარი წყენით, რომელიც მეუღლეზე უკეთესი კარიკატურისტი გახლდათ, მაგრამ ნაკლებად აფასებდნენ, კბილები გააკრაჭუნა. ვერ გაეგო, რა ექნა - შარი მოედო (რაც ძალიან უნდოდა) პარტნიორისთვის, რომელთანაც თორმეტი წელიწადი აკავშირებდა, თუ როგორც იდეალურ ცოლს შეშვენის, მხარი დაეჭირა მისი ყველანაირი სიგიჟისთვის.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს გულწრფელად ვერ იტანდა, მაგრამ ამ ქორწინებას ორივე მათგანი წლების განმავლობაში მაინც ებღაუჭებოდა, - ქალი იმიტომ, რომ შურისძიების იმედი ჰქონდა, კაცი კი იმიტომ, რომ უკეთესიმომავლის იმედი არ ჰქონდა. უკვე ერთმანეთისაგან ნასესხები სიტყვებითა და ჟესტებით საუბრობდნენ. მათი კარიკატურებიც კი ჰგავდა ერთმანეთს. დეფორმირებულ სხეულებს ხატავდნენ და სევ-

დიან, სარკასტულ სიტუაციებში ჩავარდნილი დათრგუნვილი ადამიანების სიტყვაბილწ დიალოგებს თხზავდნენ.

- იცით, ჩვენ რა ვართ? ამ ქვეყნის ნარჩენები. დამწუხრებული, მოსაბეზრებელი მასა და მეტი არაფერი! ჩვენ გარდა ყველა გიჟდება ევროკავშირში შესვლაზე, მოგებაზე, აქციების შეძენაზე, მანქანების უფრო ძვირად გაყიდვაზე, შეყვარებულების უფრო ძვირად გაყიდვაზე...

ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტი ნერვიულად წრიალებდა.

- აი, აქ ერთვება მოქმედებაში კუნდერაც, - განაგრძო ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა ისე, რომ შეცდომა არც შეუნიშნავს, - ჩვენი ცხოვრება უაზრო სიცარიელის ფორმით გადმოცემული სიმსუბუქის იდეით არის განმსჭვალული. ჩვენი არსებობა კიჩია, ლამაზი ტყუილი, რომელიც სიკვდილისა და სიკვდილიანობის რეალობისათვის წინააღმდეგობის გაწევაში გვეხმარება. ზუსტად ეს არის...

მხატვარს სიტყვა ზარების ჟღარუნმა გააწყვეტინა. ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ასაკისათვის შეუფერებლად დაღლილი და გაბრაზებული ჩანდა, კაფე „კუნდერას“ კარი ერთბაშად შეაღო და შევიდა.

- აქეთ, ასია! - იყვირა სცენარისტმა ისე, თითქოს გოგონა ნანატრი მხსნელი ყოფილიყო, რომელიც ამ იდიოტურ საუბარს ბოლოს მოუღებდა, - აქეთ! აქა ვართ!

ასია კაზანჯიმ ცალყბად გაიღიმა. შეჭმუხნილ შუბლზე ეწერა, - შემიძლია, შემოგიერთდეთ, ხალხო, რა მნიშვნელობა აქვს - ცხოვრება მაინც საზიზღრობაა.

ნელა, თითქოს უხალისობის ჯორკიდებული მიაქვსო, ასია მაგიდას მიუახლოვდა, ყველას სასხვათაშორისოდ მიესალმა, დაჯდა და სიგარეტის გადახვევას შეუდგა.

- ამ დროს აქ რას აკეთებ? ბალეტზე არ უნდა იყო? - იკითხა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა, რომელსაც საკუთარი მონოლოგი დავიწყებოდა. მისი ცოლის გარდა, ყველამ შენიშნა, როგორ ჩაუდგა მხატვარს თვალებში მზრუნველი გამომეტყველება.

- სწორედ იქა ვარ, ბალეტზე და ახლა, - ასიამ გადახვეულ ქაღალდში თუთუნი ჩატენა, - ერთ-ერთ რთულ ნახტომს ვასრულებ. ჰაერში ნაკუთალს ნაკუთალს ვახებ ორმოცდახუთსა და ოთხმოცდაათ გრადუსს შორის - კაბრიოლი!

- მაგარია! - გაიღიმა კარიკატურისტმა.

- მერე ვხტები და ჰაერში ვტრიალდები, - განაგრძო ასიამ, - მარჯვენა ფეხი წინ, დემი-პლიე, შეხტა! - გოგონამ თამბაქოს ტყავის ქისას ხელი დაავლო და ჰაერში ასწია, - შემობრუნდი ას ოთხმოცი გრადუსით, - გასცა განკარგულება და ქისა დაატრიალა. ცოტა თამბაქო მაგიდაზეც დაეყარა, - და მარცხენა ფეხზე დახტი! - ქისა აკაჟუებიანი ჯამის გვერდით დაეკოსა, - მერე ყველაფერი კიდევ ერთხელ გაიმეორე და საწყის პოზიციაში დაბრუნდი. ამბუატე!

- ბალეტში ისეა, თითქოს სხეულით წერ ლექსს, - ჩაილუღლუღა გამორჩეულად უნიჭო პოეტმა.

ყველა მოიღუშა და ადგილზე გაშეშდა. სადღაც შორს ერთმანეთში ირეოდა ქალაქის ხმები - სირენები და საყვირები, ადამიანების ყვირილი, სიცილი და კიდევ თოლიების ჭყივილი.

კაფეში რამდენიმე ახალი კლიენტი შემოვიდა, რამდენიმე კი გავიდა. ერთ-ერთი ოფიციანტი ჭიქებით სავსე ლანგრით წაიქცა, მეორემ ცოცხი მოიტანა და იატაკიდან ნამსხვრევები მოხვეტა. კლიენტები ამ ამბავს გულგრილად ადევნებდნენ თვალს. კაფე „კუნდერაში“ ოფიციანტები ხშირ-ხშირად იცვლებოდნენ. სამუშაო საათები დიდხანს გრძელდებოდა, ხელფასები კი დიდი არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, დღემდე სამსახური ჯერ არც ერთ ოფიციანტს არ დაეტოვებინა, თუ გაადგებდნენ ხოლმე ვინმეს. ასეთი ამბები იყო კაფე „კუნდერაში“: ერთხელ თუ შედგამდით ფეხს, იქამდე მიეჯაჭვებოდით, ვიდრე იქაურობა ფურთხივით არ მოგიშორებდათ.

მომდევნო ნახევარი საათის განმავლობაში ასია კაზანჯის მაგიდასთან ზოგმა ყავა შეუკვეთა, დანარჩენებმა - ლუდი. მეორე წრეზე ზოგმა ლუდი მიირთვა, დანარჩენებმა ყავა დალიეს. ასე იყო, ასე. მხოლოდ კარიკატურისტი შეექცეოდა რძიან ესპრესოს, თან ყავასთან ერთად მი-

ტანილ ვანილის ნამცხვრებს ხუხნიდა. უკმაყოფილება უკვე აშკარად ეტყობოდა. მიუხედავად იმისა, რომ „კუნდერაში“ ჰარმონიულად არაფერი გაეკეთებინათ, რაც გინდათ თქვით და, აქაურ დისონანსში მაინც იყო რაღაც უცნაური კადენცია. სწორედ ეს მოსწონდა ასიას ამ კაფეში ყველაზე მეტად - კომატოზური მოდუნებულობა და კურიოზული დისჰარმონია.

აქაურობა დროისა და სივრცის მიღმა იყო. სტამბოლში, სადაც ყველას ყოველთვის სადღაც მიეჩქარება, კაფე „კუნდერა“ გახლდათ ადგილი, სადაც მხოლოდ ლეთარგია ზეიმობდა. გარეთ ადამიანები საკუთარი მარტოობის შესანიღბავად ერთმანეთს ეწებებოდნენ, თავს იკატუნებდნენ, თითქოს ერთმანეთისთვის იმაზე გაცილებით უფრო ახლობლები იყვნენ, ვიდრე სინამდვილეში გახლდნენ, „კუნდერაში“ კი საწინააღმდეგო ხდებოდა - ყველა თავს იკატუნებდა, თითქოს იმაზე გაცილებით უცხონი იყვნენ, ვიდრე სინამდვილეში გახლდნენ. კაფე „კუნდერა“ იყო ადგილი, სადაც მთელიქალაქი არაფრად ღირდა.

ასიამ სიგარეტი მოქაჩა. კარიკატურისტი მაჯის საათს დასცქეროდა. გოგონას მისი ინერტულობა არ გამოჰპარვია. მხატვარი ასიას მიუბრუნდა:

- ძვირფასო, შვიდი საათია. გაკვეთილი დამთავრდა.

- ო, უნდა წახვიდე? შენი ოჯახი ისეთი ძველმოდურია, - წამოაყრანტალა სცენარისტის შეყვარებულმა, - რატომ გაძალებენ ბალეტზე სიარულს, როცა ეს აშკარად არ გიზიდავს?

ეს პრობლემა ჰქონდა ყველა ორდღიან შეყვარებულს, რომელიც სცენარისტს თან დაჰყავდა. ჯგუფში ყველასთან დამეგობრების სურვილის გამო მეტისმეტად ბევრ პირად კითხვას სვამდნენ, მეტისმეტად ბევრ პირად კომენტარს აკეთებდნენ და სამწუხაროდ, ვერ ხვდებოდნენ, რომ ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან სრულიად საწინააღმდეგო რამ აკავშირებდა, - ერთმანეთის პირადი ცხოვრებისადმი სერიოზული და გულწრფელი ინტერესი საერთოდ არ ჰქონდათ.

- როგორ იტან ამდენ დეიდას? - განაგრძო სცენარისტის გოგომ, რომლისთვისაც ასიას სახის გამომეტყველება არაფრის მთქმელი აღ-

მოჩნდა, - ეშმაკმა დალახვროს, ერთ ჭერქვეშ ამდენი ქალი დედის როლში... ერთ წუთსაც ვერ გავუძლებდი.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ჯგუფის წევრებს რამდენიმე დაურღვეველი ეკლექტური წესი ჰქონდათ. ასიამ დაიფრუტუნა. არ უყვარდა ქალები, რომლებთანაც საქმის დაჭერა შედარებით ადვილი იყო, არადა, თავადაც ერთ-ერთი მათგანი იყო. მდედრობითი სქესისახალი პერსონის გაცნობისას ორიდან ერთ რამეს აკეთებდა ხოლმე: იქამდე იცდიდა, ვიდრე ახალგაცნობილი არ შეიძულებდა, ანდა იმთავითვე ვერ იტანდა ახალ ნაცნობს.

- ამ სიტყვის ნორმალური გაგებით, მე ოჯახი არა მაქვს, - თქვა ასიამ იმ იმედით, რომ სცენარისტის შეყვარებული სიტყვას აღარ განაგრძობდა. ის იყო, ასიამ თანამოსაუბრეს შემწყნარებელი მზერა ესროლა, რომ ზუსტად მისი მარჯვენა მხრის თავზე კედელზე ბრჭყვიალა ვერცხლისფერი ჩარჩო შენიშნა. სურათზე ბოლივიის წითელი ლაგუნისაკენ მიმავალი გზა იყო ასახული. კარგი იქნებოდა, სწორედ ახლა ამ გზაზე ყოფნა! ასიამ ყავა ბოლომდე დალია, სიგარეტი ჩააქრო და ახლის გადახვევა დაიწყო, თან ბურტყუნებდა, - მდედრი ცხოველების ხროვა ვართ. იძულებული ვართ, ერთად ვიცხოვროთ. მე ამას ოჯახს არ ვეძახი.

- მაგრამ ეს სწორედ ის არის, ძვირფასო, რასაც ოჯახს ეძახიან, - შეეპასუხა გამორჩეულად უნიჭო პოეტი, რომელსაც ასეთ მომენტებში ახსენდებოდა, რომ ჯგუფში ყველაზე უფროსი იყო, არა მარტო წლებით გამოხატული ასაკის, არამედ შეცდომებში გაზომილი წლების მიხედვითაც. სამგზის ცოლიან და განქორწინებულ პოეტს ნანახი ჰქონდა, როგორ ტოვებდნენ მისი ყოფილი ცოლები ერთმანეთის მიყოლებით სტამბოლს, მისგან რაც შეიძლება შორს რომ წასულიყვნენ. ბავშვები ყველა ქორწინებიდან ჰყავდა. მხოლოდ ათასში ერთხელ ნახულობდა, მაგრამ ამაყად აცხადებდა, რომ შვილები მას ეკუთვნოდნენ, - დაიმახსოვრე, - თქვა პოეტმა და მამასავით გაიშვირა თითი ასიასაკენ, - ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ ყველა უბედური ოჯახი თავისებურად არის უბედური.

- ტოლსტოისთვის ძალიან ადვილი იყო ასეთი სისულელის დაჩხაპ-ვნა, - მხრები აიჩეჩა ალკოჰოლიკი კარიკატურისტის ცოლმა, - მას ცო-ლი ჰყავდა, რომელიც ყველა წვრილმანზე ზრუნავდა, ზრდიდა უამრავ შვილს და მუხლჩაუხრელად შრომობდა იმისთვის, რომ მის უდიდებუ-ლესობა დიდ ტოლსტოის ყურადღების მოკრება და რომანების წერა შესძლებოდა!

- ჰო, მაგრამ რა გინდა? - იკითხა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა.

- აღიარება! აი, რა მინდა. მინდა, მთელმა სამყარომ აღიაროს, ტოლსტოის ცოლს შესაძლებლობა რომ მისცემოდა, ქმარზე უკეთესი მწერალი იქნებოდა.

- რატომ? მარტო იმიტომ, რომ ქალი იყო?

- იმიტომ, რომ ძალიან ნიჭიერი კაცისგან გათელილი ძალიან ნი-ჭიერი ქალი იყო, - კბილები გააღრჭიალა მხატვრის მეუღლემ.

- ოჰ, - თქვა აწრიალებულმა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა, ოფი-ციანტს დაუძახა და ყველასთვის სამწუხაროდ ლუდი შეუკვეთა. როცა სასმელი მიუტანეს, კარიკატურისტს, ალბათ, დანაშაულის გრძნობა გა-უჩნდა. სრულიად მოულოდნელად საუბრის თემა შეცვალა და ალკო-ჰოლის სარგებლიანობაზე დაიწყო ლაპარაკი, - ეს ქვეყანა თავისუფ-ლებას ერთ პატარა ბოთლს უმადლის, რომელიც შემიძლია ასე თავი-სუფლად მეჭიროს ხელში, - ქუჩაში აკივლებული სასწრაფო დახმარე-ბის მანქანის სირენისათვის რომ ეჯობნა, კარიკატურისტმა ხმას აუწია, - არც სოციალური რეფორმები, არც პოლიტიკური რეჟიმი. დამოუკი-დებლობისათვის ომიც კი არა. თურქეთს სხვა მუსლიმანური ქვეყნები-საგან აი, ეს ბოთლი განასხვავებს. ეს ლუდი, - კარიკატურისტმა ბოთ-ლი ჰაერში ისე ასწია, თითქოს სადღეგრძელო უნდა ეთქვა, - თავისუფ-ლებისა და სამოქალაქო საზოგადოების სიმბოლოა.

- მოიცა, რა, როდის აქეთ გახდა დამპალი ლოთი თავისუფლების სიმბოლო? - დაუფარავად გაკიცხა მხატვარი სცენარისტმა. სხვები ჩუ-მად იყვნენ, - კამათი ძალ-ღონის უაზროდ დაკარგვა იყო. დისკუსიაში ჩართვის ნაცვლად, მათ კედელზე ერთი თარო შეარჩიეს და მთელი ყუ-რადღება რომელიღაც გზის ფოტოს მიაპყრეს.

- მას აქეთ, რაც ახლო აღმოსავლეთის მთელ სამუსლიმანოშიალკოჰოლი აკრძალეს და სახელი გაუტეხეს, - ბუზღუნებდა ალკოჰოლიკი კარიკატურისტი, - ოტომანთა ისტორია გაიხსენეთ. დუქნები, მისაყოლებლები, ყველა ჭიქაზე რომ დააყოლებდი... როგორც ჩანს, ბიჭები კარგ დროს ატარებდნენ. ჩვენ, როგორც ერს, ალკოჰოლი გვიყვარს. ამას რატომ არ ვაღიარებთ? ეს არის საზოგადოება, რომელიც წელიწადში თერთმეტი თვის განმავლობაში სვამს და მერე რამადანის დროს პანიკაში ვარდება, ინანიებს და მარხულობს მხოლოდ იმისთვის, რომ წმინდა თვის დასრულების შემდეგ ისევ სასმელს მიუბრუნდეს. თუ ამ ქვეყანაში არასოდეს ყოფილა შარიათი, თუ არასოდეს მოსულან ფუნდამენტალისტები, როგორც სხვაგან, გეუბნებით, ეს ამ გარყვნილი ტრადიციის დამსახურებაა. ალკოჰოლს უნდა ვუმადლოდეთ, თურქეთში დემოკრატიის მსგავსი რაღაც რომ არსებობს.

- კარგი, მაშინ რატომ არ ვსვამთ? - გაიღიმა ალკოჰოლიკი კარიკატურისტის დაღლილმა მეუღლემ, - დალევისთვის ბატონ ფეხისწვერებაზე უკეთესი რა მიზეზი გვაქვს? რა ერქვა? ჩეკე...

- ჩეკეტი, - შეუსწორა ასიამ. სანანებლად გადაქცეოდა ერთ დღეს ისე რომ დათვრა, ამათ წინაშე ბალეტის ისტორიის შესახებ სიტყვით გამოვიდა და სხვათა შორის ჩეკეტიც ახსენა. ამათ ჩეკეტი მოეწონათ. იმ დღიდან დროდადრო მაგიდასთან რომელიმე მათგანი დანარჩენებს იმ მოცეკვავის სადღეგრძელოს სთავაზობდა, რომელმაც პუანტებით ფეხის წვერებზე სიარული დანერგა.

- ის რომ არა, ბალეტის მოცეკვავეები ფეხისწვერებზე ვერ ივლიდნენ, აბა! - ჩაიხითხითებდა ხოლმე ვიღაც ყოველი ასეთი სადღეგრძელოს წარმოთქმისას.

- რა ეგონა? - დაამატებდა სხვა, რასაც საერთო სიცილი მოჰყვებოდა.

გამორჩეულად უნიჭო პოეტი, ულტრანაციონალური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტი რომელიღაც შეყვარებულითურთ, გაიჩნია, იმ მომენტისათვის ვინ ჰყავდა, ალკოჰოლიკი კარიკატურისტი, ალკოჰოლიკი კარიკატურისტის მეუღლე, შენიღბული ჰომოსექსუალი

კორესპონდენტი და ასია კაზანჯი კაფე „კუნდერაში“ ერთმანეთს ყოველდღე ხვდებოდნენ. საუბრის დაწყებამდე გულის სიღრმეში ყველა დაძაბული ელოდა, ყველას აინტერესებდა, რაზე უნდა ელაპარაკათ იმ დღეს. ყველაფერი რიგზე იყო. ზოგჯერ კაფეში სხვებიც მიჰყავდათ: მეგობრები, კოლეგები, ანდა სრულიად უცხო ადამიანები. მათი დაჯგუფება თვითმართვადი ორგანიზმი გახლდათ, პიროვნულ თავისებურებებს ამჟღავნებდნენ, მაგრამ გასაქანს ბოლომდე არ აძლევდნენ, თითქოს ეს ორგანიზმი მასში გაერთიანებულ პიროვნებების გარეთ, მათ მიღმა ცოცხლობდა.

ასია კაზანჯი სულიერად კაფე „კუნდერაში“ მშვიდდებოდა ხოლმე. მისთვის ეს ადგილი თავშესაფარი იყო. კაზანჯების სახლში მისთვის გაუგებარი სრულყოფილების მისაღწევად გოგონას გამუდმებით უწევდა საკუთარი შეხედულებების შეცვლა, კაფე „კუნდერაში“ კი შეცვლას არავინ აიძულებდა. აქ ადამიანი, როგორც ასეთი, არასრულყოფილ და გამოუსწორებელ არსებად ითვლებოდა.

მათ, ვინც კაფე „კუნდერაში“ იკრიბებოდნენ, ასიას დეიდები გოგონასათვის იდეალურ მეგობრებად არასოდეს ჩათვლიდნენ. ზოგიერთი მათგანი საკმაო ხნის იყო და ასიას დედად და მამად ეკუთვნოდა. ასია, რომელიც კომპანიაში ყველაზე ახალგაზრდა იყო, სიამოვნებით ადევნებდა თვალს უფროსების ბავშვურ საქციელს. დიდად სანუგეშო იყო იმის გაგება, რომ წლების განმავლობაში ცხოვრებაში უკეთესობისკენ რეალურად არაფერი იცვლებოდა და თუ დაღვრემილი მოზარდი ბრძანდებოდით, ბოლოს ასეთივე დაღვრემილი მოწიფულობა გელოდათ. თარგი სულ ერთი და იგივე იყო. მართალია, ეს ყველაფერი ცოტა სევდიანი ჩანდა, მაგრამ სხვა თუ არაფერი, ასია თავს იმშვიდებდა, რომ საკუთარი თავის შეცვლა, გაუმჯობესება აუცილებელი არ იყო ისე, როგორც დეიდებს ჰქონდათ ხელზე დახვეული და დღედაღამ იმეორებდნენ.

იმდენად, რამდენადაც დროთა განმავლობაში შეცვლის პირი არაფერს უჩანდა და მისი დაღვრემილობაც სამუდამო რამ გახლდათ, ასი-

ას შეეძლო ისევ ისეთ დაღვრემილ ვინმედ დარჩენილიყო, როგორიც მანამდე იყო.

- დღეს ჩემი დაბადების დღეა, - თავისდა გასაოცრად გამოაცხადა ასიამ, რომელსაც ამ ამბის გახმაურება მანამდე აზრადაც არ ჰქონია.

- მართლა? - იკითხა ვიღაცამ.

- რა დამთხვევაა! დღეს ჩემი ქალიშვილის დაბადების დღეცაა! - შესძახა გამორჩეულად უნიჭო პოეტმა.

- მართლა? - სიტყვა დაუბრუნა ასიამ.

- ესე იგი, იმავე დღეს დაიბადე, რომელ დღესაც ჩემი ქალიშვილი დაიბადა! ტყუპი.

პოეტმა ქუჩქუჩა თავი მხიარულად გადააქნია, წაიმსახიობა.

- თევზები, - შეუსწორა ასიამ.

სულ ეს იყო. ასიას არც არავინ გადახვევია, არც კოცნით გაუგუდავს ვინმეს, თითქოს ტორტის შეკვეთასაც კი არავინ ფიქრობდა. სამაგიეროდ, პოეტმა წაუკითხა იუბილარს საშინელი ლექსი, კარიკატურისტმა გოგონას პატივსაცემად სამი ბოთლი ლუდი შესვა, კარიკატურისტის მეუღლემ ხელსახოცზე ასიას კარიკატურა დახატა, - გაბრაზებული ახალგაზრდა ქალი დაელექტროებული თმით, უზარმაზარი ძუძუებით, გამგმირავი ეშმაკი თვალებითა და მათ ქვეშ მოკალათებული წვეტიანი ცხვირით.

დანარჩენებმა კიდევ ერთი ფინჯანი ყავა მოუტანეს და ბოლოს ანგარიშში მისი წილი არ გადაახდევინეს. ისე არ იფიქროთ, რომ ასიას დაბადების დღესსერიოზულად არ მოეკიდნენ. პირიქით, იმდენად სერიოზულად მოეკიდნენ, რომ ცოტა ხანში ხმამაღლა მსჯელობდნენ დროისა და ზნეობის ცნებებზე, მერე კი იმაზე დაიწყეს სჯა-ბაასი, რომელი მათგანი როდის უნდა გარდაცვლილიყო და არსებობდა თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ჯგუფის წევრების საერთო აზრი ასეთი იყო: „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ არსებობს და იქ, ალბათ, უარესია, ვიდრე აქ. ასე რომ, ისიამოვნეთ დარჩენილი დროით“.

ზოგიერთი ამ საკითხზე ბჭობდა, ზოგმა სიტყვა შუაზე გაწყვიტა და კედელზე ჩამოკიდებულ რომელიღაც გზის სურათს მიაშტერდა. არ ჩქა-

რობდნენ, თითქოს გარეთ არავინ ელოდათ, თითქოს სულაც არავინ იყო გარეთ. მათი სახის გამომეტყველებას ნელ-ნელა ცვლიდა ნეტარების გულგრილი ღიმილი. უღონოები, უგრძნობები და საუბრის გაგრძელების სურვილის უქონელნი, უფრო ღრმად ჩაეშვნენ აპათიის მღვრიე წყლებში. იმაზე ფიქრობდნენ, თუ რა ჯანდაბის გამო უნდა რქმეოდა ამ ადგილს კაფე „კუნდერა“.

* * *

იმ დღეს, საღამოს ცხრა საათზე, ასია კაზანჯიმ გვარიანი სადილის შემდეგ სიმღერისა და ტაშისკვრის თანხლებით ჩააქრო სანთლები ძალიან ტკბილ სამფენიან ვაშლის ტორტზე კარამელითა და ძალიან მჟავე ლიმონისნაღებიანი მინანქრით. სანთლების მხოლოდ ერთი მესამედის ჩაქრობა მოახერხა. დანარჩენებს დეიდებმა, ბებიამ და დიდედამ შეუბერეს ყველა მხრიდან და ისე ჩააქრეს.

- როგორ ჩაიარა დღეს ბალეტის გაკვეთილმა? - იკითხა დეიდა ფერიდემ, თან ოთახში სინათლე აანთო.

- კარგად, - გაიღიმა ასიამ, - ცოტა ზურგი მტკივა, სულ ამ გაჭიმვების ბრალია, მასწავლებელი რომ გვაკეთებინებს, მაგრამ საწუწუნო მაინც არამაქვს. ბევრი ახალი მოძრაობა ვისწავლე...

- ჰო? - ეჭვით იკითხა ვიღაცამ. დეიდა ზელიჰა იყო, - მაინც რომელი?

- ესე იგი... - დაიწყო ასიამ, თან ტორტის პირველი ლუკმა ჩაიდო პირში. - ესე იგი, ვისწავლე petit jeté, ანუ პატარა ნახტომი, პირუეტი და გლისე.

- ერთი ნახტომით ორი კურდღლის დაჭერასავითაა, - შენიშნა დეიდა ფერიდემ, - ფულს ბალეტში ვიხდით, მაგრამ გამოდის, რომ ბალეტსაც სწავლობს და ფრანგულსაც. კარგ ფულს ვზოგავთ!

ფერიდეს ნათქვამს ყველა თავის ქნევით დაეთანხმა, ყველა, დეიდა ზელიჰას გარდა. ზელიჰას მომწვანო-მოლურჯო თვალებში უნდობლობის სხივმა გაუელვა, თავი ასწია და სახე ქალიშვილის სახესთან მიიტანა.

- გვაჩვენე! - ძლივს გასაგონი ხმით თქვა დეიდა ზელიჰამ.

- გაგიჟდი? - შეკრთა ასია, - ასეთ რამეებს პირდაპირ სასტუმრო ოთახში ვერ გავაკეთებ! სტუდიაში უნდა ვიყო და მასწავლებელთან ერთად უნდა ვმუშაობდე. თავიდან ვხურდებით და ვიჭიმებით, მერე გონებას ვიკრებთ. თანაც იქ ყოველთვის მუსიკაა... გლისე სრიალს ნიშნავს, იცოდით? აქ როგორ უნდა ვისრიალო, ამ ხალიჩაზე? ბალეტი ასე არ გამოვა!

დეიდა ზელიჰამ შავ თმაზე თითები ჩამოისვა და პირქუშმა ღიმილმა ტუჩები გაუწელა. არაფერი უთქვამს. თითქოს ტორტის ჭამა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ქალიშვილთან ჩხუბი, მაგრამ ზელიჰას ღიმილიც კი საკმარისი იყო ასიას წყობიდან გამოსაყვანად. გოგონამ თეფში გვერდზე მოისროლა, სკამი გასწია და ფეხზე წამოდგა.

იმავე საღამოს ცხრა საათსა და თხუთმეტ წუთზე სტამბოლის ერთ დროს ფეშენებელურ ყაიდაზე მოწყობილ, მაგრამ ახლა ძალიან ძველმოდურ და ნახევრად დანგრეულ დიდ სახლში, თურქულ ხალიჩაზე ასია კაზანჯი რომანტიკული გამომეტყველებითა და განზე გაშლილი ხელებით ბალეტს ცეკვავდა. ნაზად მოღერებული ხელის შუათითებით ცერებს ეხებოდა, თავში კი ბრაზი და წყენა უტრიალებდა.

6

ბუსტუღი

წიგნების უზარმაზარ მაღაზიაში სახელწოდებით „Clean Well-Lighted Place for Books“ არმანუშ ჩახმახჩიანი მოლარეს მისჩერებოდა. ავტომატი არმანუშის საკრედიტო ბარათს ამოწმებდა. გოგონას ისის იყო, ეყიდა და ტილოს ზურგჩანთაში ჩაელაგებინა შვიდი წიგნი, შვიდი რომანი. ბოლოს და ბოლოს, ქვითარიც მიაწოდეს. შეეცადა, ქაღალდზე ხელი ისე მოეწერა, თანხის ჯამისათვის არ დაეხედა. კიდევ ერთხელ დახარჯა მთელი თვის დანაზოგი წიგნებზე!

არმანუში ნამდვილი წიგნის ჭია იყო. იმის გათვალისწინებით, რომ ნაკითხობას ბიჭების თვალში ნულოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, არმანუშის მწიგნობრობა დიდი ვერაფერი ნუგეში იყო და მხოლოდ იმისთვის გამოდგებოდა, რომ დედამისს კიდევ უფრო მეტად ედარდა ფულიან კაცზე ქალიშვილის გათხოვების პერსპექტივის გამო.

სწორედ იმ დილით არმანუში როუზს ტელეფონით დაჰპირდა, საღამოს პაემანზე რომანებზე კრინტსაც არ დავძრავო. ამით იგრძნო, როგორ აუზვირთდა გულ-მუცელში მღელვარების ტალღა, როგორც კი მოახლოებულ პაემანზე დაიწყო ფიქრი. ერთმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ არავის შეხვედრია. ეს განწირული ფსევდოპაემნებით გამორჩეული ოცდაერთწლიანი მარტოობის ქრონიკისათვის გაღებული წმიდა-თაწმიდა მსხვერპლი გახლდათ, იმ დღეს კი არმანუშ ჩახმახჩიანს კიდევ ერთხელ უნდა ეცადა სიყვარულში ბედი.

გარდა იმისა, რომ წიგნებით გატაცება ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რომლის გამოც არმანუში საპირისპირო სქესთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას ვერ ახერხებდა, არსებობდა კიდევ ორი დამატებითი ფაქტორი, რომელიც გოგონას მარცხში ცეცხლზე ნავთს ასხამდა.

პირველი და მთავარი ფაქტორი ის გახლდათ, რომ არმანუში ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი. ფიზიკური მიმზიდველობა გოგონასი, რომელსაც მოხდენილი ტანი, დახვეწილი სახე, ქერა, დატალღული თმა, დიდ-

რონი მონაცრისფრო-მოლურჯო თვალები და გამოყვანილი ცხვირი ჰქონდა, რომლის ოდნავი კეხი შეიძლება სხვა ადამიანის ნაკლად მოგჩვენებოდათ, მაგრამ არმანუშის გამომეტყველებას მხოლოდ თავდაჯერებულობას მატებდა, და მისი გონებრივი შესაძლებლობები ყმაწვილებს აფრთხობდა.

არა, განა ახალგაზრდა მამაკაცები უშნო ქალებს ანიჭებდნენ უპირატესობას, ანდა ინტელექტის ფასი არ იცოდნენ. უბრალოდ, ზუსტად ვერ გაეგოთ, რომელი კატეგორიისათვის უნდა მიეკუთვნებინათ არმანუში: ქალებისათვის, ვისთან დაწოლის სურვილიც კლავდათ, ანუ ძვირფასებისთვის, მათთვის, ვისაც რჩევას ეკითხებოდნენ ხოლმე, ანუ ძმაკაცებისთვის, თუ მათთვის, ვისზეც უნდა, ბოლოს და ბოლოს, დაქორწინებულიყვნენ, ანუ საცოლეებისთვის. იმის გამო, რომ ამი თითქმის უნაკლო იყო და ერთდროულად ყველა კატეგორიას ერგებოდა, საბოლოოდ ვერც ერთში ვერ მოხვდა.

მეორე ფაქტორი პირველივით გაუკონტროლებელი, მაგრამ მასზე გაცილებით რთული იყო. ამ ფაქტორს არმანუშის ნათესავები წარმოადგენდნენ. როცა საქმე არმანუშისათვის შესაფერის მამაკაცს ეხებოდა, სან-ფრანცისკოში მცხოვრები ჩახმახჩიანების ოჯახისა და არიზონაში მყოფი დედის შეხედულებები ერთმანეთისაგან უკიდურესად განსხვავდებოდა. მას შემდეგ, რაც ფეხი აიდგა, არმანუში თითქმის ყოველი წლის ხუთ თვეს, ანუ ზაფხულისა და საგაზაფხულო არდადეგებს, ხშირად უქმეებსაც, ჩახმახჩიანებთან ატარებდა, დანარჩენ შვიდ თვეს კი - არიზონაში. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, გოგონამ ისიც იცოდა, რას მოელოდა მისგან ესა თუ ის მხარე და ისიც, თუ რამდენად შეუთავსებელი იყო თითოეული მათგანის მოლოდინი. ის, რაც გაახარებდა ერთს, აუცილებლად ატკენდა გულს მეორეს. არავის რომ არ სწყენოდა, არმანუშმა სცადა, სან-ფრანცისკოში სომეხ ბიჭებს შეხვედროდა, ხოლო არიზონაში ყოფნისას - ნებისმიერს, სომხების გარდა. თითქოს ბედის ირონია იყო, სან-ფრანცისკოში მხოლოდ არასომხები მოსწონდა, მაშინ, როდესაც ყველა ახალგაზრდა, რომლის გამოც

არიზონაში ყოფნისას თავი დაუკარგავს, ამერიკელი სომეხი აღმოჩნდა. ამის გამო დედამისი ძალიან გულგატეხილი იყო.

მიდიოდა არმანუში და თან მიჰქონდა მძიმე ზურგჩანთაც და თავისი შიშებიც. ქარის სტვენასთან ერთად მის ყურთასმენას უცნაური მელოდია სწვდებოდა. გოგონამ ოპერა-პლაზა გადაკვეთა და „მაქსის ოპერა-კაფეში“ ახალგაზრდა წყვილს მოჰკრა თვალი. ქალ-ვაჟი ან იმ აკოკოლავებული დამარილებული მოხარშული ხორცის სენდვიჩების გამო იყო იმედგაცრუებული, წინ რომ ედოთ, ანდა ის-ის იყო, ეჩხუბათ.

„მადლობა ღმერთს, რომ გაუთხოვარი ვარ“, - გაიფიქრა არმანუშმა ნახევრად ხუმრობით, ვიდრე თურქ-სტრიტისაკენ გაუხვევდა.

წლების წინ, როცა ჯერ კიდევ მოზარდი იყო, არმანუში ნიუ-იორკიდან ჩამოსულ ერთ ამერიკელ სომეხ გოგონას ათვალიერებინებდა ქალაქს. თურქ-სტრიტს რომ მიაღწიეს, სტუმარმა სახე მოჭმუხნა:

- თურქ-სტრიტი! რა, ყველგან არიან?

არმანუშს გაახსენდა, როგორ გააოცა მაშინ გოგონას რეაქციამ. სცადა, აეხსნა სტუმრისათვის, რომ ქუჩას ფრანკ თურქის სახელი ერქვა, ადვოკატისა, რომელიც მერე ალკალდის თანამდებობაზე მუშაობდა და ქალაქის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ.

- რაც უნდა იყოს, - შეაწყვეტინა არმანუშს მეგობარმა, რომელსაც ქალაქისისტორია დიდად არ აინტერესებდა, - სულერთია. ყველგან არიან.

ისინი მართლაც ყველგან იყვნენ, იმდენად ყველგან, რომ ერთ-ერთი მათგანი არმანუშის დედაზეც კი იყო დაქორწინებული, თუმცა, ეს დეტალი ამიმ თავისთვის შეინახა.

სომეხ მეგობრებთან მამინაცვალზე საუბარს არმანუში თავს არიდებდა. მამინაცვალზე ის არც არასომხებთან ლაპარაკობდა და არც იმათთან, ვისაც მხოლოდ საკუთარი ცხოვრება აინტერესებდათ და ამის გამო სომხურ-თურქული კონფლიქტის ისტორია სულ ფეხებზეეკიდათ. და მაინც, გოგონა, რომელიც საკმაოდ ჭკვიანი იყო და იცოდა, რომ საიდუმლო იმაზე სწრაფად შეიძლება გავრცელდეს, ვიდრე ქარში მტვერი, დუმილს არჩევდა.

თუ უცნაურობის შესახებ არავის ეტყვი, ყველა ჩათვლის, რომ შენი უცნაურობა ნორმაა. არმანუშმა ეს ადრეულ ასაკში აღმოაჩინა. იმდენად, რამდენადაც დედამისი ოდარი იყო, რა უნდა ყოფილიყო ამ ქალისათვის იმაზე უფრო ნორმალური, ვიდრე მეორე ოდარზე გათხოვება? რაკი ეს მოსაზრება არმანუშის მეგობრების წრეში საყოველთაოდ მიღებული გახლდათ, ფიქრობდნენ, რომ გოგონას მამინაცვალი სომეხი იყო, სავარაუდოდ, შუა დასავლეთიდან.

თურქ-სტრიტზე არმანუშმა ჰომოსექსუალების სასტუმროს ჩაუარა, სადაც კლიენტებს საწოლსა და საუზმეს სთავაზობდნენ, მერე - ახლოაღმოსავლურ სასურსათოს და პატარა ტაილანდურ მაღაზიას, მერე კი მილეთის ხალხის გვერდით იხეტიალა და, ბოლოს და ბოლოს, რაშენჰილისაკენ მიმავალ ტროლეიბუსში ავიდა. არმანუშს შუბლი მტვრიან ფანჯარაზე მიეყრდნო და ბორხესის „ლაბირინთებისეულ“ სხვაზე ფიქრობდა, თან ჰორიზონტიდან აწეულ თხელ ნისლს გასცქეროდა. თავადაც ჰქონდა მეორე მე, რომლისაგანაც, სადაც უნდა წასულიყო, თავი მუდამ შორს ეჭირა.

ამ ქალაქში ყოფნა მოსწონდა. მოსწონდა, როგორ ჩქეფდა მის სხეულში აქაურობის ძალა და ენერგია. მას შემდეგ, რაც ფეხი აიდგა, ყოველთვის უყვარდა აქ ჩამოსვლა და მამასა და ბებია შუშანასთან ყოფნა.

დედამისისგან განსხვავებით, მამა მეორედ არ დაქორწინებულა. არმანუშმა იცოდა, რომ წარსულში ბარსამს მეგობარი ქალები ჰყავდა, მაგრამ შეიძლება იმიტომ, რომ ეს თავგადასავლები საკმარისად სერიოზული არ ყოფილა, ანდა იმიტომ, რომ რაიმე მიზეზით ქალიშვილის განაწყენებისა ეშინოდა, მამას არმანუშისათვის არც ერთი მათგანი არ გაუცნია. ასე, ალბათ, შიშის გამო იქცეოდა, - ეს უფრო ჰგავდა ბარსამ ჩახმახჩიანს.

არმანუშს სწამდა, რომ მამამისი დედამიწაზე ყველაზე არაეგოისტი არსება და ყველაზე უსქესო მამაკაცი იყო და აქამდე ვერაფრით გაეგო, როგორ შეიძლებოდა ასეთი კაცი როუზისთანა ეგოცენტრიკულ ქალს გადაჰყროდა. არა, განა ამის დედა არ უყვარდა, უყვარდა, თავისებუ-

რად, მაგრამ იყო პერიოდები, როდესაც დედამისის დაუკმაყოფილებელი სიყვარული ახრჩობდა. ასეთ დროს სან-ფრანცისკოში გაქცევით და კმაყოფილი, მაგრამ მისგან სიყვარულის ასევე მომლოდინე ჩახმახჩიანების მკლავებში ჩავარდნით შველოდა ხოლმე თავს.

ტროლეიბუსიდან ჩამოსულმა არმანუშმა ფეხს აუჩქარა. მეთ ჰასინგერს მისთვის საღამოს უნდა გამოევლო. მოსამზადებლად საათ-ნახევარზე ნაკლები დრო ჰქონდა, რაც არსებითად შხაპის მიღებას და, სავარაუდოდ, ფირუზისფერ კაბაში გამოწყობას გულისხმობდა. ყველა ამბობდა, რომ ამის ეს კაბა ძალიან უხდებოდა. სულ ეს იყო - არავითარი მაკიაჟი, არავითარი სამკაული. არმანუში ამ პაემნისათვის თავის მოკაზმვას არ აპირებდა და, თქმა არ უნდა, რომ მისგან დიდს არც არაფერს მოელოდა. საქმე თუ კარგად წავიდოდა, ხომ კარგი, მაგრამ თუ არაფერი გამოვიდოდა, არმანუში ამისთვისაც მზად იყო.

არმანუშ ჩახმახჩიანი ნელ-ნელა მიიკვლევდა გზას ნისლში გახვეულ ქალაქში. საღამოს შვიდის ათ წუთზე რაშენ-ჰილში ბებიას ორსაბაზანოიან ბინას მიაღწია. ეს გამოცოცხლებული უბანი სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ ყველაზე ციცაბო ბორცვზე აეშენებინათ.

- გამარჯობა, საყვარელო, კეთილი იყოს შენი შინ მობრძანება! - არმანუშის გასაოცრად, კარი ბებიის ნაცვლად მამიდა სურპუნმა გააღო, - მენატრებოდი, - სიყვარულით ჩაიჟღურტულა სურპუნმა, - მთელი დღე რას აკეთებდი? რა ხდებოდა?

- არაფერი, - მშვიდად თქვა არმანუშმა, თან აინტერესებდა, უმცროსი მამიდა სამშაბათ საღამოს აქ რას აკეთებდა.

მამიდა სურპუნი ბერკლიში ცხოვრობდა და ყოველთვის იქ ასწავლიდა, ყოველ შემთხვევაში, არმანუშის პატარაობიდან მოყოლებული მაინც. სურპუნი სან-ფრანცისკოში უქმეებზე ჩამოდიოდა ხოლმე, მაგრამ შუა კვირაში მისი გამოჩენა მეტისმეტად უცნაური იყო. ამ საკითხზე ფიქრს არმანუშმა მაშინვე დაანება თავი, როგორც კი გასული დღის ანგარიშის ჩაბარება განაგრძო.

- რამდენიმე ახალი წიგნი ვუყიდე ჩემს თავს, - გულწრფელად თქვა სახეგაბადრულმა გოგონამ.

- წიგნები? ისევ თქვა „წიგნებიო“? - ოთახიდან იყვირა ვიღაცის ნაცნობმა ხმამ. მამიდა ვარსენიგის ხმას ჰგავდა.

არმანუშმა საწვიმარი ჩამოკიდა, ქარისგან გაწეწილი თმა გაისწორა, თან იფიქრა, მამიდა ვარსენიგიც რას აკეთებსო აქ.

ვარსენიგის ტყუპი გოგონა იმ საღამოს ბრუნდებოდა ლოს-ანჯელესიდან, სადაც საკალათბურთო ტურნირში მონაწილეობდნენ. მამიდა ვარსენიგი იმდენად ღელავდა ამ შეჯიბრების გამო, რომ ბოლო სამი დღის განმავლობაში ხეირიანად არ ეძინა და გაუთავებლად ექაქანებოდა ტელეფონზე ტყუპიდან ერთ-ერთს, ანდა მათ მწვრთნელს. ამის მიუხედავად, იმ დღეს, როცა გოგონები უნდა დაბრუნებულიყვნენ, ნაცვლად იმისა, ჩვეულებისამებრ რამდენიმე საათით ადრე აეროპორტში წასულიყო, მამიდა ვარსენიგი ბებიას სახლში სასადილო მაგიდასთან იჯდა.

- ჰო, მართლა „წიგნები“ ვთქვი, - თქვა არმანუშმა, ტილოს ზურგჩანთა მხარზე მოიგდო და უზარმაზარ სასტუმრო ოთახში შევიდა.

- ნუ უსმენ ერთი. ბერდება და ანჩხლდება, - არმანუშის ზურგს უკან ჩაიჭიკჭიკა მამიდა სურპუნმა, რომელიც ძმისშვილს სასტუმრო ოთახში ფეხდაფეხ შეჰყვა, - ყველასისე გვეამაყები, ძვირფასო!

- გვეამაყება, მაგრამ შეუძლია თავისი ასაკისათვის შესაფერისადაც რომ მოიქცეს, - მამიდა ვარსენიგმა მხრები აიჩეჩა, ფაიფურის ბოლო თეფში მაგიდაზე დადო და ძმისწული მაგრად ჩაიკრა გულში, - ხომ იცი, შენი ასაკის გოგონები ჩვეულებრივ თავის გალამაზებით არიან დაკავებული. შენ არ გჭირდება, მაგრამ თუ სულ იკითხავ, იკითხავ, იკითხავ, ბოლოს რა იქნება?

- იცი, ფილმებისგან განსხვავებით, წიგნის ბოლოს წარწერა „დასასრული“ არ გაიელვებს ხოლმე. როცა რომელიმე წიგნს წავიკითხავ, არა მგონია, რომ რაღაც დავამთავრე და უბრალოდ ახალი წიგნის კითხვას ვიწყებ.

არმანუშმა თვალი ჩააპაჭუნა. ვერც კი ხვდებოდა, რამდენად ლამაზი იყო ოთახში შემოსული მზის სუსტ სინათლეზე. ზურგჩანთა ბებიას სავარძელზე დადო და მყისიერად ამოასუფთავა, თითქოს ახალი სათა-

მაშოების გროვის ნახვას დახარბებული ბავშვი ყოფილიყოს. წიგნები ერთმანეთზე დახვავდა: „ალეფი და სხვა მოთხრობები“, „ჩლუნგების კონფედერაცია“, „მისი მხიარულება“, „მწუხარების მართვა“, ბორხესის მოთხრობების კრებული, „ნარცისი და გოლდმუნდი“, „მამბოს მეფეები სიყვარულის სიმღერას უკრავენ“, „ჩაით დახატული პეიზაჟი“, „ყვითელი ქალბატონი და მშვენიერება სულისა“ და ამის საყვარელი ავტორის, მილან კუნდერას ორი ნაწარმოები - „სიცილისა და დავიწყების წიგნი“ და „ცხოვრება სადღაც სხვაგანაა“. ამ წიგნებიდან ზოგიერთი არმანუშისათვის ახალი იყო, ზოგი წლების წინ წაეკითხა და მას შემდეგ სულ უნდოდა მათი გადაკითხვა.

შეიძლება არა გონებით, მაგრამ ინსტინქტით არმანუშმა იცოდა, რომ წინააღმდეგობას, რომელსაც ჩახმახჩიანების ოჯახი წიგნებით მის გატაცებას უწევდა, უფრო ღრმა, დაფარული მიზეზები ჰქონდა, ვიდრე უბრალოდ მისთვის იმის შეხსენების სურვილი, თუ რით იყვნენ დაკავებული მისი ასაკის გოგონები. მისიანები ასე მარტო იმიტომ კი არ იქცეოდნენ, რომ არმანუში ქალი იყო, არამედ იმიტომაც, რომ იგი სომეხი გახლდათ და ბიბლიოფილობისგან თავის შეკავება ორჯერ მეტად მართებდა.

არმანუშს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ მამიდა ვარსენიგის მიერ კითხვის წინააღმდეგ გაუთავებლად გამოთქმული პროტესტის უკან უფრო სტრუქტურული, ფუნდამენტური საფიქრალი იმალებოდა. ეს გადარჩენის შიში იყო. მამიდას უბრალოდ არ უნდოდა, არმანუშს ასე ეკაშკაშა და სხვებისაგან გამორჩეული ყოფილიყო. მწერლები, პოეტები, მხატვრები, ინტელექტუალები პირველები იყვნენ სომეხთა შორის, ვისაც ოტომანთა მთავრობა ანადგურებდა. ჯერ „თავიანებს“ იშორებდნენ თავიდან და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიოდნენ დანარჩენების, უბრალო ადამიანების ექსტრადიციაზე.

ჩახმახჩიანების ოჯახი, ისევე, როგორც ძალიან ბევრი სომხურ დიასპორაში, შტატებში საღ-სალამათი და უვნებელი გახლდათ, მაგრამ ნამდვილი სიმშვიდე არასოდეს ჰქონიათ და ერთდროულად ხარობდნენ და შფოთავდნენ იმის გამო, რომ მათი გოგონა ძალიან ბევრს

კითხულობდა, ძალიან ბევრს ფიქრობდა და ძალიან განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ადამიანებისაგან.

წიგნები დიდად საზიანო იყო, რომანები - კიდევ უფრო საფრთხილო. მხატვრულ ლიტერატურას ადვილად შეეძლო გზიდან აეცდინეთ და შეეყვანეთ ამბების სამყაროში, სადაც ყველაფერი ცვალებადი და იდეალისტური გახლდათ. აქ ისევე უნდა ყოფილიყავი ფხიზლად, როგორც უმთვარო ღამით უდაბნოში სიარულისას. ვიდრე ამას გაიგებდით, შეიძლებოდა მხატვრულ ლიტერატურას ისე შორს გაეტაცებინეთ, რომ შეხება დაგეკარგათ რეალობასთან, მკაცრსა და დუნე სიმართლესთან, რომლისგანაც მეტისმეტად შორს ვერასოდეს ვერც ერთი უმცირესობა ვერ წავიდოდა, რადგან ქარების შეცვლისას და ცუდი დროების დადგომისას დაუცველი არ დარჩენილიყო.

საქმის ასეთ ვითარებას ვერაფრით შველოდა გულუბრყვილო ფიქრი, რომ ყველაფერი ისევე კარგად იქნებოდა, როგორც ყოველთვის. წარმოსახვა სახიფათოდ წარმტაცი ჯადოქრობა გახლდათ მათთვის, ვინც იძულებული იყო, რეალისტი ყოფილიყო ცხოვრებაში - შეიძლებოდა სიტყვებს ისინი მოეწამლა, ვისაც განგებამ დუმილი არგუნა წილად.

თუ გადარჩენილთა შვილი იყავით და კითხვა და ფიქრი მაინც გინდოდათ, ეს ძალიან უხმაუროდ, მხდალად და დაკვირვებულად უნდა გაგეკეთებინათ და არასოდეს უნდა გადაქცეულიყავით განთქმულ მკითხველად.

თუ მაღალ მისწრაფებებს ვერაფერს უხერხებდით, სხვა თუ არაფერი, მხოლოდ მარტივ, ვნებასა და ამბიციას მოკლებულ სურვილებს უნდა დასჯერებოდით, თითქოს ვიღაცას გამოერთეთ და ახლა მარტო იმის ძალა შეგწევდათ, რომ ერთი საშუალო ვინმე ბრძანებულიყავით.

ასეთი ბედისა და ოჯახის პატრონ არმანუშს საკუთარი ნიჭიერების დაკნინება უნდა ესწავლა და ყველაფერი გაეკეთებინა იმისთვის, რომ ასე ძალიან არ ეკაშკაშა.

სამზარეულოდან სანელებლების მძაფრი სურნელი გამოვიდა, გოგონას ნესტოებს მისწვდა და ოცნებებიდან გამოარკვია.

- აბა, - შესძახა არმანუშმა და სამ მამიდას შორის ყველაზე ენამრავალს, მამიდა ვარსენიგს მიუბრუნდა, - რჩები სადილზე?

- მხოლოდ ცოტა ხნით, ძვირფასო, - ჩაიბუტბუტა მამიდა ვარსენიგმა, - ცოტა ხანში აეროპორტში ვარ წასასვლელი. დღეს ტყუპი ბრუნდება. მარტო იმიტომ შემოვიარე, რომ თქვენთვის შინ მომზადებული მანტი მომეტანა და, - მამიდა ვარსენიგი სიამაყისგან გაიბადრა, - აბა, გამოიცანით? ბასთურმა ჩამოგვივიდა ერევნიდან!

- ღმერთო, მანტის არ ვჭამ და ნამდვილად არც ბასთურმის ჭამას ვაპირებ, - მოიღუშა არმანუში, - ამ საღამოს ნივრის სუნადვერ ავყროლდები.

- არ არის პრობლემა. კბილებს თუ გამოიხეხავ და პიტნის კევს დაღეჭავ, არანაირი სუნი აღარ გექნება, - შენიშნა მამიდა ზარუჰმა, რომელსაც ოთახში ოხრახუშითა და ლიმონის ნაჭრებით ლამაზად გაფორმებული მუსაკა შემოჰქონდა თეფშით. ზარუჰმა თეფში მაგიდაზე დადო და ძმისწულთან ჩასახუტებლად ხელები ფართოდ გაშალა.

მამიდას არმანუშიც გადაეხვია, თან ფიქრობდა, აქ რას აკეთებსო... გოგონამ სიტუაციაში გარკვევა დაიწყო. ეს რა კარგად მოფიქრებული „დამთხვევა“ იყო - ჩახმახჩიანების მთელი ოჯახი სწორედ მაშინ გაჩნდა ბებია შუშანასთან, როცა არმანუში პაემანზე მიდიოდა. ყველა სხვადასხვა საბაბით მოსულიყო, მაგრამ მიზანი ყველას ერთი და იგივე ჰქონდა: უნდოდათ, საკუთარი თვალით ენახათ, შეემოწმებინათ და შეეფასებინათ მეთ ჰასინგერი, იღბლიანი ახალგაზრდა, რომელიც იმ საღამოს მათ თვალისჩინს უნდა შეხვედროდა.

არმანუშმა ნათესავებს ისეთი თვალებით შეხედა, სასოწარკვეთილი გეგონებოდათ. რა უნდა ექნა? როგორ უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, როცა ისინი ასე სახიფათოდ ახლოს იყვნენ? როგორ უნდა დაერწმუნებინა, რომ მის გამო ასე ძალიან არ უნდა ედარდათ მაშინ, როცა ცხოვრებაში ძალიან ბევრი სადარდებელი ჰქონდათ? როგორ უნდა დაეღწია თავი გენეტიკური მემკვიდრეობისათვის, მით უმეტეს, რომ მისი ერთი ნაწილი ასე ამაყობდა ამ მემკვიდრეობით? როგორ უნდა მო-

ეგერიებინა მისთვის ძვირფასი ადამიანების სიყვარული? შეიძლებოდა კი სიკეთესთან შერკინება?

- არ უშველის! - ამოიოხრა არმანუშმა, - არანაირი კბილის პასტა, არანაირი კევი, არც პირის ღრუს საშინელი პიტნიანი სავლებები - დედამიწაზე არაფერია იმდენად ძლიერი, რომ ბასთურმის სუნს მოერიოს. ერთი კვირა უნდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაქრეს. ბასთურმას თუ შეჭამ, გადაბმულად რამდენიმე დღე მისი სუნი აგდის, შენს ოფლსაც კი მისი სუნი აქვს, შარდსაც!

შეტრიალდა თუ არა, არმანუშმა გაიგონა, როგორ უჩურჩულა დაბნეულმა მამიდა ვარსენიგმა მამიდა სურპუნს:

- რა საერთო აქვს შარდვას პაემანთან?

პროტესტის გრძნობის მიუხედავად, არმანუშს ოჯახის წევრებთან კამათი არ უნდოდა და სააბაზანოსაკენ მხოლოდ იმისთვის გაემართა, რომ იქ ბიძია დირკანი აღმოეჩინა. ბიძიას თავი ხელსაბანის ქვეშ, კარადაში შეეყო, ზორზოხი ტანით კი ხელებსა და მუხლებს ეყრდნობოდა.

- ბიძია? - თითქმის იკივლა არმანუშმა.

- გამარჯობაააა! - ყიჟინა დასცა დირკან სტამბოლელმა კარადიდან.

- ეს სახლი ჩეხოვის გმირებით არის სავსე, - თავისთვის ჩაიბურტყუნა არმანუშმა.

- თუ ასე გინდა, - ექოსავით გაისმა ბიძიას ხმა ხელსაბანის ქვეშ.

- რას აკეთებ, ბიძია?

- ხომ იცი, ბებიაშენი სულ წუწუნებს ძველი ვენტილების გამო. ჰოდა, ამ საღამოს ჩემს თავს ვუთხარი, რატომ არ უნდა დავხურო მაღაზია ადრიანად, შევიარო შუშანასთან და შევაკეთო ის წყეული მილები-მეთქი?

- ჰო, გასაგებია, - შენიშნა არმანუშმა, თან სიცილს იკავებდა, - სხვათა შორის, სად არის ბებია?

- თვლემს, - თქვა დირკანმა, თან ხოხვა-ხოხვით გამოძვრა კარადიდან მილების მოსაღუნი მოწყობილობის ასაღებად და ისევ შიგნით შეცოცდა, - ასაკია, რა გინდა, რომ ქნა? სხეულს ძილი სჭირდება! რვის ნახევრამდე გაიღვიძებს. შენ არ ინერვიულო.

რვის ნახევარი! თითქოს ოჯახში ყველას თავისი ბიოლოგიური მაღვიძარა სწორედ იმ დროზე დაეყენებინა, როცა მეთ ჰასინგერს ზარი უნდა დაერეკა.

- მომაწოდე რა ქანჩის გლუვტუჩიანი გასაღები, - გაისმა იმედგაცრუებული ხმა, - ეს თითქოს არ მუშაობს.

არმანუშმა იატაკზე დადებულ ჩანთას შეუბღვირა, რომელშიც ყველანაირი ზომის უამრავი ხელსაწყო ელაგა. ვიდრე გლუვტუჩიან გასაღებს გადააწყდებოდა, გოგონამ დირკანს ჯაჭვიანი გასაღები, მილების საგანივრებელი საღარავი და მილსადენის ჰიდრავლიკური გამოცდის ტუმბო მიაწოდა. აღმოჩნდა, რომ გლუვტუჩიანი გასაღებიც „არ შველოდა“ და ეს კარგს არაფერს მოასწავებდა. რომ მიხვდა, წარმოუდგენელ მრჩილავ ბიძია დირკანთან ერთად შხაპის მიღება შეუძლებელი იყო, არმანუში ბებიას საძინებლისკენ დაიძრა, კარი ოდნავ შეაღო და ოთახში შეიჭყიტა.

შუშანა ისე მშვიდად და უშფოთველად თვლემდა, მხოლოდ შვილებსა და შვილიშვილებში ჩაფლულ მოხუც ქალებს რომ სჩვევიათ ხოლმე. ერთი ბეწო ქალი, რომელსაც ყოველთვის სუსტი აღნაგობა ჰქონდა და ძალიან ბევრი რამ აეღო საკუთარ თავზე, ასაკს დაეპატარავებინა და დაეჩიავებინა. რაც უფრო ემატებოდა ხანი, მით უფრო მეტად სჭირდებოდა დღისით დაძინება. თუმცა, ღამით, როგორც ყოველთვის, ეღვიძა. ასაკს ბებიას უძილობისათვის ვერაფერი დაეკლო. ოჯახში ფიქრობდნენ, რომ შუშანას წარსული არაძლევდა დიდი ხნით დასვენების საშუალებას - მხოლოდ წამიერად შეეძლო თვალის მოტყუება. ბებია რომ არ გაეღვიძებინა, არმანუშმა კარი დახურა.

სასტუმრო ოთახში რომ დაბრუნდა, სუფრა მზად იყო. თეფში მისთვისაც დაედოთ. აინტერესებდა, როგორ შეუძლიათ იფიქრონ, რომ შევჭამ, როცა ერთ საათზე ნაკლებ დროში პაემანი უნდა მქონდესო, მაგრამ არჩია, არაფერი ეკითხა. მეტისმეტი გონიერება ამ ოჯახში დიდი შეცდომაიქნებოდა. ყველა რომ ბედნიერი ყოფილიყო, შეეძლო ცოტა წაეციცქნა, თან აქაური სამზარეულო მოსწონდა.

არიზონაში არმანუშის დედას უნდოდა, რომ მისი სახლის სამზადი რაც შეიძლებოდა შორს ყოფილიყო სომხური სამზარეულოსგან, რომლის მეზობლებსა და მეგობრებთან ლანძღვა ძალიან უყვარდა. განსაკუთრებით მოსწონდა, როცა ყურადღებას ორ კერძზე ამახვილებდა. როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, ხბოს ფეხებსა და სატენიან ნაწლავებს როუზი საჯაროდ აძაგებდა. არმანუშს გაახსენდა, როგორ წუწუნებდა ერთხელ დედამისი კარის მეზობელ მისის გრინელთან.

- საშინელებაა, - შესძახა მისის გრინელმა. ხმაში ზიზღი შეჰპარვოდა, - ნაწლავებს მართლა ჭამენ?

- ჰო, აბა, - მონდომებით დააქნია თავი როუზმა, - მერწმუნეთ, ჭამენ. ნივრითა და მწვანილით კაზმავენ, ბრინჯით ტენიან და ყლაპავენ.

ქალებმა ქედმაღლურად ჩაიხითხითეს და, ალბათ, კიდევ იხითხითებდნენ, იმ მომენტში არმანუშის მამინაცვალი რომ არ მიბრუნებოდათ გაწამებული სახით და არ შეენიშნა:

- რა არის ამაში განსაკუთრებული? მუმბარს უნდა ჰგავდეს. ერთხელ უნდა გასინჯოთ, მართლა კარგია.

- ისიც სომეხია? - ჩურჩულით იკითხა მისის გრინელმა, როცა მუსატაფა ოთახიდან გავიდა.

- რა თქმა უნდა, არა, - ხმა ჩაუწყდა როუზს, - უბრალოდ, რაღაცები საერთო აქვთ.

* * *

ზარის მწივანა ხმა გაისმა და არმანუში ტრანსიდან გამოიყვანა, ყველა დანარჩენი კი შიშით ფეხზე წამოხტა. შვიდი საათიც კი არ იყო. პუნქტუალურობა აშკარად არ ყოფილა მეთ ჰასინგერის ერთ-ერთი ღირსებათაგანი. თითქოს ღილაკს თითი დააჭირესო, სამივე მამიდა კარისკენ გაექანა და კინაღამ გააღეს კიდეც. ბიძია დირკანმა თავი მიარტყა კარადას, რომელშიც ჯერ კიდევ მუშაობდა, ხოლო ბებია შუშანამ შეშინებულმა გაახილა თვალი. მხოლოდ არმანუში ინარჩუნებდა სიმშვიდესა და აღუშფოთველობას. მამიდების მიშტერებული მზერის თანხლებით გოგონა კარისკენ განზრახ მოზომილი ნაბიჯით გაემართა და გააღო იგი!

- მამიკო! - აჟღურტულდა გახარებული არმანუში, - მეგონა, ამ საღამოს შეხვედრა გქონდა. ასე ადრე როგორ გაჩნდი სახლში? - თუმცა, ვიდრე შეკითხვას დაასრულებდა, გოგონამ გუმანით გამოიცნო პასუხი.

ბარსამ ჩახმახჩიანს ლოყები ჩაეჩხვლიტა და ნაზად გაეღიმა, მერე კი ქალიშვილს მოეხვია. სიამაყისგან გაბრწყინებულ თვალებში მღელვარების კვალი ემჩნეოდა.

- ჰო, მაგრამ არ გამოვიდა, შეხვედრის სხვა რიცხვში გადატანა მოგვიხდა, - უთხრა მამამ არმანუშს.

როგორც კი გოგონა ისეთ მანძილზე მოშორდათ, რომ მათ საუბარს ვეღარ მოისმენდა, ბარსამმა დებს გადაუჩურჩულა:

- აქ არის?

მეთ ჰასინგერის მოსვლამდე დარჩენილი ოცდაათი წუთის განმავლობაში ყველას, არმანუშის გარდა, გული სულ უფრო მეტად უგრძნობდა რაღაცას ავს. რამდენიმე კაბა ჩააცვეს და თითოეულ მათგანში გამოწყობილს აქეთ-იქით იქამდე დაატარებდნენ, ვიდრე ერთხმად არ გადაწყვიტეს: ფირუზისფერი კაბა. მორთულ-მოკაზმულობას შესადარი საყურე, ბორდოსფერი მინის მძივებით გაწყობილი ქისა, მუქი ლურჯი ფუმფულა ჟაკეტი იმ შემთხვევისათვის, თუ აცივდებოდა.

არმანუშმა იცოდა, რომ სიცივე იყო საკითხი, რომელთან დაკავშირებული კითხვები არ უნდა დაესვა. ჩახმახჩიანების აზრით, სამყარო მათი სახლის გარეთ რაღაცნაირი არქტიკული იყო. მათთვის სიტყვა „გარეთ“ „ცივ მიწას“ ნიშნავდა და გარეთ გასასვლელად თან ჟაკეტი უნდა წაგეღოთ, სასურველი იყო ხელით ნაქსოვი. ეს ამბავი არმანუშმა ნაწილობრივ ბავშვობიდან იცოდა - პატარა იყო, ბებიას მოქსოვილი შალის საბნების ქვეშ, კიდეებში ამოგვირისტებული თავისი ინიციალებით, რომ იმალებოდა ხოლმე. ისე დაძინება, რომ სხეული არაფრით დაგეფარათ, უბრალოდ წარმოუდგენელი რამ იყო, ხოლო ქუჩაში უჟაკეტოდ გასვლა - შეცდომა. სწორედ ისე, როგორც სახლს სჭირდებოდა სახურავი, ადამიანებსაც სჭირდებოდათ დამატებითი ტყავი მათსა და დანარჩენ სამყაროს შორის, რათა თავი უსაფრთხოდ და თბილად ეგრძნოთ.

როგორც კი არმანუში ჟაკეტის ჩაცმაზე დაიყოლიეს, ჩაცმა-დახურვის ნაწილი მაშინვე დასრულდა და მომდევნო, არსებითად პარადოქსულ, მაგრამ არა ჩახმახჩიანებისათვის, მოთხოვნაზე გადავიდნენ. უნდოდათ, არმანუში მათთან ერთად დამჯდარიყო სუფრასთან და ეჭამა, რომ საღამოს ვახშმისთვის მომზადებული და მოღონიერებული ყოფილიყო.

- მაგრამ, ძვირფასო, ჩიტივით იკენკები. არ მითხრა, რომ ჩემი მანტის გასინჯვას არც კი აპირებ, - მამიდა ვარსენიგს ხელში ჩამჩა ეჭირა და ისე მოთქვამდა. მის მუქ წაბლისფერ თვალებში ჩამდგარმა უზარმაზარმა შიშმაარმანუშს აფიქრებინა, მამიდა ერთ ჯამ მანტიზე მთავარ სიკვდილ-სიცოცხლის მნიშვნელობის რომელიმე საკითხზე ხომ არ ჯავრობსო.

- არ შემიძლია, მამიდა, - ამოიხვნეშა არმანუშმა, - თეფში უკვე გამივსე კადაიფით. მაცალე, დავამთავრო. ეს საკმარისზე მეტია.

- მაშ, არ გინდოდა, რომ ხორცისა და ნივრის სუნი გქონოდა? - დაიწკრიალა მამიდა სურპუნმა. მის ხმას ანცი ქარაგმები დაჰყვებოდა, - ჰოდა, მოგართვით ეკმეკ კადაიფი. ასე შენს სუნთქვას ბუსტუღის სურნელი ექნება.

- რატომ უნდა მოგინდეს, რომ ბუსტუღის სუნი გქონდეს? - იკითხა გაოგნებულმა ბებია შუშანამ, რომელსაც კამათის პირველიეპიზოდი გამოეტოვებინა, თორემ ის კი არა, რომ მაინც ვერაფერს გაიგებდა.

- არ მინდა, ბუსტუღის სუნი ამდიოდეს, - უსაშველობისგან არმანუშმა თვალები ფართოდ გაახილა და მამას მიუბრუნდა, უბედურების სიგნალს აძლევდა და ხსნას ელოდა.

ვიდრე ბარსამ ჩახმახჩიანი სიტყვის თქმას მოახერხებდა, არმანუშის ფიჭურმა ტელეფონმა დარეკა. კლასიკური მელოდია იყო, ჩაიკოვსკის „ფერია დრაჟეს ცეკვა“. გოგონამ ტელეფონი აიღო და პატარა ეკრანს გაბუსულმა დახედა. დაფარული ნომერი გახლდათ. ვინც გინდა, ის შეიძლებოდა ყოფილიყო, მეთ ჰასინგერიც კი, რომელიც რაღაც გაუგებარ მიზეზს იდებდა საღამოს ვახშმის გასაუქმებლად. არმანუში იდ-

გა, ხელში ტელეფონი ეჭირა და აღელვებული ჩანდა. მეოთხე დარეკვაზე გოგონამ ტელეფონს იმ იმედით უპასუხა, რომ დედამისი რეკავდა.

ასეც იყო.

- ჰო, დედა, - უგერგილოდ წაიბუტბუტა არმანუშმა. მიჩვეულიც კი იყო ამას. პატარაობიდანვე, ყოველთვის, როცა ჩახმახჩიანებთან რჩებოდა, დედამისი ისე იქცეოდა, თითქოს მისი ქალიშვილის სიცოცხლე საფრთხეში ყოფილიყო.

- ამი, არ მითხრა, რომ ისევ სახლში ხარ, - თქვა როუზმა.

არმანუში ამასაც მიჩვეული იყო. მას შემდეგ, რაც გოგონას მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, დედამისი ქალიშვილის სახელსაც კი რაღაცნაირად გაემიჯნა. თითქოს გოგონასათვის სახელის გადარქმევა აუცილებელი იყო, იმისათვის, რომ ბავშვი უწინდებურად ჰყვარებოდა, როუზი შვილს „არმანუშს“ აღარ ეძახდა. ნომენკლატურის ასეთი ცვლილების შესახებ ამ დღემდე ჩახმახჩიანების ოჯახის წევრისათვის არ ჰქონდა ნათქვამი. ზოგჯერ რაღაცები არ ითქმება, არმანუშის ცხოვრებაში კი ასეთი მეტისმეტად ბევრი იყო.

- რატომ არ მპასუხობ? - არ ეშვებოდა დედა, - ამ საღამოს პაემანზე არ მიდიოდი?

არმანუში დუმდა. შესანიშნავად იცოდა, რომ ოთახში ყველა მასზე იყო მიყურადებული და უხერხული პაუზის შემდეგ მხოლოდ ეს თქვა:

- ჰო, დედა.

- ხომ არ გადაიფიქრე? თუ გადაიფიქრე?

- არა, დედა, მაგრამ შენი ნომერი რატომ არის დაფარული?

- ჩემი მიზეზები მაქვს, როგორც ყველა დედას. როცა იცი, რომ მე ვარ, ტელეფონს ყოველთვის არ პასუხობ, - სასოწარკვეთილმა როუზმა ხმას დაუწია, მაგრამ მერე ისევ ხმამაღლა განაგრძო, - მეთი ოჯახთან შეხვედრას აპირებს?

- ხო, დედა.

- არა! ეს ყველაზე საშინელი შეცდომა იქნება. შიშით სულს გააფრთხობინებენ მამიდაშენები, შენ მაგათ არ იცნობ, შენ ისეთი კარგი

ხარ, რომ ცუდს ვერ ხედავ, თავისი კითხვებით და დაკითხვებით საწ-ყალ ბიჭს თავგზას აუბნევენ.

არმანუშს არაფერი უთქვამს. ხაზზე უცნაური შრიალი ისმოდა. გო-გონას ეჭვი ჰქონდა, რომ დედამისი თან მას ტუქსავდა, თან თმას ივარ-ცხნიდა.

- საყვარელო, რატომ არაფერს ამბობ? ყველა მანდ არის? - იკითხა როუზმა. ყურმილში კიდევ ერთხელ გაისმა უცნაური შარიშური, მაგრამ არმანუშს აღარ უფიქრია, რომ ეს ხმაური თმის ვარცხნის ხმას ჰგავდა. უფრო თითქოს რბილი საგანი ვარდებოდა სითხეში შხეფების გარეშე, უფრო ზუსტად კი, თითქოს ბლინების ცომს ასხამდნენ ჩამჩით გავარვა-რებულ ტაფაზე.

- ო, რატომ გეკითხები იმას, რაც ისედაც აშკარაა? რა თქმა უნდა, მანდ არიან. ნაძლევს დავდებ, ყველა მანდ არის. მაგათ უწინდებურად ვძულვარ, არა?

ამ კითხვებზე პასუხი არმანუშს არ ჰქონდა. გოგონას თვალწინ წარ-მოუდგა როუზი, რომელსაც თმა მსუბუქად გამოენასკვა, უსადენო ტე-ლეფონი ყურზე მიეკრა, მეორე ხელში კი სამზარეულოს ნიჩაბი ეჭირა და მოვარდისფრო-მონარინჯისფრო კარადებიან ნახევრად ჩაბნელე-ბულ სამზარეულოში მარტო იმიტომ, რომ დღის ბოლოს თავად შეეჭა-მა, ბლინებს ისე ახოხოლავებდა, თითქოს სახლში ბავშვების მთელი ჯარი ყოფილიყოს. როუზი სამზარეულოს კარადების განახლებას გეგ-მავდა, მაგრამ საამისოდ ხან ფული არ ჰქონდა, ხან დრო. არმანუშს იმის წარმოსახვაც შეეძლო, როგორ იჯდა მისი მამინაცვალი, მუსტაფა კაზანჯი, სამზარეულოს მაგიდასთან, ერთ წილ ყავაში ერთ წილ რძეს ურევდა და „არიზონა დეილი სტარს“ ათვალიერებდა.

არიზონის უნივერსიტეტის დამთავრებისა და როუზთან დაქორწინე-ბის შემდეგ მუსტაფა კაზანჯის რეგიონის მინერალების კომპანიაში და-ეწყო მუშაობა და როგორც არმანუშმა იცოდა, კლდეებისა და ქვების სამყარო ყველაფერზე მეტად უყვარდა. მუსტაფა ცუდი კაცი არ იყო და ძალიან თუ გინდათ, იცოდეთ, ცოტა უინტერესო ვინმეც კი გახლდათ. ღმერთმა უწყის, რამდენ ხანს არ ყოფილა სტამბოლში, მიუხედავად

იმისა, რომ იქ ოჯახი ჰყავდა. ზოგჯერ არმანუშს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მისმამინაცვალს საკუთარი წარსულისაგან გაქცევა უნდოდა, მაგრამ რატომ, ამის თქმა გოგონას არ შეეძლო. არმანუშმა რამდენჯერმე სცადა მუსტაფასთან სიტყვა ჩამოეგდო 1915 წელსა და იმაზე, რაც თურქებმა სომხებს გაუკეთეს.

„ბევრი არაფერი ვიცი იმ ამბებზე, - თავაზიანად და ცივად უპასუხია მამინაცვალს და ასე გაუჩუმებია არმანუში, - ისტორიაა. ისტორიკოსებს უნდა გაესაუბრო“.

- ამი, დამელაპარაკები? - როუზს გაღიზიანებული ხმა ჰქონდა.

- დედა, უნდა გავთიშო.მოგვიანებით დაგირეკავ, - თქვა არმანუშმა.

მოულოდნელად რაღაცამ დაიწკაპუნა და ტელეფონში ისეთი შიშინი გაისმა, თითქოს როუზმა კიდევ ერთხელ ჩაასხა ჩამჩით ტაფაში ბლინის ცომი, ანდა ქვითინი აუტყდა. არმანუშს ერჩია, ამ ორიდან პირველი ყოფილიყო.

საშინლად გაღიზიანებული არმანუში სუფრასთან დაბრუნდა, ისევ დაჯდა სკამზე, კოვზს ხელი დაავლო და მიუხედავად იმისა, რომ არ უნდოდა, იმის ყლაპვას შეუდგა, რაც თეფშზე ედო, ისე, რომ დანარჩენებისთვის არც შეუხედავს. კიდევ რამდენიმე კოვზი და არმანუში მიხვდა, რომ ეს შეცდომა იყო.

- რატომ ვჭამ მანტის? - წამოიძახა გოგონამ.

- არ ვიცი, საყვარელო, - წამოიძახა პასუხად მამიდა ვარსენიგმაც, რომელიც ძმისწულს ისე შეშინებული მისჩერებოდა, თითქოს არმანუში რაღაც უცხო ქმნილება ყოფილიყოს, - მანდ იმ შემთხვევისთვის დავდე, თუ გასინჯვა მოგინდებოდა და თითქოს გინდოდა კიდეც.

არმანუშს ტირილი მოუნდა. სუფრიდან ადგომის ნებართვა ითხოვა და კბილების გამოსახეხად სააბაზანოში გავარდა. ძალიან ნანობდა მთელი ამ სულელური პაემნის გამო.

სარკის წინ იდგა. ხელში ნახევრად გამოწურული კბილის პასტის ტუბი ეჭირა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს საზოგადოებისაგან სამუდამოდ განდგომასა და ღვთისაგან დავიწყებულ რომელიღაც მთაზე მეუდაბნოედ წასვლას აპირებდა. რას გახდებოდა „კოლგე-

იტ ტოტალ უაითენინგის“ პასტა საძაგელ მანტისთან? იქნებ დაერეკა მეთ ჰასინგერთან და ეს ყველაფერი ჩაეშალა? ახლა მხოლოდ ის უნდოდა, რომ სასორწაკვეთილებას მიცემული ლოგინში წოლილიყო და ნაყიდი რომანები ეკითხა და ეკითხა იქამდე, ვიდრე ცხვირიდან სისხლი არ წამოუვიდოდა და თვალები არ დაეხუჭებოდა. მხოლოდ ეს უნდოდა.

- ლოგინში უნდა დარჩენილიყავი და რომანები გეკითხა, - მიალანძღა არმანუშმა ნაცნობი სახე, სარკეში რომ მოჩანდა.

- რა სისულელეა! - შენიშნა მამიდა ზარუჰმა, რომელიც ის-ის იყო, გამოჩნდა სარკეში ძმისწულის გვერდით, - შენ ხარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო მამაკაცს იმსახურებს. პომადა წაისვით, მის!

ტუჩის საცხის ტუბის ძირზე „ქალური მომხიბვლელობა“ არ ეწერა, მაგრამ ის, რაც ეწერა, ანუ „ალუბლის მომხიბვლელობა“, მნიშვნელობით საკმაოდ ახლოს იყო. არმანუშმა პომადა წაისვა და სწორედ ამ დროს კარზე ზარმაც დარეკა. შვიდი საათი და ოცდათორმეტი წუთი! და მაინც, როგორც ჩანს, პუნქტუალურობა მეთ ჰასინგერის ერთ-ერთი ღირსებათაგანი იყო.

ერთი წუთის შემდეგ არმანუშ ჩახმახჩიანი სუფთად ჩაცმულ, თვალში საცემად აღელვებულ და თითქოს შეფიქრიანებულ მეთ ჰასინგერს უღიმოდა, რომელიც კართან იდგა. მეთი არმანუშზე სამი წლით უმცროსი იყო. ამ უმნიშვნელო ფაქტს, რომლის შესახებ ვინმესთვის მოყოლა არმანუშს საჭიროდ არ ჩაუთვლია, ვაჟის სახე ახლა აშკარად გასცემდა. ან იმიტომ, რომ შეკრეჭილი თმისთვის რაღაც ექნა, ანდა იმის გამო, რომ ისეთ ტანისამოსში ჩამძვრალიყო, რომელსაც ჩვეულებრივ არ ჩაიცვამდა. მუქ ყავისფერ შალის ბლეიზერსა და რალფ ლორენის მოყვითალო-მონარინჯისფრო შარვალში მეთ ჰასინგერი დიდი ადამიანივით ჩაცმულ მოზარდს ჰგავდა.

ჰასინგერმა ბინაში შეაბიჯა. ხელში მეწამული ტიტების უზარმაზარი თაიგული ეჭირა. არმანუშს გაუღიმა, უკანა პლანზე შეკრებილი აუდი-

ტორია შენიშნა და გაშეშდა. არმანუშის ზურგს უკან ჩახმახჩიანების მთელი ოჯახი გამწკრივებულიყო.

- შემოდით, ახალგაზრდავ, - თქვა მამიდა ვარსენიგმა თავისი ომახიანი ხმით, რომელიც ადამიანებს დროდადრო აშინებდა კიდეც.

მეთ ჰასინგერმა ოჯახის ყველა წევრს ხელი ჩამოართვა. გრძნობდა, როგორ უკაწრავდა მათი მზერა სახეს. საკუთარი თავის რწმენა დაკარგა და ოფლმა დაასხა.

ვიღაცამ ყვავილები წაიღო, ვიღაცამ ბლეიზერი ჩამოართვა. უბლეიზეროდ ჰასინგერი გაპუტულ ფარშავანგს ჰგავდა. სასტუმრო ოთახისკენ წაბანცალდა და დაენარცხა პირველივე სკამზე, რომელიც დალანდა. დანარჩენებმა ნახევარწრე შეკრეს და ახლოს მიუსხდნენ. ერთმანეთს ერთი-ორი სიტყვა უთხრეს ამინდის, მეთის სწავლა-განათლების (სამართლის სკოლაში სწავლობდა, რაც შეიძლებოდა კარგიც ყოფილიყო და ცუდიც), მისი ოჯახის (დედისერთა იყო, რაც შეიძლებოდა კარგიც ყოფილიყო და ცუდიც), სომხებზე მისი ცოდნის (ბევრი არაფერი იცოდა, რაც ცუდი იყო, მაგრამ უნდოდა, მეტი სცოდნოდა, რაც კარგი იყო) შესახებ და ისევ ამინდის თემას დაუბრუნდნენ, მერე კი გამაღიზიანებელი სიჩუმე ჩამოვარდა. თითქმის ხუთი წუთის განმავლობაში სათქმელი არავის არაფერი ჰქონდა, მაგრამ ყველა ისე იყო გაბადრული, თითქოს ყელში რაღაც ჰქონოდათ გაჩხერილი და ეს სასაცილოდ ეჩვენებოდათ. ამ უხერხულ კინაღამ სახიფათო ჩიხში აღმოჩნდნენ, როდესაც ხელმეორედ გაისმა „ფერია დრაჟეს ცეკვა“.

არმანუშმა ეკრანს დახედა. დაფარული ნომერი იყო. გოგონამ ტელეფონს ხმა გამოურთო. მობილური ახლა მხოლოდ ძიგძიგებდა. არმანუშმა წარბები შეყარა და ტუჩები დაბრიცა, თითქოს მეთს ანიშნებდა, არაფერიაო. მისი ჟესტი ვერც ჰასინგერმა გაიგო, ვერც დანარჩენებმა.

შვიდ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე არმანუშ ჩახმახჩიანი და მეთ ჰასინგერი, ბოლოს და ბოლოს, გარეთ იყვნენ და ჰაიდ-სტრიტზე მიქროდნენ. წითელი ვენეციური „სუზუკი-ვერონა“ სულ უფრო უმატებდა სიჩქარეს. „სქიუდ უინდოუში“ მიდიოდნენ, რესტორანში, რომლის შე-

სახებაცმეთს ბევრი სმენოდა და ფიქრობდა, რომ იქაურობა მიმზიდველი და რომანტიკული იქნებოდა.

- იმედია, მოგწონს აზიური ნაზავი, კარიბის სანაპიროს გავლენა რომ ეტყობა, - ჩაიხითხითა საკუთარი სიტყვებით განცვიფრებულმა მეთმა, - ამ ადგილს ძალიან აქებენ.

სიტყვები „ძალიან აქებენ“ არმანუშისათვის კრიტერიუმს არ წარმოადგენდა უმთავრესად იმიტომ, რომ ყოველთვის ეჭვით უყურებდა ბესტსელერებს, რომლებსაც ძალიან აქებდნენ. მიუხედავად ამისა, გოგონას წინააღმდეგობა არ გაუწევია. იმედი ჰქონდა, რომ საღამოს ბოლოს მისი ცინიზმი დაშვებულ შეცდომებს აღიარებდა.

ხელში სულ სხვა რამ შერჩათ, - „სქიუდ უინდოუ“, ანუ ქალაქის ინტელექტუალებისა და ხელოვანთა თავშეყრის საყვარელი ადგილი, ყველაფერი იყო, მიმზიდველი და რომანტიკული რესტორნის გარდა, - აქოთებული საწყობი ძალიან მაღალი ჭერით, არ-დეკოს დაკიდებული ჭაღებითა და თანამედროვე აბსტრაქტული ხელოვნების ნიმუშებით ალაციცებული კედლებით.

თავით ფეხებამდე შავებში ჩაცმული ოფიციანტები ისე კისრისტეხით დარბოდნენ, გეგონებოდათ, ჭიანჭველებიაო, ის-ის იყო, შაქრის ფხვნილი რომ აღმოეჩინათ. აქეთ-იქით დაარბენინებდნენ მარჯვედ მომზადებულ კერძებს. იცოდნენ, რომ მალე ახალი მომხმარებელი შეგცვლიდათ, სავარაუდოდ, ვინმე, ვინც მეტ ჩაის ფულს დატოვებდა. რაც შეეხება მენიუს, ის უბრალოდ გაუგებარი იყო. თითქოს მისი შინაარსი საკმარისი არ ყოფილიყო ადამიანის საგონებელში ჩასაგდებად, ყველა კერძს ისეთი ფორმა, გაფორმება და გარნირი ჰქონდა, რომ რაღაც განსაკუთრებულ ექსპრესიონისტულ ნახატს მოგაგონებდათ.

რესტორნის ჰოლანდიელ შეფმზარულს ცხოვრებაში სამი მისწრაფება ჰქონდა: ფილოსოფოსობა, მხატვრობა და რესტორნის შეფმზარეულობა. რაკი ახალგაზრდობაში ფილოსოფიასა და სახვით ხელოვნებაში საშინლად არ გაუმართლა, ვერანაირ მიზეზს ვერ ხედავდა იმისათვის, რომ თავისი დაუფასებელი ტალანტები სამზარეულოში არ გამოეყენებინა. ასე და ამგვარად, ამ კაცს თავი იმით მოჰქონდა, რომ აბ-

სტრაქტულის მატერიალიზებას ახდენდა და იგი ისევ ადამიანის სხეულში გადაეტანა, რომელიც, როგორც ხელოვნების ნიმუში, მხატვრის სულიერი მდგომარეობის ხორცშესხმის სურვილის ნაყოფს წარმოადგენდა.

სადილი „სქიუდ უინდოუში“ უფრო ფილოსოფიური იყო, ვიდრე კულინარიული, ხოლო ჭამა ითვლებოდა არა კუჭის ამოვსების ანდა შიმშილის დათრგუნვის ფუნდამენტური სურვილით ნაკარნახებ აქტად, არამედ კათარზისთან ერთად შესრულებულ უზადო ცეკვად.

საჭმლის შერჩევის უამრავი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, არმანუშმა გადაწყვიტა, მდოგვისსოუსიანი და ქუნჯუტიანი, დაბრაწული ყვითელკუდა თინუსი და ბატის ღვიძლის პაშტეტი „იაკინკუი“ შეეკვეთა. მეთმა მარაკუიას ვინეგრეტისა და ჯიკამის სარეცელზე დასვენებული პირველი ანტრეკოტი გასინჯა ნაღების ცხარემდოგვიანი სოუსითურთ. მეთმა არ იცოდა, ამ კერძებს რომელი ღვინო მოუხდებოდა, მაგრამ კარგი შთაბეჭდილების დატოვება სურდა და ამიტომ ღვინოების ჩამონათვალს გადახედა.

უხერხულობის ხუთმა წუთმა გაიარა და მეთ ჰასინგერმა გააკეთა ის, რასაც ყოველთვის აკეთებდა მაშინ, როცა არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა აერჩია - ღვინო ფასის მიხედვით აარჩია. 1997 წლის „სავინიონი“ იდეალური უნდა ყოფილიყო. ღვინო საკმაოდ ძვირი გახლდათ, მაგრამ მისი შეძლების ფარგლებს არ სცდებოდა. არმანუშმა და მეთმა შეკვეთა მისცეს და იმის გარკვევას, თუ რამდენად კარგი იყო მათი არჩევანი, იმ ოფიციანტის გამომეტყველების მიხედვით შეეცადნენ, მათ რომ ემსახურებოდა, მაგრამ პროფესიული თავაზიანობის დაუწერელი ფურცლის გარდა ვერაფერი აღმოაჩინეს.

ცოტა ისაუბრეს: ვაჟმა - კარიერაზე, რომლის გაკეთებაც სურდა, ქალმა - ბავშვობაზე, რომლისთვისაც წერტილის დასმა უნდოდა; ვაჟმა - თავის გეგმებზე, ქალმა - წარსულის კვალზე; ვაჟმა - მოლოდინზე, რომელიც ცხოვრებაში ჰქონდა, ქალმა - ოჯახურ მოგონებებზე. სწორედ მაშინ, საუბრის მორიგ თემაზე გადატანას რომ აპირებდნენ, ფერია

დრაჟე აცეკვდა. გაღიზიანებულმა არმანუშმა ნომერს დახედა. არც ნაცნობი ნომერი იყო, არც დაფარული. არმანუშმა უპასუხა.

- ამი, სად ხარ?

- დე-და! როგორ... საიდან სხვა ნომერი? - ენის ბორძიკით თქვა გაოგნებულმა არმანუშმა?

- ოჰ, საიდან და მისის გრინელის ფიჭური ტელეფონით გირეკავ, - აღიარა როუზმა, - რა თქმა უნდა, ამდენი წვალება არ დამჭირდებოდა, ჩემს ზარებს რომ პასუხობდე.

არმანუშმა თვალები გულგრილად დააფახურა, როცა ოფიციანტი წითელ,ჩალისფერ და თეთრ ფერებში გადაწყვეტილ უცნაურ კერძს უდებდა წინ. ფუნჯის ულაზათო მონასმების მსგავსი საწებლის შუაგულში წითელი, უმი თინუსის მრგვალი ნაჭრები და კვერცხის ხასხასა ყვითელი გული იდო. ერთად ეს ყველაფერი თვალებჩაცვენილ უბედურ სახეს ქმნიდა.

არმანუშს ფიჭური ტელეფონი ისევ ყურთან ჰქონდა მიდებული, მაგრამ დედამისს აღარ უსმენდა. გოგონა შეეცადა, გამოეცნო, ეს სახე როგორ უნდა შეეჭამა და ტუჩები მოკუმა.

- ამი, რატომ არ მპასუხობ? დედაშენი არა ვარ? იმის ნახევრის უფლებასაც არ მაძლევ, რის ნებასაც ჩახმახჩიანებს რთავ?

- გთხოვ, დედა, - თქვა არმანუშმა, რადგან როუზის სიტყვები ისეთ შეკითხვას ჰგავდა, რომლის პასუხადაც შეიძლება მხოლოდ ითხოვო, აღარ მკითხოთო.

გოგონა მხრებში მოიხარა, თითქოს წონაში ორჯერ მოიმატა.

რატომ იყო დედამისთან ლაპარაკი ასე ძნელი? არმანუშმა როუზს სასწრაფოდ მოუბოდიშა, დაჰპირდა, რომმაშინვე დაურეკავდა, როგორც კი შინ მივიდოდა და ფიჭური ტელეფონი გათიშა. მერე მეთისაკენ გააპარა თვალი - აინტერესებდა, მიაქცია თუ არა ახალგაზრდა კაცმა ყურადღება სატელეფონო ზარს.

მეთ ჰასინგერის თეფში მრგვალი კი არა, მართკუთხა იყო. მდოგვიანი ნაღების კრემის იდეალურად სწორი ხაზით საჭმელი ორ ზონად გაეყოთ. დიზაინსა და ფერებზე მეტად ყმაწვილი საკვების უზადო გან-

ლაგებას გაეოცებინა. მეთმა ნერწყვი ძლივძლივობით გადაყლაპა, თითქოს კერძის მწყობრი სწორკუთხოვანების დარღვევისა ეშინოდაო.

არმანუშისა და მეთ ჰასინგერის კერძები ორ ექსპრესიონისტულ ნახატს იმეორებდა. არმანუშის თეფში ფრანჩესკო ბორეტის „უსინათლო მეძავის“ მიხედვით იყო აგებული. რაც შეეხება მეთის თეფშს, იგი მარკ როტკოს ერთ-ერთი ნახატით გახლდათ შთაგონებული და გონივრული სახელი - „უსათაურო“ ერქვა.

ქალ-ვაჟი ისე გაიტაცა თეფშების დათვალიერებამ, რომ ოფიციანტის კითხვა, იყო თუ არა ყველაფერი რიგზე, არც გაუგიათ.

საღამო მშვენივრად გაგრძელდა, თუმცა, იმაზე უკეთ არა, რისთვისაც სიტყვა „მშვენიერი“ შეიძლება გამოვიყენოთ. საჭმელი გემრიელი გამოდგა და ხელოვნების ნიმუშების გადასანსვლას იმდენად სწრაფად შეუდგნენ, რომ როდესაც დესერტი მიუტანეს, მეთმა უპრობლემოდ ათქვიფა პიტერ კიჩელის „April Blues Bring May Yellows“-ის წუნდაუდებლად ჩაწიკწიკებული ლურჯი მოცვის მარცვლები, ხოლო არმანუშმა უყოყმანოდ აძგერა კოვზი მსუბუქი, თხელი მოხარშული კრემის სახით წარმოდგენილ ჯექსონ პოლოკის „Shimmering Substance“-ს.

როცა საქმე საუბარზე მიდგა, ქალ-ვაჟმა იმის ნახევარსაც ვერ მიაღწია, რაც ჭამის დროს გამოუვიდათ. არა, განა არმანუშს მეთთან ყოფნა არ მოსწონდა, ანდა მეთი არ იზიდავდა, მაგრამ რაღაც ძალიან აკლდათ არა ერთი თვალსაზრისით, რაც მთელს შეიძლება აკლდეს, არამედ მთელის თვალსაზრისით, რომელიც ნამსხვრევებად ისე იშლება, რომ ერთ-ერთ ნაწილს მაინც მოისაკლისებს.

შეიძლება, საჭმელი იყო მეტისმეტად ფილოსოფიური. ყოველ შემთხვევაში, არმანუში მიხვდა, სად გადიოდა მისი შესაძლებლობების ზღვარი - ალბათ, მეთ ჰასინგერს ვერ შეიყვარებდა. ამ აღმოჩენის შემდეგ არმანუში საკუთარ თავს კითხვებს აღარ უსვამდა და ვაჟით დაინტერესება აშკარა თანაგრძნობამ შეცვლა.

გზად შინისაკენ მანქანა გააჩერეს და კოლუმბუს-ავენიუზე ცოტა გაისეირნეს. ორივე რაღაცაზე ფიქრობდა და დუმდა. მსუბუქმა ნიავმა და-

უბერა და არმანუშმა წამით იგრძნო მარილიანი ზღვის მძაფრი სურნელი. გოგონას სანაპირო ენატრებოდა და აქედან გაქცევა უნდოდა.

წიგნის მაღაზია „სითი ლაითსის“ წინ რომ აღმოჩნდნენ, არმანუშმა ფანჯრის მიღმა თავისი ერთ-ერთი საყვარელი წიგნი შენიშნა და ერთბაშად გამოცოცხლდა. ეს გახლდათ „სამარე ბორის დავიდოვიჩისთვის“.

- წაკითხული გაქვს ეს წიგნი? საოცარი წიგნია! - წამოაყრანტალა ამიმ და როდესაც გარკვევით გაიგონა „არა“, წიგნის პირველი მოთხრობის მოყოლას შეუდგა, მერე კი მეთს წიგნში მოცემული შვიდივე ამბავი უამბო. იმდენად, რამდენადაც გულწრფელად სჯეროდა, რომ დასაწყისში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ოკრობოკრო სანახების მიმოხილვის გარეშე წიგნის ბოლომდე გაგება შეუძლებელი იყო, მომდევნო ათი წუთის განმავლობაში არმანუშ ჩახმახჩიანი ასეთი მიმოხილვით იყო დაკავებული. ამიმ დაარღვია პირობა, რომელიც სწორედ იმ დილით მისცა დედას - აღუთქვა, რომ სიტყვასაც არ დასძრავდა წიგნებზე, ყოველ შემთხვევაში, პირველ პაემანზე მაინც.

რაშენ-ჰილში დაბრუნებული ქალ-ვაჟი ბებია შუშანას ამხანაგური სახლის წინ ერთმანეთის პირისპირ იდგა. პაემანი იწურებოდა და მისი იმაზე უკეთ დამთავრება სურდათ, ვიდრე საღამო გაატარეს, საამისოდ კი ერთადერთი რამ მოსდიოდათ თავში - ნამდვილი, ნანატრი, საოცნებო კოცნა. რაკი ორივე ძალიან შორს იყო ვნებისაგან, ერთი ნაზი ამბორი გამოუვიდათ, რომელსაც არმანუშის თანაგრძნობა, მეთისა კი აღფრთოვანება ეტყობოდა.

- იცი, შენთვის ამის თქმა მთელი საღამო მინდოდა, - ენა დაება მეთს, თითქოს უხერხული სიმართლე, რომლის გამხელასაც აპირებდა, ტვირთად აწვებოდა, - გასაოცარი სურნელი გაქვს... უჩვეულო და ეგზოტიკური... როგორც...

- როგორც, რა? - არმანუში გაფითრდა, გონებაში ცხელ-ცხელი მანტის თეფში ამოუტივტივდა.

მეთ ჰასინგერმა ხელი მოხვია და ჩურჩულით უთხრა:

- ბუსტუღის... ჰო, ბუსტუღის სურნელი გაქვს.

თერთმეტ საათსა და თხუთმეტ წუთზე ბებია შუშანას კარის უამრავი საკეტის გასაღებად არმანუშმა გასაღებების აცმა ამოაცოცა. ეშინოდა, სასტუმრო ოთახში შეკრებილ მთელ ოჯახს არ გადავეყარო, ვიდრე ჩემს მოლოდინში პოლიტიკაზე საუბრით, ჩაის სმითა და ხილის მირთმევით იქნებიან დაკავებულიო.

ბინა ჩაბნელებული და ცარიელი დახვდა. მამასა და ბებიას ეძინათ, დანარჩენები შინ წასულიყვნენ. მაგიდაზე თეფში იდო. ზედ არმანუშისათვის სათუთად გათლილი ორი ვაშლი და ორი გაფცქვნილი ფორთოხალი იდო. გოგონამ გარედან გამუქებულ ერთ ვაშლს დაავლო ხელი და გულმა რეჩხი უყო. ღამის იდუმალ სიჩუმეში ვაშლი მოციცქნა და მოწყენილობა და დაღლა იგრძნო. მალე არიზონაში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რომ დედამისის ჰერმეტიზებული სამყაროს ატანა შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ სან-ფრანცისკოში ყოფნა მოსწონდა და შეიძლებოდა, ერთი სემესტრიც კი გაეცდინა მამასა და ბებია შუშანასთან დასარჩენად, არმანუში მაინც ვერაფერს უხერხებდა აზრს, რომ აქაურობას რაღაც აკლდა, მისი პიროვნების რომელიღაც ნაწილი ადგილზე არ იყო, მას კი ამ ნაწილის გარეშე ცხოვრების დაწყება არ შეეძლო.

მეთ ჰასინგერთან უღიმღამო პაემანმა ეს შეგრძნება კიდევ უფრო გაუძლიერა. ახლა თითქოს უფრო დაბრძენდა და უკეთ აცნობიერებდა საკუთარ მდგომარეობას, მაგრამ იმის გამო, რასაც მიხვდა, სევდა მოერია.

არმანუშმა ფეხსაცმელები გაყარა და თავისი ოთახისაკენ გაეშურა, ხილიც თან წაიღო. ოთახში თმა კუდივით შეიკრა, ფირუზისფერი კაბა გაიხადა და ჩაინათაუნში ნაყიდ აბრეშუმის პიჟამაში ჩაძვრა, მერე ოთახის კარი დახურა და სასწრაფოდ ჩართო კომპიუტერი. მხოლოდ რამდენიმე წუთი დასჭირდა ერთადერთი უსაფრთხო სამოთხის მისაღწევად, სადაც ასეთ დროს შეეძლო თავის შეფარება.

სასაუბრო ფორუმი „კაფე კონსტანტინოპოლი“ ან, როგორც საიტის ხშირი სტუმრები ამბობდნენ, კიბერკაფე, თავიდან საბერძნეთის სომხების, სეფარდი სომხებისა და ამერიკელი სომხების ერთ ჯგუფს შეუქ-

მნია. გარდა იმისა, რომ ნიუ-იორკში ცხოვრობდნენ, ყველას ერთი ძირითადი რამ აერთიანებდა: ყველანი ერთ დროს სტამბოლელი ოჯახების შვილთაშვილები გახლდნენ. ვებგვერდი ცნობილი სიმღერით იხსნებოდა: „სტამბოლი კონსტანტინოპოლი იყო, ახლა ის სტამბოლია და არა კონსტანტინოპოლი“...

ამ მელოდიის ფონზე ჩნდებოდა ჩამავალი მზის მოფარფატე ჩრდილებში გახვეული ქალაქის სილუეტი, ფარდას ფარდა ცვლიდა... იისფერი, შავი, ყვითელი. ეკრანის შუაგულში მოციმციმე ისარი განიშნებდათ, ფორუმში შესასვლელად სად უნდა დაგეწკაპუნებინათ. გასაგრძელებლად პაროლით უნდა დარეგისტრირებულიყავით. მრავალი სხვა რეალური კაფეს მსგავსად, „კაფე კონსტანტინოპოლიც“ თეორიულად ყველასათვის ღია იყო, მაგრამ პრაქტიკულად მუდმივი მომხმარებლისათვის გახლდათ დაჯავშნილი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე ჩნდებოდნენ მრავალრიცხოვანი მოსაუბრეები, ძირითადი ჯგუფი მეტ-ნაკლებად უცვლელი იყო. მას შემდეგ, რაც გაივლიდით რეგისტრაციას, ეკრანის ძირზე ქალაქის სილუეტი ფერმკრთალდებოდა და ისევე იხლიჩებოდა, როგორც თეატრალური ფარდა მოქმედების დაწყების წინ. კიბერკაფეში შესვლისას ჯერ ზარების ხმას გაიგონებდით, შემდეგ კი იმავე მელოდიას, მხოლოდ ამჯერად უფრო შორიდან ისმოდა.

საიტზე შესულმა არმანუშმა უყურადღებოდ დატოვა დაუქორწინებელი სომხების, ბერძნებისა და გაუთხოვრებისა და უცოლშვილოთა ფორუმები და „ანუშის ხეზე“ დააწკაპუნა.

ეს იყო ფორუმი, სადაც მხოლოდ ინტელექტუალური ინტერესების მქონე რეგულარული მომხმარებლები იკრიბებოდნენ. არმანუშმა ეს ჯგუფი ათი თვით ადრე აღმოაჩინა და მას შემდეგ მისი მუდმივი წევრი იყო - თითქმის ყოველდღე მონაწილეობდა სჯა-ბაასში. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის ზოგიერთი წევრი დროდადრო დღისითაც აპოსტებდა, ნამდვილი დისკუსია ყოველთვის ღამით იმართებოდა, როდესაც ყოველდღიურ საქმეებს მოილევდნენ.

არმანუშის წარმოსახვაში ეს ფორუმი ერთი ჭუჭყიანი და ბოლში გახვეული ბარი გახლდათ, სადაც შინ მიმავალი ჩვეულებისამებრ შედიოდა ხოლმე. ასე და ამგვარად, „კაფე კონსტანტინოპოლი“ იყო თავშესაფარი, რომელშიც შესვლისას შეგეძლოთ თქვენს ნამდვილ და ბანალურ „მე“ზე ისე გეთქვათ უარი, თითქოს წინკარში სველ საწვიმარს ტოვებდით.

„კაფე კონსტანტინოპოლის“ ამ განყოფილებას შვიდი მუდმივი წევრი ჰყავდა, ხუთი სომეხი და ორი ბერძენი. ერთმანეთს პირადად არასოდეს შეხვედროდნენ და ამის საჭიროებაც არასოდეს უგრძნიათ. ყველა მათგანს ჰქონდა მეტსახელი. არმანუშის ფსევდონიმი მადამ დევნილი-სული გახლდათ. ეს სახელი 1915 წელს ნორჩი თურქების მიერ სიკვდილმისჯილთა სიაში შეტანილი ერთადერთი ნოველისტი ქალის, ზაბელ იესაიანის პატივსაცემად აირჩია.

ზაბელი საოცარი პიროვნება იყო. კონსტანტინოპოლში დაბადებულმა ქალმა ცხოვრების დიდი ნაწილი გადასახლებაში გაატარა. მიმომხილველისა და რომანისტის მშფოთვარე ცხოვრებით ცხოვრობდა. სურათზე, რომელსაცარმანუში საწერ მაგიდაზე ინახავდა, ჩაფიქრებული ზაბელი ქუდის კიდის ქვემოდან გასცქეროდა უცხო ადგილს, ჩარჩოს მეორე მხარეს რომ იყო.

მეტსახელები „ანუშის ხის“ სხვა წევრებსაც ჰქონდათ, მაგრამ რატომ ერქვათ ესა თუ ის სახელი, საკითხავადაც არ ღირს.

ყოველ კვირას განსაკუთრებულ საკითხს ირჩევდნენ განსახილველად. მიუხედავად იმისა, რომ თემები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდა, ყველა მათგანი მოსაუბრეთათვის საერთო ისტორიისა და კულტურის გარშემო ტრიალებდა. სიტყვა „საერთო“ ხშირად „საერთო მტერს“, თურქებს გულისხმობდა. ისე სწრაფად და მტკიცედ, თანაც ცოტა ხნით და არასაიმედოდ, არაფერი აერთიანებს ადამიანებს, როგორც საერთო მტერი.

ამ კვირის თემა „იანიჩარები“ იყო. არმანუშმა რამდენიმე ახალთახალ პოსტს გადახედა და ძალიან გაუხარდა - ბარონი ბაღდასარიანი ადგილზე იყო. არმანუშმა ბარონზე ბევრი არაფერი იცოდა, გარდა იმი-

სა, რომ ეს უკანასკნელიც ასევე გადარჩენილთა შვილთაშვილი იყო და ამისაგან განსხვავებით, ზედმეტად მრისხანე.

ზოგჯერ ბაღდასარიანი უკიდურესად უხეში და სკეპტიკური იყო. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ციფრული გარემოსათვის დამახასიათებელი მოუხელთებლობის მიუხედავად, ანდა შესაძლოა მისი წყალობით, არმანუშს, თავადაც ვერ მიხვდა როგორ, მის მიმართ გარკვეული სიმპათია გაუჩნდა. დღე დღედ არ მიაჩნდა, მისი შეტყობინებები რომ არ წაეკითხა. რაც უნდა ყოფილიყო ის, რასაც არმანუში ბარონ ბაღდასარიანის მიმართ განიცდიდა, მეგობრობა, სიყვარული თუ მხოლოდ და მხოლოდ ცნობისმოყვარეობა, გოგონამ იცოდა, რომ ეს გრძნობა ორმხრივი იყო.

ხალხმა, რომელსაც სჯერა, ოტომანთა მმართველობა სამართლიანი იყოო, არაფერი იცის იანიჩარების პარადოქსზე.იანიჩარები ოტომანური სახელმწიფოს მიერ მოტაცებული და მოქცეული ქრისტიანი ბავშვები იყვნენ, რომლებსაც საკუთარი ხალხის სიძულვილისა და წარსულის დავიწყების ფასად სოციალურ კიბეზე ასვლის შანსს აძლევდნენ. დღეს იანიჩართა პარადოქსი ისეთივე მნიშვნელოვანია ყველა უმცირესობისათვის, როგორიც გუშინ იყო. დევნილთა შვილებო! ისევ და ისევ უნდა დაუსვათ საკუთარ თავს საუკუნოვანი კითხვა: როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება ამ პარადოქსისადმი? აპირებთ კი იანიჩარების როლზე დათანხმებას? მიატოვებთ თქვენს თემს იმისთვის, რომ თურქებს შეურიგდეთ და წარსულის ისე შეთეთრების ნება მისცეთ, რომ, როგორც თავად ამბობენ, ყველამ წინ წავიწიოთ?

ისე, რომ ეკრანისათვის თვალი არ მოუშორებია, არმანუშმა დარჩენილ ვაშლს ერთი ლუკმა მოაკბიჩა და ნერვიულად დაღეჭა. არასოდეს ყოფილა ასეთი აღფრთოვანებული მამაკაცით, ცხადია, მამამისის გარდა, მაგრამ ეს სხვა რამ იყო.

იყო ბარონ ბაღდასარიანში რაღაც ისეთი, რაც არმანუშს ერთდროულად ხიბლავდა და აშინებდა კიდეც. თავად ბარონის ან მისი თამამი განცხადებების კი არა, უფრო საკუთარი თავისა ეშინოდა. ბარონის სიტყვებს უზარმაზარი გავლენა ჰქონდა და შეეძლო, ამოექექა

მეორე არმანუში, ღრმა ძილს მიცემული იდუმალი არსება, რომელიც გოგონაში ცხოვრობდა. ბარონ ბაღდასარიანის სიტყვები ამ არსებას ჭვილთივით ჩხვლეტდა და იქამდე ესობოდა, ვიდრე ეს უკანასკნელი ღრიალით არ გაიღვიძებდა და სინათლეზე არ გამოვიდოდა.

არმანუში ისევ ამ სახიფათო დასასრულზე იჭყლეტდა ტვინს, როცა ლედი ფარშავანგ/სირამარკის გრძელ შეტყობინებას მოჰკრა თვალი. სომხური წარმოშობის ამერიკელი ღვინის ექსპერტი, რომელიც კალიფორნიის ერთ-ერთ ღვინის ქარხანაში მუშაობდა და ხშირად დადიოდა ერევანში, ცნობილი იყო აშშ-ისა და სომხეთის თავშესაქცევი და მახვილგონივრული შედარებებით. იმ დღეს ლედი ფარშავანგს მავანის სომხობის ხარისხის შესაფასებელი ტესტი დაეპოსტებინა:

1. თუ ისე გაიზარდეთ, რომ ხელით ნაქსოვი საბნის ქვეშ გეძინათ ან სკოლაში ხელით ნაქსოვი ჟაკეტებით დადიოდით

2. თუ ექვსი-შვიდი წლის ასაკამდე ყოველ დაბადების დღეზე სომხურ ანბანს გჩუქნიდნენ

3. თუ სახლის, გარაჟის ან სამსახურის კედელზე არარატის მთის სურათი გიკიდიათ

4. თუ მიჩვეული ხართ იმას, რომ სომხურად გეალერსებიან და გეღუღუნებიან, ინგლისურად გსჯიან და გეჩხუბებიან და თურქულად არც კი გახსენებენ

5. თუ სტუმრებს ჰუმუსით, ნაჩოს ჩხირებითა, ბადრიჯნის ხიზილალითა და ბრინჯის კვერუკებით უმასპინძლდებით

6. თუ იცნობთ მანტის გემოს, სუჯუხის სუნსა და ბასთურმის წყევლას

7. თუ ადვილად ღიზიანდებით და ბრაზდებით საოცრად უმნიშვნელო რამეების გამო, მაგრამ სიმშვიდეს ინარჩუნებთ, როდესაც არსებობს რაღაც ისეთი, რის გამოც სერიოზულად უნდა შეშფოთდეთ და იდარდოთ

8. თუ გაკეთებული გაქვთ ან გეგმავთ ცხვირის პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას

9. თუ მაცივარში ნუტელას ქილას ინახავთ, სადღაც საკუჭნაოში კი - ნარდის დაფას

10. თუ სასტუმრო ოთახის იატაკზე მამაპაპისეული ხალიჩა გიფენიათ

11. თუ თავს ვერაფერს უხერხებთ და მოწყენილი ხართ „ლორკელორკეს“ ცეკვისას მაშინაც კი, როცა ენერგიული მუსიკა უკრავს და ტექსტისმნიშვნელობა არ გესმით

12. თუ ყოველი ჭამის შემდეგ ხილის მისართმევად შეკრების ჩვეულებას თქვენს ოჯახში ღრმა ფესვები აქვს და თუ მამათქვენი ფორთოხალს გიფცქვნით, მიუხედავად იმისა, რა ასაკის ბრძანდებით

13. თუ თქვენი ნათესავები გამუდმებით გჩრიან პირში საჭმელს და პასუხად არ მიაჩნიათ თქვენი „დავნაყრდიო“

14. თუ დუდუკის ხმაზე ტანში ჟრუანტელი გივლით და ძალიან გაინტერესებთ, როგორ შეიძლება გარგარის ხისაგან გაკეთებული ჩასაბერი საკრავი ასე ნაღვლიანად აკვნესდეს

15. თუ გულის სიღრმეში გრძნობთ, რომ ყოველთვის არის თქვენს წარსულში რაღაც იმაზე მეტი, რისი ცოდნის ნებასაც ოდესმე დაგრთავენ

მას შემდეგ, რაც ყველა კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა, არმანუშმა ანგარიშის გასაგებად ქვემოთ ჩამოიწია:

0-3 ქულა: ბოდიში, ბატონო, ალბათ, აუტსაიდერი ხართ.

4-8 ქულა: თქვენი შედეგები შიდა აუტსაიდერისას ჰგავს. ალბათ, სომეხზე ხართ დაქორწინებული.

9-12 ქულა: თქვენი სომხობა თითქმის უდავოა.

13-15 ქულა: ეჭვგარეშეა, რომ თქვენ ამაყი სომეხი ბრძანდებით.

არმანუშმა ეკრანს გაუღიმა და სწორედ ამ მომენტში ჩაავლო იმას, რაც ისედაც იცოდა. თითქოს მისი გონების სიღრმეში მიმავალი კარი გაიღო და ვიდრე მისი ჭკუამოწყობილობა ყველა აზრს დაიტევდა, რომელიც გოგონას ერთბაშად დაატყდა თავს, არმანუშს თვითანალიზის ტალღამ გადაუარა. იქ უნდა წასულიყო. მოგზაურობა იყო ის, რაც არმანუშს ასე ძალიან სჭირდებოდა.

იმის გამო, რომ მისი ბავშვობა ნაწილებად იყო დახლეჩილი, გოგონას ჯერაც ვერ მიეგნო განუყოფლობისა და იდენტურობის შეგრძნები-

სათვის. საკუთარი ცხოვრების დასაწყებად წარსულში უნდა ემოგზაურა. ამ აღმოჩენის სიმძიმემ გონება გაუნათა და თითქოს ყველასთვის, მაგრამ კონკრეტულად ბარონი ბაღდასარიანისთვის, ერთი შეტყობინება დააბეჭდვინა:

- იანიჩარების პარადოქსი არსებობის ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ მდგომარეობას შორის იხლიჩება. ერთი მხრივ, წარსულის გადმონაშთები ხვავდება - მგრძნობიარობისა და სევდის სათავე, უსამართლობისა და დისკრიმინაციის შეგრძნება. მეორე მხრივ, აღთქმული მომავალიბჟუტავს - წარმატების მორთულ-მოკაზმული თავშესაფარი, შეგრძნება, რომლის მსგავსიც მანამდე არასოდეს გქონიათ, სიმშვიდე, რომელიც უმრავლესობასთან ერთად ყოფნას მოაქვს და იმას, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვეულებრივ ადამიანად გთვლიან.

- გამარჯობა, მადამ დევნილო-სულო! მიხარია, რომ დაბრუნდით. რა შესანიშნავია, თქვენში პოეტის დანახვა.

ეს ბარონი ბაღდასარიანი გახლდათ. არმანუში თავს ვერ მოერია და პოსტის ბოლო ნაწილი კიდევ ერთხელ გადაიკითხა: „რა შესანიშნავია თქვენში პოეტის დანახვა“. გოგონას წუთით აზრები აერ-დაერია.

- ვფიქრობ, მეც შეიძლება მქონდეს რაღაც საერთო იანიჩარების პარადოქსთან. როგორც სხვადასხვა კულტურული ფესვის მქონე, ერთმანეთზე განაწყენებული და განქორწინებული მშობლების შვილმა, - არმანუში გაჩერდა, თავს უხერხულად გრძნობდა იმის გამო, რომ თავისი ამბავი უნდა გამოეაშკარავებინა, მაგრამ თხრობის გაგრძელების სურვილიც მეტისმეტად ძლიერი იყო, - როგორც ერთადერთმა ქალიშვილმა სომეხი მამისა, რომელიც თავად გადარჩენილთა შვილია, და კენტუკელი დედისა ელიზაბეტთაუნიდან, დანამდვილებით ვიცი, რას შეიძლება გრძნობდე, როცა დაპირისპირებულ მხარეებს შორის იწეწები, გამუდმებით მერყეობ არსებობის ორ მდგომარეობას შორის და არ შეგიძლია თავიდან ბოლომდე ეკუთვნოდე რომელიმე მხარეს.

ამ დრომდე არმანუშს ასე პირდაპირ ჯგუფის არც ერთი წევრისათვის არ მიეწერა რაიმე ესოდენ პირადი. გოგონამ ჩაისუნთქა. გული მძი-

მედ უცემდა. რას იფიქრებდა მასზე ბარონი ბაღდასარიანი ან დაწერდა კი იმას, რასაც სინამდვილეში ფიქრობდა.

- ძნელი იქნება. დიასპორის სომხების უმეტესობისათვის ჰაი დათი ერთადერთი ფსიქოლოგიური დასაყრდენია, რომელიც იდენტურობას გვანარჩუნებინებს. შენი მდგომარეობა განსხვავებულია, მაგრამ საბოლოოდ ჩვენ ყველა ამერიკელებიც ვართ და სომხებიც. ასეთი სიმრავლე კარგია იმდენად, რამდენადაც დასაყრდენს არ ვკარგავთ, - წერდა უბადრუკი-თანაცხოვრება, ცნობილი ლიტერატურული ჟურნალ „ბეი არეას“ მთავარ რედაქტორთან უიღბლო ქორწინებაში მყოფი დიასახლისი.

- სიმრავლე ნიშნავს იყო იმაზე მეტი, ვიდრე ერთია, თუმცა, ჩემს შემთხვევაში ასე არ ყოფილა. ჯერ ერთი, ვერასოდეს გავხდი სომეხი, - წერდა არმანუში, რომელიც ხვდებოდა, რომ აღსარების თქმას ბევრი არაფერი აკლდა, - საკუთარი თავი უნდა ვიპოვო. იცით, ფარულად რაზე ვფიქრობ? ჩემი ოჯახის სახლის სანახავად თურქეთში წასვლაზე. ბებია სულ ლაპარაკობს სტამბოლის შესანიშნავ სახლზე. უნდა წავიდე და საკუთარი თვალით ვნახო. ეს იქნება მოგზაურობა ჩემი ოჯახის წარსულსა და ჩემს მომავალში. იანიჩარების პარადოქსი იქამდე არ მომასვენებს, ვიდრე არ გავაკეთებ რაღაცას ისეთს, რაც საკუთარ წარსულს მაპოვნინებს.

- მოიცა, მოიცა, მოიცა, - დაბეჭდა, პანიკაში ჩავარდნილმა ლედი ფარშავანგმა, - შენი აზრით, ახლა რა ჯანდაბას აკეთებ? თურქეთში მარტო აპირებ წასვლას? გაგიჟდი?

- ნაცნობების გამოძებნა შემიძლია. ძნელი არ იქნება.

- ასე როგორ იქნება, მადამ დევნილო-სულო? - თავისას არ იშლიდა ლედი ფარშავანგ/სირამარკი.

- შენი აზრით, რამდენად შორს შეგიძლია წახვიდე პასპორტში ასეთი სახელით?

- არ ჯობს, პირდაპირ სტამბოლის პოლიციის შტაბბინაში წახვიდე და კოხტად დაგაპატიმრონ?! - ჩაერია საუბარში დეიდა ყაურმა, ასპი-

რანტი, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში ახლო აღმოსავლეთს სწავლობდა.

არმანუშმა იფიქრა, რომ შეიძლებოდა ეს ყოფილიყო სათანადო მომენტი იმისათვის, რომ საკუთარი ცხოვრების შესახებ კიდევ ერთი მთავარი სიმართლე ეღიარებინა.

- საჭირო ნაცნობების გამოძებნა შეიძლება ჩემთვის იმდენად ძნელი არ იყოს, იმიტომ, რომ დედაჩემის ახლანდელი ქმარი თურქია.

უსიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა. მთელი ერთი წუთის განმავლობაში პასუხი არავის დაუწერია და არმანუშმაც განაგრძო:

- მუსტაფა ჰქვია. გეოლოგია, არიზონაში მუშაობს ერთ კომპანიაში. კარგი კაცია, მაგრამ ისტორია საერთოდ არ აინტერესებს და მას შემდეგ, რაც აშშ-ში ჩამოვიდა, ოცი წელი იქნება, სახლში ერთხელაც არ ყოფილა. თავისი ოჯახიც კი არ დაუპატიჟებია ქორწილში. რაღაც საეჭვო ხდება, მაგრამ არ ვიცი, რა. ამაზე არ ლაპარაკობს, მაგრამ ვიცი, რომ სტამბოლში დიდი ოჯახი ჰყავს. ერთხელ ვკითხე, როგორი ხალხია-მეთქი, მან კი მითხრა: „ო, ჩვეულებრივი ხალხია, როგორიც მე და შენ“.

- მისი სიტყვები დედამიწაზე ყველაზე მგრძნობიარე ადამიანისას არ ჰგავს, თუ შეიძლება მამაკაცებს საერთოდ ჰქონდეთ გრძნობები, - ჩაერთო საფოს ასული, ლესბოსელი ბარმენი, რომელსაც ცოტა ხნის წინ ეშოვა სამსახური ბრუკლინის ერთ დაძონძილ რეგის ბარში.

- ამ კაცს აშკარად არა აქვს, - დასძინა უბადრუკმა თანაარსებობამ, - გული თუ აქვს?

- კი, აქვს. დედაჩემი უყვარს და დედაჩემსაც უყვარს, - პასუხი გასცა არმანუშმა. მიხვდა, რომ პირველად აღიარა დედასა და მამინაცვალს შორის სიყვარულის არსებობა, თითქოს უცხო თვალით შეხედაო მათ, - რაც უნდა იყოს, შემიძლია მის სახლში გავჩერდე. ბოლოს და ბოლოს, მისი გერი ვარ და ვფიქრობ, ჩემი მიღება მოუწევთ. ჩემთვის თავსატეხია, როგორ მიმიღებენ ჩვეულებრივი თურქები. ნამდვილი თურქული ოჯახი, გაამერიკელებული მეცნიერებისა კი არა.

- რაზე უნდა ელაპარაკო ჩვეულებრივ თურქებს? - იკითხა ლედი ფარშავანგ/სირამარკმა, -აი, ისინიც კი, ვისაც კარგი განათლება აქვთ, ან ნაციონალისტები არიან, ან უზრდელები. გგონია, ჩვეულებრივ ხალხს ისტორიული სინამდვილის მიღება დააინტერესებს? გგონია, იტყვიან: აბა, რა, ბიჭებო, ვწუხვართ, რომ გაგჟლიტეთ და გაგაძევეთ, მერე კი ყველაფერი სიამოვნებით უარვყავით. რად გინდა, თავს უსიამოვნებაში რომ იგდებ?

- მესმის, მაგრამ ჩემი გაგება უნდა სცადოთ, - არმანუში უეცრად ერთბაშად დაითრგუნა. საიდუმლოების ერთიმეორის მიყოლებით გამხელამ თავი მარტოდმარტო აგრძნობინა ამ უზარმაზარ სამყაროში. ეს ყოველთვის იცოდა, მაგრამ საკუთარი მარტოობისათვის თვალის გასასწორებლად შესაფერის მომენტს ელოდა.

- თქვენ, ყველა, სომხურ თემში დაიბადეთ და არასოდეს დაგჭირვებიათ იმის მტკიცება, რომ ერთ-ერთი მათგანი ხართ, მე კი დაბადების დღიდან ამ საზღვარზე ვარ მიჯაჭვული და სულ ამაყსა და ტრავმირებულ სომხურ ოჯახსა და ისტერიკულად ანტისომხურად განწყობილ დედას შორის ვმერყეობ. მეც რომ თქვენსავით ამერიკელი სომეხი გავხდე, უპირველესად ჩემს სომხობას უნდა მივაგნო. თუ ამისათვის წარსულში მოგზაურობაა საჭირო, ამას გავაკეთებ და მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვიან ან იზამენ თურქები.

- მაგრამ მამაშენი და შენი ოჯახი როგორ გაგიშვებენ თურქეთში? - ეს ბერძნული წარმოშობის ბოსტონელი ამერიკელი, ალექს სტოიკოსი გახლდათ, მზიანი ამინდით, გემრიელი საჭმლითა და ლამაზი ქალების გარემოცვაში ცხოვრებით კმაყოფილი რომ იყო. როგორც ზენონის ერთგულ მიმდევარს, ალექსს სწამდა, რომ ადამიანებს ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ, უკიდურესობამდე რომ არ მისულიყვნენ და ბედნიერები ყოფილიყვნენ იმით, რაც ჰქონდათ, - არ ფიქრობ, რომ სან-ფრანცისკოში შენები იდარდებენ?

იდარდებენ? არმანუშს თავში ბებიისა და მამიდების სახეებმა გაუელვა და დაიმანჭა. იცოდა, რომ ნერვიულობით თავს დაიხოცავდნენ.

- მათთვის უკეთესი იქნება, თუ ამის შესახებ არაფერი ეცოდინებათ. საგაზაფხულო არდადეგები მოდის და შემიძლია მთელი ათი დღე სტამბოლში გავატარო. მამა იფიქრებს, რომ დედასთან ვარ არიზონაში, დედა კი იფიქრებს, რომ ისევ სან-ფრანცისკოში ვარ. ვერაფრით გაიგებენ. ეს საიდუმლო იქნება, - არმანუშმა ეკრანს ალმაცერად გახედა, თითქოს აწუხებდა ის, რაც ბოლოს დაწერა, - თუ დედას უწინდებურად ყოველდღე დავურეკავ, მამას კი ორ-სამ დღეში ერთხელ, ყველაფერს გავაკონტროლებ.

- კარგი გეგმაა! სტამბოლში რომ იქნები, - წინადადება შემოიტანა ლედი ფარშავანგ/სირამარკმა, - შეგიძლია, ყოველდღე გამოგზავნო შეტყობინებები კაფეში.

- მაგარია, ჩვენი რეპორტიორი იქნები ომიდან, - აღფრთოვანდა დეიდა ყაურმა, მაგრამ პაუზა ამჯერად კიდევ უფრო დიდხანს გაგრძელდა. ხუმრობითაც არავის უხუმრია.

არმანუში უკან გადაიწია. ღამის სიჩუმეში მამამისის მშვიდი სუნთქვის ხმა და საწოლში ბებიამისის წრიალი ესმოდა. გრძნობდა, როგორ ეღვენთებოდა სხეული აქეთ-იქით, თითქოს მისი ერთი ნაწილი მთელი ღამე იმისთვის იჯდა სავარძელში ასე ბეჯითად, რომ უძილობისათვის გაეგო გემო, მეორე ნაწილს კი ღრმა ძილით დაძინება სურდა. ვაშლის ბოლო ნაჭერი ჩააწკლაპუნა და თავისი სახიფათო გადაწყვეტილების გამო ადრენალინის მოზღვავება იგრძნო.

არმანუშმა მაგიდის ლამპა გამორთო. ოთახს ისევ ანათებდა კომპიუტერის არათანაბარი სინათლე. სწორედ მაშინ, როცა გოგონამ „კაფე კონსტანტინოპოლიდან“ გამოსვლა დააპირა, ეკრანზე ტექსტის კიდევ ერთი ბწკარი გამოჩნდა:

- სადაც უნდა წაგიყვანოთ თქვენმა შინაგანმა მოგზაურობამ, ძვირფასო მადამ დევნილო-სულო, გთხოვთ, თავს გაუფრთხილდით და უფლებას ნუ მისცემთ თურქებს, ცუდად მოგექცნენ.

ეს ბარონი ბაღდასარიანი გახლდათ.

7

ხორბალი

ორ საათზე მეტი გასულიყო მას შემდეგ, რაც ასია კაზანჯის გაღვიძებოდა, მაგრამ ისევ ლოგინში იწვა, ნაჭრებისაგან შეკერილი ბატის ბუმბულის საბნის ქვეშ, და ათასობით ისეთი ხმა ჩაესმოდა, რომლის მსგავსსაც მხოლოდ სტამბოლში თუ გაიგონებთ. ასია გონებაში გულმოდგინედ თხზავდა ნიჰილიზმის პირად მანიფესტს.

მუხლი 1: თუ ვერ პოულობთ მიზეზს იმისათვის, რომ გიყვარდეთ ცხოვრება, რომლითაც ცხოვრობთ, თავს ნუ მოიკატუნებთ, რომ გიყვართ იგი.

ასია ცოტათი დაფიქრდა და გადაწყვიტა, რომ ამგვარი ფორმულირება საკმაოდ კარგი იყო მანიფესტის პირველ სტრიქონზე გამოსატანად.

მეორე მუხლზე რომ გადავიდა, ქუჩაში ვიღაცამ მკვეთრად დაამუხრუჭა. წუთიც და, მძღოლის ხმა გაისმა. მამაკაცი აგინებდა და უყვიროდა გამვლელს, რომელიც სად იყო და სად არა, გამოჩენილიყო გზაზე და გზაჯვარედინს დიაგონალზე კვეთდა, თანაც წითელ შუქზე. მძღოლი ცივი ხმით იქამდე ღრიალებდა, ვიდრე მისი ხმა ქალაქის ზრიალში არ შთაინთქა.

მუხლი 2: ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა არასოდეს ფიქრობს, ხოლო ისინი, ვინც ფიქრობენ, არასოდეს ხდებიან აბსოლუტური უმრავლესობა. აირჩიეთ, რომელ მხარეს ხართ.

მუხლი 3: არჩევანს თუ ვერ აკეთებთ, უბრალოდ იარსებეთ, როგორც სოკომ ანდა მცენარემ.

- არ მჯერა, რომ იმავე პოზაში ხარ, ნახევარი საათის წინ რომ გნახე! რა ჯანდაბას აკეთებ ლოგინში, ზარმაცო გოგო? - დეიდა ბანუს თავი ოთახში ისე შეეყო, რომ კარზე დაკაკუნება ფიქრადაც არ გაუვლია. იმ დილით ბანუს თვალში საცემი თავშალი ეკეთა. ისეთი თვალისმომჭრელი წითელი იყო, რომ შორიდან დეიდა ერთ უზარმაზარ, მწიფე პამიდორს ჰგავდა, - შენს ლოდინში მთელი სამოვარი ჩაი დავლიეთ, ქალ-

ბატონო დედოფალო. აბა, ამოდი და ამობრწყინდი! შემწვარი სუჯუხის სუნი თუ გცემს? არ გშია? - ვიდრე პასუხს მოისმენდა, დეიდა ბანუმ კარი ხმაურით გაიჯახუნა.

ასიამ ჩურჩულით წაიბუზღუნა, თან საბანი ცხვირამდე აიტანა და გვერდი იცვალა.

მუხლი 4: კითხვებს ნუ დასვამთ, თუკი პასუხები არ გაინტერესებთ.

შაბათ-კვირის საუზმის ჩვეულ ფაციფუცსა და სამზადისში ასიას ესმოდა, როგორ წვეთავდა წყალი სამოვრის ერთი ბეწო ონკანიდან, როგორი გამალებით იხარშებოდა ქვაბში შვიდი კვერცხი, როგორ შიშხინებდა სუჯუხის თხელი ნაჭრები გრილის ტაფაზე და როგორ დახტოდა ვიღაც ყოველ წუთს ტელევიზორის არხიდან არხზე - ხან მულტფილმებზე, ხან პოპმუსიკის ვიდეოებზე, იქიდან კი ადგილობრივ და საერთაშორისო ახალ ამბებზე. შეხედვაც არ უნდოდა, ისე იცოდა ასიამ, რომ სამოვარზე ბებია გულსუმი აგებდა პასუხს, სუჯუხს კი წვავდა დეიდა ბანუ, რომელსაც თავისი შეუდარებელი მადა ისევ დაბრუნებოდა, მას შემდეგ, რაც სუფიური სინანულის ორმოცი დღე გავიდა და ბანუმაც წარმატებით გამოაცხადა საკუთარი თავი ნათელმხილველად. ასიამ ისიც იცოდა, რომ დეიდა ფერიდე იყო ის, ვინც არხებს ჩქარ-ჩქარა ათვალიერებდა და ვერც ერთს ვერ ირჩევდა. ფერიდეს შიზოფრენიული პარანოიის ვრცელ სანახებში საკმარისი ადგილი იყო იმისათვის, რომ ერთდროულად შეესრუტა მულტფილმებიც, პოპმუსიკაცა და ახალი ამბებიც, სწორედ ისე, როგორც ცხოვრებაში სწადდა სხვადასხვა საქმეში წარმატების მიღწევა და საბოლოოდ ვერც ერთი მიჰყავდა ბოლომდე.

მუხლი 5: თუკი არა გაქვთ მიზეზი ანდა უნარი, რომ რაიმე გააკეთოთ, მაშინ უბრალოდ ჩამოყალიბების ხელოვნებაში სცადეთ ბედი.

მუხლი 6: თუკი არა გაქვთ მიზეზი ანდა უნარი, რომ გახდეთ რამე, მაშინ უბრალოდ იყავით.

- ასია! - კარი შემოგლიჯეს და ოთახში დეიდა ზელიჰა შემოვარდა, მწვანე თვალები ნეფრიტის წყვილი ნატეხივით უბრწყინავდა, - დესპანები უნდა გიგზავნოთ, ჩვენთან რომ მოხვიდე?

- ასია!

- რა იყო?! - გაცეცხლებულმა ასიამ ხუჭუჭა, შავთმიანი თავი გამოყო ლოგინის გადასაფარებლიდან, წამოხტა და იისფერი ფლოსტები ფეხით ლოგინის იქით მოისროლა. ცალი ააცდინა, მაგრამ მეორე მოახერხა და პირდაპირ სარკეს მოარტყა, კარადის თავზე რომ იყო. იქიდან ფლოსტი ანაზდად დაეშვა იატაკზე. მერე წელზე ფომფლოდ ჩამოკიდებული პიჟამა სასაცილოდ აიჩაჩა, რაც, მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არ უწყობდა ხელს იმ დრამატული ეფექტის შენარჩუნებას, რომლის მიღებაც გოგონას სურდა.

- ღვთის გულისათვის, შეიძლება წუთით მომასვენოთ კვირა დილით?

- სამწუხაროდ, არ არსებობს დედამიწაზე წუთი, რომელიც ორ საათს გრძელდება, - აღნიშნა დეიდა ზელიჰამ მას შემდეგ, რაც ფლოსტის სავალალო ტრაექტორიას მიადევნა თვალი, - რატომ მიშლი ნერვებს? თუ შენი საქციელი მოზარდის ბუნტია, დაგაგვიანდათ, ქალბატონო. ეს სულ ცოტა ხუთი წლის წინ უნდა გაგეკეთებინა. გაიხსენე, უკვე ცხრამეტის ხარ.

- აბა, ასაკი, როდესაც მე ქორწინების გარეშე შეგეძინე! - დაიჩხავლა ასიამ. იცოდა, ასე სასტიკად არ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ მაინც აგრძელებდა.

დეიდა ზელიჰა კარში იდგა და ასიას იმ იმედგაცრუებული მხატვარივით უყურებდა, რომელიც ჯერ დალევს, მერე მთელი ღამე რაღაცას ხატავს და კმაყოფილი მხოლოდ იმისთვის გამოიძინებს, რომ მეორე დილითჩვეულებრივზე გვიან გაიღვიძოს და იმ ქაოსის პირისპირ აღმოჩნდეს, სიმთვრალეში რომ შეუქმნია.

ამგვარი აღმოჩენის სისასტიკის მიუხედავად, ზელიჰას მთელი წუთის განმავლობაში არაფერი უთქვამს. მერე ტუჩები დაებრიცა და სევდიანად გაიღიმა, თითქოს ის-ის იყო, მიხვდა, რომ სახე, რომელსაც უყურებდა, სარკეში დანახული მისივე გამოსახულება იყო, ანარეკლი, ასე რომ ჰგავდა და ასე ძალიან განსხვავდებოდა. ზელიჰას ქალიშვილი ხასიათით მართლაც ჰგავდა დედას, თუმცა, გარეგნობით სრულიად სხვანაირი იყო.

რაც შეეხება ხასიათის თავისებურებებს, ასიას ასაკში ზელიჰაც ასეთივე სკეპტიკური, ფიცხი და გესლიანი იყო. უკან მოხედვაც ვერ მოასწრო, ისე ზედმიწევნით გადაეცა კაზანჯების ოჯახის ყარიბის როლი ქალიშვილისათვის. საბედნიეროდ, ასიას თითქოს ჯერჯერობით არც სიცოცხლის ხალისი დაეკარგა, არც შიშით ყოფილა შეპყრობილი - ამისთანებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა იყო. თუმცა, საკუთარი არსებობის შენობის შემუსვრის ცდუნება აშკარა გახლდათ. თვალებში ოდნავ უბრწყინავდა თვითგანადგურების ტკბილი საცდური, რომელიც მხოლოდ დახვეწილ ანდა პირქუშ ადამიანებს შეიძლება აწვალებდეს.

რაც შეეხება გარეგნობას, დეიდა ზელიჰა აშკარად ხედავდა, რომ ასია მას მხოლოდ ოდნავ ჰგავდა. გოგონა არ იყო და, ალბათ, არც არასოდეს იქნებოდა, ლამაზი ქალი. არა, განა ტანი, სახე ან რამე სხვა უშლიდა ხელს. სინამდვილეში ცალ-ცალკე მისი სხეულის ყველა ნაწილი უზადო იყო: კარგი სიმაღლე და წონა, კარგი ყორნისფერი ხვეული თმა, კარგი მოყვანილობის ნიკაპი... მაგრამ ერთობლიობაში ეს ყველაფერი მთლად ისეთი ვერ იყო. არა, ასია არც უშნო ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, გოგონას ისე რა კეთილსახოვანება მაინც ჰქონდა, აი, ისეთი, სასიამოვნო სანახავი რომ არის, მაგრამ დიდხანს არავის ამახსოვრდება. იმდენად ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, მასთან პირველი შეხვედრისას ბევრს რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ასია მანამდე ნანახი ჰყავდათ.

ასია კაზანჯი განუმეორებლად ჩვეულებრივი იყო. ამ ეტაპზე საუკეთესო კომპლიმენტი, რომელიც მას შეიძლებოდა მიეღო, „მშვენიერი“ უფრო იყო, ვიდრე „ლამაზი“ და ეს სავსებით მისაღები გახლდათ, მაგრამ გოგონა ახლა მტკივნეულად გადიოდა ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც მშვენიერება იყო ის, რასთან ასოცირებაც ყველაზე ნაკლებად სურდა.

ოცი წლის შემდეგ ასია საკუთარ სხეულს სხვა თვალით შეხედავდა. ის ერთ-ერთი იმ ქალთაგანი გახლდათ, რომლებსაც მოზარდობისას - ლამაზებად, ხოლო ახალგაზრდობაში მიმზიდველებად არ თვლიან,

მაგრამ მიუხედავად ამისა, საშუალო ასაკში, იმ პირობით, თუ იქამდე თავს გაიტანენ, საკმაოდ კარგი შესახედაობისანი არიან.

სამწუხაროდ, ასიას იოტისოდენა რწმენაც კი არ ჰქონდა მიმადლებული. მეტისმეტად ღვარძლიანი იყო იმისათვის, რომ დროის მდინარებისა ერწმუნა. შიგნიდან იწვოდა და ღვთაებრივი წესრიგის სამართლიანობისა ოდნავადაც არ სჯეროდა. გოგონა დედას, და არა სხვა ვინმეს, ამაშიც ძალიან ჰგავდა.

ასეთი მორალური სიმტკიცითა და ასეთი განწყობით ასია კაზანჯი ვერანაირად ვერ იქნებოდა მომთმენი და წესიერი და ვერ დაელოდებოდა დღეს, როდესაც ცხოვრება მის სხეულს ისეთად აქცევდა, მას რომ გამოადგებოდა. ცხოვრების ამ ეტაპზე დეიდა ზელიჰა აშკარად ხედავდა, რომ სხვა დანარჩენთან ერთად, საკუთარი გარეგნობის უღიმღამობის გაცნობიერება მისი ქალიშვილის ახალგაზრდა გულს ეკალივით ესობოდა. ნეტავ შესძლებოდა იმის თქმა, რომ ლამაზმანები მხოლოდ ყველაზე ცუდ ბიჭებს იზიდავდნენ. ნეტავ შესძლებოდა ეთქვა, თუ რამდენად გაუმართლა ასიას იმაში, რომ მეტისმეტად ლამაზი არ დაიბადა. ნეტავ შესძლებოდა ეთქვა, რომ მამაკაცებიცა და ქალებიც უფრო კეთილგანწყობილი იქნებოდნენ მის მიმართ და მისი ცხოვრებაც უკეთესი იქნებოდა, დიახ, გაცილებით უკეთესი, მოხდენილობის გარეშე, რომელიც ახლა ასე უნდოდა, რომ ჰქონოდა.

დეიდა ზელიჰა, ისე, რომ სიტყვაც არ დაუძრავს, სარკიანი კამოდისაკენ წავიდა, ფლოსტი აიღო და მეორე ცალთან, ასიას შიშველი ფეხების წინ დადო. ზელიჰა ამბოხებული ქალიშვილის წინ წელში გაიმართა, გოგონამ მყისიერად ასწია ნიკაპი და იმ ამაყი სამხედრო ტყვესავით გასწორდა, რომელსაც იარაღი დაეყარა, მაგრამ, ცხადია, ღირსებას ვერ შელეოდა.

- წავედით! - ბრძანება გასცა დეიდა ზელიჰამ. დედა-შვილი უსიტყვოდ დაიძრა სასტუმრო ოთახისაკენ.

გასაშლელი მაგიდა საუზმისათვის გაეწყოთ. მიუხედავად იმისა, რომ გაღიზიანებული იყო, ასიამ მაინც შეამჩნია, რომ ყვავილწნულებით მორთული სუფრა ყოველთვის ჩინებულად, თითქმის ფერწერუ-

ლად ეხმიანებოდა მის ქვეშ ცეცხლგამძლე აგურზე გაფენილ უზარმაზარ, ბრჭყვიალა ნოხს ლამაზი მარჯნისფერი კიდეებითა და მათ შორის მოქცეული ჩახლართული ყვავილის მსგავსი ორნამენტებით. მაგიდაც ნოხის მსგავსად მორთული ჩანდა. შავი ზეთისხილი, წითელი წიწაკით დატენილი მწვანე ზეთისხილი, თეთრი ყველი, დაწნული ყველი, თხის ყველი, მოხარშული კვერცხი, ფიჭა, კამეჩის რძის ნაღები, სახლში მომზადებული გარგარის მარმელადი, ჟოლოს ხილფაფა და ზეითუნის ზეთით გაჟღენთილი პიტნიანი პამიდორი ფაიფურის ფიალებში. სამზარეულოდან ახალგამომცხვარი ბორექის საუცხოო სურნელი მოდიოდა: თეთრი ყველი, ისპანახი, კარაქი და ოხრახუში ერთმანეთს ადნებოდა ფენოვანი ცომის თხელ ფირფიტებს შორის.

ოთხმოცდათექვსმეტი წლის დიდედა შორს, მაგიდის ბოლოში იჯდა. ჩაისფინჯანი, ხელში რომ ეჭირა, იმაზესიფრიფანა იყო, ვიდრე თავად დიდედა გახლდათ. მოხუცი ინტერესით უყურებდა იადონს, აივნის კარის გვერდით გალიაში რომ ჟღურტულებდა. დიდედას შეფიქრიანებული გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მხოლოდ ახლა შეენიშნა ეს ფრინველი. შეიძლება ასეც იყო. მას შემდეგ, რაც მისი ალცჰაიმერის დაავადება მეხუთე სტადიაში გადავიდა, დიდედა მის ცხოვრებაში ყველაზე ცნობილ სახეებსა და ფაქტებს ურევდა ერთმანეთში.

მაგალითად, წინა კვირას, შუადღის ლოცვის ბოლოს, როგორც კი თავი დახარა, რომ შუბლით თავის პატარა ნოხს შეხებოდა და საჯდა გაეკეთებინა, დიდედას უმალ დაავიწყდა, მერე რა უნდა ექნა. სიტყვები, რომლებიც ლოცვისას უნდა წარმოეთქვა, უეცრად ასოების გრძელ ჯაჭვში ჩადგა და შავი, ბუსუსებიანი მუხლუხოსავით, უთვალავი ფეხი რომ აქვს, იქაურობას ჩუმად გაეცალა. ცოტაც და, მუხლუხო შედგა, შემობრუნდა და დიდედას ხელი დაუქნია. კარგად ჩანდა, მაგრამ მისი შეხება მაინც შეუძლებელი იყო. თითქოს მუხლუხო შუშის კედლებში ყოფილიყოს მოქცეული.

იჯდა დაბნეული და შეცბუნებული დიდედა პირით ყიბლასაკენ, თავზე შარფი ეხურა, რომელსაც ლოცვისას იკეთებდა ხოლმე და ნოხიდან არ იძვროდა. მოხუცს ხელში ქარვის კრიალოსანი ეჭირა და იქამდე არ

განძრეულა და არ ამოუღია ხმა, ვიდრე ვიღაცამ არ შეამჩნია ის, რაც მის თავს ხდებოდა და ფეხზე არ წამოაყენა.

- მერე რა იყო? - იკითხა შეშინებულმა დიდედამ, როცა დივანზე აწვენდნენ და თავქვეშ რბილ ბალიშებს უწყობდნენ, - ას-საჯდაშ უნდა თქვა: სუბჰანა რაბი ალ-ალა. სამჯერ მაინც უნდა თქვა, - სუბჰანა რაბი ალ-ალა, სუბჰანა რაბი ალ-ალა, სუბჰანა რაბი ალ-ალა, - უაზროდ გაიმეორა დიდედამ, თითქოს ჭკუიდან შეშლილიყო, - მერე? მერე რა მოდის?

როცა დიდედამ ეს კითხვა დასვა, თითქოს ჯიბრზე, მის გვერდით დეიდა ზელიჰა აღმოჩნდა. ლოცვაში ანდა რაიმე სახის ღვთისმსახურებაში სრულიად გამოუცდელ ზელიჰას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რას ამბობდა ბებიამისი, მაგრამ უნდოდა დახმარებოდა და როგორმე შეემსუბუქებინა მოხუცის ტანჯვა. ზელიჰამ წმინდა ყურანი მოიტანა და იქამდე ათვალიერებდა, ვიდრე რომელიღაც სტროფში მსგავს რაღაცას არ წააწყდა.

- ნახე, აქ რა არის ნათქვამი: როცა პარასკეობით სალოცავად გიხმობენ, ღმერთის გახსენება იჩქარეთ... მაგრამ როდესაც ლოცვა დასრულებულია, ყველგან გაიფანტეთ ამ ქვეყანაზე და ეძებეთ ღვთის წყალობა და გახსოვდეს ღმერთი - შეიძლება გამოგივიდეთ (62:9-10).

- ეგ რას ნიშნავს? - დიდედამ თვალები დააფახურა. ახლა იმაზე გაცილებით დაბნეული იყო, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

- იმას, რომ, ასეა თუ ისე, ლოცვა დამთავრებულია და შეგიძლია ამაზე აღარ იფიქრო. აი, ეს არის აქ ნათქვამი. მოდი, დიდედა, ყველგან გავიფანტოთ... და ერთად ვივახშმოთ.

ამან გაჭრა. დიდედა დავიწყებული სტრიქონის გამო აღარ წუხდა და დანარჩენებთან ერთად მშვიდად ივახშმა კიდეც. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს მსგავსი შემთხვევები შემაშფოთებლად გახშირდა. იყო მომენტები, როდესაც ხშირად დათრგუნვილსა და გულჩათხრობილ მოხუცს სულ უბრალო რამეები ავიწყდებოდა, მათ შორის ისიც, თუ სად იყო, კვირის რომელი დღე იყო ან ვინ იყვნენ ის უცხო ადამიანები, რომლებთან ერთადაც იჯდა სუფრასთან. თუმცა, იყო ისეთი პერიოდებიც,

როდესაც ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, რომ დიდედა ავად იყო. ასეთ დროს მოხუცს ახალგაპრიალებული ვენეციური მინასავით ნათელი გონება ჰქონდა ხოლმე, მაგრამ იმ დილით ამას ძნელად თუ იტყოდი, ძალიან ძნელად.

- დილა მშვიდობისა, დიდედა! - შესძახა ასიამ, რომელიც ის-ის იყო, წაფრატუნდა მაგიდისკენ თავისი ღია იასამნისფერი ჩუსტებით. გოგონას, როგორც იქნა, დაებანა პირი და კბილები გამოეხეხა. ასია მოხუცის თავთან დაიხარა და ორივე ლოყა დაუკოცნა.

ჯერ კიდევ პატარაობიდან ოჯახის ყველა სხვა ქალს შორის დიდედას ასიას გულში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა. ზოგიერთისაგან განსხვავებით, დიდედას სიყვარული არასოდეს უხუთავდა სულს. მოხუცი არასოდეს მოსდებდა ვინმეს შარს, არასოდეს ატეხდა ერთ ამბავს წვრილმანების გამო და არასოდეს იტყოდა გესლიან სიტყვას.

დიდედა ასიას იცავდა, მაგრამ მესაკუთრესავით არა. დროდადრო ავი თვალისაგან დასაცავად მოხუცი ჩუმად უდებდა შვილთაშვილს ჯიბეებში შელოცვილი ხორბლის მარცვლებს.

გარდა იმისა, რომ ავი თვალის წინააღმდეგ ილაშქრებდა, იმ დღემდე, ვიდრე ავადმყოფობა იმძლავრებდა, დიდედა ხშირად და ბევრს იცინოდა. ადრე ის და ასია მხიარულობდნენ ერთად: დიდხანს და ტკბილად ხითხითებდა ხოლმე დიდედა, ასიას კი ერთბაშად ამოსდიოდა მსუყე, ომახიანი ხმა.

ახლა, მიუხედავად იმისა, რომ მოხუცის ჯანმრთელობა ძალიან ადარდებდა, ასია, რომლის დამოუკიდებლობასაც მუდმივად ხელყოფდნენ, დიდ მოწიწებას განიცდიდა ამნეზიის თავისუფალი სამეფოსადმი, რომელშიც მოხუცი ჩაძირულიყო.

- დილა მშვიდობისა, ჩემო მშვენიერო შვილთაშვილო, - მიუგო გოგონას დიდედამ. იმწუთას იმდენად კარგი მეხსიერება ჰქონდა, რომ ყველა გაოცდა.

იქვე იჯდა დეიდა ფერიდეც, ხელში დისტანციური მართვის პულტი ეჭირა და ასიასათვის არც შეუხედავს, ისე ჩაიჟღურტულა:

- ჭირვეულმა პრინცესამ, როგორც იქნა, გაიღვიძა. მიუხედავად იმისა,რომ ფერიდეს სიტყვები საჯარო გა- მოსვლას ჰგავდა, მაინც მხიარულად გამოუვიდა. ფერიდეს თმა ძალიან ქერად, თითქმის ფერფლისფრად სწორედ იმ დილით შეეღება. ასიამ უკვე ძალიან კარგად იცოდა, რომ დეიდას ვარცხნილობის რადიკალური ცვლილება მისი გუნებაგანწყობილების რადიკალური ცვლილების ნიშანი გახლდათ. გოგონა ფერიდეს კარგად დააკვირდა, შეეცადა სიგიჟის ნაკვალევი შეენიშნა. თმის ფერის შეცვლას თუ არ ჩავთვლით, ფერიდე თითქოს მთლიანად ტელევიზორზე იყო გადართული, სიამოვნებით უყურებდა ვიღაც საშინლად უნიჭო პოპმომღერალს, რომელიც წარმოუდგენლად სასაცილოდ ცეკვავდა და ბზრიალებდა. სულ ეს იყო, რისი დანახვაც ასიამ მოახერხა.

- უნდა მოემზადო. ხომ იცი, ჩვენი სტუმარი დღეს ჩამოდის, - თქვა დეიდა ბანუმ სასტუმრო ოთახში შესვლისას. ბანუს ხელში ლანგარი ეჭირა ის-ის იყო, ღუმლიდან გამოღებული ბორექით. ნახშირწყლების დღიური ნორმა უნდა მიერთმია და ამით აშკარად კმაყოფილი იყო, - მის ჩამოსვლამდე სახლი უნდა მოვაწესრიგოთ.

ასია შეეცადა, სულთან მეხუთე ფეხით მოეშორებინა პატარა ონკანიდან, რომლიდანაც წყალი წვეთავდა. გოგონამ ოხშივრიანი სამოვრიდან ჩაი დაისხა და უინტერესოდ იკითხა:

- ასე რატომ ღელავთ ამ ამერიკელი გოგოს გამო?

მერე ასიამ ჩაი მოწრუპა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ სიფათი დაეღრიჯა და შაქარი მოეძებნა. ერთი, ორი... ასიამ ერთი ბეწო ჩაის ჭიქა შაქრის ოთხი ნატეხით ამოავსო.

- რას ნიშნავს „ასე რატომ ღელავთ“? სტუმარია! პლანეტის მეორე ბოლოდან მოდის, - იმისთვის, რომ ეჩვენებინა, სად და რამდენად შორის იყო პლანეტის მეორე ბოლო, დეიდა ფერიდემ ხელი ისე გაიშვირა, ნაცისტები რომ იშვერდნენ მისალმებისას. დაფიქრდა თუ არა დედამიწაზე, ფერიდეს თვალწინ დაუდგა გლობალური ატმოსფერული და ოკეანური ცირკულაციის ტიპები. მღელვარება ხმაზეც დაეტყო. ქაღალდზე დატანილი ცირკულაციის ტიპების რუკა ფერიდეს უკანასკნელად

საშუალო სკოლაში სწავლისას ენახა. ისე, რომ არავინ იცოდა, ფერიდემ რუკა, მისი უმცირესი დეტალებიც კი, ზეპირად იცოდა. ეს ყველაფერი მის მეხსიერებაში დღემდე იმდენად მკაფიოდ იყო აღბეჭდილი, როგორც მაშინ, როცა პირველად ათვალიერებდა რუკას გულმოდგინედ.

- ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს სტუმარი ჩვენთან ბიძაშენმა გამოგზავნა, - ჩაერია საუბარში ბებია გულსუმი, რომელიც უწინდებურად მედგრად ინარჩუნებდა ისეთი ადამიანის რეპუტაციას, რომელიც წინა ცხოვრებაში ივანე მრისხანე ყოფილიყო.

- ბიძაჩემის? რომელი ბიძის? იმის, არასდროს რომ არ მინახავს? - ასიამ ჩაი დააგემოვნა. ისევ მწკლარტე იყო. გოგონამ ჭიქაში შაქრის კიდევ ერთი ნატეხი ჩააგდო, - ჩამოვედით, გაიღვიძეთ! კაცს, რომელზეც ლაპარაკობთ, ერთხელაც არ ვუნახავვართ მას შემდეგ, რაც ამერიკის მიწას დაადგა ფეხი. ერთადერთი, რაც მისგან მიგვიღია იმის დასტურად, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია, არიზონის პეიზაჟებიანი კვასკვასა ბარათებია, - თქვა ასიამ ღვარძლიანი გამომეტყველებით, - კაქტუსი მზის გულზე, კაქტუსი ბინდბუნდში, კაქტუსი მეწამული ყვავილებით, კაქტუსი და თეთრი ჩიტები... კაცი იმასაც კი არ ფიქრობს, რომ სხვანაირი ბარათები გამოგზავნოს.

- თავისი ცოლის სურათებსაც გზავნის, - სამართლიანობისთვის დასძინა დეიდა ფერიდემ.

- დიდი ამბავი. მსუქანი ქერა ქალი მათი ალიზის სახლის წინ რომ დგას და იღიმება, სადაც, სხვათა შორის, ჩვენ არასოდეს დავუპატიჟებივართ; მსუქანი ქერა ქალი დიდ კანიონში; მსუქანი ქერა ქალი უზარმაზარი მექსიკური სომბრეროთი; მოღიმარი მსუქანი ქერა ქალი აივანზე დაგდებულ მკვდარ კოიოტთან ერთად; მსუქანი ქერა ქალი სამზარეულოში ბლინების ცხობისას... გული არ გერევათ, ყოველ თვეში სრულიად უცხო ადამიანის სურათებს რომ გვიგზავნის? რას გვიღიმის ეს ქალი, ბოლოს და ბოლოს? ალაჰის გულისათვის, ჩვენ ის არც კი გვინახავს! - ასიამ ჩაი ისე გადახუხა, თითქოს სასმელი, მის ჭიქაში რომ ესხა, ძალიან ცხელი არც ყოფილიყოს.

- მოგზაურობა სახიფათო საქმეა. გზაზე უამრავი საფრთხეა. თვითმფრინავებს იტაცებენ, მანქანები ავარიებში ერთმანეთს ეჯახებიან... მატარებლებიც კი ყირავდება. გუშინ ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევისას რვა კაცი დაიღუპა, - შენიშნა დეიდა ფერიდემ. ამ ქალს არ შეეძლო ვინმესთვის პირდაპირ შეეხედა და ამიტომ თვალის კაკლების ნერვიული ტრიალით იქამდე ათვალიერებდა მაგიდას, ვიდრე თეფშზე დადებული შავი ზეთისხილის მარცვალი არ შენიშნა.

ყოველთვის, როდესაც ფერიდე ამა თუ იმ თურქული ტაბლოიდის მესამე გვერდზე მოთხრობილ საზარელ ამბავს ამცნობდა დანარჩენებს, გამაღიზიანებელი სიჩუმე ისადგურებდა ხოლმე. ახლაც ასე მოხდა. ბებია გულსუმმა, შეშფოთებულმა იმით, რომ მისი ერთადერთი ვაჟი ასე აიგდეს აბუჩად, სიჩუმეში სახე დაღმიჭა. დეიდა ბანუ თავშლის ბოლოებს აწვალებდა; დეიდა ჯევრიე შეეცადა, გაეხსენებინა, რომელი ცხოველი იყო კოიოტი, მაგრამ იმის გამო, რომ ოცდაოთხი წელიწადი მასწავლებლად ემუშავა, იმდენადვე უჭირდა კითხვის დასმა, რამდენად კარგადაც პასუხის გაცემა გამოსდიოდა ხოლმე. ჯევრიემ კითხვა ვერავის დაუსვა. დიდედამ თავი დაანება სუჯუხის თხელი ნაჭრის კენკვას, თეფშზე რომ ედო. დეიდა ფერიდე მორიგი უბედური შემთხვევის გახსენებას შეეცადა, რომლის შესახებაც წაეკითხა, მაგრამ პირველზე კიდევ უფრო შემაძრწუნებელი ახალი ამბისნაცვლად ის უზარმაზარი, ხასხასა ცისფერი სომბრერო გაახსენდა, მუსტაფას ცოლს რომ ეხურა სურათებში. სტამბოლში რამე მსგავსის შოვნა რომ შესძლებოდა, აუცილებლად ატარებდა ყოველდღე. ამასობაში დეიდა ზელიჰას სახე ერთბაშად მოეღუშა, მაგრამ ეს არავის შეუნიშნავს.

- სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ! - თავდაჯერებულად გამოაცხადა ასიამ, - მთელი ამ წლების განმავლობაში მზე და მთვარე ბიძია მუსტაფაზე ამოგდიოდათ, როგორც ამ ოჯახის ერთადერთ ვაჟიშვილზე, მას კი მაშინვე დაავიწყდით, რა წუთსაც მშობლიური ბუდიდან გაფრინდა. აშკარა არ არის, რომ ამ კაცს თავისი ოჯახი ფეხებზე ჰკიდია? მაშ, თავადაც რატომ უნდა ნიშნავდეს ჩვენთვის რამეს?

- ბიჭს არ სცალია, - სასხვათაშორისოდ შენიშნა ბებია გულსუმმა. სინამდვილეში ბებია ქალიშვილების წინაშე, ამდენი რომ ჰყავდა, ხელს აფარებდა ერთადერთ ვაჟს, - საზღვარგარეთ ცხოვრება ადვილი არ არის. ამერიკა ძალიან შორსაა.

- ჰო, აბა, ძალიან შორს არის, მით უფრო მაშინ, როდესაც იმაზე ფიქრობ, რომ ატლანტის ოკეანე უნდა გადაცურო და ევროპის მთელი კონტინენტი ფეხით გაიარო, - თქვა ასიამ და ჩაისგან დამწვარი ენის დასაამებლად თეთრი ყველის ნაჭერი ჩაკბიჩა. გოგონას გასაოცრად, ყველი მართლაც კარგი იყო, ისეთი რბილი და მარილიანი, მას რომ უყვარდა. რაკი ერთდროულად ბუზღუნი და ჭამით სიამოვნების მიღება, ცოტა არ იყოს, ძნელი აღმოჩნდა, ასიამ ლაპარაკი წამით შეწყვიტა და ნერვიულად დაიწყო ღეჭვა.

დეიდა ბანუმ წამიერი სიჩუმით ისარგებლა და როგორც ყველა უხერხულობისას, ამჯერადაც რაღაც არაკის მოყოლას შეუდგა. ბანუმ ქალებს ერთი კაცის ისტორია უამბო, რომელსაც სიკვდილისაგან თავის დასახსნელად მთელი მსოფლიოს კიდით კიდემდე შემოვლა გადაეწყვიტა. დაეხეტებოდა კაცი ყველა გზაზე, რომელზეც კი შეეძლო - ჩრდილოეთსა და სამხრეთში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ერთხელ, ურიცხვ მოგზაურობათაგან ერთ-ერთის დროს, სწორედ მაშინ, კაიროში რომ იყო, მოულოდნელად სიკვდილის ანგელოზს, აზრაელს გადაეყარა. აზრაელს იდუმალი გამომეტყველება ჰქონდა და გამჭოლი მზერა მიეპყრო კაცისათვის. მას არც არაფერი უთქვამს და არც უკან გაჰყოლია კაცს. კაცი მაშინვე წავიდა კაიროდან და არსად გაჩერებულა, ვიდრე ჩინეთის ერთ პატარა და წყნარ ქალაქში არ ჩავიდა. მშიერ-მწყურვალმა პირველივე დუქანს მიაშურა, რომელიც გზაზე შეხვდა. იჯდა აზრაელი იმ მაგიდის გვერდით, რომელზეც სტუმარს მიუთითეს, და მშვიდად ელოდა მას. ამჯერად აზრაელს მშვიდი სახე ჰქონდა.

- ძალიან გამიკვირდა, კაიროში რომ შეგხვდი, - კბილების ღრჭიალით უთხრა აზრაელმა მოგზაურს, - იმიტომ, რომ შენი ბედისწერის თანახმად, ერთმანეთი აქ, ჩინეთში უნდა გვენახა.

ასიამ ეს ამბავი ზეპირად იცოდა, ისევე როგორც ბევრი სხვა ამბავი, რომლებსაც ამ ჭერქვეშ ხშირად ჰყვებოდნენ, თუმცა, ასიას არ ესმოდა და თვლიდა, რომ ვერც ვერასდროს გაიგებდა, რატომ უყვებოდნენ დეიდები გულის ფანცქალით ისეთ ამბებს, რომლის დასასრული ისედაც ცნობილი იყო.

სასტუმრო ოთახში სიმყუდროვემ დაისადგურა. ქალები ჩვეულ ყოველდღიურობას დაუბრუნდნენ და თავი ისე დაცულად იგრძნეს, თითქოს ცხოვრება ერთი დიდი, უწყვეტი რეპეტიცია ყოფილიყო და თითოეული მათგანი თავისი ტექსტის დასწავლას ცდილობდა. მომდევნო რამდენიმე წუთის განმავლობაში, ვიდრე სხვები ერთი ჭორიდან მეორეზე გადადიოდნენ და ამბავს ამბავზე ჰყვებოდნენ, ასია გამოცოცხლდა. თითქმის არაფრით ჰგავდა გოგოს, დილით რომ იყო. საკუთარ თავში აღმოჩენილი წინააღმდეგობები ხშირად თავად ასიასაც უბნევდა თავგზას. ასე როგორ უნდა გაბრაზებოდა მათ, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა? თითქოს მისი განწყობა ზემოთ-ქვემოთ მოხტუნავე სათამაშო ყოფილიყოს, გოგონა ერთ წამს აღშფოთებული იყო ხოლმე, მეორე წამს კი - კმაყოფილი. ამაში ასია დედას ჰგავდა.

ოთახში ღია ფანჯრიდან სიმითის გამყიდველის მონოტონური ხმა შემოვიდა და ქალების ჟღურტულს შეერია. დეიდა ბანუ ფანჯარასთან მიიჭრა და წითელი თავი გარეთ გაყო.

- მესიმითე! მესიმითე! აქეთ! - იყვირა ბანუმ, - რა ღირს?

განა ბანუმ სიმითის ფასი არ იცოდა. მესიმითესთვის კითხვის დასმა რიტუალი უფრო იყო, ვიდრე რაიმეს გარკვევის მცდელობა. სწორედ ამიტომ მაშინვე, როგორც კი პირიდან კითხვა ამოუშვა, ბანუმ ისე, რომ პასუხს არც დალოდებია, მაშინვე განაგრძო:

- კარგი, რვა სიმითი მოგვეცი.

ყოველ კვირა დღეს საუზმისას ქალები რვა სიმითს ყიდულობდნენ - თითო-თითო სიმითს მათთვის, ვინც ოჯახში იყო და ერთსაც შორს გადაკარგული ძმისათვის.

- ო, გადასარევი სუნი აქვს, - სუფრასთან დაბრუნებულ დეიდა ბანუს სახე გაბადროდა. სიმითები ორივე მკლავზე ისე ჩამოელაგებინა, თით-

ქოს გვირგვებით საჟონგლიორად მომზადებული ცირკის აკრობატი ყოფილიყოს. ბანუმ თითო ფუნთუშა ყველას დაუდო და ქუნჯუტის მარცვლები აქეთ-იქით დაყარა. თვალში საცემად დამშვიდებული ბანუ, მას ხომ ნახშირწყლების მთელი მარაგი ჰქონდა, მონაპოვრის გადასანსვლას შეუდგა. ერთდროულად ჭამდა სიმითსა და ბორექს, ბორექსა და პურს, მაგრამ ცოტა ხანში გულძმარვის თუ ნაღვლიანი ფიქრების გამო ბანუს სახე ზუსტად ისე მოეღუშა, როგორც მაშინ, როცა ამა თუ იმ კლიენტს ტაროს კარტში გაელვებული ავისმომასწავებელი ნიშნის შესახებ ეუბნებოდა, - ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, საგნებს როგორ აღიქვამ, - ნიშნად იმისა, თუ რამდენად სერიოზული განცხადების გაკეთებას აპირებდა, დეიდა ბანუმ წარბები აწკიპა, - იყო და არა იყო რა... ოტომანთა დროში იყო ორი კაცი, რომლებიც კალათებს წნავდნენ. ორივე გამრჯე იყო, მაგრამ ერთი მორწმუნე გახლდათ, მეორე კი სულ ანჩხლობდა. ერთ დღეს მათ სოფელში სულთანი ჩავიდა. კაცებს, კალათებს რომ წნავდნენ, სულთანმა უთხრა: „თქვენს კალათებს ხორბლით ავავსებ და თუ ამ ხორბალს კარგად მოუვლით, მარცვლები ოქროს მონეტებად გადაიქცევა“. პირველმა კაცმა სულთნის წინადადება სიხარულით მიიღო და გაავსო თავისი კალათები. მეორემ, რომელიც, ძვირფასო, შენზე ნაკლებად გულფიცხი იყო, უარი თქვა დიდი სულთნის საჩუქარზე. ბოლოს იცი, რა მოხდა?

- რა თქმა უნდა, ვიცი, - თქვა ასიამ, - როგორ არ უნდა ვიცოდე იმ ამბის ბოლო, რომელიც, სულ მცირე, ასჯერ მაინც მექნება მოსმენილი. მაგრამ თქვენ არ იცით, როგორ ვნებს ასეთი ამბები ბავშვის კრეატიულობას. ამ სასაცილო ამბის გამო იყო, სკოლამდელ ასაკში იმ იმედით, რომ დილით ოქროს ფულად გადაიქცეოდა, ბალიშის ქვეშ სულ ხორბლის ჩალის ღერო მედო ხოლმე. მერე სკოლაში წავედი. ერთ დღესაც ბავშვებს ვუთხარი, რომ ჩემი ოქროს ხორბლით მალე გავმდიდრდებოდი. ამის მერე ის მოხდა, რომ კლასში ყველა სულელის დასაცინი მე გავხდი. იდიოტად მაქციეთ.

ბავშვობაში გადატანილი არც ერთი დარტყმა და ტრავმა არ ახსოვდა ასიას ისე მწარედ, როგორც ხორბალთან დაკავშირებული შემთხვე-

ვა. სწორედ მაშინ გაიგონა კიდევ ერთხელ სიტყვა, რომელიც მომდევნო წლების განმავლობაშიც არ დაეხსნა და ყოველთვის ისეთ დროს ახსენებდა თავს, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელოდა: ნაბიჭვარი!

ხორბალთან დაკავშირებულ ამბებამდე, რომლებიც დაწყებითი სკოლის პირველ კლასში მოხდა, ასიას მხოლოდ ერთხელ გაეგონა სიტყვა „ნაბიჭვარი“, მაგრამ უმთავრესად იმიტომ, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა, გოგონას დიდად არ უდარდია. სხვა მოსწავლეებმა უცებ გაარკვიეს ასია იმაში, რაც მანამდე არ იცოდა. საკუთარი თავგადასავლის ამ ნაწილის გამხელა ასია კაზანჯის არაფრისდიდებით არ უნდოდა. იმის ნაცვლად, რომ რამე ეთქვა, გოგონამ კიდევ ერთი ჭიქა ქაფქაფა ჩაი დაისხა.

- მისმინე, ასია, შეგიძლია იმდენი იბუზღუნო ჩვენზე, რამდენიც გინდა, მაგრამ როცა სტუმარი ჩამოვა, ენა მუცელში უნდა ჩაიგდო და იმ გოგოს კარგად მოექცე. ინგლისური ჩემზე კარგად შენ იცი და ოჯახის ნებისმიერ სხვა წევრზე უკეთესადაც.

დეიდა ბანუს ასეთ განცხადებას თავმდაბალი არ ეთქმოდა. ბანუ ისე ლაპარაკობდა, თითქოს ინგლისურად ლაპარაკი ოდნავ მაინც შესძლებოდა, არადა, სინამდვილეში ამ ენაზე საუბარი საერთოდ არ შეეძლო. ცხადია, ინგლისურის კურსი საშუალო სკოლაში ბანუსაც გაევლო, მაგრამ უკვე იმაზე ორჯერ მეტი დავიწყებოდა, ვიდრე სკოლაში შეიძლებოდა ესწავლა. იმდენად, რამდენადაც მკითხაობის ხელოვნება არც ერთი უცხო ენის ცოდნას არ მოითხოვდა, ბანუს ინგლისურის სწავლა არასოდეს დასჭირვებია.

რაც შეეხება დეიდა ფერიდეს, ინგლისური მისთვის არასოდეს ყოფილა პრიორიტეტი - სკოლაშიც გერმანული აერჩია. დროთა განმავლობაში ფერიდემ ფიზიკური გეოგრაფიის გარდა ყველა საგნის მიმართ დაკარგა ინტერესი და აღარც მისი გერმანული დაძრულა ადგილიდან.

როცა საქმე უცხო ენას ეხებოდა, დიდედა და ბებია გულსუმი აუტსაიდერები იყვნენ. მხოლოდ დეიდა ზელიჰამ და დეიდა ჯევრიემ იცოდ-

ნენ იმდენი ინგლისური, რომ დამწყებებიდან საშუალოდ მოინგლისურეთა რიგებში გადაენაცვლებინათ.

და მაინც, დეიდა ზელიჰასა და დეიდა ჯევრიეს ინგლისურს შორის უზარმაზარი განსხვავება იყო. დეიდა ზელიჰა ჟარგონებითა და იდიომებით გაჯერებულ სალაპარაკო ინგლისურს ფლობდა, ისეთს, ყოველდღე რომ იყენებდა ტატუს სალონში შესულ უცხოელებთან სასაუბროდ.

დეიდა ჯევრიე გრამატიკულად გამართული, დროში გაყინული, სახელმძღვანელოების ინგლისურით ლაპარაკობდა, ისეთით, მხოლოდ და მხოლოდ სკოლებში რომ ასწავლიან. ამასთან, დეიდა ჯევრიეს შეეძლო ერთმანეთისგან განესხვავებინა მარტივი, რთული და თანწყობილი წინადადებები. ჯევრიეს შეეძლო გამოეყო ზმნიზედა, ზედსართავი და სახელობითი დამოკიდებული წინადადებები. წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში განკერძოებული მიმღეობის გამოცნობაც შეეძლო, მაგრამ ლაპარაკით ვერ ლაპარაკობდა.

- ამიტომ, საყვარელო, შენ მისი თარჯიმანი იქნები. მის ნათქვამს ჩვენ გადმოგვცემ, ჩვენსას კი - მას, - დეიდა ბანუმ თვალები მოწკურა და წარბები შეჭმუხნა იმის ნიშნად, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რამ ჰქონდა სათქმელი, - შენ კულტურებს შორის გადებული ხიდივით დააკავშირებ ერთმანეთთან აღმოსავლეთსა და დასავლეთს.

ასიამ ცხვირი ისე აიბზუა, თითქოს საშინელი სუნი ეცა, რომელსაც სახლში მის გარდა ვერავინ გრძნობდა, მერე კი ტუჩები ისე მოპრუწა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ოცნებას კაცი არ მოუკლავსო!“

ამასობაში ვერავინ შენიშნა, როგორ წამოდგა დიდედა სკამიდან და როგორ მივიდა ფორტეპიანოსთან, რომელზეც წლების განმავლობაში არავის დაეკრა. ფორტეპიანოს დახურულ თავზე, როგორც სერვანტზე, დროდადრო იმ სინებსა და თეფშებს ალაგებდნენ, სასადილო მაგიდაზე რომ არ ეტეოდა.

- შესანიშნავია, რომ ტოლები ხართ, - დაასრულა მონოლოგი დეიდა ბანუმ, - დამეგობრდებით.

ასია დეიდა ბანუს ინტერესით მიაჩერდა. აინტერესებდა, ოდესმე მაინც თუ არ იქნებოდა ამ ქალის თვალში პატარა. ბავშვობაში, როდესაც

კაზანჯების სახლში ვინმე სხვა ბავშვი მიჰყავდათ, დეიდები ორივეს ერთად დასვამდნენ ხოლმე და უბრძანებდნენ: „ახლა ითამაშეთ! იმეგობრეთ!“ ერთსა და იმავე ასაკობრივ ჯგუფში ყოფნა ავტომატურად ნიშნავდა იმას, რომ ადამიანები ერთმანეთს უნდა შეთვისებოდნენ. ოჯახში რატომღაც ფიქრობდნენ, რომ თანატოლები ერთი და იმავე დამსხვრეული მოზაიკის ნაწილებს წარმოადგენდნენ და მოელოდნენ, რომ ერთად შეყრის შემთხვევაში ისინი უეცრად გამთლიანდებოდნენ.

- რა ამაღელვებელი იქნება! მერე, როცა ჩვენი სტუმარი თავის ქვეყანაში დაბრუნდება, გოგოებს მიწერ-მოწერა შეგეძლებათ, - ჩამოარაკრაკა დეიდა ჯევრიემ, რომელსაც ეპისტოლარული მეგობრობისა ძალიან სჯეროდა. მას, როგორც თურქული რესპუბლიკური რეჟიმის ამხანაგ მასწავლებელს, სწამდა, რომ ყველა თურქი მოქალაქე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ჩვეულებრივი იყო მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვალდებული იყო, მთელი მსოფლიოს წინაშე ამაყად წარმოედგინა თავისი დედასამშობლო. რა შეიძლებოდა გამოსდგომოდა ადამიანს იმაზე უკეთ საკუთარი ქვეყნის წარმოსაჩენად, ვიდრე უცხოელთან მიწერ-მოწერა და მეგობრობა?

- სან-ფრანცისკოდან სტამბოლში და სტამბოლიდან სან-ფრანცისკოში გაგზავნით წერილებს, - ნახევრად თავისთვის ჩაიბუტბუტა დეიდა ჯევრიემ, რომლისთვისაც აღმზრდელობითი მიზნების გარეშე უცხოელთან მიმოწერა სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ. ჯევრიემ ლექცია წაიკითხა ამგვარი ურთიერთობის საფუძველში არსებული პედაგოგიური მოტივების შესახებ, - ჩვენი, თურქების პრობლემა ის არის, რომ ჩვენს ნათქვამს გამუდმებით არასწორად ხსნიან და ვერ გვიგებენ. დასავლელებმა უნდა დაინახონ, რომ ჩვენ სულაც არ ვგავართ არაბებს. ჩვენ თანამედროვე, საერო სახელმწიფო ვართ.

სრულიად მოულოდნელად დეიდა ფერიდემ ტელევიზორის ხმას აუწია. ახალმა თურქულმა პოპვიდეომ ყველა შეაშფოთა. ასიამ ახირებული მომღერლისაკენ გააპარა თვალი და შენიშნა, რომ ამ ქალის ვარცხნილობა საიდანღაც ეცნობოდა, ძალიან ეცნობოდა. გოგონამ

ისევ დეიდა ფერიდეს შეხედა, მერე ისევ - ეკრანს და მიხვდა, რამ შთაა-გონა დეიდას თმის ახალ ყაიდაზე დაყენება.

- ამერიკელებს, ძირითადად, ის ბერძნები და სომხები ულაყებენ ტვინს, რომლებიც შეერთებულ შტატებში საუბედუროდ თურქებზე ადრე ჩავიდნენ, - განაგრძო დეიდა ჯევრიემ, - ისინი შეცდომაში შეიყვანეს და სჯერათ, რომ თურქეთი „შუაღამის ექსპრესის“ ქვეყანაა. შენ აჩვენებ ამერიკელ გოგონას, რა ლამაზია ეს ქვეყანა და ხელს შეუწყობ საერთა-შორისო მეგობრობასა და კულტურულ ურთიერთგაგებას.

ასიას იმედგაცრუებული ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა და ძლივს სუნთქავდა. ამ მდგომარეობას, ასე თუ ისე, კიდევ შეინარჩუნებ-და, უფროსი დეიდა ასეთი ულმობელი რომ არ გამომდგარიყო.

- მეტიც, ინგლისურში გაიწაფები და შეიძლება მასაც ასწავლო თურ-ქული. საოცარი მეგობრობა გამოვა, არა?

მეგობრობა... მეგობრობაზე საუბრისას ასია ფეხზე წამოდგა, ხელი დასტაცა სიმითს, რომელიც მხოლოდ სანახევროდ შეეჭამა და ნამ-დვილ მეგობრებთან წასასვლელად მოემზადა.

- სად მიბრძანდებით, ქალბატონო? საუზმე ჯერ არ დასრულებულა, - თქვა დეიდა ზელიჰამ, რომელსაც მას შემდეგ, რაც მაგიდას მიუს-ხდნენ, პირი ჯერაც არ გაეღო. კვირაში ექვსი დღე თორმეტიდან ცხრა საათამდე ტატუს სალონში ტრიალ-ბზრიალში მუშაობის გამო ზელიჰა ოჯახში ყველაზე მეტად ტკბებოდა ხანგრძლივი, შენელებული საუზ-მით, მათ სახლში კვირა დილით რომ იმართებოდა ხოლმე.

- ჩინური ფილმის ფესტივალია, - მიუგო ასიამ. ცდილობდა, პასუხი სერიოზული და გულწრფელი გამოსვლოდა და ამის გამო ხმა ოდნავ დაეძაბა, - ერთ-ერთი საგნის მასწავლებელმა გვთხოვა, შაბათ-კვირას რომელიმე ფილმი გვენახა და მერე მის შესახებ კრიტიკულ-ანალიტი-კური ნაშრომი დაგვეწერა.

- ეს რაღა დავალებაა? - წარბი ასწია დეიდა ჯევრიემ, რომელიც არატრადიციულ პედაგოგიურ მეთოდებს ყოველთვის ეჭვით უყურებ-და.

დეიდა ზელიჰას ამ თემაზე საუბარი აღარ გაუგრძელებია.

- კეთილი, წადი და ნახე შენი ჩინური ფილმი, ქალბატონო, - თავი დააქნია ზელიჰამ, - მაგრამ არ დაიგვიანო. ხუთ საათამდე სახლში იყავი. სტუმარს აეროპორტში ამ საღამოს ვხვდებით.

ასიამ ხელი წამოავლო თავის ჰიპურ ჩანთას და კარისკენ გაეშურა. სწორედ მაშინ, გარეთ რომ უნდა გასულიყო, ისეთი ხმა ჩაესმა, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ელოდა. ვიღაც ფორტეპიანოზე უკრავდა. გაუბედავი და მერყევი ბგერებით აჟღერებდნენ კარგა ხნის წინ დავიწყებულ მელოდიას.

ასიას სახეზე დაეტყო, რომ ყველაფერს მიხვდა:

- დიდედა!

* * *

დიდედა თესალონიკში იყო დაბადებული. 1923 წელს, მაშინ, როცა სულ პატარა გოგო იყო, დედასთან ერთად სტამბოლში გადავიდა. დიდედას ამქალაქში ჩამოსვლის დრო ზუსტად იცოდნენ, რადგან იგი სახელმწიფოს თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების მომენტს დაემთხვა.

- შენ და რესპუბლიკა ამ ქალაქში ერთდროულად ჩამოხვედით. ორივეს მოუთმენლად გელოდით, - სიყვარულით უთხრა მეუღლეს რიზა სელიმ კაზანჯიმ წლების შემდეგ, - ძველ რეჟიმებს, ერთს სახლში და მეორეს - ქვეყანაში, ორივემ სამუდამოდ დაუსვით წერტილი. მას შემდეგ, რაც ჩემთან მოხვედი, ცხოვრება მიხარია.

- შენთან რომ მოვედი, სევდიანი იყავი, მაგრამ ძლიერი. მე სიხარული მოგიტანე, შენ კი ძალა მომეცი.

მართალი გითხრათ, დიდედას იმდენად კარგი გარეგნობა ჰქონდა და იმდენად გულღია იყო, რომ თექვსმეტი წლის გოგონას ხელის მთხოვნელების რიგი გალათის ხიდის ერთი ბოლოდან მეორეს მისწვდებოდა. ყველა კანდიდატს შორის, ვისაც მის კარზე მიეკაკუნებინა, მხოლოდ ერთი იყო ისეთი, ვისაც დიდედა მას შემდეგ თანაუგრძნობდა, რაც ცხაურებიანი ტიხრის მიღმა მოჰკრა თვალი: მაღალი, მოსული კაცი, სახელად რიზა.

რიზას ხშირი წვერი, თხელი ულვაში და დიდრონი, შავი, მოღრუბლული თვალები ჰქონდა. დიდედაზე სულ მცირე ოცდაცამეტი წლით იყო უფროსი.

რიზა კაზანჯის მანამდეც ჰყოლია ცოლი და როგორც ამბობდნენ, ცოლს, ვიღაც უსულგულო ქალს, ქმარიც მიეტოვებინა და ვაჟიშვილიც.

ცოლის ღალატის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ პატარასთან ერთად დარჩა, რომელიც ის-ის იყო, ფეხს იდგამდა, რიზა კაზანჯი დიდხანს ამბობდა უარს ხელმეორედ დაქორწინებაზე და საგვარეულო დიდ სახლში მარტოდმარტო ცხოვრება ერჩია. ცხოვრობდა ამ სახლში დიდედას მომავალი მეუღლე და აგროვებდა სიმდიდრეს, რომელსაც მეგობრებს უნაწილებდა, ხოლო გულში დაგროვილ სიბრაზეს მტრებისათვის ინახავდა.

რიზა საქმოსანი იყო და ყველაფერს დამოუკიდებლად მიაღწია. ჯერ ხელოსნად მუშაობდა - ქვაბებს აკეთებდა, მერე კი, როგორც მეწარმეს, საკმარისი ჭკუა-გონება აღმოაჩნდა იმისათვის, რომ საჭირო დროსა და ადგილზე დროშების წარმოების ბიზნესში ჩართულიყო. 20-იანი წლების განმავლობაში თურქეთის რესპუბლიკაში ვნებები ჯერ ისევ ბობოქრობდა და ხელით შრომით, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის პროპაგანდაში მას სისტემატურად ადიდებდნენ, ბევრ ფულს ვერ იშოვიდი. ახალ რეჟიმს სჭირდებოდა მასწავლებლები, რომლებიც თავიანთი მოწაფეებისგან პატრიოტ თურქებს დააყენებდნენ, კომერსანტები, რომლებიც ეროვნული ბურჟუაზიის შექმნაში დაეხმარებოდნენ, და დროშების მწარმოებლები, მთელი ქვეყნის თურქეთის დროშებით მოსართავად, მაგრამ არ სჭირდებოდა ქვაბების კეთების არანაირი ოსტატი. ასე შეაბიჯა რიზა სელიმმა დროშების წარმოების ბიზნესში.

მიუხედავად იმისა, რომ ფულს დასტა-დასტად შოულობდა და ახალ საქმეში გავლენიანი მეგობრებიც ჰყავდა, როცა 1925 წელს კანონმა „გვარების შესახებ“ თურქეთის ყველა მოქალაქე დაავალდებულა, ჰქონოდა ესა თუ ის გვარი, და რიზა სელიმიც არჩევანის წინაშე დადგა, მან თავისი პირველი ხელობის პატივსაცემად კაზანჯის გვარის ტარება ისურვა.

ასაკისა და პირველ ქორწინებასთან დაკავშირებული ტრავმის გათვალისწინებით (ვინ იცის, რატომ მიატოვა ცოლმა; ქალები ჭორაობდნენ, შეიძლება გარყვნილი კაციაო) რიზა სელიმ კაზანჯი შესანიშნავად გამოიყურებოდა და აშკარად შეძლებული ადამიანი იყო, მაგრამ დიდედას დედისათვის ის იმ უკანასკნელთა შორის გახლდათ, ვისზედაც თავისი თვალისჩინივით მოვლილი ქალიშვილის დაქორწინებას ისურვებდა.

რა თქმა უნდა, რიზაზე უკეთესი კანდიდატებიც იყვნენ, მაგრამ დედის დაჟინებული წინააღმდეგობის მიუხედავად, დიდედა არავის უსმენდა საკუთარი გულის გარდა. შეიძლება რიზა სელიმ კაზანჯის შავ თვალებში იყო რაღაც ისეთი, რამაც დიდედას არა გონების თვალით, არამედ ინტუიციურად დაანახვა ნიჭი, რომელიც ამ კაცს ჰქონდა, მაგრამ ბევრისათვის მიუწვდომელი გახლდათ - რიზას შეეძლო მეორე ადამიანი საკუთარ თავზე მეტად ჰყვარებოდა.

მართალია, თექვსმეტი წლის დიდედა ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, მაგრამ საკმაოდ გონიერი გახლდათ იმისათვის, რომ მიმხვდარიყო, რა ბედნიერებაა, როცა ასეთი ნიჭით გამორჩეულ ადამიანს უყვარხარ და გაღმერთებს.

რიზა სელიმ კაზანჯის ალერსიანი და ცოცხალი თვალები ჰქონდა. ხმაც ასეთი ჰქონდა. იყო რიზაში რაღაც ისეთი, რის გამოც მის გვერდით ადამიანი მშფოთვარე გარემოშიც კი უსაფრთხოდ, სასურველად და დაცულად გრძნობდა თავს.

დიდედას გული მხოლოდ ამის გამო არ ძგერდა რიზა სელიმ კაზანჯისათვის. იმაზე დიდი ხნით ადრე, ვიდრე რიზა მოეწონებოდა, დიდედა ამ კაცის ისტორიით დაინტერესდა. ხვდებოდა დიდედა, როგორ სტკიოდა გული რიზას იმის გამო, რომ პირველმა ცოლმა მიატოვა. ცხადია, დიდედას ამ ჭრილობების მოშუშება შეეძლო. სხვა რომ არაფერი, ქალებს მოსწონთ, როცა იმას უვლიან, რაც ერთიმეორის შემდეგ რჩებათ.

გადაწყვეტილების მისაღებად დიდედას დიდი დრო არ დასჭირვებია. უნდოდა, რიზას გაჰყოლოდა და ამას ვერავინ, თავად დიდედას ბედისწერაც კი, ვერ შეცვლიდა.

დიდედას სჯეროდა რიზა სელიმ კაზანჯისა, რის პასუხადაც ის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე აპირებდა მეუღლის ნდობის გამართლებას. ქერა, ცისფერთვალა ქალი, რომელიც მასთან სათანადო მზითვის ნაცვლად ერთფუმფულა, თოვლივით ქათქათა კატასთანერთად მივიდა, რიზას ცხოვრების სიხარულად იქცა.

არ ყოფილა დღე, რიზა კაზანჯის ცოლის რომელიმე დაჟინებულ თხოვნაზე უარი რომ ეთქვა, თან მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად უცნაური იყო ეს თხოვნა. ეს ყველაფერი ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო იმ დროს ექვსი წლის ბიჭუნასათვის, რომელიც რიზას სახლში ჰყავდა. ლევენთ კაზანჯის დიდედა დედად არასოდეს მიუღია. ბიჭი დიდხანს არ უშვებდა ხელიდან დედინაცვლისათვის წინააღმდეგობის გაწევისა და მისი დაცინვის არც ერთ შესაძლებლობას. ბავშვობის ასაკიდან ისე გამოვიდა, რომ გულით ბოღმას ატარებდა, თუ საერთოდ შესაძლებელი იყო ისეთი ადამიანის ოდესმე დაკაცება, რომელიც ამდენად გაბოროტებული იყო.

იმ დროში, როცა ქორწინება ბავშვების გარეშე უკურნებელ სენად თუ არა, მკრეხელობად მაინც ითვლებოდა, დიდედასა და რიზა სელიმ კაზანჯის შვილი არ ჰყოლიათ. ასე იმიტომ კი არ მოხდა, რომ რიზა გახლდათ ძალიან ხნიერი, არამედ იმიტომ, რომ თავიდან დიდედა იყო მეტისმეტად ახალგაზრდა და ბავშვების გაზრდა არ აინტერესებდა, ხოლო, როცა სხვა ჭკუაზე დადგა, მისი მეუღლე უკვე ძალიან მოხუცი იყო. ლევენთ კაზანჯი უწინდებურად ოჯახის ერთადერთი შვილი იყო. იმას, რომ გვარის გამგრძელებლის ტიტულს ატარებდა, ლევენთ კაზანჯი დიდად არ დაგიდევდათ.

მიუხედავად იმისა, რომ გერის ღვარძლიანობას განიცდიდა და მის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, დიდედა მაინც სიცოცხლით სავსე, გულღია გოგონა იყო მდიდარი წარმოსახვითა და კიდევ უფრო მდიდრული მოთხოვნებით. მისი აზრით, ქვეყნად პატარების მოვლაზე გაცილებით საინტერესო რამეები არსებობდა, მაგალითად, ფორტეპიანოზე დაკვრა. ცოტა ხანში კაზანჯების სახლის სასტუმრო ოთახში, საუკეთესო ადგილზე ინგლისში, Stroud Piano Co., Ltd-ის ბენთლის

ფორტეპიანო გაჩნდა. სწორედ ამ ფორტეპიანოთი დაიწყო დიდედას პირველი მეცადინეობები ფორტეპიანოს პირველ მასწავლებელთან, თეთრგვარდიელ რუს მუსიკოსთან ერთად, რომელიც ბოლშევიკურ რევოლუციას გამოქცეოდა და სამუდამოდ დასახლებულიყო სტამბოლში.

დიდედა რუსი მუსიკოსის საუკეთესო მოსწავლე იყო. გარდა იმისა, რომ ნიჭიერი გახლდათ, ძალიან უნდოდა, ფორტეპიანო მისი ცხოვრების განუყრელი მეგობარი უფრო გამხდარიყო, ვიდრე ხანმოკლე თავშესაქცევი.

დიდედას ყველაზე მეტად რახმანინოვი, ბოროდინი და ჩაიკოვსკი მოსწონდა. იყვნენ კომპოზიტორები, რომელთა ნაწარმოებებს მაშინ ასრულებდა, როცა სახლში მარტო იყო, ფაშა პირველი კალთაში ეჯდა და თავისთვის უკრავდა.

როცა სტუმრებისთვის უკრავდა, მაშინ სრულიად განსხვავებული რეპერტუარიდან ირჩევდა სიმღერებს. დასავლური რეპერტუარი, ანუ ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, შუმანი და, რაც მთავარია, ვაგნერი სრულდებოდა იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მთავრობის ჩინოვნიკებსა და მათ დახვეწილ მეუღლეებს მასპინძლობდნენ. ნავახშმევს მამაკაცები სასმისებით ხელში ბუხართან იყრიდნენ ხოლმე თავს და მსოფლიო პოლიტიკაზე მსჯელობდნენ.

20-იანი წლების მიწურული ისეთი პერიოდი იყო, როდესაც ეროვნული პოლიტიკის მხოლოდ და მხოლოდ ქება-დიდება იყო შესაძლებელი და რაკი ყურები კედლებსაც ჰქონდა, რაც უფრო ხმამაღლა შეასხამდით ხოტბას ამ პოლიტიკას, მით უკეთესი იქნებოდა თქვენთვის. შესაბამისად, როგორც კი გულწრფელად საუბარი მოესურვებოდათ, თურქეთის ახალი რესპუბლიკის პოლიტიკური და კულტურული ელიტა უმალ გადადიოდა მსოფლიო პოლიტიკის განხილვაზე, რომელიც თავისთავად თავსატეხი გახლდათ და მასზე ლაპარაკი ყოველთვის საინტერესო იყო.

ვიდრე მამაკაცები ბუხართან ბჭობდნენ, ქალები სახლის მეორე ბოლოში იყრიდნენ ხოლმე თავს, ხელში პიტნის ლიქიორით სავსე ბრო-

ლის ჭიქები ეჭირათ და ერთმანეთის ტანისამოსს არ აშორებდნენ თვალს. ქალების განყოფილება ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული ორი ტიპის ქალებისაგან, ანუ პროფესიონალებისა და ცოლებისაგან შედგებოდა.

პროფესიონალების, ანუ ამხანაგი ქალების, იგივე ახალი თურქი მდედრების მოკლე დახასიათება ასეთია: რეფორმისტთა ელიტისგან გაიდეალებული, განდიდებული და გამარჯვებულად გამოცხადებული მანდილოსნები. ისინი ახალ პროფესიონალებს - ადვოკატებს, მასწავლებლებს, მოსამართლეებს, მმართველებს, მოხელეებს, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებს და ა.შ. წარმოადგენდნენ. თავიანთი დედებისაგან განსხვავებით, შინ არ ისხდნენ და სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კიბეზე ასვლის შესაძლებლობა ჰქონდათ, ოღონდ იმ პირობით, თუ წარმატებისაკენ მიმავალ გზაზე თავიანთ სექსუალურობასა და ქალურობას უკან მოიტოვებდნენ. ასეთი ქალების უმრავლესობა ზედა და ქვედა ნაწილებისაგან შემდგარ ყავისფერ, შავ და რუხ კოსტიუმებს ატარებდა. ეს უბრალოების, მოკრძალებულობისა და თავდადების ფერები გახლდათ. პროფესიონალებს თმა მოკლედ შეეჭრათ, მაკიაჟს არ იკეთებდნენ და არც სამკაულს ატარებდნენ. ისინი ქალურობას მოკლებულ უსქესო სხეულებში ცხოვრობდნენ.

როცა ცოლები მათთვის დამახასიათებელი, გამაღიზიანებლად ქალური მანერით ხითხითებდნენ, პროფესიონალები იღლიაში გაჩრილ პატარა ტყავის ხელჩანთებს თითებს ისე უჭერდნენ, თითქოს მათში სრულიადსაიდუმლო ინფორმაციას მალავდნენ, რომლის ნებისმიერ ფასად დაცვის პირობა ჰქონდათ დადებული.

პროფესიონალებისაგან განსხვავებით, ცოლები წვეულებებზე თეთრ, ღია ვარდისფერ და პასტელის ცისფერ საღამოს ატლასის კაბებში გამოწყობილი დადიოდნენ. ეს სინაზის, უმანკოებისა და მგრძნობიარობის ფერები გახლდათ. ცოლებს პროფესიონალები მაინცდამაინც არ მოსწონდათ და „ამხანაგებად“ უფრო აღიქვამდნენ, ვიდრე ქალებად. არც პროფესიონალებს მოსწონდათ ცოლები, რომლებსაც „ხასე-

ბად“ უფრო აღიქვამდნენ, ვიდრე ქალებად. საბოლოოდ არავინ იყო ისეთი, ვინც დანარჩენ ქალებზე„სათანადო“ აზრისა იქნებოდა.

ყოველთვის, როცა ამხანაგებსა და ხასებს შორის არსებული დაძაბულობა იმატებდა, დიდედა, რომელიც საკუთარ თავს არც ერთ ჯგუფთან არ აიგივებდა, მოსამსახურე ქალს ჩუმად ანიშნებდა, ბროლის ჭიქებით ლიქიორი შემოიტანე, ვერცხლის სინებით კი - ნუშიანი ფენოვანი ტკბილეულიო. დიდედას აღმოეჩინა, რომ ლიქიორისა და სასუსნავის ამგვარი დუეტი ერთადერთი რამ იყო, რასაც ოთახში მყოფი ყველა თურქი ქალბატონის ნერვების დაცხრობა შეეძლო, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ბანაკს ეკუთვნოდნენ ისინი.

წვეულების მიწურულს რიზა სელიმ კაზანჯი ცოლს მოუხმობდა ხოლმე და პატივცემული სტუმრებისათვის ფორტეპიანოზე დაკვრას სთხოვდა. დიდედა დაკვრაზე უარს არასოდეს ამბობდა. დასავლელი კომპოზიტორების გარდა, ის ეროვნულ ჰიმნებსაც ასრულებდა და პატრიოტულ ცეცხლს ანთებდა. სტუმრები დიასახლისს შეძახილებით ამხნევებდნენ და ტაშს უკრავდნენ. 1933 წელს, როდესაც მეათე წლისთავისადმი მიძღვნილი ჰიმნი, „რესპუბლიკის მარში“ შეიქმნა, დიდედა მას უსასრულოდ უკრავდა და უკრავდა. ადამიანებს სიზმარშიც კი ჩაესმოდათ მუსიკა, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო. ეს გახლდათ დრო, როდესაც აკვნის ბავშვებსაც კი ახალი ჰიმნის ენერგიული, რიტმული მუსიკის ფონზე აძინებდნენ.

შესაბამისად, იმ დროს, როდესაც მთელი რიგი სოციალური რეფორმების წყალობით თურქი ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდიდნენ, დიდედა სახლში იყო და თავისი დამოუკიდებელი ყოფით ტკბებოდა.

ფორტეპიანოსადმი ინტერესი არასოდეს განელებია, მაგრამ ახალი გასართობების ნუსხის შესადგენადაც არ დასჭირვებია დიდი დრო. რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა ფრანგულს, წერდა ნოველებს, რომლებიც არასოდეს გამოუქვეყნებია, ხვეწდა საკუთარ შესაძლებლობებს ზეთით ხატვის სხვადასხვანაირ ტექნიკაში, იპრანჭებოდა ატლასის სამეჯლისო კაბებსა და შესანიშნავ ფეხსაცმელებში, ძალით

დაჰყავდა მეუღლე მეჯლისებზე, მართავდა წარმოუდგენელ წვეულებებს და ერთი დღეც არ დაუთმია სახლის საქმეებისთვის. რიზა სელიმ კაზანჯი ყველანაირ სურვილს უსრულებდა თავის ყოჩაღ მეუღლეს.

რიზა საზოგადოდ მშვიდი ადამიანი იყო და სხვებისადმი ღრმა პატივისცემითა და სამართლიანობის დიდი გრძნობით გამოირჩეოდა, მაგრამ მისი ყაიდის სხვა ადამიანების მსგავსად, რიზას გატეხილი გულის გამთელებაც შეუძლებელი გახლდათ. აქედან გამომდინარე, არსებობდა ერთი საკითხი, რომელიც მისი პიროვნების უარყოფით მხარეს ედო საფუძვლად. ეს საკითხი რიზას პირველი ცოლი გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ წლები იყო გასული, როცა კი დიდედა ქმარს პირველ ცოლზე რამეს ჰკითხავდა, რიზა სელიმ კაზანჯის თვალებში მისთვის უცნაური სევდა უდგებოდა და ჩუმდებოდა.

- რომელ ქალს შეუძლია შვილის მიტოვება? - იტყოდა რიზა და სიძულვილისგან სახე ებრიცებოდა.

- კი, მაგრამ არ გინდა, იცოდე, რა მოუვიდა? - ახლოს მიუჩოჩდა ერთხელაც დიდედა ქმარს და კალთაში ჩაუჯდა. მეუღლეს ისე ნაზად ეფერებოდა ნიკაპზე, თითქოს უნდოდა, მისთვის თავი მოექონა და როგორმე პასუხი მიეღო.

- იმ ქუჩის ქალის ბედი არ მაინტერესებს, - გულგრილად თქვა რიზა სელიმ კაზანჯიმ. ხმის დაწევა არც უფიქრია. არ ანაღვლებდა, ლევენთი თუ გაიგონებდა, დედამისს ლაფში როგორ სვრიდნენ.

- ვინმესთან ერთად გაიპარა? - არ ეშვებოდა დიდედა, თან იცოდა, რომ დასაშვებ ზღვარს გადადიოდა, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული იყო, ზუსტად ვერასოდეს გავიგებ, სად გადის ჩემთვის დაწესებული საზღვარი, ვიდრე ამ მიჯნას არ გადავაბიჯებო.

- რატომ ყოფ ცხვირს ისეთ რამეებში, რომლებთანაც არაფერი გესაქმება? - მკვახედ მიუგო რიზა სელიმ კაზანჯიმ, - მისი საქციელის გამეორებას აპირებ თუ რაშია საქმე?

ასე დაადგინა დიდედამ, სად გადიოდა ზღვარი, რომელსაც არ უნდა გასცდენოდა.

წლების განმავლობაში, გარდა იმ მომენტებისა, როდესაც ოჯახის უფროსის პირველი ცოლის საკითხი წამოიჭრებოდა ხოლმე, რიზასა და დიდედას მყუდრო და უზრუნველი ცხოვრება წყნარად მიედინებოდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მათ ირგვლივ სხვა ოჯახების ყოფა სრულიად განსხვავებული იყო, რიზა სელიმ კაზანჯისა და მის მეუღლეს უჩვეულო ცხოვრება ჰქონდათ.

მათი განცხრომა ნათესავებში, მეგობრებსა და მეზობლებში შურს აღძრავდა. ეს უკანასკნელები ყველაფერში ერეოდნენ, რაშიც კი შეიძლებოდაჩარეულიყვნენ, ხოლო წყვილის უშვილობა საუკეთესო მიზეზი იყო ხელზე დასახვევად. ბევრი მათგანი არწმუნებდა რიზა სელიმ კაზანჯის, ვიდრე გვიანი არ არის, სხვა ქალი შეირთეო. იმდენად, რამდენადაც ახალი სამოქალაქო სამართლის თანახმად მამაკაცს ერთზე მეტი ცოლის ყოლის უფლება არ ჰქონდა, რიზა დიდედას უნდა გაშორებოდა, რომელზეც ახლა უკვე ყველა ეჭვობდა, ან ბერწია, ან ბუნტისთავიო.

იმ დღეს, როცა რიზა სელიმი კაზანჯის გვარის სხვადასხვა თაობის მამაკაცებივით სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა, დიდედამ ცხოვრებაში პირველად ირწმუნა ავი თვალის არსებობა. დარწმუნებული იყო, რომ მათი ყოველმხრივ ბედნიერი სახლის კედლები შურიანი ხალხის მზერამ გააპო და ქმარი მოუკლა.

ახლა დიდედას ეს ამბები თითქმის აღარ ახსოვდა, მაგრამ როცა მისი დაჭმუჭნილი, გამხმარი თითები ძველ ფორტეპიანოს შეეხო, რიზა სელიმ კაზანჯისთან ერთად გატარებულმა დღეებმა ძველი, ფერგადასული შუქურასავით გაიელვადა გზააბნეული მოხუცი ალცჰაიმერის ბობოქარ წყლებში შეიყვანა.

* * *

უბანში, სადაც ქუჩებს არასოდეს ეძინათ და რიყეფენილის ქვებმა ბევრი საიდუმლო იცოდნენ, ახალგარემონტებულ ბინაში, რომელიც გალათის ხიდს გადაჰყურებდა, ძველი შენობების მინის ფანჯრებიდან არეკლილი ჩამავალი მზის სხივების ქვეშ, თოლიების ჭყივილის ფონზე ასია კაზანჯი ტახტზე შიშველი იჯდა. არ იძვროდა, თითქოს ქანდაკება

ყოფილიყო, რომელიც იმ ხელოვანის ნიჭის გათავისებას ცდილობდა, რომელსაც მარმარილოს ლოდისაგან გამოეკვეთა.

ასიას გონება ფანტაზიების სამყაროში გადაეშვა, მის სხეულში კი სქელი კვამლი ტრიალებდა, რომელიც გოგონას ის-ის იყო, შეესუნთქა. ფილტვებს იქამდე იწვავდა, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, გუნება არ გამოუკეთდა და ნელა, უხალისოდ არ ამოუშვა ბოლი.

- რაზე ფიქრობ, ძვირფასო?

- ნიჰილიზმის ჩემი პირადი მანიფესტის მერვე მუხლზე ვმუშაობ, - მიუგო ასიამ და დანისლული თვალები გაახილა.

მუხლი 8: თუ საზოგადოებასა და „მე“-ს შორის ღრმა ღარტაფია და მასზე მხოლოდ მორყეული ხიდია გადებული, შეგიძლიათ დაწვათ ეს ხიდი და „მე“-ს მხარეს ცოცხალი და უვნებელი დარჩეთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ეს ღარტაფი არ არის ის, რასაც ესწრაფვით.

ასიამ კიდევ ერთი ნაფაზი დაარტყა და კვამლი შიგნით გაიჩერა.

- მოდი, რამეს გაჭმევ, - თქვა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა და გოგონას ხელიდან მარიხუანას სიგარეტი გამოართვა. მერე მისკენ დაიხარა და თმიანი მკერდით მიეკრა. ასიამ საჭმელად მომზადებული ბრმა ბარტყივით გააღო პირი. კაცმა კვამლის ჭავლი პირდაპირ პირში ჩაასუნთქა. გოგონამ კვამლი ისეთი მონდომებით შეისრუტა, თითქოს მწყურვალი იყო და წყალს ეწაფებოდა.

მუხლი 9: თუკი ეს ღარტაფი იმაზე მეტად გიზიდავთ, ვიდრე დანარჩენი სამყარო, შეგიძლიათ ჩავარდეთ მასში, ანუ საკუთარ თავში.

„ჭამა“ იქამდე გრძელდებოდა, იქამდე უშვებდა ალკოჰოლიკი კარიკატურისტი კვამლს ასიას პირში, ის კი იქამდე ისუნთქავდა და ისუნთქავდა, ვიდრე მის ყელში უკანასკნელი ბოლქვი არ დაინთქა.

- სანაძლეოს ჩამოვალ, ახლა თავს უკეთესად გრძნობ, - ჩაიღუღუნა მხატვარმა. სახეზე ეტყობოდა, რომ მეტი სექსი უნდოდა, - კარგ ჟიმაობასა და კარგ მარიხუანაზე უკეთესი წამალი არ არსებობს.

წინააღმდეგობის გაწევის სურვილის ჩასახშობად ასიამ ლოყაზე იკბინა. მერე თავი ღია ფანჯრისკენ გადააგდო და ხელები ისე გაშალა,

თითქოს მთელი ქალაქი უნდოდა ჩაეკრა გულში, მთელი მისი აურზაურითა და დიდებულებით.

ამასობაში კაცი საკუთარი გამონათქვამის დახვეწით იყო დაკავებული:

- მოდი, ვნახოთ. არაფერია ისე გადაჭარბებულად შეფასებული, როგორც ცუდი ჟიმაობა და არაფერია ისე შეუფასებელი, როგორც კარგი...

- ქაქი, - მიეხმარა მხატვარს ასია.

აღფრთოვანებული ალკოჰოლიკი კარიკატურისტი თავის ქნევით წამოდგა. ტანზე მხოლოდ პრიალა ქსოვილის ფარფალა ტრუსები ეცვა. ლუდის სმისგან მუცელი ოდნავ გაბერვოდა. სი-დი-ფლეიერისაკენ ხტუნვა-ხტუნვით წავიდა და სიმღერა ჩართო. ასიას ყოველთვის მოსწონდა ჯონი კეშის სიმღერა „Hurt“.

როგორც კი მუსიკის პირველი რიტმები გაისმა, ალკოჰოლიკი კარიკატურისტი შემობრუნდა და ძველ ადგილას დაბრუნდა. თვალები ერთიანად უბრწყინავდა.

„I hurt myself today / to see if I still feel“.

ასიამ სახე ისე შეჭმუხნა, თითქოს ის-ის იყო, უხილავი ნემსი ეჩხვლიტაო.

- რა დასანანია...

- რა არის დასანანი, ძვირფასო?

ასია მხატვარს ფართოდ გახელილი თვალებით მიაჩერდა. ისეთი შეშფოთებული მზერა ჰქონდა, იფიქრებდით, თავის ასაკზე სამჯერ მეტი ხნის არისო.

- ტეხავს, - ამოიოხრა ასიამ, - ეს მენეჯერები და ორგანიზატორები, თუ რაც ჰქვიათ, აწყობენ ევროპულ ტურნეებს, აზიურ ტურნეებს, ტურებს ურაპერესტროიკულ საბჭოთა კავშირშიც კი... მაგრამ თუ მუსიკის ფანი ხარ დასტამბოლში ცხოვრობ, ვერც ერთ გეოგრაფიულ განსაზღვრებას ვერ მოერგები. ვერავინ გვამჩნევს. იცი, რომ სტამბოლის გეოსტრატეგიული მდებარეობა არის ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც აქ იმდენი კონცერტი არ იმართება, რამდენიც ჩვენ გვინდა?

- ჰო, ყველა ბოსფორის ხიდზე უნდა გავმწკრივდეთ, მთელი ძალით შევუბეროთ და ამ ქალაქს დასავლეთისკენ ვუბიძგოთ. თუ არ გაჭრის, სხვა გზას ვცდით და ვნახავთ, შეგვიძლია თუ არა აღმოსავლეთის შეტრიალება, - ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა ხმადაბლა გაიცინა, - რა ჩარაა შუაში ყოფნა, საერთაშორისო პოლიტიკა ორაზროვნებას არ ცნობს.

ღრუბლებში მოფარფატე ასიას ალკოჰოლიკი კარიკატურისტის სიტყვები არ ესმოდა. გოგონამ მარიხუანას კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა, დახეთქილ ტუჩებს შორის ჩაიდო და ერთი დიდი, უდარდელი ნაფაზი დაარტყა, მერე კი თითქოს ვერც გრძნობდა, როგორ ეხებოდა მამაკაცის თითები და ენა მის ენასა და კანს.

- უნდა ყოფილიყო ჯონი კეშისთვის ხმის მიწვდენის რაღაც გზა, სანამ ფეხები არ გაუჭიმავს, ანუ ეს კაცი სტამბოლში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ისე მოკვდა, ვერც გაიგო, რომ აქ თავგადაკლული ფანები ჰყავდა...

ალკოჰოლიკ კარიკატურისტს ნაზად გაეღიმა. ასიას პატარა ხალზეაკოცა, მარცხენა ლოყაზე რომ ჰქონდა და კისერზე იქამდე უსვამდა ფრთხილად ხელს, ვიდრე გოგონას ბარაქიან ძუძუებს არ მისწვდა და ხელის მტევნებში არ მოიქცია. თავხედურად და აუჩქარებლად კოცნიდა. მის ქცევას ძალადობის, თუ არა სისასტიკის, ელფერიც დაჰკრავდა. თვალების ციმციმით იკითხა:

- კიდევ როდის შევხვდებით?

- ალბათ, ყოველთვის, როცა ერთმანეთს კაფე „კუნდერაში“ გადავეყრებით, - მხრები აიჩეჩა ასიამ და მამაკაცს მოშორდა. როგორც კი ასიამ გაიწია, ალკოჰოლიკი კარიკატურისტი კიდევ უფრო მიუახლოვდა.

- ჰო, მაგრამ აქ, ჩემს სახლში, როდის შევხვდებით?

- გინდა თქვა, როდის შევხვდებით ჩემს საროსკიპოშიო? - გადაადაფურთხა ასიამ ისე, რომ ავსიტყვაობის სურვილს აღარ შეწინააღმდეგებია, - ორივემ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს შენი სახლი არ არის! სახლი ის არის, სადაც შენი ცოლი ამდენი წელია ცხოვრობს, ეს ადგილი

კი შენი საიდუმლო საროსკიპოა, სადაც შეგიძლია ილოთაო და იჟიმაო ისე, რომ შენმა ცოლმა ვერაფერი გაიგოს. აქ ხმარობ შენს ვარიებს. რაც უფრო ახალგაზრდები, თავქარიანები და მთვრალები იქნებიან, მით უკეთესი!

ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა ამოიხვნეშა და რაკის ჭიქას წამოავლო ხელი. ერთ დალევაზე ნახევარი ჭიქა მიიყუდა. უიმედობისგან სახე ისე წახდომოდა, ასიას წამით შეეშინდა, რომ მხატვარი ან უყვირებდა, ან აქვითინდებოდა. ასია კაზანჯის ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა ადამიანს, რომელსაც ასე დააბიჯეს მტკივნეულ ადგილზე ფეხი. პასუხად მხატვარმა ქანცგაცლილი ადამიანის ხმით ჩაიბუტბუტა:

- ზოგჯერ ისეთი დაუნდობელი ხარ.

ოთახში ჩამოწოლილ საშინელ სიჩუმეს ქუჩაში ფეხბურთის მოთამაშე ბავშვების ჟივილ-ხივილი არღვევდა. ისეთ ხმაზე გაჰკიოდნენ, მიხვდებოდით, რომ ერთ-ერთი ბიჭისათვის ის-ის იყო, ეჩვენებინათ წითელი ბარათი და ახლა მისი გუნდის ყველა მოთამაშე ვიღაც მსაჯს გაცხარებული ეკამათებოდა.

- ისეთი ცუდი თვისება გაქვს, ასია, - შორიდან გაისმა ალკოჰოლიკი კარიკატურისტის ხმა, - ლამაზ სახეზე არაფერი გეტყობა და ერთი შეხედვით ამის შემჩნევა ძნელია, მაგრამ ასეა. განადგურების წარმოუდგენელი პოტენციალი გაქვს.

- მაგრამ მე არავის ვანადგურებ, თუ - კი? - ასიამ თავდაცვის აუცილებლობა იგრძნო, - მარტო ის მინდა, რომ ვიყო თავისუფალი და ისეთი, როგორიც ვარ და მთელი ეს საძაგლობა... ჩემს ჭკუაზე რომ მიმიშვან...

- შენს ჭკუაზე რომ მიგიშვან, საკუთარი თავი უფრო სწრაფად და ადრიანად რომ გაანადგურო... ეს გინდა? თვითგანადგურება ისევე გიზიდავს, როგორც პეპელას სინათლე, - დაძაბულმა ასიამ ხმამაღლა ჩაიხითხითა, - თუ სვამ, უზომოდ სვამ, თუ ვინმეს აკრიტიკებ - აშანტაჟებ, თუ ჟიმაობ, ამაში ყელამდე ეფლობი და უკიდურესობაში ვარდები. მართლა არ ვიცი, როგორ უნდა მოგიდგე. ისეთი ცოფიანი ხარ, პატარავ...

- შეიძლება იმიტომ, რომ ნაბიჭვრად დავიბადე, - შენიშნა ასიამ და კიდევ ერთი ნაფაზი დაარტყა, - ისიც კი არ ვიცი, მამაჩემი ვინ არის. მე არასოდეს ვეკითხები, ისინიც არასოდეს მეუბნებიან. ზოგჯერ, როცა დედაჩემი მიყურებს, მგონია, რომ ჩემში მას ხედავს, მაგრამ სიტყვასაც არ ამბობს. ყველა ისე ვიქცევით, თითქოს მამობის მსგავსი რამ არც არსებობდეს. სამაგიეროდ, არსებობს ერთადერთი მამა, დიდი მამა. როცა მაღლა ცაში ალაჰია, რომელიც მოგხედავს, ვის რაში სჭირდება მამა? ყველა მისი შვილები არა ვართ? არა, დედაჩემი ამ საზიზღრობას კი არ იმეორებს. გეუბნები, ის ბევრად დიდი ცინიკოსია, ვიდრე ნებისმიერი ქალი, რომელიც ოდესმე მინახავს. პრობლემაც სწორედ ეს არის. მე და დედაჩემი ისე ვგავართ ერთმანეთს და ისე შორს ვართ ერთმანეთისგან...

ასიამ კვამლის ქულა წითელი ხის მაგიდისკენ გაუშვა. ამ მაგიდაზე ალკოჰოლიკი კარიკატურისტი რამდენიმე საუკეთესო ნამუშევარს ინახავდა, ისეთებს, რომლების გამოც ეშინოდა, ერთ-ერთი მორიგი ჩხუბის შემდეგ ჩემი ცოლი გაანადგურებსო. აქვე ინახავდა ორი ახალი სერიის, „ამფიბია პოლიტიკანისა“ და „პოლიტიკუს-მარტორქის“ ესკიზებსაც, რომლებშიც თურქეთის პარლამენტის წევრები სხვადასხვა ცხოველის სახით იყვნენ წარმოდგენილი. ალკოჰოლიკი კარიკატურისტი ამ სერიების საზოგადოებისთვის წარდგენას მოკლე ხანში გეგმავდა, მით უფრო ახლა, როცა სასამართლო უკვე დასთანხმებოდა, მისთვის სამწლიანი პატიმრობის შეფარდება პრემიერ-მინისტრის ცხვრის ტყავში გადაცმული მგლის სახით გამოსახვისათვის უვადოდ გადაედო. გადადების მთავარი წინა პირობა ის გახლდათ, რომ სხვების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ალკოჰოლიკ კარიკატურისტს დაშვებული შეცდომა აღარ გაუმეორებია. „რა აზრი აქვს გამოხატვის თავისუფლებისათვის ბრძოლას, თუკი უპირველესად იუმორის თავისუფლებისათვის არ იბრძოლებ“, - ფიქრობდა მხატვარი.

მაგიდის კუთხეში, არ-დეკოს სტილის ლამპის მოყვითალო-მოყავისფრო სინათლის ქვეშ, ფიქრებში ჩაძირული, წიგნზე თავდახრილი

დონ კიხოტის უზარმაზარი ხის ქანდაკება იდო. ასიას ეს ქანდაკება ძალიან მოსწონდა.

- ჩემი ოჯახი სისუფთავის გიჟების ნახირია. მოგონებების ჭუჭყსა და მტვერს ადვილად იცილებენ თავიდან! სულ წარსულზე ლაპარაკობენ, მაგრამ ეს დეზინფიცირებული წარსულია. ასეთიმეთოდი აქვთ კაზანჯებს პრობლემებთან გასამკლავებლად: რამე თუ გაწუხებს, მიდი, დახუჭე თვალები, ათამდე დათვალე, ინატრე, რომ ეს არასოდეს მომხდარიყოს და მერე იცი, რა იქნება? ის, რომ არც არაფერი მომხდარა. ვაშა! ყოველდღე პირფერობის მორიგ კაფსულას ვყლაპავთ...

ასიას ურიკინე ჭკუა-მოწყობილობას ისიც აინტერესებდა, რას კითხულობდა დონ კიხოტი. ნეტავ რა ეწერა წიგნის გადაშლილ ფურცელზე? იზრუნა კი მოქანდაკემ ერთი-ორი სიტყვის მიფხაჭნაზე? ცნობისმოყვარე ასია ტყვიასავით წამოვარდა სავარძლიდან და ქანდაკებას მიუახლოვდა. აფსუს, ხის გვერდზე არანაირი სიტყვა არ იყო. ვიდრე თავის ადგილს დაუბრუნდებოდა, ასია კაზანჯიმ გრძელი ნაფაზი დაარტყა და ისევ წუწუნს მოჰყვა:

- მაღიზიანებს ამ ტკბილი სახელების დანახვა. ბედნიერი ოჯახების სევდიანი ფაქსიმილეებია. იცი, ზოგჯერ, დიდედასი მშურს. თითქმის ასი წლის არის. როგორ მინდა, მისი ავადმყოფობა მქონდეს. საყვარელი ალცჰაიმერი. მეხსიერება ხუნდება.

- ეს არ არის კარგი, ძვირფასო.

- შეიძლება კარგი არ იყოს იმ ადამიანებისთვის, შენ გარშემო რომ არიან, მაგრამ შენთვის კარგია, - დაიჟინა ასიამ.

- ჰო, ჩვეულებრივ ეს ორი რამე ერთმანეთზეა გადაბმული, - ასიას ალკოჰოლიკი კარიკატურისტის სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

- იცი, დღეს დიდედამ ამდენი წლის შემდეგ თავის ფორტეპიანოს ახადა თავი. გავიგე, როგორ უკრავდა მჭახე ბგერებს. ძნელია. ეს ქალი რახმანინოვს უკრავდა ხოლმე და ახლა სულელური საბავშვო სიმღერის დაკვრაც კი აღარ შეუძლია, - ასია წამით გაჩუმდა, იმაზე დაფიქრდა, რაც ის-ის იყო, ეთქვა. ხანდახან ენა უსწრებდა ხოლმე, - იმის თქმა

მინდა, რომ დიდედამ არ იცის ის, რაც ვიცით ჩვენ! - ყალბი გზნებით შესძახა ასიამ, - ალცჰაიმერი არ არის ისეთი საშინელი, როგორადაც ჟღერს. წარსული არაფერია ბორკილების გარდა, რომლებისგანაც თავი უნდა დავიხსნათ. ისეთი სატანჯველია. ნეტავი არანაირი წარსული არ მქონდეს - იცი, ნეტავ არავინ ვიყო, ნეტავ შემეძლოს ნულიდან დავიწყო და სამუდამოდ იქვე დავრჩე. ბუმბულივით მსუბუქი - არავითარი ოჯახი, არავითარი მოგონებები და ჯანდაბები...

- წარსული ყველას სჭირდება, - ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა ჭიქიდან სასმელი მოსვა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, იფიქრებდით, სიბრალულსა და მრისხანებას შორის არის გაშეშებულიო.

- მე ნუ მიმათვლი. მე ნამდვილად არ მჭირდება! - ახლა კი დასწვდა ასია ჟურნალების მაგიდაზე დადებულ „ზიპოს“ წარმოების სანთებელას, ცერა თითი ჩამოჰკრა და მხოლოდ იმისთვის აანთო, რომ ამნთების მკვეთრი დაწკაპუნებით უმალ ჩაექრო. გოგონას ეს ხმა მოეწონა და მოძრაობა რამდენჯერმე გაიმეორა. ასია ვერც კი ხვდებოდა, რომ ალკოჰოლიკი კარიკატურისტი ცოტათი ჭკუიდან გადაჰყავდა. წკაპ! წკაპ! წკაპ! - ჯობს, წავიდე, - თქვა ასიამ, მხატვარს „ზიპოს“ სანთებელა მიაწოდა და ტანსაცმელი მოიძებნა, - ჩემმა ძვირფასმა ოჯახმა მნიშვნელოვანი ვალდებულებები დამაკისრა. დედასთან ერთად აეროპორტში უნდა წავიდე და ამერიკელ საფოსტო მეგობარს უნდა დავხვდე.

- ეგეთი მეგობარი გყავს?

- ჰო, რა. გოგო, რომელიც არსაიდან გაჩნდა. ერთ დღესაც ვიღვიძებ და ჩემს საფოსტო ყუთში წერილია. გამოიცანი საიდან? სან-ფრანცისკოდან! ვიღაც გოგოა, სახელად ამი. ამბობს, რომ ბიძაჩემის, მუსტაფას გერია. ისიც არ ვიცოდით, რომ გერი ჰყავდა! ახლა ვიგებ, რომ ეს ქორწინება მისი ცოლისათვის მეორეა, აბა? ჩვენთვის ეს არასოდეს უთქვამს! ბებიაჩემს კინაღამ გულის შეტევა მოუვიდა, როცა გაიგო, რომ ქალი, რომელიც ოცი წელია მისი ძვირფასი ვაჟის ცოლია, როცა დაქორწინდნენ, სინამდვილეში ქალიშვილი არ ყოფილა. არა, ბატონო, ქალიშვილი კი არა, განქორწინებული ცოლი!

სიმღერის მიმართ, რომელიც ის-ის იყო, დაიწყო, საკუთარი პატივისცემის დასტურად ასია ცოტა ხნით გაჩუმდა. „Iტ აინ'ტ მე, ბაბე“ იყო. ვიდრე სიტყვით გამოსვლას განაგრძობდა, ასია კაზანჯიმ მელოდია სტვენით გაიმეორა და უხმოდ ააცმაცუნა ტუჩები.

- ყოველ შემთხვევაში, ეს ციდან ჩამოვარდნილი ამი წერს წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ ის არიზონის უნივერსიტეტის კოლეჯში სწავლობს, ძალიან აინტერესებს სხვა კულტურების გაცნობა და მოუთმენლადელის დღეს, როცა გაგვიცნობს. მერე ისაო, ესაო და ბოლოს წამოცდება: „სხვათა შორის, სტამბოლში ერთ კვირაში ჩამოვდივარ. შემიძლია თქვენთან გავჩერდე?“

- აუჰ! - შესძახა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა და ყინულის სამი ნაჭერი რაკით ხელახლა გავსებულ ჭიქაში ჩააგდო, - იმას თუ ამბობს, მაინცდამაინც აქ რატომ ჩამოდის? მხოლოდ როგორც ტურისტი?

- რავი, - ჩაიბუზღუნა ასიამ, რომელსაც ტახტის ქვეშ ცალი წინდის მოსაძებნად იატაკზე დაეჩოქა, - რადგან კოლეჯის სტუდენტია, სანაძლეოს ვდებ, რაღაც კვლევას წერს ისლამისა და ქალების დათრგუნვილი მდგომარეობის, ანდა ახლო აღმოსავლეთში პატრიარქალური პრეცედენტების შესახებ. სხვა შემთხვევაში რატომ მოინდომებდა ქალებით სავსე საგიჟეთში გაჩერებას, როცა ამ ქალაქში ამდენი იაფი და მაგარი სასტუმროა? დარწმუნებულივარ, უნდა თითოეულ ჩვენგანს დაუსვას კითხვები მუსლიმანურ ქვეყნებში ქალების მდგომარეობის შესახებ და მასეთი...

- სისულელეების შესახებ! - ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა ასიას მაგივრად დაასრულა წინადადება.

- ჰო! - გამარჯვებული ადამიანივით შესძახა ასიამ, რომელსაც დაკარგული წინდა უკვე მოეძებნა. ასიამ ქვედაკაბა და მაისური თვალის დახამხამებაში გადაიცვა და თმაც გადაივარცხნა.

- კაი, მოიყვანე ერთხელ კაფე „კუნდერაში“.

- ვთხოვ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მუზეუმში წასვლას არჩევს.

ასია კაზანჯიმ ბუზღუნ-ბუზღუნით ჩაიცვა ტყავის ფეხსაცმელი, მერე კი იქაურობას თვალი მოავლო - დარწმუნდა, რომ არაფერი რჩებოდა.

- ერთხანს მასთან ყოფნა აუცილებლად მომიწევს - სახლში მაიძულებენ, აქაურობა შემოვატარო, რომ აღფრთოვანებული დარჩეს სტამბოლით. უნდათ, როცა ამერიკაში დაბრუნდება, ხოტბას ასხამდეს ამ ქალაქს.

მიუხედავად იმისა, რომ ფანჯრები ღია იყო, ოთახში ისევ იდგა მარიხუანას, რაკისა და სექსის სუნი. თავისთვის ღრიალებდა ჯონი კეში.

ასიამ ხელი დაავლო ჩანთას და კარისკენ დაიძრა. ის-ის იყო, გარეთ უნდა გასულიყო, რომ ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა გზა გადაუღობა. მხატვარი გოგონას პირდაპირ თვალებში უყურებდა, მერე მხრებში დაავლო ხელი და თავისკენ ნაზად მიიზიდა. ალკოჰოლიკ კარიკატურისტს მუქი წაბლისფერი, გუდალი თვალების ქვეშ ლოთებისათვის ან დამწუხრებული ადამიანებისათვის, ანდა ორივესთვის, დამახასიათებელი მუქი იისფერი წრეები ჰქონდა.

- ჩემო ასია, - ჩურჩულით თქვა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა და სახეზე ისეთი სიბრალული გამოესახა, რომლის მსგავსი მასში ასიას მანამდე არასდროს შეემჩნია, - მთელი საწამლავის მიუხედავად, რომელსაც გულით ატარებ და შეიძლება სწორედ მის გამოც, რაღაცნაირად განსაკუთრებული და მონათესავე სული ხარ, მე კი მიყვარხარ. იმ დღეს შემიყვარდი, როცა შეწუხებული სახით პირველად გამოჩნდი კაფე „კუნდერაში“. არ ვიცი, ნიშნავს თუ არა შენთვის რამეს, მაგრამ მაინც უნდა გამოგიტყდე. ვიდრე ამ ბინიდან წახვალ, უნდა გაიგო, რომ აქ არანაირი ბორდელი არ არის და მე აქ ვარიები არ დამყავს. მე აქ იმისთვის მოვდივარ ხოლმე, რომ დავლიო, დავხატო და დეპრესიაში ჩავვარდე, ჩავვარდე დეპრესიაში და ისევ დავხატო და დავლიო, ზოგჯერ კი დავხატო, ჩავვარდე დეპრესიაში და დავლიო... სულ ეს არის...

გაოგნებულმა ასიამ კარის სახელურს ჩასჭიდა ხელი და ერთ წამს გაუნძრევლად იდგა ზღურბლთან. არ იცოდა, ხელები სად წაეღო. მერე ორივე ხელი ქვედაკაბის ჯიბეებში ჩაიწყო და შიგნით ნამცეცებივით რაღაცას დაუწყო თითებით წვალება.

ასიამ ხელები ჯიბეებიდან ამოიღო და დაინახა, რომ თითის წვერებზე მოყავისფრო თესლი მიჰკვროდა, რომლებიც დიდედას გოგონას ავი თვალისაგან დასაცავად შეელოცა.

- შეხედე! ხორბალი... ხორბალი... - გაურკვევლად გაიმეორა ასიამ რამდენჯერმე, - დიდედა ცდილობს, ბოროტისაგან დამიცვას, - ასიამ ხელისგული გაშალა და ალკოჰოლიკ კარიკატურისტს ხორბლის ერთი მარცვალი მისცა. როგორც კი ეს გააკეთა, გოგონა ისე გაწითლდა, თითქოს სასიყვარულო საიდუმლოსათვის აეხადა ფარდა.

ასიას ლოყები ჯერ კიდევ დაბრაწული ჰქონდა, მის გულში ჩაბუდებულ გესლს კი იმპულსურობა აღარ აქეზებდა. ასიამ კარი გააღო და რამდენადაც შეეძლო, იმდენად სწრაფად გავიდა გარეთ, მერე წამით შეყოვნდა და ისევ უკან დაბრუნდა. თითქოს რაღაც ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ლაპარაკის ნაცვლად ალკოჰოლიკ კარიკატურისტს მაგრად მოეხვია.

მერე ასია კაზანჯიმ კიბის ხუთი მარში ჩაირბინა და რამდენადაც შეეძლო, იმდენად სწრაფად გაექცა ყველა სატანჯველს, მის სულს რომ სდევნიდა.

8

კედრის კაკალი

– როგორ მოხდა, რომ ჯერ კიდევ სძინავს? – იკითხა ასიამ და ნიკაპი თავისი საძინებლისაკენ გაიშვირა.

აეროპორტიდან დაბრუნებისას ასია კაზანჯის თავზარი დასცა იმის გაგებამ, რომ დეიდებს ზუსტად მისი საწოლის პირდაპირ კიდევ ერთი დაედგათ და სივრცე, რომელიც ამ სახლში მხოლოდ მას ეკუთვნოდა, „გოგონების ოთახად“ გადაექციათ.

დეიდები ასე ან იმის გამო მოიქცნენ, რომ ასიას საწვალებლად სულ ახალ-ახალი გზის ძიებაში იყვნენ, ან იმიტომ, რომ მის ოთახს საუკეთესო ხედი ჰქონდა და ასე უნდოდათ სტუმარზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა. შეიძლება დეიდები სულაც თვლიდნენ, რომ ერთ ოთახში ცხოვრება სმკუგ-ის, ანუ საერთაშორისო მეგობრობისა და კულტურული ურთიერთგაგების პროექტის ფარგლებში გოგონებს დაახლოების კიდევ ერთ შანსს მისცემდა.

ასიას საკუთარი სივრცის სრულიად უცხო ადამიანთან გაზიარების არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ სტუმრის თვალწინ პროტესტის გამოხატვა არ შეეძლო. დეიდებს უხალისოდ კი დაეთანხმა, მაგრამ მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ევსებოდა. თითქოს საკმარისი არ იყო, ეს ამერიკელი გოგო მის საძინებელში რომ შეასახლეს, კაზანჯის ოჯახის ქალები ისე იქცეოდნენ, თითქოს ვახშმის დაწყებას არ აპირებდნენ, ვიდრე პატივსაცემი სტუმარი არ შეუერთდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ სუფრა ერთ საათზე მეტი ხნის გაშლილი იყო და მაგიდასაც ყველა კარგა ხანია მისჯდომოდა, მათ შორის სულთან მეხუთეც, ჯერ არავინ დანაყრებულიყო, მათ შორის არც სულთან მეხუთე.

დაახლოებით ოც წუთში ერთხელ რომელიღაც მათგანი დგებოდა, ოსპის წვნიანს ათბობდა, ხელახლა აცხელებდა ხორციან კერძს და ასე ქვაბებით დადიოდა წინ და უკან სამზარეულოსა და სასტუმრო ოთახს შორის. ქალების ყოველ გავლა-გამოვლაზე სულთან მეხუთე საჭმლის სუნს მუდარის კნავილს აყოლებდა. ისხდნენ და იცდიდნენ თავ-თავი-

ანთ სკამებზე მიკრულები, თან ტელევიზორს უყურებდნენ. ხმისთვის ბოლომდე დაეწიათ, ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ და ხან ერთ კერძს იკიკნებოდნენ, ხან მეორეს. ამასობაში სულთან მეხუთეს უკვე იმაზე მეტი მიურთმევია, ვიდრე ქალები ჩვეულებრივ ერთ ჯერზე ჭამენ ხოლმე.

- იქნებ უკვე ღვიძავს და მხოლოდ იმიტომ წევს, რომ ძალიან მორცხვია ან რავი... წავიდე, დავხედო? - იკითხა ასიამ.

- აქ დარჩით, ქალბატონო, აცალე გოგოს ძილი, - წარბი ასწია დეიდა ზელიჰამ.

ისე, რომ ცალი თვალი ეკრანისათვის არ მოუშორებია, მეორე კი დისტანციური მართვის პულტისათვის, დეიდა ფერიდე დას დაეთანხმა:

- ძილი სჭირდება. ორგანიზმის დღე-ღამის რეჟიმის დარღვევის ბრალია. მარტო ოკეანის დინებები კი არა, დროის სხვადასხვა სარტყელიც გადაკვეთა.

- ჰო, ამ სახლში ვიღაცას მაინც შეუძლია, იმდენ ხანს იწვეს ლოგინში, რამდენ ხანსაც უნდა, - ჩაიბუზღუნა ასიამ. სწორედ ამ დროს ტელევიზორში ფონოგრამა ჩაირთო და მსუბუქი მელოდიაც გაისმა. დაიწყო გადაცემა, რომელსაც ყველა ელოდა. ეს „ახალბედას“ თურქული ვერსია გახლდათ. გაფაციცებული ადევნებდნენ თვალს თურქ დონალდ ტრამპს, რომელიც ფართო კაბინეტში ატლასის ფარდის უკნიდან გამოჩნდა. ოთახიდან ბოსფორის ხიდის საუცხოო ხედი იშლებოდა.

საქმოსანმა სწრაფად მოავლო ქედმაღლური მზერა მისი ბრძანების მომლოდინე ორივე გუნდს, მერე კი თავ-თავიანთი დავალებები გააცნო.

ორივე გუნდს გაზიანი წყლის ბოთლის დიზაინის შექმნა, ოთხმოცდაცხრამეტი ასეთი ბოთლის წარმოების გზის მოძებნა და ქალაქის ერთ-ერთ მდიდრულ კვარტალში მათი მაქსიმალურად სწრაფად და ძვირად გაყიდვა მოეთხოვებოდა.

- რა პრობლემაა, - ყიჟინა დასცა ასიამ, - ნამდვილი შეჯიბრება თუ უნდათ, ყველა მონაწილე სტამბოლის ყველაზე რელიგიურ და კონსერ-

ვატიულ უბანში უნდა გაგზავნონ და ბოთლებში ჩამოსხმული წითელი ღვინო გააყიდვინონ.

- ჩუმად იყავი, - უხეშად მიუგო დეიდა ბანუმ დისწულს და ამოიოხრა. ბანუს გული სწყდებოდა, რომ ასია რელიგიასა და რელიგიურობას გამუდმებით მასხრად იგდებდა. როცა გოგონა ასე იქცეოდა, ბანუ აშკარად ხედავდა, ვის ჰგავდა ასია კაზანჯი. ვის და დედამისს. რა აზრი ჰქონდა მკრეხელობასთან ბრძოლას, თუკი იგი დედიდან შვილზე დაახლოებით ისე გადადიოდა, როგორც მკერდის კიბო, ანდა დიაბეტი? ბანუმ კიდევ ერთხელ ამოიოხრა.

ასიამ არც კი შეიმჩნია, რომ დეიდას გული ატკინა. გოგონამ მხრები აიჩეჩა და თქვა:

- რატომაც არა? ეს გაცილებით უფრო კრეატიული იქნებოდა, ვიდრე ამერიკის უსაფუძვლო იმიტაცია თურქულად. დასავლეთისგან ნასესხები ტექნიკური მასალა ყოველთვის უნდა შეუხამო იმ კულტურის სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლისკენაც მიმართავ შენს ძალისხმევას. ამას მე ვეძახი ორიგინალურ დონალდ ტრამპს თურქულად. იმ კაცს მონაწილეებისთვის მუსლიმანურ უბანში დაფასოებული ღორის ხორცის გაყიდვაც უნდა ეთხოვა. ეს სხვა საქმეა. გამოწვევაა. აბა, მარკეტინგის წარმატებული სტრატეგიებიც ვნახოთ.

ვიდრე ასიას ვინმე რამეს ეტყოდა, საძინებლის კარი ჭრიალით გაიღო და იქიდან არმანუშ ჩახმახჩიანი გამოვიდა. ცოტათი შეცვლილიყო, ოდნავ თავბრუც ეხვეოდა. გახუნებული ჯინსი და მეზღვაურის გრძელი, ფართხუნამაისური ეცვა, რომელიც სხეულის ნაკვთებს უმალავდა. თურქეთში გამოსაფრენად ნივთებსრომ ალაგებდა, ამიმ ბევრი იფიქრა იმაზე, თან როგორი ტანსაცმელი წაეღო და ბოლოს კონსერვატიულ ქვეყანაში უცნაურად რომ არავის მოსჩვენებოდა, არჩევანი მოკრძალებულ სამოსზე შეაჩერა. სწორედ ამიტომაც ჩავარდა შოკში, როცა სტამბოლის აეროპორტში აღმაშფოთებლად მოკლე ქვედაკაბასა და კიდევ უფრო აღმაშფოთებლად მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი დეიდა ზელიჰა შეეგება. კიდევ უფრო გასაოცარი იყო შეხვედრა დეიდა ბანუსთან, თავისი თავშლითა და გრძელი კაბით. გოგონა

მისმა ღვთისმოსაობამაც განაცვიფრა - ბანუ დღეში ხუთჯერ ლოცულობდა. კიდევ უფრო საოცარი ის იყო, მათ გარეგნობასა და, რა თქმა უნდა, პიროვნულ თვისებებს შორის არსებული წარმოუდგენელი კონტრასტის მიუხედავად, ბანუ და ზელიჰა დები იყვნენ და ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. არმანუში თვლიდა, რომ ამ თავსატეხის ამოსახსნელად ცოტა დრო იყო საჭირო.

- მობრძანდი! მობრძანდი! - წამოიძახა დეიდა ბანუმ მხიარულად და მაშინვე გამოელია ინგლისური სიტყვების მარაგი.

ვიდრე არმანუში მაგიდას მიუახლოვდებოდა, რაკი სტუმარს საერთოდ არ იცნობდნენ, ოთხივე დეიდა აწრიალებული იყო და თავს უხერხულად გრძნობდა, მაგრამ ღიმილისაგან პირი ოთხივეს ყურებამდე გახეოდა. უცხო ადამიანის სუნმა სულთან მეხუთეში ცნობისმოყვარეობა გააღვიძა. კატა დაუყოვნებლივ წამოხტა და არმანუშის გარშემო დაიწყო სიარული, თან სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა ამის. სულთან მეხუთე არმანუშის ჩუსტებს იქამდე ყნოსავდა, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ მათში საინტერესო არაფერი იყო.

- ძალიან ვწუხვარ, არ ვიცი, ასე დიდხანს რატომ მეძინა, - ნელა და ენის ბორძიკით თქვა არმანუშმა ინგლისურად.

- რა თქმა უნდა, შენს ორგანიზმს ძილი სჭირდება. დიდი გზაა, - მიუგო დეიდა ზელიჰამ. სასიამოვნო, მაგრამ თვალში საცემი აქცენტის მიუხედავად, ზელიჰა არასწორად სვამდა ხოლმე მახვილს. ასიას დედა ინგლისურად სათქმელს საკმაოდ თავისუფლად ამბობდა, - არ გშია? იმედი მაქვს, მოგეწონება თურქული საჭმელი.

დეიდა ბანუ, რომელსაც სიტყვა „საჭმლის“ მნიშვნელობა თითქმის ყველა ენაზე ესმოდა, ოსპის წვნიანის მოსატანად სამზარეულოში გავარდა. სულთან მეხუთე პრაქტიკულად რობოტივით გადაევლო თავის ბალიშს და ბანუს გაჰყვა, თან კნაოდა და რაღაცას იხვეწებოდა.

არმანუში მისთვის დატოვებულ სკამზე დაჯდა და პირველად მოავლო თვალი სასტუმრო ოთახს. სწრაფად და ფრთხილად ათვალიერებდა იქაურობას. მისი მზერა რამდენიმე საგანმა მიიპყრო. ოთახში თავი მოეყარა: პალისანდრის ხის ჩუქურთმიან და შუშისკარიან ჭურჭლის კა-

რადას, რომელშიც ოქროსვარაყიანი ყავის ჭიქები, ჩაის სერვიზები და რამდენიმე ანტიკვარული ნივთი იდო; კედელზე მიდგმულ ძველ ფორტეპიანოს; იატაკზე დაგებულ საუცხოო ნოხს; ჟურნალების მაგიდებზე ელვარებდა უამრავი მოწნულა, ხავერდის სავარძლებსა და ტელევიზორს, იადონს ორნამენტებიან გალიაში, აივნის კართან რომ ქანაობდა; კედელზე ჩამოკიდებულ ნახატებს - ზეთის საღებავებით შესრულებულ ბუკოლიკურ სურათს, რომელზეც სოფლის პეიზაჟი იმდენად თვალწარმტაცად იყო გამოსახული, რომ ნამდვილს აღარ ჰგავდა, და კალენდარს, რომელზეც თითოეული თვისათვის სხვადასხვა კულტურული ან ბუნების ძეგლის ფოტო შეეხამებინათ; ავი თვალისგან დამცავ თილისმას და სმოკინგიან ათათურქის პორტრეტს, რომელიც ჩარჩოს მიღმა დარჩენილ ბრბოს ფეტრის რბილ ქუდს უქნევდა. მთელი ოთახი სუვენირებით და ხასხასა ფერებით იყო სავსე - სხვადასხვანაირი ლურჯი, მოწითალო ყავისფერი, ისრიმისფერი, ფირუზისფერი. ოთახში ყველაფერი ისე კაშკაშებდა, თითქოს ნათურების გარდა იქაურობას კიდევ რაღაც ანათებდა.

მერე არმანუშმა მაგიდაზე გაშლილი კერძები დაათვალიერა დიდი ინტერესით.

- რა შესანიშნავი სუფრაა, - გაიბადრა ამი, - ყველაფერია, რაც მიყვარს. ჰუმუსი გაგიკეთებიათ, ბაბა ღანუში, იალანჩი სარმა... ვაი, ჩურეკიც გამოგიცხვიათ!

- ალაჰ, თურქულად ლაპარაკობ? - შეჰყვირა გაოგნებულმა დეიდა ბანუმ, რომელსაც სასტუმრო ოთახში ცხელი ქვაბი შემოჰქონდა, კუდში კი ისევ სულთან მეხუთე მიჰყვებოდა.

არმანუშმა თავი ნახევრად მხიარულად და ნახევრად სერიოზულად ისე გააქნია, თითქოს წუხდა, ბანუს ამხელა მოლოდინი რომ გაუცუდა.

- არა, არა, თურქულ ენაზე არ ვლაპარაკობ, სამწუხაროდ, მაგრამ თურქული სამზარეულოს ენაზე საუბარი, მგონი, შემიძლია.

ეს კი ვეღარ გაიგო დეიდა ბანუმ. სასოწარკვეთილი ასიას მიუბრუნდა, მაგრამ მის დისწულს თარჯიმნობის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, - თურქი დონალდ ტრამპის დავალებაზე იყო გადართული. შეჯიბ-

რების მონაწილეებისთვის ამჯერად საფეიქრო ინდუსტრიაში თავით გადაშვება დაევალებინათ. მათ ეროვნულ ლიგაში მოთამაშე ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთის გუნდის ყვითელ და ლაჟვარდისფერ ფერებში გადაწყვეტილი ფორმები უნდა შეეცვალათ. ფორმის ის დიზაინი გაიმარჯვებდა, რომელსაც თავად ფეხბურთელები მისცემდნენ უმაღლეს შეფასებას.

ამასობაში ასია სპეციფიკური ამოცანის ალტერნატიული ვარიანტის დეტალებზე ფიქრობდა, მაგრამ ამჯერად არაფერი უთქვამს. ლაპარაკის სურვილი აღარ ჰქონდა. მართალი გითხრათ, ამერიკელი გოგო იმაზეგაცილებით ლამაზი აღმოჩნდა, ვიდრე ასია ვარაუდობდა. არა, განა ასია რამეს მოელოდა, მაგრამ გულის სიღრმეში ფიქრობდა, შეიძლება იმედიც კი ჰქონდა, რომ აეროპორტში ერთ ჩერჩეტ ქერათმიან გოგონას უნდა დახვედროდნენ.

ისე, რომ თავადაც არ იცოდა, რატომ, ასიას სტუმართან დაპირისპირება უნდოდა, მაგრამ საამისოდ მიზეზზე მეტად ენერგიას მოისაკლისებდა. ამ ეტაპზე ასია კაზანჯიმ განზე ყოფნა და სიტყვაძუნწობა არჩია. უნდოდა, დანარჩენებს გარკვევით დაენახათ, რომ მას მთელი ამ თურქული სტუმართმოყვარეობისგან თავი შორს ეჭირა.

- აბა, გვითხარი, - იკითხა დეიდა ფერიდემ მას შემდეგ, რაც ამერიკელი გოგონას ვარცხნილობა შეისწავლა და დაასკვნა, რომ ის ძალიან სადა იყო, - როგორია ამერიკა?

ფერიდეს კითხვა იმდენად აბსურდული იყო, რომ ასია აიფოფრა. უკვე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რამდენად მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ასია კაზანჯის, თავი მშვიდად დაეჭირა. კითხვა არმანუშსაც სასაცილოდ მოეჩვენა, მაგრამ არ შეიმჩნია. სტუმარს დეიდებთან თავი კარგად ეჭირა. დეიდა-მამიდები მისი პროფილი იყო.

- კარგია, კარგი, - მიუგო არმანუშმა ფერიდეს, თან მარჯვენა ლოყა ჰუმუსით ჰქონდა გამოტენილი, - დიდი ქვეყანაა. სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვანაირი ამერიკელები ცხოვრობენ.

- მუსტაფაზე ჰკითხე, - განკარგულება გასცა ბებია გულსუმმა, რომელსაც ყურადღებაც კი არ მიექცია იმისთვის, რაზეც მისთვის უცნობ ენაზე ლაპარაკობდნენ.

- კარგად არის, ბევრს მუშაობს, - თქვა არმანუშმა, თან დეიდა ზელიჰას მელოდიურ ხმას უსმენდა, რომელიც მის სიტყვებს თარგმნიდა, - ლამაზი სახლი აქვთ. ჰყავთ ორი ძაღლი. უდაბნოში მაგარია. იცით, ამინდიც ყოველთვის კარგია არიზონაში, კარგი და მზიანი...

როცა წვნიანი და პირველი კერძები გათავდა, ბებია გულსუმმა და დეიდა ფერიდემ სამზარეულოს მიაშურეს, იქიდან კი ეგვიპტელებივით კარგად შეწყობილი ნაბიჯებით დაბრუნდნენ, თან თითო-თითო უზარმაზარი ლანგარი მოჰქონდათ. ქალებმა მხარზე გადებული სინები მაგიდაზე დადეს.

- ფლავიც გაქვთ, - გაიღიმა არმანუშმა და კერძების დასათვალიერებლად წინ დაიხარა, - ტურშუ და...

- რაო?! - ერთხმად შესძახეს დეიდებმა. სტუმარი იმდენად კარგად იცნობდა თურქულ სამზარეულოს, რომ მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

არმანუშმა უეცრად თვალი მოჰკრა ბოლო ქვაბს, რომელიც სუფრასთან მიიტანეს.

- ამას რომ ბებიაჩემი ხედავდეს! ამ კერძს ქაბურგა ჰქვია...

- რაო?! - გაიმეორეს ქალებმა. ასიაც კი გამოფხიზლდა. უცებ ისიც დაინტერესდა იმით, რაც სასტუმრო ოთახში ხდებოდა.

- ბევრი თურქული რესტორანია ამერიკაში? - იკითხა დეიდა ჯევრიემ.

- სინამდვილეში ამ საჭმელებს იმიტომ ვიცნობ, რომ ისინი ნაწილობრივ სომხურ სამზარეულოშიც არის, - მშვიდად მიუგო არმანუშმა.

ამი, ამერიკელი გოგონა სან-ფრანცისკოდან, რომელიც ოჯახს ისე წარუდგინეს, როგორც მუსტაფას გერი, საკუთარი თავის შესახებ სიმართლის გამხელას თავიდან ეტაპობრივად ფიქრობდა, მაშინ, როცა მასა და მასპინძლებს შორის გარკვეული ურთიერთნდობა ჩამოყალიბ-

დებოდა, მაგრამ ახლა მთელი სისწრაფით მიექანებოდა იქით, სადაც საქმის არსზე მოუწევდა საუბარი.

დაძაბული, მაგრამ მაინც თავდაჯერებული არმანუში მხრებში გაიმართა და მაგიდას კიდით კიდემდე მოავლო თვალი. აინტერესებდა, მის სიტყვებზე როგორი რეაქცია ჰქონდათ, მაგრამ მასპინძლების სახეებზე უაზრო გამომეტყველებას წააწყდა და მიხვდა, რომ მისგან ნათქვამის ახსნას მოელოდნენ.

- მე სომეხი ვარ... ჰო, ამერიკელი სომეხი.

ის, რაც ამიმ თქვა, ამჯერად არ უთარგმნიათ, - არ იყო საჭირო. ოთხივე დეიდამ ერთდროულად გაიღიმა. ეს ოთხი თავისებური ღიმილი იყო: ზრდილობიანი, შეწუხებული, ცნობისმოყვარე და ბოლოს, მეგობრული. ყველაზე თვალში საცემი რეაქცია ასიას ჰქონდა. გოგონას „ახალბედას“ ყურებისთვის თავი დაენებებინა და სტუმარს პირველად ათვალიერებდა გულწრფელი ინტერესით. ასია მიხვდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, არმანუში სულაც არ ჩამოსულა სტამბოლში ისლამისა და ქალების შესასწავლად.

- მართლა? - როგორც იქნა, გააღო პირი ასიამ და მაგიდაზე იდაყვებით დასაყრდნობად წინ დაიხარა, - მითხარი, მართალია, რომ „System of a Down“-ს ვეზიზღებით?

არმანუშმა თვალები დაახამხამა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რაზე ლაპარაკობდა ასია. თვალის ერთი შევლებით მიხვდა, რომ სხვებიც მასავით დაბნეული იყვნენ. დეიდებიც შეფიქრიანებული ჩანდნენ.

- როკჯგუფია, რომელიც მე ძალიან მიყვარს. სომხები არიან. ზღაპრებს ჰყვებიან იმაზე, თუ როგორ სძულთ ამ ბიჭებს თურქები და უნდათ, მათი მუსიკა ყველა თურქს მოსწონდეს. უბრალოდ ვიკითხე, - მხრები აიჩეჩა ასიამ. აშკარად უკმაყოფილო იყო იმით, რომ ამდენად გაუთვითცნობიერებელი ხალხისთვის მოუწია როკჯგუფის ამბების ახსნამ.

- მათ შესახებ არაფერი ვიცი, - ტუჩები მოკუმა არმანუშმა და უცებ იგრძნო, როგორი პაწაწინა, სუსტი და დაუცველი იყო უცხო ადამიანი უცხო ქვეყანაში, -ჩემი ოჯახი, ანუ ბებიაჩემი, სტამბოლიდან იყო, - თი-

თი გაიშვირა ამიმ დიდედისკენ, თითქოს თავისი ისტორიის მაგალითის მოსაყვანად ასაკოვანი ადამიანი სჭირდებოდა.

- ჰკითხე, რა გვარის არიან, - მუჯლუგუნი წაჰკრა ბებია გულსუმმა ასიას. ბებიას ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს სარდაფში შენახული საიდუმლო არქივის გასაღები ჰქონოდა, რომელშიც ინახებოდა მოწესრიგებული ჩანაწერები სტამბოლის ყველა, ძველი და ახლანდელი ოჯახის შესახებ.

- ჩახმახჩიანები, -უპასუხა არმანუშმა, როდესაც ბებიას კითხვა გადაუთარგმნეს, - თუ გინდათ, შეგიძლიათ ამი დამიძახოთ, მაგრამ ჩემი სრული სახელი არმანუშ ჩახმახჩიანია.

დეიდა ზელიჰას სახე გაუბრწყინდა და აღიარა:

- ეს ყოველთვის მაინტერესებდა. თურქები ნებისმიერ სიტყვას -ჩი ბოლოსართს ამატებენ და ასე ქმნიან სხვადასხვა პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვებს. ჩვენი გვარი ნახეთ: კაზან-ჩი. ჩვენ „ქვაბების ოსტატები“ ვართ. ახლა ვხვდები, რომ სომხებიც იმავეს აკეთებენ: ჩახმახ... ჩახმახჩი... ჩახმახჩიან...

- ესეც კიდევ ერთი რამ, რაც საერთო გვაქვს, - გაიღიმა არმანუშმა. იყო დეიდა ზელიჰაში რაღაც ისეთი, რის გამოც სტუმარს ის თავიდანვე მოეწონა. იქნებ ზელიჰას თავდაჭერასა და ცხვირში გაყრილ საყურეში იყო საქმე, ან მის ყოვლად მინი-მინი-კაბებში, ანდა ზედმეტ მაკიაჟში, სახეზე რომ ესვა? იქნებ სულაც ზელიჰას გამოხედვამ მოხიბლა არმანუში? ასე იყო თუ ისე, ზელიჰას გარეგნობა ადამიანს აიძულებდა, უკრიტიკოდ მინდობოდა ამ ქალს.

- ნახეთ, მათი სახლის მისამართი მაქვს, - არმანუშმა ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოაძრო, - ბებია შუშანა ამ სახლში დაიბადა. თუ შეგიძლიათ, მისამართის დადგენაში დამეხმაროთ, წავიდოდი და იქაურობას ვნახავდი.

ვიდრე დეიდა ზელიჰა ქაღალდზე გაკეთებულ წარწერას დასცქეროდა, ასიამ დეიდა ფერიდეს აფორიაქება შეატყო. ფერიდე აივნის ნახევრად ღია კარისკენ შეშინებული იხედებოდა და ისეთი აღელვებული

ჩანდა, თითქოს სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო და არ იცოდა, საით გაქცეულიყო.

ასიამ მიიწ-მოიწია, ოხშივრიან ფლავზე გადაიხარა და ნაგიჟარ დეიდას წაუბურტყუნა:

- ჰე, რა იყო?

დეიდა ფერიდემაც მიიწ-მოიწია, ოხშივრიან ფლავზე გადაიხარა და მომწვანო-მონაცრისფრო თვალების ექსცენტრიკული ციმციმით დაიჩურჩულა:

- გამიგია სომხებზე, ძველ სახლებში ბებია-ბაბუების სკივრების ამოსათხრელად ბრუნდებიან, გაქცევამდე რომ გადამალესო, - ფერიდემ თვალები დააელამა და ხმას ოდნავ აუწია, - ოქრო და ძვირფასეულობა, - ძლივს ამოისუნთქა, მერე ცოტა ხნით დაფიქრდა და საკუთარ თავს თავაზიანად დაეთანხმა, - ოქრო და ძვირფასეულობა!

ასიას კიდევ რამდენიმე წამი დასჭირდა დეიდამისის სიტყვების ჩასაწვდომად.

- გესმის, რას გეუბნები? ეს გოგო აქ იმისთვის არის, რომ განძით სავსე ზანდუკი იპოვოს, - დასძინა აღგზნებულმა დეიდა ფერიდემ, რომელიც ახლა უკვე წარმოსახვითი ზანდუკის შიგთავსზე ფიქრობდა. თავგადასავლის შეგრძნებასა და ლალების ბრწყინვალებას ფერიდეს სახე გაესხივოსნებინა.

- ჯანდაბა, მართალი ხარ! - შესძახა ასიამ, - ხო გეუბნებოდი? თვითმფრინავიდან რომ ჩამოვიდა, ხელში ნიჩაბი ეჭირა და ბარგის მაგივრად ურიკას აწვებოდა.

- უიმე, გაჩუმდი! - მკვახედ თქვა შეურაცხყოფილმა დეიდა ფერიდემ, მერე ხელები გულზე ჯვარედინად დაიკრიფა და უკან გადაიხარა.

- ესე იგი, იმისთვის ჩამოხვედი, რომ ბებიაშენის სახლი ნახო. რატომ წავიდა ბებია? - იკითხა ამასობაში დეიდა ზელიჰამ, რომელმაც აღმოაჩინა, რომ არმანუშის ვიზიტს გაცილებით სერიოზული მიზეზები ჰქონდა.

არმანუშს თან უნდოდა, მისთვის ეს კითხვა დაესვათ, თან ძლივ-ძლივობით ამოღერღა პასუხი. იქნებ ძალიან ადრე იყო მათთვის ყვე-

ლაფრის თქმა? თავიდან ბოლომდე უნდა გაემხილა თავისი ამბავი? ახლა თუ არა, მაშ, როდის? თანაც რას უნდა დალოდებოდა? ამიმ ჩაი მოწრუპა და უხალისოდ, სუსტი ხმით დაიწყო:

- იძულებული იყვნენ, წასულიყვნენ, - როგორც კი ეს სიტყვები თქვა, გოგონას დაღლილობა სადღაც გაქრა. ამიმ ნიკაპი ზემოთ ასწია და განაგრძო, - ბებიას მამა, პოეტი და მწერალი ჰოვანეს სტამბოლელი, გამოჩენილი კაცი იყო და თავის თემში დიდ პატივს სცემდნენ.

- რას ამბობს? - დეიდა ფერიდემ ასიას ოდნავ წაჰკრა იდაყვი. ფერიდეს წინადადების პირველი ნაწილი გაეგო, დანარჩენი კი ვერა.

- ამბობს, რომ ცნობილი ოჯახი იყო, - ჩურჩულით უთხრა ასიამ დეიდას.

- Dedim sana altın liralar icin gelmiş olmali!

ასიამ თვალები გადაატრიალა. იმაზე ნაკლებად სარკასტულად გამოუვიდა, ვიდრე იქამდე უნდოდა და ყურადღება არმანუშის ნაამბობზე გადაიტანა.

- მეუბნებიან, რომ მწერალი იყო, რომელსაც ქვეყანაზე ყველაზე მეტად კითხვა და ფიქრი უყვარდა. ბებიაჩემი ამბობს, რომ მამამისს ვაგონებ. მეც ძალიან მიყვარს წიგნები, - დასძინა არმანუშმა და მორცხვად გაიღიმა.

ზოგიერთმა გოგონას საპასუხო ღიმილი შეაგება, მაგრამ როცა გადათარგმნა დასრულდა, ამის უკვე ყველა უღიმოდა.

- სამწუხაროდ, მისი გვარი სიაში აღმოჩნდა, - ფრთხილად თქვაარმანუშმა.

- რომელ სიაში? - დაინტერესდა დეიდა ჯევრიე.

- გასანადგურებელი სომეხი ინტელექტუალების სიაში.პოლიტიკური ლიდერები, პოეტები, მწერლები, სასულიერო პირები... სულ ორას ოცდათოთხმეტი კაცი იყო.

- კი მაგრამ, რისთვის? - დეიდა ბანუს კითხვაზე ამის პასუხი არ გაუცია.

- შაბათს, 24 აპრილს, შუაღამისას, სტამბოლში მცხოვრები ბევრი გამოჩენილი სომეხი დააპატიმრეს და ძალით წაიყვანეს პოლიციის

მთავარ სამმართველოში. ყველა ისე იყო გამოწყობილი,როგორც წესი და რიგია - ისე მოხდენილად, თითქოს დღესასწაულზე მიდიოდნენ. უნაკლო საყელოები ეკეთათ და ელეგანტური კოსტიუმები ეცვათ. სულ ლიტერატორები იყვნენ. სამმართველოში ისე ჰყავდათ, რომ მათთვის არაფერი აუხსნიათ, ბოლოს კი აიაშსა და ჩანქირიში გადაასახლეს. ისინი, ვინც პირველ ჯგუფში მოხვდნენ, უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე ისინი, რომლებიც მეორეში იყვნენ. აიაშში არავინ გადარჩენილა. მათ, ვინც ჩანქირიში წაიყვანეს, თანდათან ხოცავდნენ. ბაბუაჩემი ამ ჯგუფში იყო. სტამბოლიდან ჩანქირიში მატარებელი თურქი ჯარისკაცების ზედამხედველობით წაიყვანეს. სადგურიდან ქალაქამდე სამი მილი ფეხით უნდა გაევლოთ. მანამდე წესიერად ექცეოდნენ, მაგრამ სადგურიდან წამოსულებს როზგებითა და თოხწერაქვების ტარებით სცემდნენ. ლეგენდარული მუსიკოსი კომიტასი ნანახის გამო ჭკუიდან შეცდა. ჩავიდნენ თუ არა ჩანქირიში, ერთი პირობით გაათავისუფლეს: ქალაქიდან გასვლა ეკრძალებოდათ. მათაც ოთახები დაიქირავეს და ადგილობრივებთან ერთად ცხოვრობდნენ. ყოველდღე ორი-სამი მათგანი ჯარისკაცებს ქალაქიდან სასეირნოდ გაჰყავდათ, მერე კი ჯარისკაცები მარტო ბრუნდებოდნენ. ერთ დღეს ბაბუაჩემიც წაიყვანეს სასეირნოდ.

გაღიმებულმა დეიდა ბანუმ ჯერ მარცხნივ მჯდომ დას გახედა, მერე მარჯვნივ დისწულზე გადაიტანა მზერა. აინტერესებდა, რომელი მათგანი აპირებდა ამ ყველაფრის თარგმნას, მაგრამ მისდა გასაოცრად, ორივე თარჯიმანს სახეზე მხოლოდ და მხოლოდ შეცბუნება აღბეჭდვოდა.

- ეს გრძელი ამბავია. დეტალებით დროს არ დაგაკარგვინებთ. მამა რომ მოუკვდა, ბებია შუშანა სამი წლის იყო. ოჯახში ოთხი ბავშვი იყო. ბებია ყველაზე პატარა და თან ერთადერთი გოგონა გახლდათ. ოჯახი უფროსის გარეშე დარჩა. ბებიას დედა დაქვრივდა. რაკი ბავშვებთან ერთად სტამბოლში დარჩენა ადვილი არ იყო, დიდედამ სცადა, სივასში მამამისის სახლისთვის შეეფარებინა თავი. თუმცა, როგორც კი ჩავიდნენ, გადასახლება დაიწყო. სახლისა და ნივთების დატოვება და ათასო-

ბით სხვა ადამიანთან ერთად უცხო ადგილას წასვლა მთელ ოჯახს უბრძანეს.

არმანუშმა, რომელიც აუდიტორიას გულდასმით აკვირდებოდა, ამბის დასრულება გადაწყვიტა.

- მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ბებიას დედა გზაში გარდაიცვალა, ცოტა ხანში უფროსი ძმაც მოუკვდა. მშობლებისა და პატრონის გარეშე დარჩენილმა ბავშვებმა აურზაურსა და ქაოსში ერთმანეთი დაკარგეს. რამდენიმეთვიანი განშორების შემდეგ, ერთი კათოლიკე მისიონერის დახმარებით ძმებმა ერთმანეთი სასწაულებრივად იპოვეს. ოჯახის ჯერ კიდევ ცოცხალ შვილებს შორის მხოლოდ ბებია შუშანა არ ჩანდა. მისი ბედის შესახებ არავის გაეგო რამე. არავინ იცოდა, რომ ბებია ისევ სტამბოლში დააბრუნეს და ობოლ ბავშვთა სახლში მოათავსეს.

ასია ცალი თვალით ხედავდა ზელიჰას და ზუსტად იცოდა, როგორი დაჟინებით უყურებდა იმწუთას დედამისი. თავიდან იფიქრა, დეიდა ზელიჰა მანიშნებს, ყურადღება მიაქციე, რას თარგმნიო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ დედამისს ულამაზესი თვალები ასე მხოლოდ იმის გამო უელავდა, რომ არმანუშის მონათხრობი აინტერესებდა. შეიძლება ზელიჰას ისიც აინტერესებდა, თუ რამდენად უნდოდა მის ურჩ ქალიშვილს კაზანჯის გვარის ქალებისათვის ამ ყველაფრის გადათარგმნა.

- ბებია შუშანას უფროს ძმას მთელი ათი წელიწადი დასჭირდა, ვიდრე დის კვალს მიაგნებდა. ბოლოს გოგონა დიდი ბაბუის ძმამ, ბაბუა იერვანთმა იპოვა და ამერიკაში წაიყვანა ნათესავებთან, - ხმადაბლა დასძინა არმანუშმა.

დეიდა ბანუმ თავი ცალ მხარეს გადასწია, გაჩხინკული თითებით ქარვის კრიალოსნის მძივებს აწვალებდა და თან გაუჩერებლად ბურტყუნებდა:

„ყველა გაქრება, ვინც მიწაზეა და დარჩება შენი ღმერთის სახე - სავსე დიდებით და გულმოწყალებით“.

- ჰო, მაგრამ არ მესმის, - დეიდა ფერიდე პირველი იყო, ვისაც ეჭვი გაუჩნდა, - რა შეემთხვათ? იმიტომ დაიხოცნენ... იმიტომ, რომ სეირნობდნენ?

ვიდრე დეიდა ფერიდეს სიტყვებს გადათარგმნიდა, ასიამ დედამისს გადახედა. აინტერესებდა, უნდა გაეგრძელებინა თუ არა თარგმნა. დეიდა ზელიჰამ წარბები ასწია და თავი დააქნია.

როცა ფერიდეს სიტყვები გადაუთარგმნეს, არმანუში ცოტა ხნით შეყოვნდა და ვიდრე შეკითხვას პასუხს გასცემდა, ბებიას წმინდა ფრანცისკ ასიზელის კულონს ხელი გადაუსვა. ამიმ მაგიდის მეორე ბოლოში დიდედას მოჰკრა თვალი. უამრავ განვლილ წელიწადს მოხუცის მიწისფერი კანი ერთიანად დაეღარა. დიდედა სტუმარს ისეთი თანაგრძნობით შესცქეროდა, რომ არმანუშს ორად ორი რამ შეეძლო ევარაუდა: მოხუცს ან საერთოდ არ მიექცია ყურადღება მისი ნაამბობისათვის, ანდა იმდენად ყურადღებით უსმენდა, რომ ყველა სიტყვა გაეთავისებინა და მისი გონება ფიქრს სადღაც სხვაგან წაეღო.

- წყალსა და საკვებს არ აძლევდნენ. დასვენების უფლებაც არ ჰქონდათ. დიდი მანძილი გაატარეს ფეხით. ქალები, ზოგიერთი მათგანი ორსულად იყო, ბავშვები, მოხუცები, ავადმყოფები და დავრდომილები... - ხმა ჩაუწყდა არმანუშს, - ბევრი მათგანი შიმშილით დაიხოცა. ზოგიერთი სიკვდილით დასაჯეს.

ასიამ ამჯერად ყველაფერი სიტყვასიტყვით გადათარგმნა.

- ვინ ჩაიდინა ასეთი ბოროტება? - შესძახა დეიდა ჯევრიემ ისე, თითქოს გაუზრდელი მოსწავლეებით სავსე საკლასო ოთახში სვამდა კითხვას.

დას დეიდა ბანუც აჰყვა, თუმცა, პირადად მისი რეაქცია უნდობლობას უფრო ჰგავდა,ვიდრე აღშფოთებას. ბანუს თვალები ფართოდ გაეხილა და თავშლის ბოლოებს ექაჩებოდა. როცა რამე უჭირდა, დეიდა ბანუ თავშალს სულ ასე აწვალებდა. მერე ლოცვაც აღავლინა. სულ ასე ლოცულობდა, როცა თავშლის ბოლოების ქაჩვა უშედეგო აღმოჩნდებოდა ხოლმე.

- დეიდაჩემი გეკითხება, ეს ვინ ჩაიდინაო? - თქვა ასიამ.

- თურქებმა, - მიუგო არმანუშმა ისე, რომ შედეგზე არც უფიქრია.

- რა სირცხვილია, როგორი ცოდვაა, ადამიანები არ არიან თუ რა? - მიაყარა დეიდა ფერიდემ.

- რა თქმა უნდა, არა. ზოგიერთი მონსტრია! - გამოაცხადა დეიდა ჯევრიემ, რომელსაც ფიქრადაც არ გაუვლია, რომ მის სიტყვებს შეიძლებოდა იმაზე დიდი გართულებები მოჰყოლოდა, ვიდრე ამას თავად აღიარებდა. ჯევრიე ოცი წლის განმავლობაში ასწავლიდა თურქეთის სახელმწიფოს ისტორიას და მისთვის იმდენად ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ წარსულსა და აწმყოს, ოტომანთა იმპერიასა და თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკას შორის დაურღვეველი საზღვრის გავლება, რომ არმანუშის ნაამბობი თავიდან ბოლომდე ისე მოისმინა, თითქოს გოგონა ერთ შორეულ ქვეყანაში მომხდარი საშინელების შესახებ ჰყვებოდა. თურქეთში ახალი სახელმწიფო 1923 წელს ჩამოყალიბდა და არსებული წყობის დასაწყისიც სწორედ ამ თარიღიდან იწყებოდა. მანამდე რაც უნდა მომხდარიყო, ძალაში შესვლის თარიღი ახალ ეპოქასა და ახალ ხალხთან იყო ასოცირებული.

საგონებელში ჩავარდნილი არმანუში ქალებს სათითაოდ დააკვირდა. გულზე მოეშვა, რაკი დარწმუნდა, რომ ეს ოჯახი მის ამბავს იმდენად ცუდად არ აღიქვამდა, როგორც შიშობდა, მაგრამ მერე ეჭვი შეეპარა, ვაითუ ვერაფერიც ვერ აღიქვესო.

მართალი გითხრათ, მასპინძლებს არც ამის ნაამბობის დაჯერებაზე უთქვამთ უარი და არც კონტრარგუმენტებით დასხმიან სტუმარს თავს. სხვა თუ არაფერი, ყურადღებით მაინც უსმენდნენ და თითქოს შეწუხდნენ კიდეც. ნუთუ ამით შემოიფარგლებოდა მათი თანაგრძნობა? ნუთუ ამას მოელოდა მათგან არმანუში? გოგონა ცოტათი დაიბნა. აინტერესებდა, რა მოხდებოდა, ეს ყველაფერი ინტელექტუალებთან საუბრისას რომ ეთქვა.

არმანუში ნელ-ნელა მიხვდა: ის, რასაც ამ ადამიანებისაგან მოელოდა, შესაძლოა, პატიების თხოვნა თუ არა, დანაშაულის აღიარება მაინც იყო. მიუხედავად ამისა, მისთვის პატიება არავის უთხოვია, იმიტომ კი არა, რომ კაზანჯები სტუმარს არ თანაუგრძნობდნენ (ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თანაუგრძნობდნენ), არამედ იმიტომ, რომ კავშირს ვერ ხედავდნენ საკუთარ თავსა და ამ დანაშაულების ჩამდენ ბოროტმოქმედებს შორის. არმანუში, როგორც სომეხი, თავისი

ხალხის თაობების ხორცშესხმული სული გახლდათ, მაშინ, როდესაც საშუალოსტატისტიკურ თურქს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ წინაპრებთან ერთად ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. სომხები და თურქები სხვადასხვა დროში ცხოვრობდნენ. სომხებისათვის დრო იყო წრე, რომელშიც წარსული აწმყოში განსახიერდებოდა, ხოლო აწმყო წარმოშობდა მომავალს. თურქებისათვის დრო წყვეტილი ხაზი იყო, წარსული რომელიღაც განსაზღვრულ წერტილში მთავრდებოდა, ხოლო აწმყო ახალი ნიშნულიდან ხელახლა იწყებოდა და მათ შორის არაფერი იყო, ნაპრალის გარდა.

- ჰო, მაგრამ არაფერი გიჭამია. მოდი, შვილო, დიდი გზა გამოიარე, ახლა ჭამე, - თქვა დეიდა ბანუმ და საუბარი საჭმელზე გადაიტანა. ბანუმ დარდის გასაქარვებელი ორი წამალი იცოდა და ჭამა ერთ-ერთი მათგანი იყო.

- ძალიან კარგია, გმადლობთ, - ხელი წამოავლო ჩანგალს არმანუშმა. გოგონამ შენიშნა, რომ ბრინჯი ზუსტად ისე იყო მომზადებული, როგორც ბებიამისი აკეთებდა, კარაქითა და ცხიმში მოშუშული კედრის კაკლით.

- კარგია, კარგი! ჭამე, ჭამე! - მთელი ძალით დააქნია თავი დეიდა ბანუმ.

ასია გულის ფანცქალით უყურებდა არმანუშს, რომელიც მასპინძლის თხოვნას თავაზიანად დაეთანხმა, ჩანგალი აიღო და ისევ ქაბურგას მიუბრუნდა. ასია კაზანჯიმ თავი დახარა - მადა აღარ ჰქონდა. არ იფიქროთ, რომ სომხების გადასახლების ამბავი პირველად ესმოდა. ამის შესახებ რაღაცები მანამდეც გაეგონა. ვიღაცები ამართლებდნენ მომხდარს, ვიღაცები - არა, მაგრამ რეალური პიროვნებისაგან ასეთი ანგარიშის მოსმენა სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მანამდე ასიას არასოდეს ენახა ასეთი ახალგაზრდა ადამიანი ამდენად დიდი მეხსიერებით.

მიუხედავად ამისა, ნიჰილისტს, ასია კაზანჯიში რომ ჩაბუდებულიყო, სულიერი ტკივილისაგან თავის დასაღწევად დიდი დრო არ დასჭირვებია. გოგონამ მხრები აიჩეჩა. კარგი ერთი! ცხოვრება ისედაც სა-

ზიზღრობა იყო. წარსული და მომავალი, აქაც და იქაც... ყველაფერი სულერთი იყო. ერთი და იგივე ჭირ-ვარამი ტრიალებდა ყველგან. ღმერთი ან არ არსებობდა, ანდა უბრალოდ ძალიან შორს იყო იმისათვის, რომ დაენახა უბადრუკი ყოფა, რომელშიც ყველანი ჩავეგდეთ. ულმობელსა და უფერულ ცხოვრებაშიუამრავი რამ იყო ისეთი, რაც ასიას დიდი ხნის წინ ამოსვლოდა ყელში. ასია კაზანჯიმ დაბინდული მზერა ეკრანზე გადაიტანა, სადაც თურქი დონალდ ტრამპი ნელ ცეცხლზე წვავდა წაგებული გუნდის სამ წევრს, რომლებიც ყველაზე მეტად იმსახურებდნენ გაკიცხვას. წაგებულების მიერ ფეხბურთის გუნდისათვის შექმნილი ფორმები იმდენად საშინელი აღმოჩნდა, რომ ყველაზე უდარდელმა სპორტსმენებმაც კი უარითქვეს მათ ჩაცმაზე. გადაცემაში ვიღაცის გაგდების დრო იყო. თითქოს ვიღაცამ ღილაკს ხელი დააჭირა და სამივე მოწინააღმდეგემ თამაშიდან რომ არ გამოეთიშათ, ერთმანეთის შეურაცხყოფა დაიწყო.

ფიქრებში წასულმა ასიამ დამცინავად გაიღიმა. ასეთია სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ისტორია, პოლიტიკა, რელიგია, საზოგადოება, კონკურენცია, მარკეტინგი, თავისუფალი ბაზარი, ძალაუფლებისათვის ბრძოლა და ერთი ბეწო გამარჯვების მიღწევისთვის ერთმანეთისათვის ყელში ხელის წატანება... ცხადია, ასიასთვის მთელ ამ ნაგავს გროშის ფასიც არ ჰქონდა...

ასიას თვალი ისევ ეკრანისკენ ეჭირა, მაგრამ უეცრად მადა დაუბრუნდა. სკამი მკვეთრი მოძრაობით მისწია წინ და თეფშზე საჭმლის გადაღება დაიწყო. ქაბურგას ერთი მოზრდილი ნაჭერი დაიდო და ჭამას შეუდგა. თავი რომ ასწია, დედამისის გამჭოლ მზერას წააწყდა და სასწრაფოდ გვერდზე გაიხედა.

* * *

სადილის შემდეგ არმანუში გოგონების ოთახში განმარტოვდა. ორ ადგილზე უნდა დაერეკა. გოგონამ პირველად სან-ფრანცისკოში დარეკა. ამი პირდაპირ საწერი მაგიდის თავზე გაკრული ჯონი კეშის პლაკატის პირისპირ იდგა.

- ბებია, მე ვარ! - წამოიძახა არმანუშმა და იმწამსვე გაჩუმდა, - რა ხმები ისმის?

- არაფერია, ძვირფასო, - უპასუხეს ყურმილში, - სააბაზანოში მილებს აკეთებენ. როგორც ჩანს, ბიძია დირკანმა ამას წინათ რაღაცა გააფუჭა. მრჩილავის გამოძახება მოგვიხდა. მითხარი, შენ როგორ ხარ?

არმანუშმა, რომელიც ამ კითხვას ელოდა, ერთი ჩვეულებრივი დღის განრიგის მოყოლა დაიწყო, ისეთის, არიზონაში რომ ატარებდა ხოლმე. ტყუილების გამო ამი თავს საძაგლად გრძნობდა, მაგრამ თავს იმშვიდებდა, რომ ასე ჯობდა. აბა, როგორ ეტყოდა ბებიამისს, არიზონაში კი არა, იმ ქალაქში ვარ, სადაც შენ დაიბადეო.

ამიმ ყურმილი დაკიდა და ერთი-ორი წუთი მოიცადა. დაფიქრებულმა ღრმად ჩაისუნთქა, გამბედაობა მოიკრიბა და მეორეგან დარეკა. გადაწყვიტა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა და იმედგაცრუებული ადამიანის ხმა არ ჰქონოდა. როგორც კი დედამისის მწივანა ხმა გაიგონა, არმანუში მიხვდა, რომ საკუთარი თავისათვის მიცემულ პირობას ვერ შეასრულებდა.

- ამი, ძვირფასო, აქამდე რატომ არ დარეკე? როგორ ხარ? როგორი ამინდია სან-ფრანცისკოში? კარგად გექცევიან?

- კი, დედა. კარგად ვარ. ამინდი კარგია, - უთხრა არმანუშმა და ინანა, რომ ინტერნეტით სან-ფრანცისკოს ამინდი არ გადაემოწმებინა, - ცოტა ქარია, როგორც ყოველთვის...

- ჰო, - შეაწყვეტინა როუზმა, - ბევრჯერ დაგირეკე, მაგრამ შენი მობილური გამორთული იყო. ისე მეშინოდა!

- გთხოვ, დედა, მომისმინე, - თქვა არმანუშმა. სიმტკიცემ, რომელიც მის ხმაში იგრძნობოდა, გოგონა თავადაც გააკვირვა, - თავს უხერხულად ვგრძნობ, როცა ბებიასთან ვარ და წარამარა მირეკავ. მოდი, შევთანხმდეთ, კარგი? მე დაგირეკავ ხოლმე, შენ არ დამირეკო. გთხოვ.

- ამის თქმას ისინი გაიძულებენ? - იკითხა დაეჭვებულმა როუზმა.

- არა, დე, რა თქმა უნდა, არა. თუ ღმერთი გწამს. მე გთხოვ, მე.

მართალია, ძალიან უხალისოდ, მაგრამ როუზმა ქალიშვილის პირობები მაინც მიიღო. როუზი წუწუნებდა, რომ საკუთარი თავისთვის

დრო საერთოდ არ რჩებოდა და მთელ დღეებს საოჯახო საქმეებსა და სამუშაოს ანდომებდა. მერე გამხიარულდა და არმანუშს უამბო, რომ „ჰოუმ დეპოში“ ფასდაკლებები იყო და სამზარეულოსათვის ახალი კარადების შეძენა მუსტაფასთან შეეთანხმებინა.

- შენი აზრი მითხარი, - თქვა აღფრთოვანებულმა როუზმა, - ალუბლის ხეზე რას იტყვი? როგორ ფიქრობ, ჩვენი სამზარეულოსთვის კარგი იქნება?

- ჰო, ალბათ... - მეც ასე ვფიქრობ. კალასზე რას იტყვი? ცოტა უფრო ძვირია, მაგრამ ყველაფერზე ეტყობა, რომ ხარისხიანია. შენი აზრით, რომელი აჯობებს? - რავი, დე, კალასიც არ უნდა იყოს ცუდი.

- ჰო, მაგრამ, იცი, დიდად ვერ მეხმარები, - ამოიოხრა როუზმა.

როცა ყურმილი დაკიდა, ამიმ ირგვლივ მიმოიხედა და თავი ძალიან უცხოდ იგრძნო. თურქული ნოხები, ძველებური სანათები საწოლთან, უცხო ავეჯი, სხვა ენაზე დაწერილი წიგნები და გაზეთები... უცებ ისეთმა პანიკამ მოიცვა, რომლის მსგავსიც პატარაობის შემდეგ არ გამოეცადა.

ერთხელ, არმანუში ექვსი წლის რომ იყო, როუზს შუაგულ არიზონაში, ერთ მიყრუებულ ადგილას, მანქანაში საწვავი გამოელია. თითქმის მთელი საათი მოუწიათ ლოდინმა, ვიდრე გზაზე კიდევ ერთი ავტომობილი ჩაივლიდა.

როუზმა ცერა თითი გაიშვირა და სატვირთო მანქანაც გაჩერდა. დედა-შვილი მანქანაში ავიდა. შიგნით უხეში შესახედაობის, ჩასკვნილი, საშიში და დაბღვერილი ორი მამაკაცი იჯდა. სიტყვაც არ უთქვამთ, ისე მიიყვანეს როუზი და ამი მომდევნო ავტოგასამართ სადგურამდე.

როგორც კი მანქანიდან ჩამოვიდნენ და სატვირთო გაუჩინარდა, როუზმა არმანუში გულში ჩაიკრა. ქალს ტუჩი უცახცახებდა და შიშისაგან ქვითინებდა:

- ღმერთო, რა მოხდებოდა, ცუდი ხალხი რომ ყოფილიყო? შეიძლებოდა გავეტაცებინეთ, გავეუპატიურებინეთ, მოვეკალით და ჩვენს ცხედრებს ვერავინ იპოვიდა. ასე როგორ გავრისკე?

მთლად ასე დრამატულადარა, მაგრამ იმ მომენტში არმანუში ზუსტად იმავეს გრძნობდა, რასაც მაშინ ავტოგასამართ სადგურზე. ამჯერად ის სტამბოლში იყო, უცხო ადამიანების სახლში და მისი ოჯახის არც ერთმა წევრმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. ასე იმპულსურად როგორ მოიქცა?

ცუდი ხალხი რომ ყოფილიყო?

9

ფორთოხლის ქერქი

მეორე დღეს ასია კაზანჯი და არმანუშ ჩახმახჩიანი დილაადრიან წავიდნენ იმ სახლის მოსაძებნად, რომელშიც ბებია შუშანა დაიბადა. ქალაქის ევროპულ ნაწილში ლამაზ და მდიდრულ უბანს ადვილად მიაგნეს, მაგრამ ბებიას სახლი იქ აღარ იდგა. მის ადგილზე თანამედროვე ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი აეშენებინათ. შენობის პირველი სართული მთლიანად თევზის რესტორანს დაეკავებინა. ვიდრე შიგნით შევიდოდნენ, ასიამ ფანჯრის შუშაში საკუთარ გამოსახულებას შეავლო თვალი და თმა გაისწორა, თან უკმაყოფილოდ მისჩერებოდა თავის მკერდს.

სადილობამდე დიდი დრო იყო და ამის გამო რესტორანში არავინ გახლდათ რამდენიმე ოფიციანტის გარდა, რომლებიც იატაკიდან წინა ღამის ნაკვალევის გადახვეტით იყვნენ დაკავებული. სამზარეულოში ვარდისფერლოყება, ტანსრული მზარეული მადის აღმძვრელი სურნელების ნისლში საღამოსთვის სხვადასხვანაირ მეზესა და ცხელ კერძებს ამზადებდა.

ასია თითოეულ მათგანს გამოელაპარაკა და რაღაცები გამოჰკითხა შენობის ისტორიაზე, მაგრამ ოფიციანტები ქალაქში ცოტა ხნის წინ ჩამოსულიყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის ერთი ქურთული სოფლიდან, მზარეულმა კი, რომელიც შედარებით დიდი ხანი იყო, რაც სტამბოლში ცხოვრობდა, ამ ქუჩის შესახებ არაფერი იცოდა.

- ძველი სტამბოლელი ოჯახებისგან მხოლოდ რამდენიმე დარჩა თავის ძირძველ ადგილზე, - საქმის მცოდნე ადამიანის გამომეტყველებით აუხსნა გოგონებს მზარეულმა, თან უზარმაზარი სკუმბრიის გამოშიგვნასა და გასუფთავებას შეუდგა, - ამ ქალაქში ერთ დროს იმდენი ჯურის ადამიანი ცხოვრობდა, - განაგრძო მზარეულმა. მერე სკუმბრიას ხერხემალი ჯერ კუდის ზემოთ გადაუმტვრია, მერე - თავთან, - ებრაელი მეზობლებიც გვყავდა, ბევრი ებრაელი. ბერძნებიც იყვნენ, სომხებიც... პატარა ბიჭი რომ ვიყავი, თევზს ბერძენი მეთევზეებისგან ვყიდულობ-

დი ხოლმე. დედაჩემის მკერავი სომეხი იყო, მამაჩემის უფროსი - ებრაელი. იცით, ყველა ერთმანეთში ვიყავით გათქვეფილი.

- ჰკითხე, რატომ შეიცვალა ეს ყველაფერი, - მიუბრუნდა არმანუში ასიას.

- იმიტომ, რომ სტამბოლი ქალაქი არ არის, - შენიშნა მზარეულმა და ვიდრე ერთ მნიშვნელოვან განცხადებას გააკეთებდა, სახე გაუნათდა, - ქალაქს ჰგავს, მაგრამ ქალაქი არ არის. სტამბოლი ქალაქი-გემია. ჩვენ ხომალდში ვცხოვრობთ!

მზარეულმა ეს თქვა და თევზს თავში წაავლო ხელი, ხერხემალს დაეჯაჯგურა. არმანუშმა წამით წარმოიდგინა, რომ სკუმბრია ფაიფურისა იყო და შეეშინდა, მზარეულს ხელში არ შემოეფშვნასო, მაგრამ რამდენიმე წამიც და, კაცმა ძვლის თავიდან ბოლომდე ამოღება მოახერხა.

საკუთარი თავით კმაყოფილმა მზარეულმა განაგრძო:

- აქ ყველა მგზავრია, დასტა-დასტა მოვდივართ და მივდივართ. ებრაელები წავლენ, რუსები მოვლენ... ჩემი ძმის უბანი მოლდაველებითაა სავსე... ხვალ ისინიც წავლენ და სხვები ჩამოვლენ. ასეა...

ასიამ და არმანუშმა მზარეულს მადლობა გადაუხადეს და უკანასკნელი მზერა ესროლეს დასატენად გამზადებულ, ჯერაც პირდაღებულ სკუმბრიას.

რესტორნიდან გამოსვლისას იმედგაცრუებულმა ასიამ და გაწბილებულმა არმანუშმა გვიანი ზამთრის მზით აელვარებული ბოსფორის სრუტის საოცარ პეიზაჟში ამოყვეს თავი. თვალები ხელით მოიჩრდილეს, ორივემ ღრმად ჩაისუნთქა და უმალ იგრძნო ჰაერში დატრიალებული გაზაფხულის სუნი.

რაკი უკეთესი გეგმა არ ჰქონდათ, უბანში ფეხით გაისეირნეს. ქუჩის თითქმის ყველა მოვაჭრისგან, რომელიც კი გზაში შეხვდათ, რაღაც იყიდეს: მოხარშული სიმინდი, სატენიანი მიდიები, მანანის ჰალვა და ბოლოს ერთი დიდი პარკი მზესუმზირა. ყველა ახალ ქუჩაზე ახალ თემაზე იწყებდნენ საუბარს. ძალიან ბევრ რამეზე ილაპარაკეს, გარდა სამი თემისა, რომელსაც ერთმანეთისათვის უცხო ახალგაზრდა ქალები,

როგორ წესი, არ ეხებიან. გოგონებს არ უსაუბრიათ სექსზე, მამაკაცებსა და მამებზე.

- მომწონს შენები, - თქვა არმანუშმა, - სიცოცხლით სავსენი არიან.

- ჰო, აბა, რა, - შეეწინააღმდეგა ასია და სამაჯურები ააჟღარუნა. ასია კაზანჯის ჰიპის სტილის გრძელი, სალბისფერი მწვანე ქვედაკაბა ეცვა, მოწითალო-მოყავისფრო ყვავილებით მოჩითული. თურქი გოგონა ჭრელჭრული ნაჭრებისაგან შეკერილ ჩანთასა და უამრავ სამკაულს ატარებდა, - შუშის მძივებს, სამაჯურებსა და თითქმის ყველა თითზე წამოცმულ ვერცხლის ბეჭდებს. მის გვერდით ჯინსსა და ტვიდის ქურთუკში გამოწყობილი არმანუში თავს, ცოტა არ იყოს, ძველმოდურად ჩაცმულად გრძნობდა.

- ამას მეორე მხარეც აქვს, - თქვა ასიამ, - დიდი მოთმინება გჭირდება, როცა ქალებით სავსე ოჯახში ხარ დაბადებული, სადაც ყველას ისე უზომოდ უყვარხარ, რომ სიყვარულში გახრჩობენ, როცა სახლში, სადაც ერთადერთი ბავშვი ხარ, იმაზე მეტად ჭკუადამჯდარი უნდა იყო, ვიდრე ყველა უფროსი, რომელიც შენ გარშემოა. მადლიერი ვარ, რომ საუკეთესო სკოლაში მიმიყვანეს და შეიძლება ამ ქვეყანაში საუკეთესო განათლებაც მომცეს, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ უნდათ, გავაკეთო ყველაფერი, რასაც თავად ვერ მიაღწიეს ცხოვრებაში. იცი, რას ვგულისხმობ?

ვაი, რომ იცოდა არმანუშმა, რასაც გულისხმობდა ასია კაზანჯი.

- წელში უნდა გავწყვეტილიყავი, ყველა მათი ოცნება ერთდროულად რომ ამეხდინა. ექვსი წლის ვიყავი, ინგლისურის სწავლა რომ დავიწყე. ნორმალური იქნებოდა, ამას რომ დასჯერებოდნენ, მაგრამ მომდევნო წელსკერძო მასწავლებელი მყავდა, რომელიც ფრანგულს მასწავლიდა. ცხრა წლისას მთელი წელი ვიოლინოზე დაკვრის სწავლას მაიძულებდნენ, თუმცა, აშკარა იყო, რომ ამ საქმის არც ინტერესი მქონდა, არც არანაირი ნიჭი. ამის მერე სახლთან ახლოს საციგურაო მოედანი გაგვიხსნეს და დეიდებმაც გადაწყვიტეს, რომ მოციგურავე უნდა გამოვსულიყავი. ოცნებაში ხედავდნენ, ბრჭყვიალა კაბებში გამოწყობილი როგორი გრაციოზულობით ვისრიალებდი ეროვნული ჰიმნის

მელოდიაზე. თურქი კატარინა ვიტი უნდა ვყოფილიყავი! სულ მალე ყინულზე ვტრიალებდი და პირუეტის გაკეთებისას წარამარა ვეცემოდი უკანალით! ყინულზე ციგურების კრაჭუნი რომ მესმის, ახლაც მაჟრიალებს.

არმანუშმა სიცილი ზრდილობის გამო შეიკავა, თუმცა, საერთაშორისო შეჯიბრებაზე მობზრიალე ასიას წარმოდგენა მართლაც სასაცილოდ ეჩვენებოდა.

- მერე მოვიდა დრო, როდესაც ჩემგან შორ მანძილზე მორბენალი სპორტსმენის დადგომას მოელოდნენ. საკმარისად რომ მევარჯიშა, არნახული ათლეტი ვიქნებოდი და ოლიმპიურ თამაშებზე თურქეთს წარმოვადგენდი! ალაჰის გულისათვის, შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ ვასპარეზობ ამხელა ძუძუებით ქალების მარათონში? ალაჰის გულისათვის?!

ამჯერად არმანუშს სიცილი არ შეუკავებია.

- არ ვიცი რატომ, მაგრამ ხო იცი, ყველა სპორტსმენ ქალს საფლავის ქვასავით ბრტყელი მკერდი აქვს. ძუძუების დასაჩუტად, ალბათ, მამაკაცის ჰორმონებს იღებენ, მაგრამ ჩემნაირი ქალები სპორტისთვის არ არიან შექმნილი; ეს ფიზიკის უმთავრეს კანონს ეწინააღმდეგება. სხეული წინ მიიწევს და აჩქარების კანონის შესაბამისად, სიჩქარეს ავითარებს. სიჩქარის ცვლილება სხეულზე მოდებული ძალის პროპორციულია. მერე რა ხდება? ძუძუებიც ერეკებიან, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ, სრულიად შეუთანხმებელ რიტმში ზემოთ-ქვემოთ მოძრაობენ იქამდე, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, სუნთქვა არ შეგინელდება. ინერციის კანონს დამატებული მსოფლიო მიზიდულობის კანონი! ალბათ, ვერც გაიმარჯვებ. ოჰ, ისეთი სამარცხვინო იყო! - შესძახა აღელვებულმა ასიამ, - მადლობა ღმერთს, ეს ეტაპი მალე დამთავრდა. მაგის მერე ხატვის გაკვეთილებს მიტარებდნენ. ვაი რომ, ბალეტზეც მატარეს იქამდე, ვიდრე ცოტა ხნის წინ დედაჩემმა არ აღმოაჩინა, რომ მეცადინეობებს ვაცდენდი და ჩემზე ხელი ჩაიქნია.

არმანუშმა ასიას თავი ისე დაუკრა, თითქოს სხვა ადამიანის ნაამბობში საკუთარი ცხოვრების ფრაგმენტებს ხედავდა. მამიდების უკიდე-

განო სიყვარულის თემა მისთვის ნაცნობი იყო, მაგრამ ამაზე საუბრისას თავს უხერხულად გრძნობდა. სამაგიეროდ, აი, რა იკითხა არმანუშმა:

- ერთი რამ ვერ გავიგე. ქალი, რომელთან ერთადაც აეროპორტში მოხვედი, ის, ცხვირში საყურე რომ ჰქონდა, - ჩაიხითხითა ამიმ, მაგრამ მყისვე მოერია თავს, - ზელიჰა... დედაშენია, ხო? მაგრამ დედას არ ეძახი... სწორია?

- სწორია. ცოტა დამაბნეველია. თვითონაც ვიბნევი ხოლმე, - თქვა ასიამ და სიგარეტს მოუკიდა. პირველი სიგარეტი იყო იმ დღეს. მართალია, ასია კაზანჯი უკვე მიმხვდარიყო, რომ მისი ახალი მეგობარი სიგარეტს ვერ იტანდა, მაგრამ სტუმრის ხასიათის შეცნობა ჯერ არ დაემთავრებინა. ასიამ არმანუში „კარგად აღზრდილ გოგონებს“ მიაკუთვნა და იფიქრა, თუ მის მოკრძალებულ და სტერილურ ცხოვრებაში სიგარეტი ღვთის გმობად ითვლება, ჩემი სხვა მავნე ჩვევების მიღებას ვერასოდეს შეძლებსო. ასიამ კვამლი სხვა მხარეს გამოუშვა. ეცადა, არმანუშისაგან რაც შეიძლებოდა შორს გაებოლებინა, მაგრამ ქარმა კვამლი ისევ უკან მოაბრუნა.

- ზუსტად არც კი მახსოვს, დედაჩემს „დეიდას“ რა ასაკიდან ვეძახი. შეიძლება თავიდანვე, აი, სულ თავიდან, - უპასუხა ასიამ არმანუშს. გოგონა თითქმის ჩურჩულებდა, მაგრამ თვალები ცეცხლივით უელავდა, - იცი, ისე გავიზარდე, რომ ყველა დეიდა ერთადერთი დედის როლს თამაშობდა. ჩემი ტრაგედია ის არის, რომ გარკვეულწილად ოთხი ქალის ერთადერთი შვილი ვიყავი. დეიდა ფერიდე, შეიძლება შენიშნე კიდეც, ცოტა ვერ არის. არასოდეს გათხოვილა. ხან რა საქმეზე მუშაობდა, ხან რაზე. როცა ცხოვრებაში სიგიჟის ეტაპი ჰქონდა, სასწაული გამყიდველი იყო. დეიდა ჯევრიე ერთ დროს გათხოვილი და ბედნიერი იყო, მაგრამ მერე ქმარიც დაკარგა და ცხოვრების ხალისიც. ამის მერე ჯევრიემ თავი სახელმწიფო ისტორიის სწავლებას მიუძღვნა. ჩვენ შორის დარჩეს და, მგონი, სექსი არ მოსწონს და ადამიანის მოთხოვნილებები საძაგლობად მიაჩნია! მერე მოდის ყველაზე უფროსი, დეიდა ბანუ. ის მარილია ქვეყნისა. საბუთების მიხედვით, ბანუ ჯერ ისევ გათხოვი-

ლია, მაგრამ ქმარს იშვიათად ხედავს. მისი ქორწინება ძალიან ტრაგიკული იყო. ორი საყვარელი ბიჭი ჰყავდა, მაგრამ ისინი დაიხოცნენ. იცი, ამ ოჯახის მამაკაცებზე წყევლაა - ვერ ცოცხლობენ.

არმანუში დაღლილი იყო და ამოიოხრა. არც იცოდა, ასიას ბოლო შენიშვნა როგორ უნდა გაეგო.

- იცი, მესმის, დეიდა ბანუ თავშესაფარს ალაჰთან რომ ეძებს, - გაგრძელა ასიამ და მძივს ხელით შეეხო, - რაც უნდა იყოს, საქმე ის არის, რომ დავიბადე და ოთხ დედა-დეიდას თუ დეიდა-დედას შორის ამოვყავი თავი. ან ყველასთვის „დედა“ უნდა დამეძახა, ან დედაჩემისთვის უნდა დამეძახა „დეიდა ზელიჰა“. ეს უფრო ადვილიც კი აღმოჩნდა.

- არ სწყინდა?

ასიამ ღია ზღვაში ჟანგისფერ სატვირთო ხომალდს მოჰკრა თვალი და სახე გაუბრწყინდა. უყვარდა იმის ყურება, როგორ მისრიალებდნენ ბოსფორის სრუტეში გემები. ასეთ დროს ასია იმაზე ფიქრობდა ხოლმე, რახალხი იყო ეკიპაჟის წევრები და ცდილობდა, ქალაქი იმ მეზღვაურის თვალით დაენახა, რომელიც გაუთავებლად მოგზაურობდა, იმ მეზღვაურისა, რომელსაც არც ნავსადგური ჰქონდა, რომ ხომალდიდან ჩამოსულიყო და არც ნაპირზე გადმოსვლის სურვილი.

- სწყინდა? არა! იცი, მხოლოდ ცხრამეტი წლის იყო, რომ დაორსულდა. შეიძლება უცნაურად ჟღერს, მაგრამ „დედას“ რომ არ ვეძახდი, მისთვის შვება უნდა ყოფილიყო. ყველანი ჩემი „დეიდები“ იყვნენ და ეს ტიტული დედაჩემის ცოდვას საზოგადოებისათვის ერთგვარად ნაკლებად თვალში საცემს ხდიდა. აღარ არსებობდა ცოდვილი დედა, რომლისკენაც თითს გაიშვერდნენ. ეჭვი მაქვს, რომ სინამდვილეში თავიდან, ცოტა ხანს მაინც, მაქეზებდნენ კიდეც, დედას „დეიდა“ დაუძახეო, მერე კი ჩვევის მოშლა უკვე ძნელი იყო.

- მომეწონა დედაშენი, - თქვა არმანუშმა, მაგრამ მერე თავი უხერხულად იგრძნო და ცოტა ხნით გაჩუმდა, - რომელ ცოდვაზე ლაპარაკობ?

- ოჰ, უკანონო შვილის გაჩენაზე. დედაჩემი, - ასიამ ცხვირი აბზიკა და სათანადო სიტყვის მოძებნას შეეცადა, - დედაჩემი... თეთრი ყვავია ოჯახში, აჯანყებული მეომარია, რომელმაც ბავშვი უქორწინოდ გააჩინა.

რუსულმა ტანკერმა გაიარა და პატარ-პატარა ტალღებს ნაპირისკენ უბიძგა. დიდი ხომალდი იყო და ნავთობი მიჰქონდა.

- შევამჩნიე, რომ მამა არსად ჩანდა, მაგრამ ვიფიქრე, გარდაცვლილია ან რამე-მეთქი, - ენის ბორძიკით თქვა არმანუშმა, - ვწუხვარ.

- წუხხარ, რომ მამაჩემი მკვდარი არ არის, - ჩაიცინა ასიამ და არმანუშს გადახედა. ამის სახეზე ცეცხლივით წითელი ფერი დაედო.

- მაგრამ, იცი, მართალი ხარ, - თქვა ასიამ. თვალებში ბრაზი უელავდა, - მეც ასე ვფიქრობ, ანუ მამაჩემი გარდაცვლილი რომ იყოს, ეს გაურკვევლობა ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდებოდა. ყველაზე მეტად ეს მაცოფებს. იმაზე ფიქრს ვერ ვეშვები, რომ ის ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს. როცა საერთოდ არანაირი წარმოდგენა არა გაქვს იმაზე, როგორი ვინმეა მამაშენი, სიცარიელეს წარმოსახვა ავსებს. შეიძლება ყოველდღე ვხედავ ტელევიზორში, ანდა რადიოში ვუსმენ და არც კი ვიცი, რომ მამაჩემია. შეიძლება ოდესმე სადღაც პირისპირ შევხვედრივარ. წარმოვიდგენ ხოლმე, რომ შესაძლოა ოდესღაც მე და ის ერთსა და იმავე ავტობუსში ავედით; შეიძლება ის მასწავლებელია, რომელსაც მე გაკვეთილის მერე ველაპარაკები ხოლმე, ფოტოგრაფი, რომლის გამოფენების დასათვალიერებლად დავდივარ, შეიძლება ეს ქუჩის მოვაჭრეა... რა იცი.

გოგონების ყურადღება დაახლოებით ორმოცი-ორმოცდაათი წლის ძარღვმაგარმა მამაკაცმა მიიპყრო. კაცს წვრილი ულვაში ჰქონდა. მის წინ ფანჯრის ჩარჩოში ყველანაირი ზომის მჟავე კიტრით სავსე უამრავი დიდრონი ქილა იდგა. მამაკაცი დამწნილებულ კიტრებს ავტომატური წვენსაწურით ახალთახალ პიკულის წვნად აქცევდა. როგორც კი შენიშნა, ორი ახალგაზრდა ქალი უყურებდა, ქუჩის მოვაჭრე ერთბაშად გაიკრიჭა. არმანუშმა მაშინვე იბრუნა პირი, ასიამ კი კაცს შეუბღვირა.

- ანუ დედაშენს შენთვის არ უთქვამს, ვინ არის მამაშენი? - ტაქტიანად იკითხა არმანუშმა.

- დედაჩემი იშვიათი ვინმეა! არაფერს მეტყვის, თვითონ თუ არ ენდომება. შეიძლება ყველაზე ჯიუტი და მტკიცე ხასიათის ქალია, რომელსაც ოდესმე შეხვედრიხარ. არა მგონია, მამაჩემის ვინაობა დანარჩენებმა იცოდნენ. ეჭვი მეპარება, რომ დედაჩემს ვინმესთვის ეთქვა. ოჯახში რამე რომც იცოდნენ, მაინც არაფერს მეტყვიან. არავინ არაფერს მეუბნება. სახლში დევნილივით ვარ - ოჯახის საშინელი საიდუმლოების შესახებ არაფერს მაგებინებენ. ჩამომიშორეს იმისთვის, რომ დავეცავი, - ასიამ მზესუმზირას გული ჩააკნატუნა, კანი კი გადმოაფურთხა, - რაღაც დროის შემდეგ ეს ორმხრივ თამაშად იქცა - ისინი მე მემიჯნებიან, მე - მათ.

ამის თქმა იყო და, გოგონებმა ერთდროულად შეანელეს ნაბიჯი. მათგან ნახევარი მილის მოშორებით, ღია ზღვაში, პატარა ძრავიან ნავზე მამაკაცი იდგა, ცალ ხელში იმწუთას ანთებული სიგარეტი ეჭირა, მეორეში კი კვასკვასა ყვითელი, ნარინჯისფერი და იისფერი ბუშტების საოცარი დასტა. ნავში რამდენიმე მგზავრიც იჯდა. შეიძლება ეს კაცი ბუშტების ქანცგამოცლილი გამყიდველი იყო, ბევრი შვილი ჰყავდა და სამუშაოდან დაბრუნებული ერთი ნაპირიდან მეორეზე მოკლეზე ისე გადადიოდა, რომ ვერც კი ხვდებოდა, რამდენად შთამბეჭდავ პოზაში იდგა. მიცურავდა კაცი და ფერების წვიმასთან ერთად ლურჯი ტალღების თავზე გამოკიდებული კვამლის ბიბილო მისდევდა უკან.

ნანახის სილამაზისთვის სრულიად მოუმზადებელი არმანუში და ასია უხმოდ იდგნენ და იქამდე გასცქეროდნენ ძრავიან ნავს, ვიდრე ყველა ბუშტი ჰორიზონტში არ შთაინთქა.

- მოდი, სადმე დავსხდეთ, კარგი? - იკითხა ასიამ ისე, თითქოს დაღლილი ყოფილიყო იმით, რაც ის-ის იყო, ნახა.

იქვე, ღია ცის ქვეშ, ერთი გავერანებული კაფე იყო.

- აბა, მითხარი, როგორი მუსიკა მოგწონს? - ჰკითხა ასიამ არმანუშს მაშინვე, როგორც კი თავისუფალი ადგილები მოძებნეს და სასმელი შეუკვეთეს: ასიამ - ლიმონიანი ჩაი, არმანუშმა - დიეტური კოკა ყინუ-

ლით. კითხვა, რომელიც ასია კაზანჯიმ დასვა, არმანუშის უკეთ გაცნობის აშკარა მცდელობა იყო. მუსიკა იყო ის, რაც ასიას ყველაზე მეტად აკავშირებდა მთელ სამყაროსთან.

- კლასიკური მუსიკა, ეთნიკური, სომხური, ჯაზი, - უპასუხა ამიმ, - შენ რა მოგწონს?

- მე ცოტა სხვანაირი მუსიკა მომწონს, - გაწითლდა ასია, თუმცა, რატომ, თავადაც არ იცოდა, - ცოტა ხანს მძიმე რაღაცებს ვუსმენდი: ალტერნატიულ მუსიკას, პანკს, პოსტპანკს, ინდუსტრიალ-მეტალს, დეთ-მეტალს, დარკუეივს, ფსიქოდელიკს, მესამე ტალღის სკას და ცოტა გოტიკასაც, ასეთ რამეებს.

- მართლა? - იკითხა არმანუშმა, რომელიც მიჩვეული იყო, რომ „ასეთ რამეებს“ დეკადენტი თინეიჯერების ან უმიზნო მოზრდილების დაკარგულ ჟანრად მიიჩნევდნენ, რომლებშიც მრისხანება უფრო მეტი იყო, ვიდრე ხასიათი.

- ჰო, მაგრამ მერე ჯონი კეშზე შევჯექი. სულ ეს არის. მას შემდეგ სხვას არავის ვუსმენ. მომწონს კეში. ისე მომაჯადოვა, მეტი არაფერი მხიბლავს.

- აქაურს არაფერს უსმენ? თურქულ მუსიკას, თურქულ პოპს...

- თურქული პოპი! არავითარ შემთხვევაში! - შეშინებულმა ასიამ ხელები ერთმანეთს ისე შემოჰკრა, თითქოს აბეზარი ქუჩის მოვაჭრის თავიდან მოშორებას ცდილობდა.

არმანუში მიხვდა, რომ ამ საკითხზე საუბრის გაგრძელება აღარ ღირდა. დაასკვნა, ალბათ, თურქებისთვის საკუთარი თავისადმი სიძულვილი ჩვეულებრივი ამბავიაო.

ასიამ ჩაი გადაყლურწა და განაგრძო:

- დეიდა ფერიდეს მოსწონს ასეთი რამეები, თუმცა, ბოლომდე მართალი რომ ვიყო, ზოგჯერ არც კი ვიცი, მუსიკა უფრო აინტერესებს თუ მომღერლების ვარცხნილობა.

არმანუშმა დიეტური კოკას მეორე ჭიქა სანახევროდ გამოცალა და ასიას ჰკითხა, როგორ წიგნებს კითხულობო. მხატვრული ლიტერატურა იყო ის, რაც ამის ყველაზე მეტად აკავშირებდა მთელ სამყაროსთან.

- წიგნები. იცი, წიგნებმა გადამარჩინეს. კითხვა მიყვარს, მაგრამ მხატვრული ლიტერატურა არა...

კაფეში საიდანღაც ხმაურიანი გოგო-ბიჭების ჯგუფი გაჩნდა. მათ იმ მაგიდაზე მიუთითეს, ზუსტად ასიასა და არმანუშის პირდაპირ რომ იდგა.

დასხდნენ თუ არა ახალგაზრდები, ყველას და ყველაფრის გამასხარავება დაიწყეს. იცინოდნენ პლასტმასის შინდისფერ სკამებზე, ვიტრინებზე, რომლებშიც გამაგრილებელი სასმელების მოკრძალებული ასორტიმენტი გამოეფინათ, მენიუს ინგლისურ ვარიანტში დაშვებულ შეცდომებსა და ოფიციანტების მაისურებზე, ზედ „მე მიყვარს სტამბოლი“ რომ ეწერა.

ასიამ და არმანუშმა სკამები მაგიდისკენ მიაჩოჩეს.

- ფილოსოფიას ვკითხულობ, განსაკუთრებით პოლიტიკურ ფილოსოფიას, აი, ბენჟამინს, ადორნოს, გრამშის, ცოტას ჟიჟეკს... განსაკუთრებით დელიოზს. ასეთ რამეებს ვკითხულობ. მომწონს. ფიქრი მიყვარს, ალბათ, ფილოსოფიაც. მიყვარს ფილოსოფია, განსაკუთრებით ეგზისტენციალისტური, - ასიამ კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა და კვამლში გახვეულმა იკითხა, - შენ რას კითხულობ?

არმანუშმა ბელეტრისტების გრძელი სია ჩამოთვალა, უმეტესად რუსები და დასავლეთევროპელები.

- იცი? - ასიამ ორივე ხელი ზემოთ ასწია, თითქოს იმ სიტუაციის ახსნა უნდოდა, რომელშიც ორივე იყვნენ, - როცა ცხოვრებაში საყვარელ საქმეზე მიდგება ჯერი, შენც ნაკლებად ხარ მიჯაჭვული იმ ადგილს, სადაც ცხოვრობ... ის, რასაც კითხულობ, მაინცდამაინც არ ჰგავს სომხურს.

არმანუშმა ცალი წარბი ოდნავ ასწია.

- იმისთვის, რომ განვითარდეს, ლიტერატურა თავისუფალი უნდა იყოს, - თქვა არმანუშმა და თავი დააქნია, - მაინცდამაინც დიდი თავისუფლება არ გვქონია სომხური ლიტერატურის გასამდიდრებლად და გასავითარებლად, არა?

ასია მიხვდა, რომ ამ საკითხზე საუბრის გაგრძელება აღარ ღირდა. მისი აზრით, სავარაუდოდ, საკუთარი თავისადმი სიბრალული იყო ის, რასაც სომხები განიცდიდნენ.

გოგონების ზურგს უკან თინეიჯერებმა შარადის თამაში დაიწყეს. თითოეულ შერჩეულ მოთამაშეს მოწინააღმდეგე გუნდი ამა თუ იმ მულტფილმის სახელწოდებას ეუბნებოდა, მერე მოთამაშეს თავისი გუნდის წევრები როგორმე უსიტყვოდ უნდა მიეხვედრებინა, რომელ მულტფილმზე იყო ლაპარაკი.

ჭორფლიანმა, წითურმა გოგომ რომელიღაც მულტფილმის გმირების გამოჯავრება დაიწყო. მის ყველა მოძრაობაზე დანარჩენები ტკარცალს იწყებდნენ. უცნაური ის იყო, რომ თამაში, რომლის მთავარი პრინციპიც სიჩუმეში მდგომარეობდა, ამხელა ხმაურს იწვევდა.

შეიძლება სწორედ ხმაურის გამო, უკნიდან რომ ისმოდა, არმანუშის განწყობა, ზღვარს არ გადავალო, სადღაც გაქრა.

- მუსიკა, რომელსაც შენ უსმენ, ძალიან დასავლურია. ტრადიციულ ახლოაღმოსავლურ რამეებს რატომ არ უსმენ?

- რას გულისხმობ? - შეცბა ასია, - ჩვენ დასავლელები ვართ.

- არა, დასავლელები არა ხართ. თურქები ახლოაღმოსავლელები არიან, მაგრამ ამას რატომღაც სულ უარყოფენ. ჩვენს სახლებში რომ გაგეჩერებინეთ, დიასპორად გადაქცევის ნაცვლად ჩვენც უწინდებურად ახლოაღმოსავლელები ვიქნებოდით, - არ შეეპუა არმანუში, მაგრამ მაშინვე დაიბნა, არ უნდოდა, ასე უხეშად გამოსვლოდა.

- რას გულისხმობ? - იკითხა ასიამ მას შემდეგ, რაც ლოყები შიგნიდან გვარიანად დაიკბინა.

- რას ვგულისხმობ? რას და, სულთან ჰამიდის პანთურქულ დაპანისლამურ უღელს. 1909 წლის ხოცვა-ჟლეტას ვგულისხმობ ადამაში და 1915 წლის გადასახლებებს... მიხვდი? არაფერი გაგიგია სომხების გენოციდზე?

- სულ ცხრამეტი წლის ვარ, - მხრები აიჩეჩა ასიამ.

ზურგს უკან ისევ ახმაურდნენ თინეიჯერები. ჭორფლიანმა გოგონამ დავალებას თავი დროულად ვერ გაართვა და მისი ადგილი ახალმა მო-

თამაშემ დაიკავა. სიმპათიური, გამხდარი აყლაყუდა იყო. ხვანჩი სახის ყოველ მოძრაობაზე წინ უხტებოდა. ბიჭმა სამი თითი ასწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფილმის სახელწოდება სამი სიტყვისაგან შედგებოდა, მერე კი პირდაპირ მესამე, უკანასკნელ სიტყვაზე გადავიდა. ორივე ხელი ჰაერში ასწია, თითქოს რაღაც მრგვალი საგანი ხელისგულებს შორის მოიქცია, დაყნოსა და ხელი მოუჭირა. ვიდრე მისი თანაგუნდელები ვერაფერს ხვდებოდნენ, მათი მოწინააღმდეგეები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ.

- ბოდიშს იხდის? - არმანუშმა ასიას თვალი თვალში გაუყარა, - ასეთი მიუხვედრელები როგორ ხართ?

რაკი სიტყვის „მიუხვედრელი“ მნიშვნელობა არ იცოდა, ასიას მისი პერსონიფიცირება პრობლემად არ გადაუქცევია იქამდე, ვიდრე ინგლისურ-თურქული ლექსიკონი არ მოძებნა და არ ჩაიხედა. ასია კაზანჯი უყურებდა და ტკბებოდა მზით, ცოტა ხნით ხელმეორედ რომ გამოჩნდა სქელი ღრუბლებიდან. მშვიდად იყო და ეგონა, ეს სიმშვიდე დიდხანს გრძელდებოდა, მერე კი ჩაიბუტბუტა:

- ისტორიით ხარ შეპყრობილი.

- შენ არა? - ხაზგასმულად ნელა თქვა არმანუშმა. მის ხმაში ერთდროულად იგრძნობოდა უნდობლობაცა და დაცინვაც.

- აზრი მერე? - მოკლედ მოუჭრა ასიამ, - რატომ უნდა ვიცოდე რამე წარსულის შესახებ? მოგონებები მეტისმეტად დიდი ტვირთია.

არმანუშმა თავი მიაბრუნა და უნებურად მოზარდებს მიაპყრო მზერა. გოგონამ თვალები მოჭუტა და ბიჭის მოძრაობებს დააკვირდა. ასიაც შემობრუნდა, თამაშს დააკვირდა და წამში წამოაყრანტალა:

- ფორთოხალი!

თინეიჯერებს სიცილი წასკდათ. ყველა მეორე მაგიდასთან მსხდომ ახალგაზრდა ქალებს უყურებდა. ასიას სახეზე ცეცხლი მოედო, არმანუშმა გაიღიმა. ანგარიში სწრაფად გაასწორეს და ისევ ქუჩაში ამოყვეს თავი.

- რომელი ფილმის სახელწოდებაში არის სიტყვა „ფორთოხალი“? - იკითხა არმანუშმა, როგორც კი ერთ ბილიკს მიადგნენ, რომელიც ზღვას მიუყვებოდა.

- მგონი, „მექანიკური ფორთოხლის“...

- აბა, რა! - თავის დაქნევით დაეთანხმა არმანუში ასიას, - მისმინე, რაც შეეხება იმას, რომ ისტორიით ვარ შეპყრობილი, - თქვა არმანუშმა, თან აზრების დალაგებას ცდილობდა, - საქმე ის არის, რომ მთელი მისი სევდის მიუხედავად, ისტორია არის ის, რაც გვაცოცხლებს და გვაერთიანებს.

- იცი, ეს პრივილეგიაა.

- რას გულისხმობ? - ერთიანობის შეგრძნება არის პრივილეგია. მისი წყალობით იმ გუნდის ნაწილი ხდები, რომელშიც სოლიდარობის დიდი გრძნობა აქვთ, - მიუგო ასიამ, - სწორად გამიგე. მესმის, რამდენად ტრაგიკული წარსული ჰქონდა შენს ოჯახს და პატივს ვცემ შენს სურვილს, რაც უნდა მოხდეს, იცოცხლო მოგონებებით, რომ შენი წინაპრების ტანჯვა დავიწყებას არ მიეცეს. ჩვენი გზებიც სწორედ აქ იყოფა. შენი გზა ხსოვნის სახელით დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობაა, მაგრამ შენს ადგილზე მე რომ ვიყო, დიდედასავით ვიქნებოდი და ვერაფერსაც ვერ გავიხსენებდი.

- რატომ გეშინია წარსულის?

- არ მეშინია! - შეეწინააღმდეგა ასია. სტამბოლის თავნება ქარმა მისი გრძელი ქვედაკაბა და სიგარეტის კვამლი უმისამართოდ დაატრიალა ჰაერში. ასია ცოტა ხნით გაჩუმდა, - უბრალოდ არ მინდა, რამე საერთო მქონდეს მასთან. ეს არის და ეს.

- გაუგებარია, - თავისას არ იშლიდა არმანუში.

- შეიძლება. სიმართლე თუ გინდა, ჩემნაირი ადამიანი ვერასდროს იქნება წარსულზე ორიენტირებული... იცი, რატომ? - კითხვა დასვა ასიამ გრძელი პაუზის შემდეგ, - იმიტომ კი არა, რომ წარსული გულს მტკენს ან ფეხებზე მკიდია... იმიტომ, რომ არაფერი ვიცი მის შესახებ. ვფიქრობ, საერთოდ არაფრის ცოდნას ძველი ამბების ცოდნა სჯობს, - არმანუშს სახეზე დაბნეულობა დაეტყო.

- შენ ისიც თქვი, რომ შენი წარსულის ცოდნა არ გინდა. ახლა სულ სხვა რამეს ამბობ.

- მართლა? - იკითხა ასიამ, - მოდი, ასე ვთქვათ. ამ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები მაქვს, - მასპინძელმა სტუმარს ავი მზერა მიაპყრო და უფრო სერიოზულად განაგრძო, - ჩემი წარსულის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო, მაგრამ ინფორმაციის მოპოვება არ შემიძლია. გესმის, ჩემთვის ისტორია დღეს იწყება. არ არსებობს დროის უწყვეტობა. წინაპრებთან კავშირს ვერ იგრძნობ, თუ საკუთარ მამას ვერ პოულობ. შეიძლება ვერასოდეს გავიგო, რა ჰქვია მამაჩემს. გავაფრენ, თუ ამაზე ბევრს ვიფიქრებ. ასე რომ, საკუთარ თავს ვეუბნები, რად გინდა საიდუმლოების გამოჩიჩქნა? ვერ ხედავ, რომ წარსული მანკიერი წრეა? მარყუჟია. შეგვიტყუებს და ბორბალში გაბმული ზაზუნებივით გვარბენინებს, მერე კი საკუთარ სიტყვებს ვიმეორებთ და ვიმეორებთ.

არმანუში და ასია დატალღულ ქუჩებს აღმა-დაღმა მიუყვებოდნენ. ყველაუბანი იმდენად განსხვავებული იყო, რომ ამიმ ჩათვალა, სტამბოლი ქალაქი-ლაბირინთია, რომელშიც რამდენიმე ქალაქია თავმოყრილიო. გაიფიქრა, ნეტავ რას გრძნობდა ჯეიმს ბოლდუინი, აქ რომ იყოო.

დღის სამ საათზე შიმშილისაგან დაოსებული გოგონები ერთ რესტორანში შევიდნენ. ასიას თქმით, ეს სავალდებულო იყო, რადგან ქალაქში საუკეთესო ქათმის შაურმა სწორედ აქ ჰქონდათ. თითო-თითო შაურმა აიღეს და დიდ ჭიქებში თითო თხევადი იოგურტი.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ, მერე ისევ არმანუშმა დაიწყო:

- უნდა ვაღიარო, რომ სტამბოლი ოდნავ განსხვავდება იმისგან, რასაც ველოდი. უფრო თანამედროვე და ნაკლებად კონსერვატიულია, ვიდრე ვშიშობდი.

- ჰო, ეს დეიდა ჯევრიეს უნდა უთხრა ერთხელ. ეამება და ჩემი ქვეყნის ესოდენ კარგად წარმოჩენისთვის დიდ მედალსაც მომცემს!

მას შემდეგ, რაც ერთმანეთი გაიცნეს, გოგონებმა პირველად იცინეს ერთად.

- ერთ ადგილას მინდა როგორმე წაგიყვანო, - თქვა ასიამ, - პატარა კაფეა, სადაც ჩვეულებრივ ვიკრიბებით. კაფე „კუნდერა“.

- მართლა? ერთ-ერთი ჩემი საყვარელი ავტორია! - შესძახა აღფრთოვანებულმა არმანუშმა, - ასე რატომ ჰქვია?

- აი, ამაზე დაუსრულებლად კამათობენ. ყოველდღე ახალ-ახალ თეორიას ვაყალიბებთ.

კაზანჯების დიდ სახლში რომ ბრუნდებოდნენ, არმანუშმა ასიას ხელი ჩაავლო, მოუჭირა და უთხრა:

- ჩემს ერთ მეგობარს მაგონებ, - გოგონამ ასიას ცოტა ხანს ისე უყურა, თითქოს რაღაც იცოდა და თქმას ვერ ახერხებდა, ბოლოს კი შენიშნა, - არასოდეს მინახავს არავინ, ვინც ერთდროულად ასეთი მგრძნობიარე იქნებოდა და ასეთი... ასეთი მტკიცე, დამაჯერებელი და წინააღმდეგობებით სავსე. ერთის გარდა! ჩემს ყველაზე უჩვეულო მეგობარს მაგონებ, ბარონ ბაღდასარიანს. ბევრ რამეში ისე ჰგავხართ ერთმანეთს, შეიძლებოდა მონათესავე სულები ყოფილიყავით.

- მართლა? - იკითხა არმანუშის მეგობრის სახელით დაინტრიგებულმა ასიამ, - რა იყო, რა გაცინებს?

- მაპატიე, ბედის შემობრუნებაზე გამეცინა. თავს ვერ მოვერიე, - თქვა არმანუშმა, - საქმე ის არის, რომ ყველა ჩემს ნაცნობს შორის ბარონ ბაღდასარიანს ყველაზე ანტითურქული განწყობა აქვს!

* * *

იმ ღამით, როცა კაზანჯების ოჯახის ყველა ქალი უკვე იწვა, არმანუში საწოლიდან პიჟამას ამარა გამოძვრა, მოფამფალებული მაგიდის ლამპა აანთო და თავისი პორტატიული კომპიუტერი ჩართო. ძალიან ცდილობდა, არ ეხმაურა. აქამდე არასოდეს უფიქრია, რა საშინლად ხმაურიანი შეიძლებოდა ყოფილიყო ინტერნეტში შესვლა. ტელეფონის ნომერი აკრიფა, მოძებნა მთავარი კვანძი და „კაფე კონსტანტინოპოლში“ შესასვლელად თავისი პაროლიც აკრიფა.

- სად იყავი? ისე ვნერვიულობდით! როგორ ხარ?

ვისგან აღარ შემოდიოდა კითხვა.

- კარგად ვარ, - წერდა მადამ დევნილი სული, - ბებიას სახლი ვერ ვიპოვე. მის ადგილზე საშინელი თანამედროვე შენობაა. მორჩა. სახლისგან არაფერი დარჩენილა... არანაირი კვალი, არანაირი ჩანაწერი, არაფერი, რაც სომხურ ოჯახს მოგაგონებთ, რომელიც იმ შენობაში საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა.

- ძვირფასო, ძალიან ვწუხვარ, - წერდა ლედი ფარშავანგ/სირამარკი, - როდის ბრუნდები?

- კვირის ბოლომდე დავრჩები, - უპასუხა მადამ დევნილმა სულმა, - შეიძლება ითქვას, აქ ყოფნა თავგადასავალია. ქალაქი ლამაზია. რაღაცით სან-ფრანცისკოს ჰგავს, გორაკებიანი ქუჩები, სულ ნისლი, ზღვის ნიავი და ადამიანები ბოჰემური გამომეტყველებით იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდები. ქალაქი-ლაბირინთია. უფრო მეტია, ვიდრე ერთი ქალაქი. რამდენიმე ქალაქია ერთ ქალაქში. სხვათა შორის, შესანიშნავი სამზარეულო აქვთ - ნებისმიერ სომეხს სამოთხეში ეგონებოდა თავი, - შეშინებული არმანუში გაჩერდა. მიხვდა, ის-ის იყო, რა დაწერა და სასწრაფოდ დასძინა, - საჭმელს ვგულისხმობ.

- ეჰ, ქალბატონო დევნილო სულო, თქვენ ჩვენი რეპორტიორი იყავით ომში, ახლა კი თურქივით ლაპარაკობთ! გათურქდით თუ რა? - ეს დეიდა ყაურმა გახლდათ.

არმანუშმა ღრმად ჩაისუნთქა.

- პირიქით. ცხოვრებაში ამაზე მეტად არასოდეს მიგრძნია თავი სომხად. იცით, ჩემი სომხობის თავიდან ბოლომდე გასაცნობიერებლად თურქეთში უნდა ჩამოვსულიყავი და თურქებს უნდა შევხვედროდი. ოჯახი, რომელთანაც ვცხოვრობ, საკმაოდ საინტერესოა. ცოტა გიჟებიც კი არიან, მაგრამ, შესაძლოა, ყველა ოჯახი ასეთი იყოს. თუმცა, არის აქ რაღაც სიურრეალისტური. არათანამიმდევრულობა ყოველდღიურობის სარჩულის ნაწილია. თავი გაბრიელ გარსია მარკესის რომანში მგონია. ერთი და სვირინგებს ხატავს, მეორე - ნათელმხილველია, მესამე სახელმწიფო ისტორიას ასწავლის, მეოთხე კი ეულად დარჩენილი ყვავილი, ანდა როგორც ასია იტყოდა, ჩამოყალიბებული გიჟია.

- ვინ არის ასია? - უმალ დაბეჭდა ლედი ფარშავანგ/ სირამარკმა.

- ოჯახის ქალიშვილია. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ოთხი დედა ჰყავსდა არც ერთი მამა. დიდი ორიგინალური ვინმეა - ცოფიანი, ირონიული და გონებამახვილი. დოსტოევსკისკარგი პერსონაჟი იქნებოდა.

არმანუშს აინტერესებდა, სად გაქრა ბარონი ბაღდასარიანი.

- მადამ დევნილო სულო, გენოციდზე თუ ესაუბრეთ ვინმეს? - იკითხა უბადრუკმა თანაარსებობამ.

- კი, რამდენჯერმე, მაგრამ ძალიან ძნელია. ქალები, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობენ, გულწრფელი ინტერესითა და სიბრალულით მისმენდნენ, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან. თურქებისთვის წარსული სხვა რამეა.

- ქალები ქალებად, მაგრამ მაგათი კაცების იმედი, ალბათ, მაინც არ მექნება... - საუბარში ჩაერია საფოს ქალიშვილი.

- მართალი გითხრათ, თურქ კაცთან საუბრის შანსი ჯერ არ მქონია, - მისწერა მადამ დევნილმა სულმა. არმანუში ის-ის იყო, მიხვდა, რომ თურქ მამაკაცთან ჯერ მართლაც არ ელაპარაკა, - მაგრამ ამ დღეებში ასია იმ კაფეში წამიყვანს, სადაც ხშირად იკრიბებიან. ალბათ, იქ რამდენიმე კაცს მაინც გავიცნობ.

- მათთან ერთად დალევისას ფრთხილად იყავი. ხომ იცი, ალკოჰოლი ადამიანებში ყველაზე უარესს ააშკარავებს, - ეს ალექს სტოიკოსი იყო.

- არა მგონია, ასია სვამდეს. მუსლიმანები არიან! ორთქლმავალივით ნამდვილად აბოლებს.

- სომხეთშიც ბევრს ეწევიან, - დაწერა ლედი ფარშავანგ/სირამარკმა, - ახლახან ვიყავი ისევ ერევანში. თავებს იხოცავენ სიგარეტით.

არმანუში სკამზე აწრიალდა. სად იყო ბარონი? რატომ არ სწერდა? უბრაზდებოდა თუ არ ეთანხმებოდა? ფიქრობდა კი ბარონი ბაღდასარიანი მასზე?.. ასე განაგრძობდა საკუთარი თავის წამებას არმანუში, მოციმციმე ეკრანზე კიდევ ერთი ხაზი რომ არ გამოჩენილიყო.

- რაკი თურქეთში ხართ, მადამ დევნილო სულო, გვითხარით, იფიქრეთ იანიჩარების პარადოქსზე?

ის იყო! ის! ის! არმანუშმა ტექსტის ორი ბწკარი ხელახლა წაიკითხა და აკრიფა:

- დიახ, ვიფიქრე, - არ იცოდა, სხვა რა უნდა დაეწერა. ბარონმა თითქოს იგრძნო, რომ გოგონა მერყეობდა და თავად განაგრძო:

- ძალიან კარგია, იმ ოჯახთან ასეთი კარგი ურთიერთობა რომ გაქვთ. მჯერა, როცა ამბობთ, რომ კარგი გულისა და თავისებურად საინტერესო ხალხია, მაგრამ ვერ ხედავთ, რომ მათი მეგობარი მხოლოდ იქამდე იქნებით, ვიდრე საკუთარ თავზე იტყვით უარს. თურქები სულ ასე არიან მთელი ისტორიის მანძილზე.

არმანუშმა პირი მოკუმა და სევდა შემოაწვა. ოთახის მეორე ბოლოში ასია ლოგინში წრიალებდა. ისე იტანჯებოდა, თითქოს კოშმარული სიზმარი აწამებდა, თან გაუგებრად ლუღლუღებდა რაღაცას. მნიშვნელობა არა აქვს, რას ამბობდა ასია, ერთი და იგივე ბევრჯერ გაიმეორა.

- ჩვენ, სომხები, მხოლოდ ჩვენი დანაკარგისა და ტკივილის აღიარებას ვითხოვთ, რაც უმთავრესი მოთხოვნაა ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობის გასაჩაღებლად. აი, რას ვეუბნებით თურქებს: ნახეთ, ჩვენ ვგლოვობთ, თითქმის საუკუნეა ვგლოვობთ იმიტომ, რომ დავკარგეთ ისინი, ვინც ყველაზე მეტად გვიყვარდა, გამოგვყარეს ჩვენი სახლებიდან და გაგვაძევეს საკუთარი მიწიდან. ისე გვექცევიან, როგორც ცხოველებს და გვხოცავენ, როგორც ცხვრებს. წესიერად სიკვდილის უფლებაც კი არა გვაქვს. ის ტკივილიც კი არ არის იმდენად მტანჯველი, რომელიც ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს მიაყენეს, როგორიც სისტემატური უარყოფაა, ამ ტკივილს რომ მოჰყვა.

რას გეტყვიან ამის პასუხად თურქები? არაფერს! თურქებთან დამეგობრების ერთადერთი გზა არსებობს: მათსავით უმეცარი და გულმავიწყი უნდა იყო.

რადგან ისინი წარსულს ჩვენი თვალით არასოდეს შეხედავენ, ფიქრობენ, რომ ჩვენ უნდა ავყვეთ მათ წარსულის არცოდნაში.

სრულიად მოულოდნელად კარზე მსუბუქი დაკაკუნების ხმა გაისმა, მერე ძალიან ბევრჯერ დააკაკუნეს. არმანუში სკამზე გაირინდა. გული

ყელში ამოაჯდა. იმპულსურად გამორთო კომპიუტერის ეკრანი და დაიჩურჩულა:

- დიახ.

კარი ფრთხილად გააღეს და ოთახში დეიდა ბანუმ შემოყო თავი. ბანუს ვარდისფერი შარფი მსუბუქად მოეხვია თავზე, ტანზე კი გრძელი, ბაცი ღამის პერანგი ეცვა. ოთხ საათზე სალოცავად გაღვიძებულ ბანუს გოგონების ოთახიდან გამომავალი სინათლე შეენიშნა.

დეიდა ბანუს სახეზე აღბეჭდვოდა უხერხულობა, რომელსაც ინგლისური სიტყვების არცოდნის გამო განიცდიდა. ერთმანეთის მიყოლებით გააკეთა რამდენიმე ჟესტი, თითქოს შარადას თამაშობდა. თავი გააქნია, წარბები შეჭმუხნა და თითი დააქნია. არმანუშმა ეს ყველაფერი ისე გაიგო, თითქოს ეუბნებოდნენ, ბევრს სწავლობ და თავს ასე ძალიან ნუ იღლიო.

ამის შემდეგ დეიდა ბანუმ არმანუშს თეფში გაუშვირა და ჭამეო, ანიშნა. იმდენად ზუსტი მიმიკა იყო, რომ ახსნას არ საჭიროებდა. ბანუმ გაიღიმა, არმანუშს მხარზე ხელი მოუთათუნა, თეფში პორტატიული კომპიუტერის გვერდით დადო და ოთახიდან გასულმა კარი ფრთხილად გაიხურა. თეფშზე ორი გაფცქვნილი, თხლად დაჭრილი ფორთოხალი იდო.

არმანუშმა ეკრანი ისევ ჩართო და ფორთოხლის ერთ ნაჭერს უკბიჩა, თან იმაზე ფიქრობდა, რა უნდა მიეწერა პასუხად ბარონ ბაღდასარიანისთვის.

10

ნუში

სტამბოლში სტუმრობის მეხუთე დღეს არმანუშს უკვე შეესწავლა კაზანჯების სახლის დილის განრიგი. კვირის დღეებში საუზმე დილის ექვსი საათისთვის იშლებოდა და მაგიდაზე ათის ნახევრამდე რჩებოდა. ამასობაში განუწყვეტლივ დუღდა სამოვარი და საათში ერთხელ მზადდებოდა ჩაის ახალი ნაყენი. იმის მაგივრად, რომ სუფრასთან ყველა ერთდროულად დამჯდარიყო, ოჯახის ყველა წევრი სხვადასხვა დროს გამოჩნდებოდა, რაც თითოეული მათგანის სამუშაოზე, განწყობაზე ან განრიგზე იყო დამოკიდებული. ამგვარად, განსხვავებით სადილისაგან, რომელიც ერთთავად დროს შეწყობილი მოვლენა გახლდათ, კვირის დღეებში საუზმობა დილის მატარებელს ჰგავდა, სხვადასხვა სადგურზე რომ ჩერდებოდა და ახალ-ახალი მგზავრები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ.

სუფრას თითქმის ყოველთვის დეიდა ბანუ აწყობდა. ის პირველი იღვიძებდა და განთიადის ლოცვისთვის ემზადებოდა. ვიდრე უახლოესი მეჩეთიდან მუეძინი ხელმეორედ იყვირებდა, ძილს ლოცვა სჯობსო, ბანუ ლოგინიდან გამოძვრებოდა ხოლმე და ბუტბუტებდა: „მართლაც სჯობსო“.

ამის შემდეგ დეიდა ბანუ სააბაზანოში შედიოდა და ლოცვისთვის ემზადებოდა: დაიბანდა სახეს, ხელებს - იდაყვებამდე და ფეხებსაც - კოჭებამდე. ზოგჯერ წყალი ცივი იყო, მაგრამ ბანუს ეს არ ანაღვლებდა. „გამოსაფხიზლებლად სულს თრთოლა სჭირდება“, - ეუბნებოდა დეიდა ბანუ საკუთარ თავს. „სულს თრთოლა სჭირდება“. ბანუს არც ის ანაღვლებდა, რომ მისი ოჯახის წევრებს ღრმა ძილით ეძინათ და იმისთვის, რომ შენდობა მათაც მიეღოთ, გაორმაგებული ძალით ლოცულობდა.

- უდიდესია ალაჰი, უდიდესია ალაჰი, - გაიმეორა მუეძინმა იმ დილითაც. დეიდა ბანუ ლოგინში იყო, მაგრამ თვალები უკვე გაეხილა და ღამის პერანგისა და თავშლის აღებას ცდილობდა.

სხვა დღეებისაგან განსხვავებით ბანუს სხეული დამძიმებოდა, ძალიან დამძიმებოდა.

„არ არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“, - გაიძახოდა მუეძინი, დეიდა ბანუ კი ვერა და ვერ დგებოდა. „მოდით სალოცავად... მოდით კეთილ ხალხთან“, - ჩაესმა ბანუს, მაგრამ სანახევროდაც ვერ მოსწყვიტა ტანი საწოლს, თითქოს სხეულის ამ ნაწილში სისხლი გამოსცლოდა და ძალიან მძიმე, უსიცოცხლო ტომრად გადაქცეულიყო.

ძილს ლოცვა სჯობს. ძილს ლოცვა სჯობს.

- რა იყო, ხალხო, განძრევის საშუალებას რატომ არ მაძლევთ? - უკმაყოფილო ადამიანის ტონით იკითხა დეიდა ბანუმ.

ორმა ჯინმა, ბანუს მხრებზე აქეთ-იქით რომ ჩამოსხდომოდნენ, ერთმანეთს გადახედა.

- მე ნუ მეკითხები, მას ჰკითხე. უბედურება მას მოაქვს, - თქვა ქალბატონმა სიამემ, ბანუს მარჯვენა მხარზე რომ იჯდა.

სახელს თუ ვენდობით, ქალბატონი სიამე კეთილი ჯინი იყო, ერთ-ერთი სათნოთაგანი. ამ ჯინს კეთილი, ნათელი სახე და თხელი, მოხდენილი კისერი ჰქონდა. თავზე იის, ვარდისა და პორფირისფერი შარავანდედი ედგა, ხოლო იქ, სადაც მისი კისერი მთავრდებოდა და ტანი უნდა დაწყებულიყო, სხვა არაფერი იყო, კვამლის თხელი ღრუბლის გარდა. სულ არ აწუხებდა, უსხეულო პიედესტალზე შემოდგმულ თავს რომ ჰგავდა. მდედრობითი სქესის ადამიანებისაგან განსხვავებით, ქალი ჯინებისაგან პროპორციული ნაკვთების ქონას არავინ მოელოდა.

რაკი ქალბატონი სიამე მოღალატე კი არა, ერთ-ერთი გულკეთილი და გულისხმიერი ჯინი გახლდათ, რომელიც ათეიზმიდან ისლამად გარდასახულიყო, დეიდა ბანუ მას განსაკუთრებულად ენდობოდა. ათეიზმი კი ჯინებს შორის გავრცელებული დაავადება იყო. ქალბატონი სიამე ხშირად სტუმრობდა მეჩეთებსა და საძვალეებს. მას წმინდა ყურანიც კარგად იცნობდა.

წლების განმავლობაში დეიდა ბანუ და ქალბატონი სიამე ძალიან დაახლოვდნენ, რასაც ვერ ვიტყვით ბატონ სიმწარეზე. ის სულ სხვა ყალიბის კაცი იყო, ისეთი ადგილებიდან, სადაც ქარი გაუთავებლად ზუ-

ზუნებდა. ბატონი სიმწარე ჯინის პირობაზეც კი ძალიან ასაკოვანი იყო. შესაბამისად, გაცილებით მეტი რამ შეეძლო, ვიდრე ამბობდა. ყველამ კარგად ვიცით, რაც უფრო ხნიერია ჯინი, მით უფრო მეტი ძალა აქვს.

წლების წინ, ორმოცდღიანი სინანულის ბოლო დილას, დეიდა ბანუს ბატონი სიმწარე შეებოჭა. ეს იყო მიზეზი, რომლის გამოც ჯინი კაზანჯების საცხოვრებელში რჩებოდა. იმ დროიდან ბანუმ ბატონი სიმწარე საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა და არც ის თილისმა მოუშორებია ოდესმე, რომელიც ჯინის დატყვევებაში ეხმარებოდა.

ჯინის გასკვანჩვა ადვილი საქმე არ იყო. უპირველესად მისი სახელი უნდა გცოდნოდათ - სწორად უნდა გამოგეცნოთ, რა ერქვა. იმის გათვალისწინებით, რომ თუკი ჯინი იქამდე გამოიცნობდა თქვენს სახელს, ვიდრე თქვენ მისას, ესე იგი, თავად ბატონად გადაიქცეოდა, თქვენ კი მონად. ეს მართლაც სასიკვდილო თამაში იყო. მაშინაც, კი როდესაც სახელს გამოიცნობდით და ჯინს თავად აკონტროლებდით, საკუთარ ძალაუფლებას გარანტირებულად ვერ ჩათვლიდით, რადგან ეს ყველაზე ბრიყვული ილუზია იქნებოდა. კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ სოლომონ დიდმა შეძლო ჯინის, ჯინების მთელი არმიის ჭეშმარიტად დამარცხება, მაგრამ მასაც კი სჭირდებოდა ზედმეტი ხელი ჯადოსნური რკინის ბეჭდიდან.

სოლომონ დიდს ვერავინ მიედრებოდა და მხოლოდ საკუთარ თავზეშეყვარებულ სულელს შეიძლებოდა ეამაყა, ჯინი ჩავიგდე ხელშიო. რაც შეეხება დეიდა ბანუს, ის ყველაფერი იყო, ასეთისულელის გარდა.

მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე ექვსი წელიწადი იქნებოდა, რაც ბატონი სიმწარე ემსახურებოდა, ქალი თვლიდა, რომ ამგვარი ურთიერთგაგება დროებითი ხელშეკრულება იყო და განახლებას ხშირად საჭიროებდა.

დეიდა ბანუმ იცოდა, რომ ადამიანებისაგან განსხვავებით, ჯინები მათთვის გაკეთებულ ბოროტებას არასოდეს ივიწყებდნენ და ამის გამო ბატონ სიმწარეს არც უგულოდ მოქცევია ოდესმე, არც ქედმაღლურად. უსამართლობას ჯინი არასოდეს დაივიწყებდა. ამ ჯინის მეხსიერება ყველაფერს ისევე იწერდა, როგორც თავგადაკლული მოხელე, რო-

მელიც ყველაფერს ინიშნავს, თვით უმნიშვნელო აზრებსაც კი. და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ერთ დღესაც ყველაფერი გაეხსენებინა. შესაბამისად, დეიდა ბანუ ყოველთვის პატივს სცემდა თავისი ტყვის უფლებებს და არასოდეს იყენებდა საკუთარ ძალას.

და მაინც, ბანუს შეეძლო ძალაუფლება სრულიად სხვაგვარად გამოეყენებინა - ეთხოვა მატერიალური სარგებელი, მაგალითად, ფული, ძვირფასეულობა ანდა სახელი და დიდება. მაგრამ ბანუს არც ერთი არ უთხოვია. იცოდა, რომ ერთიც, მეორეც და მესამეც მხოლოდ ილუზია იყო, ხოლო ჯინს ილუზიების შექმნა კარგად გამოსდიოდა. გარდა ამისა, უეცრად შეძენილი ყოველგვარი სიმდიდრე აუცილებლად სხვისთვის მოპარული სიმდიდრე იყო, რადგან ბუნებაში არ არსებობს სრული ვაკუუმის მსგავსი რამ და ადამიანთა ბედ-იღბალი ერთმანეთში ისეა გადახლართული, როგორც თვლები ბადეში. ასე და ამგვარად, დეიდა ბანუ წლების განმავლობაში წინდახედულად იკავებდა თავს ყოველგვარი მატერიალური ხეირის თხოვნისაგან. სამაგიეროდ, იყო ერთადერთი რამ, რაც ბანუს ბატონი სიმწარისაგან მოეთხოვა და ეს რაღაც ცოდნა გახლდათ - დავიწყებული ამბების, ამოუცნობი პიროვნებების, ქონებრივი დავების, ოჯახური კონფლიქტების, გამოაშკარავებული საიდუმლოებების, შეუცნობელი მისტერიების ცოდნა, ცოდნა საწყისებისა, რომლებიც თავისი უამრავი კლიენტის დასახმარებლად სჭირდებოდა.

თუ რომელიმე ოჯახს რაიმე ფასეული დოკუმენტი დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა, საბუთის ადგილსამყოფლის გასაგებად დეიდა ბანუსთან მიდიოდნენ. დეიდა ბანუს მიმართავდნენ ქალებიც, რომლებსაც ეჭვი ჰქონდათ, გრძნებით ვართ შეკრულიო და ცოდვის ჩამდენის ვინაობის დადგენა სურდათ.

ერთხელ ბანუსთან ფეხმძიმე ქალი მიიყვანეს. ორსული მოულოდნელად გამხდარიყო ავად და მისი მდგომარეობა დღითი დღე შემაშფოთებლად უარესდებოდა. დეიდა ბანუ თავის ჯინს დაელაპარაკა და ფეხმძიმე ქალს უთხრა:

- მიდი უნაყოფო ლიმონის ხესთან, შენს ბაღში რომ არის. იქ შავი ხავერდის ქისაში საპნის ნაჭერს იპოვი, რომელშიც შენივე ფრჩხილებია ჩარჭობილი. შურიანი მეზობლის გაკეთებული ჯადოა.

უკმაყოფილება რომ არ გაგრძელებულიყო, დეიდა ბანუს იმ მეზობლის სახელი არ უთქვამს. რამდენიმე დღეში გაიგო, რომ ფეხმძიმე ქალი სწრაფად გამოჯანმრთელებულიყო და თავს შესანიშნავად გრძნობდა. იმ დღიდან დღემდე დეიდა ბანუ ბატონი სიმწარის სამსახურს ასეთი საქმეებისთვის იყენებდა. გამონაკლისი მხოლოდ ერთხელ დაუშვა. ერთადერთხელ დაუსვა ბანუმ ჯინს კითხვა საკუთარი თავისთვის. ეს ერთ-ერთი ყველაზე კონფიდენციალური კითხვა იყო და ასიას მამის ვინაობას შეეხებოდა.

ბატონმა სიმწარემ უპასუხა, ზუსტად უპასუხა, მაგრამ ბრაზმორეული ბანუ დაუღლელად ამბობდა უარს მოსმენილის დაჯერებაზე, თუმცა, შესანიშნავად იცოდა, რომ დამონებული ჯინი თავის მბრძანებელს ვერასოდეს მოატყუებდა.

ასიას მამის ამბავს დეიდა ბანუ იქამდე არ იჯერებდა, ვიდრე ერთ დღეს მისმა გულმა, უბრალოდ, არ შეწყვიტა იმის უგულებელყოფა, რასაც გონება კარგა ხნის წინ მიმხვდარიყო. იმ დღიდან დეიდა ბანუ სამუდამოდ შეიცვალა. ხშირად ეკითხებოდა საკუთარ თავს, არცოდნა ხომ არ აჯობებდაო, რადგან ცოდნამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ბრძენკაცის წყევლა, ტანჯვა და დარდი მოუტანა.

ახლა, როცა ამ ამბის შემდეგ წლები იყო გასული, დეიდა ბანუ ისევ ფიქრობდა ბატონი სიმწარისათვის სათავისოდ კიდევ ერთი კითხვის დასმაზე. სწორედ ამის გამო იყო ასე სუსტად იმ დილით. ბანუს გონებაში დატრიალებულ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს შეესუსტებინა ნათელმხილველის კონტაქტი მონასთან, ტყვესთან, რომელიც ყოველი დილემის გამო სულ უფრო მძიმედ აწვებოდა მბრძანებლის მარცხენა მხარს.

უნდა დაესვა კი დეიდა ბანუს ბატონი სიმწარისთვის პირადი ხასიათის კითხვა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს, როცა ასე მოიქცა, ძალიან ინანა? ან იქნებ დადგა დრო, როცა თამაში უნდა დაესრულებინა, თი-

ლისმა მოეხსნა და ჯინი ერთხელ და სამუდამოდ გაეთავისუფლებინა? ნათელმხილველის მოვალეობების შესრულებას ქალბატონი სიამის დახმარებით განაგრძობდა. მისი ძალა გარკვეულწილად შემცირდებოდა, მაგრამ დაე, ასეც მომხდარიყო. ნუთუ ეს საკმარისი არ იყო? მისი არსების ერთი ნაწილი აფრთხილებდა დეიდა ბანუს ბრძენკაცის წყევლის შესახებ, რომელიც მეტისმეტი ცოდნით გამოწვეული გულშემზარავი აგონიის უკუცემაა. მეორე ნაწილს მეტის შეცნობის სურვილი, არნახული ცნობისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება კლავდა.

ბატონმა სიმწარემ შესანიშნავად იცოდა, რა მძიმე მდგომარეობაში იყოდეიდა ბანუ და თითქოს ტკბებოდა კიდეც ამით - დააეჭვებდა თუ არა დეიდა ბანუს რამე, უმალ უფრო მაგრად დააწვებოდა მარცხენა მხარზე ბატონი სიმწარე და ნათელმხილველიც გაორმაგებულად გრძნობდა საკუთარი ნააზრევის სიმძიმეს.

- ჩამოდი ჩემი მხრიდან, - ბრძანა დეიდა ბანუმ და წაიკითხა ლოცვა,რომელიც ყურანის თანახმად, ადამიანს ყოველთვის უნდა წაეკითხა, როცა კი ცბიერი ჯინის პირისპირ მოუწევდა ყოფნა. ბატონი სიმწარე, რომელიც სრულიად მოულოდნელად ხათრიანი გამხდარიყო, განზე გახტა და დეიდა ბანუს ადგომის საშუალება მისცა.

- გინდა, გამიშვა? - იკითხა ბატონმა სიმწარემ, რომელსაც ბანუს აზრები უკვე ამოეკითხა, - თუ გინდა, ჩემი შესაძლებლობები მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად გამოიყენო?

დეიდა ბანუს ოდნავ გაპობილ ბაგეებს ჩურჩულით ნათქვამი სიტყვა დასცდა. ეს არც „ჰო“ იყო, არც „არა“. კვნესას უფრო ჰგავდა. თავს ისე პატარად გრძნობდა დედამიწის, ცის, ვარსკვლავებისა და შეცბუნების კავერნულ უსასრულობაში, სულს რომ უფლეთდა.

- შეგიძლია მკითხო ის, რისი გაგების სურვილიც მას შემდეგ გკლავს, რაც სომეხმა გოგონამ ნაღვლიანი ამბები გიამბოთ თავის ოჯახზე. არ გინდა იცოდე, მართალია თუ არა? არ გინდა, სიმართლის გარკვევაში დაეხმარო? თუ მარტო კლიენტებისთვის ინახავ შენს ძალას? - გამოიწვია დეიდა ბანუ ბატონმა სიმწარემ, რომლის ნახშირივით შავი, ჩაკარგული თვალები გამარჯვებას აეფორიაქებინა. ბატონი

სიმწარე უეცრად დაცხრა და დასძინა, - შემიძლია გიამბო. საკმაოდ ხნიერი ვარ და ვიცი. იქ ვიყავი.

- შეწყვიტე! - წამოიძახა დეიდა ბანუმ, თითქმის კიოდა, - არ მინდა, ვიცოდე. ცნობისმოყვარე არა ვარ. ვნანობ იმ დღეს, ასიას მამის ამბავი რომ გკითხე. ღმერთო, ნეტავ არ მეკითხა! რა ჩარაა ცოდნა, თუკი ვერაფერს შეცვლი? გესლია, რომელიც ყველაფერში გიშლის ხელს. არც მისი ამონთხევა შეგიძლია, არც სიკვდილი. არ მინდა, ისევ განმეორდეს... და მაინც, რა იცი? - გამოცრა დეიდა ბანუმ და იგრძნო, როგორ აემღვრა გულ-მუცელი, როგორ ჩაუწვა ყელი მწარე ნაღველმა. ვერ გაეგო, რამ წამოაყრანტალებინა ბოლოს ეს კითხვა. მეტისმეტად კარგად იცოდა, რომ თუკი არმანუშის წარსულის გაგება სურდა, სწორედ ბატონი სიმწარისათვის უნდა ეკითხა. ის ხომ ჯინებს შორის უვერაგესი გულიაბანი იყო, ყველაზე უკეთ გახლდათ გათვითცნობიერებული ისეთ ამბებში, უბედური დასასრული რომ ჰქონდა.

თვალბედითი ჯარისკაცები უსაფრდებოდნენ და ჟლეტდნენ ადამიანებს მათი სახლებიდან რამდენიმე მილის მოშორებით; მთებში ყინვისაგან დახოცილი ყარიბები; შორეულ უდაბნოში გადასახლებული შავი ჭირით დაავადებულები; ყაჩაღების მიერ გაძარცული და დახოცილი მოგზაურები; მიყრუებულ ადგილას დაკარგულები; ფელონიისთვის მსჯავრდადებულები, სიკვდილთან შესახვედრად რომელიღაც შორეულ კუნძულზე რომ მიჰყავთ... გულიაბანი ყველას იცნობდა... გულიაბანი იყო ყველგან, სადაც სისხლიან ბრძოლის ველზე ერთდროულად წყდებოდნენ მთელი ბატალიონები, შიმშილისათვის სწირავდნენ სოფლებს, მოწინააღმდეგის ცეცხლი ფერფლად აქცევდა ქარავნებს. იარმუკის ბრძოლაშიც იყვნენ, როდესაც მუსლიმანებმა ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს უზარმაზარი არმია შემუსრეს, ანდა ბერბერმა თარიქმა გრგვინვასავით დასჭექა თავის ჯარისკაცებს: „თქვენ უკან ზღვაა! თქვენ წინ - მტერი! ჩემო მეომრებო, საით გაიქცევით?“ ასე შეიჭრნენ ვესტგუთების ესპანეთში და ხოცავდნენ ყველას, ვინც კი გზაზე შეხვდებოდათ. გულიაბანები იყვნენ იქაც, სადაც კარლმა, შემდგომში მარტელად წოდებულმა, ტურის ბრძოლაში სამასი ათასი არაბი დახოცა; იქაც იყვნენ,

სადაც ჰაშიშით გაბრუებულმა ასასინებმა სახელგანთქმული ვეზირი ნიზამ ალ-მულქი მოკლეს და იქამდე თესავდნენ შიშს, ვიდრე მონღოლმა ჰულაგუმ ყველაფერთან ერთად მათი ციხესიმაგრეც არ დაანგრია. ყველა ეს უბედურება გულიაბანებს პირადად ენახათ. უდაბნოში საკვებისა და წყლის გარეშე დაკარგულების ტანჯვა-წამებასაც ნაწილობრივ მათ აბრალებდნენ. ყოველთვის და ყველგან იქ ტრიალებდნენ, სადაც ვინმე ისე კვდებოდა, რომ საფლავის ქვაც არ რჩებოდა. თუ დასჭირდებოდათ, შეეძლოთ მცენარეებად, ქვებად ან ცხოველებად, მით უფრო სვავებად, გადაქცევა. უბედურებას აედევნებოდნენ და მომხდარს გვერდიდან ან ზემოდან ადევნებდნენ თვალს. ისიც ცნობილია, რომ გულიაბანები მოსვენებას არ აძლევდნენ ქარავნებს, იპარავდნენ საჭმელს, რომელიც გაჭირვებულებს შეიძლება გადასარჩენად სჭირდებოდათ, აშინებდნენ საღმრთო მოგზაურობაში წასულ მომლოცველებს, თავს ესხმოდნენ პროცესიებს ან შიშის მომგვრელ სიკვდილის მელოდიას ჩასჩურჩულებდნენ ყურში კატორღამისჯილებს ან კიდევ იმათ, ვისაც სასიკვდილო მსვლელობაში მონაწილეობას აიძულებდნენ. გულიაბანები იყვნენ თვითმხილველები იმ ამბებისაც, რომელთა შემდგომ არ რჩებოდა არც ერთი მტკიცებულება, არანაირი ჩანაწერი ადამიანების არსებობის შესახებ. გულიაბანები იყვნენ საზარელი მოწმეები იმ საშინელებებისა, რომლებიც ადამიანებს შეეძლოთ დაეტეხათ ერთმანეთისათვის თავს. შესაბამისად, დეიდა ბანუ დაასკვნიდა, თუკი 1915 წელს არმანუშის ოჯახი მართლაც აიძულეს მონაწილეობა მიეღო სასიკვდილო მსვლელობაში, როგორც გოგონა ამტკიცებდა, ბატონ სიმწარეს ეს აუცილებლად ეცოდინებოდა.

- არაფერს მკითხავთ? - მაღალფარდოვნად იკითხა დეიდა ბანუს საწოლის კიდეზე ჩამომჯდარმა ბატონმა სიმწარემ, რომელსაც ნათელმხილველის გასაჭირი ერთ სიამოვნებას ჰგვრიდა, - სვავი ვიყავი, - განაგრძო ჯინმა ღვარძლიანად. მას ხომ მხოლოდ ასე შეეძლო ლაპარაკი, - ყველაფერი დავინახე. ვუყურებდი, როგორ მიდიოდნენ, მიდიოდნენ და მიდიოდნენ ქალები, ბავშვები. მათ თავზე დავფრინავდი, ლურჯ

ცაზე წრეებს ვხაზავდი და ველოდებოდი, როდის დაეცემოდნენ მუხლებზე.

- მოკეტე! - დაიღრიალა დეიდა ბანუმ, - გაჩუმდი! არ მინდა, ვიცოდე!ნუ გავიწყდება, ვინ არის აქ უფროსი!

- დიახ, მბრძანებელო, - თავი აარიდა ბანუს ბატონმა სიმწარემ, - თქვენი სურვილი ჩემთვის ბრძანებაა და ასე იქნება, ვიდრე იმ თილისმას ატარებთ, მაგრამ როგორც კი მოისურვებთ, გაიგოთ, რა შეემთხვა გოგონას ოჯახს 1915 წელს, მხოლოდ მითხარით. ჩემი მახსოვრობა თქვენი გახდება, მბრძანებელო.

გამწარებული დეიდა ბანუ ტუჩებს იკვნეტდა, ლოგინში წელგამართული იჯდა, აქაოდა, ჩემი ნება ურყევიაო, და ბატონი სიმწარისათვის საკუთარი სისუსტის ჩვენებას არამც და არამც არ აპირებდა. სცადა, ხალისიანი ყოფილიყო, მაგრამ ჰაერი მტვრისა და ობის სუნად აყროლდა, თითქოს ოთახს გახრწნა დაეწყო. ან აწმყო ლპებოდა და სწრაფად იქცეოდა დროის ნარჩენებად, ანდა წარსულის რღვევა აღწევდა აწმყოში. მოლოდინში იყო დროის გახსნილი შინაგანი კარიბჭეც. იმისთვის, რომ ეს კარი არ გაღებულიყო და ყველაფერი თავის ადგილზე დარჩენილიყო, დეიდა ბანუმ წმინდა ყურანი ამოიღო. მარგალიტებიან შალითაში, საწოლის ტუმბოს უჯრაში ინახავდა. წიგნი ალალბედზე გადაშალა და ამოიკითხა: „შენთან იმაზე ახლოს ვარ, ვიდრე შენი საუღლე ვენა“ (50:16).

- ალაჰ, - ამოიოხრა დეიდა ბანუმ, - ჩემთან იმაზე ახლოს ხარ, ვიდრე ჩემივე საუღლე ვენა. მიხსენ ამ გასაჭირისგან. მიბოძე უმეცართა ნეტარება, ანდა მომეცი ძალა ამ ცოდნის სატარებლად. რომელიც უნდა აირჩიო, მადლიერი ვიქნები, მაგრამ გთხოვ, ერთდროულად უძლურად და მცოდნედ ნუ მაქცევ.

დეიდა ბანუ თან ლოცულობდა, თან საწოლიდან გამოძვრა, პერანგი ჩაიცვა და ფეხის წვერებზე ფრთხილად და სწრაფად გაემართა საბაზანოსკენ, სალოცავად რომ მომზადებულიყო. საათს შეხედა, რომელიც ბუფეტში იდო. რვას თხუთმეტი აკლდა. ნუთუ ასე დიდხანს იყო ლოგინში და საკუთარ სინდისს, ბატონ სიმწარეს ეკამათებოდა? ჩქარ-

ჩქარა დაიბანა სახე, ხელები, ფეხები და ოთახში დაბრუნდა. თავზე გამ-ჭვირვალე თავშალი ეხურა. თავისი პატარა სალოცავი ნოხი გაშალა და ლოცვა დაიწყო.

* * *

იმ დილით დეიდა ბანუს საუზმის გაშლა რომც დაჰგვიანებოდა, არ-მანუში ამას ყველაზე ბოლოს მიხვდებოდა. გოგონა ინტერნეტში გვი-ანობამდე დარჩა და დიდხანს ეძინა. უფრო მეტსაც იძინებდა. არმანუში წრიალებდა, გვერდიდან გვერდზე ბრუნავდა, მკერდზე დაფარებულ სა-ბანს ზემოთ-ქვემოთ ექაჩებოდა და ყველანაირად ცდილობდა, რო-გორმე ისევ დაეძინა. თავიდან ცალი თვალი გაახილა და ასია დაინახა, რომელიც თავის საწერ მაგიდასთან იჯდა, წიგნს კითხულობდა და ყურ-სასმენებით მუსიკას უსმენდა.

- რას უსმენ? - ხმამაღლა იკითხა არმანუშმა.

- რაო? - ყვირილით უპასუხა ასიამ, - ჯონი კეშს!

- აბა, რა!

- რას კითხულობ?

- „უგუნური კაცი: კვლევა ფილოსოფიურ ეგზისტენციალიზმში“, - მი-უგო იმავე მაღალმა, თავდაჯერებულმა ხმამ.

- ესეც ცოტათი უგუნურება ხომ არ არის? როგორ შეგიძლია ერ-თდროულად მუსიკასაც უსმენდე და ეგზისტენციალურ ფილოსოფიაზეც იყო კონცენტრირებული?

- შესანიშნავად მიდის ერთმანეთზე, - შენიშნა ასიამ, - ჯონი კეშიცა და ეგზისტენციალური ფილოსოფიაც, ორივე ადამიანის სულს სწავ-ლობს და იმის დანახვას ცდილობს, რაც შიგნითაა, აღმოჩენით უკმაყო-ფილოები კი საკითხს ორივენი ღიად ტოვებენ!

ვიდრე არმანუში ასიას ნათქვამს ჩაუფიქრდებოდა, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა და გოგონებს უხმო, რომ ამ უკანასკნელებს საუზმის ბოლო მატარებლისათვის მიესწროთ.

* * *

სუფრა მხოლოდ ორისათვის გაეწყოთ. დანარჩენებს უკვე ესაუზ-მათ. ბებია და დიდედა ნათესავთან წასულიყვნენ, დეიდა ჯევრიე - სკო-

ლაში, დეიდა ზელიჰა - ტატუს სალონში, დეიდა ფერიდე კი სააბაზანოში იყო და თმას წითურად იღებავდა. სასტუმრო ოთახში დარჩენილი ერთადერთი დეიდა გაღიზიანებული ჩანდა.

- რაშია საქმე, ჯინები გეჩხუბნენ? - იკითხა ასიამ. იმის ნაცვლად, დისწულისთვის ეპასუხა, დეიდა ბანუმ სამზარეულოსკენ დაადო თავი. მომდევნო ორი საათის განმავლობაში თაროზე გამწკრივებულ ბურღულეულის ქილებს უცვლიდა ადგილებს, წმენდდა იატაკებს, აცხობდა ქიშმიშიან და ნიგვზიან ნამცხვრებს, რეცხავდა დახლზე შემოწყობილ პლასტმასის ხილეულს და დიდი მონდომებით ფხეკდა ღუმლის კუთხეში ჩამჯდარ მდოგვის ლაქას.

ბოლოს და ბოლოს, ოთახში რომ დაბრუნდა, გოგონები ისევ საუზმეს უსხდნენ და სასაცილოდ იგდებდნენ თურქული ტელევიზიის ისტორიაში ყველაზე გრძელი საპნის ოპერის, „შეყვარებული აივის წყევლის“ ყველა სცენას.

ბანუსთვის ძვირფას რაღაცას ამასხარავებდნენ, მაგრამ იმის ნაცვლად, სწყენოდა, დეიდა გაოცებული იყო - მიხვდა, რომ სერიალი საერთოდ დავიწყებოდა და წლების განმავლობაში პირველად გამოეტოვებინა საყვარელი გადაცემა. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სერიალის ყურება ჩაეგდო, წლების წინ, მისი სინანულის პერიოდში იყო. მაშინაც კი, თვლიდა დეიდა ბანუ, ალაჰს შეეძლო ეპატიებინა მისთვის, რომ „შეყვარებული აივის წყევლაზე“ ფიქრობდა და აინტერესებდა, რა ხდებოდა ფილმში, მაშინ, როდესაც თავად ცოდვებს ინანიებდა... მაგრამ როგორ გამოტოვა ეს გადაცემა ახლა, როდესაც საამისოდ არანაირი მიზეზი არ არსებობდა? ნუთუ ასე დაკავებული იყო მისი გონება? არ უნდა სცოდნოდა, ამდენად თუ ჰქონდა აბნეული თავგზა?

უეცრად დეიდა ბანუმ შენიშნა, რომ გოგონები თავთავიანთ სკამებზე ისხდნენ და სწორედ მას უთვალთვალებდნენ. ბანუმ თავი უხერხულად იგრძნო. ალბათ, იმასაც მიხვდა, რომ საპნის ოპერა დამთავრებულიყო და ახალგაზრდები შესაძლოა ახლა დაცინვის ახალ ობიექტს ეძებდნენ. თუმცა, ასიას თითქოს კიდევ სხვა რამ ჰქონდა ჩაფიქრებული.

- არმანუშს აინტერესებს, ტაროს კარტზე თუ შეგიძლია უმკითხაო?

- რაში სჭირდება? - წყნარად თქვა დეიდა ბანუმ, - უთხარი, რომ ბრწყინვალე მომავლის მქონე ლამაზი და ჭკვიანი ახალგაზრდა ქალია. მომავლის გაგება მხოლოდ იმათ სჭირდებათ, ვისაც მომავალი არა აქვს.

- მაშინ მოხალულ თხილზე უმკითხავე, - არ ეშვებოდა ასია, დეიდა ბანუს ნათქვამი კი არმანუშისათვის არ გადაუთარგმნია.

- თხილზე აღარ ვმკითხაობ, - დანანებით თქვა დეიდა ბანუმ, - არც ისეთი კარგი მეთოდი გამოდგა.

- ხომ გეუბნებოდი, დეიდაჩემი პოზიტივისტი მედიუმია. თითოეულ წინასწარმეტყველებაში მეცნიერულად ზომავს შეცდომის დასაშვებ ზღვარს, - უთხრა ასიამ არმანუშს ინგლისურად, მაგრამ მერე ისევ სერიოზულად განაგრძო თურქულად, - კარგი, მაშინ ყავის ჭიქებზე გვიმკითხავე.

- აი, ეს სხვა საქმეა, - დაეთანხმა დეიდა ბანუ. ყავის ჭიქებზე უარის თქმა არ შეეძლო, - ეს ყოველთვის შემიძლია.

ყავა მოადუღეს, არმანუშისათვის - უშაქროდ, ასიასთვის - ბევრი შაქრით, თუმცა, ამ უკანასკნელს არც უნდოდა, რომ მისთვის ემკითხავათ. კოფეინი სჭირდებოდა და არა ბედისწერის ცოდნა.

როცა არმანუშმა ყავის დალევა მოათავა, ფინჯანს ლამბაქი დააფარეს, ხელი მაგრად დააჭირეს და ჰორიზონტალურ წრეზე სამჯერ დაატრიალეს. მერე ყავის ფინჯანი ლამბაქზე ამოატრიალეს, ყავის ნაფქვავი ნელ-ნელა რომ ჩამოსულიყო და ნაყშები დაეტოვებინა. როცა ფინჯნის ფსკერი გაგრილდა, ჭიქა ამოაბრუნეს და დეიდა ბანუც ნახატების კითხვას შეუდგა. საათის ისრის მიმართულებით მიჰყვა.

- ძალიან შეწუხებულ ქალს ვხედავ.

- დედაჩემი იქნება, - ამოიოხრა არმანუშმა.

- ძალიან არის შეწუხებული. სულ შენზე ფიქრობს, ძალიან უყვარხარ, მაგრამ მისი სული დათრგუნვილია. აქ დიდი ქალაქია, წითელი ხიდებით. წყალია, ზღვა, ქარი და... ნისლი. ოჯახს ვხედავ, ბევრნი არი-

ან - შეხედე, უამრავი ხალხია, დიდი სიყვარული და მზრუნველობაა, ბევრი საჭმელი... ძალიან...

არმანუშმა თავი დააქნია. ცოტა შეცბუნებული იყო, ასე რომ გაიშიფრა.

- მერე... - თქვა დეიდა ბანუმ, ფინჯნის ფსკერზე ჩაბუდებული ცუდი ამბავი გამოტოვა. აღარ თქვა, ძალიან, ძალიან შორს მოკლე ხანში საფლავზე მიმობნეულ ყვავილებს ვხედავო. ბანუმ პუტკუნა თითებს შორის მოქცეული ფინჯანი შემოაბრუნა. ამჯერად იმაზე ხმამაღლა მოუვიდა, ვიდრე ჩაფიქრებული ჰქონდა. მისმა ხმამ სამივე შეაშინა, - ო, ახალგაზრდა კაცია, რომელსაც ძალიან ენაღვლები, მაგრამ ფარდის უკან რა უნდა?.. ფარდასავით რაღაცაა.

არმანუშს გულმა რეჩხი უყო.

- შეიძლება, რომ ეს კომპიუტერის ეკრანი იყოს? - იანცა ასიამ, როგორც კი სულთან მეხუთე კალთაში ჩაუხტა.

- ყავის ნაფქვავში კომპიუტერებს არ ვხედავ, - გააპროტესტა დეიდა ბანუმ. არ უყვარდა ტექნოლოგიის თავის მედიუმურ სამყაროსთან არევა.

დეიდა ბანუმ შთამბეჭდავი პაუზა გააკეთა, ფინჯანი ოდნავ შემოაბრუნა და ისევ გაჩერდა. სახეზე მღელვარება დაეტყო.

- შენი ასაკის გოგოს ვხედავ. ხვეული თმა აქვს, შავი, ურწყვი შავი... სავსე მკერდი...

- გმადლობ, დეიდა, გასაგებია, - ჩაიხითხითა ასიამ, - მაგრამ შენი ნათესავები ყველა ჭიქაში არ უნდა ჩასვა. ამას ნეპოტიზმი ჰქვია.

დეიდა ბანუმ თვალები მოჭუტა. სრულიად არ ღელავდა. - თოკია, მსხვილი, მაგარი თოკი. ცალ მხარეს ქამანდივით მარყუჟი აქვს. გოგონებო, თქვენ ერთმანეთს ძლიერი კავშირით მიეჯაჭვებით... სულიერი კავშირით...

დეიდა ბანუმ გოგონებს იმედი გაუცრუა და ამის მეტი არაფერი უთქვამს. მკითხაობა შეწყვიტა, ყავის ფინჯანი ლამბაქზე დადო და ცივი წყლით აავსო ისე, რომ ნაყშები ერთმანეთში აირ-დაირია და იქამდე გაქრა, ვიდრე ვინმე, კეთილი თუ ბოროტი, ჭიქაში ჩაჭყეტას მოასწრებ-

და. ეს იყო ერთადერთი დადებითი რამ, რაც ყავაზე მკითხაობას ახასიათებდა: ალაჰის მიერ დაწერილი ბედისწერისაგან განსხვავებით, იღბალი, რომელსაც ყავა წერდა, ყოველთვის შეგეძლოთ გამოგერეცხათ.

* * *

კაფე „კუნდერასაკენ“ მიმავალმა გოგონებმა ბორნით გაისეირნეს და არმანუშს ქალაქიც მთელი სიგრძე-სიგანითა და დიდებულებით წარმოუდგა თვალწინ. მგზავრები, ისევე როგორც თავად ბორანი, დაქანცულები ჩანდნენ, მაგრამ როდესაც ლაჟვარდისფერ ზღვაში რომელიღაც უზარმაზარმა ხომალდმა შეცურა, უეცრად ამოვარდნილმა ქარმა დაღლილობა ერთბაშად გაფანტა. ბორანში შეკრებილების ზუზუნი მთელი წუთის განმავლობაში იმატებდა, მერე კი მონოტონურ გუგუნში გადაიზარდა და სხვა ხმებს შეუერთდა: ძრავის გრუხუნი, ბორტის გარეთ რომ იყო, ტალღების ტყლაშუნი, თოლიების ჭყივილი. არმანუშმა აღფრთოვანებულმა შეამჩნია,

როგორ აედევნენ ნაპირიდან ბორანს ზარმაცი თოლიები. თითქმის ყველა, ვინც ბორანზე იყო, ფრინველებს სიმითის ნატეხებს აჭმევდა,- ქუნჯუტის თესლებიანი, მორკალული პურის ნატეხებს, რომლის მირთმევა ხორციჭამია ჩიტებს განუმეორებელი სიამოვნება ეგონათ.

კლასიკურად ჩაცმული ტანსრული ქალი და მისი მოზარდი ვაჟიშვილი სწორედ ამისა და ასიას პირისპირ ისხდნენ გრძელ სკამზე, გვერდიგვერდ, მაგრამ დედა-შვილს ერთმანეთისაგან მთელი სამყარო აშორებდა. ქალის გამომეტყველებიდან გამომდინარე, არმანუშს შეეძლო ეთქვა, რომ ეს ადამიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დიდი მოყვარული არ იყო და რომ შესძლებოდა, ღარიბულად ჩაცმულ ყველა მგზავრს ზღვაში გადაუძახებდა. მსხვილჩარჩოიან სათვალეს ამოფარებული ვაჟიშვილი ნახევრად შეცბუნებული ჩანდა დედამისის თავდაჭერილობის გამო. „ფლანერი ო’კონორის გმირებს ჰგვანან“, - გაიფიქრა არმანუშმა.

- კიდევ მითხარი რამე ბარონზე, - სრულიად მოულოდნელად თქვა ასიამ, - ფიზიკურად როგორია? რამდენი წლის არის?

არმანუშს სახეზე ალმური მოედო. ზამთრის მზის კაშკაშა სინათლე სქელ ღრუბლებში ატანდა. მის ფონზე გოგონას სახე სწორედ ისეთი ჩანდა, უგონო შეყვარებულ ახალგაზრდა ქალებს რომ აქვთ ხოლმე.

- არ ვიცი. პირადად არასოდეს შევხვედრივარ. ხომ გესმის, კიბერ-მეგობრები ვართ. მე მგონი, მისი ინტელექტი და ვნება მხიბლავს.

- არ გინდა, ერთხელაც შეხვდე?

- თან კი, თან არა, - აღიარა არმანუშმა, მას შემდეგ, რაც ბორნის სიღრმეში მოწყობილ ხალხით გადაჭედილ ბუფეტში სიმითი იყიდა. ფუნთუშას ერთი ნატეხი მოაციცქნა და გემბანზე შემოვლებულ მოაჯირს მიეყრდნო. ხელში ნამცეცი ეჭირა და თოლიის მოახლოებას ელოდა.

- არ უნდა დაელოდო, ახლოს როდის მოვლენ, - გაეღიმა ასიას, - სიმითის ნატეხი უბრალოდ ჰაერში აისროლე და თოლიაც მაშინვე დაიჭერს.

არმანუშმა ისე გააკეთა, როგორც უთხრეს. ცაში, სადაც არაფერი ჭაჭანებდა, საიდანღაც თოლია გაჩნდა და ნუგბარს მუცელში გადაუძახა.

- ვკვდები, ისე მინდა, მის შესახებ მეტი ვიცოდე, მაგრამ გულის სიღრმეში მსურს, არასოდეს შევხვდე. როცა ვიღაცას ხვდები, მთელი ჯადოსნობა სადღაც ქრება. ვერ გადავიტან, მასთან ასე რომ მოხდეს. მეტისმეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის. პაემნები და სექსი უბრალოდ სხვა რამეა, ისეთი დახლართული...

ამჯერად გოგონები იმ შავბნელ ზონას მიუახლოვდნენ, რომელსაც სამი ხელშეუხებელი რამ იცავს. ეს მართლაც კარგის ნიშანი გახლდათ, რომელიც იმას მოასწავებდა, რომ არმანუში და ასია ერთმანეთს უფრო მეტად უახლოვდებოდნენ.

- ჯადოსნობა! - თქვა ასიამ, - ვის რაში სჭირდება? ზღაპრები ლეილასა და მაჯნუნის, იუსუფისა და ზულეიჰას, პეპლისა და სანთლის, ანდა ბულბულისა და ვარდის შესახებ... შორიდან ტრფობის სახეები, შეჯვარება შეხების გარეშე - Amor platonicus! სიყვარულის კიბეზე მაღლა და მაღლა უნდა ახვიდე, საკუთარი თავიც უნდა გაამხნევო და სხვაც. ნე-

ბისმიერი სახის ფაქტობრივ ფიზიკურ კონტაქტს პლატონი ცალსახად ბიწიერად და სამარცხვინოდ მიიჩნევს, რადგან თვლის, რომ ეროსის ნამდვილი მიზანი სილამაზეა. ნუთუ არანაირი სილამაზე არ არის სექსში? პლატონის მიხედვით, არა. პლატონი „უფრო ამაღლებულ მისწრაფებებს“ მისდევს, მაგრამ მე თუ მკითხავ, მისი, როგორც ბევრი სხვა ვიღაცის, პრობლემა ის არის, რომ წესიერად არასოდეს უჟიმავია.

განცვიფრებულმა არმანუშმა მეგობარს შეხედა და ენის ბორძიკით თქვა:

- მეგონა, ფილოსოფია გიყვარდა... - ამიმ ხეირიანად არც იცოდა, რატომ თქვა ეს სიტყვები.

- მე აღფრთოვანებული ვარ ფილოსოფიით, - გამოტყდა ასია, - მაგრამ ეს მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, რომ ფილოსოფოსებს ვეთანხმები.

- ანუ უნდა ვიფიქრო, რომ პლატონური სიყვარულის დიდი ფანი არა ხარ?

ასია კაზანჯის ერჩია, ასეთი ამბები თავისთვის შეენახა. განა იმიტომ, რომ არმანუშის კითხვაზე პასუხის გაცემა იყო შეუძლებელი, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი პასუხის შედეგისა ეშინოდა. არმანუში ისეთი ზრდილობიანი და წესიერი იყო, რომ ასიას მისი დაფრთხობა არ უნდოდა. საერთოდ, როგორ უნდა ეთქვა ახლა არმანუშისათვის, რომ მხოლოდ ცხრამეტი წლისა იყო და უკვე ბევრ მამაკაცს წაეტანებინა მისთვის ხელი, მაგრამ ამის გამო ერთი ბეწო დანაშაულის გრძნობასაც კი არ განიცდიდა? ამასთან, როგორ უნდა ეთქვა სიმართლე უცხო ადამიანისათვის ისე, რომ ამ უკანასკნელს მცდარი წარმოდგენა არ შექმნოდა „თურქი გოგონების უბიწოებაზე“?

ამ სახის „ეროვნული პასუხისმგებლობა“ სრულიად უცხო იყო ასია კაზანჯისათვის. მანამდე არასოდეს უგრძნია თავი კოლექტივის ნაწილად და საამისოდ რამენაირი განზრახვა არც ახლა ჰქონდა, არც სამომავლოდ,თუმცა, საკმაოდ კარგად ასრულებდა სრულიად სხვა ადამიანის პაროდიას, რომელიც წინაღამით პატრიოტად გარდასახულიყო. როგორ უნდა გადაებიჯებინა საკუთარი ეროვნული იდენტურობისათ-

ვის და წარედგინა არმანუშისათვის თავისი ნამდვილი, ცოდვილი „მე“? შეეძლო კი ეთქვა მისთვის: გულის სიღრმეში მჯერა, რომ მხოლოდ მამაკაცთან სექსის შემდეგ შეიძლება იყო დარწმუნებული, რომ შენი შესაფერისი ადამიანიაო; მხოლოდ ლოგინში ამოდის ზედაპირზე ადამიანების უჩინარი, თანდაყოლილი კომპლექსები და მიუხედავად იმისა, მუდამჟამს რას ვარაუდობდნენ ადამიანები, სინამდვილეში სექსი გაცილებით მეტად ეკუთვნის გრძნობების სფეროს, ვიდრე სხეულისასო. როგორ უნდა გაშიშვლებულიყო და ეთქვა, რომ წარსულში თითქოსდა მამაკაცებზე შურის საძიებლად უამრავი კავშირი ჰქონდა, ძალიან ბევრი. თუმცა, ახლაც არ იცოდა, რისთვის უნდა ეძია შური. ბევრი ბოიფრენდი ჰყოლია, ზოგჯერ ერთდროულადაც. პოლიგამიურ თავგადასავლებს, ყოველთვის დიდი ტკივილით რომ მთავრდებოდა და საიდუმლოებათა გროვად ქუჩდებოდა, ასია მოხერხებულად არიდებდა კაზანჯების სახლის კედლებს. შეეძლო კი ასიას ამის გახმაურება? გაუგებდა კი არმანუში ისე, რომ არ გაეკიცხა? შეეძლო კი მას ჭეშმარიტად, ნამდვილად ჩაეხედა ასიას სულში საკუთარი სტერილური ციხესიმაგრის საფეხურებიდან?

შეეძლო კი ასიას გამოსტყდომოდა არმანუშს, რომ ერთხელ თავის მოკვლა სცადა. ამ საზიზღრობამ ორი მთავარი რამ ასწავლა: შეშლილი დეიდის აბების დალევა თავის მოსაკლავად შესაფერისი ხერხი არ იყო და თუ თავის მოკვლა გინდოდათ, იმ შემთხვევისათვის, თუ გადარჩებოდით, ხელში მომხდარის გონივრული ახსნა-განმარტება უნდა გქონოდათ, რადგანაც ყველა მხრიდან გაიგონებდით კითხვას:

„რ ა ტ ო მ?“

განა შეეძლო ისიც ეთქვა, ამ კითხვაზე პასუხის პოვნა ვერ შევძელი, გარდა იმისა, რომ ვიმიზეზებ, ძალიან ახალგაზრდა, ძალიან გაბრაზებული და ძალიან ღრმა ვარ იმ სამყაროსთვის, რომელშიც ვცხოვრობო? ჰქონდა ამ ყველაფერს რაიმე მნიშვნელობა არმანუშისათვის?

მერე ისიც უნდა გაემხილა, რომ ბოლო დროს სტაბილურობისა და სიმშვიდისაკენ გარკვეული ნაბიჯები გადაედგა და ახლა უკვე მონოგამიური ურთიერთობა ჰქონდა, ოღონდ ორჯერ უფროს ცოლიან მამაკაც-

თან, რომელსაც დროდადრო სექსის, მარიხუანასა და მარტოობისაგან თავშესაფრის გასაზიარებლად ხვდებოდა? მართალი თუ გინდათ, როგორ უნდა ეთქვა არმანუშისათვის, რომ თავად იყო ერთი პატარა უბედურება?

იმის ნაცვლად, რომ ამისათვის პასუხი გაეცა, ასიამ ზურგჩანთიდან აუდიოფლეერი ამოიღო და ერთი, მხოლოდ ერთი სიმღერის მოსმენის ნება ითხოვა. ჯონი კეშის ერთი ულუფა ახლა მართლაც სჭირდებოდა. ცალი ყურსასმენი არმანუშს მიაწოდა. დაღლილმა ამიმ ასიას ყურსასმენი გამოართვა და ჰკითხა: - ჯონი კეშის რომელი სიმღერის მოსმენას ვაპირებთ ახლა? - „Dirty Old Egg-Suckin' Dog!"

- სიმღერას ჰქვია ასე? ასეთი სიმღერა არ ვიცი.

- ჰო, - სერიოზული ტონით თქვა ასიამ, - იწყება. მოუსმინე.

სიმღერაც დაიწყო. უღიმღამო პრელუდიას თოლიების ჭყივილსა და ბექების თურქულ ვოკალიზაციასთან შერწყმული ქანთრის მელოდიები მოჰყვა.

უსმენდა არმანუში სიმღერას და მეტისმეტად გაოგნებული იყო დისონანსით, სიტყვებსა და მუსიკას შორის რომ იყო, იმისათვის რომ „Dirty Old Egg-Suckin' Dog!" მოსწონებოდა. უცებ მიხვდა, რომ სიმღერა ასიას ჰგავდა, - წინააღმდეგობებით სავსე და ზნეიანი, საერთოდ რომ ვერ ეწყობოდა გარე სამყაროს; მგრძნობიარე, რეაქტიული და ნებისმიერ წუთს ასაფეთქებლად გამზადებული.

არმანუში უკან გადაიხარა. ბექების სუსტი, გაურკვეველი ხმაური მოსაწყენ ზუზუნში გადაიზარდა, სიმითის ნატეხები ჰაერში გაიფანტა, ჯადოქრობის შეგრძნებას კი ზღვის ბრიზი ერეკებოდა. წყალზე თანაბრად მისრიალებდა ბორანიც და იმ თევზების აჩრდილებიც, ოდესღაც ამ წყლებში რომ ცხოვრობდნენ და მგზავრებთან ერთად მიცურავდნენ გაუმჭვირვალე, ბლანტი ლაჟვარდის ზღვაში.

თითქმის ნაპირთან იყვნენ, სიმღერა რომ დამთავრდა. ზოგიერთი მგზავრი გემბანიდან იქამდე გადახტა, ვიდრე ბორანი დოკს მიაღწევდა. არმანუში გაოცებული ადევნებდა თვალს ამ აკრობატულ წარმოდგე-

ნას და აღფრთოვანებით ფიქრობდა უამრავ უნარ-ჩვევაზე, სტამბოლელებს ქალაქისათვის ფეხის ასაყოლებლად რომ შეეძინათ.

თხუთმეტი წუთის შემდეგ კაფე „კუნდერას“ მორყეული, ხის კარი წკარუნით გაიღო და კაფეში ასია კაზანჯი შევიდა. თავად მოვარდისფრო-მოიისფრო ჰიპური კაბა ეცვა, სტუმარს კი, მას რომ ახლდა, ჯინსი და უბრალო სვიტერი. ადამიანები, რომლებსაც ჩვეულებრივ ხვდებოდა ხოლმე, ჩვეულ ადგილსა და ჩვეულ პოზებში დახვდნენ.

- გაუმარჯოს ყველას! - მხიარულად თქვა ასიამ, - ეს ამია, ამერიკელი მეგობარი.

- გამარჯობა, ამი! - უნისონში მიესალმნენ არმანუშს, - კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა სტამბოლში!

- აქ პირველად ხარ? - იკითხა ვიღაცამ. მერე სხვებმაც დაიწყეს გამოკითხვა:

- მოგწონს ქალაქი?

- აქაური საჭმელი მოგწონს?

- რამდენ ხანს დარჩები? - ჩამოსვლას ისევ გეგმავ?

არმანუში გულთბილად მიიღეს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც კაფე „კუნდერაში“ გამეფებულ ნელ რიტმს ვერაფერი დაარღვევდა, ჩვეულ, გაუთავებელ აპათიას ისევ სწრაფად დაუბრუნდნენ. მათ, ვისაც სისწრაფე და ცვლილებები სჭირდებოდა, შეეძლოთ უბრალოდ გარეთ გასულიყვნენ, რადგან ქალაქის ქუჩებში გვარიანი სისწრაფეც იყო და ცვლილებებიც. რაც შეეხება თავად კაფე „კუნდერას“, აქ თითქმის სავალდებულო სიზანტე და მარადიული განმეორება სუფევდა. ეს იყო აკვიატებული აზრების, განმეორებებისა და მანიების ადგილი განკუთვნილი მათთვის, ვისაც არ უნდოდა რაიმე საერთო ჰქონოდა უფრო დიდ სურათთან, თუკი ასეთი მართლაც არსებობდა.

კითხვებს შორის პაუზებში არმანუში გულდასმით აკვირდებოდა კაფესაც და იქ შეკრებილ ადამიანებსაც. ცდილობდა, ინტუიციურად გამოეცნო, რატომ ერქვა ამ ადგილს კუნდერას სახელი.

ყველაფერმა, უხეშ რეალობასა და ვერაგ ფანტაზიასშორის არსებულმა მუდმივმა წინააღმდეგობამ, „ხალხი გარედან ხალხის შიგნიდან

წინააღმდეგ“ ცნებამ, აქაურობის ზღაპრულმა ელფერმა და ბოლოს, მამაკაცების ისეთმა მოღუშულმა სახეებმა, თითქოს თავგადაკლული ფიქრობდნენ, რომელი ავირჩიოთ, აწეწილ-დაწეწილი სასიყვარულო თავგადასავლების ტვირთი თუ ნახევარი სიმართლის სიმსუბუქეო, არმანუშს ერთი სცენა გაახსენა კუნდერას ერთ-ერთი რომანიდან. თევზების დარად, რომლებსაც, ალბათ, არ შესწევთ ძალა, გაითავისონ ოკეანის უსასრულობა მღვრიე წყლების ფარდის მიღმა, რომლებშიც თავად დაცურავენ, კაფე „კუნდერაში“ შეკრებილებმაც არ იცოდნენ, ვერც ეცოდინებოდათ ის, რაც ამიმ იცოდა, რადგან მეტისმეტად იყვნენ საკუთარი ყოფით შეფუთვნილები, მასში გამომწყვდეულები. იმის გამო, რომ თურქულ კაფეს კუნდერასეულ ერთ-ერთ სცენას ამსგავსებდა, არმანუშის ინტერესი მხოლოდ გაორკეცდა. ბევრი სხვა რამეც შეამჩნია, მათ შორის ისიც, რომ ყველა, ვინც სუფრასთან იყო, ინგლისურად ლაპარაკობდა, თუმცა, რაღაცნაირი აქცენტითა და გრამატიკული შეცდომებით. ისე ჩანდა, თითქოს თურქულიდან ინგლისურზე გა დასვლა მათთვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

თავიდან არმანუშმა მათი ძალდაუტანებლობა თავდაჯერებას მიაწერა, მაგრამ დღის ბოლოსათვის ეჭვობდა, ფაქტორი, რომელიც კაფეში შეკრებილებს ბუნებრიობის შენარჩუნებაში ეხმარებოდა, უფრო იმაში მდგომარეობს, რომ ამ ადამიანებს საერთოდ არც ერთ ენაში არა აქვთ საკუთარი თავის იმედი, ვიდრე იმაში, რომ ძალიან დანდობილები არიან ინგლისურში თავიანთ შესაძლებლობებზეო.

ისე იქცეოდნენ და საუბრობდნენ, თითქოს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რასაც ამბობდნენ და როგორც ამბობდნენ, თითქოს შეუძლებელი იყო საკუთარი შინაგანი „მე“-ს ბოლომდე გამოხატვა და ენაც, ბოლოს და ბოლოს, დიდი ხნის წინ შიგნიდან ამძაღებული ცარიელი სიტყვების აყროლებული მძორი იყო.

არამანუშმა ისიც შეამჩნია, რომ კედლებზე ჩამოკიდებული გზების ჩარჩოებიანი სურათების უმეტესობა დასავლურ ქვეყნებში ანდა ეგზოტიკურ ადგილებში გამავალ გზებს ასახავდა. ამიმ დაადგინა, რომ კაფე „კუნდერაში“ მხოლოდ რამდენიმე სურათი იყო ისეთი, დასავლეთთა-

ნაც რომ ჰქონდა საერთო და ეგზოტიკასთანაც, მაგრამ ის კი ვეღარ გაეგო, რატომ და რისთვის. იქნებ აქ ფანტაზიის აღმაფრენა დასავლეთისკენ მოძრაობაზე იყო ორიენტირებული, ანდა შორეული ეგზოტიკური მიწისაკენ მიისწრაფოდა.

კაფეში შავგვრემანი, თხელი აღნაგობის ქუჩის მოვაჭრე შემოიძურწა, ემალებოდა ოფიციანტებს, მისი გარეთ გაძახება რომ შეეძლოთ. კაცს ხელში უზარმაზარი სინი ეჭირა. სინზე ყინულის ნაჭრები ეწყო, ყინულის ნაჭრებზე - გაუფცქვნელი ყვითელი ნუში.

- ნუში! - ისე დაიძახა ნუშის გამყიდველმა, თითქოს თავგამოდებით უხმობდა ვიღაცას სახელით.

- აქეთ! - შესძახა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმაც ისე, თითქოს დაძახილს ეხმიანებოდა. ნუში კარგად წავიდოდა იმაზე, რასაც იმ მომენტში სვამდა, ანუ ლუდზე. მხატვარს უკვე დაეტოვებინა ანონიმურ ალკოჰოლიკთა ორგანიზაცია.

ასე იმდენად დამღუპველი ჩვევის მიზეზით არ მოქცეულა, რამდენადაც დაკვირვებულობის გამო - ვერ ხედავდა საფუძველს, რომლის გამოც საკუთარი თავისთვის ალკოჰოლიკი უნდა ეწოდებინა მაშინ, როდესაც არ იყო. ეჩვენებოდა, რომ ამ ამბავში გულწრფელობა არ იყო. სამაგიეროდ, საკუთარი თავის ზედამხედველობა განეზრახა. ერთი ულუფა ლუდი უკვე გადაეხუხა და კიდევ ორს იმავეს უპირებდა, მერე კი გაჩერდებოდა. დიახ, ყველას არწმუნებდა, რომ ამგვარ დისციპლინას ვიღაც სპეციალისტის უბადრუკი მითითებების გარეშე მოაბამდა თავს. ამგვარი შეუპოვრობით აღსავსემ ოთხი ჩამჩა ნუში აიღო და მაგიდის შუაგულში დაახვავა ისე, რომ ყველა ადვილად მისწვდომოდა.

ამასობაში არმანუშის გონება ფიქრით იყო დაკავებული. გოგონა გამხდარ, აყლაყუდა ოფიციანტს უყურებდა, დაბნეულს რომ ჰგავდა, ყველა შეკვეთას იღებდა და თითქოს უკვირდა კიდეც, ამდენ მსმელ ხალხს რომ ხედავდა. ამის ის ზოგადი კომენტარი გაახსენდა, წინა ღამით თურქებისა და ალკოჰოლის შესახებ რომ გააკეთა. ნეტავ თუ უნდა ეხსენებინა ახალ მეგობრებთან „კაფე კონსტანტინოპოლიდან“ ალკო-

ჰოლისადმი თურქების სიყვარული? რა უნდა გაემხილა მათთვის იქიდან, რაც კაფე „კუნდერაში“ ხდებოდა?

ოფიციანტი რამდენიმე წუთში დაბრუნდა, თან ქაფმოდებული ლუდის დიდრონი ჭიქა მოიტანა ალკოჰოლიკი კარიკატურისტისათვის, დანარჩენებისთვის კი მშრალი წითელი ღვინის ერთი გრაფინი. ვიდრე ოფიციანტი მუქ სისხლისფერ სითხეს მოხდენილ ჭიქებში ასხამდა, არმანუშმა შემთხვევით ისარგებლა და მაგიდის ირგვლივ მსხდომ ადამიანებს დააკვირდა. ჩათვალა, რომ თავშეუკავებელი ქალი იმ მამაკაცის ცოლი იყო, ცხვირი კარტოფილს რომ მიუგავდა. ცოლ-ქმარი გვერდიგვერდ კი იჯდა, მაგრამ ერთმანეთს ძალიან დიდი მანძილი აშორებდათ. ერთიმეორის მიყოლებით შეათვალიერა არმანუშმა ალკოჰოლიკი კარიკატურისტის ცოლი, ალკოჰოლიკი კარიკატურისტი, შენიღბული ჰომოსექსუალი კორესპონდენტი, გამორჩეულად უნიჭო პოეტი, ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტი და... არმანუშმა ცოტა უფრო დიდხანს ვერ მოსწყვიტა თვალი ახალგაზრდა, სექსუალურ, მუქთმიან ქალს, მის წინ რომ იჯდა. ეს უკანასკნელი ამ ჯგუფის წევრს არ ჰგავდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რაღაცნაირი ულაზათო კავშირი მაინც ჰქონდა კაფეში შეკრებილებთან. აშკარად მობილური ტელეფონის ქალი იყო.

მუქთმიანი ქალი ვარდისფერ, პრიალა ტელეფონს ხელში ათამაშებდა, ტკაცუნით ხსნიდა ისე, რომ საამისოდ აშკარა მიზეზი არ ჰქონდა, ხან ერთ ღილაკს აჭერდა ხელს, ხან მეორეს, გზავნიდა ანიღებდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს და ერთთავად გადართული იყო ამ პატარა მოწყობილობაზე. ქალი დროდადრო წვერიანი მამაკაცისაკენ იწევდა, გვერდით რომ ეჯდა, და ყურზე ცხვირს წაჰკრავდა ხოლმე. ეჭვი არ იყო, რომ ეს ქალი ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტის ახალი შეყვარებული გახლდათ.

- გუშინ ტატუ გავიკეთე, - ეს სიტყვები იმდენად ამოგლეჯილი იყო კონტექსტიდან, რომ არმანუშმა იმწუთას ვერ გაარკვია, ვიღაცას მიმართავდნენ თუ მხოლოდ და მხოლოდ მას. თუმცა, წმინდა წყლის მოწყენილობის თუ იმის გამო, რომ ადამიანისათვის, რომელიც მის გარდა

ერთადერთი იყო, ვისაც ბოლო დროს ჯგუფში შეებიჯებინა, ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტის შეყვარებული სწორედ არმანუშს ელაპარაკებოდა, - გინდა, ნახო?

- მაგარია, - თქვა არმანუშმა ჭიპის გარშემო შემოგრაგნილ სისხლივით წითელ ველურ ორქიდეაზე.

ქალი გაიკრიჭა. კმაყოფილი იყო.

- გმადლობ, - თქვა ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტის შეყვარებულმა, თან ტუჩებზე ხელსახოცს ითათუნებდა, თუმცა, არაფერი უჭამია.

ამასობაში ქალს ასიაც აკვირდებოდა, თუმცა, მის მზერაში გაცილებით მეტი გაკიცხვა იგრძნობოდა. მორიგ მდედრთან შეხვედრის შემდეგ ასია კაზანჯის ორი ჩვეული რამიდან ერთ-ერთი შეეძლო გაეკეთებინა: დალოდებოდა და ენახა, როდის შეიძულებდა ეს ქალი, ანდა ყველაზე მოკლე გზა აერჩია და უმალ თავად შეეძულებინა მეტოქე. ასიამ მეორე აირჩია. უკან გადაიხარა, საჩვენებელ თითსა და ცერს შორის მოქცეული ჭიქა აიღო და წითელ სითხეს დააკვირდა. ჭიქისთვის თვალი მაშინაც კი არ მოუშორებია, როცა ლაპარაკი დაიწყო.

- სინამდვილეში, როდესაც ვიხსენებთ, რამდენად ძველია ტატუირების ტრადიცია... - თქვა ასიამ, მაგრამ წინადადება არ დაუმთავრებია. სამაგიეროდ, ახალი ფრაზა წამოიწყო, - ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მკვლევრებმა იტალიის ალპებში კარგად შენახული ცხედარი აღმოაჩინეს. ხუთი ათას წელზე მეტი ხნისა იყო. ტანზე ორმოცდაჩვიდმეტი ტატუ ჰქონდა. მსოფლიოში უძველესი ტატუები!

- მართლა? - იკითხა არმანუშმა, - ნეტავ იმ დროში როგორ ტატუებს აკეთებდნენ?

- ხშირად ისვირინგებდნენ ცხოველებს, თავიანთ ტოტემებს... სახედრებს, ირმებს, ბუს, მთის ვერძს და, რა თქმა უნდა, გველებს. დარწმუნებული ვარ, გველებზე ყოველთვის იყო მოთხოვნა.

- ჰო, ხუთი ათას წელიწადზე მეტი ხნის! - აღფრთოვანებას ვერ მალავდა ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტის ახალი შეყვარებული.

- მე მგონი, იმ კაცს ჭიპზე არ ჰქონდა ტატუ! - მიუღუღუნა ქალს სცენარისტმა, რასაც სიცილი, მერე კი კოცნა და გულში ჩაკონება მოჰყვა.

ქუჩაში, ტროტუარზე, რამდენიმე მაგიდა უთავბოლოდ დაედგათ. ერთ-ერთს მოღუშული წყვილი მიუჯდა. მეორე მაგიდასთან კიდევ ერთი წყვილი მოთავსდა, სერიოზული და დაძაბული ქალაქური სახეები რომ ჰქონდათ. არმანუში მათ მიხრა-მოხრას ცნობისმოყვარედ ადევნებდა თვალს. ეს ადამიანები მას ფიცჯერალდის ერთი რომანის გმირებს აგონებდნენ.

- სვირინგებს რაღაცნაირად ვაკავშირებთ თვითმყოფადობასთან, გამომგონებლობასა და მოდერნიზმთანაც კი. სინამდვილეში, ჭიპის გარშემო გაკეთებული ტატუს ტარება ერთ-ერთი უძველესი ტრადიციაა მსოფლიო ისტორიაში. ნება მომეცით, შეგახსენოთ, რომ XIX საუკუნის მიწურულს, დასავლელი არქეოლოგების ჯგუფმა ერთი მუმიფიცირებული ცხედარი აღმოაჩინა. ეგვიპტელ პრინცესას, სახელად ამუნეთს ეკუთვნოდა. მერე რა მოხდა? ტატუ ჰქონდა. აბა, სად? - ასია სცენარისტს მიუბრუნდა და პირდაპირ თვალებში ჩახედა, - ჭიპზე!

სცენარისტმა თვალები დაახამხამა. ინფორმაციის ზღვას საგონებელშიჩაეგდო. მისი ახალი შეყვარებულიც მასავით განცვიფრებული ჩანდა.

- ამდენი რამე საიდან იცი? - იკითხა ქალმა.

- ტატუს სალონი აქვს დედამისს, - სასხვათაშორისოდ შენიშნა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა, თან ასიას არ აშორებდა თვალს. კარიკატურისტი სკამში ჩაეშვა. თავს ძლივს იკავებდა, რომ გაბრაზებული ასიასათვის ტუჩები არ დაეკოცნა, ხმაურის ატეხის გარეშე კიდევ ერთი ლუდი არ მოეთხოვა და იმ კაცის როლის თამაში არ შეეწყვიტა, რომელსაც არ წარმოადგენდა.

ალკოჰოლიკი კარიკატურისტის გუნება-განწყობა არავის შეუმჩნევია, ერთი ადამიანის გარდა. არმანუშმა შენიშნა, როგორი სითბო ჩაეღვარა თვალებში მხატვარს, როდესაც ასიას შეხედა და მიხვდა, რომ ამ კაცს შეიძლებოდა ასია ჰყვარებოდა. ასია კი ამ დროს სულ სხვა ხასიათზე გახლდათ. თვალჩაციებული ემზადებოდა ულტრანაციონა-

ლისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტის ახალ შეყვარებულზე მორიგი იერიშის მისატანად. ასია კაზანჯი წინ დაიხარა და თქვა:

- თუმცა, ტატუ შეიძლება ძალიან სახიფათო იყოს, - ასიამ რამდენიმე წუთი მოიცადა იქამდე, ვიდრე სიტყვას „სახიფათო“ ადრესატის გონება ჩასწვდებოდა, - გამოყენებული ინსტრუმენტები ძალიან კარგად უნდა იყოს დეზინფიცირებული, მაგრამ საქმე ის არის, რომ დასნებოვნების რისკთან დაკავშირებით ასი პროცენტით დარწმუნებული ვერასოდეს იქნები, რაც, რა თქმა უნდა, სერიოზული საკითხია იმის გათვალისწინებით, რომ ნემსების საშუალებით მელნის კანში შეყვანა ტატუირების ყველაზე გავრცელებული მეთოდია...

სიტყვა „ნემსები“ ისე ავის მომასწავებლად იყო ნათქვამი, რომ ყველას, ვინც ასიას მაგიდასთან იყო, ტანში ჟრუანტელმა დაუარა. აი,ალკოჰოლიკი კარიკატურისტი კი უყურებდა გოგონას და თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა - სავსებით კმაყოფილი იყო ასია კაზანჯის მიერ გამართული წარმოდგენით.

- ნემსი ხშირ-ხშირად შეჰყავთ და იღებენ კანიდან ისეთ რიტმში, რომელიც წუთში დაახლოებით სამი ათას მოძრაობას უტოლდება, - განაგრძო ასიამ. კოლოფიდან, რომელიც მისი იყო, სიგარეტი ამოიღო და რამდენჯერმე ასწია და დასწია, თითქოს ტატუირების პროცესის ილუსტრირება უნდოდა. ბოლოს მოუკიდა კიდეც. ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტის ახალი შეყვარებული შეეცადა, გაეღიმა დაუფარავად სექსუალურ მოძრაობაზე, რომელიც ასიამ გააკეთა, მაგრამ ცხრამეტი წლის გოგონას თვალებში იყო რაღაც ისეთი, რამაც მუქთმიანი ქალი შუა გზაზე გააჩერა, - სისხლის მოწამვლისა და ჰეპატიტის გარდა უამრავი სასიკვდილო ავადმყოფობაა, რომელიც ტატუს სალონში შეიძლება აიკიდო. მხატვარმა ყოველ ჯერზე ახალი სტერილური პაკეტი უნდა გახსნას და ხელები ცხელი წყლითა და საპნით დაიბანოს. გარდა ამისა, მან სადეზინფექციო სითხეები უნდა გამოიყენოს და ლატექსის ხელთათმანები ჩაიცვას... თეორიულად, რა თქმა უნდა. კარგი, რა! ამ აურზაურით თავს ვინ შეიწუხებს?

- ყველაფერი გააკეთა. ნემსებიც ახალი იყო და ხელებიც სუფთა ჰქონდა, - შიშნარევი კილოთი შენიშნა ახალმა შეყვარებულმა თურქულ ენაზე.

ასია არ ნებდებოდა. ინგლისურად განაგრძო:

- ჰო, კარგია. სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ არის. მელანზე რაღას იტყვი? იცი, რომ ნემსების გარდა, მელანიც ყოველ ჯერზე ახალი უნდა იყოს? ყველა სეანსზე, ყველა კლიენტისთვის ახალი მელნის გამოყენება გიწევს.

- მელანი... - ახალი შეყვარებული ამჯერად მართლაც შეშფოთებული ჩანდა.

- ჰო, მელანი! - თავდაჯერებულად გამოაცხადა ასიამ, - ბევრი ისეთი ინფექციაა, რომელმაც ტატუირების შემდეგ შეიძლება იჩინოს თავი მხოლოდ და მხოლოდ მელნის გამო. ყველაზე გავრცელებულია Staphylococcus aureus, რომელიც სამწუხაროდ, - ასიამ წარბები შეჭმუხნა, - როგორც ცნობილია, გულს აზიანებს.

მიუხედავად იმისა, რომ სიმშვიდის შენარჩუნება სცადა, მას შემდეგ, რაც ასიასაგან ტატუირების შესახებ ბოლო ინფორმაცია მოისმინა, ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტის ახალმა შეყვარებულმა ფერი დაკარგა. სწორედ ამ დროს მისი ფიჭური ტელეფონიც აზუზუნდა, მაგრამ მუქთმიან ქალს მობილურისთვის არც კი შეუხედავს.

- ექიმს თუ დაელაპარაკე, ვიდრე ტატუს გაიკეთებდი? - შეწუხებული სახით იკითხა ასიამ იმ იმედით, რომ დამაჯერებლად გამოუვიდოდა.

- არა, - თქვა ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტის ახალმა შეყვარებულმა, სახე მოექუფრა და ტუჩებისა და თვალების გარშემო ახალი ნაოჭები დაეტყო.

- მართლა? არა უშავს, არ იდარდო, - ხელები აიქნია ასიამ, - ცუდი ნამდვილად არაფერი მოხდება, - უპასუხა მუქთმიან ქალს და ამ სიტყვებით უკან გადაიხარა.

ალკოჰოლიკი კარიკატურისტი და არმანუში იღიმებოდნენ. მათ გარდა სხვას არავის ჰქონდა რეაქცია.

ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა თამაშში აყოლა გადაწყვიტა და მარჯვედ იანცა:

- თუ მოინდომებს, შეუძლია მოიშოროს, არა? ტატუს მოშორება შესაძლებელია, არა?

- შესაძლებელია, - მაშინვე უპასუხა ასიამ, - თუმცა, მთელი ეს პროცესი მტკივნეულია და უკეთეს შემთხვევაში, დასაფიქრებელი. სამიდან ერთ-ერთი მეთოდი შეგიძლია აირჩიო: ქირურგიული, ლაზერული ან კანისგადაქერცვლა, - ასიამ ერთი მარცვალი აიღო ნუშის გროვიდან და გაფცქვნა. ყველას, მათ შორის არმანუშსაც, ისღა დარჩენოდათ, შიშით ეცქირათ ნუშის მარცვლისთვის. აუდიტორიის რეაქციით კმაყოფილმა ასიამ გაფცქვნილ ნუშს პირში გადაუძახა და ერთი კარგად დაღეჭა. ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტის ახალ შეყვარებულს თვალები გაუფართოვდა, როცა უყურებდა, როგორ ღეჭავდა ასია ნუშის მარცვალს, - პირადად მე არასოდეს ვურჩევდი მესამე მეთოდს. არა, დანარჩენები რაიმეთი უკეთესი კი არ არის. კარგი, ძალიან კარგი დერმატოლოგი ან ქირურგი-კოსმეტოლოგი უნდა მოძებნო. ძალიან ძვირი ღირს, მარამ რას იზამ? ყველა ვიზიტი ტონა ფული ჯდება და რამდენიმე ვიზიტისთვის გიწევს გადახდა. მაშინაც კი, როცა ტატუს მოგაშორებენ, შესამჩნევი ნაიარევი დარჩება, კანის ფერის შეცვლაზე რომ არაფერი ვთქვათ. თუ გინდა, ამ ყველაფერს თავი დააღწიო, კიდევ ერთი კოსმეტიკური ოპერაცია დაგჭირდება და მაშინაც არ არსებობს არანაირი ასპროცენტიანი გარანტია.

რომ არ გასცინებოდა, არმანუშმა იჩქმიტა.

- კარგი, მაშინ რატომ არ ვსვამთ? - გაიღიმა ალკოჰოლიკი კარიკატურისტის დაღლილმა მეუღლემ, - დალევისთვის ბატონ ფეხისწვერებაზე უკეთესი რა მიზეზი გვაქვს? რა ერქვა? ჩეკე...

- ჩეკეტი, - შეუსწორა ასიამ. სანანებლად გადაჰქცეოდა, ერთ დღეს ისე რომ დათვრა, ამათ წინაშე ბალეტის ისტორიის შესახებ სიტყვით გამოვიდა და სხვათა შორის, ჩეკეტიც ახსენა. ამათ ჩეკეტი მოეწონათ. იმ დღიდან დროდადრო მაგიდასთან რომელიმე მათგანი დანარჩენებს

იმ მოცეკვავის სადღეგრძელოს სთავაზობდა, რომელმაც პუანტებით ფეხის წვერებზე სიარული დანერგა.

- ის რომ არა, ბალეტის მოცეკვავეები ფეხის წვერებზე ვერ ივლიდნენ, აბა! - ჩაიხითხითებდა ხოლმევიღაც ყოველი ასეთი სადღეგრძელოს წარმოთქმისას.

- რა ეგონა? - დაამატებდა სხვა, რასაც საერთო სიცილი მოჰყვებოდა.

- აბა, ამი, გვითხარი, საიდან ხარ? - ამ კაფესათვის დამახასიათებელ საყოველთაო ბუტბუტში არმანუშს გამორჩეულად უნიჭო პოეტი მიუბრუნდა.

- სინამდვილეში, ამი არმანუშის შემოკლებული ფორმაა, - ჩაერია ასია, რომელიც ჯერ კიდევ პროვოკატორობის ხასიათზე იყო, - სომეხი ამერიკელია!

სიტყვა „სომეხი“ კაფე „კუნდერაში“ ვერავის გააკვირვებდა, მაგრამ „სომეხი ამერიკელი“ სხვა ამბავი იყო. სომეხი სომეხი პრობლემას არ წარმოადგენდა - მსგავსი კულტურა, მსგავსი პრობლემები, მაგრამ სომეხი ამერიკელი ნიშნავდა ადამიანს, რომელსაც ეზიზღებოდა თურქები. ყველამ არმანუშისკენ მიაბრუნა თავი. მათ მზერაში შიშისაგან დაღდასმული ინტერესი იგრძნობოდა, თითქოს ამი საჩუქრის ფერადოვანი ყუთი ყოფილიყო, რომელშიც არავინ იცოდა, რა იდო. ყუთის შიგთავსი შეიძლებოდა ისეთივე დახვეწილი ყოფილიყო, როგორიც თავად შეფუთვა, შეიძლებოდა მასში ბომბიც ყოფილიყო.

არმანუში მხრებში ისე გაიმართა, თითქოს დარტყმის მოლოდინში თავის გამხნევებას ცდილობდა, მაგრამ ადამიანებს, რომლებიც ამდენი წლის განმავლობაში კაფე „კუნდერას“ ხშირი სტუმრები იყვნენ, იმდენად შეეთვისებინათ აქაური ინერტულობა, რომ მათი მღელვარება დიდხანს ვერ გასტანდა.

თუმცა, ასია დაძაბულობის შესუსტების საშუალებას არ იძლეოდა. მან ჯერ ერთი ნუშის მარცვალი ჩაახრამუნა და მერე იკითხა:

- იცოდით, რომ არმანუშის ოჯახი სტამბოლიდან იყო? - და კიდევ ერთი ნუშიც მიაყოლა, - რა არ გადაიტანეს 1915 წელს. გადასახლებე-

ბის დროს ბევრი მათგანი დაიღუპა - შიმშილის, დაღლილობის, სისასტიკის გამო იხოცებოდნენ...

სრული სიჩუმე. არანაირი კომენტარი. ალკოჰოლიკი კარიკატურისტი ასიას მისჩერებოდა, რომელმაც ოდნავ მოქაჩა სადავეებს.

- მაგრამ მისი დიდი ბაბუა მანამდე მოკლეს, ძირითადად, იმიტომ, - ასია მიტრიალდა და არმანუშს თვალი გაუსწორა, თუმცა, ის, რაც მერე თქვა, ჯგუფის წევრებისკენ უფრო იყო მიმართული, ვიდრე სტუმრისაკენ, - რომ ინტელექტუალი იყო! - ასიამ ნება-ნება მოწრუპა ღვინო, - საქმე ის არის, რომ სომეხი ინტელიგენტები იყვნენ ისინი, ვისაც უპირველესად გაუსწორდნენ, მათი თემი წამყვანი მოაზროვნეების გარეშე რომ დარჩენილიყო.

სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა.

- ასე არ ყოფილა, - ენერგიულად გააქნია თავი ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტმა სცენარისტმა, - მსგავსი არასოდეს არაფერი გვსმენია, - ჩიბუხგაჩრილმა სცენარისტმა ნაფაზი დაარტყა, აბობოქრებულ კვამლში არმანუშს თვალი თვალში გაუყარა და თანაგრძნობით სავსე ჩურჩულზე გადავიდა, - მისმინე, ძალიან ვწუხვარ შენი ოჯახის გამო. ვიზიარებ შენს მწუხარებას, მაგრამ უნდა გაიგო, რომ ომი იყო. ხალხი ორივე მხარეს დაიხოცა. წარმოდგენა თუ გაქვს, რამდენი თურქი ჩააკვდა სომეხ აჯანყებულებს ხელში? ოდესმე თუ გიფიქრია ამ ამბის მეორე მხარეზე? სანაძლეოს ჩამოვალ, რომ არა! თურქული ოჯახების ტანჯვა-წამებაზე რაღას იტყვი? ტრაგიკული ამბავია, მაგრამ უნდა გავიგოთ, რომ 1915 წელი 2005 არ იყო. მაშინ სხვა დრო იდგა. თუ ღმერთი გწამს, თურქული სახელმწიფოც კი არ იყო მაშინ, ოტომანთა იმპერია იყო. პრემოდერნისტული ხანა და მისი პრემოდერნისტული ტრაგედიები.

არმანუშმა პირი ისეთი ძალით მოკუმა, რომ ტუჩები გაუთეთრდა. იმდენი კონტრარგუმენტი ჰქონდა, არც კი იცოდა, საიდან უნდა დაეწყო. ნეტავ ბარონი ბაღდასარიანი იქ ყოფილიყო და ამ ყველაფრის მოსმენა შესძლებოდა.

ასია უმალ ჩაერია და ის პაუზა შეავსო, არმანუშმა რომ გააკეთა:

- მართლა? მეგონა, ნაციონალისტი არ იყავი!

- არც ვარ! - შესძახა ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტმა სცენარისტმა, ერთი-ორი ოქტავით აუწია ხმას და მოთმინება რომ არ დაეკარგა, წვერზე ხელის სმას მოჰყვა, - მაგრამ ნამდვილად ვცემ პატივს ისტორიულ სინამდვილეს!

- ხალხს ტვინი აქვს გამორეცხილი, - პირი შეკრა სცენარისტთან მისმა ახალმა შეყვარებულმაც, რომელიც საყვარლის მხარდაჭერასა და ტატუირების გარშემო გამართული დისკუსიისათვის შურისძიებას ერთდროულად ცდილობდა.

ასიამ და არმანუშმა ერთმანეთს გადახედეს. წამიც და, დაბრუნებულმა ოფიციანტმა ღვინის ცარიელი გრაფინის ადგილზე ახალი დადგა.

- კარგი და, შენ საიდან იცი? იქნებ შენ გამოგირეცხეს ტვინი, - ნელა თქვა არმანუშმა.

- ჰო, რა იცი? - გამოეხმაურა ასიაც, - რა ვიცით 1915 წლის შესახებ? რამდენი წიგნი გაქვს წაკითხული ამ თემაზე? რამდენი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება შეადარე და დაუპირისპირე ერთმანეთს? რომელი კვლევა, რა ლიტერატურა?.. სანაძლეოს ჩამოვალ, არაფერი გაქვს წაკითხული! მაგრამ ისეთი დარწმუნებული ხარ. უბრალოდ, იმას ხომ არ ვყლაპავთ, რასაც გვაძლევენ? ინფორმაციას კაფსულებში და კაფსულებში დეზინფორმაციას. ყოველდღე მუჭით ვყლაპავთ ასეთ კაფსულებს.

- გეთანხმებით, რომ კაპიტალისტური სისტემა ანადგურებს ჩვენს გრძნობებს და გვიმცირებს წარმოსახვის უნარს, - სიტყვა ჩაურთო გამორჩეულად უნიჭო პოეტმა, - ეს სისტემა მსოფლიოს იმედის გაცრუებაზე აგებს პასუხს. მხოლოდ პოეზიას შეუძლია ჩვენი გადარჩენა. - მომისმინეთ, -გამოეხმაურა პოეტს ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტი, - თურქეთში მცხოვრები ბევრი სხვა ადამიანისაგან განსხვავებით, ჩემი სამუშაოდან გამომდინარე, ამ საკითხზე ბევრი რამ მაქვს მოძიებული. ისტორიული ფილმებისთვის ვწერ სცენარებს. გაუთავებლად ვკითხულობ ისტორიას. ასე რომ, ასე

იმიტომ არ ვლაპარაკობ, რომ ეს ყველაფერი სადღაც გამიგია ან დეზინფორმირებული ვარ. პირიქით! იმ ადამიანივით ვლაპარაკობ, ვისაც ეს საკითხი გულმოდგინედ აქვს შესწავლილი, - სცენარისტი გაჩერდა და ღვინო მოწრუპა, - სომხების პრეტენზიები გაზვიადებასა და ფაქტების დამახინჯებას ემყარება. აბა, ჰე! ზოგიერთი იმდენად შორს მიდის, რომ ამტკიცებს, თურქებმა ორი მილიონი სომეხი დახოცესო. არც ერთი ჭკუათმყოფელი ისტორიკოსი ამას სერიოზულად არ აღიქვამს.

- ერთიც ძალიან ბევრია, - მიახალა ასიამ.

ოფიციანტი საიდანღაც ისევ აღმოცენდა. ხელში ახალი გრაფინი ეჭირა და შეწუხებული გამომეტყველება ჰქონდა. ალკოჰოლიკ კარიკატურისტს ანიშნა და ჰკითხა:

- შეკვეთას გააგრძელებთ?

ოფიციანტმა თანხმობა მიიღო. ალკოჰოლიკ კარიკატურისტს დიდი ხნის წინ გამოეხუხა თავისი სამი კათხა ლუდი და რაკი საკუთარი გადაწყვეტილების ერთგული იყო და უნდოდა, ამაზე შეჩერებულიყო, ახლა ღვინოზე გადართულიყო.

- ნება მომეცი, რაღაც გითხრა, ასია, - თქვა ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტმა სცენარისტმა, ვიდრე ჭიქას ივსებდა, - იცი ხომ სალემის კუდიანების სამარცხვინო პროცესების ამბავი? საინტერესოა, რომ თითქმის ყველა ქალმა, ვისაც კუდიანობაში დასდეს ბრალი, ერთნაირად აღიარა ბრალი და ერთნაირი სიმპტომები გამოავლინეს, მათ შორის გულიც ერთსა და იმავე დროს მისდიოდათ... ცრუობდნენ? არა! თავს იკატუნებდნენ? არა! კოლექტიური ისტერიით იტანჯებოდნენ.

- ეს რას ნიშნავს? - იკითხა არმანუშმა. თავს ძლივს თოკავდა.

- ჰო, რა ჯანდაბას ნიშნავს? - თავის მოთოკვის გარეშე ჩაერთო ასიაც.

სცენარისტს დესპოტურ ნაკვთებზე დაღლილი ადამიანის ღიმილმა გადაურბინა.

- არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა კოლექტიური ისტერია. მე არ ვამბობ, რომ სომხები ისტერიულები არიან ან რაღაც ეგეთი. სხვანაი-

რად ნუ გამიგებთ. მეცნიერებაში ცნობილი ფაქტია, რომ კოლექტივს ძალუძს თავისი ცალკეული წევრების შეხედულებებით, აზრებითა და მათი ორგანიზმების საერთო რეაქციებით მანიპულირებაც კი. გაუთავებლად ისმენ რაღაცას და მერე ხვდები, რომ მონაყოლი აგითვისებია. ამ მომენტიდან ნაამბობი ვიღაც სხვა ადამიანის ამბავი აღარ არის. საერთოდ, ამბავიც არ არის. ის რეალობაა, შენი რეალობა!

- თითქოს ჯადო გქონდეს გაკეთებული, - შენიშნა გამორჩეულად უნიჭო პოეტმა.

ასიამ თმაზე ხელი გადაისვა, სკამში ჩაეშვა, ცოტაოდენი კვამლი გამოუშვა და თქვა:

- ნება მომეცით, გითხრათ, რა არის ისტერია. ყველა სცენარი, რომელიც აქამდე შეგითხზავს, მთელი სერიალი თემურ ლომგულის, ღონიერი უზარმაზარი თურქის შესახებ, იდიოტ ბიზანტიელებთან საბრძოლველადერთი თავგადასავლიდან მეორეში რომ ეშვებოდა... აი, რას ვუწოდებ მე ისტერიას. მაშინვე, როგორც კი სცენარს სატელევიზიო შოუდ გადააქცევთ და თქვენი საძაგელი მესიჯის გათავისებას მილიონებს აიძულებთ, იგი კოლექტიურ ისტერიად გადაიქცევა.

საუბარში შენიღბული ჰომოსექსუალი კორესპონდენტიც ჩაერია:

- დიახ, უხამსად წარმოდგენილი მამრი თურქი გმირები, რომლებიც შენ განებივრებული მოწინააღმდეგის გასამასხარავებლად შექმენი, ავტორიტარიზმის პირდაპირი ნიშნებია.

- რა გჭირთ, ხალხო, - იკითხა ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტმა სცენარისტმა. ბრაზისგან ქვედა ტუჩი უცახცახებდა, - თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ მე ამ სისულელის არ მჯერა. ხომ იცით, ყველა ასეთი შოუ მხოლოდ გასართობად არის მოგონილი.

არმანუში მაქსიმალურად შეეცადა, განწყობა შეეცვალა. იცოდა, რომ ბარონი ბაღდასარიანი ამას ძალიანაც შეეწინააღმდეგებოდა, მაგრამ სჯეროდა, რომ დაძაბულობის გაზრდით გენოციდის აღიარების საქმეს არაფერი ეშველებოდა.

- აი, ის ჩარჩო, - არმანუშმა კედლისკენ გაიშვირა ხელი, - იცით, ეს სურათი ნარინჯისფერი ჩარჩოთი არიზონიდანაა. პატარა რომ ვიყავი, მე და დედაჩემი ამ გზას ხშირად გავდიოდით.

- არიზონა, - წაილუღლუღა გამორჩეულად უნიჭო პოეტმა და ისე ამოიოხრა, თითქოს ეს სახელი მისთვის რომელიღაც უტოპიურ ქვეყანას, ერთგვარ შანგრი-ლას აღნიშნავდა.

ასია საქმის ასე დატოვებას არ აპირებდა.

- საქმეც ეგ არის, - თქვა ასია კაზანჯიმ, - ის, რასაც შენ აკეთებ, უარესიც კია. იმის რომ გჯეროდეს, რასაც აკეთებ, ყველაზე ბუნდოვანი რწმენა მაინც რომ გქონდეს ამ ფილმებისა, შენს მოსაზრებას მაინც გკითხავდი, შენი გულწრფელობისა კი რა მოგახსენო. სცენარებს მასებისთვის წერ. წერ, ყიდი და უზარმაზარ ფულს შოულობ. მერე აქ მოდიხარ, ამ ინტელექტუალურ კაფეს აფარებ თავს და იმ ფილმების დაცინვაში გვიბამ მხარს. თვალთმაქცობ!

სცენარისტს სახეზე ფერი დაეკარგა. შეჭირვებული და ყინულივით ცივი გამომეტყველება ჰქონდა.

- თავი ვინ გგონიათ, თვალთმაქცობაზე რომ მელაპარაკებით, ქალბატონო ნაბიჭვარო? რატომ არ მიდიხართ და მამიკოს არ ეძებთ, იმის მაგივრად, რომ აქ თავი მომაბეზროთ?

ულტრანაციონალისტი ფილმების არანაციონალისტმა სცენარისტმა ჭიქისაკენწაიღო ხელი, თუმცა, ამის აუცილებლობა არ იყო, - ღვინის ჭიქა თავად მიიწევდა მისკენ. ალკოჰოლიკი კარიკატურისტი ფეხზე წამოხტა, ღვინის ჭიქას ხელი დაავლო და სცენარისტს გაუქანა. ოდნავ ასცდა. ჭიქა კედელზე ჩამოკიდებულ ჩარჩოს მიეხეთქა. ღვინო ყველგან დაიღვარა, მაგრამ ჭიქა არ გატეხილა. რაკი მიზანს ააცდინა, ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა მკლავები დაიკაპიწა. ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტი ზომით ალკოჰოლიკი კარიკატურისტის ნახევარი გახლდათ და ამ უკანასკნელივით მთვრალიც იყო, მაგრამ მხატვრის პირველ დარტყმას მაინც გაექცა. მერე კუთხისაკენ სწრაფად დაიხია უკან, თან თვალი გასასვლელისკენ ეჭირა. ამას ვინ წარმოიდგენდა! შენიღბული ჰომოსექსუალი კორეს-

პონდენტი ტყვიასავით წამოვარდა სკამიდან და კუთხისკენ გაექანა. ხელში გრაფინი ეჭირა. ერთ წუთში სცენარისტი იატაკზე ეგდო. შუბლიდან სისხლი მოსდიოდა. ულტრანაციონალისტური ფილმების არანაციონალისტი სცენარისტი ომში დაჭრილივით იჭერდა თავზე სისხლიან ცხვირსახოცს. ჯერ კორესპონდენტს მიაჩერდა, მერე კარიკატურისტს, მერე კი ერთ მახვილ კუთხეს.

მაგრამ კაფე „კუნდერა“ ხომ ერთი მყუდრო, მოსაწყენი ინტელექტუალური კაფეა, სადაც, კარგია თუ ცუდი, ცხოვრების რიტმი არასოდეს ირღვევა. მთვრალების საჩხუბარი ადგილი აქ არ არის. ყველა, ვინც კი კაფეში იყო, იქამდე დაუბრუნდა საქმეს, ასეთი პაუზის დადგომამდე რომ აკეთებდა, ვიდრე სცენარისტს შუბლიდან სისხლდენა შეუწყდა. ზოგიერთი იმანჭებოდა, ზოგი ღვინოს ან ყავას მიირთმევდა და ჭორაობდა, ზოგი კი კედლებზე დაკიდებულ ჩარჩოიან სურათებში ეფლობოდა.

11

გარგარის ჩირი

სადაცაა გათენდება. ერთი პატარა ნაბიჯიც და, ღამე დღის სინათლის უცნაურ ზღურბლზე გადააბიჯებს. ასეთ დროს ჯერ კიდევ შესაძლებელია სიზმრებში ნუგეშის პოვნა, მაგრამ მეტისმეტად გვიანია იმისათვის, რომ ხელახლა შეაკოწიწო საოცნებო ზმანება.

თუკი მეშვიდე ცას თვალი აქვს, ერთგვარი ციური მზერა, რომელიც ზემოდან ყველას და ყველაფერს უყურებს, კარგა ხანს მოუწევდა სტამბოლზე დაკვირვება იმის მისახვედრად, თუ ვინ რას აკეთებდა დახურული კარების მიღმა და ვინ, თუკი ასეთი ვინმე საერთოდ არსებობდა, გმობდა ღმერთს.

მისთვის, ცაში რომ იყო, ეს ქალაქი ჭრელჭრული სინათლეების ცეცხლისმფრქვეველ ქარგას უნდა ჰგვანებოდა, რომელიც უკუნ ღამეში ფეიერვერკივით იფანტებოდა.

ქალაქის კონტურები ნარინჯისფრად, წითლად და ჟანგმიწისფრად სწორედ განთიადისას ელვარებს. ეს ნაპერწკლების კონფიგურაციაა, რომელშიც თითოეული წერტილი ისეთი ადამიანის ანთებული სინათლეა, რომელსაც ამ დროს ღვიძავს. იქიდან, სადაც ციური მზერაა, იმ სიმაღლიდან ცალ-ცალკე ანთებული ყველა ნათურა, ალბათ, ისე მოჩანს, თითქოს მათ შორის სრული ჰარმონია სუფევდეს, თითქოს სულ ციალებდნენ და ამით ღმერთს იდუმალ, დაშიფრულ გზავნილს უგზავნიდნენ.

გაფანტულ ნაპერწკლებს თუ არ ჩავთვლით, სტამბოლში ჯერ კიდევ უკუნეთი ღამეა. ადამიანებს ღრმად სძინავთ ვიწრო, ტურტლიან ქუჩებზე ქალაქის ძველ კვარტალებში რომ მიიკლაკნება, ახალაშენებულ უბნებში ერთმანეთზე მიჭეჭყილ ახალ საცხოვრებელ კორპუსებში და უცნაურ გარეუბნებშიც. ყველას სძინავს, ზოგიერთის გარდა.

ზოგიერთ სტამბოლელს ჩვეულებისამებრ სხვებზე ადრე გაუღვიძია, მაგალითად, მთელი ქალაქის იმამებს, ახალგაზრდებსაც და მხცო-

ვანთაც, ხავერდისხმიანებსაც და არც ისე ხავერდოვანი ხმის პატრონებსაც.

პირველად მდიდრული მეჩეთების იმამები იღვიძებენ და მზად არიან, მორწმუნეებს დილის ლოცვაზე უხმონ. იმამებს სიმითით მოვაჭრეები მიჰყვებიან. მათაც ღვიძავთ. მორკალული კნატუნა ბლითების ასაღებად თავ-თავიანთი საცხობებისაკენ მიემართებიან, მერე მთელი დღე მათ გაყიდვაში რომ გაატარონ. ბუნებრივია, ღვიძავთ მცხობელებსაც. უმეტესობას მხოლოდ რამდენიმე საათი სძინავს, ვიდრე მუშაობას შეუდგება. ზოგიერთ ხაბაზს კი ღამით სულ არ სძინავს. ყოველ ცისმარე დღე მცხობელები ღამის სიბნელეში ახურებენ ღუმლებს, განთიადისას კი ქალაქის საცხობები გაჟღენთილია პურის გემრიელი სურნელით.

დამლაგებელ ქალებსაც ღვიძავთ. ეს ქალები, ყველა ასაკის, ადრიანად იმისთვის დგებიან, რომ სულ მცირე, ორი ან სამი სხვადასხვა ავტობუსი გამოიცვალონ და შეძლებული მოქალაქეების სახლებში მივიდნენ, სადაც მთელ დღეს ხეხვას, წმენდასა და დაპრიალებაში გაატარებენ. მდიდარი ქალები მუდამ მაკიაჟს ატარებენ და ასაკი არასოდეს ეტყობათ. დამლაგებელი ქალების ქმრებისაგან განსხვავებით, გარეუბანში ქმრები მუდამ დაკავებული, გასაოცრად ზრდილობიანი და, ცოტა არ იყოს, ქალურები არიან. ქალაქგარეთ დროის დეფიციტს არ უჩივიან. აქ დროს ისევე ხელგაშლილად და შეუზღუდავად ხარჯავენ, როგორც ცხელ წყალს.

ახლა ცისკარია. ამ დროს ქალაქი ბლანტი, თითქმის ლაბოვანი არსება, ამორფული ნახევრად თხევადი და ნახევრად მყარი ფორმაა. ციური მზერისათვის, მაღლა ცაში რომ არის, კაზანჯების სახლი ღამის აჩრდილებს შორის მოელვარე დაბინძურებული ნაპერწკლების სფეროს უნდა ჰგავდეს. ახლა ამ სახლის ოთახების უმეტესობაში სიბნელე და სიწყნარეა, მაგრამ რამდენიმე მათგანში სინათლე ანთია.

არმანუში ერთ-ერთია, ვისაც ახლა ღვიძავს. ადრე გაეღვიძა და უმალ ინტერნეტში შევიდა. ძალიან უნდოდა, „კაფე კონსტანტინოპოლის“ წევრებისათვის გუშინდელი გამაოგნებელი ამბავი მოეთხრო. ჯერ სტამბოლის ბოჰემურ წრეებზე უამბო, შემდეგ ჩხუბს მოუყვა. ყველა

და ყველაფერი, რაც კაფე „კუნდერაში“ ნახა, შეაჯამა. ახლა ონლაინმეგობრებს დაწვრილებით უხასიათებს ალკოჰოლიკ კარიკატურისტს და არც იმის თქმა ავიწყდება, როგორ გამოუძებნა ამ კაცმა ღვინოს ახალი დანიშნულება სუფრასთან.

- ეგ კარიკატურისტი სასაცილო ვინმე იქნება, - წერს დეიდა ყაურმა, - ესე იგი, ამბობ, რომ პრემიერ-მინისტრის მგლის სახით დახატვის გამო შეიძლებოდა ციხეში ჩაესვათ? თურქეთში იუმორი სერიოზული საქმეა!

- ჰო, მაგარი კაცი ჩანს, - ეთანხმება ქალბატონი ფარშავანგ/სირამარკი, - კიდევ გვითხარი რამე მასზე.

მიუხედავად ამისა, არის ერთი ვიღაც, რომელიც კაფე „კუნდერაში“ მომხდარს აშკარად სხვანაირად ხსნის.

- კარგი რა, ხალხო, არც მასში, არც რომელიმე სხვა ადამიანში, რომელიც იმ ბინძურ კაფეში იყო, არც მაგარია რამე, არც საინტერესო. ვერ ხვდებით, რომ ყველა სტამბოლის ბოჰემიდანაა, ავანგარდული, პრეტენზიული ნაწილიდან. მესამე მსოფლიოს ქვეყნის ტიპური ელიტა, ვისაც საკუთარი თავი იმაზე მეტად სძაგს, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ, რაც ამ სამყაროში არსებობს.

ბარონ ბაღდასარიანის მწვავე მესიჯმა არმანუში შეაკრთო. გოგონამ ირგვლივ მიმოიხედა. ოთახის მეორე ბოლოში ასიას სძინავს სულთან მეხუთესთან ერთად, მის მკერდზე რომ მორგოლილა. თავზე წყვილი ყურსასმენი უკეთია, ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს. ემანუელ ლევინასის „მთლიანობა და უსასრულობა: ესეი გარეგანი მდგომარეობის შესახებ“.

ასიას საწოლთან კომპაქტდისკიც დევს. რუხი, დაღვრემილი ცის ფონზე თავით ფეხებამდე აღმართულა ჯონი კეში. ერთ მხარეს ძაღლი უდგას, მეორეზე - კატა და შეუპოვრად გასცქერის რაღაცას შორს, ჩარჩოს მიღმა. ასიას აუდიოფლეერთან ერთად დასძინებია,გაუთავებლად რომ უკრავს. ამითაც დედამისს ჰგავს, მშვენივრად შეუძლია ერთდროულად გაუმკლავდეს ათასნაირ ხმაურს, მაგრამ სიჩუმეს ვერ იტანს. იმ ადგილიდან, სადაც ზის, არმანუში სიმღერის სიტყვებს ვერ

არჩევს, მაგრამ რიტმი კი ესმის, ისევ და ისევ რომ მეორდება. ოთახში ყურსასმენებიდან დაღვრილი ჯონი კეშის ბარიტონის მოსმენა ისევე მოსწონს, როგორც სხვადასხვანაირი ხმებისა შინ და გარეთ რომ ტრიალებს: დილის ლოცვები, რომელიღაც შორეული მეჩეთიდან რომ აღწევს, მერძევის როხროხი, როცა რძის ბოთლებს გზის გადაღმა, საბაყლოს წინ ტოვებს, სულთან მეხუთესა და ასიას მოულოდნელად შენელებული სუნთქვა, ხვრინვისა და კრუტუნის სტვენის მსგავსი სინთეზი, რომელშიც ყოველთვის ადვილი გასარჩევი არ არის, ვინ ხვრინავს, ვინ კნავის და არმანუშის თითის წვერების ხმაური, ბარონ ბაღდასარიანისთვის საუკეთესო პასუხის ძიებაში კლავიატურაზე რომ მოძრაობენ.

თითქმის გათენდა. მიუხედავად იმისა, რომ საკმარისად არ უძინია, არმანუში თავს მხნედ გრძნობს. ტრიუმფის სწორედ ისეთი შეგრძნებაა, მაშინ რომ მოდის, როცა ძილს დაამარცხებ.

ქვემოთ ბებია გულსუმის ოთახია. ბებია წინა ცხოვრებაში შეიძლება მართლაც ყოფილიყო ივანე მრისხანე, მაგრამ ახსნა მის უხეშობასაც ჰქონდა. იმ ადამიანების უმრავლესობის დარად, ვინც ცხოვრების ბოლოს ბოროტდება, ბებიასაც ჰქონდა თავისი ისტორია. პატარა რომ იყო, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე ერთ პატარა ქალაქში იდილიაში, მაგრამ ღარიბულად ცხოვრობდა. გათხოვდა კაზანჯების ოჯახში, რომელიც მისაზე გაცილებით შეძლებული და გაცილებით ქალაქური იყო, მაგრამ უკუღმართი ბედისწერა ჰქონდათ.

თავაზიანი, უბედურებისაკენ მიდრეკილი ოჯახის ერთადერთი ვაჟის ახალგაზრდა, სოფლელი პატარძლის ხვედრი იოლი არ ყოფილა. ვაჟები უნდა გაეჩინა, რაც მეტი, მით უკეთესი. ეს ტვირთი იყო, რადგან არ იცოდნენ, რამდენ ხანს იცოცხლებდა ბებიას ვაჟიშვილი. და მაინც, ერთმანეთის მიყოლებით აჩენდა გოგონებს და იტანდა ტკივილს, რომელსაც ქმარი აყენებდა. ხედავდა, როგორ შორდებოდა ქმარი ყოველი მომდევნო ბავშვის დაბადებასთან ერთად.

ლევენთ კაზანჯი შფოთიანი კაცი იყო. ბევრი ფიქრის გარეშე ასწავლიდა ქამრით ჭკუას ცოლსა და შვილებს. ვაჟი, ალაჰს ვაჟი რომ ეჩუქებინა, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ერთმანეთზე მიყოლებულ

სამ გოგოს, ბოლოს და ბოლოს, მეოთხე, ნანატრი ბიჭი მოჰყვა. იმის იმედით, რომ სვე-ბედი შეეცვალათ, კიდევ ერთხელ სცადეს. მეხუთე ისევ გოგო იყო. მიუხედავად ამისა, მუსტაფაც საკმარისი იყო. ვაჟიშვილი იყო ყველაფერი, რაც მათ გვარის გასაგრძელებლად სჭირდებოდათ. აი, ისიც, გააზიზებული, განებივრებული, გაფუჭებული მუსტაფა, რომელსაც ყოველთვის გოგოებზე მაღლა აყენებდნენ, რომლის ყველა ახირებას აკმაყოფილებდნენ. მელოდია შეწყდა და სიზმარში სიბნელემ და უსასოობამ დაისადგურა: მუსტაფა შეერთებულ შტატებში იმისთვის გაემგზავრა, რომ უკან აღარასოდეს დაბრუნებულიყო.

ბებია გულსუმი იყო ქალი, რომლისთვისაც სიყვარულზე სიყვარულით არასოდეს უპასუხიათ; ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ, თანდათან კი არა, ჩქარ-ჩქარა რომ ბერდებიან, ქალწულობის მერე ერთთავად რომ ნაოჭდებიან და არასოდეს ეძლევათ შუაში ყოფნის შანსი. ბებიას საკუთარი თავი მთლიანად მიეძღვნა ერთადერთი ვაჟისათვის, რომელსაც ხშირად გოგონების ხარჯზე უფრთხილდებოდა. ცდილობდა, მასში ეპოვა ნუგეში იმ ყველაფრის სანაცვლოდ, რაც ცხოვრებამ წაართვა. თუმცა, როგორც კი არიზონაში დასახლდა, ბიჭის არსებობა ბარათებითა და წერილებით შემოიფარგლა. სტამბოლში ოჯახის სანახავად არასოდეს დაბრუნებულა. ბებია გულსუმი გულით იმ ტკივილს ატარებდა, უარყოფილი ადამიანები რომ განიცდიან ხოლმე. დროთა განმავლობაში სულ უფრო გულქვა ხდებოდა. ახლა იმ ადამიანს ჰგავდა, ხალისით რომ შესდგომია ასკეტიზმის გზას და ასე აპირებს გაგრძელებას.

პირველი სართულის მარჯვენა კუთხეში ღრმა ძილით სძინავს დიდედას. ლოყებზე სისხლი მოსწოლია და პირდაფჩენილი მშვიდად ხვრინავს. დიდედას საწოლის გვერდით ალუბლის ხის კარადა დგას. კარადაზე დევს მუსლიმანთა წმინდა წიგნი - ყურანი და დიდებული ლამპა, რომელიც რბილ, სალბისფერ შუქს აფრქვევს. წიგნის გვერდით ჟანგმიწისფერი კრიალოსანია, რომლის ბოლოში ქარვის ქვა ქანაობს. აქვეა ნახევრად სავსე ჭიქაც. შიგნით კბილების პროთეზი დევს.

დიდი ხანია, რაც დიდედასთვის დრომ სწორხაზოვნობა დაკარგა. ისტორიის გზატკეცილზე არანაირი მარეგულირებელი ნიშანი, არანაირი ავარიული სიგნალიზაციის ნათურა და არავითარი მიმართულება აღარ არსებობს. თავისუფლად შეუძლია იმოძრაოს ნებისმიერი მიმართულებით, ანდა გადავიდეს ზოლიდან ზოლზე. შეუძლია სულაც შუაგულ გზაზე გაჩერდეს, უარი თქვას მოძრაობაზე, გზის გაგრძელების ვალდებულებაზე, რაკი მის ცხოვრებაში არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა წინსვლა. მხოლოდ ცალკეული მომენტების უსასრულო განმეორებაა.

ამჟამად ბავშვობის ზოგიერთი მოგონება უბრუნდება, თან ისე მკაფიოდ, თითქოს ყველაფერი აქ და ახლა ხდებოდეს. აი, ისიც, რვა წლის,ცისფერთვალა ქერა გოგონა. თესალონიკშია დედასთან ერთად. ორივე უსიტყვოდ დასტირის ბალკანეთის ომში დაღუპულ მამას. მერე თავის თავს სტამბოლში ხედავს. ოქტომბრის ბოლოა. თურქეთს რესპუბლიკად აცხადებენ. უამრავ დროშას ხედავს, წითელს, თეთრს, ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულებით, ქარში ახალგარეცხილი ტანსაცმელივით რომ ფრიალებს. დროშების უკან რიზა სელიმის სახე მოჩანს, მისი ხშირი წვერი და დიდრონი, მოწყენილი თვალები.მერე თავის თავს ხედავს. ახალგაზრდაა. ბენთლის ფორტეპიანოს უზის და ნაპატივები სტუმრებისთვის ხალისიან მელოდიებს უკრავს.

პატარა ოთახში, ზუსტად დიდედას ოთახის თავზე რომ არის, დეიდა ჯევრიეს სძინავს. კოშმარს ხედავს, რომელიც ბოლო წლებში უთვალავჯერ აქვს ნანახი. ისევ მოსწავლეა. საკლასო ოთახშია. უშნო, ფერფლისფერი ფორმა აცვია. სკოლის დირექტორი ზეპირი გამოკითხვისთვის ოთახის წინა ნაწილში უხმობს. ოფლად იღვრება და დამძიმებული ფეხებით რწევა-რწევით მიბარბაცებს. ვერც ერთ კითხვას ვერ იგებს. დეიდა ჯევრიე ხვდება, რომ სინამდვილეში საშუალო სკოლა არ დაუმთავრებია. სადღაც საბუთებშია შეცდომა და ახლა ერთადერთი დისციპლინის გავლა უწევს, რომ დაამთავროს და მასწავლებელი გახდეს. ყოველ ჯერზე ზუსტად ერთი და იმავე სცენის დროს ეღვიძება. სკოლის დირექტორი იღებს კლასის ნიშნების ფურცელს და კალამს, სისხლის-

ფერი მელანი რომ აქვს, მერე კი უზარმაზარ წითელ ნულს წერს სწორედ იქ, სადაც ჩაწერილია „ჯევრიე“.

ეს ის კოშმარია, ბოლო ათი წელია რომ ხედავს, მას შემდეგ, რაც ქმარი დაკარგა. ჯევრიეს მეუღლე ციხეში მექრთამეობისთვის იჯდა, ბრალდებით, რომლის დაჯერებაზეც ბანუ ყოველთვის უარს ამბობდა. გამოსვლამდე ერთი თვე აკლდა, შეხლა-შემოხლის ცქერისას რომ გარდაიცვალა. რაღაც სულელურმა ელექტროკაბელმა შეიწირა. დეიდა ჯევრიე სიზმარში წარამარა ხედავდა ამ სცენარს. წარმოსახვაში ხატავდა დამნაშავეს (დამნაშავე უნდა ყოფილიყო), რომელმაც კაბელი იქ დადო და მისი ქმარი მოკლა. წარმოიდგენდა, როგორ იცდიდა ციხის ჭიშკართან. სცენარის დანარჩენი ნაწილი ყოველ ჯერზე იცვლებოდა.

ზოგჯერ ჯევრიე ციხის კართან იმისთვის იყო, რომ ამ უკანასკნელისთვის მაშინვე შეეფურთხებინა სახეში, როგორც კი გაათავისუფლებდნენ. ზოგჯერ შორიდან უყურებდა, ზოგჯერ კი მაშინვე დაახლიდა ტყვიას, როგორც კი დამნაშავე მზის გულზე დადგამდა ფეხს.

მეუღლის დაკარგვის შემდეგ დეიდა ჯევრიემ სახლი გაყიდა და შეუერთდა დებს, რომლებიც თანახმა იყვნენ, ერთ ჭერქვეშ ეცხოვრათ. კაზანჯების დიდ სახლში გატარებულ პირველ თვეებში ჯევრიე ცრემლების ღვრის მეტს არაფერს აკეთებდა.

დღე მეუღლის ბოლოდროინდელი ფოტოების გადაქექვით იწყებოდა. ჯევრიე სურათებს ესაუბრებოდა და ცრემლებს ღვრიდა თითოეულ მათგანზე მხოლოდ იმისთვის, რომ დღე ამდენი დარდისაგან დაღლილს დაემთავრებინა. თვალები სევდითა და ვარამით სავსე ტომრებივით შეუშუპდა და ამდენი მოხოცვისგან ცხვირი წაუწვეტდა. ჯევრიე სევრი ასეთ მდგომარეობაში იქამდე იყო, ვიდრე ერთ დილით სასაფლაოდან დაბრუნებულმა არ აღმოაჩინა, რომ ყველა ფოტო სადღაც გამქრალიყო.

- რა უყავით მის სურათებს? - შესძახა დეიდა ჯევრიემ. ძალიან კარგად იცოდა, ვინ უნდა დაედანაშაულებინა, - დამიბრუნე!

- არა, - მკაცრად და თავშეკავებულად მიუგო ბებია გულსუმმა, - სურათები აქ არის. მთელ დღეებს მათზე ტირილში არ გაატარებ. გულს რომ ეშველოს, ცოტა ხანს არ უნდა ნახო.

საშველი არ იყო. პირიქით, დეიდა ჯევრიე ქმრის დანახვას სურათების გარეშე, წარმოსახვაში მიეჩვია. დროდადრო ხვდებოდა, როგორ უცვლიდა მამაკაცს სახეს, ამშვენებდა შეჭაღარავებული ულვაშით ანდა ქოჩორს უმატებდა აქა-იქ. ფოტოსურათების გაუჩინარება დეიდა ჯევრიეს თურქეთის სახელმწიფო ისტორიის მედგარ მასწავლებლად გარდასახვას დაემთხვა.

ჯევრიეს ოთახის პირდაპირ დეიდა ფერიდეს საძინებელია. ჭკვიანი, შემოქმედი ქალია, მეკოლაჟე. ნეტავ ნატეხების შეწებება მართლაც შეეძლოს! ასეთი მგრძნობიარობა უჩვეულოა, გაუგონარია ასეთი მგრძნობიარობა, ასეთი მგრძნობიარობა საშიშია. იმდენად, რამდენადაც ნებისმიერ დროს ნებისმიერი რამ შეიძლება მოხდეს, ფერიდე ვერასოდეს იქნება დარწმუნებული იმაში, რომ ფეხქვეშ მიწა არ გამოეცლება. არ არსებობს უსაფრთხოებისა და მთლიანობის არანაირი შეგრძნება. ყველაფერი ნატეხებად და ნამსხვრევებად მოდის და გაერთიანებას იხვეწება, თუმცა, მთლიანობის ყველანაირ გაგებას ეწინააღმდეგება. დეიდა ფერიდე დროდადრო საყვარლის ყოლაზე ოცნებობს. ისეთი სიყვარული უნდა, რომელშიც თავიდან ბოლომდე დაინთქმება თავის მრავალრიცხოვან შიშთან, უცნაურობასა და გადახრასთან ერთად. სატრფო, რომელიც მასში ყველაფერს გააღმერთებს. დეიდა ფერიდეს არ სურს სიყვარული, რომელიც მის დადებით მხარეებს მოერგება, მაგრამ უარყოფითისაგან თავს შორს დაიჭერს. ისეთი ვინმე სჭირდება, ვინც შეძლებს, მის გვერდით იდგეს სიხარულსა და გასაჭირში, საღ ჭკუაზე ყოფნისას და სიგიჟის დროს. იქნებ ამის გამო უჭირთ შეშლილებს პარტნიორის პოვნაო, - ფიქრობს ფერიდე, - იმის გამო კი არა, რომ ურევენ, არამედ იმიტომ, რომ ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელსაც ერთი პიროვნების სახით ამდენ ხალხთან ერთად ენდომება პაემანზე წასვლა.

ეს მხოლოდ ოცნებები იყო. სიზმრებში დეიდა ფერიდე საყვარლებს კიარა, აბსტრაქტულ კოლაჟებს ხედავს. ღამით დეიდა ფერიდე განსაცვიფრებელი ფერებითა და უამრავი გეომეტრიული ფიგურით არეულ-დარეულ რამეებს ქმნის. ქარი ძლიერად უბერავს, მიედინებიან ოკეანის დინებები და სამყარო უსასრულო შესაძლებლობების მასად იქცევა. ყველაფერი, რაც შენდება, შეიძლება დაინგრეს კიდეც. ექიმებს ნათქვამი აქვთ დეიდა ფერიდესთვის, გულთან ახლოს არაფერი მიიტანო და აბები რეგულარულად დალიეო. რა იციან ექიმებმა ამ დიალექტიკის შესახებ. შექმენი - დაანგრიე, შექმენი - დაანგრიე, ისევ შექმენი-და ისევ დაანგრიე. დეიდა ფერიდეს გონება კოლაჟების შესანიშნავი ოსტატია.

დეიდა ფერიდეს ოთახს სააბაზანო მოსდევს, სააბაზანოს კი - დეიდა ზელიჰას ოთახი. ზელიჰას ღვიძავს. წელგამართული ზის ლოგინში და ოთახს ისე ათვალიერებს, თითქოს მისი კი არა, სხვისი იყოს, თითქოს წვრილმანებს იმახსოვრებს, რომ თავი უფრო ახლოს იგრძნოს უცხოსთან, რომელიც იქაურობის ნაწილია.

თავის ტანსაცმელს უყურებს, უამრავ ქვედაკაბას. ყველა მათგანი მოკლეა, ყველა კვასკვასა - ეს პროტესტის ხერხია, რომელსაც იმ ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართავს, დაბადებიდან რომ ახვევია გარს.

კედლებზე სურათები და პლაკატებია ტატუს გამოსახულებით. დეიდა ზელიჰა სადაცაა ორმოცის გახდება, მაგრამ მისი ოთახი ბევრი რამით თინეიჯერისას უფრო ჰგავს. შეიძლება არასოდეს გაიზარდოს და არასოდეს გაუნელდეს სიბრაზე, მასში რომ ზის, სიბრაზე, რომელიც უნებურად ქალიშვილსაც გადასცა. მისი აზრით, არ შეიძლება ჭეშმარიტად ცოცხალ ადამიანად ჩათვალოთ მავანი, ვისაც აჯანყება და დაუმორჩილებლობა არ შეუძლია, მავანი, ვისაც შედავების უნარი არ გააჩნია. სიცოცხლის გასაღები წინააღმდეგობაშია. სხვა ადამიანები ორ ბანაკად იყოფიან: მცენარეები ანუ ისინი, ვინც ყველაფერში სრულყოფილი არიან, და ჩაის ჭიქები, ანუ ისინი, ვინც, მართალია, ბევრ რამეში სრულყოფილი არ არიან, მაგრამ დაპირისპირებისათვის საკმარისი

ძალა არ შესწევთ. ისინი, ვინც ორი ბანაკიდან უკანასკნელს ეკუთვნიან, უარესი არიან. ადრე, როცა წესებს ადგენდა, დეიდა ზელიჰამ მათ შესახებ ერთი ნორმა ჩამოაწიკწიკა.

სტამბოლელი ქალის წინდახედულობის რკინის წესი: თუ ჩაის ჭიქასავით ადვილად ტყდები, ეცადე, როგორმე ქაფქაფა წყალს არ გადაეყარო და იმედი იქონიე, რომ იდეალურ კაცს გაჰყვები ცოლად, ანდა იჟიმავე და რაც შეიძლება ადრე გატყდი. ალტერნატივად შეგიძლია ჩაის ჭიქობას თავი დაანებო!

თავად მესამე ვარიანტზე შეაჩერა არჩევანი. დეიდა ზელიჰას ეზიზღებოდა სისუსტე. ამ დრომდე ის ერთადერთი იყო კაზანჯის ოჯახის ქალებს შორის, ვისაც ჩაის ჭიქებზე გაბრაზება შეეძლო მაშინ, როცა ეს უკანასკნელები წნეხის ქვეშ იმსხვრეოდნენ.

დეიდა ზელიჰა ხელს იშვერს „მალბორო ლაითის“ კოლოფისკენ, ტუმბოზე რომ დევს და სიგარეტს უკიდებს. ასაკს ვერაფერი დაუკლია ამ ჩვევისთვის. იცის, რომ მისი ქალიშვილიც მწეველია. ეს ყველაფერი ჯანდაცვის სამინისტროს თვალის მოსატყუებელი ბროშურიდან ამოკრებილ პასაჟს ჰგავს: „ალბათობა, რომ მწეველი მშობლების შვილები თავადაც მწეველები გახდებიან, სამჯერ ნაკლებია“. დეიდა ზელიჰას ასიას ჯანმრთელობა ადარდებს, მაგრამ ჭკუა ჰყოფნის და ხვდება, რომ მეტისმეტი ჩარევისა და უნდობლობის გამომჟღავნების შემთხვევაში, მხოლოდ ძლიერ უკურეაქციას შეეჩეხება.

ძნელია თავის მოკატუნება, თითქოს არაფერი გაწუხებს, ისეთივე ძნელი, როგორიც საკუთარი შვილი „დეიდას“ რომ გეძახის. ეს კლავს ზელიჰას. და მაინც, ისევ ფიქრობს, რომ შეიძლება ორივესთვის ასე სჯობდა. ამან თითქოს ერთგვარი თავისუფლება მიანიჭა დედასაც და შვილსაც. ერთმანეთს რეალურად უნდა დაშორებოდნენ, რომ მერე ფიზიკურად და სულიერად გაერთიანებულიყვნენ. მარტო ალაჰმა უწყის და ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ზელიჰას მისი არსებობისა არ სჯერა.

შეფიქრიანებული ისუნთქავს ნაფაზს, წუთით იჩერებს და გაბრაზებული აბრუნებს უკან კვამლს. თუკი ალაჰი არსებობს და ამდენი იცის,

რატომ არაფერში იყენებს ამ ცოდნას? რატომ უშვებს, რომ ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც ხდება? არა, დეიდა ზელიჰა შეურყეველია, არ არსებობს, რელიგიას არ დაეთანხმება. აგნოსტიკოსივით უცხოვრია და ასეთად მოკვდება, - გულწრფელი და უმანკო თავისი მკრეხელობით. თუ ალაჰი მართლაც არსებობს სადმე, მან ზელიჰასგან მიღებული მხოლოდ რჩეულებისთვის დამახასიათებელი გულღია საყვედური უფრო უნდა დააფასოს, ვიდრე ყველგანმყოფი რელიგიური ფანატიკოსების ეგოცენტრიკული თხოვნების დათაფლული ენა.

მეორე სართულის მეორე ბოლოში დეიდა ბანუს ოთახია. ახლა მასაც ღვიძავს. ბანუ მესამე ადამიანია კაზანჯების ოჯახში, ვისაც არ სძინავს. დღეს დილით რაღაც ვერ არის. სახე გაფითრებია და დიდრონი, მოყვითალო-მოყავისფრო თვალები მღელვარებისგან უელავს. ბანუს პირდაპირ სარკეა. უყურებს საკუთარ თავს და დროზე ადრე დაბერებულ ქალს ხედავს. წლების განმავლობაში პირველად ენატრება ქმარი - ქმარი, რომელიც დატოვა, მაგრამ ბოლომდე არასოდეს მიუტოვებია.

კარგი კაცია და უკეთეს ცოლსაც იმსახურებს. მეუღლეს ცუდად არასოდეს მოქცევია, არასოდეს უთქვამს უგვანი სიტყვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ორი ვაჟიშვილი დაკარგა, დეიდა ბანუს მასთან ცხოვრების ატანა აღარ შეეძლო. ბანუ დროდადრო ისე მიდის თავის ძველ სახლში, თითქოს უცხო ადამიანი იყოს და დეჟავიუდან ყველა იქაური წვრილმანი იცოდეს. გზად ყოველთვის ყიდულობს გარგარის ჩირს, მის ქმარს ყველაზე მეტად რომ უყვარს. მივა თუ არა, იქაურობას მიალაგ-მოალაგებს, ერთ-ორ ღილს მიაკერებს, რამდენიმე კერძს მოამზადებს, ყოველთვის ისეთს, მის ქმარს ძალიან რომ უყვარს, და სახლსაც დააწკრიალებს. ბევრი კი არ არის დასალაგებელი... აქაურობას კაცი უვლის. ვიდრე დეიდა ბანუ მუშაობს, მისი ქმარი იქვეა და ცოლს თვალს ადევნებს, დღის ბოლოს კი ყოველთვის ეკითხება:

- დარჩები?

პასუხი ყოველთვის ერთია:

- დღეს არა, - თუმცა, წასვლამდე ბანუ დასძენს ხოლმე, - მაცივარში საჭმელია, წვნიანის გაცხელება არ დაგავიწყდეს; პილაკი ორ დღეში

გაათავე, თორემ გაფუჭდება. იების მორწყვა არ დაგავიწყდეს, ფანჯრის გვერდით გადავდგი.

კაცი თავს უქნევს და ისე ხმადაბლა ბუტბუტებს, თითქოს საკუთარ თავს ეუბნებოდეს:

- ნუ წუხხარ. ვიცი, ჩემს თავს როგორ უნდა მივხედო... და მადლობა ჩირისთვის...

ქალი, სარკეში რომ მოჩანს, ამ ღამით მოხუცს ჰგავს. დეიდა ბანუ სულ ფიქრობდა, რომ სწრაფად დაბერება საზღაური იყო, რომელიც საკუთარი პროფესიის სანაცვლოდ უნდა გაეღო. ადამიანთა უმეტესობა წლიდან წლამდე ბერდება, მაგრამ ნათელმხილველებთან საქმე სხვაგვარადაა. მათ ამბიდან ამბამდე ემატებათ ასაკი. რომ ნდომებოდა, დეიდა ბანუს კომპენსაციის მოთხოვნა შეეძლო. ფიზიკურ სილამაზეს ისევე არ ითხოვდა, როგორც მატერიალური კეთილდღეობა არ მოუთხოვია თავისი ჯინისთვის. შეიძლება ოდესმე ითხოვოს კიდეც. აქამდე ალაჰი აძლევდა ძალას, რომ იმაზე მეტი არ ეთხოვა, ვიდრე ითხოვდა. თუმცა, დღეს დეიდა ბანუ კიდევ რაღაცის თხოვნას აპირებს: „ალაჰ, მომეცი ცოდნა, რადგან ცოდნის სურვილზე უარს ვერ ვამბობ, მაგრამ მომეცი ძალაც, რომ ამ ცოდნას გავუძლო. ამინ“.

უჯრიდან ნეფრიტის კრიალოსანს იღებს და მძივებს ხელს ავლებს.

- მაშ, კარგი. მზად ვარ. დავიწყოთ. დაე, ალაჰი იყოს ჩემი შემწე!

ქალბატონი სიამე წიგნის თაროზე ზის, ზედ გაზის ლამპა რომ დევს, და ფეხებს აქანავებს. უკმაყოფილოა დამკვირვებლის როლით, რომელშიც საკუთარი თავი სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა. უკმაყოფილოა ამბებით, ცოტა ხანში მის თვალწინ რომ მოხდება. ამასობაში ბატონი სიმწარე ღვარძლიანად იღიმება. მას ხომ მხოლოდ ასე შეუძლია გაღიმება. კმაყოფილია - ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნა დეიდა ბანუ. დეიდა ბანუ ბატონი სიმწარის ჯინურმა მბრძანებლობამ კი არა, მოკვდავისათვის დამახასიათებელმა ცნობისმოყვარეობამ დაიყოლია. ცოდნის სურვილზე ვერ ამბობდა უარს. მეტის ცოდნის სურვილი, წარღვნამდეც რომ აწვალებდა ადამიანებს... ბოლოს და ბოლოს, ვინ აღუდგებოდა წინ ამ სურვილს?

ახლა კი დეიდა ბანუ და ბატონი სიმწარე ერთად იმოგზაურებენ წარსულში, 2005-დან 1915 წლამდე. გრძელი მოგზაურობა უნდა იყოს, მაგრამ გულიაბანების წლებით თუ გავზომავთ, ერთი-ორი ნაბიჯია.

სარკის წინ ჯინსა და მის მბრძანებელს შორის მექიდან ჩამოტანილი ნაკურთხი წყალი დგას ვერცხლის თასით. ვერცხლის თასში ვერცხლნარევი წყალია, წყალში კი - მასავით ვერცხლნარევი ამბავი.

ბროწეულის მარცვლები

ჰოვანეს სტამბოლელმა ხელი გადაუსვა კაკლის ხის ხელით ნაჩუქურთმევ საწერ მაგიდას, რომელთანაც ნასადილევს იჯდა. თითების ქვეშ თანაბარმა, პრიალა ზედაპირმა გაიელვა. ანტიკვარიატით მოვაჭრე ებრაელმა, რომლისგანაც ეს მაგიდა იყიდა, უთხრა, ასეთი რამეები იშვიათია, რადგან ძნელი გასაკეთებელიაო. ეგეოსის ზღვის კუნძულებზე კაკლის ხეებისგან გამოჭრილი, ერთი ციცქნა უჯრებითა და საიდუმლო განყოფილებებით შემკული მაგიდა შესანიშნავი მხატვრული ნამუშევარი იყო. ნატიფი მორთულობის მიუხედავად, იმდენად მაგარი იყო, რომ რამდენიმე თაობას გაუძლებდა. - ეს საწერი მაგიდა შენც გაგისტუმრებს და შენს შვილებსაც! - დაიროხროხა ვაჭარმა, რომელიც სულ იმაზე ხუმრობდა, რომ მისი საქონელი თავად კლიენტებზე დიდხანს ძლებდა, - სასწაული არ არის, რომ ხის ნაჭერი ჩვენზე დიდხანს არსებობს?

ჰოვანეს სტამბოლელმა იცოდა, რომ ვაჭარმა ამით თავისი საქონლის ხარისხიანობაზე მიანიშნა, მაგრამ გულში სევდამ მაინც გაჰკრა.

საწერი მაგიდა იყიდა. მასთან ერთად იმავე მაღაზიაში გულსაბნევიც შეიძინა. ბროწეულის ფორმის ნატიფი გულსაბნევი იყო, ერთიანად მოოქრული სირმებით დაფარული. ოდნავ გახლეჩილი ბროწეულიდან წითელი ლალის მარცვლები ბრწყინავდა. როგორც უთხრეს, სივასში მცხოვრები ერთი სომეხი ოსტატის ნახელავი იყო. ჰოვანეს სტამბოლელმა გულსაბნევი ცოლს უყიდა საჩუქრად. იმ ღამით აპირებდა მიცემას, ნასადილევს. შეიძლება, უკეთესიც ყოფილიყო, სადილობამდე მიეცა, მაშინვე, როგორც კი ამ თავს მოათავებდა.

ყველა თავს შორის, რომელიც აქამდე დაეწერა, უკანასკნელი ყველაზე მეტ ძალისხმევას მოითხოვდა. რომ სცოდნოდა, ასეთი ქანცისგამწყვეტი იქნებოდა, შეიძლებოდა, მთელ ჩანაფიქრზე ეთქვა უარი, მაგრამ კისრამდე იყო ჩაფლული ამ წიგნში და ერთადერთი გამოსავალი გაგრძელება იყო.

ცნობილი პოეტი და მიმომხილველი ჰოვანეს სტამბოლელი ფარულად წერდა წიგნს, რომელსაც ავტორის საქმიანობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. შეიძლებოდა მისთვის ხელი ეკრათ, დაეწუნებინათ ან სულაც გაელანძღათ. მაშინ, როცა ოტომანთა მთელ იმპერიას გრანდიოზული წამოწყებებით, რევოლუციური მოძრაობებითა და ნაციონალური ხასიათის წინააღმდეგობებით კვებავდნენ, მაშინ, როცა სომეხ საზოგადოებაში ინოვაციური იდეოლოგიები და მწვავე დისკუსიები დუღდა, საკუთარ სახლში განმარტოებული ჰოვანეს სტამბოლელი საბავშვო წიგნს წერდა.

სომხურ ენაზე საბავშვო წიგნის დაწერა ისეთი რამ იყო, რაც მანამდე არავის გაუკეთებია. ეს თითქმის წარმოუდგენელი ამბავი გახლდათ. რატომ არ არსებობდა ერთი ნაწარმოები მაინც ამ ჟანრში? ის ხომ არ იყო მიზეზი, რომ სომხური უმცირესობა ისეთ საზოგადოებად გადაქცეულიყო, რომელსაც არ შეეძლო საკუთარი ბავშვები ბავშვებად მიეჩნია? ხომ არ იყო ბავშვობა ფუფუნება თუ არა, ტყუილუბრალო რამ უმცირესობისათვის, რომელსაც იმის გამო, რომ რაც შეეძლო სწრაფად უნდა გაზრდილიყო, უარს ეუბნებოდნენ ბავშვობაზე? ანდა იმიტომ ხომ არ ხდებოდა ასე, რომ სტამბოლელი ლიტერატორები მოწყვეტილი იყვნენ ზეპირსიტყვიერ ტრადიციებს, სომეხი ბებიები და მათი შვილიშვილები ერთგულად რომ გადასცემდნენ თაობიდან თაობას?

წიგნი „პატარა დაკარგული მტრედი და ბედნიერი ქვეყანა“ მოგვითხრობდა ერთი მტრედის ამბავს, რომელიც ლურჯ ცაში მაშინ დაიკარგა, როდესაც ოჯახსა და მეგობრებთან ერთად ბედნიერ ქვეყანაში მიფრინავდა. მისთვის ძვირფასი ჩიტების ძებნაში მტრედი ბევრ სოფელში, დიდ და პატარა ქალაქში ჩერდებოდა და ყოველ ჯერზე ახალ-ახალ ამბავს ისმენდა.

ასე და ამგვარად, ჰოვანეს სტამბოლელმა ამ წიგნში ძველ სომხურ ხალხურ ზღაპრებს მოუყარა თავი, რომელთა უმეტესობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. სხვები დიდი ხნის წინ დაევიწყებინათ. ავტორი წიგნში მოყვანილი ყველა ზღაპრის დედნის ერთგული რჩებოდა - თითქმის სიტყვასაც არ ცვლიდა, ოღონდ ის უნდოდა, საბავშვო წიგნი საკუ-

თარი ზღაპრით დაესრულებინა. წიგნი სტამბოლში დაიბეჭდებოდა და ისეთ დიდ ქალაქებში გავრცელდებოდა, როგორიც ადანა, ჰარპუთი, ვანი, ტრაბზონი და სივასი იყვნენ. იქ ბევრი სომეხი ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანებს საბეჭდი დაზგის გამოყენება დაახლოებით ორი საუკუნის წინ დაეწყოთ, სომხური უმცირესობა თავის წიგნებსა და ტექსტებს გაცილებით უფრო ადრე ბეჭდავდა.

ჰოვანეს სტამბოლელს უნდოდა, სომეხ მშობლებს წიგნში მოყვანილი ამბები შვილებისათვის ყოველღამ ძილის წინ წაეკითხათ. პარადოქსი იყო, მაგრამ ამ წიგნზე მუშაობამ იმდენი დრო წაართვა ბოლო თვრამეტი თვის განმავლობაში, რომ შვილებთან დიდხანს ყოფნას ვეღარ ახერხებდა. ყოველდღე შუადღისას თავის ოთახში ავიდოდა, საწერ მაგიდას მიუჯდებოდა და იმდენ ხანს წერდა, რამდენსაც საქმე მოითხოვდა.

ყოველღამ, როცა მამა თავისი ოთახიდან გამოდიოდა, მის შვილებს უკვე ეძინათ. წერის სურვილს ყველა და ყველაფერი მოეჯადოებინა ჰოვანეს სტამბოლელის ცხოვრებაში. საბედნიეროდ, წიგნი თითქმის დამთავრებული იყო. იმ საღამოს ბოლო თავს წერდა, იმას, ყველაზე დიდ ძალისხმევას რომ მოითხოვდა. საქმეს რომ მორჩებოდა, ქვედა სართულზე ჩავიდოდა, ტექსტს თასმით გამოკრავდა, ნასკვში ოქროს გულსაბნევს ჩამალავდა და ფუთასმეუღლეს მიართმევდა.

„პატარა დაკარგული მტრედი და ბედნიერი ქვეყანა“ სწორედ ამ ადამიანს ეძღვნებოდა.

უნდოდა, ეთქვა: „გთხოვ, წაიკითხე. თუ საკმარისად კარგი არ არის, დაწვი. მთლიანად. გპირდები, იმასაც კი არ გკითხავ, რატომ დაწვი. მაგრამ თუ ჩათვლი, რომკარგია, ანუ საკმაოდ კარგია იმისთვის, რომ გამოქვეყნდეს და გავრცელდეს, მაშინ, გთხოვ, „დონ პაბლიშერზში“ გარაბედ ეფენდის წაუღე“.

ჰოვანეს სტამბოლელი ყველას აზრზე მეტად მეუღლის აზრს სცემდა პატივს. ამ ქალს დახვეწილი გემოვნება ჰქონდა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში. მისი სტუმართმოყვარეობის წყალობით უფერული დიდი სახლი, ბოსფორის სრუტის გასწვრივ რომ იდგა, წლების გან-

მავლობაში ინტელექტუალებისა და მხატვრების თავშეყრის ადგილი იყო. აქ უთვალავი ლიტერატორი დადიოდა. დადიოდნენ ცნობილი მწერლებიც და ისეთებიც, სამწერლო ასპარეზზე თავის გამოჩენა ძალიან რომ უნდოდათ. ჭამდნენ, სვამდნენ, კითხულობდნენ, განიხილავდნენ და ცხარედ მსჯელობდნენ ერთიმეორის ნამუშევრებზე. კიდევ უფრო ცხარედ კამათობდნენ საკუთარ ნაწარმოებებზე.

ამდენი ხნის ფრენის შემდეგ პატარა დაკარგულმა მტრედმა დაღლა და წყურვილი იგრძნო და დათოვლილ ტოტზე ჩამოჯდა. ბროწეულის ხის ტოტი იყო, ის-ის იყო, რომ უნდა აყვავებულიყო. მტრედმა პატარა ნისკარტი ცოტაოდენი თოვლით ამოივსო, წყურვილი მოიკლა და თავისი მშობლების გამო ცრემლების ღვრას მოჰყვა. - ნუ ტირი, პატარა მტრედო, - უთხრა ბროწეულის ხემ, - მოდი, ამბავს გიამბობ, პატარა დაკარგული მტრედის ამბავს.

ჰოვანეს სტამბოლელი გაჩერდა. ვერ გაეგო, რამ აურია გონება. დიდად გაოცდა, როცა გაღიზიანებული ადამიანივით ამოიოხრა. დაახლოებით ბოლო ერთი საათის განმავლობაში მის გონებაში ათასნაირ შავბნელ აზრს შეეღწია. უჭირდა იმის გაგება, რატომ იყო სულის სიღრმეში ასე აფორიაქებული. თითქოს გონება რაღაც გაუგებარ საფიქრალს ისე ჩაჰკირკიტებდა, რომ თავად მწერალს არაფერს ეკითხებოდა. რა მიზეზიც უნდა ჰქონოდა ასეთ მოუსვენრობას, ჰოვანეს სტამბოლელს თავი უნდა დაეღწია ამ გაშეშებული მდგომარეობისგან. ბოლო თავზე, ბოლო ამბავზე იყო. კარგად უნდა გამოსვლოდა. ტუჩები მოკუმა და წერას მიუბრუნდა.

- შენ ხომ ჩემზე ლაპარაკობ. მე ვარ ის მტრედი! - დაიღუღუნა გაკვირვებულმა პატარა დაკარგულმა მტრედმა. - მართლა?.. - ჰკითხა ბროწეულის ხემ. გაკვირვებისა არაფერი ეტყობოდა, - მაშ, მოისმინე შენი ამბავი... არ გინდა, გაიგო მომავალი? - მარტო მაშინ, თუ ბედნიერი მომავალია, - თქვა პატარა დაკარგულმა მტრედმა, - არ მინდა, ვიცოდე, თუკი სევდიანია.

შეგუბებული ჰაერი მინების უეცარმა ზრიალმა გააპო. ჰოვანეს სტამბოლელი სავარძელში შეკრთა, წერა შეწყვიტა და სმენად გადაქ-

ცეული და გაციებული ინსტინქტურად ფანჯრისკენ მიტრიალდა. კარგა ხანს მხოლოდ ქარის ზუზუნი ესმოდა. რაც უნდა უცნაური იყოს, სიჩუმე უფრო ავის მომასწავებლად მოეჩვენა, ვიდრე მსხვრევის საზარელი ხმა. უკუნი, მოჩვენებითად ჩუმი ღამე იყო. გარეთ ქარი ისე ღმუოდა, თითქოს მოკვდავთათვის უცნობი მიზეზის გამო გამწყრალი ღმერთის რისხვას გამცნობდათ. ამ უცნაური სიწყნარის გამო ჰოვანეს სტამბოლელს გამბედაობამ იმდენად უმტყუნა, რომ თითქმის გულზე მოეშვა, როცა ქვედა სართულიდან რაღაც ხმები მოესმა. ვიღაც კისრისტეხით მირბოდა სახლის ერთი ბოლოდან მეორისკენ, მერე კი უკან ბრუნდებოდა - შეშინებული, მკვეთრი ნაბიჯებით ისე მიიჩქაროდა, თითქოს ვიღაცას ან რაღაცას გაურბოდა.

„იერვანთი იქნება“, - გაიფიქრა ჰოვანეს სტამბოლელმა. მის მზერას კიდევ ერთი საფიქრალის, დარდისა და ცუდი წინათგრძნობის კვალი დაეტყო. უფროსი ვაჟი, იერვანთი, ყოველთვის ჭირვეული და ჯიუტი იყო, მაგრამ ბოლო დროს მისი ურჩობა ზღვარს გადავიდა. სინამდვილეში ჰოვანეს სტამბოლელს დანაშაულის შეგრძნებამ ატკინა გული - იმდენ დროს არ ატარებდა შვილთან, რამდენიც უნდა გაეტარებინა. აშკარა იყო, ბიჭს მამა ენატრებოდა.

უფროს ვაჟთან შედარებით, დანარჩენი სამი ბავშვი, ორი ბიჭი და ერთი გოგონა, ისეთი დამჯერები იყვნენ, იფიქრებდით, უფროსი ძმის შმაგურ ენერგიას და-ძმებზე ძილისმომგვრელი საშუალებასავით უმოქმედიაო. ორ უმცროს ვაჟს შორის განსხვავება სამი წელი იყო, მაგრამ ორივე ერთნაირად დამყოლი გახლდათ. მერე ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი, ნაბოლარა პატარა შუშანა მოდიოდა.

- პატარა ჩიტო, ნუ დარდობ, - გაიღიმა ბროწეულის ხემ და ტოტებიდან თოვლი დაიბერტყა, - ამბავს, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, ბედნიერი დასასრული აქვს.

ქვედა სართულის დერეფანში სულ უფრო მეტი ადამიანის ფეხის ხმა ისმოდა. თითქოს უამრავი იერვანთი ჯიუტად დარბოდა ერთი ბოლოდან მეორეში და ფეხების ბაკუნით სპობდა იატაკს. ამ გამალებულ სირბილს რომ უსმენდა, ჰოვანეს სტამბოლელმა უეცრად ხმა გაიგონა, იმ-

დენად მოულოდნელი და მჭახე, მკაცრი და ხრინწიანი, რომ წამით იქაურობა გააყრუა კიდეც. სწორედ ასე იყო. მერე ისევ ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, თითქოს ყველაფერი მწერლის ფანტაზიის ნაყოფი იყო.

სხვა დროს ჰოვანეს სტამბოლელი ოთახიდან გამოვარდებოდა და შეამოწმებდა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა, მაგრამ ის ღამე სხვა ღამეებს არ ჰგავდა. არ უნდოდა, მისთვის ხელი შეეშალათ, ახლა არა, როდესაც თვრამეტი თვის ნამუშევარს თითქმის ამთავრებდა. დამფრთხალი ჰოვანესი მყვინთავივით დაიკლაკნა, რომელიც მეტისმეტად ღრმად ჩაყვინთავს, მერე კი სხეულს ვერ იმორჩილებს, ისევ ზედაპირზე რომ დაბრუნდეს. ჰოვანეს სტამბოლელისათვის წერა საცდური იყო, სურვილი, რომელიც საიდანღაც შიგნიდან მოდიოდა და ადამიანს ატყვევებდა. სიტყვები წინ და უკან დახტოდნენ მოჭმუჭნილ ქაღალდზე და ევედრებოდნენ, ეს ამბავი ბოლომდე მიიყვანე და ნანატრი სვე-ბედისკენ გაგვიძეხიო.

- კეთილი, - დაიჟღურტულა პატარა დაკარგულმა მტრედმა, - მომიყევი პატარა დაკარგული მტრედის ამბავი, მაგრამ გაფრთხილებ, სევდიან რამეს თუ გავიგონებ, ფრთას ფრთას შემოვკრავ და გავფრინდები.

იცოდა ჰოვანეს სტამბოლელმა, რა უნდა ეთქვა პასუხად ბროწეულის ხეს და როგორ იწყებოდა ბოლო ამბავი, მაგრამ ვიდრე ნაფიქრალს ფურცელზე გადაიტანდა, სადღაც რაღაც იატაკზე დავარდა და ნამსხვრევებად იქცა. გასკდომის ხმასთან ერთად მწერალმა ქშენასაც მოჰკრა ყური. ყრუ ხმაური დიდხანს არ გაგრძელებულა. ჰოვანესმა უმალ ამოიცნო ცოლის ქვითინი. წამოხტა - ერთბაშად დააღწია თავი წერის უფსკრულს. მკვდარი თევზივით ამოვარდა ზედაპირზე.

* * *

ჰოვანეს სტამბოლელი კიბისკენ გაექანა და გაახსენდა იმ დილით სახელგანთქმულ ადვოკატსა და ოტომანური პარლამენტის წევრს, კირკორ ჰაგოპიანს რომ ეჩხუბა. - რთული დროა, ძალიან რთული. უარესისთვის მოემზადე, - იყო პირველი, რაც კირკორმა წაიბუტბუტა, როცა ის და ჰოვანესი ერთმანეთს სადალაქოში შეეჩეხნენ, - თავიდან სომ-

ხობას მოუწოდებდნენ, აცხადებდნენ: „თანასწორი არა ვართ? ყველა ოტომანები არა ვართ? მუსლიმანებიც და არამუსლიმანებიც, ერთად შევებრძოლებით მტერს!“, მაგრამ მერე ყველა სომეხ ჯარისკაცს ჩამოართვეს იარაღი. ამის მერე სომეხ მამაკაცებს შრომით ბატალიონებში უკრეს თავი. ახლა კი, ჩემო მეგობარო, ჭორაობენ... ზოგიერთი ამბობს, რომ უარესი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ გულწრფელად შეწუხდა, ახალ ამბავს ჰოვანეს სტამბოლელი დიდად არ შეუძრავს. თავად ძალიან ხნიერი იყო იმისათვის, რომ ჯარში გაეწვიათ, ბიჭები კი - ძალიან პატარები. ოჯახში ერთადერთი, ვისაც გაწვევის ასაკი ჰქონდა, მისი ცოლის უმცროსი ძმა, ლევონი გახლდათ. ლევონს შერჩევის პროცესში „დაუცველის“ ნიშანი მიეღო და ამის წყალობით ბალკანეთის ომის დროს სამხედრო სამსახურისათვის თავი აერიდებინა. ძველი ოტომანური წესის თანახმად, მამაკაცს, რომელიც ერთადერთი მარჩენალი იყო, სამხედრო სამსახურისგან ათავისუფლებდნენ, თუმცა, შეიძლებოდა ეს წესი შეცვლილიყო.

დღეს დარწმუნებული ვერავინ ვერაფერში ვერ იქნებოდა. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში გამოაცხადეს, რომ მხოლოდ ოცდახუთ წლამდე მამაკაცებს გაიწვევდნენ, მაგრამ როგორც კი ომი გაჩაღდა, ოცდაათი და ორმოცი წლისანიც გაიწვიეს. ბრძოლა ჰოვანეს სტამბოლელის საქმე არ იყო, არც მძიმე ფიზიკური შრომა. პოეზია უყვარდა. სიტყვები. ენის წვერსა და ბაგეზე მომდგარ სომხური ანბანის ყველა ასოს გრძნობდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ დაასკვნა, რომ სომხურ უმცირესობას ყველაზე მეტად იარაღი კი არა, როგორც ზოგიერთი რევოლუციონერი სთავაზობდათ, წიგნები სჭირდებოდა, მეტი და მეტი წიგნი. მიუხედავად იმისა, რომ თანზიმათის შემდეგ ახალი სკოლები დააარსეს, უკიდურესად სჭირდებოდათ გონებაგახსნილი, კულტურული მასწავლებლები და უკეთესი წიგნები. პროგრესი 1908 წლის რევოლუციასაც მოჰყვა. სომეხმა მოსახლეობამ „ახალგაზრდა თურქებს“ იმის იმედით დაუჭირა მხარი, რომ ეს უკანასკნელები არამუსლიმანებს სამართლიანად და წე-

სიერად მოექცეოდნენ. „ახალგაზრდა თურქებმა“ თავიანთ დეკლარაციაში განაცხადეს:

„ყოველი მოქალაქე ისარგებლებს სრული თავისუფლებითა და თანასწორობით, განურჩევლად ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა და ექნება ერთნაირი მოვალეობები. ყველა ოტომანს, როგორც თანასწორს, უფლება აქვს დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა, მისი შესაძლებლობებისა და განათლების შესაბამისად“.

მართალია, დანაპირები არ შეუსრულებიათ და მულტიეროვნული ოტომანიზმი მხოლოდ თურქობის სასარგებლოდ გამოიყენეს, მაგრამ ევროპული სახელმწიფოები იმპერიას დიდი სიფრთხილით ადევნებდნენ თვალს და აუცილებლად ჩაერეოდნენ, თუ შეატყობდნენ, რომ რაიმე სახის ძალადობა იყო მოსალოდნელი. ჰოვანეს სტამბოლელს სწამდა, რომ არსებულ ვითარებაში სომხებისათვის ოტომანიზმი, არარადიკალური შეხედულებები, საუკეთესო არჩევანი იყო. თურქები, ბერძნები, სომხები და ებრაელები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთად და ჯერ კიდევ შეეძლოთ, მოეძებნათ გზა ერთი მფარველის ფრთის ქვეშ თანაარსებობისათვის.

- არ გესმის ეს ამბავი ხომ? - გამოცრა გაცოფებულმა კირკორ ჰაგოპიანმა, - საკუთარ ზღაპრებში ცხოვრობ!

ჰოვანეს სტამბოლელს ადვოკატი არასოდეს ენახა ასეთი ნირწამხდარი და აგრესიული. - არა მგონია, თავგამოდებამ გვიშველოს, - თითქმის ჩურჩულით თქვა პოეტმა. სჯეროდა, რომ ნაციონალისტური შემართება მხოლოდ იმისთვის გამოდგებოდა, რომ ერთი უბედურება მეორეს შეეცვალადა გარდაუვლად იმუშავებდა უპოვართა და უფლებააყრილთა წინააღმდეგ. საბოლოოდ უმცირესობები მხოლოდ იმისთვის ეთიშებოდნენ უფრო დიდ ორგანიზმს, თავიანთი საქციელი ძვირი დასჯდომოდათ და საკუთარი მჩაგვრელი შეექმნათ. ნაციონალიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა მჩაგვრელთა რიგების შევსება. ნაცვლად იმისა, განსხვავებული ეთნიკური კუთვნილების ადამიანებს დაეჩაგრეთ, ბოლოს იმით ამთავრებდით, რომ თქვენივე სისხლი და ხორცი გჩაგრავდათ.

- თავგამოდება! - კირკორ ჰაგოპიანს უკმაყოფილებისაგან სახე მოეღრიცა, - ანატოლიის მრავალი ქალაქიდან გვაწყდება ახალი ამბები. ადანის ინციდენტების შესახებ გაგიგია? სომხების სახლებში ისე შედიან, თითქოს იარაღს ეძებენ, მერე კი იქაურობას ძარცვავენ. არ გესმის? გადასახლებას უპირებენ ყველა სომეხს. ყველა ჩვენგანს! შენ კი აქ საკუთარ ხალხს ღალატობ.

ჰოვანეს სტამბოლელი ერთხანს მშვიდად იყო დაულვაშის ბოლოებს ღეჭავდა, მერე კი ხმადაბლა თავდაჯერებულად ჩაიბუტბუტა:

- ებრაელებმა, ქრისტიანებმა და მუსლიმანებმა ერთად უნდა ვიმუშაოთ. საუკუნეებია, ერთი და იმავე იმპერიის ჭერქვეშ ვართ. მთელი ამ დროის განმავლობაში ერთად ვცხოვრობთ, თუმცა, კი, არათანაბარ საფუძველზე, რომელიც ახლა შეგვიძლია ყველასათვის კეთილსინდისიერად და სამართლიანად ვაქციოთ, შეგვიძლია ერთად გარდავქმნათ იმპერია.

ეს იყო და, კირკორ ჰაგოპიანმა საზარელი სიტყვები წარმოთქვა. სახე ჰოვანესის სახესთან მიეტანა.

- ჩემო მეგობარო, გამოფხიზლდი, ერთობა აღარ არსებობს. ბროწეული როგორც კი გასკდება და ყველა მისი მარცვალი სხვადასხვა მხარეს დაიბნევა, ვეღარ შეაკოწიწებ.

იდგა ჰოვანეს სტამბოლელი გარინდებული კიბის თავთან, ავის მომასწავებელ სიჩუმეს აყურადებდა და თავიდან ვერაფრით იშორებდა წითელი, სევდიანი, გახლეჩილი ბროწეულის სურათს. აშკარად შეშინებულმა ცოლს დაუძახა: - არმანუშ! არმანუშ, სადა ხარ?

„ყველანი სამზარეულოში იქნებიან“, - გაიფიქრა მწერალმა და სწრაფად დაეშვა პირველი სართულისკენ. პირველი მსოფლიო ომის დაწყების ფეხდაფეხ საყოველთაო მობილიზაციაც გამოეცხადებინათ. მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლში ყველა მობილიზაციაზე ლაპარაკობდა, ამ ამბის შედეგები ყველაზე მეტად პატარა ქალაქებში იგრძნობოდა. ქუჩებში დაფდაფებისთვის შემოეკრათ და გაუთავებლად იმეორებდნენ: Seferberliktir! Seferberliktir!

სწორედ მაშინ გაიწვიეს ჯარში მრავალი სომეხი ახალგაზრდა, სამასი ათასზე მეტი. თავიდან ყველა მათგანს დაურიგეს იარაღი, ისევე როგორც მათნაირ მუსლიმან ჯარისკაცებს. თუმცა, ცოტა ხანში ყველას სთხოვეს დარიგებული იარაღის უკან დაბრუნება. მუსლიმანი ჯარისკაცებისაგან განსხვავებით, სომხები სპეციალურ შრომით ბატალიონებში გადაიყვანეს. წარმოუდგენელი ჭორები დადიოდა, თითქოს ენვერ ფაშა იყო ის, ვინც ამ გადაწყვეტილების უკან იდგა.

„გზების ასაშენებლად, რომელზეც ჯარისკაცები გაივლიან, მუშახელი გვჭირდება“, - გამოუცხადებია ენვერ ფაშას.

მერე ერთი დამთრგუნველი ამბავიც მოვიდა, ამჯერად თავად შრომით ბატალიონებზე. ხალხი ამბობდა, რომ ყველა სომეხი გზის მშენებლობაზე კატორღულ სამუშაოს ასრულებდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს ბედელი გადაეხადა და უნდა გაეთავისუფლებინათ. ამბობდნენ, რომ ბატალიონები გზების გასაყვანად მიჰყავდათ, მაგრამ ეს მხოლოდ მიზეზი იყო. სინამდვილეში ამ ადამიანებს ღრმასა და ფართო ორმოებს ათხრევინებდნენ იმისათვის, რომ... ამბობდნენ, რომ სომხებს იმავე ორმოებში მარხავდნენ, რომლების გათხრასაც აიძულებდნენ.

- თურქულმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, სომხები თავიანთ სააღდგომო კვერცხებს საკუთარი სისხლით შეღებავენო! - ვიდრე სადალაქოს დატოვებდა, გაიმეორა სხვებისგან მოსმენილი კირკორ ჰაგოპიანმა. ჰოვანეს სტამბოლელს ამ ჭორების დიდად არ სჯეროდა, თუმცა, აღიარებდა, რომ რთული დრო იდგა.

ქვემოთ, პირველ სართულზე ჩასულმა ჰოვანესმა ცოლის სახელი კიდევ ერთხელ დაიძახა და როცა პასუხი ვერ გაიგონა, ამოიოხრა. შიდა ეზოში გავიდა და ჩაუარა გრძელ, ალუბლის ხის მაგიდას, რომელთანაც კარგ ამინდში საუზმობდნენ ხოლმე. თავში კიდევ ერთი სცენა მოუვიდა „პატარა დაკარგული მტრედიდან“.

- მაშინ მოისმინე შენი ამბავი, - თქვა ბროწეულის ხემ და რამდენიმე ტოტი შეარხია, თოვლის ქულები ჩამოიბერტყა, იყო და არა იყო რა. ღმერთის ქმნილებები ხორბალივით მრავალნი იყვნენ და მეტისმეტად

ბევრი ლაპარაკი ცოდვა იყო. - ჰო, მაგრამ რატომ? - ჩაიღუღუნა პატარა დაკარგულმა მტრედმა, - რატომ იყო მეტისმეტად ბევრი ლაპარაკი ცოდვა?

სამზარეულოს კარი მიეხურათ. დღის ამ დროს ეს უცნაური იყო. არმანუში, ალბათ, შიგნით მარისთან, ხუთი წლის მოახლესთან, ერთად მუშაობდა, ბავშვები კი გარს ეხვეოდნენ.

ჰოვანეს სტამბოლელი სახელურს დასწვდა, მაგრამ ვიდრე გადაატრიალებდა, ძველი, ხის კარი შიგნიდან გაიღო და პოეტი თურქი ჯარისკაცის პირისპირ აღმოჩნდა. სერჟანტი გახლდათ. ასეთი მოულოდნელი შეხვედრა ორივესათვის იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ მთელი წუთის განმავლობაში ერთმანეთს უაზროდ შესცქეროდნენ. სერჟანტმა პირველმადააღწია თავი გაშტერებულ მდგომარეობას, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და მეორე მამაკაცი თავით ფეხამდე შეათვალიერა. შავგვრემანი კაცი იყო და რომ არა მისი მკაცრი მზერა, მიმზიდველი და ახალგაზრდული სახე ექნებოდა.

- რა ხდება აქ?! - შესძახა ჰოვანეს სტამბოლელმა. თვალი მოჰკრა სამზარეულოს კედელთან ზურგმიყრდნობით გამწკრივებულ ცოლს, შვილებსა და მარის, დასჯილი ბავშვებივით რომ იდგნენ გვერდიგვერდ.

- სახლის გაჩხრეკა გვაქვს ნაბრძანები, - თქვა სერჟანტმა. მის ხმაში არც აშკარა მტრობა იგრძნობოდა, არც თანაგრძნობა. ისე ლაპარაკობდა, თითქოს დაღლილი ყოფილიყო და რა მიზეზითაც უნდა მობრძანებულიყო აქ, უნდოდა, საქმე რაც შეიძლებოდა სწრაფად მოეთავებინა და წასულიყო, - გეთაყვა, შეგიძლიათ თქვენი კაბინეტისკენ გაგვიძღვეთ?

სახლის უკანა ნაწილში გავიდნენ და ძლივძლივობით აუყვნენ დიდ, დახვეულ კიბეს. წინ ჰოვანეს სტამბოლელი მიდიოდა, სერჟანტი და ჯარისკაცები უკან მისდევდნენ. როგორც კი ზედა სართულზე განლაგებულ კაბინეტში შევიდნენ, ჯარისკაცები აქეთ-იქით გაიფანტნენ. ავეჯის ცალკეულ ნაწილებს სათითაოდ ისე ათვალიერებდნენ, თითქოს ველური ყვავილების მინდორში მოდებული თაფლიჭამია ბუზები ყოფილიყ-

ვნენ. ჭურჭლის კარადა, უჯრები და იატაკიდან ჭერამდე რომ სწვდებოდა, წიგნის კარადის ყველა თარო გაჩხრიკეს. ასობით წიგნი გადაფურცლეს,გვერდებს შორის დამალულ საბუთებს ეძებდნენ. გულდასმით შეისწავლეს ჰოვანეს სტამბოლელის საყვარელი წიგნები, დაწყებული ბოდლერის „ბოროტების ყვავილებითა“ და ჟერარ დე ნერვალის „ქიმერებით“ და დამთავრებული ალფრედ დე მიუსეს „ღამეებითა“ და ჰიუგოს „საბრალონითა“ და „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრით“. ვიდრე კუნთმაგარი ჯარისკაცი, მძივებივით თვალები რომ ჰქონდა, ეჭვით ათვალიერებდა რუსოს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“, ჰოვანეს სტამბოლელი უნებურად დაფიქრდა ეპიზოდებზე, რომლებსაც ეს კაცი ისე ჩასჩერებოდა, რომ რეალურად ვერც ვერაფერს ხედავდა:

„ადამიანი თავისუფალი იბადება, მაგრამ ყველგან ბორკილებშია. სინამდვილეში, განსხვავება ის არის, რომ ველური ადამიანი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ცხოვრობს მაშინ, როდესაც მაღალი წრის ადამიანი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებს მიღმა ცხოვრობს და მხოლოდ სხვების შეხედულებების მიხედვით შეუძლია ცხოვრება, თითქოს საკუთარი არსებობის შეგრძნებას მხოლოდ მის შესახებ სხვების მსჯელობიდან იღებდეს“.

წიგნების დათვალიერება რომ მოისტუმრეს, კაკლის მაგიდის უჯრების გადაქოთებას მიჰყვეს ხელი. სწორედ მაშინ შენიშნა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მაგიდაზე დადებული ოქროს გულსაბნევი და სერჟანტს მიაწოდა. სერჟანტმა მინიატიურული ბროწეული გამოართვა, ხელში აწონა, ჰაერში შემოატრიალა, ლალის ქვები უკეთესად რომ დაენახა და ჰოვანეს სტამბოლელს ღიმილით გაუწოდა.

- ასეთი ძვირფასი სამკაული ზემოთ არ უნდა დატოვოთ. აი, აიღეთ, - თქვა სერჟანტმა აუღელვებელი და თავაზიანი ადამიანის გამომეტყველებით.

- დიახ, გმადლობთ. საჩუქარია ჩემი ცოლისთვის, - მშვიდად მიუგო ჰოვანეს სტამბოლელმა.

სერჟანტმა პოეტს სანდომიანი, გულწრფელი ღიმილით გაუღიმა, მაგრამ გულითადი გამომეტყველება სასწრაფოდ შეცვალა უგუნებო-

ბამ. როცა სერჟანტმა ისევ დაიწყო ლაპარაკი, მის ხმაში რბილი ინტონაცია აღარ იგრძნობოდა.

- მითხარით, რა არის აქ ნათქვამი? - ჰკითხა სერჟანტმა, თან უჯრაში ნაპოვნ ქაღალდების დასტაზე მიუთითა, ერთიანად სომხური ასოებით რომ იყო ნაწერი.

ჰოვანეს სტამბოლელმა უმალ იცნო ლექსი, მაშინ რომ დაწერა, როცა ავად იყო და მაღალი სიცხე ჰქონდა. ეს ამბავი გასულ შემოდგომაზე მოხდა. ზუსტად სამ დღეს იწვა ლოგინში. ისე ცახცახებდა და ოფლიანობდა, თითქოს მთელი სხეული დახვრეტილ კასრად გადაქცეოდა და იცლებოდა. მთელი ამ დროის განმავლობაში არმანუში მის საწოლს არ მოშორებია, ძმრით გაჟღენთილ ცივ პირსახოცებს შუბლზე აფენდა და გულმკერდს ყინულის ნატეხებით უზელდა. მერე, მესამე დღის ბოლოს, როცა სიცხემ, ბოლოს და ბოლოს, დაიწია, ჰოვანეს სტამბოლელს ერთი ლექსი მოუვიდა თავში. ნაწარმოები ისე მიიღო, როგორც საზღაური ტანჯვა-წამებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური სულაც არ იყო, პოეტს მტკიცედ სჯეროდა ღვთიური საზღაურის არსებობისა, რომელიც, მისი აზრით, ამ ლექსისთანა უმნიშვნელო ნიშნებსა და საჩუქრებში უფრო გამოიხატებოდა, ვიდრე მასშტაბურ რამეებში. - წაიკითხეთ! - სერჟანტმა ოდნავ წაჰკრა იდაყვი ფურცლებს.

ჰოვანეს სტამბოლელმა სათვალე გაიკეთა და პირველი სტრიქონები წაიკითხა. ხმა უკანკალებდა.

„ძილში პატარა ტირის
და არც კი იცის, რატომ.
ენატრება და ტირის
ჩუმად და უსასრულოდ,
ვერ დაამშვიდებ ამ ბავშვს...
მეც მენატრები, სულო...“

- ლექსებია, - შეაწყვეტინა სერჟანტმა. ეს სიტყვა ისეთი ინტონაციით თქვა, თითქოს იმედგაცრუებული იყო.

- ჰო, - თავი დააქნია ჰოვანეს სტამბოლელმა, თუმცა, ვერ გაეგო, სერჟანტის ნათქვამი კარგს ნიშნავდა თუ ცუდს. ნაპერწკალი, სერჟან-

ტის თვალებში რომ დაინახა, მტრულს არ ჰგავდა. შესაძლოა, სერ-ჟანტს ეს სტრიქონები მოეწონა. შესაძლოა, ახლა წასულიყო და თავისი ჯარისკაცებიც თან წაეყვანა.

- ჰო-ვა-ნეს სტამ-ბო-ლე-ლი, - ბუტბუტით თქვა სერჟანტმა. სიტყვებს ყლაპავდა, - ერუდირებული კაცი ხართ, განათლებული. გიცნობენ და პატივს გცემენ. თქვენისთანა დახვეწილი ადამიანი რატომ უნდა იყოს შეთქმულებაში უნამუსო მეამბოხეების ჯგუფთან?

ჰოვანეს სტამბოლელმა შავი თვალები ფურცელს მოსწყვიტა და დაბნეულად დააფახურა. არ იცოდა, რა უნდა ეთქვა თავის დასაცავად, რადგან არ იცოდა, რაში სდებდნენ ბრალს.

- სომეხი მეამბოხეები... ისინი კითხულობენ თქვენს ლექსებს, მერე კი ოტომანთა სასულთნოს უჯანყდებიან, - თქვა სერჟანტმა, თან შეფიქ-რიანებული შუბლს იჭმუხნიდა, - თქვენ მათ ამბოხებისკენ უბიძგებთ.

ჰოვანეს სტამბოლელმა ერთბაშად გააცნობიერა, რასაც აბრალებ-დნენ და ბრალდების სიმძიმეც.

- ოფიცერო, - თქვა პოეტმა, თან დაჟინებით უყურებდა სერჟანტს, რომელიც ასევე დაჟინებით უცქერდა. ჰოვანეს სტამბოლელს ეშინო-და, ვაითუ თვალი მოვაშორო და ჩვენ შორის არსებული კითხვა-პასუ-ხის ერთადერთი ხიდი სამუდამოდ ჩატყდესო, - თავადაც განათლებუ-ლი ადამიანი ხართ და მიხვდებით ჩემი მდგომარეობის სირთულეს. ლექსები ჩემი წარმოსახვის გამოძახილია. ლექსებს ვწერ და ვაქვეყ-ნებ, მაგრამ მე არ შემიძლია იმის გაკონტროლება, ვინ და კონკრეტუ-ლად რა მიზნით კითხულობს მათ.

სერჟანტი დაფიქრებული ჩანდა. თითები სათითაოდ გაატკაცუნა, მერე კი ისე ჩაახველა, თითქოს სათქმელის მნიშვნელობის ხაზგასმა უნდოდა:

- ჩემთვის ეს დილემა სრულიად გასაგებია, თუმცა, კი საკუთარი სიტყვების გაკონტროლება შეგიძლიათ. თქვენ წერთ მათ. პოეტი თქვენ ხართ.

ჰოვანეს სტამბოლელითავგანწირვით შეებრძოლა შიშს, ასე სწრა-ფად რომ ეძალებოდა. პოეტი იქამდე ათვალიერებდა ოთახს, ვიდრე

უფროსი ვაჟიშვილის მზერას არ წააწყდა. ბიჭი კარის გვერდით იდგა და კაბინეტში იჭყიტებოდა.

როდის დაუსხლტა სამზარეულოდან? რამდენ ხანს უყურებდა მამასა და ჯარისკაცებს? ძლიერი სიბრაზისაგან, სამხედროების მიმართ რომ განიცდიდა, იერვანთს ლოყები შეჰფაკვლოდა, მაგრამ მის გამომეტყველებაში იყო რაღაც ისეთიც, რაღაც სიბრაზეზე მეტი. ბიჭს ყმაწვილ სახეზე უცნაური შეშფოთება ეტყობოდა და რაღაცნაირი გონიერი ჩანდა. ჰოვანეს სტამბოლელმა ვაჟს გაუღიმა, შეეცადა, დაერწმუნებინა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მერე კი ანიშნა, დედასთან დაბრუნდიო, თუმცა, იერვანთი ადგილიდან არ იძვროდა.

- ვშიშობ, რომ ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდეთ, - თქვა სერჟანტმა.

- არ შემიძლია, - დაუდევრად მიუგო ჰოვანეს სტამბოლელმა და მიხვდა, რამდენად უბადრუკი იყო მიზეზი, რომლის თქმასაც აპირებდა, - დღეს წიგნი უნდა დავასრულო... ბოლო თავია... - იფიქრა პოეტმა, მაგრამ ხმამაღლა სულ სხვა რამ თქვა, - ცოლს უნდა დაველაპარაკო.

ვიდრე წაიყვანდნენ, ბოლო, რაც ჰოვანეს სტამბოლელის მეხსიერებაში აღიბეჭდა, მისი მეუღლის გამომეტყველება გახლდათ. ქალს გუგები გაფართოებოდა და ტუჩებზე მკვდრისფერი ედო. არმანუში არც ტიროდა და არც გაკვირვებული იყო.

ასე იყო თუ ისე, პოეტის მეუღლე უკიდურესად დაღლილ ადამიანს ჰგავდა, თითქოს კარის ღიობში დგომას მისთვის ძალ-ღონე მთლიანად გამოეცალა. ნეტავი ახლა შესძლებოდა მისი ხელები ხელში მოექცია, მაგრად მოხვეოდა და ჩუმად ეთქვა: „ძლიერი იყავი, ყოველთვის ძლიერი იყავი ჩვენი ბავშვების გულისთვის და იმისთვის, ვინც მალე უნდა დაიბადოს“. არმანუში ოთხი თვის ორსული იყო.

ცოლისთვის საჩუქრის მიცემა რომ დაავიწყდა, ჰოვანეს სტამბოლელს მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა მუჯლუგუნი წაჰკრეს და სადარბაზო კარიდან ბნელ ქუჩაში გავიდა ჯარისკაცების თანხლებით. ხელები ჯიბეებში ჩააცურა და გულზე მოეშვა, როცა თითის წვერებით ოქროს ბროწეულთან შეხება ვერ იგრძნო. სახლში დაეტოვებინა, საწერი

მაგიდის უჯრაში. ნაზად გაეღიმა, იფიქრა, როგორ ესიამოვნება არმანუშს, საჩუქარს იქ რომ ნახავსო.

* * *

როგორც კი ჯარისკაცები წავიდნენ, კარის ზღურბლთან სწრაფი ნაბიჯების ხმა გაისმა. კარის მეზობელი იყო. კეთილ, ფუმფულა ქალს, სულ მხიარულ განწყობაზე რომ იყო, ახლა მხიარულის გარდა ყველაფერი ეთქმოდა. მეზობლის სახეზე დანახულმა შეშინებულმა გამომეტყველებამ არმანუში ძილბურანიდან გამოიყვანა და ჰოვანეს სტამბოლელის მეუღლემაც თავს შიშის უფლება მისცა. არმანუშმა იერვანთს თავისკენ მოქაჩა და ტუჩების ცახცახით უთხრა: „წადი, შვილო, წადი ბიძაშენ ლევონთან... და უთხარი, ახლავე მოვიდეს. უთხარი, რაც მოხდა“.

ბიძია ლევონი იქვე, ბაზრის მოედანთან მოკრძალებულ ორსართულიან სახლში მარტო ცხოვრობდა. სახლის პირველ სართულზე სახელოსნო იყო. ბიძიას ახალგაზრდობაში ერთ სომეხ ლამაზმანზე შევარდნოდა გული და შესაძლოა, ახლაც უყვარდა. რაკი რჩეულის ხელის თხოვნაზე უარი მიიღო, ბიძია ლევონს გადაუწყვეტია, არასოდეს დაქორწინებულიყო და ამიტომ წლების განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდა თავის სახელოსნოში,რომლის ნაწარმიც ხარისხით იყო განთქმული. ბიძია ლევონი მექვაბე იყო და მთელ იმპერიაში საუკეთესო ქვაბებს აკეთებდა.

ქუჩაში გასულმა იერვანთმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარა ბიძის სახლისკენ, მაგრამ მერე ერთბაშად შედგა და საპირისპირო მხარეს მიბრუნდა, იქით, საითაც მამამისი წაიყვანეს და ადგილს მოსწყდა. ქუჩა თავიდან ბოლომდე გაირბინა, მაგრამ მამის კვალსაც კი ვერ მიაგნო. არავინ და არაფერი ჩანდა. თითქოს მამაცა და თურქი ჯარისკაცებიც სადღაც გამქრალიყვნენ. ცოტა ხანში ბიჭმა ბიძია ლევონის სახლს მიაღწია, მაგრამ ზედა სართულში არავინ დახვდა. სახელოსნოს კარზე დააკაკუნა. იმედი ჰქონდა, რომ ბიძია იქ იქნებოდა. ლევონისათვის მაღაზიაში გვიანობამდე მუშაობა ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ სახელოსნოს კარი ბიძიას მოწაფემ, წყნარმა და ბეჯითმა თურქმა ბიჭმა, რი-

ზა სელიმმა გაუღო. რიზას ფაიფურივით თეთრი კანი და ძალიან ხვეული, ყორნისფერი თმა ჰქონდა.

- ბიძაჩემი სად არის? - იკითხა იერვანთმა.

- ოსტატი ლევონი წასულია, - უპასუხა რიზა სელიმმა მოგუდული ხმით, ძლივს რომ ამოსდიოდა ყელიდან, - შუადღეზე ჯარისკაცები მოვიდნენ და წაიყვანეს, - ამის თქმა იყო და, რიზა სელიმმა მანამდე შეკავებულ ცრემლებს გზა მისცა. ბიჭი ობოლი იყო, ბიძია ლევონი კი ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მამასავით ექცეოდა, - არ ვიცი, რა ვქნა... - თქვა რიზამ, - ველოდები...

ბრუნდებოდა შინ იერვანთი, მირბოდა მიხვეულ-მოხვეულ ციცაბო ქუჩებზე ხან აღმოსავლეთისკენ, ხან დასავლეთისკენ და ეძებდა რაღაცას, ნებისმიერ რამეს, რაც სასიკეთო ნიშანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩაურბინა ცარიელ ყავახანებს, ბინძურ მოედნებსა და დრომოჭმულ სახლებს, საიდანაც türlü სუნი და ბავშვების ტირილის ხმა მოდიოდა. ერთადერთი სულიერი, რომელიც გზად შეხვდა, მოწითალო-მოყავისფრო კნუტი იყო, საწყალობლად რომ კნაოდა ჭუჭყიან წყლის ჩასადენ ღარზე და პაწაწინა მუცელს ილოკავდა, რომელზეც ღია ჭრილობა ჰქონდა. ღრმა, შეშუპებულიჭრილობის ირგვლივ სისხლი მიხმობოდა.

წლების შემდეგ, როცა მამაზე ფიქრობდა, იერვანთს სულ ის კნუტი ახსენდებოდა ხოლმე, მარტოდმარტო რომ იყო ბნელ და ცარიელ ქუჩაზე. პირკინიკში მდებარე სომეხი კათოლიკეების პატარა სოფელ სივასშიც კი, სადაც ბებია-ბაბუასთან თავის შესაფარებლად მხოლოდ იმისთვის წავიდნენ, რომ ერთ ღამეს ჯარისკაცები სახლში შესცვივნოდნენ და გარეთ გამოეყარათ; მაშინაც კი, როცა ათასობით მშიერ-მწყურვალ და ნაცემ სომეხთან ერთად ფეხით მიდიოდა ცხენზე ამხედრებული ჯარისკაცების თანხლებით; მაშინაც კი, როცა გაჭირვებით მიღოღავდა ტალახის, ნარწყევის, სისხლისა და ექსკრემენტების გრძელ და სქელ ხალიჩაზე; მაშინაც კი, როცა არ იცოდა, როგორ გაეჩერებინა ატირებული პატარა და, შუშანა, რომელსაც მერე ერთ დღეს აურზაურში სულ ერთი წამით გაუშვა ხელი და თვალთახედვიდან დაკარგა; მაშინაც კი, როცა უყურებდა დედამისის ფეხებს, შეშუპებისგან იისფერი

ვენებითა და სისხლით დაფარულ ორ მტკივნეულ ცისფერ ბალიშს რომ დამსგავსებოდა; მაშინაც კი, როცა ნიავის ქროლისას მოფარფატე ტი-რიფის გამხმარი, მსუბუქი ფოთოლივით ქალი გარდაიცვალა; მაშინაც კი, როცა გზაზე დაყრილ დასიებულ, აყროლებულ გვამებს და ცეცხლსა და კვამლში გახვეულ გომურებს უყურებდა; მაშინაც კი, როცა სირიის უდაბნოში ულუკმაპუროდ დარჩენილები, ის და მისი ძმები ცხვრებივით ბალახობდნენ; მაშინაც კი, როდესაც ბავშვები ამერიკელი მისიონერე-ბის ჯგუფმა გადაარჩინა, რომლებსაც საკუთარი თავი გადასახლებისას აქეთ-იქით გაფანტული სომეხი ობლების შეკრებისთვის მიეძღვნათ; მაშინაც კი, როდესაც სხვებთან ერთად ისევ უკან დააბრუნეს სივასის ამერიკულ კოლეჯში, რომელიც თავშესაფრის ფუნქციას ასრულებდა, იქიდან კი ამერიკაში გაგზავნეს; მაშინაც კი, როცა წლების შემდეგ, ბო-ლოს და ბოლოს, სტამბოლში თავისი უმცროსი და, შუშანა იპოვა და მი-სი სან-ფრანცისკოში წაყვანა მოახერხა; მაშინაც კი, როცა წლების შემ-დეგ შვილებითა და შვილიშვილებით გარშემორტყმული მხიარულად ვახშმობდა ხოლმე, იერვანთის გონებაში უწინდებურად იყო ჩაბეჭდი-ლი ის პატარა კნუტი.

* * *

- საკმარისია, - შესძახა დეიდა ბანუმ და შეკრთა. თავშალი შეიხსნა და ვერცხლის თასს გადააფარა, - ამის მოსმენა აღარ მინდა. რისი გა-გებაც მინდოდა, გავიგე...

- ჯერ ყველაფერი არ გინახავს, - შეეპასუხა ბატონი სიმწარე ზრიალა ხმით, - ჯერ ტილებზე არ მომიყოლია.

- ტი... ტი-ლებ-ზე? - ენის ბორძიკით თქვა დეიდა ბანუმ. რა ძალასაც უნდა ეკარნახებინა მისთვის ამ სეანსის შეწყვეტა, ახლა ბანუ სხვა ჭკუ-აზე იყო. თავშალი აიღო და ისევ თასში ჩაიჭყიტა.

- ჰო, ტილები, ჩემო მბრძანებელო, მნიშვნელოვანი დეტალია, - თქვა ბატონმა სიმწარემ, - გახსოვს ის მომენტი, პატარა შუშანას უფროს ძმაზე ხელი რომ გაეშვა და მოულოდნელად ბრბოში დაიკარგა? ოჯა-ხისგან, რომელთანაც იმ იმედით მივიდა, რომ რაღაცას მაინც შეჭამდა, ტილები შეესია. იმ ოჯახს თავადაც ბევრი არაფერი ჰქონდა და გოგონა

მოისროლეს. რამდენიმე დღეში მაღალი სიცხისგან იწვოდა. ტიფი ჰქონდა.

დეიდა ბანუს ხმამაღალი, გრძელი ოხვრა აღმოხდა.

- იქ ვიყავი. ყველაფერი ვნახე. შუშანა მუხლებზე დაეცა. ამ ამალაში მისი მიხმარების თავი არავის ჰქონდა. მიწაზე დავარდნილი გოგონა იქვე დატოვეს. შუბლი ოფლით ჰქონდა დაცვარული, თმა ტილებით - სავსე!

- საკმარისია! - ფეხზე წამოდგა დეიდა ბანუ.

- რა, საუკეთესო ნაწილის მოსმენას არ აპირებ? არ გინდა, გაიგო, რა შეემთხვა პატარა შუშანას? - იკითხა ბატონმა სიმწარემ ისე, თითქოს თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, - გინდოდა, თქვენი სტუმრის ოჯახის შესახებ გაგეგო, არა? პატარა შუშანა, რომელზეც გიამბობ, თქვენი სტუმრის ბებიაა.

- ჰო, - მიუგო დეიდა ბანუმ, - მაგას მივხვდი. განაგრძე!

- კეთილი! - თქვა გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ბატონმა სიმწარემ, - მას შემდეგ, რაც გზაზე ცოცხალ-მკვდარი დატოვეს და ჰორიზონტზე ადამიანების ჯაჭვიც გაუჩინარდა, პატარა შუშანა ორმა ქალმა იპოვა. ქალები ახლომახლო თურქული სოფლიდან იყვნენ. დედა-შვილი იყო. ავადმყოფი ბავშვი შინ წაიყვანეს, დაფნის საპნით კარგად აბანავეს და მინდვრის ყვავილებისაგან გაკეთებული წამლებით ტილები მოაშორეს. აჭამეს, უმკურნალეს. სამი კვირის შემდეგ, როცა ერთი მაღალჩინოსანი ოფიცერი ჯარისკაცებთან ერთად სოფლის სიახლოვეს გაჩერდა და იქაურები დაჰკითხა, ამ არემარეში სომეხ ობლებს ხომ არ გადასწყდომიხართო, თურქმა დედამ შუშანა თავისი ქალიშვილის მზითვის სკივრში დამალა და გადაარჩინა. ერთი თვის შემდეგ პატარა გოგონა ფეხზე დადგა, თუმცა, ბევრს არ ლაპარაკობდა და ღამით ძილში ტიროდა.

- მეგონა, თქვი, რომ სტამბოლში დააბრუნეს... - ბოლოს კი, მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში დედა-შვილი შუშანას ისე უვლიდა, თითქოს მათი ოჯახის ერთ-ერთი წევრი ყოფილიყო და, ალბათ, ასეც გააგრძელებდნენ, მაგრამ სოფელში ხროვა გამოჩნდა. ჩხრეკდნენ და ძარ-

ცვავდნენ სახლებს. რეგიონის ყველა თურქულ და ქურთულ სოფელში ჩერდებოდნენ და აქოთებდნენ იქაურობას. პატარა სომეხი გოგონაც მალეიპოვეს. დედა-შვილის გოდების მიუხედავად, შუშანა მაინც წაიყვანეს. გაგონილი ჰქონდათ ბრძანების შესახებ, რომლის თანახმადაც, თორმეტ წლამდე ასაკის ობლები ქვეყანაში არსებულ უდედმამოთა თავშესაფრებში უნდა მიეყვანათ. ასე რომ, ცოტა ხანში პატარა შუშანა ალეპოს ობოლთა თავშესაფარში აღმოჩნდა, მაგრამ რაკი იქ ადგილები აღარ იყო, სტამბოლის ერთ-ერთ სკოლაში წაიყვანეს, სადაც მასზე რამდენიმე ხოჯაჰანიმი ზრუნავდა. ზოგიერთი მათგანი კეთილგანწყობილი და ყურადღებიანი იყო, ზოგი - გულცივი და მკაცრი. სხვა ბავშვებივით, შუშანასაც თეთრი კაბა და უღილო შავი პალტო ჩააცვეს. გოგონები და ვაჟები ერთად იყვნენ. ბიჭები წინადაცვითეს. ყველა ბავშვს, მათ შორის შუშანასაც, სახელები შეუცვალეს. ახლა მას ყველა შერმინს ეძახდა. გვარიც მისცეს: 626.

- კმარა! - დეიდა ბანუმ ისევ გადააფარა თავშალი ვერცხლის თასს და ჯინს ხანგრძლივი, გამჭოლი მზერა მიაპყრო.

- დიახ, მბრძანებელო, როგორც ინებებთ, - წაილუღლუღა ბატონმა სიმწარემ, - თუმცა, ამბის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გამოტოვეთ. გამაგებინეთ, როგორც კი ისურვებთ ამ ნაწილის მოსმენასაც, რადგან ჩვენ, გულიაბანებმა, ყველაფერი ვიცით. იქ ვიყავით. შუშანას წარსულის შესახებ გიამბე, როცა პატარა გოგო იყო, ახლა კი არმანუშის ბებიაა. ისეთი რამეები გითხარი, თქვენმა სტუმარმა რომ არ იცის. მოუყვები? ფიქრობ, უფლება აქვს იცოდეს?

დეიდა ბანუ ჩუმად იდგა. მოუყვებოდა კი ოდესმე ამ ამბავს არმანუშს, რომელიც იმ ღამეს მოისმინა? რომც ნდომოდა, როგორ უნდა ეთქვა მისთვის, რომ მისი ოჯახის ამბავი წყლით სავსე ვერცხლის თასში ჯინებს შორის ყველაზე უარესმა, გულიაბანმა დაანახვა? დაუჯერებდა კი არმანუში? გარდა ამისა, გოგონას მართლაც რომ დაეჯერებინა, განა უკეთესი არ იყო, არასოდეს სმენოდა ყველა ამ გულსატკენი წვრილმანის შესახებ.

დეიდა ბანუ ნუგეშის მისაღებად ქალბატონ სიამეს მიუბრუნდა, მაგრამ ერთადერთი, რაც ამ მზრუნველი ჯინისაგან პასუხის ნაცვლად მიიღო, მორიდებული ღიმილი და თავის გარშემო იის, ვარდისა და პორფირისფერი შარავანდედის ციალი იყო. ჯინის შარავანდედთან ერთად აალდა ერთი მტკივნეული კითხვაც: მართლა თუ ჯობდა ადამიანებისათვის საკუთარი წარსულის შესახებ მეტის ცოდნა? მეტის და მეტის? თუ უკეთესი იყო, რაც შეიძლებოდა ცოტა გცოდნოდა და ის მცირედიც დაგევიწყებინა, რაც იცოდი?

* * *

გათენდა. ერთი მოკლე ნაბიჯით დაშორდა ერთმანეთის გასაყარს დღე და ღამე. ეს დღის განმავლობაში ერთადერთი დროა, როცა სიზმრების ახდენაზე ოცნება საკმაოდ ადრეა, მაგრამ სიზმრის სანახავად ძალიან გვიანია - შორსაა მორფევსის საბრძანებელი.

ალაჰის თვალი ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნეა. ეს არის თვალი, რომელიც არასოდეს იხუჭება, ალაჰი თვალს არც კი ახამხამებს. და მაინც, დანამდვილებით ვერავინ გეტყვით, ასევე ყოვლად თვალმისაწვდენია დედამიწა თუ არა. თუკი დედამიწა სცენაა, რომელზეც ციური მზერისათვის სანახაობა სანახაობაზე იმართება, შეიძლება წარმოდგენებს შორის იყოს დრო, როდესაც ფარდა ეშვება და გამჭვირვალე თავშალი ვერცხლის ჯამის ზედაპირს ფარავს.

სტამბოლი ათი მილიონი ადამიანისაგან შემდგარი დომხალია, ათი მილიონი ნავაივაგლახარი ამბავია. იღვიძებს სტამბოლი მოუსვენარი ძილის შემდგომ და უკვე მზად არის პიკის საათის სრული აურზაურისათვის. ძალიან ბევრ მლოცველს უნდა გაეცეს პასუხი, ძალიან ბევრი ღვთის გმობა უნდა მოინიშნოს, ძალიან ბევრ ცოდვილსა და უცოდველს უნდა მიედევნოს თვალი.

სტამბოლში უკვე დილაა.

13

ლეღვის ჩირი

თვე თვეს მისდევს. ყველა თვემ იცის, წელიწადის რომელ დროს მიეკუთვნება და იქცევა ისე, როგორც ჯერ არს. მარტო ერთმა თვემ არ იცის, რა უნდა ქნას. ეს თვე მარტია.

სტამბოლში ფსიქოლოგიურად და ფიზიკურადაც ყველაზე გაუწონასწორებლად მარტი იქცევა. შეიძლება გადაწყვიტოს, რომ გაზაფხულის თბილი და სურნელოვანი თვე ბრძანდება და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ზუსტად მეორე დღეს ზამთრად გადაიქცეს და ირგვლივ ცივი ქარი და თოვლჭყაპი გააჩინოს. 19 მარტი იდგა. უჩვეულოდ მზიანი შაბათი დღე იყო. ამ სეზონისათვის დამახასიათებელ საშუალო ტემპერატურაზე გაცილებით მეტად თბილოდა. ასია და არმანუში ორთაკოიდან თაქსიმის მოედნისაკენ განიერ, ქარისაგან გადახვეტილ გზას მიუყვებოდნენ. ორივემ გაიხადა სვიტერი.

ასიას ხორცისფერსა და დამწვარი შაქრის ფერში ხელით მოხატული ბატიკის გრძელი კაბა ეცვა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გოგონას ყელსაბამებსა და სამაჯურებს წყება-წყება გაუდიოდა ჩხარაჩხური.

აი, არმანუში კი საკუთარი სტილის ერთგული იყო: ლურჯი ჯინსის შარვალი და ბალერინის პუანტებივით ღია ვარდისფერი, ფარფალა მაისური არიზონის უნივერსიტეტის ემბლემით. ტატუს სალონში მიდიოდნენ.

- ისე მიხარია, ბოლოს და ბოლოს, არამს რომ ნახავ, - სახე გაუბრწყინდა ასიას და ტილოს ჩანთა ერთი მხარიდან მეორეზე გადაიტანა, - ისეთი კარგი ადამიანია.

- ეს სახელი ადრეც გითქვამს, მაგრამ წარმოდგენაც არა მაქვს, ვისზე ლაპარაკობ.

- ოჰ, ის... - შეყოვნდა ასია. უნდოდა, ინგლისურად სწორი სიტყვა შეერჩია. სიტყვა „შეყვარებული“ ამ სიტუაციისთვის მეტისმეტად მსუბუქად ჟღერდა, „ქმარი“ ფორმალური თვალსაზრისით არ იყო სწორი, „საქმრო“ სიმართლეს არ ჰგავდა. თითქოს „დანიშნული“ უფრო ერგე-

ბოდა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ დეიდა ზელიჰა და არამი ოფიციალურად დანიშნული არასოდეს ყოფილან, - დეიდა ზელიჰას მეორე ნახევარია.

გზის გადაღმა, კოხტად მოჩუქურთმებული ოტომანური თაღის ქვეშ, გოგონებმა ორ ბოშა ბიჭუნას მოჰკრეს თვალი. ერთ-ერთი სანაგვე კოდიდან თუნუქის ქილებს ექაჩებოდა და ნახევრად დაშლილ ოთხთვალაზე ახვავებდა.

მეორე ბიჭი ოთხთვალას კიდეზე იჯდა, თუნუქის ქილებს ახარისხებდა და ტყავიდან ძვრებოდა, მძიმე შრომის ილუზია რომ შეექმნა, არადა, მზეს ეფიცხებოდა. „როგორი იდილიური ცხოვრება იქნებოდა“, - გაიფიქრა ასიამ. რას არ დათმობდა, ოთხთვალაზე წამოსკუპებული ბიჭისთვის ადგილი რომ გაეცვალა. თავდაპირველად წავიდოდა, ერთ ჯახრაკ, დავარდნილ ცხენს მოძებნიდა და იყიდდა. მერე ცხენიანი ოთხთვალათი ყოველდღე ივლიდა სტამბოლის ქუჩებში აღმა-დაღმა და რაღაცებს შეაგროვებდა. გულწრფელად მობოჭავდა ადამიანთა ყოფის ყველაზე გულმიუვალ არტეფაქტებს და გულში ჩაიკრავდა ნაგავს, გაპრიალებული ზედაპირის ქვეშ რომ ლპებოდა. ასიას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სტამბოლელ მენაგვეს შეიძლებოდა იმაზე ნაკლებად სტრესული ცხოვრება ჰქონოდა, ვიდრე მასა და მის მეგობრებს კაფე „კუნდერადან“. მენაგვე თუ გახდებოდა, ქალაქში ჯონი კეშის სიმღერების სტვენა-სტვენით იხეტიალებდა, მაცოცხლებელი სიო თმაზე მიეალერსებოდა და მზე ძვლებს გაუთბობდა. ვინც კი ამ ნეტარი ჰარმონიის დარღვევას გაბედავდა, შიშით სულს გააფრთხობინებდა, თავისი უზარმაზარი ბოშური გვარ-ტომით დაემუქრებოდა, რომელშიც, ალბათ, ყველა ნასამართლევი იქნებოდა სისხლის სამართლის რომელიმე მძიმე დანაშაულისათვის.

სიღარიბე პრობლემა კი იყო, მაგრამ ზამთარი გასული გახლდათ და ასიამაც გადაწყვიტა, რომ მენაგვეობა საინტერესო იქნებოდა, მერე კი საკუთარი დასკვნა გონებაში მოინიშნა. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ კოლეჯის დამთავრების შემდეგ უკეთეს საქმეს ვერ მოძებნიდა. ეს იყო და, გოგონამ სტვენაც წამოიწყო. სტროფის ბოლოში რომ მივიდა, მხო-

ლოდ მაშინ შეამჩნია, არმანუში ისევ ელოდა მისგან უფრო დეტალურ პასუხს რამდენიმე წუთის წინ დასმულ შეკითხვაზე.

- ჰო, ისა, ალაჰმა უწყის, რამდენი ხანია, რაც დეიდა ზელიჰა და არამი ერთმანეთს ხვდებიან. მგონი, ჩემთვის მამინაცვალივითაა, ლოგიკური რომ ვიყოთ, ბიძიანაცვალს უნდა ვეძახდე... თუ რაღაცას.

- რატომ არ ქორწინდებიან?

- ქორწინდებიან? - ასიამ ეს სიტყვა ისე გადააპურჭყა, თითქოს კბილებს შორის გაჩხერილი საჭმელი ყოფილიყო.

ის-ის იყო, თუნუქის ქილების შემგროვებლისთვის უნდა ჩაევლოთ, რომ ასიამ თავისთვის მისაბაძი მაგალითები ახლოდან დაათვალიერა და მიხვდა, ბიჭები კი არა, გოგონები იყვნენ. ეს ამბავი უფრო მეტად მოეწონა კიდეც. სქესობრივი საზღვრების გაბუნდოვნება კიდევ ერთი მიზეზი იყო იმისთვის, რომ მენაგვე გამხდარიყო.

ასიამ სიგარეტი ტუჩებს შორის მოიქცია, მაგრამ ანთების ნაცვლად, მის ბოლოს ერთი წუთის განმავლობაში ისე წუწნიდა, თითქოს საჭმლად ვარგის ქაღალდში შეფუთული სიგარეტის ფორმის შოკოლადის ჩხირი ყოფილიყო, მერე კი ერთი ფარული აზრი აღმოაჩინა:

- დარწმუნებული ვარ, არამი ქორწინებაზე უარს არ იტყოდა, მაგრამ დეიდა ზელიჰა არასოდეს მისთხოვდება ვინმეს.

- კი მაგრამ, რატომ? - დაინტერესდა არმანუში.

ნიავმა სწორედ მაშინ შეიცვალა მიმართულება და არმანუშმა ზღვის მძაფრი სურნელი შეიგრძნო. ეს ქალაქი ერთმანეთში არეული ნაირნაირი სუნის ერთობლიობა იყო. მძაფრი, მძაღე არომატები ტკბილსადა ამაღელვებელ სურნელებს შერეოდა. თითქმის ყველანაირი სუნი არმანუშს რომელიღაც კერძს აგონებდა, - გოგონა სტამბოლს უკვე ისე აღიქვამდა, როგორც საჭმელად ვარგის რაღაცას. უკვე რვა დღე იყო, რაც ჩამოვიდა და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო დახლართულად და მრავალწახნაგოვანად ესახებოდა სტამბოლი. თუ თავად ქალაქს არა, შეიძლება იმას ეჩვეოდა, რომ იქ ჩასული უცხოელი იყო.

- ეჭვი თითქმის არ მეპარება, ამის მიზეზი ის არის, რაც დეიდა ზელიჰას მამაჩემთან შეემთხვა, ვინც გინდა ყოფილიყო ის კაცი, - განაგრძო

ასიამ, - ალბათ, ამიტომ ეწინააღმდეგება ასე ქორწინებას. ვფიქრობ, რომ კაცებისადმი უნდობლობის პრობლემაა.

- ჰო, მესმის, - თქვა არმანუშმა.

- არ გეჩვენება, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა, როდესაც საქმე სასიყვარულო ურთიერთობის მერე წელში ხელახლა გამართვაზე მიდგება? იმას ვგულისხმობ, რომ საშინელი ქორწინების, რომანის ან რაღაც ეგეთი ჯანდაბის გადატანის შემდეგ ქალები კარგა ხნის განმავლობაში თავს არიდებენ ახალ ურთიერთობას. კაცებთან პირიქით ხდება. როგორც კი ერთ კატასტროფას თავს დააღწევენ, ახალი კატასტროფის ძებნას იწყებენ. კაცებს მარტო ყოფნა არ შეუძლიათ.

არმანუშმა თანხმობის ნიშნად თავი ერთბაშად დააქნია, თუმცა, ასიას მოდელი მისი მშობლების მდგომარეობას დიდად არ შეეფერებოდა. განქორწინების შემდეგ სწორედ დედამისი გათხოვდა ხელმეორედ, მაშინ, როდესაც მამამისი დღემდე უცოლო იყო.

- ეს არამი... საიდან არის? - იკითხა არმანუშმა.

- სადღაც აქედანაა, ჩვენსავით, - ასიამ ჯერ მხრები აიჩეჩა, მაგრამ წამიც და, გაიაზრა, რაც ჰკითხეს. გაუკვირდა, პასუხი რომ არ ჰქონდა. სიგარეტი, რომელსაც წუწნიდა, აანთო და ნაფაზი დაარტყა. როგორ ვერ დააკავშირა რაღაცები ერთმანეთთან?

არამი სტამბოლელი სომხების ოჯახიდან იყო. თეორიულად, ის სომეხი იყო.

და მაინც, იყო რაღაც ისეთი, რის გამოც არამი ვერც სომეხი იქნებოდა, ვერც თურქი და ვერც რომელიმე სხვა ერის შვილი. არამი მხოლოდ არამი თუ იქნებოდა, ერთი ყოვლად განუმეორებელი ადამიანი. უნიკალური ჯიშის უნიკალური წარმომადგენელი გახლდათ.

ჯადოქარი, დიდი რომანტიკოსი და პოლიტოლოგიის პროფესორი არამი ხშირად აღიარებდა, რომ ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე ღარიბ სოფელში მეთევზესავით ცხოვრება უფრო მეტად იზიდავდა. სათუთი სულისა და მიმნდობი გულის პატრონი, მოსიარულე აურზაური, შემართებული უტოპისტი და უპასუხისმგებლო სიტყვის კაცი, განსაკუთრებუ-

ლად ზნედაცემული, საზრიანი და პატივცემული ვინმე იყო. ეტყობოდა, რა შვილიც ბრძანდებოდა და, შესაბამისად, ასიასაც არასოდეს გაუიგივებია იგი რომელიმე კოლექტივთან. ასია კაზანჯის ერთი სული ჰქონდა, რომ ამაზე ეთქვა რამე, მაგრამ უბრალო ფრაზას დასჯერდა:

- სინამდვილეში, სომეხია.

- ასეც ვიფიქრე, - ძლივს გაიღიმა არმანუშმა. ხუთ წუთში ტატუს სალონში იყვნენ.

- მობრძანდით! - შესძახა დეიდა ზელიჰამ ოდნავ ხრინწიანი ხმით. სიტყვებს წელავდა. ზელიჰამ გოგონები გულში მაგრად ჩაიკრა. არ ვიცი, რომელი სუნამო ესხა, მაგრამ მძაფრი სუნი კი ჰქონდა, - სანელებლების, ტყის მცენარეებისა და ჟასმინის კომბინაცია იყო.

დეიდა ზელიჰას მუქი, მბზინავი თმა მხრებზე კულულებად ეცემოდა. ერთი-ორ კულულზე მელირება ისეთი პრიალა რაღაცით გაეკეთებინა, გაინძრეოდა თუ არა, ჰალოგენის ნათურების ქვეშ თმა ციმციმს იწყებდა.

არმანუში პირდაღებული უყურებდა დეიდა ზელიჰას და პირველად ხვდებოდა, როგორი შიში და აღფრთოვანება შეიძლებოდა განეცადა ასიას, როგორც შვილს, საკუთარი დედისადმი.

ტატუს სალონი პატარა მუზეუმს ჰგავდა. შესასვლელის პირდაპირ ჩარჩოში ჩასმული გაურკვეველი ეროვნების ქალის უზარმაზარი ფოტო ეკიდა. სხეულზე გაკეთებული ჩახლართული სვირინგი უკეთ რომ გამოეჩინა, ქალი დამთვალიერებლისაკენ ზურგით იდგა. ოტომანური მინიატიურა დიდი ნადიმის სცენას ჰგავდა. აკრობატი სტუმრების თავზე მაგრად გაჭიმული ბაგირის ერთი თავიდან მეორეში გადიოდა. თანამედროვე ქალის ზურგზე ამოსვირინგებული ასეთი ტრადიციული მინიატიურის ნახვა განსაცვიფრებელი რამ იყო. ტატუს ქვეშ ინგლისურად ეწერა: a tattoo is a messagesent from beyond time!

მთელ მაღაზიაში ვიტრინები იყო, შიგნით გამოფენილი ასობით ტატუს ნიმუშითა და პირსინგისათვის განკუთვნილი სამკაულით. სვირინგები რამდენიმე სახელწოდების ქვეშ იყო დაჯგუფებული: „ვარდები და ეკლები“, „სისხლიანი გულები“, „განგმირული გულები“, „შამაის გზა“,

„მცოცავი ბუსუსებიანი არსებები“, „უთმო, მაგრამ ასეთივე მცოცავი დრაკონები“, „პატრიოტული მოტივები“, „სახელები და რიცხვები“, „სიმურგი და ფრინველთა ოჯახი“ და ბოლოს, „სუფიური სიმბოლოები“.

არმანუშს არ ახსოვდა, რომ ერთ ოთახში შეკრებილ ასე ცოტა ადამიანს ოდესმე ასე ძალიან ეხმაურა. დეიდა ზელიჰას გარდა ოთახში იყვნენ ერთიექსცენტრიკული კაცი ნარინჯისფერი თმითა და ხელში ნემსით, ერთი თინეიჯერი დედასთან ერთად, რომელსაც ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ დარჩენილიყო, და ორი გრძელთმიანი, დიდი ხნის გაუპარსავი მამაკაცი, რომლებიც სრულიად მოწყვეტილი იყვნენ დროისა და სივრცისაგან და სამოცდაათიანი წლების გულგატეხილ როკმუსიკოსებს ჰგავდნენ, ცუდი ტურნეს შემდეგ ძალას რომ იკრებდნენ. ერთ-ერთიმათგანი განიერ, მოხერხებულ სავარძელში იჯდა, მეგობარს ემუსაიფებოდა და ხმაურით ღეჭავდა კევს. კოჭთან იისფერი კოღო ამოესვირინგებინა.

მამაკაცი, რომელსაც ნემსი ეჭირა, დეიდა ზელიჰას ასისტენტი აღმოჩნდა. დამსახურებული ნიჭიერი მხატვარი იყო. უყურებდა არმანუში, როგორ მუშაობდა ზელიჰას ასისტენტი და უკვირდა, სვირინგის გასაკეთებელ ნემსს ასეთი ხმაურის გამოწვევა რომ შეეძლო.

- არაფერია. ხმაურიანი უფროა, ვიდრე მტკივნეული, - მიუხვდა არმანუშს დეიდა ზელიჰა, მერე გოგონას თვალი ჩაუკრა და დასძინა, - თანაც ეგ კლიენტი მიჩვეულია. ზოგჯერ ტატუ დამღუპველი ჩვევაა. მეტი და მეტი გინდა. ყოველი ახალი ტატუს გაკეთებისას ხვდები, რამდენად ძლიერად გინდა, რომ კიდევ ერთი გქონდეს. არ ვიცი, ნარკომანიასთან ბრძოლის ცენტრებს ჯერაც რატომ არ შეუტანიათ ტატუირება თავის პროგრამებში.

არმანუში დიდხანს იყო ჩუმად და ცალი თვალით ზღვისიქითურ როკმუსიკოსს აკვირდებოდა. ამ კაცს რამე თუ სტკიოდა კიდეც, გარეგნულად არაფერი ეტყობოდა.

- რატომ უნდა მოუნდეს ვინმეს კოჭთან იისფერი კოღოს ამოსვირინგება? - იკითხა არმანუშმა.

- რატომ? - საქმის მცოდნე ადამიანივით ჩაიცინა დეიდა ზელიჰამ, - ამას აქ არასოდეს კითხულობენ. იცი, ამ მაღაზიაში ნორმებთან შესაბამისობის ტირანიაზე უარს ვამბობთ. რა ნახატსაც უნდა ითხოვდეს კლიენტი, დარწმუნებული ვარ, საამისო მიზეზი ექნება, შეიძლება ისეთიც კი, რომლის შესახებაც თავადაც არაფერი იცის. არასოდეს ვკითხულობ „რატომ“?

- პირსინგის დროს?

- იგივე, - თქვა დეიდა ზელიჰამ, საკუთარ ცხვირზე გაკეთებულ პირსინგზე მიიშვირა თითი და გაიღიმა, - ეს პირსინგი ცხრამეტი წლისაა. როცა გავიკეთე, ასიას ტოლი ვიყავი.

- მართლა?

- ჰო, აბაზანაში შევედი, პატარა სტაფილო, სტერილიზებული ნემსი, ყინულის ნატეხები გასაყუჩებლად და უსაშველო სიბრაზე მოვიმარჯვე. ისე ვიყავი ყველაფერზე გაბრაზებული, მაგრამ ყველაზე მეტად საკუთარ ოჯახზე. ჩემს თავს ვუთხარი, ეს უნდა გავაკეთო-მეთქი და ცხვირი გავიხვრიტე. იმის გამო, რომ ნერვიულობისგან ხელები მიკანკალებდა, პირველად ცუდ ადგილზე გავიხვრიტე და ნემსი ძგიდეში მოვირტყი. ბევრი სისხლი წამოვიდა. მერე დავამუღამე და მეორე ჯერზე ნესტო სწორ ადგილზე გავიხვრიტე.

- მართლა? - გაიმეორა არმანუშმა. საუბრის ასეთმა შემობრუნებამ გოგონა დააბნია.

- ჰო! - დეიდა ზელიჰამ ცხვირზე ამაყად გადაისვა ხელი, - საყურე გავიყარე და ასე გამოვედი საბაზანოდან. დედაჩემს ვაგიჟებდი ხოლმე.

ამ სიტყვების გაგონებაზე ასიამ, რომელიც მოშორებით იდგა, დედამისს გაოცებულმა შეხედა.

- იმის თქმა მინდა, ცხვირი იმიტომ გავიხვრიტე, რომ ეს აკრძალული იყო. იცი, რასაც ვგულისხმობ. ტრადიციული თურქული ოჯახის ქალიშვილისთვის პირსინგის გაკეთებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ჰოდა, მეც ჩემსას მივაწექი და ჩემით გავიკეთე, მაგრამ ახლა სხვა დროა და ამიტომაც ვართ აქ. ამ მაღაზიებში კლიენტებს რჩევას ვაძლევთ, ზოგიერთს უარითაც ვისტუმრებთ, მაგრამ ადამიანებს არასო-

დეს განვსჯით. არასოდეს ვკითხულობთ „რატომ“? ახალგაზრდობაში ერთი რამ ვისწავლე - ადამიანების განსჯას თუ დაიწყებ, სულერთია, წავლენ და თავისას მაინც გააკეთებენ.

სწორედ ამ დროს სალონში მყოფმა თინეიჯერმა მზერა ვიტრინებიდან დეიდა ზელიჰაზე გადაიტანა და ჰკითხა:

- შეგიძლიათ ამ დრაკონს კუდი ისე დაუგრძელოთ, რომ მთელ მკლავზე მქონდეს? მინდა იდაყვიდან მაჯამდე იყოს, აი, თითქოს მკლავზე მოცოცავს.

ვიდრე დეიდა ზელიჰა ამ კითხვაზე უპასუხებდა, საუბარში ბავშვის დედა ჩაეჩარა.

- გაგიჟდი? არავითარ შემთხვევაში! მოვილაპარაკეთ, რომ პატარა და მარტივი რაღაცა იქნებოდა, ჩიტის ან ჭიამაიასმაგვარი. დრაკონის კუდის გაკეთების უფლება არ მომიცია...

ასია და არმანუში ორი საათის განმავლობაში ადევნებდნენ თვალს იმას, რაც სალონში ხდებოდა. კლიენტები შემოდიოდნენ და გადიოდნენ. საშუალო სკოლის ხუთი მოსწავლე შემოვიდა. ყველას წარბის გახვრეტა უნდოდა, მაგრამ როგორც კი სტერილიზებულმა ნემსმა პირველი მათგანის წარბში გაიარა, დანარჩენებმა პირსინგის გაკეთება უმალ გადაიფიქრეს.

მერე სალონში ფეხბურთის ერთმა ფანმა შემოიარა. უნდოდა, მკერდზე თავისი საყვარელი გუნდის ემბლემა ჰქონოდა. ფეხბურთის ფანს ვიღაც ულტრანაციონალისტი მოჰყვა და თითის წვერზე თურქეთის დროშის მოსვირინგება მოინდომა ისე, რომ დროშა აფრიალებულიყო ყოველთვის, როცა ვინმეს თითს დაუქნევდა. ბოლოს ქერათმიანი ტრანსვესტიტი მომღერალი ქალი გამოჩნდა. ხელის თითების სახსრებში თავისი საყვარლის სახელის ტატუირება უნდოდა.

ტრანსვესტიტი მომღერლის შემდეგ დეიდა ზელიჰას სალონში ერთიშუახნის მამაკაცი შემოვიდა. იქაურობის ჩვეულებრივი კლიენტურის ფონზე არანორმალურად ნორმალური ჩანდა. ეს არამ მარტიროსიანი გახლდათ.

არამი კარგი შესახედაობის, მაღალი, ოდნავ ჩასკვნილი კაცი იყო. კეთილი, მაგრამ დაღლილი სახე, მუქი წვერი და გვარიანად შეჭაღარავებული თმა ჰქონდა. ყოველთვის, როცა იღიმებოდა, ლოყები ეჩხვლიტებოდა. სქელჩარჩოიანი სათვალის მიღმა ჭკვიანი თვალები უელავდა. დეიდა ზელიჰას ისე უყურებდა, მის მზერაში უმალ ამოიცნობდით სიყვარულს. სიყვარულს, პატივისცემას და იმას, რომ ქალი და მამაკაცი შეხმატკბილებული იყვნენ. ორ რთულპიროვნებას ჰგავდნენ, რომლებსაც ერთად საოცარი ჰარმონიისათვის მიეღწიათ.

არამთან საუბრისას არმანუშმა ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქოს ინგლისური მისთვის მეორე ენა ყოფილიყოს. ყოველთვის ასე იქცეოდა, როცა სტამბოლში ახალ ვიღაცას გაიცნობდა. გოგონამ არამ მარტიროსიანს თავი მაქსიმალურად აუჩქარებლად, ნელი, რიტმული, თითქმის ბავშვური ინგლისურით გააცნო. გაოცდა, როცა მამაკაცის წყალივით ინგლისური მოისმინა, ბრიტანული აქცენტი ოდნავ რომ დაჰკრავდა.

- ისე კარგად ლაპარაკობთ ინგლისურად! - ვერ დამალა არმანუშმა, - შეიძლება ვიკითხო, საიდან გაქვთ ბრიტანული აქცენტი?

- გმადლობთ, - უთხრა არამმა, - ლონდონში დავდიოდი კოლეჯში სტუდენტობაშიც და მერეც. თუ გნებავთ, შეგვიძლია სომხურად ვილაპარაკოთ.

- არ შემიძლია, - თავი გააქნია არმანუშმა, - ბავშვობაში ცოტა ვისწავლე ბებიასგან, მაგრამ რაკი ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, ერთ ადგილზე დიდხანს არ ვრჩებოდი და ამის გამო სულ მავიწყდებოდა. ათიდან ცამეტ წლამდე ყოველ ზაფხულს დავდიოდი სომხურ ახალგაზრდულ ბანაკში. სახალისო იყო, თან სომხურიც გამოვასწორე, მაგრამ მერე ისევ დამავიწყდა.

- სომხური მეც ბებიამ მასწავლა, - გაიღიმა არამმა, - მართალი გითხრათ, დედაცა და ბებიაც თვლიდნენ, რომ დიდობაში ორ ენაზე უნდა მესაუბრა, მაგრამ მეორე ენის თაობაზე ვერ თანხმდებოდნენ. დედას აზრით, ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, თუ სკოლაში თურქულად ვილაპარაკებდი, სახლში კი - ინგლისურად, რადგან, როცა გავიზრდებოდი, ამ

ქვეყნიდან წასვლა ჩემი გარდაუვალი ხვედრი იყო. ბებია საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. უნდოდა, სკოლაში თურქულად მელაპარაკა, სახლში კი - სომხურად.

არამის აურამ არმანუში დააინტერესა, მაგრამ ამაზე მეტად მამაკაცის უბრალოებამ მოხიბლა. ერთხანს სომეხ ბებიებზე ისაუბრეს, - დიასპორის ბებიებზე, თურქეთში მცხოვრებ ბებიებსა და იმათზე, სომხეთში რომ ცხოვრობდნენ.

საღამოს შვიდის ნახევარზე დეიდა ზელიჰამ მაღაზია ასისტენტს გადააბარა და ოთხივემ ახლომდებარე ტავერნისკენ გასწია.

„ვიდრე სტამბოლიდან წახვალ, არამს და დეიდა ზელიჰას უნდათ, ტავერნაში წაგვიყვანონ. ნახავ, როგორ უნდა საღამოობით დალევა“, - წინასწარ აეხსნა ასიას არმანუშისათვის.

გზად ტავერნისაკენ ერთი ცუდად განათებული ქუჩა გაიარეს და საცხოვრებელ კორპუსს გადააწყდნენ. კორპუსის ფანჯრებიდან ტრანსვესტიტი მეძავები გამვლელებს თვალს აყოლებდნენ. პირველი სართულიდან ორნი იმდენად ახლოს იყვნენ, რომ არმანუშმა მათი დატყაპნილი სახის ნაკვთებზე თვალის მოკვრა შეძლო. ერთ-ერთმა მათგანმა, სქელტუჩება, ზორზოხმა ქალმა, სიბნელეში თმა წითელი ფეიერვერკივით რომ უელავდა, სიცილით თქვა რაღაც.

- რა თქვა? - ჰკითხა არმანუშმა ასიას. - თქვა, რომ ეფექტური სამაჯურებია და ჩემთვის ძალიან ბევრია!

არმანუშის გასაოცრად, ასიამ ერთი სამაჯური მოიხსნა და თმაწითელ ტრანსვესტიტს მისცა. ამ უკანასკნელმა საჩუქარი სიხარულით მიიღო, ხელზე წამოიცვა და საგულდაგულოდ გაკეთებული, სისხლისფერფრჩხილებიანი თითებით დიეტური კოკას თუნუქის ქილა ისე ასწია, თითქოს ასიას სადღეგრძელო უნდა ეთქვა.

არმანუში ამ სცენას გაოგნებული უყურებდა და ფიქრობდა, ნეტავ რას იტყოდა ამაზე ჯინ გენეტიო. ალუბლისა და ვანილის კოკა, მძივებიანი სამაჯურები, სპერმის მწკლარტე სუნი და ბავშვური სიხარული გვერდიგვერდ როგორ არსებობდა სტამბოლის ერთ დაკერებულ-დაკემსილ ქუჩაზე?

* * *

ყვავილების პასაჟთან მდებარე ტავერნაში სტილი კი იგრძნობოდა, მაგრამ სადღესასწაულო ადგილი იყო. როგორც კი დასხდნენ, ორი ოფიციანტი მიუახლოვდათ და მეზეებიანი ურიკა მიუგორა.

- არმანუშ, რატომ აღარ გვაოცებ შენი კულინარიული ლექსიკონით? - მიუბრუნდა გოგონას დეიდა ზელიჰა.

- ჰო, აბა, ვნახოთ. აი, იალანჯი სარმა, თოურში, პათლიჰანი, თოფიქი, ენგინარი ... - არმანუშმა იმ კერძების ჩამოთვლა დაიწყო, ოფიციანტები მაგიდაზე რომ ალაგებდნენ.

კლიენტები მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ზოგი წყვილ-წყვილად, ზოგი ჯგუფებად. ოცი წუთიც და, ტავერნა ხალხით იყო სავსე. მისთვის ერთნაირად უცხო სახეების, ხმებისა და არომატების გარემოცვაში არმანუშმა ადგილის შეგრძნება დაკარგა. თავი ასე შეიძლებოდა ევროპაშიც ეგრძნო, ახლო აღმოსავლეთშიც და რუსეთშიც. დეიდა ზელიჰა და არამი რაკს სვამდნენ, ასია და არმანუში კი თეთრ ღვინოს. დეიდა ზელიჰა სიგარეტს ეწეოდა, არამი სიგარებს აბოლებდა, ასია აშკარად თავს არიდებდა დედის თანდასწრებით თამბაქოს გამოყენებას და მოწევის ნაცვლად ტუჩებს იკვნეტდა.

- ამ საღამოს არ ეწევი, - უთხრა ასიას გვერდით მჯდომმა არმანუშმა.

- არ თქვა, - ამოიოხრა ასიამ და ჩურჩულით განაგრძო, - ჩუ! დეიდა ზელიჰამ არ იცის, რომ ვეწევი.

არმანუში გაკვირვებული იყო. ასია დაუმორჩილებლად, თითქმის სადისტურად ტკბებოდა ყველა მომენტით, როცა დედამისს აცოფებდა, მაგრამ, როდესაც ამ ქალის თვალწინ სიგარეტის მოწევაზე მიდგებოდა საქმე, დამჯერი ქალიშვილივით იქცეოდა.

მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ტავერნის კლიენტები ნებანება საუბრობდნენ, ოფიციანტებს კი ერთმანეთის მიყოლებით მიჰქონდათ მათთვის კერძები. პირველად მეზეები, ანუ ცივი კერძები მიიტანეს, რასაც ჯერ თბილი, მერე კი ცხელი კერძები, სხვადასხვანაირი დესერტი და ყავა მოჰყვა.

„ალბათ, აქასეთი სტილი აქვთ, - იმის მაგივრად, რომ მენიუდან აირჩიო, მთელი მენიუ მოდის შენთან“, - გამოიცნო არმანუშმა.

როცა ტავერნაში ხმაურმა და კვამლმა იძალა, არმანუშმა, ბოლოს და ბოლოს, გამბედაობა მოიკრიბა, არამს მიუჩოჩდა და ერთი კითხვა დაუსვა, რომელიც ერთხანს სულ თავში უტრიალებდა:

- არამ, მესმის, რომ სტამბოლი მოგწონთ, მაგრამ ამერიკაში ჩამოსვლაზე არასოდეს გიფიქრიათ? ანუ, შეგეძლოთ, მაგალითად, კალიფორნიაში ჩამოსულიყავით. იცით, იქ დიდი სომხური სათვისტომოა.

არამი გოგონას მთელი წუთის განმავლობაში არ აშორებდა თვალს, თითქოს ყველა წვრილმანს აკვირდებოდა. მერე სავარძელში ერთბაშად გადაწვა და დამაბნეველი სიცილი ამოუშვა. ამ სიცილმა არმანუში ძალიან ააფორიაქა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სადღაც არ უშვებდნენ. დარწმუნებული არ იყო, რომ სწორად გაუგეს და ამიტომ წინ გადაიხარა და შეეცადა ნათქვამი უკეთ აეხსნა:

- აქ თუ გავიწროებენ, ყოველთვის შეგიძლიათ ამერიკაში ჩამოხვიდეთ. იქ ბევრი სომხური სათვისტომოა, სადაც სიხარულით დაგეხმარებიან თქვენც და თქვენს ოჯახსაც.

არამს აღარ გაუცინია. მამაკაცმა გოგონას თბილად გაუღიმა, თბილად, მაგრამ თან რაღაცნაირი დაღლა ეტყობოდა.

- ძვირფასო არმანუშ, რატომ უნდა მინდოდეს ამის გაკეთება? ეს ქალაქი ჩემი ქალაქია. სტამბოლში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ოჯახის ისტორია ამ ქალაქში სულ მცირე ხუთას წელიწადს ითვლის. სტამბოლელი სომხები სტამბოლს ეკუთვნიან, ისევე, როგორც სტამბოლელი თურქები, ბერძნები და ებრაელები. თავიდან ერთად ცხოვრებას ვახერხებდით, მაგრამ მერე მცდელობა გაგვიცუდდა. ამას მეორედ ვერ დავუშვებთ.

სად იყო და სად არა, ოფიციანტიც გამოჩნდა და სტუმრებს ამჯერად შემწვარი კალმარი, შემწვარი მიდიები და შებრაწული ცომეული მიართვა.

- სათითაოდ ყველა ქუჩა ვიცი ამ ქალაქში, - განაგრძო არამმა და რაკი კიდევ ერთხელ მოწრუპა, - მიყვარს დილაობით ამ ქუჩებში ხეტი-

ალი, საღამოობითაც და ღამითაც, როცა გადაკრულში ვარ და კარგ ხასიათზე გახლავარ. მიყვარს კვირაობით მეგობრებთან ერთად ბოსფორის სრუტის გაყოლებაზე საუზმობა, მიყვარს ბრბოში ფეხით მარტო სიარული. მიყვარს ამ ქალაქის ქაოსური სილამაზე, ბორნები, მუსიკა, ამბები, ფერები და შავი იუმორი...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. არმანუში და არამი ერთმანეთის მოსაზრებებს შორიდან ზომავდნენ, ხვდებოდნენ, ერთმანეთისაგან გეოგრაფიულ მანძილზე დიდი რამ აშორებდათ, - არამი ეჭვობდა, რომ გოგონა მეტისმეტად გაამერიკელებული იყო, არმანუშმა კი დაასკვნა, რომ მამაკაცი იყო მეტისმეტად გათურქებული. ეს იყო მწარე უფსკრული იმათ შვილებს შორის, ვინც დარჩენა მოახერხა და ვისაც წასვლამ მოუწია.

- მომისმინე, დიასპორის სომხებს თურქი მეგობრები საერთოდ არა ჰყავთ. თურქებს მხოლოდ ბებია-ბაბუების ანდა ერთიმეორის მონათხრობი ამბებით იცნობენ, ეს ამბები კი ისე საშინლად გულსატკენია, მაგრამ მერწმუნე, ისევე როგორც ყველა ქვეყანაში, თურქეთშიც არიან გულითადი და უვარგისი ადამიანები. ორჯერ ორივით მარტივია. თურქი მეგობრები მყავს, რომლებთანაც ღვიძლ ძმაზე უფრო ახლოს ვარ და თანაც, რა თქმა უნდა, არსებობს, - არამმა ჭიქა ასწია და ზელიჰაზე ანიშნა, - ჩემი გიჟური სიყვარული.

დეიდა ზელიჰა, ალბათ, მიხვდა, მისი სახელი რომ ახსენეს, რადგან არამსა და ამის თვალი ჩაუკრა, რაკის ჭიქა ასწია და სადღეგრძელო წარმოთქვა:

- Şerefe!

ზელიჰას მაგალითს დანარჩენებმაც მიჰბაძეს და ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს.

როგორც ცოტა ხანში გაირკვა, სიტყვა „Şerefe!“ მისამღერივით რაღაც იყო, რომელსაც ათ-თხუთმეტ წუთში ერთხელ იმეორებდნენ.

ერთი საათის განმავლობაში ნათქვამი შვიდი „Şerefe!“-ს შემდეგ არმანუშს ალკოჰოლისგან თვალები უჟუჟუნებდა. გოგონა გაოცებული უყურებდა, როგორ შემოჰქონდა ალბინოს ოფიციანტს ცხელი კერძები

- შემწვარი ზოლებიანი ქორჭილა მწვანე წიწაკების ფენაზე, რეჰანიან მარინადში ჩადებული ქორფა ისპანახი, ნახშირზე შემწვარი ორაგული მინდვრის მწვანილეულით და ცხიმში შემწვარი კრევეტები ნივრის ცხარე საწებელში.

შეჭიკჭიკებული არმანუში ხითხითებდა, მერე კი არამს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- რამდენიმე ტატუ თქვენც უნდა გქონდეთ. დეიდა ზელიჰამ, ალბათ, თქვენც გაგიკეთათ ტატუ.

- არაფერიც! - თქვა არამმა გამჭვირვალე კვამლის მიღმა, მისი სიგარიდან რომ იკლაკნებოდა, - არ მაკეთებინებს.

- ჰო, - დაამატა ასიამ, - ტატუს გაკეთების ნებას არ მისცემს.

- მართლა? - თქვა გაოცებულმა არმანუშმა და დეიდა ზელიჰას მიუბრუნდა, - მეგონა, ტატუირება მოგწონდათ.

- მომწონს კიდეც, - მიუგო დეიდა ზელიჰამ, - ტატუს გაკეთებას კი არ ვეწინააღმდეგები, არამედ იმას, რის მოსვირინგებასაც ითხოვს.

არამს გაეღიმა.

- ტატუზე, რომლის ტარებასაც ვისურვებდი, შესანიშნავი ლეღვის ხეა გამოსახული. ხეებისაგან განსხვავებით, ის თავდაყირა დგას. ჩემს ლეღვის ხეს მთელი ფესვები ზემოთ, ჰაერში აქვს აწეული. დედამიწის ნაცვლად, ფესვები სწორედ ცაში აქვს გადგმული. ადგილნაცვალია, მაგრამ თავისი ადგილი მაინც აქვს.

რამდენიმე წამის განმავლობაში ყველა დუმდა. მაგიდაზე ანთებული სანთლის მოციმციმე შუქს უყურებდნენ.

-სულ იმ ლეღვის ხეს ჰგავს... - თქვა დეიდა ზელიჰამ, ბოლო სიგარეტს მოუკიდა და უნებლიეთ ასიას მიმართულებით გააბოლა, - ლეღვის ხე ავის ნიშანია. იღბალი არ მოაქვს. არამს რომ ცაში დახატული ფესვები უნდა, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ლეღვის ხეს არ ვეთანხმები. მაგალითად, ფესვებაშვერილ ალუბლის ხეს ანდა მუხას რომ აირჩევდეს, მაშინვე გავუკეთებდი სვირინგს!

სწორედ ამ დროს ტავერნაში აბრეშუმის თეთრ პერანგებსა და შავ შარვლებში გამოწყობილი ოთხი ბოშა მუსიკოსი შემოვიდა თავ-თავი-

ანთი ინსტრუმენტებით. ერთს უდი ჰქონდა, მეორეს - კლარნეტი, მესამეს - კანუნი, მეოთხეს კი დარბუკა. კლიენტები აღგზნებული იყვნენ, საკმაოდ ბევრი ესვათ და ეჭამათ და მზად იყვნენ, ემღერათ.

როდესაც მუსიკოსებმა მათ გვერდით ამოყვეს თავი, არმანუშმა დაიმორცხვა. გულზე მოეშვა, როცა მიხვდა, რომ სიმღერას არ დააძალებდნენ. არც ასია გამოდგა დიდი მომღერალი. გოგონები უსმენდნენ, როგორ აყოლებდა დეიდა ზელიჰა თავის ხავერდოვან კონტრალტოს მუსიკოსების დაკრულს. რბილი ბგერები არაფრით ჰგავდა ზელიჰას სიგარეტისგანჩახრინწულ ხმას, რომელზეც ეს ქალი, ჩვეულებრივ, ლაპარაკობდა. არმანუშმა შენიშნა, როგორი ცნობისმოყვარეობით გააპარა ასიამ თვალი დედამისისკენ.

როცა ორკესტრის ხელმძღვანელმა იკითხა, რომელიმე კონკრეტული სიმღერის მოსმენას ხომ არ ინებებდითო, დეიდა ზელიჰამ არამს კეკლუცად წაჰკრა იდაყვი და წამოიძახა:

- მიდი, სთხოვე ერთი სიმღერა. იმღერე, „ჩემო ბულბულო!“

არამს ალმური აუვიდა, წინ გადაიხარა, ჩაახველა და წამყვან მუსიკოსს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. როგორც კი ორკესტრმა შეკვეთილი მელოდიის შესრულება დაიწყო, არმანუშის გასაოცრად არამმა მუსიკას ხმა ააყოლა. არც თურქულად მღეროდა, არც ინგლისურად. სომხური სიმღერა იყო.

„ყოველ დილით, განთიადისას... სად მიდიხარ-მეთქი, ვეუბნები ჩემს სიყვარულს“.

თავიდან ნელი, სასოწარკვეთილი მელოდიის ტემპი თანდათან გაიზარდა და აშკარად გამოიკვეთა ჯერ კლარნეტის, მერე კი დაუდგრომელი დარბუკის ხმები. არამმა ჯერ ხმას აუწია, მერე კი ტკბილ ჰანგებად დაიღვარა. თავიდან არამ მარტიროსიანის ხმა სხვანაირად ჟღერდა, მაგრამ მერე და მერე სულ უფრო თავდაჯერებული გახდა.

„ის ჩემი მოგონებების ოქროს ძეწკვია, ჩემი ცხოვრების ბილიკი“.

არმანუში გაიტრუნა. ყველა სიტყვის მნიშვნელობა არ ესმოდა, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში ტკივილი იგრძნო. როდესაც გოგონამ თავი ასწია, მისი ყურადღება დეიდა ზელიჰას გამომეტყველებამ მიიპ-

ყრო. ზელიჰას სახეზე ბედნიერების შიში აღბეჭდვოდა, გრძნობა, რომელსაც მხოლოდ ისინი შეიძლება განიცდიდნენ, ვისაც მოულოდნელად და წინდაუხედავად შეჰყვარებია.

როდესაც სიმღერა დამთავრდა და მუსიკოსებმა მომდევნო მაგიდასთან გადაინაცვლეს, არმანუშს ეგონა, დეიდა ზელიჰა არამს აკოცებდა, მაგრამ ამის ნაცვლად ქალმა ასიას ალერსიანად მოუჭირა ხელზე ხელი, თითქოს აღიარებდა, რომ მამაკაცის სიყვარული საკუთარი ქალიშვილის სიყვარულის აზრის გაგებაში დაეხმარა.

- ძვირფასო, - ჩურჩულით თქვა დეიდა ზელიჰამ. ხმაში სევდა შეჰპარვოდა. შეიძლება, ასიასათვის რაღაცის თქმას აპირებდა კიდეც, მაგრამ თავს სასწრაფოდ მოერია, სიგარეტის ახალი კოლოფი ამოიღო და ერთი ღერი შვილს გაუწოდა.

დედამისის მოძალებული გრძნობების დანახვამ ასია კაზანჯი გაცილებით მეტად გააკვირვა, ვიდრე იმან, რომ დეიდა ზელიჰამ სიგარეტი შესთავაზა. გოგონამ ჯერ თავის სიგარეტს მოუკიდა, მერე დედამისისას. კვამლი კლაკვნით ავიდა ჰაერში, დედა-შვილი კი აქეთ-იქიდან უხერხულად უღიმოდა ერთმანეთს. ამ შუქზე და ამ კუთხით დანახული ორი სახე საოცრად ჰგავდა ერთმანეთს. ისინი წარსულს გამოექანდაკებინა, წარსულს, რომლის შესახებ ერთმა არაფერი იცოდა, მეორეს კი ერჩია, არაფერი ხსომებოდა.

მას შემდეგ, რაც სტამბოლში ჩამოვიდა, მხოლოდ ახლაღა შეიგრძნო არმანუშმა ამ ქალაქის გულისცემა. მიხვდა, რატომ უყვარდებოდათადამიანებს სტამბოლი ტკივილის მიუხედავად, რომელიც შეიძლებოდა აქაურობას მათთვის მიეყენებინა. ადვილი არ იყო ასეთი გულის გამგმირავად ლამაზი ქალაქის გადაყვარება და არმანუშმაც ჭიქა ასწია:

- Şerefe!

წყალი

- შევიდე და ვუთხრა, რომ დაუწიონ? - იკითხა დეიდა ფერიდემ, რომელიც გოგონების ოთახის კართან იდგა და კარის სახელურს თვალს არ აშორებდა.

- კარგი, დაანებე თავი! - დაუძახა ტახტზე გაშხლართულმა დეიდა ზელიჰამ, - ცოტა გადაკრულში არიან. როცა ცოტა გადაკრულში ხარ, მუსიკას ხმამაღლა უსმენ, - თქვა ზელიჰამ და საკუთარი სიტყვების სისწორის დასამტკიცებლად ისევ წამოიძახა, - ხმამაღლა!

- გადაკრულში! - დაიგმინა ბებია გულსუმმა, - წარმოგიდგენიათ? რატომ არიან გადაკრულში? ის არ კმარა, შენ რომ არცხვენ ამ ოჯახს? ერთი შენს ქვედაკაბას შეხედე. სამზარეულოში რომ ჩაის ტილოებია, ისინი უფრო გრძელია! მარტოხელა დედა ხარ, ქმარს გაშორებული. კარგად მომისმინე! არასოდეს მინახავს ქმარს გაშორებული ქალი ცხვირში საყურით. უნდა გრცხვენოდეს შენი თავის, ზელიჰა!

დეიდა ზელიჰამ ჩაბღუჯულ ბალიშს ხელი მოაშორა და ჰაერში ასწია.

- დე, ქმარს გაშორებული ქალი რომ ვიყო, ჯერ უნდა გავთხოვილიყავი. ფაქტებს ნუ ამახინჯებ. მე ვერც ქმარს გაშორებულ ქალს დამიძახებ, ვერც დედას, რომელსაც ქმარი შორს ჰყავს და ვერც რომელიმე დაშაქრულ სიტყვას, რომელიც უიღბლო ქალებისთვის გაქვს შემონახული შენს ლექსიკონში. შენი ერთ-ერთი ქალიშვილი ცოდვილია, მინი-კაბებს იცვამს, ნესტოში გაყრილი საყურე მოსწონს და ის ბავშვი უყვარს, რომელიც უქორწინოდ გააჩინა, მიუხედავად იმისა, მოგწონს ეს თუ არა!

- ის არ კმარა, რომ საკუთარი ქალიშვილი გააფუჭე და დალევა დააძალე? საბრალო სტუმრისთვის რამ დაგალევინებინა? მაგ გოგოზე მუსტაფა აგებს პასუხს. ამ სახლში ის შენი ძმის სტუმარია. როგორ ბედავ გოგონას გაფუჭებას!

- ჩემი ძმა აგებს პასუხს! ჰო, სწორია! - სევდიანად გაიცინა დეიდა ზელიჰამ და თვალები დახუჭა. ამასობაში გოგონების ოთახში ჯონი კეში თავგამოდებით ღრიალებდა. ასია და არმანუში საწერ მაგიდასთან გვერდიგვერდ ისხდნენ და კომპიუტერის ეკრანს მისჩერებოდნენ. შუაში სულთან მეხუთე მორკალულიყო და თვალები მიელულა. გოგონები ისე იყვნენ ინტერნეტში თავით შემძვრალი, რომ არც ერთ მათგანს არ გაუგია, როგორ კამათობდნენ კარს მიღმა ქალები. არმანუში ის-ის იყო, „კაფე კონსტანტინოპოლში“ შესულიყო. გადაწყვეტილი ჰქონდა, ამჯერად ასიაც გვერდით ჰყოლოდა.

- გამარჯობა ყველას! არ მოგენატრათ მადამ დევნილი სული? - დაბეჭდა არმანუშმა.

- ჩვენი სტამბოლელი რეპორტიორი დაბრუნდა. სად იყავი? რა იყო, თურქებმა ისე გადაგსანსლეს, როგორც ინდაურებმა? - დაწერა დეიდა ყაურმამ.

- ჰო, ერთ-ერთი ინდაური ახლა ჩემ გვერდით არის. მინდა თქვენი თავი ჩემს ერთ თურქ მეგობარს წარვუდგინო.

ცოტა ხანს ყველა დუმდა.

- რა თქმა უნდა, მეტსახელი აქვს: „თურქად წოდებული გოგონა“.

- ეს რაღა ამბავია? - შეკითხვისგან თავი ვერ შეიკავა ალექს სტოიკოსმა.

- ჯონი კეშის სიმღერის ინტერპრეტაციაა. შეგიძლიათ, თავად ჰკითხოთ. აქ არის. ძვირფასო „კაფე კონსტანტინოპოლო“, გაიცანი თურქად წოდებული გოგონა. თურქად წოდებულო გოგონავ, გაიცანი „კაფე კონსტანტინოპოლი“.

- გამარჯობა! სალამი სტამბოლიდან! - დაწერა ასიამ.

პასუხი არავის გაუცია.

- იმედია, თქვენც ჩამოხვალთ მეორედ სტამბოლში, არმან... - შეცდომა რომ დაუშვა, ასია მხოლოდ მას შემდეგ მიხვდა, რაც არმანუშმა ხელში სტკიცა... - მადამ დევნილ სულთან ერთად.

- ო, გმადლობ, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრა, არანაირი სურვილი არა მაქვს, ტურისტული ტურით ვიმოგზაურო ქვეყანაში, რომელმაც ამდენი ტანჯვა მიაყენა ჩემს ოჯახს, - ეს ისევ დეიდა ყაურმა იყო.

ახლა უკვე ასია დუმდა.

- მისმინეთ, ცუდად ნუ გაგვიგებთ, არაფერი გვაქვს თქვენი საწინააღმდეგო, კარგი? - შეუერთდა საუბარს უბადრუკი თანაარსებობა, - დარწმუნებული ვარ, მშვენიერი, ლამაზი ქალაქია, მაგრამ ჩვენ თურქებს არ ვენდობით. მესროპი საფლავში ამობრუნდებოდა, არამაზთმა დამიფაროს ჩემი წარსულის დავიწყებისგან.

- მესროპი ვინ არის? - ძლივს გასაგონი ხმით ჰკითხა ასიამ არმანუშს, თითქოს მათ ლაპარაკს „კაფე კონსტანტინოპოლიდან“ ვინმე გაიგონებდა.

- კეთილი. მოდი, ძირითადი რამეებით, ფაქტებით დავიწყოთ. ფაქტებს თუ გავიაზრებთ, მერე სხვა რამეებზეც შეგვიძლია საუბარი, - განკარგულება გასცა ქალბატონმა ფარშავანგ/სირამარკმა, - მოდი, დავიწყოთ ტურისტული ტურით სტამბოლში. რომელი არქიტექტორი დგას დიდებული მეჩეთების უკან, რომლებსაც დღეს ტურისტებს აჩვენებთ? სინანი! ის აპროექტებდა სასახლეებს, საავადმყოფოებს, სასტუმროებს, აკვედუკებს... თქვენ ჯერ მისი ჭკუა გამოიყენეთ, მერე კი მისი სომხობა უარყავით.

- არ ვიცოდი, სომეხი თუ იყო, - დაწერა შეფიქრიანებულმა ასიამ, - მაგრამ სინანი თურქული სახელია.

- ჰო, უმცირესობების სახელების გათურქულება კარგად გამოგდით, - გამოეხმაურა დეიდა ყაურმა.

- კარგი, მესმის, რასაც ამბობთ. მართალია, თურქეთის სახელმწიფო ისტორია ცენზურაზეა აგებული, მაგრამ ყველა სახელმწიფოს ისტორია ასეა.ნაციონალური სახელმწიფოები თავად თხზავენ და იჯერებენ მითებს, - ასიამ თავი ასწია, მხრებში გაიმართა და ბეჭდვა განაგრძო,- თურქეთში ცხოვრობენ თურქები, ქურთები, ჩერქეზები, ქართველები, პონტოელები, ებრაელები, აბაზები, ბერძნები... ვფიქრობ, ასეთი განზოგადება მეტისმეტად გაუბრალოებული, გაუბრალოებულზე

უფრო კი მეტისმეტად სახიფათოა. ჩვენ გამხეცებული ბარბაროსები არა ვართ, თანაც, ბევრი მეცნიერი, ვისაც ოტომანური კულტურა შეუსწავლია, გეტყვით, რომ ეს დიდი კულტურა იყო, არაერთი თვალსაზრისით. 10-იანი წლები განსაკუთრებით რთული დრო იყო, მაგრამ ახლა ისე არ არის, როგორც 100 წლის წინ იყო.

- არ მჯერა, რომ თურქები რამენაირად შეიცვალნენ, - უმალ შეეწინააღმდეგა ასიას ლედი ფარშავანგ/სირამარკი, - რომ შეცვლილიყვნენ, გენოციდს აღიარებდნენ.

- „გენოციდი“ ძალიან მძიმე სიტყვაა, - მისწერა თურქად წოდებულმა გოგონამაც, - და სისტემატურ, კარგად ორგანიზებულ და ფილოსოფიურად ახსნილ გაჟლეტას გულისხმობს. გულწრფელად გეტყვით, დარწმუნებული არა ვარ, რომ ოტომანურ სახელმწიფოს იმ დროს ასეთი არსი ჰქონოდა. თუმცა, ვაღიარებ უსამართლობას, რომელიც სომხების მიმართ ჩაიდინეს. ისტორიკოსი არა ვარ. ჩემი ცოდნა, ისევე როგორც თქვენი, შეზღუდული და შერყვნილია.

- იცით, განსხვავებაც ამაშია. მჩაგვრელს წარსული არ სჭირდება, - კომენტარი გააკეთა საფოს ქალიშვილმა.

- მამაშენის ამბავი თუ არ იცი, როგორ უნდა იფიქრო, რომ შენსას შექმნი? - ჩაერთო ლედი ფარშავანგ/სირამარკი.

არმანუშს გულში გაეღიმა. აქამდე, ბარონ ბაღდასარიანის გამოკლებით, ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც წარმოედგინა. ბარონი ჯერ არაფერს გამოხმაურებოდა.

ამასობაში უწინდებურად ეკრანზე მიჯაჭვული ასია ბეჭდვას განაგრძობდა:

- ნამდვილად ვაღიარებ თქვენს დანაკარგსა და მწუხარებას. ჩადენილ საშინელებებს არ უარვყოფ. სწორედ რომ ჩემი წარსული მძაგს. არ ვიცი, ვინ არის მამაჩემი, ანდა რა გადახდა თავს. საკუთარი წარსულის შესახებ მეტის ცოდნის შესაძლებლობა რომ მქონოდა, მაშინაც კი, თუ ეს წარსული სავალალო იყო, რა უნდა ამერჩია, ცოდნა თუ არცოდნა? ეს ჩემი ცხოვრების დილემაა.

- წინააღმდეგობებით ხარ სავსე, - უპასუხა თურქად წოდებულს დეიდა ყაურმამ.

- ჯონი კეში ამას არაფრად ჩააგდებდა, - ჩაერია მადამ დევნილი სული.

- მითხარით, მე, როგორც ერთ რიგით თურქს, რისი გაკეთება შემიძლია თქვენი ტკივილის შესამსუბუქებლად?

ეს იყო კითხვა, რომელიც „კაფე კონსტანტინოპოლში“ სომხებისათვის ჯერ არც ერთ თურქს არ დაესვა. ადრე ორჯერ ჰყავდათ თურქი სტუმარი. ნაციონალისტურად განწყობილი ორი გულმხურვალე ახალგაზრდა მამაკაცი თითქოს ციდან ჩამოვარდა. აშკარად იმის დამტკიცება უნდოდათ, რომ თურქებს სომხებისთვის არაფერი დაუშავებიათ და თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, სწორედ სომხები აუჯანყდნენ ოტომანურ რეჟიმს და დახოცეს თურქები. ერთი იმდენად შორს წავიდა, რომ ირწმუნებოდა, ოტომანური რეჟიმი ისეთი გენოციდური რომ ყოფილიყო, როგორც ამბობენ, მაშინ დღეს ამ თემაზე სალაპარაკოდ ერთი სომეხიც კი არ იქნებოდა დარჩენილი და თურქებს ამდენი სომეხი რომ ესხმის თავს, ნათელია, ოტომანები სომხებს არ დევნიდნენო.

ამ დღემდე „კაფე კონსტანტინოპოლში“ თურქებთან შეხვედრას უმეტესად გაღიზიანებული ადამიანების ავსიტყვაობისა და მონოლოგის სახე ჰქონდა. ამჯერად ყველაფერი სრულიად განსხვავებულად იყო.

- თქვენს სახელმწიფოს შეუძლია ბოდიში მოიხადოს, - უპასუხა ასიას უბადრუკმა თანაარსებობამ.

- ჩემს სახელმწიფოს? სახელმწიფოსთან არაფერი მესაქმება, - დაწერა ასიამ და ალკოჰოლიკი კარიკატურისტი გაახსენდა, რომელსაც სისხლის სამართლის წესით იმიტომ დევნიდნენ, რომ პრემიერ-მინისტრი მგლის სახით დაეხატა, - მისმინეთ, მე ნიჰილისტი ვარ! - დაბეჭდა ასიამ და ნიჰილიზმის პირადი მანიფესტის ხსენებისაგან თავი ძლივს შეიკავა.

- მაშინ შეგიძლიათ თავად მოიხადოთ ბოდიში, - ჩაეჩხირა დეიდა ყაურმა.

- გინდათ, ისეთი რამისთვის გთხოვოთ პატიება, რასთანაც პირადად არაფერი მაკავშირებს?

- ეს თქვენ ფიქრობთ ასე, - დაწერა ლედი ფარშავანგ/სირამარკმა, - ყველანი უწყვეტ დროში ვიბადებით და წარსული აწმყოში აგრძელებს არსებობას. ჩვენ უკან ოჯახი დგას, კულტურა, ერი, თქვენ კი გინდათ თქვათ, რაც იყო, იყოო?

ასია ეკრანს თვალებით ჭამდა. ჩიხში მოქცეულ ადამიანს ჰგავდა, თითქოს პრეზენტაციას აკეთებდა და წარმოსათქმელი სიტყვის ტექსტი შუა გზაში დაავიწყდა. რამდენიმე წუთით ადრე, ვიდრე კლავიატურას თითებს ისევ შეახებდა, ასია კაზანჯიმ სულთან მეხუთეს რამდენჯერმე გადაუსვა დაბნეულად თავზე ხელი.

- მამაჩემის დანაშაულისთვის პასუხს ვაგებ? - იკითხა თურქად წოდებულმა გოგონამ.

- მამაშენის დანაშაულის აღიარებისთვის აგებ პასუხს, - უპასუხა დეიდა ყაურმამ.

ამ სიტყვების სიჩლუნგემ ასია თითქოს დააბნია, ოდნავ გააღიზიანა დადააინტრიგა კიდეც. კომპიუტერიდან გამოსხივებულ სინათლეში გოგონას სახე ფერმკრთალი და მშვიდი ჩანდა. სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ერთმანეთისაგან გაემიჯნა წარსული და მომავალი, რომლის მოპოვების იმედიც ჰქონდა. როგორიც უნდა ყოფილიყო ძველი მოგონებები, უსიხარულო თუ სევდიანი, გოგონას იმედი ჰქონდა, რომ წარსულში არ დაინთქმებოდა. ამის აღიარებას ვერ იტანდა, მაგრამ სინამდვილეში იცოდა, რომ წარსული მართლაც ცოცხლობდა აწმყოში.

- მთელი ცხოვრება მინდოდა, უწარსულო ვყოფილიყავი. ნაბიჯვრობა უწარსულობა უფროა, ვიდრე უმამობა... ახლა კიმთხოვთ, რომ მქონდეს წარსული და ბოდიში მოვიხადო ვიღაც წარმოსახვითი მამის გამო!

არავის უპასუხია. თითქოს არც ასია ელოდა ვინმესგან პასუხს. ბეჭდვას ისე განაგრძობდა, იფიქრებდით, თითები თავისით მუშაობენ და თურქად წოდებული გოგონა თვალდახუჭული დაფრინავსო.

- თუმცა, შესაძლოა, სწორედ ჩემი უწარსულობა მეხმარება ისტორიასთან თქვენი მიჯაჭვულობის გაგებაში. ადამიანის მეხსიერებაში უწყვეტობის მნიშვნელობის აღიარება შემიძლია. შემიძლია ამის გაკეთება... შემიძლია ბოდიში მოვიხადო ყველა ტანჯვისათვის, რაც კი ჩემს წინაპრებს მიუყენებიათ თქვენი წინაპრებისათვის.

დეიდა ყაურმასათვის ეს საკმარისი არ იყო:

- ბევრს არაფერს ნიშნავს, ჩვენ თუ მოგვიხდი ბოდიშს. თურქული სახელმწიფოს სახელით მოიხადე საჯაროდ ბოდიში.

სრულიად მოულოდნელად არმანუშმა კლავიატურა თავისკენ მოქაჩა. არ შეეძლო, საუბარში ჩარევის ცდუნებას მორეოდა და დაწერა:

- კარგი რა! მე ვარ, მადამ დევნილი სული. რისთვის არის ეს ყველაფერი საჭირო, გარდა იმისა, რომ გაანერვიულებთ?

- თუ გულწრფელია, უნდა ინერვიულოს! - აფეთქდა დეიდა ყაურმა, მაგრამ ვიდრე ვინმე რამეს დაწერდა, ეკრანზე ყველასთვის მოულოდნელი კომენტარი გამოჩნდა:

- მაშ, ასე. ძვირფასო დევნილო სულო და ძვირფასო თურქად წოდებულო გოგონავ, უნდა ვაღიაროთ... დიასპორაში ზოგიერთ სომეხს არასოდეს ენდომებოდა, რომ თურქებს გენოციდი ეღიარებინათ. თუკი თურქები ასე მოიქცევიან, ფეხქვეშ მიწას გამოგვაცლიან და იმ ხუნდებს მოუჭერენ, ახლა რომ მოშვებულია. როგორც თურქებს აქვთ ჩვევად საკუთარი დანაშაულის უარყოფა, სომხებსაც აქვთ მსხვერპლად ყოფნის საფარველქვეშ განცხრომის ჩვევა. აშკარაა, რომ არსებობს ძველი ჩვეულებები, რომლებიც ორივე მხარეს უნდა შეიცვალოს.

ამ სიტყვებს ბარონი ბაღდასარიანი წერდა.

* * *

- ჯერ კიდევ არ სძინავთ, - დეიდა ფერიდე გოგონების ოთახთან ბოლთას სცემდა, - უჭირთ რამე?

უფროსები დასაძინებლად წასულიყვნენ. როგორც მოწესრიგებულ მასწავლებელს, დეიდა ჯევრიესაც ეძინა. დეიდა ზელიჰა ტახტზე გათიშულიყო.

- დაო, რატომ არ მიდიხარ დასაძინებლად და არ მაცდი მათ კართან დარაჯობას, რომ დავრწმუნდე, არაფერი უჭირთ? - დეიდა ბანუმ დას მხარზე მოუჭირა ხელი. დროდადრო, როცა ავადმყოფობა უმწვავდებოდა, დეიდა ფერიდეს შესაძლო ზიანის ეშინოდა, რომელიც შეიძლებოდა გარე სამყაროდან მოსულ ნებისმიერ ვინმეს ან რამეს მოეტანა, - ნება მომეცი, ღამის ცვლა გადავიბარო, - გაიღიმა დეიდა ბანუმ, - დაწექი და დაიძინე. არ დაგავიწყდეს, რომ ღამღამობით შენი გონება უცხოსავით იქცევა. უცხო ხალხს არ დაელაპარაკო.

- ჰო, - თავი დაუქნია დეიდა ფერიდემ. წუთით ის ზღაპრისაგან აფორიაქებულ პატარა გოგოს დაემსგავსა. მერე შესამჩნევად დამშვიდდა და თავისი ოთახისაკენ წაფლატუნდა.

* * *

გამოვიდნენ თუ არა „კაფე კონსტანტინოპოლიდან“, არმანუშმა საათს დახედა. დედასთან დარეკვის დრო იყო. ამ კვირაში ყოველდღე ერთსა და იმავე დროს ურეკავდა, როუზი კი ყოველ ჯერზე თათხავდა, უფრო ხშირად რატომ არ რეკავო. არმანუში შეეცადა, არ ენერვიულა საუბრის მოდელის გამო, რომელიც არ იცვლებოდა. ნომერი აკრიფა და დაელოდა, როდის აიღებდა როუზი ყურმილს.

- ამი! - იკივლა როუზმა, - ძვირფასო, შენა ხარ?

- ჰო, დედა. რას შვრები?

- რას ვშვრები? რას ვშვრები?! - გაიმეორა როუზმა დაბნეულად და ხმა ჩაუწყდა, - ახლა უნდა დავკიდო, მაგრამ დამპირდი, რომ ათზე დამირეკავ... არა, არა, ათი საკმარისი არ არის. ზუსტად თხუთმეტ წუთში. უნდა დავკიდო და აზრებს მოვუყარო თავი, მერე კი შენს ზარს დაველოდები. დამპირდი, დამპირდი, - ისტერიულად იმეორებდა როუზი.

- კარგი, დე, გპირდები, - ენის ბორძიკით თქვა არმანუშმა, - დედა, კარგად ხარ? რა ხდება? - მაგრამ როუზს ტელეფონი უკვე გაეთიშა.

გაოგნებულ, გაფითრებულ და გასაცოდავებულ არმანუშს ტელეფონი ხელში ეჭირა. გოგონამ ასიას შეხედა.

- იმის მაგივრად, რომ ეკითხა, აქამდე რატომ არ დავრეკე, დედა-ჩემმა მოგვიანებით დარეკვა მთხოვა. ეს მას ძალიან არ ჰგავს. საერთოდ არ ჰგავს.

- მოეშვი, გთხოვ, - ასია ლოგინში გადაბრუნდა და საბნის ქვემოდან თავი გამოყო, - იქნებ საჭესთან იყო ან რაღაც და ტელეფონზე ლაპარაკი არშეეძლო.

არმანუშს სახეზე მოუთმენლობა დაეტყო, თავი გააქნია და თქვა:

- ღმერთო, რაღაც ცუდი ამბავია, ძალიან ცუდი.

* * *

ტირილისაგან თვალებდასივებულ და საცოდავად ცხვირაწითლებულ როუზს ცრემლები წასკდა და სამზარეულოს ქაღალდის პირსახოცებისაკენ წაიღო ხელი. სულ ერთსა და იმავე პირსახოცებს ყიდულობდა სულ ერთსა და იმავე მაღაზიაში. ეს მყარი პირსახოცები იყო, შეწოვის კარგი უნარით და „სპარკლი“ ერქვა. მწარმოებელი კომპანია სხვადასხვანაირ ქაღალდის პირსახოცებს უშვებდა, როუზის საყვარელი სახეობა კი „My Destination“ გახლდათ. პირსახოცებზე ლურჯი ფერით დაებეჭდათ ნიჟარების, თევზებისა და ნავების გამოსახულებები, მათ შორის კი შემდეგი სიტყვები იკითხებოდა: „I can't change the direction of the wind, but I can adjust my sails to always reach my destination“.

როუზს მოსწონდა ეს სლოგანი, თანაც ნაბეჭდი ნახატების ლაჟვარდისფერი შეფერილობა მშვენივრად ეხამებოდა მისი სამზარეულოს კაფელის ფერს. ყველაზე მეტად როუზი სახლის ამ ნაწილით ამაყობდა. მიუხედავად იმისა, რომ აქაური სამზარეულო იმთავითვე მოეწონა, მაშინვე, როგორც კი სახლი იყიდეს, როუზს არ დაუხანებია, ისე მიჰყო ხელი აქაურობის გადაკეთებას, - დაამატა კედლის თაროები, კუთხეში ოცდათექვსმეტბოთლიანი გალაქული კონკილა დადგა ღვინისთვის, მიუხედავად იმისა, რომ არც ის სვამდა და არც მუსტაფა, და მთელი ოთახი მუხის მბრუნავი სკამებით მორთო. ახლა, როცა მოძალებულ შიშს გრძნობდა, მთელი სხეულით სწორედ ერთ-ერთ ასეთ სკამზე დაეცა.

- ღმერთო ჩემო, თხუთმეტი წუთი გვაქვს. რა უნდა ვუთხრათ? მარტო თხუთმეტი წუთი გვაქვს გადაწყვეტილების მისაღებად, - უყვირა როუზ-მა მუსტაფას.

- როუზ, საყვარელო, გთხოვ, დაწყნარდი, - უთხრა მუსტაფამ და სკა-მიდან წამოდგა. მუსტაფას ეს ტაბურეტები არ მოსწონდა და ამის გამო სამზარეულოში ფიჭვის ხის ორი მძიმე თაფლისფერი სკამი ჰქონდა, ერთი თავისთვის და მეორეც თავისთვის. იმ იმედით, რომ დარდს გა-უქარვებდა, მამაკაცი ცოლთან მივიდა და მისი ხელი ხელში აიღო, - მშვიდად უნდა იყო, ძალიან მშვიდად, გესმის? და მშვიდად უნდა ჰკით-ხო, ახლა სად არის. პირველად ეს უნდა ჰკითხო, კარგი?

- რომ არ მითხრას? - თქვა როუზმა.

- გეტყვის. მშვიდად ჰკითხავ და მშვიდად გიპასუხებს, - აუჩქარებ-ლად ლაპარაკობდა მუსტაფა, - მაგრამ არავითარი ლანძღვა. მშვიდად უნდა იყო. აი, წყალი დალიე.

როუზმა ჭიქა აკანკალებული ხელებით გამოართვა.

- ეს შესაძლებელია? ჩემმა პატარამ მომატყუა! რა სულელი ვიყავი, რომ ვენდობოდი. მთელი ეს დროა, ვფიქრობ, რომ ბებიამისთან არის სან-ფრანცისკოში და ახლა ირკვევა, რომ ყველა მოგვატყუა... ბებიამი-სიც... ო, ღმერთო, როგორ უნდა ვუთხრა?

წინადღეს, როცა ცოლ-ქმარი სამზარეულოში იყო, როუზი ბლინებს აცხობდა, მუსტაფა კი „არიზონა დეილი სტარს“ კითხულობდა, ტელე-ფონმა დარეკა.

ყურმილი როუზმა აიღო ისე, რომ სამზარეულოს ნიჩაბი ხელიდან არ გაუშვია. სან-ფრანცისკოდან რეკავდნენ. ხაზზე მისი ყოფილი ქმა-რი, ბარსამ ჩახმახჩიანი იყო.

რამდენი წელი გაატარეს ისე, რომ ერთმანეთისთვის სიტყვაც არ უთქვამთ?

განქორწინების შემდეგ იძულებული იყვნენ მცირეწლოვანი ქალიშ-ვილის თაობაზე შეხმიანებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ მას შემ-დეგ, რაც არმანუში გაიზარდა, ჯერ უფრო და უფრო იშვიათად საუბ-რობდნენ, ბოლოს კი საერთოდ შეწყვიტეს ერთმანეთთან ლაპარაკი.

მათი ხანმოკლე ქორწინებისგან ორად ორი რამ დარჩა: ორმხრივი წყენა და ერთი ქალიშვილი.

- მაპატიე, რომ გაწუხებ, როუზ, - თქვა ბარსამმა მშვიდი, მაგრამ მილეული ხმით, - უბრალოდ, აუცილებელია. ჩემს ქალიშვილს უნდა დაველაპარაკო.

- ჩვენს ქალიშვილს, - სარკასტულად შეუსწორა როუზმა და როგორც კი ეს სიტყვები პირიდან ამოუშვა, ინანა, ენამწარე ვარო.

- მობილურს არ პასუხობს. აქ მომიხდა დარეკვა.

- მოიცა... მოიცა. მანდ არ არის?

- რას გულისხმობ?

- სან-ფრანცისკოში არ არის შენთან? - როუზს შიშისგან ტუჩები აუკანკალდა.

ბარსამმა იფიქრა, ვაითუ ყოფილი ცოლი მატყუებსო, მაგრამ შეეცადა, გაღიზიანება არ შეემჩნია:

- არა, როუზ, არიზონაში დაბრუნება გადაწყვიტა. საგაზაფხულო არდადეგებს მანდ ატარებს.

- ღმერთო ჩემო! აქ რომ არ არის?! სად არის ჩემი შვილი?! სად არის?! - როუზი აქვითინდა და შფოთვის ისეთი შეტევა დაეწყო, რომლის მსგავსიც, მისი აზრით, დიდი ხნის წინ ჩააბარა წარსულს.

- როუზ, გთხოვ, დაწყნარდი. არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ ამბავს რაღაც ახსნა აქვს. არმანუშს მთელი გულით ვენდობი. ცუდს არაფერს გააკეთებს. ბოლოს როდის ელაპარაკე?

- გუშინ. ყოველდღე რეკავს სან-ფრანცისკოდან! - ბარსამი დუმდა. როუზისთვის აღარ უთქვამს, რომ არმანუში მასაც ურეკავდა, ოღონდ არიზონიდან.

- კარგია. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად არის. უნდა ვენდოთ. შენ იცი, რომ ჭკვიანი გოგოა და ნდობას იმსახურებს. ამის მერე რომ დაგირეკავს, უბრალოდ, უთხარი, დამირეკოს. უთხარი, რომ სასწრაფოა. გაიგე, როუზ? ეტყვი?

- ღმერთო ჩემო! - როუზი უფრო ხმამაღლა ატირდა, მაგრამ უცებ თავში ერთი კითხვა მოუვიდა, - ბარსამ, ცუდი ამბავიაო, თქვი. რა ხდება?

- ო... - მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა, - დედაჩემი... - ბარსამმა წინადადება ვერ დაამთავრა, - უბრალოდ, უთხარი არმანუშს, რომ ბებია შუშანა ძილში გარდაიცვალა. ამ დილით არ გაუღვიძია.

* * *

ასე ნელა არასოდეს გასულა თხუთმეტი წუთი. არმანუში ოთახში ბოლთას სცემდა, შეშფოთებული ასია კი თვალს არ აშორებდა. ბოლოს და ბოლოს,დადგა დრო, როცა დედასთან ხელმეორედ უნდა დაერეკა. ამჯერად როუზმა ყურმილი დაუყოვნებლივ აიღო.

- ამი, მხოლოდ ერთ კითხვას დაგისვამ, შენ კი სიმართლეს მეტყვი; დამპირდი, რომ სიმართლეს მეტყვი.

არმანუშმა იგრძნო, როგორ მოაწვა მღელვარების ტალღა.

- სად ხარ? - გამოცრა როუზმა. ქალს ხმა უწყდებოდა, - მოგვატყუე! სან-ფრანცისკოში არა ხარ, არიზონაში არა ხარ. სადა ხარ?

არმანუშმა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

- სტამბოლში ვარ, დედა.

- რაო?! - დედა, ყველაფერს მოგიყვები, ოღონდ დაწყნარდი, - აშკარა სიბრაზისაგან როუზს თვალები უელავდა. როგორ ეზიზღებოდა ყველა, ვინც ეუბნებოდა, დაწყნარდიო,

- დედა, საშინლად ვწუხვარ, ასე რომ განერვიულე. ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ, დამიჯერე, სანერვიულო არაფერია.

როუზმა ტელეფონს ხელი დააფარა.

- ჩემი შვილი სტამბოლშია! - უთხრა როუზმა ქმარს ისე, თითქოს მომხდარი მუსტაფას ბრალი ყოფილიყოს და ამისთვის საყვედური უნდა მიეღო, მერე კი ყურმილში დასჭყივლა, - რა ჯანდაბას აკეთებ მანდ?

- ახლა, მართალი გითხრა, შენი დედამთილის სახლში ვარ. შესანიშნავი ოჯახია.

როუზი ჯერ გაშტერდა, მერე ისევ მუსტაფას მიუბრუნდა კიდევ უფრო გაანჩხლებული:

- შენს ოჯახთან არის, - და ვიდრე გაფითრებული და შეშფოთებული მუსტაფა კაზანჯი სიტყვის თქმას მოახერხებდა, როუზმა განაგრძო, - მოვდივართ. არსად წახვიდე. მოვდივართ და არც კი გაბედო მობილურის ისევ გამორთვა!

ეს თქვა და როუზმა ყურმილი დაკიდა.

- რა ჯანდაბას ამბობ? - მუსტაფამ ცოლს მკლავზე ხელი მოუჭირა. იმაზე მაგრად გამოუვიდა, ვიდრე უნდოდა, - არსად არ მოვდივარ.

- დიახაც, მოდიხარ, - თქვა როუზმა, - მივდივართ. ჩემი ერთადერთი ქალიშვილი სტამბოლშია! - როუზი ისე კიოდა, თითქოს არმანუში მძევლად ჰყოლოდათ აყვანილი.

- ახლა სამსახურს ვერ დავტოვებ.

- შეგიძლია რამდენიმე დღით გაითავისუფლო თავი. თუ არა და მარტო წავალ, - კბილების ღრჭიალით თქვა როუზმა, თუ ვიღაცამ, როუზს რომ ჰგავდა, - წავალთ, დავრწმუნდებით, რომ უსაფრთხოდაა, წამოვიყვანთ და შინ დავაბრუნებთ.

* * *

გვიან ღამით, მაშინ, როცა დასაძინებლად უნდა წასულიყვნენ, კაზანჯების სახლში ტელეფონმა დარეკა.

- Iნ§ალლაჰ, ცუდი არაფერი იყოს, - დაიჩურჩულა დიდედამ ლოგინში. ხელში კრიალოსანი ეჭირა, სახეზე კი შიში ეტყობოდა. მერე წყლიანი ჭიქისკენ გაიწვდინა ხელი, რომელშიც კბილის პროთეზი ედო. ლოცვა არ შეუწყვეტია, ისე მოწრუპა წყალი. მხოლოდ წყალს შეეძლო შიშის დათრგუნვა. დეიდა ფერიდეს ჯერ ისევ ეღვიძა. ყურმილიც სწორედ მან აიღო.

როცა ტელეფონზე საუბარზე მიდგებოდა საქმე, ოჯახში ყველაზე ენამრავალი და კომუნიკაბელური დეიდა ფერიდე იყო.

- ალო?

- გამარჯობა, ფერიდე, შენა ხარ? - იკითხა ყურმილში ვიღაცამ მამაკაცის ხმით და პასუხს არც დალოდებია, განაგრძო, - მე ვარ... ამერიკიდან... მუსტაფა...

ძმის ხმის გაგონებაზე გულაფანცქალებული ფერიდე გაიკრიჭა.

- უფრო ხშირად რატომ არ გვირეკავ? როგორ ხარ? როდის ჩამოხვალ ჩვენს სანახავად?

- მისმინე, ძვირფასო, გთხოვ. ამი, არმანუში მანდ არის?

- ჰო, ჰო, რა თქმა უნდა. ჩვენთან დასარჩენად გამოგზავნე. ძალიან გვიყვარს, - გაიბადრა დეიდა ფერიდე, - შენ და შენი ცოლი მასთან ერთად რატომ არ ჩამოხვედით?

მუსტაფა ადგილზე გაშეშდა. უხერხულობისგან შუბლი შეეჭმუხნა. მის ზურგს უკან ფანჯრიდან არიზონის ყოველთვის სანდო და ყოველთვისმდუმარე მიწა მოჩანდა. დროთა განმავლობაში მუსტაფას გაეგო ფასი უდაბნოსი და მისი უსასრულობის, უკან მოხედვის შიშს რომ ანელებდა. გაეგო მისი მყუდროების ფასიც, სიკვდილის შიშს რომ უხსნიდა. ზოგჯერ ახსენდებოდა, მისი სხეული იხსენებდა თავისით ბედისწერას, მისი ოჯახის ყველა მამაკაცს რომ ელოდა. ასეთ დროს მუსტაფას თავის მოკვლას ბევრი არაფერი აკლდა - თითქოს იმაზე ადრე უნდა ეპოვა სიკვდილი, ვიდრე თავად სიკვდილი იპოვიდა. ორი ძალიან განსხვავებული, მუსტაფასა და მოსტაფას ცხოვრებით ეცხოვრა და ზოგჯერ ორ სახელს შორის არსებულ სიცარიელეზე ხიდის გადების ერთადერთ გზად მუსტაფასა და მოსტაფას ერთდროულად დადუმება, ორივე სიცოცხლის მოულოდნელად დასრულება ესახებოდა. მუსტაფამ ეს აზრი თავიდან მოიშორა. ამოიოხრა. შეიძლება მუსტაფა კი არა, უდაბნო ოხრავდა.

- მე მგონი, მოვდივართ. რამდენიმე დღით ჩამოვალთ. ამის წამოვიყვანთ და თქვენც გნახავთ... მოვდივართ, - ისე ძალდაუტანებლად გამოუვიდა მუსტაფა კაზანჯის, თითქოს დრო გარდაეტეხა, თანამიმდევრობა კი არა, უწყვეტი მთლიანობა იყო, რომელიც მსხვრევის დროსაც კი ინარჩუნებდა დრეკადობას. მუსტაფა ისე მივიდოდა, თითქოს

ლამის ოცი წელიწადი არ ყოფილიყო გასული მას შემდეგ, რაც შინ გახ-
ლდათ.

15

ოქროსფერი ქიშმიში

მუსტაფასა და მისი ამერიკელი ცოლის ჩამოსვლის საოცარ ამბავს კაზანჯების სახლში უმალ მოჰყვა რეაქციის მთელი სერია. პირველი და უმთავრესი გამოძახილი მათეთრებლებს, სარეცხ ფხვნილსა და საპნის ფანტელებს უკავშირდებოდა. მთელი სახლი ორ დღეში საგულდაგულოდ დაალაგეს, - დაწმინდეს ფანჯრები, თაროებს მტვერი მოაშორეს, დარეცხეს და დააუთოეს ფარდები, სამივე სართულზე კაფელი სათითაოდ გაფხიკეს და გააპრიალეს. დეიდა ჯევრიე ერთმანეთის მიყოლებით წმენდდა სასტუმრო ოთახში დალაგებული მცენარეების, ნემსიწვერასა და მაჩიტას, როზმარინისა და სურნელოვანი ენდრონიკას ფოთლებს. უკადრისას ფოთლებიც კი გაწმინდა.

ამასობაში დეიდა ფერიდემ ყველა გააკვირვა და თავისი მზითვიდან ყველაზე ძვირფასი მოწნულა ამოიღო. ახალი ამბის გამო, რა თქმა უნდა, გული ყველაზე მეტად ბებია გულსუმს უფანცქალებდა. თავიდან არ იჯერებდა, რომ ამდენი წლის შემდეგ მისი ერთადერთი ვაჟიშვილი მათთან მოდიოდა, მაგრამ, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნეს, ბებია სამზარეულოში ჯამ-ჭურჭელს, დანა-ჩანგალსა და პროდუქტებს შორის გამოიკეტა და საყვარელი შვილის საყვარელი კერძების მომზადებას შეუდგა. სამზარეულოში ჰაერი ახალგამომცხვარი ცომეულის შერეულ სურნელს დაემძიმებინა.

ბებიას ღუმელში უკვე გამოეცხო ორნაირი ბორექი, ისპანახითა და ფეტათი, მოეხარშა ოსპის წვნიანი, ჩაშუშული ჰქონდა ბატკნის დაბეგვილი ხორცის კატლეტები და მოემზადებინა კოფტეს ფარში, რომელსაც სტუმრების მოსვლისთანავე შეწვავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დღის ბოლომდე კიდევ ექვსი კერძის გაკეთება ჰქონდა გადაწყვეტილი, ბებია გულსუმის მენიუს უმნიშვნელოვანესი ნაწილი დესერტი, ანუ აშურე უნდა ყოფილიყო.

მთელი ბავშვობისა და ყოყლოჩინობის პერიოდის განმავლობაში მუსტაფა კაზანჯის ნებისმიერ სხვა ტკბილეულზე მეტად აშურე უყვარდა

და თუკი საშინელი ამერიკული სწრაფი კვების ნაწარმს ბიჭის კულინარიული ჩვევები თავდაყირა არ დაეყენებინა, ბებია გულსუმს იმედი ჰქონდა, რომ მაცივარში ფიალებში მისთვის გამზადებული საყვარელი დესერტის ნახვა მუსტაფას ესიამოვნებოდა. ყველაფერი ისე იქნებოდა, თითქოს ამ სახლში არაფერი შეცვლილიყო და მუსტაფასაც შეეძლო აქაური ცხოვრება იქიდან გაეგრძელებინა, სადაც გაჩერდა.

აშურე ერთიანობისა და სტაბილურობის სიმბოლო იყო, რეზიუმე კარგი დროებისა, რომელიც ყოველი გაავდრების შემდეგ დგებოდა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სახიფათო იყო ვნებათაღელვა.

ბებიას საჭირო პროდუქტები წინა დღით დაელბო და ახლა დესერტის გასაკეთებლად ემზადებოდა. ჭურჭლის კარადა გამოაღო და უზარმაზარი კარდალი გამოიღო. აშურეს მოსამზადებლად ყოველთვის დიდი ქვაბი სჭირდებოდა.

მასალა:

1/2 ჭიქა თურქული ბარდა

1 ჭიქა კილიანი ხორბალი

1 ჭიქა თეთრი ბრინჯი

1-1/2 ჭიქა შაქარი

1/2 ჭიქა წვრილად დაჭრილი თხილი

1/2 ჭიქა ბუსტუღი

1/2 ჭიქა კედრის კაკალი

1 ჩაის კოვზი ვანილი

1/3 ოქროსფერი ქიშმიში

1/3 ჭიქა ლეღვის ჩირი

1/3 ჭიქა გარგარის ჩირი

1/2 ჭიქა ფორთოხლის ცუკატი

2 სუფრის კოვზი ვარდის წყალი

მოსართავად:

2 ჩაის კოვზი დარიჩინი

1/2 კანგაცლილი, გრძლად დაჭრილი ნუში

1/2 ჭიქა ბროწეულის მარცვლები

ვიდრე მომზადებას დაიწყებდეთ:

ინგრედიენტების უმეტესობა ცალ-ცალკე თასებში ერთი დღით ადრე უნდა დაალბოთ შემდეგნაირად: მოათავსეთ თურქული ბარდა თასში, დაფარეთ ცივი წლით და დატოვეთ მთელი ღამით. ცალკე ჯამში უნდა დაალბოთ წინასწარ გულდასმით გარეცხილი ხორბალი და ბრინჯი. ლეღვისა და გარგარის ჩირი, ასევე ფორთოხლის ცუკატები 1/½ საათით დაალბეთ ცხელ წყალში, გადაწურეთ და გადანაწური წყალი შეინახეთ. წვრილად დაჭერით დამბალი ჩირი და შეურიეთ ოქროსფერი ქიშმიში.

მომზადება:

დაფარეთ თურქული ბარდის მარცვლები 4 ლიტრამდე ცივი წყლით. მიიყვანეთ ადუღებამდე და დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ხარშეთ ნელ ცეცხლზე დარბილებამდე. ვიდრე თურქული ბარდა იხარშება, ადუღეთ დაახლოებით 1 ლიტრი წყალი, ჩაყარეთ ხორბალი და ბრინჯი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე დაახლოებით ერთი საათი იქამდე, ვიდრე არ მიიღებთ რბილ მასას. ერთმანეთში შეურიეთ თურქული ბარდა და ბრინჯისა და ხორბლის მასა.

დაამატეთ შენახული გადანაწური წყალი, შაქარი, წვრილად დაჭრილი თხილი, ბუსტუღი, კედრის კაკალი, დადგით ნელ ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. მუდმივად ურიეთ. გააგრძელეთ ხარშვა და მორევა კიდევ 30 წუთის განმავლობაში. იქამდე ხარშეთ, ვიდრე მასა ოდნავ არ შესქელდება და სქელ წვნიანს არ დაემსგავსება. დაამატეთ ვანილი, ქიშმიში, ლეღვისა და გარგარის ჩირი, ფორთოხლის ცუკატები და მუდმივი მორევით ხარშეთ კიდევ 20 წუთი. გამორთეთ ქურა და შეურიეთ მიღებულ მასას ვარდის წყალი. გააჩერეთ აშურე ოთახის ტემპერატურაზე ერთი საათის განმავლობაში ან მეტი ხნით. მოაყარეთ დარიჩინი. მორთეთ გრძლად დაჭრილი ნუშითა და ბროწეულის მარცვლებით.

* * *

გოგონების ოთახში არმანუში დილამდე ჩუმად იჯდა და ფიქრობდა. არც გარეთ გასვლა უნდოდა, არც არაფერი.

ასია სახლში იყო, ამის ნარდს ეთამაშებოდა და ჯონი კეშს უსმენდა.

- ექვსით-ექვსი! აი, შე იღბლიანო!

იმის გამო, რომ კამათელი ასე გააგორა, არმანუშს არანაირი კმაყოფილება არ ეტყობოდა. პირიქით,გაბერილი ისე მისჩერებოდა დაფას, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ თვალთახედვიდან მოიშორებდა.

- საშინელი გრძნობა მაქვს, თითქოს ცუდი რაღაც მოხდა და დედაჩემი არ მეუბნება.

- გთხოვ, ნუ დარდობ, - თქვა ასიამ თან ფანქრის ბოლოს ღეჭავდა. ორგანიზმი ნიკოტინს სთხოვდა, - დედაშენს ელაპარაკე და ნორმალური ხმა ჰქონდა. შენი წყალობით ახლა სტამბოლში ჩამოვლენ. ჩამოვლენ, გნახავენ და მალე ისევ შენს სახლში იქნები.

მიუხედავად იმისა, რომ ასიას არმანუშის დამშვიდება უნდოდა, უცნაური კი იყო, მაგრამ მისი სიტყვები გაკიცხვასავით ჟღერდა. სინამდვილეში გოგონა ნაღვლობდა, ამი ასე მალე რომ წავიდოდა.

- არ ვიცი. უბრალოდ ამ გრძნობას ვერ ვიშორებ თავიდან, - ამოიოხრა არმანუშმა, - დედა არსად მიდის, კენტუკიშიც კი. სტამბოლში რომ მოფრინავს, განსაცვიფრებელი რამაა, მაგრამ ეს ყველაფერი ისევ და ისევ ისე ძალიან ჰგავს მას. ვერ იტანს, როცა ჩემი ცხოვრების გაკონტროლება არ შეუძლია. დედამიწას გარშემოც კი შემოუფრენს იმისთვის, რომ თვალწინ ვყავდე.

ვიდრე არმანუში მომდევნო სვლას მოიფიქრებდა, ასიამ ფეხი მოირთხა. ნიჰილიზმის პირადი მანიფესტის მორიგ მუხლს ამუშავებდა:

მუხლი 10: თუ კარგ მეგობარს იპოვი, იზრუნე, იმდენად არ მიეჩვიო, რომ დაგავიწყდეს: საბოლოოდ, თითოეული ჩვენგანი სინამდვილეში მარტოა და, ადრე თუ გვიან, მარადიული მარტოობა წამოეწევა შემთხვევით მეგობრობას.

მიუხედავად იმისა, რომ დათრგუნვილი იყო, არმანუშის გუნებაგანწყობილებას მის თამაშზე ნამდვილად არ უმოქმედია. ექვსით ექვსიო, - თქვა და ასიას სახლში შეიჭრა, ერთბაშად სამი ქვა მოუკლა და მოწინააღმდეგე დაამარცხა. ეს ტრიუმფი იყო! ასიამ კიდევ უფრო ღრმად ჩაასო კბილები ფანქარს.

მუხლი 11: მაშინაც კი, თუ ნაპოვნი გყავს კარგი მეგობარი, რომელსაც ისე მიეჩვიე, რომ მე-10 მუხლი დაგავიწყდა, არასოდეს გამოგრჩეს მხედველობიდან ერთი ფაქტი. ნარდის დაფაზე, ზუსტად ისევე, როგორც დაბადებისა და სიკვდილის შემთხვევაში, თითოეული ჩვენგანი მარტოა.

თამასაზე სამი ქვა იდო, მოწინააღმდეგის კარებში კი მხოლოდ ორი კარი რჩებოდა ღია. ასიას ან დუ-ბეში უნდა გაეგორებინა, ან დუ-სე, სხვა არაფერი გადაარჩენდა წაგებას. გოგონამ იღბალს ხელისგულებზე დაფურთხებით უხმო და ლოცვა აღავლინა ნარდის ჯინის სახელზე, რომელიც მუდამ ნახევრად შავი და ნახევრად თეთრი დევის სახით წარმოედგინა, თვალის კაკლების მაგივრად კამათლებს რომ ატრიალებდა გიჟივით.

ასიამ კამათელი გააგორა. სებაი-დუ იყო.

- ჯანდაბა! - ვერ თამაშობდა. ასია კაზანჯი ხელების მტვრევასა და ბუზღუნს მოჰყვა.

- საბრალო! - შესძახა არმანუშმა.

ასიამ ქუჩის მოვაჭრეს მიაყურადა და მოკლული შავი ქვები თამასაზე დადო. გარეთ გამყიდველი გაჰკიოდა: „ქიშმიში! ოქროსფერი ქიშმიში ახალგაზრდებისთვის და უკბილო ბებიებისთვის, ოქროსფერი ქიშმიში ყველას!“

- დარწმუნებული ვარ, დედაშენი კარგად არის. აბა, იფიქრე. კარგად რომ არ იყოს, ამხელა გზას არიზონიდან სტამბოლამდე როგორ გამოივლიდა?

- ალბათ, მართალი ხარ, - თავი დააქნია არმანუშმა და კამათელი გააგორა.

- ისევ დუ-შაში!

- ე! სულ დუ-შაში უნდა აგორო? დათვრნენ ეს კამათლები თუ რა ხდება? - მიაყარა დაეჭვებულმა ასიამ, - თაღლითობთ, ქალბატონო?

არმანუშმა ჩაიცინა.

- ჰო, აბა. ერთი ეგ ვიცოდე, როგორ უნდა!

სწორედ მაშინ, როდესაც თეთრი ქვების კიდევ ერთი წყვილი ღია კარებისკენ უნდა წაეღო, ამი ერთბაშად გაჩერდა, გაფითრებული და გაწამებული ჩანდა.

- ღმერთო ჩემო, ეს როგორ ვერ დავინახე! - წამოიძახა განერვიულებულმა არმანუშმა, - დედაჩემი არა, მამაჩემია. დედას სწორედ ასეთი რეაქცია ექნებოდა, მამას... ან მამას ოჯახს რომ დამართოდა რამე... ღმერთო, მამაჩემს მოუვიდა რაღაც!

- რანაირად აზროვნებ? - შეეცადა ამის დამშვიდებას ასია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, - მამაშენს ბოლოს როდის ელაპარაკე?

- ორი დღის წინ, - თქვა არმანუშმა, - არიზონიდან დავურეკე და კარგად იყო. თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო.

- მოიცა, მოიცა! რას ნიშნავს, არიზონიდან დაურეკე? არმანუში გაწითლდა.

- ვიცრუე, - ამიმ მხრები აიჩეჩა, თითქოს კმაყოფილიც კი იყო იმით, რომ მრავალფეროვნებისათვის ისე არ მოქცეულიყო, როგორც წესი იყო, - აქ წამოსასვლელად ოჯახში თითქმის ყველა მოვატყუე. რომ მეთქვა, სტამბოლში მარტო მივდივარ-მეთქი, ყველანი ისე შეშფოთდებოდნენ, რომ საერთოდ არსად გამიშვებდნენ სამოგზაუროდ. ვფიქრობდი, წავალ სტამბოლში და როცა უკან დავბრუნდები, ყველაფერს მაშინ მოვუყვები-მეთქი. მამაჩემი ფიქრობს, რომ არიზონაში ვარ, დედასთან, დედას კი ჰგონია, რომ მამასთან ვარ სან-ფრანცისკოში, ანუ გუშინდლამდე მაინც ასე ეგონა.

ასია არმანუშს ეჭვით უყურებდა, მაგრამ უნდობლობა მალე გაქრა და მისი ადგილი პატივისცემის მსგავსმა გრძნობამ დაიკავა. იქნებ არმანუში სულაც არ იყო ისეთი უნაკლო და დამჯერი გოგონა, ასიას რომ ეგონა. იქნებ მის გასხივოსნებულ სამყაროშიც იყოსადმე ადგილი ცოდვის, სიბინძურისა და უწესობისთვის. ამგვარმა აღიარებამ ასია არათუ გააღიზიანა, პირიქით, უფრო მეტად დააფასებინა კიდეც არმანუში. ასიამ ნარდის დაფა დახურა და მარცხის აღიარების ნიშნად იღლიაში ამოიჩარა, თუმცა, ამ კულტურული ჟესტის შესახებ არმანუშს საიდან უნდა სცოდნოდა რამე?

- არა მგონია, რამე ცუდი ხდებოდეს... მაგრამ მოიცა, მამაშენს რატომ არ ურეკავ? - იკითხა ასიამ.

თითქოს ამ სიტყვებს ელოდებოდაო, არმანუში ტელეფონთან მივიდა. დროში განსხვავების გამო სან-ფრანცისკოში უთენია იყო.

ერთი ზარის შემდეგ გააგონეს, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ტელეფონი ჩვეულებისამებრ ბებია შუშანას აეღო, ყურმილში ბარსამ ჩახმახჩიანის ხმა გაისმა.

- ძვირფასო, - დაიგმინა მამამ, როგორც კი უსაყვარლესი ქალიშვილის ხმა გაიგონა. ტელეფონი საშინლად ხრიალებდა და მამა-შვილიც ხვდებოდა, ერთმანეთისგან რამხელა გეოგრაფიული მანძილი აშორებდათ.

- დილით ვაპირებდი დარეკვას. ვიცი, რომ სტამბოლში ხარ. დედაშენმა დამირეკა და მითხრა.

ცოტა ხნით დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ბარსამს არც სტამბოლზე უთქვამს რამე, არც არმანუშის დატუქსვა უფიქრია.

- მე და დედა ისე ვდარდობდით შენზე. როუზი შენს მამინაცვალთან ერთად მოფრინავს სტამბოლში... შენს წამოსაყვანად მოდიან. ხვალ შუადღისთვის იქნებიან სტამბოლში.

არმანუში ადგილზე გაიყინა. რაღაც ცუდი ამბავი იყო, ძალიან ცუდი. ის, რომ მისი მშობლები ლაპარაკობდნენ და უფრო მეტიც, ერთმანეთს ახალ-ახალ ამბებს ატყობინებდნენ, აპოკალიფსის უტყუარი ნიშანი იყო.

- მამა, რამე მოხდა?

ბარსამ ჩახმახჩიანი დუმდა, თავს დატეხილი ბავშვობის მოგონებისაგან სევდა შემოსწოლოდა.

ბავშვობაში მათ უბანში ერთი კაცი ყოველ წელს მიდიოდა. კაცი მუქ, წვეტიან ბარტყულასა და შავ მოსასხამს ატარებდა და ადგილობრივი ეკლესიის დიაკვანთან ერთად კარდაკარ დადიოდა ხოლმე. სამშობლოდან მოსული მღვდელი იყო და ახალგაზრდებს ეძებდა, გონებამახვილ ბიჭებს, ისევ სომხეთში რომ წაეყვანა და მღვდლებად გაეზარდა.

- მამა, კარგად ხარ? რა ხდება?

- კარგად ვარ, ძვირფასო. მომენატრე, - მხოლოდ ამის თქმა მოახერხა ბარსამმა.

ახალგაზრდობაში ბარსამი რელიგიით იყო შეპყრობილი და საკვირაო სკოლის საუკეთესო მოწაფეც გახლდათ. აქედან გამომდინარე, შავბარტყულიანი კაციც ხშირად სტუმრობდა მათ სახლს და შუშანას ბიჭის მომავალზე ესაუბრებოდა.

ერთ დღესაც, როცა ბარსამი, დედამისი და მღვდელი სამზარეულოში ისხდნენ და ცხელ ჩაის წრუპავდნენ, მღვდელმა თქვა, თუ რამე უნდა გადავწყვიტოთ, ახლა ამისათვის სწორედ რომ შესაფერისი დროაო.

ბარსამ ჩახმახჩიანს არასოდეს დაავიწყდებოდა ის შიში, დედამისის თვალებში მაშინ რომ გაიელვა. შუშანა ძალიანაც სცემდა პატივს ღვთისმოსავ მღვდელს, ძალიანაც მოწადინებული იყო, დავაჟკაცებული ვაჟიშვილი მოძღვრის სამოსში ენახა, ძალიანაც უნდოდა მისი ერთადერთი ვაჟი ღვთის მსახური ყოფილიყო, მაგრამ ვერაფრით იშორებდა თავიდან შიშს. ისე ეშინოდა, თითქოს მის წინაშე გამტაცებელი იყო, რომელსაც მისი შვილის წაყვანა უნდოდა. შეშინებული შუშანა ისე შეკრთა, რომ ხელში ფინჯანი ძლივს შეიმაგრა და ცოტაოდენი ჩაი კაბაზე გადაისხა. მღვდელმა მშვიდად, თავაზიანად დაუქნია თავი. მიხვდა, რომ ამ ქალის წარსულში რაღაც შავბნელი საიდუმლო იმალებოდა. შუშანას თავზე ხელი გადაუსვა, დალოცა, წავიდა და ასეთი რამის სათხოვნელად აღარ დაბრუნებულა.

იმ დღეს ბარსამ ჩახმახჩიანმა ისეთი რამ გამოცადა, რაც მანამდეც ეგრძნო და აღარ უნდოდა განმეორებულიყო, - მწვავე, შიშის მომგვრელი წინათგრძნობა იყო. შვილის დაკარგვის საფრთხის წინაშე ასეთი ძლიერი შიში მხოლოდ იმ დედას შეიძლებოდა გამოემჟღავნებინა, რომელსაც უკვე დაეკარგა ერთი პირმშო. იქნებ შუშანას კიდევ ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა,რომელსაც ოდესღაც დააშორეს. ახლა, როდესაც დედის სიკვდილს გლოვობდა, ბარსამ ჩახმახჩიანს გამბედაობა არ ჰყოფნიდა, რომ საკუთარი ქალიშვილისთვის მომხდარის შესახებ ეთქვა.

- მამა, დამელაპარაკე, - სასწრაფოდ თქვა არმანუშმა.

დედამისის მსგავსად, ბარსამის მამაც 1915 წელს თურქეთიდან გადასახლებული ოჯახის შვილი იყო. სარქის ჩახმახჩიანსა და შუშანა სტამბოლელს რაღაც აერთიანებდათ, რაღაც ისეთი, რის შესახებაც მათი შვილები მხოლოდ ხვდებოდნენ, მაგრამ საიდუმლოს არსი ბოლომდე ვერ გაეგოთ. იმხელა დუმილი იყო ცოლ-ქმრის ნათქვამ სიტყვებს შორის. ამერიკაში ჩამოსულებს სხვა ქვეყანაში დაეტოვებინათ სხვა ცხოვრება და იცოდნენ, რომ არსებობს ისეთი რამეები, რომლებსაც ვერასოდეს იტყვი, მიუხედავად იმისა, რამდენად ხშირად და რამდენად გულწრფელად იხსენებ წარსულს.

ბარსამს ახსოვდა, როგორ ცეკვავდა მამამისი „ჰალას“ თანხლებით დედამისის გარშემო, როგორ ტრიალებდა წრეში ჰაერში მოლივლივე ჩიტივით მაღლა აწეული ხელებით; ნელი მუსიკა თანდათან ჩქარდებოდა, ბავშვებს კი მხოლოდ ის შეეძლოთ, აღფრთოვანებულებს გვერდიდან ეცქირათ დედ-მამის ახლოაღმოსავლური როკვისთვის. მუსიკა ბარსამის ბავშვობის დროინდელი ყველაზე ცოცხალი მოგონება იყო. წლების განმავლობაში უკრავდა კლარნეტზე სომხურ ჯგუფში და ტრადიციულ ლურჯ შარვალსა და ყვითელ ზედატანში გამოწყობილი ცეკვავდა. ახსოვდა, როგორ დამცინავად უყურებდნენ არასომხურ უბანში ბავშვები, როდესაც სახლიდან ასეთი ჩაცმულ-დახურული გამოდიოდა. ყოველ ჯერზე იმედი ჰქონდა, რომ ბავშვები ნანახს დაივიწყებდნენ,ანდა უბრალოდ თავს არ შეიწუხებდნენ მისი მასხრად აგდებით, მაგრამ ყოველ ჯერზე ცდებოდა.

სინამდვილეში, ერთმანეთის მიყოლებით გამართულ სხვადასხვა სომხურ ღონისძიებაში ჩართულ ბარსამს რაც უნდოდა, მხოლოდ ის იყო, რომ დანარჩენებს ჰგვანებოდა, მათზე არაფრით ყოფილიყო მეტი ან ნაკლები. უნდოდა, ამერიკელი ყოფილიყო და არ ჰქონოდა სომხურად შავგვრემანი კანი.

წლების შემდეგაც კი, დედამისი წარამარა საყვედურობდა ბარსამს და ახსენებდა, როგორ უკითხავს პატარაობაში წარმოშობით ჰოლანდიელი მდგმურებისთვის, ზედა სართულზე რომ ცხოვრობდნენ, რომელი საპნით იბანთო. უნდოდა, მათსავით თეთრი ყოფილიყო. და ახლა,

როცა დედა დაკარგა და ბავშვობის მოგონებები მოეჯარა, ბარსამ ჩახმახჩიანს ისღა დარჩენოდა, თავი დამნაშავედ ეგრძნო, რადგან სასწრაფოდ დაევიწყებინა ყველაფერი, რასაც ოდესღაც ისე ასწავლიდნენ, როგორც პატარა სომეხს. ახლა კი ნანობდა, რომ დედისაგან მეტი არ ისწავლა და საკუთარ ქალიშვილსაც არ ასწავლა.

- ხმას რატომ არ იღებ, მამა? - შეშინებული ხმით იკითხა არმანუშმა.

- გახსოვს ახალგაზრდული ბანაკი, ბავშვობაში რომ იყავი?

- ჰო, რა თქმა უნდა, - უპასუხა არმანუშმა.

- ოდესმე გაბრაზებულხარ ჩემზე, იქ ხელმეორედ რომ არ გაგიშვი?

- მამა, დაგავიწყდა, რომ მე თვითონ არ მინდოდა იქ მეტჯერ წასვლა? თავიდან სახალისო იყო, მაგრამ მერე ჩავთვალე, რომ იქაურობისთვის მეტისმეტად დიდი ვიყავი. მე თვითონ გთხოვე, მომდევნო წელს იქ აღარ გაგეგზავნე...

- მართალია, - თქვა დაეჭვებულმა ბარსამმა, - მაგრამ ხომ შემეძლო შენი ასაკის სომეხი მოზარდების სხვა ბანაკი მომეძებნა.

- მამა, ამას ახლა რატომ კითხულობ? - არმანუშს ის-ის იყო, ცრემლები წამოუვიდოდა.

ბარსამს გამბედაობა არ ჰყოფნიდა სიმართლის სათქმელად. ასე, ტელეფონით ვერ ეტყოდა. არ უნდოდა, გოგონას ბებიას გარდაცვალების ამბავი მაშინ გაეგო, როცა ათასობით მილის მანძილზე სრულიად მარტო იყო. ბარსამმა რამდენიმე სიტყვა წაილუღლუღა. სცადა, ამის ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. ხმას ოდნავ აუწია. მისი ხმის ფონზე ერთად შეკრებილი ადამიანების ზუზუნა ხმაური ისმოდა. ისეთი ხმები იყო, თითქოს მთელი ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და მეზობლები ერთ ჭერქვეშ შეკრებილიყვნენ, არმანუში კი საკმაოდ გონიერი გახლდათ და იცოდა, ასეთი თავყრილობა მხოლოდ ორი რამის ნიშანი შეიძლებოდა ყოფილიყო: ვიღაც დაქორწინდა ანდა ვიღაც მოკვდა.

- რა ხდება? ბებია შუშანა სად არის? - მშვიდად იკითხა გოგონამ, - ბებიას მინდა დაველაპარაკო.

მაშინ კი გადაწყვიტა ბარსამ ჩახმახჩიანმა სიმართლის თქმა.

* * *

გვიანი საღამოდან მოყოლებული დეიდა ზელიჰა ენერგიულად სცემდა ბოლთას თავის ოთახში. ისე გამალებით მიდი-მოდიოდა, რომ ნუღარ იტყვით. სახლში ვერავის გაანდობდა, რამდენად ცუდად გრძნობდა თავს და რაც უფრო მეტად ჩქმალავდა მღელვარებას, მით უფრო ცუდად ხდებოდა. თავიდან იფიქრა, სამზარეულოში ბალახეულის დამამშვიდებელ ჩაის მოვიდუღებო, მაგრამ კერძების მძიმე სუნისგან კინაღამ გული აერია. მერე ტელევიზორის საყურებლად სასტუმრო ოთახში გავიდა, სადაც თავისი ორი და დახვდა. ქალები გაშმაგებული ალაგებდნენ საერთო ოთახს და გაცხოველებით ქაქანებდნენ მომდევნო დღეზე. ზელიჰამ უმალ გადაიფიქრა იქ დარჩენა.

დაბრუნდა თუ არა თავის ოთახში, დეიდა ზელიჰამ კარი მიხურა,სიგარეტს მოუკიდა და ლეიბის ქვეშიდან არყის ბოთლი გამოაძვრინა, რომელსაც ასეთი მძიმე დღეებისთვის ინახავდა. თავიდან ჩქარ-ჩქარა სვამდა, მერე სულ უფრო ნელა და ნელა. ასე გადახუხა დეიდა ზელიჰამ ბოთლის ერთი მესამედი. მას შემდეგ, რაც ოთხი სიგარეტი მოწია და სასმელიც ექვსჯერ მოყლუპა, დეიდა ზელიჰა აღარ შფოთავდა. მართალი გითხრათ, არაფერს გრძნობდა შიმშილის გარდა. ერთადერთი პირის გასასველებელი, რაც ოთახში ჰქონდა, ოქროსფერი ქიშმიშის შეკვრა იყო, რომელიც ჩხირივით გამხდარი ქუჩის მოვაჭრისაგან ეყიდა, იმ საღამოს მათი სახლის წინ რომ გაჰყვიროდა.

ის იყო, ზელიჰამ ბოთლი სანახევროდ გამოცალა და ქიშმიშიც ერთ მუჭამდე დაიყვანა, რომ მისმა მობილურმა დარეკა. არამი რეკავდა.

- არ მინდა, რომ ამაღამ მაგ სახლში დარჩე, - იყო პირველი სიტყვები, რომლებიც არამმა ზელიჰას უთხრა, - არც ხვალ, არც ზეგ. მართალი გითხრა, არ მინდა, რომ ჩემი დარჩენილი ცხოვრების ერთი დღეც კი ჩემგან შორს გაატარო.

დეიდა ზელიჰამ ხითხითით უპასუხა.

- გთხოვ, ჩემო სიყვარულო, მოდი და დარჩი ჩემთან. ახლავე წამოდი მაგ სახლიდან. კბილის ჯაგრისი გიყიდე. სუფთა პირსახოციც კი მაქვს! - არამმა ხუმრობა სცადა, მაგრამ შუა გზაზე გაჩერდა, - დარჩი ჩემთან, სანამ წავა.

- როგორ უნდა ავუხსნათ ჩემს საყვარელ ოჯახს ჩემი უეცარი წასვლა? - ბუზღუნით თქვა დეიდა ზელიჰამ.

- არაფრის ახსნა არ გჭირდება, - მუდარით უთხრა არამმა, - მომისმინე, შეიძლება უპირატესობაც კი იყოს, ტრადიციულ ოჯახში მაწანწალა რომ ხარ. რაც უნდა გააკეთო,დარწმუნებული ვარ, ჭკუიდან არავინ შეირყევა. მოდი. გთხოვ, დარჩი ჩემთან.

- ასიას რა უნდა ვუთხრა?

- არაფერი, არაფერი არ უნდა თქვა... შენ ეს იცი.

დეიდა ზელიჰა, რომელსაც ტელეფონი ხელში მაგრად ჩაებღუჯა, ჩანასახივით მოიკუნტა და ძილმორეულმა თვალები დახუჭა, მაგრამ მერე ძალა მოიკრიბა და იკითხა:

- არამ, ეს როდის უნდა დამთავრდეს? ეს სავალდებულო ამნეზია, დაუსრულებელი გულმავიწყობა. არაფერი უნდა თქვა, არაფერი უნდა გახსოვდეს, არც მათ უნდა უთხრა რამე, არც საკუთარ თავს... დამთავრდება კი ოდესმე?

- ახლა ამაზე ნუ იფიქრებ, - არამი ზელიჰას დამშვიდებას შეეცადა, - გეყოფა. მეტისმეტად მკაცრი ხარ საკუთარი თავის მიმართ. ხვალ დილით აქ მოდი.

- ჩემო სიყვარულო... ნეტავ კი შემეძლოს, - დეიდა ზელიჰამ გაწამებული სახე ისე მიაბრუნა, თითქოს არამს ყურმილიდან შეძლებოდა მისი დანახვა.

- ფიქრობენ, რომ მათ დასახვედრად აეროპორტში წავალ. გახსოვს, ამ ოჯახში მე ერთადერთი ვარ, ვინც მანქანის ტარება იცის.

არამი იძულებული იყო, ზელიჰასათვის დაეთმო და ხმას არ იღებდა.

- არ იდარდო, - დაიჩურჩულა დეიდა ზელიჰამ, - მიყვარხარ... ისე მიყვარხარ... მოდი, დავიძინოთ.

როგორც კი ტელეფონი გათიშა, დეიდა ზელიჰას ღრმა ძილით დაეძინა. მეორე დილით თავი აუტანლად სტკიოდა და შალის ერთ გადასაფარებელს ვერ პოულობდა. ზელიჰას ახლა არც ის ახსოვდა, როგორ გამორთო მობილური, არც ის, როგორ გადადო არყის ბოთლი, რო-

გორ ჩააქრო საფერფლეზე სიგარეტი, როგორ გამორთო შუქი და როგორ შესრიალდა ლოგინის გადასაფარებლის ქვეშ.

* * *

- სტამბოლში ცივა? თბილი ტანსაცმელი უნდა წამომეღო? - იკითხა როუზმა, მიუხედავად იმისა, რომ სამი მთავარი მიზეზი არსებობდა, რომლის გამოც ეს არ უნდა გაეკეთებინა, - იმიტომ, რომ ასეთი კითხვა მანამდე უკვე დაესვა, იმიტომ, რომ ბარგი უკვე შეეკრა და იმიტომ, რომ სწორედ იმ მომენტში ტუსონის აეროპორტისაკენ მიემგზავრებოდნენ და როუზის ინტერესი მეტისმეტად დაგვიანებული გახლდათ. მუსტაფა გზატკეცილს თვალს არ აშორებდა. ერთი კი უნდოდა, ცოლისთვის ეს მიზეზები შეეხსენებინა, მაგრამ მხოლოდ თავი გადააქნია.

იმ დღეს, როცა სტამბოლში უნდა გაფრენილიყვნენ, აეროპორტში წასასვლელად როუზი და მუსტაფა სახლიდან დღის ოთხ საათზე გავიდნენ. წინ ორი რეისი ელოდათ - ერთი ხანმოკლე, მეორე - საკმაოდ გრძელი. ჯერ ტუსონიდან სან-ფრანცისკოში უნდა გაფრენილიყვნენ, მერე სან-ფრანცისკოდან სტამბოლში. რაკი პირველად მიდიოდა იმ ქვეყანაში, სადაც არც ინგლისური იყო ძირითადი ენა და არც ადამიანები მიირთმევდნენ ნეკერჩხლის სიროფში ჩაწყობილ ბლინებს დილაობით, როუზი ერთდროულად აღელვებულიც იყო და დათრგუნვილიც.

უნდა ვაღიაროთ, რომ როუზი დიდი მკვლევარი არასოდეს ყოფილა და რომ არა ბანგკოკში მოგზაურობის ესოდენ ნანატრი და აუხდენელი ოცნება, მას და მუსტაფას პასპორტები არასოდეს ექნებოდათ.

საზღვარგარეთ მოგზაურობასთან ყველაზე მეტად მიმსგავსებული გამოცდილება როუზს ექვსი ციფრული ვიდეოდისკის „აღმოაჩინე ევროპა“ ცქერისას მიეღო და ეს გაცილებით უფრო თანამიმდევრული ინფორმაცია იყო, ვიდრე ნაგლეჯ-ნაგლეჯი ამბები, მათი მრავალწლიანი ქორწინების განმავლობაში მუსტაფას დროდადრო რომ წამოცდებოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, პრობლემა ის გახლდათ, რომ როუზს ექვსივე დისკი ერთჯერზე ენახა. ეპიზოდი „მოგზაურობა თურქეთში“ სულ ბოლოს იყო, ბრიტანეთის კუნძულების, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, გერმანიის, ავსტრალიის, შვეიცარიის, იტალიის, სა-

ბერძნეთისა და ისრაელის შემდეგ და როუზი ვერაფრით გარკვეულიყო, სცენები, თავში რომ ჰქონდა, თურქეთიდან იყო თუ რომელიმე სხვა ქვეყნიდან.

ციფრული ვიდეოდისკები „აღმოაჩინე ევროპა“ საგანმანათლებლო მიზნებისათვის მართლაც მისწრება იყო, მით უფრო, ამერიკული ოჯახებისათვის, რომლებსაც საზღვარგარეთ მოგზაურობისათვის დრო, საშუალება ან სურვილი არ ჰქონდათ. თუმცა, პროდიუსერებს კრებულზე მითითება უნდა გაეკეთებინათ, ექვსივე დისკს ერთდროულად არ უყუროთ და ერთ ჯერზე ერთზე მეტ ქვეყანაში არ „იმოგზაუროთო“.

როუზი და მუსტაფა ყველა მაღაზიაში შევიდნენ, რაც კი ტუსონის საერთაშორისო აეროპორტში იყო, ანუ ერთი კიოსკი და ორი სუვენირების დახლი მოიარეს. საერთაშორისო აეროპორტის საგანგებოდ გაკეთებული აღნიშვნის მიუხედავად (აეროპორტს საერთაშორისო იმიტომ ერქვა, რომ იქიდან იყო ფრენები მექსიკის მიმართულებით, სადაც მანქანით სულ რაღაც ერთ საათში ჩახვიდოდით), აქაურობა იმდენად მოკრძალებული იყო, რომ ადგილობრივ ავტოსადგურს ჰგავდა. სტარბაქსიც კი არად დაგიდევდათ, გახსნიდა თუ არა ამ აეროპორტში თავის ფილიალს.

ასე იყო თუ ისე, შედგა თუ არა ფეხი სუვენირების მაღაზიაში როუზმა, მუსტაფას ოჯახის წევრებისათვის უამრავი საჩუქარი გამოძებნა. მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლში ექსპრომტად მიემგზავრებოდნენ და როუზიც გაუთავებლად წუხდა თავისი ქალიშვილის გამო, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, თუ როგორ უნდა ეთქვა ამისათვის ბებიას გარდაცვალების შესახებ, გამგზავრების დროის მოახლოებასთან ერთად როუზი ტურისტულ შოკში ჩავარდა. მთელი გულით უნდოდა, მუსტაფას უმამაკაცო ოჯახის ყველა წევრისათვის განსაკუთრებული საჩუქარი ეყიდა და მიუხედავად იმისა, რომ მაღაზია დიდი არჩევნით არ გამოირჩეოდა, როუზი ყველა თაროზე გამოფენილ საქონელს გულდასმით ათვალიერებდა. კაქტუსის ფორმის წიგნაკები, კაქტუსის ფორმის გასაღების საკიდები, კაქტუსის ფორმის მაგნიტები, ჭიქები ტეკილასათვის კაქტუსების გამოსახულებით - მთელი დასტა იაფფასიანი სუვენირები და

სამშვენისები თუ კაქტუსებით არა, ზედ დახატული ხვლიკებითა და კოიოტებით.

ბოლოს როუზმა კაზანჯის გვარის ყველა ქალისათვის იყიდა საჩუქარი. სამართლიანად რომ გამოსვლოდა, საჩუქრები თითქმის ერთნაირი იყო. თითოეულ კომპლექტში შედიოდა: კაქტუსივით დაგრეხილი მრავალფეროვანი ფანქარი წარწერით „მე მიყვარს არიზონა“, თეთრი მაისური გულზე დაბეჭდილი არიზონის რუკით, კალენდარი კოლორადოს დიდი კანიონის სურათებით, უზარმაზარი ჭიქა წარწერით: „BUT Iთ’შ ა დღყ ჰეათ მუგ“ და მაცივარზე მისაკრავი მაგნიტი შიგნით ნამდვილი პატარა კაქტუსით. გარდა ამისა, როუზმა ორი წყვილი ყვავილიანი შორტებიც იყიდა, ისეთები, იმწუთას თავად რომ ეცვა. ეს იმ შემთხვევისათვის, სტამბოლში ვინმეს მათი მოზომება თუ მოუნდებოდა.

მას შემდეგ, რაც ტუსონში ოცზე მეტი წელიწადი გაეტარებინა, როუზს, რომელიც ერთ დროს კენტუკელი გოგონა იყო, ახლა ყველგან არიზონა ეწერა. მარტო ყოველდღიური ტანსაცმელი, ანუ მაისურები, ჯინსის შორტები და ჩალის ქუდები კი არ გასცემდნენ როუზს, ანდა სახეზე მიხორცებული მზის სათვალე, არამედ მისი სხეულის ენაც არიზონის სტილს ასხივებდა.

იმ წელს როუზს ორმოცდაექვსი წელი შეუსრულდა, მაგრამ ისე იქცეოდა, როგორც სისხლის სამართლის სასამართლოს გადამდგარი მდივანი, რომელსაც ცხოვრება ყვავილებიან კაბებში თავის გამოჩენის შანსს მანამდე იშვიათად აძლევდა, მაგრამ ახლა ასეთი სამოსის ტარება ზომაზე მეტად მოსწონდა.

სიმართლე ის იყო, რომ როუზი ძალიან ნანობდა რაღაცებს, რაც აქამდე არ გაეკეთებინა, მათ შორის იმასაც, მეტი შვილი რომ არ ჰყავდა. როგორ დარდობდა როუზი, ვიდრე შეეძლო, კიდევ ერთი შვილი რომ არ გააჩინა. შვილების ყოლა მუსტაფას დიდად არ უნდოდა. ეს ამბავი როუზსაც დიდხანს ახარებდა და არასოდეს უფიქრია ასეთი გადაწყვეტილების გამო ბოლოს როგორ ინანებდა. შეიძლება ეს პროფესიული რისკი იყო - მთელი დღის განმავლობაში მეოთხეკლასელებით

გარშემორტყმულ როუზს საკუთარ ცხოვრებაში ბავშვების ნაკლებობა არასოდეს უგრძნია. მიუხედავად ამისა, როუზსა და მუსტაფას სავსებით ბედნიერი ცოლქმრობა ჰქონდათ. მათ ქორწინებას საერთო ჩვევების არსებობით მოგვრილი შვება უფრო ახასიათებდა, ვიდრე ვნებიანი სიყვარული, მაგრამ ეს მაინც გაცილებით უკეთესი ქორწინება იყო, ვიდრე ათასობით სხვა ადამიანის გარეგნულად ამურული კავშირი. ბედის ირონიას ჰგავდა, როცა როუზს ახსენდებოდა, რომ მუსტაფასთან პაემნებზე სიარული ჩახმახჩიანებზე შურის საძიებლად დაიწყო, მაგრამ რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა მუსტაფას, მით უფრო მოსწონდა და სურდა იგი.

რომანტიკული თავგადასავლების სურვილის გამო როუზი დროდადრო ჩუმ-ჩუმად ოცნებობდა სხვა კაცთან სხვანაირ ცხოვრებაზე, მაგრამ საერთო ჯამში იმითაც საკმაოდ კმაყოფილი იყო, რაც ჰქონდა.

- დადე ეს სოუსი, - თქვა მუსტაფამ, როცა დაინახა, რომ მისი მეუღლე კაქტუსის ფორმის ბოთლში ჩასხმული ცხარე მექსიკური სოუსის ყიდვას აპირებდა, - დამიჯერე, როუზ, სტამბოლში ეს არ დაგჭირდება.

- მართლა? თურქული კერძები ცხარეა?

ამ კითხვაზე, ისევე როგორც ბევრს სხვა მტკივნეულად ბანალურ რამეზე, მუსტაფას მხოლოდ სავარაუდო პასუხი ჰქონდა. ოცწლიანი გაუცხოების შემდეგ, მუსტაფას სიახლოვე თურქულ კულტურასთან ისევე გახუნებულიყო, როგორც მზისა და ქარისაგან გადაქექილ პერგამენტზე შესრულებული ნახატი. ნელ-ნელა სტამბოლი მისთვის ქცეულიყო აჩრდილ ქალაქად, რომლის რეალურობაც მხოლოდ და მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მუსტაფა კაზანჯის დროდადრო ესიზმრებოდა. მართალია, მიჩვეული იყო ამ ქალაქის მრავალრიცხოვან კვარტალებსა და იქაურებზე ფიქრს, მას შემდეგ, რაც შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა, მუსტაფა თანდათან გაცივდა სტამბოლისა და თითქმის ყველაფრისადმი, რაც მასთან იყო დაკავშირებული.

და მაინც, ერთი იყო, როცა მშობლიური ქალაქიდან წავიდა და მეორე, როცა საკუთარ სისხლსა და ხორცს ასე ჩამოშორდა. უმიწაწყლო კაცივით ამერიკაში სამუდამო თავშესაფრის პოვნაზე, ანდა მოგონებე-

ბის გარეშე ცხოვრებაზე მეტად მუსტაფას უწინაპრო უცხოელად, უბავ-შვობო კაცად გადაქცევა უნდოდა.

წლების განმავლობაში იყო მომენტები, როდესაც სული მისდიოდა, რომ დაბრუნებულიყო და ენახა ოჯახი და ის კაცი, ერთ დროს თავად რომ იყო, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ეს ადვილი საქმე არ იყო. ეს არ იყო საქმე, რომელსაც ასაკი გაუადვილებდა.

რაკი მიხვდა, რომ საკუთარ წარსულს სულ უფრო მეტად შორდებო-და, მუსტაფამ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი სტამბოლთან. ასე ჯობდა მისთვისაც და მათთვისაც, ვისაც ოდესღაც ძალიან ატკინა გული. ახლა ამერიკა იყო მისი სამშობლო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მუსტაფას თა-ვის სახლად არიზონაზე ან ნებისმიერ სხვა ადგილზე მეტად მერმისი აერჩია, - ეს იყო ადგილი, სადაც წარსულში გამავალი კარი დახურული იყო.

თვითმფრინავში მუსტაფა აშკარად ჩაფიქრებული და გულჩათხრო-ბილი იჯდა. როცა აფრინდნენ, ძალიან მშვიდად იყო. დიდადარც მას შემდეგ განძრეულა, რაც თვითმფრინავმა ფრენის სიმაღლეს მიაღწია. მოგზაურობის გამო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აშინებდა, მუს-ტაფა კაზანჯი თავს დაღლილად და გამოფიტულად გრძნობდა.

როუზი პირიქით იყო, ნერვიულობისგან აღგზნებული გახლდათ. თვითმფრინავში შეთავაზებული ცუდი ყავის ჭიქას ჭიქაზე ცლიდა წრუპ-ვა-წრუპვით, პატარ-პატარა მარილიან ბლითებს ახრამუნებდა, უფასო ჟურნალს ათვალიერებდა და მიუხედავად იმისა, რომ ეს ფილმი უკვე ნანახი ჰქონდა, უყურებდა ფილმს „ბრიჯიტ ჯონსი: გონიერების ზღვა-რი“.

პარალელურად როუზი გვერდით მჯდომ მოხუც ქალსაც ელაქლაქე-ბოდა, რომელიც სან-ფრანცისკოში უფროსი ქალიშვილისა და ახალ-შობილი შვილიშვილის სანახავად მიდიოდა. როცა მოხუცს ჩაეძინა, როუზმა მის წინ ვიდეოეკრანზე გამოსახულ წვრილმან ისტორიულ კითხვებზე პასუხის გაცემას მიჰყო ხელი:

რომელ ქვეყანას ჰქონდა ყველაზე მეტი დანაკარგი მეორე მსოფ-ლიო ომში?

ა. იაპონიას
ბ. დიდ ბრიტანეთს
გ. საფრანგეთს
დ. საბჭოთა კავშირს
რა ერქვა „1984 წელში“ ჯორჯ ორუელის მთავარ გმირს?
ა. იუნსტონ სმიტი
ბ. აკაკი აკაკიევიჩი
გ. სერ ფრენსის დრეიკი
დ. გრეგორ სამსა

პირველი შეკითხვისათვის როუზმა თავდაჯერებულად აირჩია ბ-ვარიანტი, მაგრამ რაკი წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა უნდა ეპასუხა მეორე კითხვაზე, უბრალოდ ა-ვარიანტი მიუთითა. ცოტა ხანში გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ პირველი პასუხი მცდარი იყო, მეორე კი - სწორი. ამი რომ ჰყოლოდა გვერდით, ორივეს სწორად გასცემდა პასუხს და ეს ნამდვილად არ იქნებოდა შემთხვევითი.

ქალიშვილის გახსენებაზე როუზს გულზე შემოაწვა. ყველა კონფლიქტისა და ჩხუბის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ როგორც დედას ბევრი რამ არ გამოუვიდა, როუზი ისევე დარწმუნებული იყო იმაში, რომ ამისთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, როგორც იმაში, რომ მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტი დანაკარგი დიდ ბრიტანეთს ჰქონდა.

თვითმფრინავი სან-ფრანცისკოში დაეშვა.

აეროპორტში როუზს საყიდლების კიდევ ერთი შეტევა ჰქონდა: სასუსნავები უნდოდა საგზლად. ისეთი საცოდავი იყო, როდესაც პირველ თვითმფრინავში რაღაც ნამცეცები მიუტანეს, რომ ახლა საქმეს პირადად მოჰკიდა ხელი. მუსტაფა თავგამოდებით ცდილობდა, აეხსნა ცოლისთვის, რომ ამერიკაში შიდა რეისებისაგან განსხვავებით, თურქეთის ავიახაზები ათასნაირი პირის ჩასატკბარუნებლით გაუმასპინძლდებოდა, მაგრამ როუზს უნდოდა, თავი იქამდე დაეზღვია, ვიდრე თორმეტსაათიანი რეისი დაიწყებოდა.

როუზმა ერთი შეკვრა მიწის თხილი, ყველის კრეკერები, შოკოლადის მარცვლებიანი ნამცხვრები, ბარბექიუს ჩიფსების ორი შეკვრა, ერთი შეკვრა თაფლიანი და ნუშიანი შვრიის ფილები და კევის ჩხირები იყიდა. არათუ ნახშირწყლებს, დიდი ხანია არაფერს დაგიდევდათ. ასეთი რამეები მაშინ ხდებოდა, როცა როუზი ახალგაზრდა იყო და მტკიცედ ჰქონდაგადაწყვეტილი, დაემტკიცებინა ჩახმახჩიანების მთელი ოჯახისათვის, რომ ქალი, რომელსაც ოდარის დაღი დაასვეს და თავისიანად არასოდეს მიუღიათ, სინამდვილეში ძალიან კარგი პიროვნება იყო და მის მიმართ შურიც კი შეიძლებოდათ ეგრძნოთ. ახლა, ოცი წლის შემდეგ, როუზს მხოლოდ ეღიმებოდა განაწყენებულ ახალგაზრდა ქალზე, ერთ დროს თავად რომ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ქმრისა და მისი ოჯახისადმი ღვარძლი არასოდეს განელებია, როუზს ხასიათის აფეთქებებსა და საკუთარ უუნარობასთან, მათ შორის გადიდებულ თეძოებსა და ღიპთან დაზავება ესწავლა. ზოგჯერ ძალიან დიდხანს იჯდა სხვადასხვანაირ დიეტაზე, მაგრამ ახლა აღარც კი ახსოვდა, ერთხელ და სამუდამოდ როდის შეეშვა ამ საქმეს. ეს ამბავი როცა უნდა მომხდარიყო, როუზმა მოახერხა და თავად გირვანქები თუ არა, გირვანქების მოკლების აუცილებლობა მოიშორა თავიდან. ამის სურვილი უბრალოდ აღარ ჰქონდა. მუსტაფას ისეთი მოსწონდა, როგორიც იყო და არასოდეს აკრიტიკებდა მის გარეგნობას.

ჩასხდომა მაშინ გამოაცხადეს, როცა უენდისში რიგში იდგნენ და ორი „ბიგ ბეკონ კლასიკისა“ და ნაღებსა და ხახვში შემწვარი კარტოფილის მომზადებას ელოდნენ. ეს იმ შემთხვევისათვის, თუ საკვები, რომელსაც თურქული ავიახაზების ბორტზე მიართმევდნენ, საჭმელად უვარგისი აღმოჩნდებოდა.

მუსტაფამ და როუზმა შეკვეთას ხელი დაავლეს და გასასვლელს მიაშურეს, სადაც უსაფრთხოების თვალსაზრისით კიდევ ერთი შემოწმება უნდა გაევლოთ, რომელიც აეროპორტში საკონტინენტთაშორისო რეისებისათვის, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით ფრენებისათვის ჰქონდათ შემონახული.

როუზი შეშფოთებული უყურებდა, როგორ იქექებოდა ზრდილი, მაგრამ მოღუშული ოფიცერი ტუსონში ნაყიდ საჩუქრებში. ოფიცერმა კაქტუსის ფორმის ფანქარი ამოაძვრინა, აქეთ-იქით ისე გააქან-გამოაქანა, თითქოს როუზს თითს უქნევდა რაღაც ცუდი საქციელის გამო, რომლის ჩადენასაც ქალი აპირებდა.

ავიდა თუ არა თვითმფრინავის ბორტზე, როუზი სწრაფად დამშვიდდა. ირგვლივ ყველაფერი მოსწონდა - ერთი ბეწო, პეწიანი სამგზავრო კომპლექტები, რომლებსაც მგზავრებს ურიგებდნენ, მოსახერხებელი ბალიშები, საბნები, თვალზე ასაფარებელი ნიღბები, სასმელები, გაუთავებლად რომ მოჰქონდათ და მოჰქონდათ უფასო თურქულ ბუტერბროდებთან ერთად.

მალე სადილიც დაიწყო - ბრინჯი და ღუმელში შემწვარი ქათამი მსუბუქ სალათსა და ზეთში შებრაწულ ბოსტნეულთან ერთად. ლანგარზე დადებულ ფურცელზე ეწერა: „ჩვენს საკვებში ღორის ხორცი არ არის“. როუზს ისღა დარჩენოდა, თავი დამნაშავედ ეგრძნო უენდისის კომბინირებული კერძების გამო.

- მართალი იყავი, საჭმელზე რომ ამბობდი. კარგია, - თქვა როუზმა, თან მეუღლეს მორცხვად გაუღიმა და დესერტით სავსე ფიალა ხელში შემოატრიალა, - ეს რა არის?

- აშურე, - უპასუხა მუსტაფამ უცნაურად მოგუდული ხმით და ოქროსფერი ქიშმიშის მარცვლებს შეხედა, პატარა ფიალას რომ ალამაზებდა, - ჩემი საყვარელი დესერტი იყო. დარწმუნებული ვარ, დედაჩემმა დიდი ქვაბით მოამზადა, როცა გაიგო, რომ ჩავდივარ.

ძალიანაც ცდილობდა მუსტაფა, თავი შეეკავებინა ასეთი წვრილმანების გახსენებისაგან, მაგრამ ვერა და ვერ ამოიგდო თავიდან მეზობლებში დასარიგებლად გამზადებული, მაცივრის თაროზე ჩაწიკწიკებული, აშურეთი სავსე მინის უამრავი თასის სურათი. სხვა დესერტებისაგან განსხვავებით, აშურე ოჯახისთვისაც კეთდებოდა და სხვებისთვისაც. შესაბამისად, ის ბლომად უნდა მოემზადებინათ - თითოეული ფიალა გადარჩენას, ერთობასა და სიუხვის რქას განასახიერებდა.

მუსტაფა შვიდი წლისა იყო, აშურეს სიყვარულში რომ გამოიჭირეს, - მეზობლებისთვის აშურეს ფიალების დარიგება დაავალეს, ის კი იდგა და ტკბილეულს თავად სანსლავდა.

ჯერ კიდევ ახსოვდა, როგორ იცდიდა ხელში ლანგრით კაზანჯების დიდი სახლის გვერდით აშენებული საცხოვრებელი კორპუსის სიჩუმეში. ლანგარზე ნახევარი დუჟინი ფიალა იდო, თითოეული სხვადასხვა მეზობლისათვის.

მუსტაფამ თავიდან სათითაოდ ყველა ფიალაზე მოყრილი ოქროსფერი ქიშმიში შეხუხნა. დარწმუნებული იყო, მარტო ქიშმიშს თუ შეჭამდა, ვერავინ ვერაფერს შეამჩნევდა. მერე მოსართავად გამოყენებულ ბროწეულის მარცვლებსა და გრძლად დაჭრილ ნუშზე გადავიდა და ვიდრე გონს მოეგებოდა, ყველაფერი გადაყლაპა, ერთბაშად ექვსი ფიალა მიირთვა. ცარიელი ფიალები ბიჭს ბაღში დაემალა. მეზობლები ფიალებს ხშირად იტოვებდნენ, ვიდრე შიგნით თავის მიერ მომზადებულ რაიმე კერძს, ხშირად ისევ აშურეს, არ ჩადებდნენ და ისე არ დააბრუნებდნენ. ასე რომ, კაზანჯების ოჯახს დრო დასჭირდა მუსტაფას დაუდევრობის გამოსააშკარავებლად. როცა გაიგეს, დედა აშკარად შეწუხდა ბიჭის სიხარბის გამო, მაგრამ შვილი არ გაულანძღავს. იმ დღიდან გულსუმს მაცივარში მხოლოდ მუსტაფასათვის გამზადებული ზედმეტი აშურე ედგა ფიალებით.

- სასმელად რას ინებებთ, სერ? - იკითხა მუსტაფასაკენ ნახევრად დახრილმა სტიუარდესამ თურქულად. გოგონას საფირონივით ლურჯი თვალები ჰქონდა და ზუსტად იმავე ფერის ჟილეტი ეცვა. ჟილეტის ზურგზე სქელი, მიმქრალი ღრუბლების გამოსახულება დაებეჭდათ.

მუსტაფა წამით შეყოყმანდა. განა იმიტომ, რომ არ იცოდა, რისი დალევასურდა, არამედ იმიტომ, რომ არ იცოდა, რომელ ენაზე ეპასუხა. ამდენი წლის შემდეგ თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობდა, როცა საკუთარ აზრებს ინგლისურად გამოხატავდა, ვიდრე თურქულად საუბრისას. და მაინც, ასევე არაბუნებრივი იქნებოდა, თუ არა ქედმაღლური, მეორე თურქს ინგლისურად რომ დალაპარაკებოდა. პირადი ხასიათის ასეთი დაბრკოლებების გადალახვას მუსტაფა კაზანჯი აქამ-

დე იმის ხარჯზე ახერხებდა, რომ შეერთებულ შტატებში თურქებთან ურთიერთობას თავს არიდებდა. მსგავსი შემთხვევითი შეხვედრების დროს მუსტაფას გაუცხოება თანამემამულეებთან საშინლად თვალში საცემი იყო.

მუსტაფამ ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს გასასვლელს ეძებდა და რაკი ახლომახლო ვერ აღმოაჩინა, ბოლოს და ბოლოს, სტიუარდესას თურქულად გასცა პასუხი:

- პამიდვრის წვენი, გეთაყვა.

- პამიდვრის წვენი არა მაქვს, - სტიუარდესამ მამაკაცს ისე მხიარულად გაუღიმა, თითქოს პამიდვრის წვენის ამბავში დიდი იუმორი ყოფილიყო. გოგონა ისეთი თავგადაკლული მუშაკების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც არასოდეს ღალატობენ იმ დაწესებულებას, სადაც მუშაობენ და შეუძლიათ სულ ერთნაირად მოცინარი სახით ილაპარაკონ.

- ბლადი მერი მიქსს ხომ არ ინებებდით?

მუსტაფამ აიღო სქელი, ალისფერი ნაზავი და უკან გადაიწია. შეფიქრიანებული იყო. შუბლშეჭმუხნილი იჯდა და მუქი თაფლისფერი თვალები დანისვლოდა. მხოლოდ ახლაღა შეამჩნია, როგორ მისჩერებოდა როუზი, როგორ გულდასმით და გაუბედავად აკვირდებოდა ქალი მეუღლის მოძრაობებს.

- რა მოხდა, ძვირფასო? - იკითხა როუზმა და სახე წაუხდა, - განერვიულებული ჩანხარ. შენიანების სანახავად რომ მივდივართ, იმიტომ?

ამ მოგზაურობაზე ამომწურავად ესაუბრათ და სათქმელიც აღარაფერი იყო. როუზმა იცოდა, მის ქმარს სტამბოლში წასვლის სურვილი რომ არ ჰქონდა და უბრალოდ დაჰყვა ცოლის კატეგორიულ მოთხოვნას, ერთად წავიდეთო.

ეს როუზმაც იცოდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ასეთი დათმობის გამო მუსტაფასადმი მადლიერების გრძნობას განიცდიდა.

„ცხრამეტწლიანი ცოლქმრობის შემდეგ ქალს უფლება აქვს, ათასში ერთხელ თავის ქმარს გულმოწყალების გამოჩენა სთხოვოს“, - იფიქრა როუზმა და მუსტაფას ნაზად მოუჭირა ხელი.

ცოლის ეს ჟესტი მუსტაფასათვის მოულოდნელი იყო. მამაკაცი როუზისაკენ მიჩოჩდა და უზარმაზარი სევდა შემოაწვა. მუსტაფას ცოლისაგან ორი მთავარი რამ ესწავლა სიყვარულის შესახებ: პირველი - იმისაგან განსხვავებით, რასაც რომანტიკოსები ასე მაღალფარდოვნად ამტკიცებდნენ, სიყვარული თანდათანობითი დინება უფრო იყო, ვიდრე პირველივე ნახვისას უეცარი აფეთქება, და მეორე - მას, მუსტაფას, სიყვარული შეეძლო.

რამდენიმე წელიწადში მუსტაფა მიეჩვია იმას, რომ როუზი უყვარდა და ამ ქალში სიმშვიდის ერთგვარი ეტალონიც კი იპოვა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომთხოვნი იყო და ზოგჯერ რთული ხასიათიც ჰქონდა, როუზი ყოველთვის სანდო, ადვილად გასაშიფრი და პროგნოზირებადი იყო. ის აქტიურობის მიუკიბ-მოუკიბავი დიაგრამა გახლდათ და მუსტაფამ ყოველთვის წინასწარ იცოდა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ცოლის შესაძლო რეაქცია.

როუზი ქმარს არასოდეს იწვევდა, ისევე როგორც არასოდეს უპირისპირდებოდა ცხოვრებას. გარემოსთან შეგუების ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა. როუზი იყო შეჯახებულ ძალთა ამალგამა, რომლებიც ძალდაუტანებლად მოქმედებდნენ თავთავისთვის და სრულებით არ ემორჩილებოდნენ დროს და შესაბამისად, ოჯახური გვარტომობის წესებს.

როუზთან შეხვედრის შემდეგ, ის, რაც ოჯახის გამო მუსტაფას სულს უღრღნიდა, გულმოდგინე, მაგრამ იოლ სიყვარულში გადაიზარდა, რომელიც, ალბათ, ყველაზე ახლოს იყო მუსტაფასათვის ხელმისაწვდომ ნამდვილ სიყვარულთან. შეიძლება, პირველ ქორწინებაში როუზი უნაკლო ცოლი არ იყო და დიდ სომხურ ოჯახთან შეგუება ვერ მოახერხა, მაგრამ ზუსტად იმავე მიზეზის გამო იდეალური სამოთხე შეეძლო შეექმნა მუსტაფას მსგავსი მამაკაცისათვის, კაცისთვის, რომელიც თავისი დიდი თურქული ოჯახისაგან თავის დაღწევას ცდილობდა.

- კარგად ხარ? - ამჯერად უფრო უკმეხად იკითხა როუზმა.

სწორედ ამ მომენტში მუსტაფა კაზანჯის მღელვარების ტალღამ გადაუარა. ისე გაფითრდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა. ამ თვითმფრინავში არ უნდა ყოფილიყო. სტამბოლში არ უნდა წასულიყო. როუზი

მარტო უნდა წასულიყო, თავისი ქალიშვილი წამოეყვანა და შინ დაბრუნებულიყო... შინ. როგორ უნდოდა, ახლა ისევ არიზონაში ყოფილიყო, იქ, სადაც ყველაფერს დუნე, თანაბარი დინება ფარავდა.

- მგონი, ცოტა უნდა გავიარო, - თქვა მუსტაფამ, სასმელი როუზს მიაწოდა და ფეხზე წამოდგა. შეეცადა, გაეკონტროლებინა ის, რაც სწრაფად გადაიზარდა პანიკის შეტევად, - რამდენიმე საათის განმავლობაში ერთ ადგილზე გაუთავებლად ჯდომა არ ივარგებს.

მიაბიჯებდა მუსტაფა თვითმფრინავის უკანა ნაწილისაკენ რიგებს შორის ვიწრო გასასვლელში და თითოეულ რიგში მოკალათებულ მგზავრებს ათვალიერებდა. ზოგი თურქი იყო, ზოგი ამერიკელი, ზოგიც სხვა ეროვნებისა. საქმოსნები, ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, დიპლომატები, მწერლები,მოგზაურობებზე რომ წერდნენ, სტუდენტები, დედები, მათი ახალშობილი ბავშვები და სრულიად უცხო ადამიანები, რომლებთანაც ერთსა და იმავე სივრცეს იზიარებდით და შეიძლებოდა, მათი ბედიც კი გაგეზიარებინათ.

ზოგიერთი მათგანი წიგნს ან გაზეთს კითხულობდა, ზოგიერთი მეფე არტურს უცქერდა, რომელიც თვითმფრინავის ბორტზე მგზავრებისათვის შეთავაზებულ ვიდეოთამაშში მოწინააღმდეგეებს მუსრს ავლებდა, ზოგიც კროსვორდების შევსებაში იყო თავით გადავარდნილი.

ათი რიგით უკან, დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის ერთი წაბლისფერთმიანი გარუჯული ქალი მუსტაფას დაჟინებით უყურებდა. მუსტაფამ ქალს თვალი აარიდა.

მუსტაფა კაზანჯი ჯერ კიდევ კარგად გამოიყურებოდა. ეს მისი არისტოკრატული მანერებისა და პეწიანი ჩაცმულობის დამსახურება უფრო იყო, ვიდრე სიმაღლის, ჩასკვნილი აღნაგობის, მკაფიო ნაკვთებისა და ყორნისფერი თმის. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში მისთვის უამრავ ქალს მიექცია ყურადღება, მუსტაფას ცოლისთვის არასოდეს უღალატია. ირონია ის გახლდათ, რომ ეს მამაკაცი მით უფრო იზიდავდა სხვა ქალებს, რაც უფრო შორს ეჭირა მათგან თავი. წაბლისფერთმიანი ქალბატონის რიგს რომ ჩაუარა, მუსტაფამ ქალის თავხედურად მოკლე ქვედაკაბა შენიშნა და თავი უხერხულად იგრძნო.

ქალს ფეხი ფეხზე ისე გადაედო, ადვილად შეიძლებოდა მისი საცვლებისაკენ თვალი წაგცდენოდათ. მუსტაფას არ მოეწონა შეგრძნება, მინი-კაბის დანახვაზე რომ გაუჩნდა. უნდოდა, ერთხელ და სამუდამოდ მოეშორებინა თავიდან მძიმე, მტკივნეული მოგონებები და თავისი უმცროსი დის, ზელიჰას ხატი, რომელსაც ყოველთვის უყვარდა ასეთი ქვედაკაბები და საშინლად სწრაფი ნაბიჯებით, თავპირისმტვრევით ისე მიქროდა სტამბოლის ქვაფენილებზე,

თითქოს უნდოდა, საკუთარ ჩრდილს გაქცეოდა.

მუსტაფამ ბარბაცით წაიწია წინ და თვალის კაკლები ერთბაშად მიაბრუნა მეორე მხარეს. თითქოს ცდილობდა, იქით არ გაეხედა, საითაც არ იყო საჭირო.

ახლა, როცა შუახნისათვის მიეღწია, მუსტაფა ზოგჯერ იმაზე ფიქრობდა, საერთოდ მოსწონდა თუ არა ოდესმე ქალები, ცხადია, როუზის გარდა. თუმცა, ამავე დროს როუზი ქალი არ გახლდათ. როუზი როუზი იყო.

როუზის ქალიშვილს მუსტაფამ კარგი მამინაცვლობა გაუწია. მიუხედავად იმისა, რომ არმანუში ნამდვილად უყვარდა, საკუთარი შვილების ყოლა არ უნდოდა. ბავშვები სამისო საქმე არ იყო. გულის სიღრმეში მუსტაფა კაზანჯის სწამდა, რომ შვილებს არ იმსახურებდა, მაგრამ ეს არავინ იცოდა. დარწმუნებული არ იყო, რომ კარგი მამა იქნებოდა. ვის ატყუებდა? საშინელი მამა იქნებოდა, მამამისზე უარესიც კი.

ის დღე გაახსენდა, როუზს რომ შეხვდა. შეიძლება მაინცდამაინც რომანტიკული შეხვედრა არ ყოფილა, - სუპერმარკეტში იდგა სტელაჟებს შორის გასასვლელში და ორივე ხელში თურქული ბარდის თუნუქის ქილა ეჭირა. რამდენიმე წლის შემდეგ იმდენჯერ ესაუბრათ იმ დღის შესახებ. ყველა წვრილმანზე იცინოდნენ, რაც კი მათ მეხსიერებას შემორჩა.

და მაინც, მათი მოგონებები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებოდა: როუზს სულ ის ახსენდებოდა, მუსტაფა მორცხვი და ნერვიული რომ იყო, მუსტაფას კი - ცოლის მბზინავი ქერა თმა და გამბედაობა, რომელიც თავიდან აშინებდა.

მას შემდეგ როუზის არასოდეს შეშინებია. პირიქით, როუზთან ერთად ყოფნა უშფოთველი დინებისათვის თავის მინდობას ჰგავდა იმ იმედით, რომ ეს დინება არასოდეს წალეკავდა. თითქოს მშვიდი ნაკადისათვის მიეცა თავი, რომელსაც გზაში არანაირი მოულოდნელობა არ ხვდებოდა.

როუზის შესაყვარებლად მუსტაფას დიდი დრო არ დასჭირვებია.

დილაობით უყურებდა, როგორ ფუსფუსებდა როუზი სამზარეულოში. მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ სრულიად განსხვავებული მიზეზები ჰქონდათ, სამზარეულო ორივეს უყვარდა. როუზს აქაურობა იმიტომ მოსწონდა, რომ მზარეულობა უყვარდა. როცა საჭმელს აკეთებდა, გრძნობდა, რომ თავის სახლში იყო. რაც შეეხება მუსტაფას, მას უბრალოდ უამრავ წვრილმანს შორის მოტრიალე როუზის ცქერა მოსწონდა - კაფელის შესაფერისი ქაღალდის ხელსახოცები, იმდენი დიდი ჭიქა, მთელ გარნიზონს რომ ეყოფოდა და შოკოლადის ნაღებიანი პომადურა, დახლზე რომ მაგრდებოდა. მუსტაფას განსაკუთრებით როუზის ხელების ყურება მოსწონდა, როცა ისინი რაღაცას ჭრიდნენ, ურევდნენ, კეპავდნენ და აქუცმაცებდნენ. ბლინების ცხობისას როუზის ყურება ყველაზე საამო რამ გახლდათ, რისი ნახვაც ცხოვრებას მუსტაფასათვის გაემეტებინა.

თავიდან დედამისი და უფროსი დები სწერდნენ, ეკითხებოდნენ, როგორ ხარ, როდის დაგვიბრუნდებიო. ისეთ კითხვებს უსვამდნენ, რომლებსაც მუსტაფა მკვირცხლად გაურბოდა და თავისიანებთან, მით უფრო, დედასთან, წერილებისა და საჩუქრების გაგზავნას განაგრძობდა. ამ ოცი წლის განმავლობაში დედამისს ერთადერთხელ შეხვდა, ისიც გერმანიაში და არა სტამბოლში. ფრანკფურტში გეოლოგთა და გემოლოგთა კონფერენციაზე ჩასულმა მუსტაფამ დედას სთხოვა, ჩემთან ჩამოფრინდიო. ასე შეხვდა ერთმანეთს გერმანიაში დედა-შვილი პოლიტიკური ლტოლვილებივით, რომლებსაც თურქეთში დაბრუნება არ შეეძლოთ და უკვე მრავალი წელი იყო, რაც ასე იქცეოდნენ.

მაშინ დედამისს იმდენად უნდოდა მუსტაფას ნახვა, რომ არც კი უკითხავს,სტამბოლში რატომ არ ჩამოდიხარო. საოცარია, რამდენად

სწრაფად ახერხებენ ადამიანები ასეთ არანორმალურ ვითარებასთან შეგუებას.

როცა თვითმფრინავის კუდს მიაღწია, მუსტაფა კაზანჯი საპირფარეშოს წინ გაჩერდა, რიგში ჩამდგარი ორი მამაკაცის უკან. ისე ამოიოხრა, თითქოს წინა დღის საღამო ყოფილიყო. როუზმა არ იცოდა, რომ სამსახურიდან შინ დაბრუნებულ მუსტაფას ერთ ადგილას შეევლო. ბოლო ათი წლის განმავლობაში მუსტაფა იქ ჩუმ-ჩუმად წამდაუწუმ დადიოდა. ეს ადგილი ტუსონის ელ-ტირადიტოს აკლდამა გახლდათ.

ისტორიული სახელობითი დაფა იუწყებოდა, რომ მოკრძალებული, ძნელად მისასვლელი ადგილი ტუსონის საქმიან ნაწილში ერთადერთი აკლდამა იყო ამერიკაში, რომელიც ვიღაც ცოდვილის, ეკლესიისაგან მოკვეთილი, ტირადიტოს, განდევნილის სულს ეძღვნებოდა. XIX საუკუნის შუახანებში მომხდარი ამბის შესახებ ახლა ბევრი არავინ არაფერი იცოდა, - ვინ იყო ეს ცოდვილი, რაში მდგომარეობდა მისი ცოდვა, და რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, როგორ მოხდა, რომ არსებობდა მისი გარყვნილი სახელისადმი მიძღვნილი სალოცავი.

მექსიკელმა ემიგრანტებმა სხვებთან შედარებით მეტი იცოდნენ ამ კაცის შესახებ, მაგრამ ამავე დროს უცხო ადამიანისათვის ამ ამბების გამხელის სურვილიც ნაკლებად ჰქონდათ.

მუსტაფა კაზანჯის ისტორიული დეტალების გამოძიება დიდად არ აინტერესებდა. მისთვის იმის ცოდნაც კმაროდა, რომ ელ-ტირადიტო კარგი კაცი იყო, ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე უარესი არ გახლდათ. მიუხედავად ამისა, ელ-ტირადიტოს წარსულში საშინელი საქმეები ჩაედინა. ისეთი შეცდომები დაეშვა, რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ელ-ტირადიტო ცოდვილად ქცეულიყო. და მაინც, ეს კაცი შეიწყნარეს და ისეთი რამ უბოძეს, რაც ბევრ მოკვდავს არ ჰქონდა - აკლდამა.

მოკლედ, წინაღამით ფიქრებით გაწამებული მუსტაფა ისევ მივიდა ტაძარში. პატარა ტუსონი საკმაოდ ბევრ წმინდა ადგილს იტევდა და თუკი მოისურვებდა, მუსტაფა კაზანჯის მეჩეთშიც შეეძლო წასულიყო. საქმე ის არის, რომ მუსტაფა რელიგიური ადამიანი არ გახლდათ, არც

არასდროს ყოფილა. არანაირი ტაძრები და წმინდა წიგნები არ სჭირდებოდა. ელ-ტირადიტოში ღვთისმსახურებისთვის არ დადიოდა.

აკლდამა ერთადერთი ადგილი იყო, რომელიც არ აიძულებდა, სხვა ადამიანად გადაქცეულიყო, იმისთვის, რომ მისაღები ყოფილიყო. ელ-ტირადიტოში იმისთვის დადიოდა, რომ იქაურობის შეგრძნება მოსწონდა, უბრალო და ამავდროულად, შთამბეჭდავი, გოტიკური გარემო. მექსიკური სული და ამერიკული ზნე-ჩვეულებები, უამრავი სანთელი და შესაწირი სხვადასხვა ადამიანისა, რომლებიც შეიძლება თავადაც ცოდვილები იყვნენ, დახვეული ფურცლები კედლებში, სადაც მომსვლელები თავიანთ ცოდვებს მალავდნენ, - ასეთ მდგომარეობაში მყოფ მუსტაფას ყველაფერი იზიდავდა, რაც ელ-ტირადიტოში იყო.

- კარგად ხართ, სერ? - ჰკითხა საფირონისთვალა სტიუარდესამ.

- დიახ, გმადლობთ. კარგად ვარ. ცოტა გული მერევა...

* * *

ქუჩის ფარნების ხავერდოვანი შუქი ფარდებში ატანდა. დეიდა ზელიჰას მკვდარივით ეძინა. ცალ ხელში მობილური ტელეფონი ეჭირა, არყის ბოთლზე ნიკაპი ჩამოსდებოდა, მეორე ხელში კი ჯერ კიდევ ანთებული სიგარეტი ჰქონდა.

დეიდა ბანუ ზელიჰას ოთახში ფეხაკრეფით შევიდა. მკვირცხლად ჩააქრო საბანზე მოდებული ცეცხლი და სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე ჩააქრო.

ბანუმ მობილურს დაავლო ხელი და ბუფეტზე დადო. არყის ბოთლი აიღო და საწოლის ქვეშ დამალა, მერე დას ზეწარი გადააფარა. ლამპა გამორთო. ფანჯრები გააღო. სუფთა ჰაერში ზღვის ნიავის მძაფრი სურნელი იგრძნობოდა. როცა ოთახში დამდგარი კვამლი და სუნი გაიფანტა, დეიდა ბანუმ უმცროსი დის გაფითრებულ და ასაკთან შეუფერებლად დაღლილ სახეს შეხედა. გარედან შემოსული მკრთალი, მოყვითალო შუქის ფონზე ზელიჰას სახე გასხივოსნებოდა, თითქოს ალკოჰოლსა და დარდს მისთვის ისეთი ბრწყინვალება მიენიჭებინა, როგორსაც ბუნებაში იშვიათად შეხვდებით. ბანუს თანაგრძნობისაგან თვალები აუწყლიანდა, დას ნაზად აკოცა შუბლზე და თავის ჯინებს გადახედ-გად-

მოხედა, რომლებიც მხრებზე თავ-თავიანთი ჩვეული ადგილებიდან მბრძანებლის ყველა მოძრაობას ყურადღებით ადევნებდნენ თვალს.

- რას აპირებ, მბრძანებელო? - იკითხა ბატონმა სიმწარემ ნიშნის მოგებით. კმაყოფილებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ თავის მბრძანებელს ასეთ უმწეოსა და გაწამებულს ხედავდა. ძლიერთა ამა ქვეყნისა უსუსურობის ცქერა ყოველთვის ართობდა.

დეიდა ბანუ ოდნავ დაუბღვირა. პასუხად არაფერი უთქვამს. ამის შემდეგ ბატონი სიმწარე განზე გახტა და საწოლთან, ღრმად დაძინებულ დეიდა ზელიჰასთან სახიფათოდ ახლოს ჩამოჯდა. თვალები გაუბრწყინდა აზრისაგან, რომელმაც ის-ის იყო, თავში გაუელვა. ზეწრის კიდეს ერთბაშად მოქაჩა და დეიდა ზელიჰა კინაღამ გააღვიძა, მერე კი ზეწარი თავშალივით შემოიკრა თავზე.

- ნება მიბოძეთ, რაღაც გითხრათ, - ქალივით წვრილი ხმით გამოაცხადა წელზე დოინჯშემორტყმულმა ბატონმა სიმწარემ. ვიღაცას ჰბაძავდა, - ამ სამყაროში არსებობს ისეთი რამეები...

დეიდა ბანუ უმალ მიხვდა, ვისაც აჯავრებდა ბატონი სიმწარე და ზურგშიჟრუანტელმა დაუარა.

- ამ სამყაროში იმდენად საშინელი რამეები არსებობს, რომ გულკეთილ ადამიანებს, ალაჰმა დალოცოს ყველა, მათზე სრულიად არანაირი წარმოდგენა არა აქვთ. გეუბნებით, ეს ძალიან კარგია. ცუდი არაფერია იმაში, რომ ასეთი რამეების შესახებ არაფერი იციან, რადგან ეს მათ გულკეთილობას ამტკიცებს. სხვაგვარად კარგები ვერ იქნებოდნენ. მაგრამ თუკი ოდესმე ბოროტების საბადოში შეაბიჯებ, არც ერთი მათგანი არ იქნება ის, ვისაც დახმარებას სთხოვ.

შეშინებული დეიდა ბანუ ბატონ სიმწარეს მიაჩერდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ზეწარი თავიდან მოიგლიჯა და უწინდელ ადგილზე ისე დახტა, რომ პირით იმ ადგილისაკენ ყოფილიყო, საიდანაც მანამდე ლაპარაკობდა. მზად იყო, თავისი წარმოსახვითი დიალოგის მეორე ორატორი განესახიერებინა. ამ მეორე ორატორის მისაბაძად ბატონმა სიმწარემ ხელი დასტაცა ოქროსფერი ქიშმიშის მარცვლებს, წინა ღამით ზელიჰას რომ დარჩენოდა და თვალის დახამხამებაში ქიშმიშისგან ჰაერ-

ში ერთი გრძელი ყელსაკიდი და სამაჯურები შეათამაშა. მერე დაიღრიჯა. იმის მიხვედრა, ახლა ვის ჰბაძავდა ბატონი სიმწარე, ძნელი არ იყო. ასიას სტილს ადვილად იცნობდით.

- და დეიდა, შენ ფიქრობ, რომ მე ბოროტი ჯინისგან ვითხოვ დახმარებას?! - განაგრძო თავისი შემოქმედების შედეგის გამო გაბადრულმა სიმწარემ. მერე ყელსაკიდი და სამაჯურები მოიხსნა, კვლავ საწოლზე გადახტა, ზეწარი ისევ ზელიჰას გადააფარა და თავის თავს ხრინწიანი ხმით უპასუხა, - შეიძლება, საყვარელო. მოდი, უბრალოდ იმედი გვქონდეს, რომ ამის გაკეთება არასდროს მოგიწევს.

- საკმარისია! რა იყო ეს? - ჩაერია გააფთრებული დეიდა ბანუ, მიუხედავად იმისა, რომ პასუხი ამ კითხვაზე თავადაც იცოდა.

- ეს, - მხრებში მოიხარა ბატონი სიმწარე და ისე დაუკრა თავი, თითქოს მორიდებული მსახიობი ყოფილიყოს, რომელსაც წარმოდგენის ბოლოს მქუხარე აპლოდისმენტები დაატყდა თავს, - იყო დროის რაღაც მონაკვეთი. მეხსიერების ერთი ციცქნა ნაწილი, - ბატონ სიმწარეს თვალებში ღვარძლი ჩასდგომოდა. წელში გაიმართა და ხმას აუწია, - შენივე სიტყვების გასახსენებლად, მბრძანებელო!

დეიდა ბანუმ მოულოდნელად იმდენად ძლიერი შიში იგრძნო, რომ მთელი სხეულით აცახცახდა. ამ არსების მზერაში იმდენი ბოღმა იყო, რომ ბანუმ თავადაც არ იცოდა, რატომ არ მიაბრძანა ის ერთხელ და სამუდამოდ თავისი ცხოვრებიდან. როგორ იზიდავდა ჯინი ისე, თითქოს ენით უთქმელი საერთო საიდუმლო ჰქონოდათ? ასე არასდროს შეშინებია დეიდა ბანუს თავისი ჯინის.

ასე არასოდეს შეშინებია იმის, რისი ჩადენაც თავად შეეძლო.

ვარდის წყალი

- ისევ ავი თვალია. ავის მომასწავებელი ხმა გაიგონეთ? ჭახ! ჩემს გულშიც გაიღრჭიალა რაღაცამ! ვიღაცის ძალიან შურიანი და ბოროტი ავი თვალი იყო. ალაჰი იყოს ჩვენი მფარველი! - წამოიძახა დიდედამ კვირა დილით საუზმობისას.

ოთახის კუთხეში სამოვარი დუღდა. სულთან მეხუთე მაგიდის ქვეშ კრუტუნებდა, ელოდებოდა, როდის მისცემდნენ ფეტას კიდევ ერთ ნაჭერს. ტელეეკრანზე „ახალბედას“ თურქული ვერსიიდან იმ კვირაში გაგდებული მოთამაშე გამოჩნდა, - ექსკლუზიურ ინტერვიუში ჰყვებოდა, რა მომხდარიყო და რატომ არ უნდა მიებრძანებინათ ის თამაშიდან. სწორედ ამ დროს ასიას ჩაის ჭიქა ხელში გაუსკდა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გოგონა შეხტა. ასიამ მარტო ის იცოდა, რომ ჩაის ჭიქაში ჩვეულებისამებრ ნახევრამდე ჩაასხა შავი ჩაის ნაყენი, ჭიქა პირამდე აავსო ცხელი წყლით და როცა სასმელი უნდა მოეწრუპა, ჭახანი გაიგონა. იკანკელივით ნაპრალს ჭიქა თავიდან ბოლომდე ისე გაეხეთქა, თითქოს დედამიწის ზედაპირზე ძლიერი მიწისძვრისაგან გაჩენილი ბზარი ყოფილიყო. თვალის დახამხამებაში ჭიქიდან ჩაიმ დაიწყო გამოჟონვა და მაგიდის მაქმანებიან გადასაფარებელზე მუქი ყავისფერი გუბე დადგა.

- გათვალული ხარ? - თქვა დეიდა ფერიდემ და დაეჭვებული ასიას დააკვირდა.

- გათვალული? - ღვარძლიანად გაიცინა ასიამ, - სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ვარ! ამ ქალაქში ყველას შურს ჩემი სილამაზის.

- დღევანდელ გაზეთში სტატია იყო თვრამეტი წლის ბიჭზე. ქუჩაზე გადასვლისას მუხლებზე დაეცა და მოკვდა. ჩემი აზრით, ავი თვალის ბრალი იყო, - თქვა გულწრფელად შეშინებულმა დეიდა ფერიდემ.

- გმადლობ მორალური მხარდაჭერისთვის, - მიუგო ასიამ, მაგრამ კბილების კრეჭა კოპის შეკვრაში გადაეზარდა, როცა შეამჩნია, თვალებდაპრაწული გიჟი დეიდამისი რას უყურებდა. დეიდა ფერიდე თოვ-

ლის ბაბუასა და ბებიას ფორმის სამარილესა და საპილპილეს მისჩერებოდა.

წინადღეს ასიას სამარილე და საპილპილე ჭურჭლის კარადაში იმ იმედით დაემალა, რომ ერთი თვის განმავლობაში მაინც ვერავინ მიაგნებდა. და აი, ისინიც - სამარილე და საპილპილე ისევ სუფრაზე იდო. წყვილი კერამიკული ფიგურა მარტო იაფფასიანი და უგემოვნო კი არა, სავალალოდ გამძლეც იყო, თანაც სამარილე და საპილპილე ისე ჰგავდა ერთმანეთს, რომ ძნელი გასარჩევი იყო, რომელში მარილი უნდა ჩაგეყარათ და რომელში - პილპილი.

- ნეტავ დიდედა უკეთ იყოს, ტყვიას ჩამოგისხამდა, - შენიშნა დეიდა ბანუმ. ისეთი გატანჯული გამომეტყველება ჰქონდა, ასიას მის სახეზე ოდესღაც რომ ენახა. მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველ და ზებუნებრივ რამეებში დეიდა ბანუ ოჯახში უდავოდ ყველაზე გამოცდილი იყო, რაკი ამ საქმის ანაბანა მისთვის პრაქტიკოსს არ უსწავლებია, ტყვიის ჩამოსხმის უფლება არ ჰქონდა. ასეთ უფლებამოსილებაზე დეიდა ბანუს უარი წარსულში ეთქვა.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, თითქმის ათი წლით ადრე, როდესაც დიდედას ალცჰაიმერის დაავადების შედარებით ადრეული სტადია ჰქონდა და გადაწყვიტა, მოვიდა დრო, როდესაც უნდა ავირჩიო ოჯახში ვინმე, ვისაც ტყვიის ჩამოსხმის საიდუმლოს გადავცემო, მან დეიდა ბანუს ნაცვლად, რომლის არჩევასაც ყველა სამართლიანად მოელოდა, აგნოსტიციზმში ყველა დროის ჩემპიონი დეიდა ზელიჰა დაასახელა. მაშინ ამ გადაწყვეტილებამ ოჯახში გვარიანი აურზაური გამოიწვია.

- ხუმრობ? - იკითხა დეიდა ზელიჰამ, როდესაც მოხუცის გადაწყვეტილება გაიგო, - ტყვიას ვერ ჩამოვასხამ. მორწმუნეც კი არა ვარ. მე აგნოსტიკოსი ვარ!

- არ ვიცი, ეგ სიტყვა რას გულისხმობს, მაგრამ გარწმუნებ, კარგს არაფერს ნიშნავს, - დაიფრუტუნა დიდედამ, - შენ ნიჭი გაქვს. დაეუფლე ამ საიდუმლოს.

- რატომ მე? - იკითხა დეიდა ზელიჰამ, თან ცდილობდა, ასეთი რამის ალბათობა დაეშვა, - ჩემი უფროსი და რატომ არ აირჩიე? ბანუ სიამოვ-

ნებით ისწავლის ამ საიდუმლოს. უკანასკნელი ვარ მათ შორის, ვისაც ჯადოქრობა უნდა ასწავლო.

- ამას ჯადოქრობასთან საერთო არაფერი აქვს. ყურანი ჯადოქრობას გვიკრძალავს! - მკვახედ მიუგო მოხუცმა. დიდედა ოდნავ განაწყენებული ჩანდა.

- სწორედ შენ უნდა ისწავლო. შეუპოვარი ხარ, ძლიერი და შმაგი.

- შმაგი? სიშმაგე რაღაში გჭირდება? შეიძლებოდა, საუკეთესო კანდიდატურა ვყოფილიყავი, მომაბეზრებელი ხალხის ლანძღვა-გინებას რომ ეხებოდეს საქმე, მაგრამ ეჭვი მეპარება, რამეში გამოვდგე, როცა სხვების დახმარებაზეა ლაპარაკი, - გაიკრიჭა დეიდა ზელიჰა.

- შენს სიკარგეს სათანადოდ ვერ აფასებ, - მიუგო დიდედამ.

მაშინ იმისთვის, რომ ეს თემა ერთხელ და სამუდამოდ დაეხურა, დეიდა ზელიჰამ ასეთი შენიშვნა გააკეთა:

- ამ საქმისთვის მე შესაფერისი ადამიანი არა ვარ. შეიძლება თავგზააბნეული აგნოსტიკოსი ვიყო, მაგრამ საიმისო ყვერები მაინც მაქვს, რომ ასეთად დავრჩე! - პირი საპნით გამოირეცხე, - მოიღუშა ბებია გულსუმი, რომელიც დიდედასა და ზელიჰას საუბარს ისმენდა.

მას შემდეგ დეიდა ზელიჰა ტყვიის ჩამოსხმის საკითხს ერთთავადარიდებდა თავს.მისი ოჯახის წევრების ერთი ნაწილი სეკულარიზაციის მომხრე თავგამოდებული ქემალისტებისაგან შედგებოდა, დანარჩენები მორწმუნე მუსლიმანები იყვნენ. რაკი მუდმივად დაპირისპირებული მხარეები ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას მაინც ახერხებდნენ, ზებუნებრიობა, ერთმანეთთან გადაჭდობილი აზრთა იდეოლოგიური სხვადასხვაობანი, მათ ცხოვრებაში ისეთივე ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა, როგორც ყოველდღე პურისა და წყლის მირთმევა. შეხედულებათა ასეთი ზოგადი სისტემის პირობებში დეიდა ზელიჰამ, თავის მხრივ, გადაწყვიტა, ორივე მხარე ერთნაირად აბუჩად აეგდო. შესაბამისად, დიდედა კაზანჯების სახლში წლების შემდეგაც ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ტყვიის ჩამოსხმა შეეძლო. მოგვიანებით დიდედამ თავი ვალდებულად ჩათვალა, ამ საქმისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ ერთ დღეს აღ-

მოაჩინა, რომ ხელში გავარვარებული ქვაბი ეჭირა. ქვაბში გამდნარი ტყვია ესხა. დიდედამ აღარ იცოდა, რა ექნა.

- რატომ მაძლევთ ამ ქაფქაფა ქვაბს? - იკითხა აშკარად დამფრთხალმა დიდედამ.

მოხუცს ქვაბი ფრთხილად გამოართვეს და მას შემდეგ ტყვიის ჩამოსხმა მისთვის არასოდეს მიუნდვიათ, მაგრამ ახლა, როცა ტყვიაზე მკითხაობის საკითხი ისევ წამოიჭრა, ყველამ მოხუცისაკენ მიიხედა. აინტერესებდათ, ისმენდა თუ არა დიდედა სასტუმრო ოთახში გამართულ საუბარს.

საუზმობისას დიდედა საყოველთაო ყურადღების ცენტში აღმოჩნდა. მოხუცმა თავი ასწია და ოჯახის წევრებს ცნობისმოყვარედ შეხედა, თან სუჯუხის ნაჭერს ხმაურით ღეჭავდა.

დიდედამ ლუკმა გადაყლაპა, დააბოყინა და სწორედ მაშინ, როცა ეგონათ, ისევ თავის სამყაროში გადაეშვებაო, თავისი ნათელი გონებით ყველას თავზარი დასცა.

- ასია, საყვარელო, შენთვის ტყვიას ჩამოვასხამ და ყველაფერს დავამსხვრევ, თუ რამ ცუდი შეიძლებოდა დაეტოვებინა ავ თვალს შენ გარშემო.

- გმადლობ, დიდედა, - გაიღიმა ასიამ.

როცა ასია პატარა იყო, გოგონას ავი თვალი რომ ვერ მიჰკარებოდა, დიდედა ხშირად ასხამდა ტყვიას. ახალფეხადგმულ გაჩხინკულ ასიას მოკვდავის ცხოვრების დასაწყისში ხელის წაშველება მართლაც სჭირდებოდა. რაღაც მიზეზის გამო ასია სულ რაღაცას ედებოდა და ძირს ეცემოდა. უმეტესად სახეს არტყამდა და ყოველ ჯერზე ქვედა ტუჩი უსკდებოდა. ნაცვლად იმისა, რომ ყველაფერში ახალფეხადგმული ბავშვის ჯერაც გაუწონასწორებელი ნაბიჯები დაედანაშაულებინათ, ოჯახის წევრებს ავ თვალზე ჰქონდათ ეჭვი და ბავშვიც დიდედას გადაულოცეს.

ტყვიის ჩამოსხმის ცერემონია ამხელა ყურადღების ცენტრში მყოფი ასიასათვის მხიარული, თავშესაქცევი, საინტერესო და ერთგვარად სასიამოვნო თამაშიც იყო. ახსოვდა, როგორ მოსწონდა პარანორმალუ-

რი ოინები ბავშვობაში, მაშინ როდესაც პატარა იყო და სჯეროდა, ჯადოსნობისა თუ არა, იმის მაინც, რომ მის ოჯახს ბედისწერის განკარგვა შეეძლო. ასიას რიტუალის ყველა დეტალი მოსწონდა: სახლში ყველაზე ლამაზ ნოხზე ფეხმორთხმით ჯდომა, ვიდრე გადასაფარებელს არ გაჭიმავდნენ მის თავზე, შეგრძნება, რომ ამ უცნაურ კარავში დაცული იყო, ლოცვების მოსმენა, რომლებსაც ირგვლივ ყველა წარმოთქვამდა და ბოლოს შიშხინი, კივილს რომ ჰგავდა, როდესაც დიდედა გამდნარ ტყვიას წყლით სავსე ქვაბში ასხამდა და იმეორებდა:

„Elemterefi kem gözlere şiş.

Göz edenin gözüne kızgın şiş“.

ტყვია სწრაფად მაგრდებოდა და ყოველ ჯერზე განსხვავებული ფორმა ჰქონდა. თუ ახლომახლო სადმე ავი თვალი იყო, ტყვიაში ყოველთვის თვალის ფორმის ნახვრეტის სახით განსხეულდებოდა ხოლმე. ასიას აღარ ახსოვდა შემთხვევა, მისთვის ჩამოსხმულ ტყვიაში ავი თვალი რომ არ ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ბავშვობა იმას ხედავდა, როგორ მკითხაობდა დეიდა ბანუ ყავაზე და როგორ არ უშვებდა დიდედა სათოფეზე ავ თვალს, სკეპტიკური აგნოსტიკოსობა დედისაგან მემკვიდრეობით მაინც გამოჰყვა. ასიამ დაასკვნა, რომ საბოლოოდ ყველაფერი ინტერპრეტაციამდე დადიოდა. თუ ცალრქიან მეწამულ ცხენებს ეძებდით, ცოტა ხანი და ყველგან ისინი მოგეჩვენებოდნენ. ზუსტად ასე, თუკი ოდესმე არსებობდა თანხმობა სამკითხაო მასალასა (იქნებოდა ყავის ჭიქები თუ ჩამოსხმული რკინა) და ინტერპრეტაციის პროცესს შორის, იგი იმაზე ღრმა არ იყო, ვიდრე ურთიერთშეთანხმება უდაბნოსა და უდაბნოს მთვარეს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ფონად პირველს საჭიროებდა, მას უთუოდ ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებაც. უდაბნოს მთვარე უდაბნოს გარეთ არსებობდა. ამის მსგავსად, ის, რასაც ადამიანის თვალი ნაცრისფერ ტყვიაში ხედავდა, ვერ იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქვაბში მატერიალიზებული ფორმა. დიდხანს და საკმაოდ გულდასმით თუ უყურებდით, შეიძლებოდა ჩამოსხმულ ტყვიაში ცალრქიან მეწამულ ცხენსაც გადაჰყროდით სადმე.

ახლა, როცა დიდედამ ძველი ჩვეულება გაიხსენა, მიუხედავად იმისა, რომ ამეების არ სჯეროდა, ასია წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა. გოგონას დიდედა იმდენად უყვარდა, რომ მოხუცს უარს ვერ ეტყოდა.

- კარგი, - მხრები აიჩეჩა ასიამ. ამასთან, დარწმუნებული იყო, რომ სულ რამდენიმე წუთში მოხუცს ეს ამბავი დაავიწყდებოდა, - ჩემთვის ტყვია საუზმის მერე ჩამოასხი, როგორც ადრე.

სწორედ ამ დროს ქვედა სართულზე სააბაზანოს კარი გაიღო და არმანუში მასპინძლებს შეუერთდა. უძილო და გათანგული ჩანდა. ამის მშვენიერ თვალებს სასოწარკვეთილება ეტყობოდა. ეს სხვა არმანუში იყო - ძალიან ცოტარამ აკავშირებდა გარე სამყაროსთან და რაღაცნაირად დაბერებული ჩანდა.

არმანუში ოთახში ნელი, ფრთხილი ნაბიჯებით შევიდა.

- ძალიან ვწუხვართ, ბებია რომ დაკარგე, - თქვა დეიდა ზელიჰამ ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ, - გულწრფელად გისამძიმრებთ.

- გმადლობთ, - მიუგო არმანუშმა და სცადა, თვალებში არავისთვის შეეხედა. ცარიელ სკამს წამოავლო ხელი და ასიასა და დეიდა ბანუს შორის დაჯდა.

ასიამ არმანუშს ჩაი დაუსხა, დეიდა ბანუმ კი კვერცხი, ყველი და შინ მომზადებული გარგარის ჯემი გადაუღო. მერვე სიმითიც მიაწოდეს - ყოველ კვირა დილით ქუჩის მოვაჭრისაგან რვა-რვა სიმითის ყიდვის წესი ამჯერადაც არ დაურღვევიათ.

არმანუში საჭმელს გულგრილად უყურებდა. რამდენიმე წამის განმავლობაში ჩაის დაბნეულად ურევდა, მერე დეიდა ზელიჰას მიუბრუნდა და ჰკითხა:

- შეიძლება დედას წამოსაყვანად აეროპორტში თქვენთან ერთად წამოვიდე?

- რა თქმა უნდა, ერთად წავალთ, - თქვა დეიდა ზელიჰამ და თავისი ნათქვამი დანარჩენებს უთარგმნა.

- მეც მოვდივარ, - შეაწყვეტინა ბებია გულსუმმა.

- კარგი, დედა, ყველა ერთად წავალთ, - თქვა დეიდა ზელიჰამ.

- მეც მოვდივარ, - წამოაყრანტალა ასიამ.

- არა, ქალბატონო, შენ აქ დარჩი, - ისეთი ტონით უპასუხა დეიდა ზელიჰამ, რომ ასიას ვეღარ გაეგრძელებინა, - შენ დარჩი და ტყვია ჩამოასხით.

ასია დეიდა ზელიჰას ისე მიაშტერდა, თითქოს ეუბნებოდა, ეს რა ჯანდაბაა?

რატომ ამოაგდეს? ამ სახლში დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება ოდესმე თუ მაინც ყოფილა რაიმე ხარისხით, ხელი ყველას მიუწვდებოდა, ასიას გარდა. როცა საქმე მას ეხებოდა, შინაური რეჟიმი უნებლიეთ გარდაიქმნებოდა ხოლმე აბსოლუტურ ტოტალიტარიზმად.

ასიამ ამოიოხრა. ეტყობოდა, რომ სასოწარკვეთილების ზღვარზე იყო. მერე ისე, რომ არც კი იცოდა რატომ, უცებ მოუნდა, საჭმელში წიწაკა ჩაეყარა და კერამიკის საპილპილესა და სამარილეს დასწვდა. როცა უშნო თოვლის ბაბუას ნაცვლად თოვლის ბებიას წამოავლო ხელი და ერბოკვერცხის ბოლო რამდენიმე ლუკმა მარილით დაშაშხა, ასიას სახეზე წამით გაუბედაობა დაეტყო.

საუზმის დამთავრებამდე ასია კაზანჯი გულჩათხრობილი იჯდა და თავი დანარჩენებისგან შორს ეჭირა.

დეიდა ბანუ გოგონას გვერდიდან ადევნებდა თვალს, მერე ფეხზე წამოდგა და თანაგრძნობით სავსე ხმით ჰკითხა:

- მე და შენ საყიდლებზე რატომ არ დავდივართ, საყვარელო? შეგვიძლია ნასაუზმევს წავიდეთ და ორ საათში დავბრუნდეთ. გავერთობით! მაგრამ ჯერ, - გახალისდა დეიდა ბანუ, სანამ სათქმელს დაამთავრებდა, - წამოდი და სამზარეულოში აშურეს ამორიგებაში მომეხმარე.

ასიამ თავი დააქნია და ბანუს დანებდა.

„რა ჯანდაბაა? - ფიქრობდა გოგონა, - რა ჯანდაბაა?“

* * *

სამზარეულოში ისეთი სუნი იდგა, აურზაურიან უქმეებზე გამართული ხალხმრავალი სადილობისას რომ იცის ხოლმე. ყველაზე მეტად დარიჩინის მძაფრი სუნი იგრძნობოდა. ასიამ ჩამჩა აიღო და უზარმაზარი ქვაბიდან მინის პატარ-პატარა ფიალებში აშურეს ამორიგებას შე-

უდგა - თითოში ჩამჩა-ნახევარს დებდა. აინტერესებდა, რატომ არ უნდოდა დეიდა ზელიჰას მისი აეროპორტში წაყვანა. მანქანაში, რა თქმა უნდა, ადგილი იყო. თავში გაუელვა, იქნებ დეიდა ზელიჰა ცდილობს, სტუმრებისგან შორს ვყავდეო.

ასიამ შეამჩნია, რომ ოცი წლის შემდეგ მუსტაფას დაბრუნების ამბის გამო დედამისი აღფრთოვანებული არ იყო.

- შეიძლება მოგეხმაროთ?

როცა შემობრუნდა, ასიამ არმანუშს მოჰკრა თვალი. ამი იდგა და მას უყურებდა.

- რა თქმა უნდა, რატომაც არა? გმადლობ, - ასიამ არმანუშს გრძლად დაჭრილი ნუშით სავსე ჯამი მიაწოდა, - ცოტ-ცოტას მოაყრი სათითაოდ ყველა ფიალას.

მომდევნო ათი წუთის განმავლობაში გოგონები გვერდიგვერდ მუშაობდნენ და ერთმანეთს თითო-ოროლა გულის ამაჩუყებელ სიტყვას თუ ეტყოდნენ ბებია გულსუმის შესახებ.

- სტამბოლში იმიტომ ჩამოვედი, რომ მეგონა, ბებიაჩემის ქალაქში ჩემით თუ ვიმოგზაურებდი, უკეთ გავიგებდი იმას, რაც ჩემს ოჯახს ხვდა წილად და იმასაც, სად იყო ჩემი ადგილი. ალბათ, თურქებთან შეხვედრა იმიტომ მინდოდა, რომ უკეთ გამეთავისებინა, რას ნიშნავს სომხობა. ეს მოგზაურობა ბებიაჩემის წარსულთან დაკავშირების მცდელობა იყო. მისთვის იმის თქმას ვაპირებდი, რომ მის სახლს ვეძებდი... ახლა კი ბებია აღარ არის... - არმანუში ატირდა, - იმის შესაძლებლობაც კი არ მომეცა, რომ უკანასკნელად მენახა.

ასია, მართალია მოუქნელად, მაგრამ მაინც მოეხვია არმანუშს - მიჩვეულიარ იყო სიყვარულისა და თანაგრძნობის გამომჟღავნებას.

- ვწუხვარ, ბებია რომ დაკარგე, - თქვა ასიამ, - ვიდრე სტამბოლიდან წახვალ, მე და შენ შეგვიძლია ბებიაშენის წარსულის დეტალები მოვიძიოთ. შეგვიძლია იმ ადგილას ისევ წავიდეთ და სხვა ადამიანებს დაველაპარაკოთ. ვცადოთ, იქნებ რამე ვიპოვოთ.

არმანუშმა თავი გააქნია.

- ამას ვაფასებ, მაგრამ მართალი გითხრა, მას შემდეგ, რაც დედა-ჩემი აქ ჩამოვა, მარტო სიარული ძნელი იქნება.დედა ჩემზე ზედმეტად ზრუნავს.

გოგონებს ზურგს უკან ფეხის ხმა მოესმათ და გაირინდნენ. დეიდა ბანუ იყო. მოდიოდა, რომ ენახა, საქმე როგორ მიდიოდა. ბანუმ ცოტა ხანს უყურა, როგორ რთავდნენ ასია და არმანუში ტკბილეულს, მერე კი გაღიმებულმა იკითხა, უფრო სწორად, შესავალი გააკეთა:

- არმანუშმა იცის აშურეს იგავი?

ვიდრე გოგონები ერთად ირჯებოდნენ, ბროწეულებს ხლეჩდნენ და დარიჩინის ფხვნილსა და გრძლად დაჭრილ ნუშის ლებნებს დახლზე გამწკრივებულ აშურეთი სავსე უამრავ ფიალას აყრიდნენ, დეიდა ბანუმ დაიწყო.

- იყო და არა იყო რა, არც ისე შორეულ ქვეყანაში იყო ცუდი დრო და ადამიანები საძაგლად ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რაც ამ სიმდაბლეს კარგა ხანს უცქირა, ალაჰმა, ადამიანების ცხოვრების წესის უკეთესობისკენ შესაცვლელად და მათთვის მონანიების შესაძლებლობის მისაცემად, ბოლოს და ბოლოს, გაგზავნა მაცნე - ნოე. თუმცა, როცა ნოემ სიმართლის საქადაგებლად პირი გააღო, არავინ მოუსმინა, - სიტყვას წყევლით აწყვეტინებდნენ, გიჟს, უგუნურსა და ახირებულს ეძახდნენ.

ასიამ ბანუს გაოცებული მზერა ესროლა. იცოდა, როგორ უნდა მისდგომოდა დეიდამისს და იკითხა:

- მაგრამ ნებისმიერი სხვა ადამიანის საქციელზე მეტად ნოე ცოლის ღალატმა გაანადგურა, არა, დეიდა? არ შეუვსია ნოეს ცოლს მწვალებელთა რიგები?

- მართლაც ასე გააკეთა იმ ასპიტმა! - მიუგო დეიდა ბანუმ, რომელსაც ისიც უნდოდა, რელიგიური ამბავი სათანადოდ მოეყოლა და ისიც, რომ იგივე ამბავი საკუთარი შენიშვნებით შეეზავებინა, - რვაასი წლის განმავლობაში ნოე ბევრს ეცადა ცოლისა და თავისი ხალხის დარწმუნებას... არ მკითხოთ, ამდენ ხანს როგორო, - ურჩია გოგონებს დეიდა ბანუმ, - როგორ და, დრო წვეთია ზღვაში და ერთ წვეთს მეორისგან ვერ გამოყოფ, რომ დიდ-პატარა ერთმანეთს შეადარო. სწორედ ასე გაატა-

რა ნოემ რვაასი წელიწადი თავისი ხალხისათვის ლოცვასა და მისი სწორ გზაზე დაყენების მცდელობაში. ერთ დღეს ღმერთმა ნოეს ანგელოზი გაბრიელი გაუგზავნა. „ააშენე გემი, - ჩასჩურჩულა ანგელოზმა, - და ყველანაირი სახეობა წყვილად აიყვანე“...

ამბავს, რომელსაც ასია თარგმნიდა, თარგმნა არ სჭირდებოდა. გოგონამ ხმას ოდნავ დაუწია, რადგან დეიდა ბანუ ამბის სწორედ იმ ნაწილს ჰყვებოდა, რომელიც ასიას ყველაზე ნაკლებად მოსწონდა.

- ბოლოს და ბოლოს, ნოეს კიდობანში ყველანაირი რწმენის კარგმა ადამიანებმა მოიყარეს თავი, - განაგრძო დეიდა ბანუმ, - დავითმაც, მოსემაც, სოლომონმაც, იესომაც და, ღმერთმა აცხონოს იმისი სული, მუჰამედმაც. ასე მომზადებული გაემგზავრნენ და დაიწყეს ლოდინი. მალე დაიწყო წარღვნა. ალაჰმა ბრძანა: „ო, ცაო! დადგა დრო! გადმოასხი წყალი. თავს ნუღარ შეიკავებ. მოუვლინე მათ წყალი და მრისხანება!“ მერე მიწას უბრძანა: „მიწავ, შეაკავე წყალი, არ შთანთქა იგი“. წყალმა იმდენად სწრაფად აიწია, რომ კიდობნის გარეთ ვერავინ გადარჩა.

ახლა თარჯიმნის ხმა გაძლიერდა, რადგან დეიდა ბანუ ამბის სწორედ იმ ნაწილს ჰყვებოდა, რომელიც ასიას ყველაზე მეტად მოსწონდა. მოსწონდა გონების თვალით წარღვნის ჭვრეტა, რომელიც ქალაქებსა და ცივილიზაციებს ისევე წალეკავდა, როგორც წარსულის უსარგებლო მოგონებებს. - მთელი დღეები გაუჩერებლად მიცურავდნენ და მიცურავდნენ. ირგვლივ ყველგან წყალი იყო. მალე საკვები შემოელიათ. საჭმლის მოსამზადებლად საკმარისი სანოვაგე არ ჰქონდათ. მაშინ ნოემ ბრძანა: „მოიტანეთ, რაც კი გაგაჩნიათ“. მათაც მიუტანეს, - ცხოველებმაც, ადამიანებმაც, მწერებმაც და ფრინველებმაც, სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებმაც მიუტანეს ის მცირედი, რაც კი დარჩენოდათ და ყველაფერი ერთად ჩაყარეს. ასე მოათუხთუხეს ერთი დიდი ქვაბი აშურე, - დეიდა ბანუმ ისე ამაყად გაუღიმა ღუმელზე შემოდგმულ ქვაბს, თითქოს ეს უკანასკნელი სწორედ ის ქვაბი ყოფილიყო, რომლის შესახებაც ლეგენდაში იყო ლაპარაკი, - აი, ამ დესერტის ისტორიაც.

დეიდა ბანუს თუ დაუჯერებდით, მსოფლიო ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა აშურეს დღეს მომხდარიყო. აშურეს დღე იყო,

ალაჰმა ადამს რომ მიუტევა. იუნუსიც აშურეს დღეს გამოუშვა დელფინ-მა, რომელსაც მანამდე გადაყლაპული ჰყავდა. აშურეს დღეს შეხვდა რუმი შამსს, იმ დღეს ამაღლდა ცად იესო და იმ დღეს გამოუცხადეს მო-სეს ათი მცნებაც.

- სთხოვე არმანუშს, გვითხრას, რომელი თარიღია სომხებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, - შენიშნა დეიდა ბანუმ. მისი აზრით, შესაძ-ლებელი იყო, რომ ეს თარიღიც აშურეს დღეს დამთხვეოდა.

- გენოციდი, - მიუგო არმანუშმა, როგორც კი შეკითხვა გადაუთარ-გმნეს.

- არა მგონია, ეს შენს სისტემას ეხებოდეს, - გაუღიმა ასიამ დეიდას და არმანუშის პასუხი აღარ გადათარგმნა.

სწორედ ამ დროს სამზარეულოში ხელჩანთით შეიარაღებული დე-იდაზელიჰა გამოჩნდა.

- აბა, აეროპორტისკენ მიმავალო მგზავრებო, წასვლის დროა!

- მეც მოვდივარ, - თქვა ასიამ და ჩამჩა დახლზე დააგდო.

- ამაზე ვილაპარაკეთ, - გულგრილად უპასუხა დეიდა ზელიჰამ.უც-ნაურად ლაპარაკობდა. ისეთი ხრინწიანი და შეშინებული ხმა ჰქონდა, თითქოს მისი პირით ვიღაც სხვა მეტყველებდა, - ქალბატონო, შენ სახ-ლში დარჩი, - განკარგულება გასცა ამ სხვამ.

ასიას ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ დეიდა ზელიჰას გამომეტ-ყველების მიხედვით ვერაფრის ახსნას ვერ ახერხებდა. ალბათ, რაღაც ჩაიდინა და დედამისს გუნება გაუფუჭა, მაგრამ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი, თუ ცხადია, დეიდა ზელი-ჰას უგუნებობის მიზეზი თავად ასიას არსებობა არ გახლდათ.

- ამჯერად რა დავუშავე? - ასიამ სასოწარკვეთილებისგან ხელები ასწია, როცა დეიდა ზელიჰა და არმანუში წავიდნენ.

- არაფერი, ჩემო კარგო. უყვარხარ, - წაილუღლუღა დეიდა ბანუმ, - ჩემთან და ჯინთან დარჩი. აშურეს მორთვას მოვრჩებით და საყიდლებ-ზე წავალთ.

ასია საყიდლებზე წასვლის გუნებაზე არ იყო. ამოიოხრა და ჯერაც მოურთავ ფიალებზე მოსაყრელად ერთი მუჭა ბროწეულის მარცვლები

აიღო. მარცვლები თანაბრად ისე მიმოფანტა, თითქოს განგებ ტოვებდა ნიშნებს, რომლებსაც უიღბლო ვარსკვლავზე დაბადებული რომელიღაც ზღაპრის პატარა გმირი სახლამდე უნდა მიეყვანათ. ასიას თავში გაუელვა: „შეიძლება ბროწეულის ერთი ბეწო მარცვლები სხვა ცხოვრებაში ძვირფასი ლალები იყვნენ“.

- დეიდა, - მიუბრუნდა ასია დეიდებს შორის უფროსს, - რა მოუვიდა ოქროს გულსაბნევს, შენ რომ გქონდა? ბროწეულივით გულსაბნევი გახსოვს? სად არის?

დეიდა ბანუ გაფითრდა.

- როდის გვახსენდება ის, რაც გვახსენდება? რატომ ვკითხულობთ იმას, რასაც ვკითხულობთ? - ჩასჩურჩულა ნათელმხილველს მარცხენა მხარზე შემომჯდარმა ბატონმა სიმწარემ.

* * *

როგორი საზარელიც უნდა ყოფილიყო ნოეს წარღვნა, ის წვიმის რამდენიმე წვეთით, ნელა და უხმაუროდ დაიწყო. მოახლოებული უბედურების მაუწყებელი თითო-ოროლა წვეთი ვერავინ შენიშნა. ცაში მუქი, პირქუში ღრუბლები შექუჩებულიყვნენ. ისეთი ნაცრისფერი და სქელი ღრუბლები იყო, იფიქრებდით, ავი თვალებით გაძეძგილი გამდნარი ტყვიით არიანო სავსე. ყველა ღრუბელში სათითაოდ ყველა ხვრელი ციური თვალი იყო. ეს თვალები არ ხამხამებდნენ და დედამიწაზე ჩადენილი თითოეული ცოდვისათვის თითო ცრემლს ღვრიდნენ.

მაგრამ იმ დღეს, როცა დეიდა ზელიჰაზე ძალა იხმარეს, არ უწვიმია. კაცმა რომ თქვას, გაკაშკაშებულ ლურჯ ცაზე ერთი ღრუბელიც კი არ ყოფილა. წლების განმავლობაში ახსოვდა დეიდა ზელიჰას, როგორი ცა იყო იმ დღეს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მაშინ ალაჰისადმი სალოცავად ანდა მისგან შველის სათხოვნელად ზეცისათვის მიეპყრო თვალები, არამედ იმიტომ, რომ ძიძგილაობისას დადგა მომენტი, როცა თავი ლოგინზე ჰქონდა გადაკიდებული და ვიდრე მამაკაცის სიმძიმის ქვეშ ადგილიდან დაძვრა არ შეეძლო, მისი შეჩერება აღარ ძალუძდა, ზელიჰას მზერა უნებლიეთ ცას მიეჯაჭვა, სადაც მხოლოდ ნება-ნება მოლივლივე აეროსტატს მოჰკრა თვალი. შავსა და ნარინჯისფერში გა-

დაწყვეტილ ბუშტზე უზარმაზარი ტრაფარეტული ასოებით მიეწერათ: „კოდაკი“.

ზელიჰა ძრწოლამ აიტანა, როდესაც ვეებერთელა კამერა გაახსენდა, რომელიც ყველაფერს უღებდა სურათს, რაც იმ მომენტში დაბლა, დედამიწაზე ხდებოდა. პოლაროიდის კამერა სტამბოლის ერთი დიდი სახლის ერთ ოთახში გაუპატიურების სცენის მომენტალურ ფოტოს იღებდა.

დილიდან ოთახში მის გარდა არავინ იყო. მარტოობით ტკბებოდა, რადგან ასეთი რამ მათ სახლში იშვიათობა გახლდათ. მამამისი, ვიდრე ცოცხალი იყო, არავის მისცემდა თავისი ოთახის კარის დახურვის უფლებას. განმარტოება საეჭვო საქმიანობას ნიშნავდა. ყველაფერი ხილული, დაუფარავი უნდა ყოფილიყო. ერთადერთი ადგილი, სადაც კარის ჩაკეტვა შეგეძლოთ, სააბაზანო იყო და იქაც კი, თუკი დიდხანს შეყოვნდებოდით, ვიღაც მოგიკაკუნებდათ. მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ შეეძლო ზელიჰას კარის მიხურვა და საკუთარ თავში ჩაკეტვა. ვერც დები და ვერც დედა ვერ ამჩნევდნენ, როგორ სჭირდებოდა ზელიჰას სამყაროსაგან განმარტოება. დროდადრო წარმოიდგენდა ხოლმე, რა საოცარი იქნებოდა, აქაურობა რომ მიეტოვებინა და თავისი კუთხე ჰქონოდა.

კაზანჯის გვარის ქალები დილაადრიან წასულიყვნენ ლევენთ კაზანჯის საფლავზე, მაგრამ ზელიჰას მოებოდიშებინა და შინ დარჩენილიყო. სასაფლაოზე მთელ ოჯახთან ერთად წასვლა არ უნდოდა. მარტო თუ წავიდოდა, მტვრიან მიწაზე დაჯდებოდა და მამამისს რამდენიმე კითხვას დაუსვამდა, რომლებზეც ამ კაცს სიცოცხლეში არ გაეცა პასუხი. ზელიჰას უნდოდა, სცოდნოდა, რატომ იყო ლევენთ კაზანჯი ყოველთვის ასეთი უხეში და მოძულე საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ. ისიც უნდოდა ეკითხა, თუ იცი, შენი აჩრდილი მოსვენებას დღეესაც როგორ არ გვაძლევსო? - იმის შიშით, ჩვენი აქ ყოფნით მამას ხომ არ ვაწუხებთო, დღემდე ხმას დაუწევდნენ ხოლმე.

ლევენთ კაზანჯის ხმაური არ უყვარდა, განსაკუთრებით ბავშვების ყვირილი. ის-ის იყო, სიარულს სწავლობდნენ და ჩურჩულით უნდა

ელაპარაკათ. კაზანჯის გვარის ბავშვი თუ იყავით, პირველად ის უნდა გესწავლათ, მამა რას ნიშნავდა, მამიკო კი არა, მა-მა - ტკივილის განზრახ მოთმენას. მამას პრინციპი მათი ცხოვრების ყველა მომენტში მოქმედებდა. მაგალითად, თუ ისე მოხდებოდა, რომელიმე გოგონა-ლევენთ კაზანჯის ოთახის მომიჯნავე ოთახში რაღაცას ფეხს წამოჰ-კრავდა და რამეს გაიჭრიდა, ტირილი უნდა შეეკავებინა, ხელი მაგრად დაეჭირა ჭრილობაზე, ფეხის წვერებზე ჩასულიყო სამზარეულოში ანდა ბაღში, დარწმუნებულიყო, საკმაოდ შორს ვარ იმისთვის, რომ ჩემი ხმა გაიგონო და მხოლოდ ამის შემდეგ, მხოლოდ ასეთ ადგილას ამოეშვა კივილი, რაკი სტკიოდა.

ამ ყველაფრის ძირისძირი მომხიბლავი, მაგრამ ამაო მოლოდინი იყო - კარგად თუ მოიქცეოდი, მამა არ გაბრაზდებოდა.

ყოველ საღამოს, როდესაც მამა შინ ბრუნდებოდა, სადილობამდე შემოწმების მომლოდინე ბავშვები მაგიდასთან უნდა შეკრებილიყვნენ. ლევენთ კაზანჯი პირდაპირ არასოდეს კითხულობდა, კარგად თუ იქ-ცეოდითო. ამის ნაცვლად, მამა შვილებს პატარა პოლკივით ხაზზე გა-ამწკრივებდა ხოლმე და თითოეულს სახეში აჩერდებოდა, ხან დიდ-ხანს, ხან ცოტა ხანს: ბანუ (საკუთარ თავზე მეტად დებსა და ძმაზე წუხდა და როგორც უფროსი და ყოველთვის იცავდა მათ), ჯევრიე (რომ არ ატირებულიყო, ტუჩებს იკვნეტდა ხოლმე), ფერიდე (ნერვიულად ატ-რიალებდა თვალებს), ერთადერთი ვაჟი მუსტაფა (იმედი ჰქონდა, რომ თავს დააღწევდა ამ საცოდავ გოგოებს და მაინც უშვებდა, რომ მამამი-სის რჩეული იყო) და ყველაზე პატარა, ზელიჰა (უჩინარი ნაღველი აწ-ვებოდა გულზე).

იცდიდნენ, ვიდრე მამა წვნიანს მოათავებდა, მერე კი ერთს, ორს ან სამს... ანდა ზოგჯერ თუ გაუმართლებდათ, ერთბაშად ყველას სთხოვ-და, სუფრასთან დამსხდარიყვნენ.

გადიოდა ზელიჰა სადილობის წინ ასეთ შემოწმებებს და არად და-გიდევდათ არც მამამისის გაუთავებელ სასტიკ საყვედურებს, არც ჩვე-ულ ცემა-ტყეპას. მისთვის მტკივნეული ის იყო, სუფრასთან ისე რომ აკ-ვირდებოდნენ, თითქოს ყველაფერი, რაც დღის განმავლობაში დაეშა-

ვებინა, შუბლზე უხილავი მელნით ეწერა, რომლის გარჩევაც მხოლოდ მამამისს შეეძლო.

- კარგად მოქცევა რატომ არ შეგიძლიათ? - კითხულობდა ლევენთ კაზანჯი ყოველ ჯერზე, როდესაც შვილების შუბლზე გადაცდომების კვალს კითხულობდა და ყველა მათგანის დასჯის გადაწყვეტილებას იღებდა.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს კაცი სწორედ ის ლევენთ კაზანჯი გახლდათ, რომელსაც სახლს გარეთ იცნობდნენ.

ნებისმიერი, ვინც ამ კაცს დიდი სახლის გარეთ გადაეყრებოდა, ჩათვლიდა, რომ ლევენთ კაზანჯი საიმედოობის, დელიკატურობის, ერთსულოვნებისა და უმწიკვლობის განსახიერება იყო. ერთ მშვენიერ დღეს მისნაირ კაცზე ცოლად გაყოლას ლევენთ კაზანჯის ქალიშვილების უკლებლივ ყველა მეგობარი ნატრობდა. სამაგიეროდ, სახლში ისე იქცეოდა, თითქოს მისი სიკეთე მხოლოდ უცხო ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი. ზუსტად ისევე ბუნებრივად, როგორიც მისთვის შინ მისვლისთანავე ფეხსაცმლის გახდა და ჩუსტების ჩაცმა გახლდათ, შედგამდა თუ არა სახლში ფეხს, კეთილშობილი ბიუროკრატი ლევენთ კაზანჯი დესპოტ მამად გადაიქცეოდა ხოლმე.

დიდედამ ერთხელ თქვა, ბავშვებთან ასეთი მკაცრი იმიტომ არის, რომ ბავშვობაში იტანჯებოდა, დედამ მიატოვაო.

ზოგჯერ ზელიჰა თავისდა უნებურად იმასაც კი ფიქრობდა, რა ბედნიერებაა მამრობითი სქესის ჩვენი სხვა წინაპრების მსგავსად მამაც ასე ადრე რომ გარდაიცვალაო. ბატონობის ისეთ მოყვარულს, როგორიც ლევენთ კაზანჯი გახლდათ, ალბათ, არ მოეწონებოდა სიბერე, როცა დასუსტებულსა და ავადმყოფს შვილების თანაგრძნობა დასჭირდებოდა.

თუ ზელიჰა მამის საფლავზე წავიდოდა, იცოდა, რომ მშობელთან ლაპარაკი მოუნდებოდა - თუ დაელაპარაკებოდა, შეიძლებოდა ეტირა, ისე ატკრციალდებოდა, როგორც ჩაის ჭიქებმა იციან ხოლმე ავი თვალისაგან. მიუხედავად ამისა, იმის გაფიქრებაც კი საკმარისი იყო, რომ სხვების წინაშე უნდა ეტირა, რომ ზელიჰა თავს ერეოდა. ბოლო დროს

საკუთარი თავისათვის სიტყვა მიეცა, რომ არასოდეს დაემსგავსებოდა მტირალა ქალებს და როცა კი ცრემლის ღვრა მოუნდებოდა, ამას მარტო გააკეთებდა. ამიტომაც ოცი წლის წინ, იმ უწვიმო დღეს, ზელიჰას შინ დარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი. დღის უმეტესი ნაწილი ლოგინში გაატარა, ჟურნალებს ათვალიერებდა და ოცნებობდა. საწოლის გვერდით იდო სამართებლის პირი, რომლითაც ფეხებს იპარსავდა, და ვარდის წყლის ლოსიონი, რომელიც კანის დასაცხრობად წაესვა. ეს რომ დედამისს დაენახა, ძალიან გაუნაწყენდებოდა. ზელიჰას დედა თვლიდა, რომ ქალებს სხეულზე მთელი თმა ცვილით უნდა მოეშორებინათ, მაგრამ არასოდეს არ უნდა გაეპარსათ - პარსვა მარტო კაცების საქმე იყო, ცვილით თმის მოშორება კი ქალების კოლექტიური რიტუალი გახლდათ.

კაზანჯის გვარის ქალები ფეხებზე თმის ცვილით მოსაშორებლად თვეში ორჯერ იკრიბებოდნენ სასტუმრო ოთახში. ჯერ ცვილის გროვას ადნობდნენ ღუმელზე, რის გამოც ჰაერში ყინულკარამელივით ტკბილი სუნი დგებოდა. მერე ყველანი ხალიჩაზე სხდებოდნენ და ცხელ, წელვად ნივთიერებას ფეხებზე ისვამდნენ, თან გაუჩერებლად ქაქანებდნენ. გამაგრებულ ცვილს ფეხებიდან იძრობდნენ. ზოგჯერ ყველანი ადგილობრივ ჰამამში მიდიოდნენდა ორთქლქვეშ უზარმაზარ მარმარილოს ფილაზე ჩამომსხდრები იშორებდნენ ცვილით ფეხებზე თმას. სძულდა ზელიჰას ეს ჰამამი, ქალებისათვის განკუთვნილი ადგილი, სწორედ ისე, როგორც ცვილით თმის მოშორების რიტუალს ვერ იტანდა. ერჩია, ფეხები სამართებლით გაეპარსა - სწრაფი, მარტივი იყო და მარტო აკეთებდა.

ლოგინიდან ჩამოშვებულ ფეხებს აქეთ-იქით აქნევდა და თავის თავს სარკეში შორიდან უყურებდა. ცოტაოდენილოსიონი კიდევ დაისხა ხელისგულზე და ნელ-ნელა წაისვა კანზე. აღფრთოვანებული ყურადღებით აკვირდებოდა საკუთარ სხეულს. იცოდა, რომ ლამაზი იყო და ამ სილამაზის დამალვას არ ცდილობდა. დედამისი ამბობდა, რომ ლამაზ ქალს მამაკაცებთან ორჯერ მეტი მოკრძალება და სიფრთხილე

მართებდა. ზელიჰას აზრით, ეს უბრალოდ იმ ქალის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები იყო, რომელიც თავად არასოდეს ყოფილა ლამაზი.

ზელიჰამ ზანტად გაიარა ოთახი და მაგნიტოფონში კასეტა ჩადო. მისი ერთ-ერთი საყვარელი მომღერლის, ღვთაებრივი ხმის პატრონი ტრანსსექსუალის თურქული სტილის ალბომი იყო. კარიერის დასაწყისში ეს მომღერალი მამაკაცი იყო და მელოდრამატულ ფილმებში მთავარ გმირებს თამაშობდა. ბოლოს ქალი რომ გამხდარიყო, ოპერაცია გაიკეთა. ყოველთვის ფუშფუშა კოსტიუმები ეცვა, ბრჭყვიალა აქსესუარებსა და უამრავ სამკაულს ატარებდა. ზელიჰაც ასე იზამდა, ამდენი ფული რომ ჰქონოდა. აღმერთებდა ამ მომღერალს და ყველა მისი ალბომი ჰქონდა.

ტრანსსექსუალს ის-ის იყო, ახალი ალბომი გამოეშვა, მაგრამ მისი სიმღერები სამხედროებს აეკრძალათ, რომლებიც ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ ქვეყანას, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო გადატრიალებიდან სამი წელიწადი იყო გასული. ზელიჰას თავისი მოსაზრება ჰქონდა იმის შესახებ, თუ რატომ არ მოსწონდათ გენერლებს ტრანსსექსუალი მომღერალი.

- იმიტომ, რომ მისი არსებობა აშინებთ, - თვალი ჩაუკრა ზელიჰამ ფაშა მესამეს, საწოლზე ქათქათა თეთრი ბეწვის სქელი ბალიშივით რომ მორგოლილიყო და ბრილიანტის მწვანეს ფერის თვალების ჭრილიდან პატრონს უყურებდა, - ისეთი არამიწიერი ხმა და ისეთი ეფექტური კოსტიუმებია, რომ ეშინიათ, ის რომ ეკრანზე გამოჩნდება, ბაყაყისფერ ფორმებში გამოწყობილ ხრინწიან გენერლებს აღარავინ მოუსმენსო. წარმოგიდგენია? სამხედრო გადატრიალებაზე უარესი რა უნდა იყოს? სამხედრო გადატრიალება, რომელსაც ვერავინ ამჩნევს!

ამ დროს კარზეც დააკაკუნეს.

- შენს თავს ელაპარაკები, სულელო? - შესძახა მუსტაფამ და ოთახში თავი შეყო, - დაუწიე ამ საშინელ მუსიკას!

მუსტაფას მუქ თაფლისფერ თვალებში ახალგაზრდული გზნება უელავდა, მუქი თმა მეტისმეტად გაეპოხა და უკან გადაევარცხნა. რომ არა ტიკი, რომელიც ალაჰმა უწყის, როდის გაუჩნდა, იტყოდით, მოხდე-

ნილი ვინმეაო. ლაპარაკისას თავს მარჯვენა მხარეს აგდებდა ხოლმე. მკვეთრი, მექანიკური მოძრაობა იყო, რომელიც მაშინ ძლიერდებოდა, როდესაც მუსტაფა განსაკუთრებულად ნერვიულობდა, ანდა უცხო ადამიანების გარემოცვაში იყო. ზოგჯერ ეს ტიკი სიმორცხვეში ეშლებოდათ, მაგრამ ზელიჰა თვლიდა, რომ თავის გვერდზე გადაგდება სხვა არაფერი იყო, თუ არა აშკარა დაუცველობის ნიშანი.

ზელიჰა იდაყვს დაეყრდნო და მხრები აიჩეჩა.

- რასაც მინდა, იმას მოვუსმენ და როგორც მინდა, ისე. ნაცვლად იმისა, დას წასჩხუბებოდა და კარი გაეჯახუნე ბინა ისე, როგორც მანამდე ბევრჯერ გაუკეთებია, მუსტაფა გაჩერდა - თითქოს რაღაც გაიფიქრა და შეცბა.

- ამ მოკლე კაბებს რატომ ატარებ?

შეკითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ზელიჰა შეშფოთდა. მხოლოდ ახლა შენიშნა ძმის დანისლული მზერა. მისი აზრით, მუსტაფა იმ წელს იმაზე მეტად იკლავდა თავს ონანიზმით, ვიდრე ოდესმე.

- ონანიზმი, - ხმამაღლა თქვა ზელიჰამ.

მუსტაფამ თავი მოიკატუნა, თითქოს დის ნათქვამი არ გაუგონია და ოთახი მოათვალიერა.

- ის ჩემი სამართებელია? - ჰო, - აღიარა ზელიჰამ, - თავის ადგილზე უნდა დამედო.

- რა გააკეთე ჩემი სამართებლით?

- შენი საქმე არ არის, - თქვა ზელიჰამ, თან ცოტათი ორჭოფობდა.

- ჩემი საქმე არ არის? - კიდევ უფრო მოქუფრა წარბები მუსტაფამ, - ჩემს ოთახში იპარები, ჩემს სამართებელს იპარავ, ფეხებს იპარსავ, მერე მთელი უბნის კაცებს რომ დაანახვო, და იმასაც მეუბნები, რომ ჩემი საქმე არ არის? აი, რას გეტყვი, ძალიან ცდები, ქალბატონო! ზუსტადაც უნდა ვიცოდე, რომ წესიერად იქცევი.

- წადი და რამე გააკეთე. წადი, დაინძრიე! - მკვახედ თქვა ცოტათი გამხიარულებულმა ზელიჰამ.

მუსტაფას სახე აელეწა. დას ღვარძლით სავსე თვალებით შეხედა. ბოლო დროს გაირკვა, რომ ყმაწვილს პრობლემები ჰქონდა ქალებ-

თან. მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი ასაკის ქალის გარემოცვაში იზრდებოდა და მათი ყურადღების ცენტრში ყოფნას მიჩვეული იყო, საპირისპირო სქესთან ურთიერთობის გამოცდილებაში ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩებოდა თანატოლებს. უკვე ოცი წლის გახლდათ, მაგრამ თავს ისე გრძნობდა, თითქოს ბიჭობასა და მამაკაცობას შორის არსებულ სახიფათო ზღვარზე იყოგაჩხერილი.

არც უწინდელ ყოფაში დაბრუნება შეეძლო, არც ახალი ცხოვრების დაწყება. მხოლოდ ის იცოდა, საზღვარი, ძველსა და ახალს შორის რომ იყო, ძალას ართმევდა, დაძაბუნების შესახებ კი მხოლოდ ის იცოდა, რომ ასეთი მდგომარეობა არ მოსწონდა.

საკუთარი სხეულის ხორციელი ვნებები სძაგდა და მიუხედავად ამისა, მაინც ცდუნდებოდა ხოლმე. ადრე მუსტაფას იმპულსების შეკავება კარგად გამოსდიოდა, განსხვავებით კლასელი ბიჭებისაგან, რომლებიც წარამარა მასტურბაციით იქცევდნენ თავს.

აი, ბოლო წელს,მას შემდეგ, რაც კოლეჯში შესასვლელი გამოცდა ვერ ჩააბარა, თვითგვემასა და საკუთარი თავისადმი სიძულვილში გატარებულმა წლებმა ძლიერი უკურეაქცია გამოიწვია და ჟინმაც ამ რაღაცის სახით კიდევ უფრო ძლიერად იჩინა თავი.

ეს რაღაც ყველგან იყო, სადაც კი მუსტაფა დღის განმავლობაში წავიდოდა. სააბაზანოში, სარდაფში, საპირფარეშოში, ზეწრის ქვეშ, სასტუმრო ოთახში, ათასში ერთხელ, ყველაზე პატარა დის ოთახში, როცა იქ შეპარულ მუსტაფას არავინ ხვდებოდა, გოგონას ლოგინში, მის სკამზე, მის საწერ მაგიდასთან...

ოჯახის ჭირვეული უფროსივით, ეს რაღაც აბსოლუტურ მორჩილებას მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რამდენად მორჩილი იყო მუსტაფა, ის არასოდეს ხმარობდა მარჯვენა ხელს. მარჯვენა ხელს წმინდა და კურთხეული რაღაცებისთვის ინახავდა. სწორედ მარჯვენა ხელით ეხებოდა ყურანს, მარჯვენა ხელში ეჭირა კრიალოსანი და მარჯვენა ხელით აღებდა დახურულ კარებს. სწორედ მარჯვენა ხელით იღებდა საკოცნელად ამა თუ იმ მოხუცის ხელს. რამდენადაც დალოცვილი იყო

მარჯვენა ხელი, იმდენად სჭირდებოდა საზიზღრობებისთვის მარცხენა. მხოლოდ მარცხენით შეეძლო ჩუკენობა.

ერთხელ სიზმარი ნახა - მამამისის თვალწინ აკეთებდა ამას.

მამამისს სახეზე არაფერი ეტყობოდა; უბრალოდ იჯდა სადილისთვის გაწყობილ სუფრასთან და უყურებდა.

ბოლოს მამა ასე მაშინ უყურებდა, რვა წლისას წინადაცვეთა რომ ჩაუტარეს. ახსოვდა მუსტაფას, საბრალო ბიჭი საჩუქრებში ჩაფლული უზარმაზარ, მდიდრულ, ატლასით გაწყობილ საწოლზე რომ იწვა და ელოდებოდა, როდის მოაჭრიდნენ. ირგვლივ ნათესავები და მეზობლები ტრიალებდნენ, ზოგი ჭორაობდა, ზოგი ჭამდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგიერთი კი მისი გამოჯავრებით იყო დაკავებული. სამოცდაათი კაცი აღნიშნავდა მუსტაფას შებიჯებას ბიჭობიდან მამაკაცობაში. იმ დღეს, ზუსტად წინადაცვეთის შემდეგ, ზუსტად მაშინ, როცა ბიჭს საშინელი ყვირილი აღმოხდა, მამა მიუახლოვდა, ლოყაზე აკოცა და ყურში ჩასჩურჩულა:

- გინახავს ოდესმე, ჩემო ბიჭო, ჩემი ტირილი?

მუსტაფამ თავი გააქნია. არა, არასოდეს არავის ენახა, როგორ ტიროდა მამა.

- გინახავს ოდესმე, ჩემო ბიჭო, დედას ტირილი?

მუსტაფამ გულმოდგინედ დააქნია თავი. დედა სულ ტიროდა.

- კეთილი, - ლევენთ კაზანჯიმ შვილს ალერსიანად გაუღიმა, - ახლა კაცი ხარ და კაცივით მოიქეცი.

მასტურბაციისას ვერასოდეს ბედავდა შარვლის ბოლომდე ჩახდას. მარტო იმიტომ კი არა, რომ ეშინოდა, სახლში ვიღაც არის და გამომიჭერენო, არამედ იმიტომ, რომ მამამისის აჩრდილი აბეზრებდა თავს - წარამარა ჩასჩურჩულებდა ყურში ერთსა და იმავეს: „კაცი ხარ, კაცივით მოიქეცი“. წინა წლებში მისმა სხეულმა მოულოდნელად აჯობა მის ნებისყოფასაც და მამამისის დაკვირვებულ მზერასაც. თითქოს გადამდები დაავადება ჰქონდა, თავად დარწმუნებული იყო, რომ რაც სჭირდა, დაავადება იყო, მუსტაფამ დღე-ღამის ნებისმიერ დროს მასტურბაციას მიჰყო ხელი გაჩერებულიყო? გაჩერება არ შეეძლო. ესიზმრებო-

და, რომ მშობლებმა გამოიჭირეს. კარს მიაწყდნენ, შეამტვრიეს და თავზე წაადგნენ. გაგანია წივილ-კივილში მამამ შეაფურთხა და ერთი გვარიანი გაულაწუნა, დედა კი კოცნიდა და ზურგზე უთათუნებდა ხელს. მამამისისგან ჩალურჯებულ ადგილებზე დედა ცოტ-ცოტა აშურეს ისე აზელდა, თითქოს დესერტი მალამო ყოფილიყოს. ყოველი გაღვიძებისას მუსტაფა ზიზღს გრძნობდა და ცახცახებდა. შუბლი ოფლის წვეთებით ენამებოდა და იმისთვის, რომ დამშვიდებულიყო, ჩუკენობას უნდა შესდგომოდა.

როცა ძმას დასცინა, ზელიჰამ ამეებისა არაფერი იცოდა.

- უსირცხვილო ხარ, - თქვა მუსტაფამ, - არ იცი, უფროსებს როგორ უნდა ელაპარაკო. არ გენაღვლება, ქუჩაში კაცები რომ გისტვენენ. ბოზივით იცვამ და ფიქრობ, რომ პატივი უნდა გცენ?

ზელიჰამ დამცინავად გაიღიმა.

- რა იყო? ბოზების გეშინია, თუ?

მუსტაფამ მხოლოდ შეხედა. ერთი თვის წინ სტამბოლში ყველაზე ცუდი რეპუტაციის მქონე ქუჩა აღმოაჩინა.

შეეძლო, სხვაგან წასულიყო, სადაც ნაკლებად იაფფასიან, ნაკლებად დაბალი ხარისხისა და ნაკლებად სამარცხვინო სექსს შეიძლებოდა გადასწყდომოდა, მაგრამ იმ ქუჩაზე განზრახ წავიდა. რაც უფრო უხამსი იქნებოდა ეს ყველაფერი, მით უკეთესი. ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული ფერგადასული სახლები, სხვადასხვანაირი სუნი, ლაქები და მამაკაცების იუმორის გრძნობაზე მეტად სიცილის საჭიროებით ნაკარნახევი ხუმრობები; მეძავები ყველა სართულის თითოეულ ოთახში, რომლებიც,ალბათ, არასოდეს იტყოდნენ უარს თქვენს ფულზე, მაგრამ თქვენს წარმატებას, სულერთია, მაინც აბუჩად აიგდებდნენ. იქიდან დაბრუნებული მუსტაფა თავს ბინძურ და უსუსურ ადამიანად გრძნობდა.

- უკან დამყვები?

- რა? - გადაიხარხარა ზელიჰამ. ახლაღა მიხვდა, რომ თავისდა უნებურად აღმოჩენა გაეკეთებინა, - რა სულელი ხარ. მეძავებთან თუ დადიხარ, შენი პრობლემაა. აი, დარდი.

დამცირებულ მუსტაფას უცებ მოუნდა, ზელიჰასთვის დაერტყა. უნდა მიმხვდარიყო, რომ ძმა ასე არ უნდა გაემასხარავებინა.

ზელიჰამ მუსტაფას ცალი თვალით შეხედა, თითქოს მისი აზრების ამოკითხვას ცდილობდა.

- რა მაცვია და როგორ ვცხოვრობ, შენი საქმე არ არის. ვინ ჯანდაბა გგონია შენი თავი? მამა მკვდარია და არ ვაპირებ, მისი ადგილი შენ დაგაკავებინო.

რაც უნდა უცნაური იყოს, როგორც კი ეს სიტყვები თქვა, ზელიჰას გაახსენდა, რომ იმ დილით ქიმწმენდიდან მაქმანებიანი კაბის წამოღება დავიწყებოდა. ხვალ წამოიღებს.

- მამა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ასე ვერ ილაპარაკებდი, - მიუგო მუსტაფამ. დანისლული მზერა, ახალგაზრდა კაცს წამის წინ რომ ჰქონდა, სადღაც გამქრალიყო. მუსტაფას თვალებში ღვარძლი უელავდა, - გარდაცვლილი რომ არის, არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახლში წესები საერთოდ არა გვაქვს. შენი ოჯახის წინაშე გაქვს პასუხისმგებლობები, ქალბატონო. ამ ოჯახის კეთილ სახელს ვერ შეარცხვენ.

- კაი, მოკეტე. მე როგორც უნდა შევარცხვინო, არაფერი იქნება იმასთან შედარებით, შენ როგორც შეგირცხვენია დღემდე.

მუსტაფა გაჩერდა. ჩიხში მოქცეულს ჰგავდა. გაიგო ზელიჰამ, რომ თამაშობდა, თუ ისევ ცრუობდა და მის გამოტეხას ცდილობდა? მუსტაფა სპორტულ თამაშებზე მხოლოდ იმისთვის ჩადიოდა ხოლმე ფსონს, რომ ყოველ ჯერზე ამ ამბავში სულ უფრო მეტად ჩაფლავებულიყო. მამა ცოცხალი რომ ყოფილიყო, გალახავდა, - მუსტაფას ასაკს მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მოწითალო-მოყავისფრო ტყავის ქამარი თითბრის ბალთით... შეიძლება ჰქონდა კიდეც გონივრული მიზეზი მუსტაფას ვარაუდს, რომ ერთი ქამარი სხვებზე მეტად სტკენდა, თუ უბრალოდ მისი წარმოსახვა იყო კონცენტრირებული ერთ განსაკუთრებულ ქამარზე და ამის გამო თავს უფლებას აძლევდა, დაეჯერებინა, რომ ეს ქამარი სხვებზე ნაკლებად ატკენდა? მადლიერი იყო ხოლმე, ბედნიერიც კი, მაგრამ მამამისი ახლა გარდაცვლილი იყო და ვიღაც-ვიღაცებისთვის უნდა გაეხსენებინა, ვინ იყო ოჯახის უფროსი.

- ახლა, როცა მამა მკვდარია, - გამოაცხადა მუსტაფამ, - ამ ოჯახზე პასუხს მე ვაგებ.

- მართლა? - გაეცინა ზელიჰას, - იცი, რა არის შენი პრობლემა? გარ-ყვნილი, ძალიან გარყვნილი ხართ, ძვირფასო ფალოსო! გაეთრიე ჩემი ოთახიდან.

თითქოს ესიზმრებოდაო, ზელიჰამ თვალი მოჰკრა, როგორ ასწია მუსტაფამ ხელი ჰაერში და მისთვის სილის გასაწნავად მოემზადა. ზე-ლიჰას არ სჯეროდა, რომ ძმას მისი დარტყმა შეეძლო და ჯიქურ უყუ-რებდა, თუმცა, ბოლო მომენტში გადახრა მაინც მოახერხა. დარტყმა თავიდან აიცილა, მაგრამ ამან მუსტაფა მხოლოდ გააცეცხლა. მეორე ცდაზე ზელიჰას ლოყა აეწვა, ჰოდა, მანაც გაარტყა ძმას ლოყაში, ისევე ღონივრად, როგორც მას მოხვდა.

წუთიც და, საწოლზე ბავშვებივით ჭიდაობდნენ, თუმცა, პატარაობა-ში არასოდეს ეჭიდავათ. ასეთ ხმაურიან ჩხუბს მამა არასოდეს მოიწო-ნებდა. რამდენიმე წამით ზელიჰამ თავი გამარჯვებულად იგრძნო. მარ-თლა მაგრად დაარტყა, ანდა თვითონ ეგონა ასე. მაღალი, ძლიერი ქა-ლი იყო და სისუსტის გრძნობას მიჩვეული არ გახლდათ. რინგზე მდგო-მი ჩემპიონივით ჰაერში ორივე ხელი ერთმანეთს ჩასჭიდა და თავის უხილავ მაყურებელს მიესალმა:

- ეგეც შენ!

სწორედ ამ დროს მუსტაფამ ზელიჰას მკლავი ზურგს უკან მოუგრიხა და ზემოდან მოექცა. ამჯერად ყველაფერი სხვანაირად იყო. მუსტაფა იყო სხვანაირი.

ცალი მკლავით მკერდზე აწვებოდა, მეორით ქვედაკაბას ექაჩებო-და ზემოთ. პირველი, რაც ზელიჰამ იგრძნო, დამცირება იყო, მერე - უფ-რო დიდი დამცირება. სირცხვილის გრძნობა იმდენად მწვავე იყო, რომ სხვა გრძნობისათვის ადგილი არ რჩებოდა. უმალ მოეშვა, სიმორ-ცხვისგან თითქმის გაშეშდა. ეს მისი აღზრდის ბრალი იყო. ყველაზე მე-ტად ის ეუხერხულებოდა, საცვლების ამარა რომ ნახეს.

თვალის დახამხამებაში უზარმაზარი შიშის გამო დამცირება სად-ღაც გაქრა. შეეცადა, ცალი ხელით შეეჩერებინა, მეორით კი ქვედაკა-

ბის ჩამოქაჩვას ლამობდა, მაგრამ წუთიც და მუსტაფამ კაბა ისევ ასწია. იბრძოდა ზელიჰა, იბრძოდა, ურტყამდა, უფრო ძლიერად ურტყამდა მუსტაფაც. სცემდა ზელიჰა, მუსტაფამ სახეში მუშტი უთავაზა, ერთა-დერთხელ ჩაარტყა მუშტი. გაიგონა ზელიჰამ, როგორ იკივლა ვიღა-ცამ, გაჩერდიო. გამკივანი ხმა იყო, არაადამიანური, საყასბოში მოხ-ვედრილი ცხოველის ხმას ჰგავდა. საკუთარი ხმა ვერ იცნო ზელიჰამ. თითქოს უცხო მიწა იყოო, ვერ იცნო საკუთარი სხეულიც, როდესაც მას-ში მუსტაფამ შეაღწია.

სწორედ მაშინ შენიშნა ზელიჰამ მოწმენდილ ცაზე კოდაკის საჰაე-რობუშტი.

თითქოს ბავშვური თამაში ყოფილიყო, თვალები დახუჭა. იმედი ჰქონდა, თუ არ დავინახავ, ვერ დამინახავენო. მარტო ხმები იყო, ხმები და სხვადასხვანაირი სუნი. მუსტაფა მძიმედ სუნთქავდა. მისი ხელები მჭიდროდ შემოეჭდო ზელიჰას მკერდსა და კისერს. შეეშინდა, დამახ-რჩობსო, მაგრამ მალე თითები მოეშვა და მოძრაობაც შეწყდა. მუსტა-ფამ დაჭრილივით ხმა ამოუშვა და ზელიჰას ზემოდან დაემხო. მისი მკერდი ზელიჰას მკერდს ეკვროდა. ზელიჰას მისი გამალებული გუ-ლისცემა ესმოდა. სამაგიეროდ, არ ესმოდა თავისი, თითქოს სიცოც-ხლისაგან დაცლილიყო. არ განძრეულა, ვიდრე ის ზემოდან ეგდო, ახ-ლა უკვე შიგნიდან რბილი.

მუსტაფა წამოდგა, ძლივს დადიოდა. ბარბაცით გაიარა ოთახი და კარს მიეყრდნო. იხრჩობოდა. ღრმად ჩაისუნთქა და ოფლისა და ვარ-დის წყლის ერთმანეთში არეული სუნი იგრძნო. ცოტა ხანს, ვიდრე ისევ მოახერხებდა განძრევას, ასე იდგა, დისკენ ზურგშექცეული, მერე კი ოთახიდან გაიქცა.

როგორც კი დერეფანში შეადგაფეხი, გარეთა კარის გაღების ხმა გაიგონა. ოჯახის წევრები დაბრუნებულიყვნენ. სააბაზანოს მიაშურა, კარი ჩაკეტა და შხაპი მოუშვა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ წყლის ქვეშ დამდგარიყო, მუხლებზე დაეცა და გული აერია.

- აბა, სადა ხართ? - წინა ოთახიდან ბანუს ხმა ისმოდა, - არის ვინმე სახლში?

ზელიჰა წამოდგა და ტანსაცმლის გასწორება სცადა. ყველაფერი იმდენად სწრაფად მომხდარიყო, ალბათ, შეეძლო, თავი დაერწმუნებინა, რომ არაფერი ყოფილა. თუმცა, სახე, რომელიც სარკეში დაინახა, სულ სხვა რამეს მოწმობდა.

მარცხენა თვალი გასივებული ჩანდა, თვალის ქვეშ მეწამული ნახევარწრე ჰქონდა. პირველი, რაც მტკივანი თვალის დანახვისას იგრძნო, სინდისის ქენჯნა იყო, ჩვეული სკეპტიციზმის გამო რომ განიცდიდა. მთელი ამ წლების განმავლობაში, როცა ექშენის ჟანრის უბადრუკ ფილმებში ვინმეს თვალს ულურჯებდნენ, ზელიჰა ქირქილებდა ხოლმე. არასოდეს უფიქრია, რომ ერთ დარტყმას შეეძლო ადამიანის თვალის ასეთ ფერზე დაყენება და გასივება.

დაასკვნა, რომ სახე დაზიანებული ჰქონდა, მაგრამ სხეული - არა.

ხელი მიიდო. აინტერესებდა, შეგრძნება ისევ თუ ჰქონდა. რატომ ვერ გრძნობდა ვერაფერს საკუთარი თითების შეხების გარდა? არ უნდა ეგრძნო მის სხეულს, თუკი ზელიჰას რამე სტკიოდა ან სწყინდა? თვითონ არ უნდა ეგრძნო?

კარზე დაკაკუნების ხმა გაისმა და ისე, რომ პასუხს არც დალოდებია, ოთახში დეიდა ბანუმ შემოყო თავი. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ პირი ისე გააღო და დახურა, რომ სიტყვაც არ უთქვამს. გაქვავებული იდგა და უმცროს დას თვალს არ აშორებდა.

- სახეზე რა მოგივიდა? - იკითხა აღელვებულმა ბანუმ. ზელიჰამ იცოდა, თუკი ამ ამბის გამხელა ოდესმე შეიძლებოდა, ახლა უნდა გაემხილა. შეეძლო ან ახლა ეთქვა, ან სამუდამოდ დაემალა.

- ისეთი არაფერია, - ნელა თქვა ზელიჰამ. შესაფერისი მომენტი უკვე გასული იყო, არჩევანი კი გაკეთებული, - სასეირნოდ გავედი და დავინახე, როგორ უჟაჟუნებდა შუა ქუჩაში ვიღაც კაცი ცოლს. ნაცემ-ნაბეგვი ქალის გადარჩენა ვცადე, მაგრამ მგონი, ბოლოს თვითონ გავილახე.

დაუჯერეს. ასეთი რამის გამკეთებელი კი იყო, ასეთი რამ მხოლოდ მას შეიძლებოდა შემთხვეოდა, თუკი ვინმეს ოდესმე ასეთი რამ შეიძლებოდა დამართვოდა.

იმ დღეს, როცა გააუპატიურეს, ზელიჰა ცხრამეტი წლის იყო, იმ ასაკში, რომელშიც, თურქული წესების თანახმად, ადამიანი ზრდასრულად ითვლება. შეეძლო, გათხოვილიყო ან მართვის მოწმობა აეღო. მას შემდეგ, რაც სამხედროებმა თავისუფალი არჩევნების ჩატარება დაუშვეს, შეეძლო ხმაც მიეცა. ზუსტად ასე, რომ დასჭირვებოდა, საკუთარი პასუხისმგებლობით შეეძლო აბორტიც გაეკეთებინა.

ძალიან ხშირად ხედავდა ერთსა და იმავე სიზმარს. ესიზმრებოდა, თითქოს ქუჩაში ქვების წვიმის ქვეშ მიაბიჯებდა. სათითაოდ ჩამოცვენილი რიყის ქვები ქვემოთ ხვრელებს თხრიდა, სულ უფრო ღრმა ხვრელებს. ზელიჰას შიში აიტანდა. ეშინოდა, მასაც ასე ხომ არ მოუვიდოდა. ეშინოდა, რომ დამშეულ უფსკრულში უკვალოდ დაინთქმებოდა.

„შეჩერდით! - უყვიროდა ზელიჰა ფეხქვეშ ჩაგორებულ ქვებს, - შეჩერდით!“ - უყვიროდა ავტომობილებს, რომლებიც ჯერ მისკენ მიექანებოდნენ, შემდეგ კი ზემოდან უვლიდნენ.

„შეჩერდით! - ევედრებოდა ფეხით მოსიარულეებს, განზე რომ სწევდნენ, - შეჩერდით, გთხოვთ!“

მომდევნო თვეში ციკლი შეუწყდა. რამდენიმე კვირაში მათი სახლის სიახლოვეს გახსნილ ახალ ლაბორატორიაში მივიდა.

„ორსულობის უფასო ტესტი სისხლში შაქრის შემცველობის ყველა ტესტთან ერთად!“ - ეწერა შესასვლელში გაკეთებულ ფირნიშზე. ანალიზის პასუხით გაირკვა, რომ სისხლში შაქრის შემცველობის დონე ნორმალური ჰქონდა, თანაც ორსულად იყო.

* * *

იყო და არა იყო რა.

ერთ შორეულ ქვეყანაში ოთხ შვილთან, ორ ქალიშვილსა და ორ ვაჟთან ერთად ცხოვრობდა მოხუცი წყვილი. ერთი ქალიშვილი უშნო იყო, მეორე - ლამაზი. უმცროსმა ძმამ ლამაზი დის ცოლად შერთვა გადაწყვიტა, მაგრამგოგონას არ უნდოდა. თავისი აბრეშუმის სამოსი გარეცხა და მდინარეზე წავიდა გასავლებად. ავლებდა და ტიროდა. ციოდა. ხელ-ფეხი ეყინებოდა. შინ მივიდა და კარზე დააკაკუნა, მაგრამ კარი ჩაკეტილი იყო. დედამისის ფანჯარაზე დააკაკუნა, დედამ კი უპა-

სუხა: „შემოგიშვებ, დედამთილს თუ დამიძახებ“. მამამისის ფანჯარაზე დააკაკუნა, მან კი უპასუხა: „შემოგიშვებ, მამამთილს თუ დამიძახებ“. უფროსი ძმის ფანჯარაზე დააკაკუნა, მან კი უპასუხა: „შემოგიშვებ, მაზლს თუ დამიძახებ“. დის ფანჯარაზე დააკაკუნა, მან კი უპასუხა: „შემოგიშვებ, მულს თუ დამიძახებ“. უმცროსი ძმის ფანჯარაზე დააკაკუნა. შეუშვა, მოეხვია და აკოცა, მან კი თქვა: „დაე, გაიხსნას მიწა და ჩამიტანოს მე!“

და გაიხსნა მიწა და დაიკარგა იგი მიწისქვეშეთის რომელიღაც სამეფოში.

* * *

ასიას ხელში კოვზი ეჭირა და სამზარეულოს ფანჯრიდან იხედებოდა. ამოიოხრა, როცა დაინახა, როგორ წავიდა მეტალის მსგავსი ვერცხლისფერი „ალფა-რომეო“. - ხედავ? - მიუბრუნდა ასია სულთან მეხუთეს, - დეიდა ზელიჰას არ უნდოდა, აეროპორტში მათთან ერთად წავსულიყავი.სულ შარს მდებს.

რა სისულელე იყო გულის აჩუყება წინაღამით, ყველა ერთად რომ წავიდნენ დასალევად! რა სისულელე იყო იმის იმედად ყოფნა, საბოლოოდ დაინგრევა ჩვენ შორის არსებული ბარიერიო. ეს ბარიერი არასოდეს გაქრებოდა. დედა, რომელიც თავად გაადეიდა, ყოველთვის მიუწვდენელ მანძილზე დარჩებოდა. მას ნამდვილად არ სჭირდებოდა არც სულიერი თანაგრძნობა, შვილის სიყვარული, ოჯახის მხარდაჭერა... ასია გაჩერდა და გადააფურთხა: - ჯანდაბა!

მუხლი 12: არ შეეცადო დედაშენის შეცვლას, ანდა უფრო ზუსტად, არ შეეცადო შენი და დედაშენის ურთიერთობის შეცვლას, რადგან ამას მხოლოდ იმედგაცრუება მოჰყვება.უბრალოდ მიიღე და დაეთანხმე. თუ არ შეგიძლია, უბრალოდ მიიღო და დაეთანხმო, პირველ მუხლს დაუბრუნდი.

- რა იყო, შენს თავს ელაპარაკები? - თქვა დეიდა ფერიდემ, რომელიც ის-ის იყო, სამზარეულოში შემოდიოდა.

- მართლა ასეა, - უმალ დააღწია ასიამ თავი ტრანსისმაგვარ სიბრაზეს, - ჩემს მეგობარ კატას ვეუბნებოდი, რა უცნაურია, რომ ბოლოს,

როდესაც აქ ბიძია მუსტაფა იყო, დაბადებულიც კი არ იყავი და სახლს ფაშა მესამე მართავდა-მეთქი. ოცი წელია. უცნაური არ არის? ეგ კაცი ჩვენთან არასოდეს ჩამოსულა, ახლა კი იმის გამო, რომ ისევ გულითადად ვეგებებით, მის აშურეს ჩამჩით ვიღებ.

- ეგ კატა რას ამბობს? - იკითხა დეიდა ფერიდემ. ასიამ ღვარძლიანად გაიღიმა.

- ამბობს, რომ მართალი ვარ და, ალბათ, აქაურობა საგიჟეთია. არაფრის იმედი არ უნდა მქონოდა და ჩემს მანიფესტზე მუშაობა უნდა გამეგრძელებინა.

- რა თქმა უნდა, ბიძაშენს გულთბილად შევხვდებით. ოჯახი ოჯახია, მიუხედავად იმისა, მოგწონს თუ არა. ჩვენ გერმანელებს არ ვგავართ. შვილებს თოთხმეტი წლის ასაკში აგდებენ სახლიდან. ჩვენ მყარი ოჯახური ფასეულობები გვაქვს. წელიწადში მარტო ერთხელ არ ვიკრიბებით ინდაურის საჭმელად.

- რაზე ლაპარაკობ? - იკითხა დაბნეულმა ასიამ, მაგრამ ვიდრე შეკითხვის დასმას დაამთავრებდა, პასუხი ნაწილობრივ გამოიცნო, - ამერიკელების მადლიერების დღეს გულისხმობ?

- რაც არის, - ყური არ ათხოვა დეიდა ფერიდემ, - მე ვთვლი, რომ დასავლეთში მყარი ოჯახები არა აქვთ. ჩვენ სხვანაირები ვართ. თუ ადამიანი მამაშენია, ის სამუდამოდ არის მამაშენი; თუ ადამიანი ძმაა, ის ბოლომდე იქნება შენი ძმა. გარდა ამისა, ამ სამყაროში ყველაფერი ისედაც უცნაურია, - განაგრძო დეიდა ფერიდემ, - ამიტომაც მიყვარს ტაბლოიდების მესამე გვერდის კითხვა. ვჭრი და ვაგროვებ, რომ არ დაგვავიწყდეს, როგორი არანორმალური და საშიშია ეს სამყარო.

ასიას მანამდე არასოდეს მოესმინა, როგორ ცდილობდა დეიდამისი საკუთარი ქცევისათვის გონივრული ახსნის მოძებნას და ამიტომ გაცხოველებული ინტერესით მიაჩერდა ფერიდეს.

ისხდნენ მადის აღმძვრელი არომატებით გაჟღენთილ სამზარეულოში, ფანჯარაში კი მარტის მზე მოჩანდა.

ერთად ისხდნენ, ვიდრე დეიდა ფერიდემ არ გაიგონა, როგორ გამოაცხადა მისმა საყვარელმა ვი-ჯეიმ ახალი ჯგუფის კლიპები და სამზა-

რეულოდან არ გავიდა. ასიას ძალიან უნდოდა სიგარეტი. იმდენად სიგარეტი არ უნდოდა, რამდენადაც ალკოჰოლიკ კარიკატურისტთან ერთად მოწევა, თუმცა, გაკვირვებული კი იყო, ეს კაცი ასე ძალიან რომ მონატრებოდა.

სტუმრების აეროპორტიდან დაბრუნებამდე, სულ მცირე, ორი საათი ჰქონდა. ფიქრობდა, რომც დავიგვიანო, ვისთვის რა მნიშვნელობა ექნებაო?

რამდენიმე წუთში ასიამ კარი ნელა გაიხურა.

* * *

დეიდა ბანუმ კარის ხმა გაიგო, მაგრამ ვიდრე გასძახებდა, ასია უკვე გარეთ გასულიყო.

- რის გაკეთებას აპირებ, მბრძანებელო? - დაიყრანტალა ბატონმა სიმწარემ.

- არაფრის, - ჩურჩულით თქვა დეიდა ბანუმ, თან სარკიანი კამოდის უჯრაგამოაღო და რაღაც კოლოფი ამოიღო. ხავერდის ბუდეში ბროწეულის ფორმის გულსაბნევი იდო.

ბანუს, როგორც კაზანჯების ოჯახის უფროს შვილს, გულსაბნევი მამისაგან ერგო, რომელსაც ეს ნივთი დედისგან და არა დედინაცვლის, ანუ დიდედისაგან მიეღო მემკვიდრეობით; დედისგან, რომელზეც არასოდეს ლაპარაკობდა, რომელმაც ბავშვობაში მიატოვა და რომლისთვისაც არასოდეს უპატიებია. დეიდა ბანუს ეშინოდა, რომ ეს საოცარი გულსაბნევი ამავდროულად სევდისმომგვრელი რამ იყო. არავინ იცოდა, რომ ლალისმარცვლებიანი ბროწეულივით ოქროს გულსაბნევი ამ ამბის ჩამოსარეცხად დეიდა ბანუს ერთხელ მარილიან წყალში ჰქონდა ჩადებული.

ჯინი ფხიზლად ადევნებდა თვალს ბანუს. დეიდა ბანუმ გულსაბნევს ხელი გადაუსვა და ლალის თვლებში მოელვარე გრძნეულება იგრძნო. არმანუშთან შეხვედრამდე, არასოდეს მოსვლია აზრად ბროწეულივით გულსაბნევის ამბის გამოძიება. თუმცა, ახლა, როცა მთელი ისტორია იცოდა, ვერ გაეგო, მერე რა უნდა ექნა. ერთი სული ჰქონდა, გულსაბნევი არმანუშისათვის მიეცა, რადგან სწამდა, რომ ეს ნივთი ყველაზე

მეტად სწორედ მას ეკუთვნოდა, მაგრამ ორჭოფობდა - არ იცოდა, კონკრეტულად რითი უნდა აეხსნა ასეთი საჩუქარი.

შეიძლებოდა ამბის დანარჩენი ნაწილის მოყოლის გარეშე არმანუშ ჩახმახჩიანისათვის იმის თქმა, რომ გულსაბნევი ერთ დროს მის ბებიას, შუშანას ეკუთვნოდა? რა უნდაეთქვა იმათთვის, ვისი ამბავიც ჯადოქრობის დახმარებით გაეგო?

* * *

ორმოცი წუთის შემდეგ ქალაქის მეორე ბოლოში ასიამ კაფე „კუნდერას“ ჭრიალა, ხის კარი შეაღო.

- ეი, ასია! - მხიარულად დაიძახა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა, - აქეთ! აქ ვარ!

მხატვარი გოგონას მოეხვია, მერე კი, როდესაც ასიამ მის მკლავებს თავი დააღწია, შესძახა:

- ახალი ამბები მაქვს შენთვის: ერთი კარგი, ერთი ცუდი, ერთიც ჯერჯერობით გაურკვეველი. რომლით დავიწყო?

- ცუდით, - თქვა ასიამ.

- ციხეში მსვამენ. ალბათ, ნახატები, რომლებზეც პრემიერ-მინისტრი პინგვინს ჰგავს, ცუდად მიიღეს. რვათვიანი პატიმრობა მომისაჯეს.

ასია მხატვარს ჯერ გაოგნებული უყურებდა, ცოტა ხანში კი ძრწოლამ აიტანა.

- ჩუმად, საყვარელო, - მშვიდად ჩაიბუტბუტა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა და ასიას ტუჩებზე თითი დაადო, - კარგი ამბის მოსმენა არ გინდა? - ალკოჰოლიკი კარიკატურისტი სიამაყისგან გაიბადრა, - გადავწყვიტე, რომ ჩემს გულთან მართალი უნდა ვყოფილიყავი და ცოლს გავშორებოდი.

როცა მის სახეზე შეშფოთების კვალი გაუფერულდა, ასიამ, ბოლოს და ბოლოს, მოიფიქრა და მხატვარს ჰკითხა:

- ჯერჯერობით გაურკვეველი ამბავი?

- დღეს მეოთხე დღეა, რაც არ დამილევია. წვეთიც კი! იცი, რატომ?

- ალბათ, ისევ ანონიმური ალკოჰოლიკების საზოგადოებაში მიხვედი, - მიუგო ასიამ.

- არა! - სიტყვა გაწელა ალკოჰოლიკმა კარიკატურისტმა, თან ნაწყენს ჰგავდა, - იმიტომ, რომ დღეს მეოთხე დღეა მას შემდეგ, რაც ბოლოს გნახე და მინდოდა, როცა ისევ შეგხვდებოდი, ფხიზელი ვყოფილიყავი. ამ ცხოვრებაში შენ ერთადერთი სტიმული ხარ იმისთვის, რომ უკეთესი ადამიანი გავხდე, - ალკოჰოლიკი კარიკატურისტი გაწითლდა და გამოაცხადა, - სიყვარული! მიყვარხარ, ასია!

ასიამ მუქი თაფლისფერი თვალები კედელზე დაკიდებულ ჩარჩოს მიაპყრო. 1997 წელს, ქემელ-ტროფის დროს გადაღებული დაღარული გზის ფოტო იყო. იფიქრა, რა კარგი იქნებოდა, ახლა ამ სურათში რომ აღმოვჩნდებოდე, 4X4 „ჯიპით“ გობის უდაბნოს ვკვეთდე, ფეხზე მძიმე, ჭუჭყიანი ყელიანი წაღები მეცვას, მზის სათვალე მეკეთოს და სიარულისას ოფლს დარდს იმდენ ხანს ვატანდე, ვიდრე არარაობასავით, ქარში გამომშრალი ფოთოლივით მსუბუქი არ გავხდები და მონღოლეთის ერთ-ერთ ბუდისტურ მონასტერში არ გავჩნდებიო.

* * *

- პატარა ჩიტო, შენ ნუ დარდობ, - გაიღიმა ბროწეულის ხემ და ტოტებიდან თოვლი დაიბერტყა, - ამბავს, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, ბედნიერი დასასრული აქვს.

ჰოვანეს სტამბოლელმა ტუჩები მოკუმა. გაფაციცებული ფიქრობდა რაღაცაზე. წერის გრიგალმა გაიტაცა. ყოველ ახალ სტრიქონთან ერთად, რომელსაც თავისი საბავშვო წიგნის უკანასკნელ ამბავს ამატებდა, ორომტრიალით უკან აწყდებოდნენ წყება-წყება გაკვეთილები - ზოგი გულის გასატეხი, ზოგი ისეთი, ავტორის გუნებაზე მოყვანა რომ შეეძლო, მაგრამ ყველა მათგანი სხვა დროს ირეკლავდა, დროებას, რომელსაც არც დასაწყისი ჰქონდა, არც დასასრული.

საბავშვო მოთხრობები მსოფლიოს უძველესი ამბები იყო, რომლებშიც დიდი ხნის წინ გარდასულ თაობათა აჩრდილები სიტყვებით ლაპარაკობდნენ. ამ წიგნის დასრულების გაუცნობიერებელ სურვილს იმდენად გაეტაცებინა, რომ მისი მოთოკვა შეუძლებელი იყო. მას შემდეგ, რაც ამ წიგნის წერა დაიწყო, სამყარო მისთვის პირქუშ ადგილად გადაქცეულიყო და ახლა საქმეუხმაუროდ ისე უნდა დაესრულებინა,

თითქოს ამაზე იყო დამოკიდებული, გახდებოდა თუ არა სამყარო ნაკლებად გულშემზარავი.

- კეთილი, - დაიჟღურტულა პატარა დაკარგულმა მტრედმა, - მომიყევი პატარა დაკარგული მტრედის ამბავი, მაგრამ გაფრთხილებ, სევდიან რამეს თუ გავიგონებ, ფრთას ფრთას შემოვკრავ და გავფრინდები.

მას შემდეგ, რაც ჰოვანეს სტამბოლელი ჯარისკაცებმა წაიყვანეს, მისი ოჯახის წევრებს მწერლის კაბინეტში შესასვლელად გამბედაობა არ ჰყოფნიდათ. ყველა ოთახში შედიოდნენ და გამოდიოდნენ იმ ერთი ოთახის გარდა. კარი სულ დაკეტილი ჰქონდათ, თითქოს ოჯახის უფროსი უწინდებურად დღედაღამ შიგნით მუშაობდა.

სევდა, რომელიც მთელ სახლს მოსდებოდა, მეტისმეტად ძლიერი და საგრძნობი გამხდარიყო იმისათვის, რომ თავი მოგეკატუნებინათ, ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებაო. მალე არმანუშმა გადაწყვიტა, რომ ცოტა ხნით სივასში, მის მშობლებთან იქნებოდნენ და იქ ყველანი უკეთესად იგრძნობდნენ თავს. ჰოვანეს სტამბოლელის ოთახში მხოლოდ მას შემდეგ შევიდნენ, რაც სივასში წასვლა გადაწყვიტეს და იპოვეს დასამთავრებელი ხელნაწერი „პატარა დაკარგული მტრედი და ბედნიერი ქვეყანა“. ქაღალდებს შორის იყო ბროწეულის ფორმის გულსაბნევიც.

ბროწეულივით გულსაბნევი შუშანა სტამბოლელმა პირველად იქ ნახა, მამამისის კაკლის ხის საწერ მაგიდაზე. იმ დღესთან დაკავშირებული ყველა მოგონება გახუნდა, გარდა ამ გულსაბნევისა.

შეიძლება შუშანა ლალებიდან გამომკრთალმა ციალმა მოაჯადოვა, ან მხოლოდ ამ ერთადერთი რაღაცის გახსენება იმიტომ შეეძლო, რომ საკუთარი თვალით ნახა, როგორ დაემხო ირგვლივ ყველაფერი. რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, ბროწეულივით გულსაბნევი შუშანას არასოდეს დავიწყებია, - არც მაშინ, როდესაც ცოცხალ-მკვდარი დაეცა ალეპოსაკენ მიმავალ გზაზე და იქვედატოვეს, არც მაშინ, როცა თურქმა დედა-შვილმა იპოვა, თავის სახლში წაიყვანა და უმკურნალა, არც მაშინ, როდესაც ყაჩაღებმა წაიყვანეს ობოლთა თავშესაფარში, არც

მაშინ, როცა შუშანა სტამბოლელი აღარ იყო და შერმინ 626 გახდა, არც მაშინ, როდესაც წლების შემდეგ რიზა სელიმ კაზანჯი შემთხვევით წააწყდა ობოლთა თავშესაფარში და აღმოაჩინა, რომ მისი მასწავლებლის, ლევონის ძმისწული იყო და გადაწყვიტა, ცოლად ეთხოვა; არც მაშინ, როცა მეორე დღეს შერმინ კაზანჯი უნდა გამხდარიყო და არც მაშინ, როცა გაიგო, რომ ორსულად იყო და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ თავადაც ბავშვი იყო, დედა გახდებოდა.

ჩერქეზმა ბებიაქალმა ბავშვის სქესი მის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე იმის მიხედვით დაადგინა, თუ რა ფორმის მუცელი ჰქონდა დედას და როგორი საჭმელი უნდებოდა. ჩინებული საკონდიტროს კრემ-ბრიულე, ფენოვანი ცომის ვაშლიანი ღვეზელი რუსეთიდან გამოქცეული რუსი თეთრების საცხობიდან, შინაური ბაქლავა, კანფეტები და ყველანაირი ტკბილეული... შერმინ კაზანჯის ორსულობისას ერთხელაც არ უნატრია რამე მჟავე ან მარილიანი, რაც იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ გოგოს ელოდებოდა.

მართლაც ბიჭი იყო, მწუხარების დროს დაბადებული ბიჭი.

- დაე, უბოძოს ალაჰმა ჩემს ძეს იმაზე დიდი ხნის სიცოცხლე, ვიდრე ნებისმიერ მამაკაცს ჰქონია ამ ოჯახში, - თქვა რიზა სელიმ კაზანჯიმ, როდესაც ბებიაქალმა ახალშობილი მიაწოდა. მერე ტუჩებით ბავშვის მარჯვენა ყურს შეეხო და გამოუცხადა სახელი, რომელიც პატარას ამიერიდან უნდა ეტარებინა, - შენ დაგერქმევა ლევონი.

მასწავლებლის პატივისცემა, რომლისგანაც დიდი ქვაბების გაკეთების ხელოვნება ესწავლა, რიზა სელიმის არჩევანის ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა. იმედი ჰქონდა, ვაჟისათვის ლევონის დარქმევით ისლამზე მოქცევისათვის ცოლის წინაშეც მოიხდიდა ვალს.

ასე და ამგვარად შეარჩია რიზა სელიმ კაზანჯიმ სახელი ლევონი და როგორც პატიოსანმა მუსლიმანმა სამჯერ გაიმეორა: „ლევონ! ლევონ! ლევონ!“

ამ დროის განმავლობაში შერმინ კაზანჯი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადებული ქვასავით დუმდა.

დიდი დრო არ გასულა იქამდე, ვიდრე სამმაგი ექო ცოლქმარს უარ-ყოფითი შეკითხვის სახით ბუმერანგივით არ დაუბრუნდა.

- ლევონი? ეგ რა მუსლიმანური სახელია? არც ერთ მუსლიმან ბიჭს არ შეიძლება ასე ერქვას! - შეეწინააღმდეგა ბებიაქალი.

- ჩვენსას ერქმევა, - გამოცრა პასუხად სელიმ კაზანჯიმ. სულ ასე იცავდა ხოლმე თავს, - მე გადავწყვიტე. ლევონი იქნება!

თუმცა, როდესაც ბავშვის მოსახლეობის რეესტრში მიყვანის დრო დადგა, რიზა სელიმი მოლბა.

- რა ჰქვია ბიჭს? - იკითხა აყლაყუდა, ნერვიულმა კლერკმა ისე, რომ უზარმაზარი, ნაჭრისყდიანი რვეულიდან, წაბლისფერი ყუა რომ ჰქონ-და, თავი არ აუწევია.

- ლევონ კაზანჯი.

მოხელემ საკითხავი სათვალე ცხვირის ფუძემდე აიტანა და რიზა სე-ლიმ კაზანჯის დაჟინებული მზერა პირველად მიაპყრო.

- კაზანჯი მართლაც მშვენიერი გვარია, მაგრამ ლევონი სადაური მუსლიმანური სახელია?

- მუსლიმანური არ არის, მაგრამ ამის მიუხედავად კარგი კაცის სა-ხელია, - უპასუხა დაძაბულმა რიზა სელიმ კაზანჯიმ.

- ბატონო, - მოხელემ ხმას ოდნავ აუწია. იცოდა, რომ მედიდურად გამოუვიდოდა, - ვიცი, კაზანჯებს როგორი გავლენიანი ოჯახი აქვთ. სა-ხელი „ლევონი“ კარგს არაფერს მოგიტანთ. ამ სახელს თუ ჩავწერთ, თქვენს შვილს მომავალში შეიძლება პრობლემები ჰქონდეს. ყველას ეგონება, რომ ქრისტიანია, მიუხედავად იმისა, რომ ასი პროცენტით მუსლიმანია... თუ მეშლება?

- რა თქმა უნდა, არის, - უმალ შეუსწორა რიზა სელიმმა, - Elhamdülillah!

წამით იფიქრა, მოხელისათვის გაემხილა, რომ ბიჭის დედა ისლამ-ზე მოქცეული ობოლი სომეხი იყო და ეს ერთგვარი კეთილშობილური ჟესტი იქნებოდა მისთვის, მაგრამ შიგნიდან რაღაცამ უკარნახა, რომ ეს ამბავი არავისთვის ეთქვა.

- კეთილი, მაშინ იმ კარგი კაცის სრული პატივისცემით, რომლის სახელიც შვილს გინდათ დაარქვათ, მოდი, ოდნავ შევცვალოთ. თუ გნებავთ, „ლევონს“ მივამსგავსოთ, მაგრამ ამჯერად მუსლიმანური სახელი ავირჩიოთ. ლევენთზე რას იტყვით? - თავაზიანად დასძინა მოხელემ, მეტისმეტად თავაზიანად იმ განცხადებასთან შედარებით, რომლის გაკეთებასაც აპირებდა, - ან არა და, ვშიშობ, მის დარეგისტრირებაზე უარის თქმა მოგვიწევს.

ასე დაერქვა ლევენთ კაზანჯი წარსულის ჯერ ისევ მბჟუტავ ნაფერფლარზე დაბადებულ ბიჭს, ბიჭს, რომლის მამაზეც არავინ იცოდა, რომ ოდესღაც უნდოდა, შვილისთვის „ლევონი“ დაერქმია; ბიჭს, რომელიც ერთ დღეს დედამ მიატოვა და პირქუში და ღვარძლიანი გაიზარდა, ბიჭს, რომელიც საშინელი მამა იყო შვილებისთვის.

მოინდომებდა თუ არა ოდესმე შერმინ კაზანჯი ქმარ-შვილის მიტოვებას, რომ არა ბროწეულივით გულსაბნევი, ძნელი სათქმელია. ქმარ-შვილით დაიწყო მისი ახალი, ოჯახური ცხოვრება, რომელშიც მხოლოდ ერთი მიმართულებით უნდა ევლო. მომავალი რომ ჰქონოდა, უწარსულო ქალად უნდა ქცეულიყო. მისი ბავშვობა არაფერი იყო, გარდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონებებისა, ჩიტების საკენკად დაყრილ პურის ნამცეცებს რომ ჰგავდა, თუმცა, თავადვერასოდეს შეძლებდა იმავე გზით უკან დაბრუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობის უძვირფასესი მოგონებებიც კი, ბოლოს და ბოლოს, გაქრა, გულსაბნევს ღრმად გაედგა ფესვები მის მეხსიერებაში. წლების შემდეგ, როდესაც მის კართან ამერიკიდან მოსული ვიღაც კაცი გამოჩნდა, სწორედ ამ გულსაბნევმა მიახვედრა, რომ ეს უცხო ადამიანი სხვა არავინ იყო, თუ არა მისი ძმა.

იდგა შერმინის სახლის კართან იერვანთ სტამბოლელი. სქელი, შავი წარბები კიდევ უფრო მეტად უსვამდა ხაზს მის ნათელ თვალებს. წამახული ცხვირი ჰქონდა. ნიკაპამდე ჩამოზრდილი ხშირი ულვაშის გამო იფიქრებდით, მაშინაც კი იღიმება, როცა რაღაცაზე ჯავრობსო. ხმა უკანკალებდა და სიტყვები არ ჰყოფნიდა, ისე გამოუცხადა დას საკუთარი ვინაობა, მერე კი თურქულ-სომხურად უთხრა, რომ მთელი ამერი-

კიდან გამოევლო გზა მის საპოვნელად. ძალიან უნდოდა, დას იქვე, მაშინვე მაგრად მოხვეოდა, მაგრამ იცოდა, რომ ის ახლა გათხოვილი მუსლიმანი ქალი იყო.

ზღურბლთან იდგა. სტამბოლის ნიავი მათ ირგვლივ ტრიალებდა და წამით მოეჩვენათ, რომ მათთვის დრო გაჩერდა.

მას შემდეგ, რაც ერთმანეთს თითო-ოროლა სიტყვა უთხრეს, იერვანთ სტამბოლელმა შერმინ კაზანჯის ორი რამ მისცა - ოქროს ბროწეულივით გულსაბნევი და დრო მოსაფიქრებლად.

დაბნეულმა და გაოგნებულმა შერმინმა კარი დახურა და ზეშთაგონებას დაელოდა. უნდოდა, ფიქრში ჩაძირულიყო. მის გვერდით იატაკზე უსაზღვროდ მონდომებული ლევენთი დაბობღავდა და ტიტინებდა.

შერმინმა სწრაფად მიაშურა თავის ოთახს და გულსაბნევი ტანსაცმლის კარადის ერთ-ერთ უჯრაში დამალა. უკან დაბრუნებული ახალფეხადგმულ ბავშვს წაადგა თავს. ლევენთი იცინოდა. ის-ის იყო, ფეხზე დადგომა მოეხერხებინა.

პატარა მთელი წამი იდგა ასე, მერე ერთი ნაბიჯი გადადგა, მერე მეორე და მოწყვეტით დაეცა საჯდომზე. თვალებში პირველი ნაბიჯებით გამოწვეული შიშნარევი სიხარული უელავდა. უეცრად უკბილო ბიჭუნამ ერთბაშად გაიღიმა და წამოიძახა: „დე-და!“

მთელ სახლს იშვიათი, თითქმის აჩრდილებრივი ნათება მოედო. შერმინ კაზანჯიმ გაოცებას თავი დააღწია და გულში გაიმეორა: „დე-და!“

ეს ლევენთის ბაგეთაგან ნათქვამი მეორე სიტყვა იყო, მას შემდეგ, რაც ერთხანს „დე-დას“ თქმას ცდილობდა, ბოლოს კი წინადღით „ბა-ბა“ თქვა. ახლა კი მიხვდა შერმინი, რომ მის ვაჟს სიტყვა „მამა“ თურქულად წარმოეთქვა, „დედა“ კი - სომხურად.

გარდა იმისა, რომ თავად უნდა დაევიწყებინა ენა, რომელიც ოდესღაც ასე ძვირფასი იყო მისთვის, ახლა ვალდებული იყო, თავისი ვაჟისთვისაც ესწავლებინა. როგორ უნდა გაეკეთებინა ეს?! საგონებელში ჩავარდნილი, შეფიქრიანებული შერმინი ბავშვს მიაჩერდა. არ უნდოდა, „დე-და“ გაესწორებინა და მის ნაცვლად იმავე მნიშვნელობის თურქუ-

ლი სიტყვა ეთქვა. მეხსიერებაში წინაპართა შორეული სახეები მკაფიოდ გამოისახნენ. ახალ სახელს, სარწმუნოებას, ეროვნებას, ოჯახსა და ახალ რაობას, რომლებიც შერმინს შეეძინა, ვერაფრით დაეპყრო ახალგაზრდა ქალის ნამდვილი „მე“. ბროწეულივით გულსაბნევი მის სახელს ჩურჩულებდა და ეს სახელი სომხური იყო.

შერმინ კაზანჯიმ შვილი გულში ჩაიკრა და იმდენი მოახერხა, რომ მთელი სამი დღის განმავლობაში გულსაბნევზე არ უფიქრია. აი, მესამე დღეს კი,თითქოს მანამდე მისი გონება რაღაცაზე ისე ფიქრობდა და გულიც რაღაცის გამო ისე სტკიოდა, რომ თავადაც არ იცოდა, შერმინმა უჯრასთან მიირბინა. მაგრად ეჭირა ხელისგულებს შორის გულსაბნევი - მის სითბოს გრძნობდა.

ლალი გამორჩეული, ცეცხლივით წითელი ფერის გამო ცნობილი ძვირფასი ქვაა. ლალისთვის ფერის შეცვლა მისთვის ჩვეულებრივი რამ არის - შიგნიდან სულ უფრო მუქდება და მუქდება, მით უფრო, მაშინ, როდესაც პატრონი განსაცდელშია.

არსებობს ლალის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც სპეციალისტები „მტრედის სისხლს“ უწოდებენ. სისხლისფერ ლალს სილურჯე დაჰკრავს, თითქოს ეს ფერი ქვის სიღრმეში იყოს ჩაკარგული. ასეთი ლალი გახლდათ - უკანასკნელი მოგონება წიგნიდან „პატარა დაკარგული მტრედი და ბედნიერი ქვეყანა“, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობდა მასში. ვიდრე მესამე დღე დადგებოდა, შერმინ კაზანჯიმ ნასადილევს დრო იხელთა, თავის ოთახში შეიპარა და განმარტოვდა. ნუგეშის ძიებაში, რომელსაც ვერავისგან მიიღებდა, შერმინი „მტრედის სისხლს“ დააჩერდა.

მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა, რა გაეკეთებინა.

კვირის თავზე, კვირა დილით, შერმინ კაზანჯი ნავსადგურში წავიდა, სადაც ძმა გულის ფანცქალითა და ამერიკაში წასასვლელი ორი ბილეთით ელოდა. ჩემოდნის მაგივრად შერმინს ერთი პატარა ჩანთა ჰქონდა.

ყველაფერი დაეტოვებინა, რაც ჰქონდა. ბროწეულივით გულსაბნევი კი კონვერტში ჩაედო წერილთან ერთად, რომელშიც თავისი მდგო-

მარეობის შესახებ წერდა და ქმარს ორ რამეს სთხოვდა: მიეცა მათი ვაჟისთვის გულსაბნევი, როგორც სახსოვარი დედისაგან და ეპატიებინა მისთვის.

* * *

როცა თვითმფრინავი სტამბოლში დაეშვა, როუზი ღონეგამოცლილი იყო. შეშუპებული ფეხები ფრთხილად აამოძრავა, - ეშინოდა, ფეხსაცმელში აღარ ჩამეტევაო, თუმცა, დონა კარანის ნარინჯისფერი ტყავის მოხერხებული ფეხსაცმელი კი ეცვა. ფიქრობდა, როგორ ძლებენ ეს ბორტგამცილებელი გოგოები ფრენისას მთელ დღეს ქუსლიანებზეო.

პასპორტებში ბეჭდის ჩასარტყმელად, საბაჟოზე გასასვლელად, ტვირთის ასაღებად, ფულის გადასაცვლელადდა ავტოგაქირავების მოსაძებნად მუსტაფასა და როუზს ნახევარი საათი დასჭირდათ. მუსტაფა თვლიდა, რომ უკეთესი იქნებოდა, ცალკე მანქანით თუ წავიდოდნენ და არა ოჯახთან ერთად.

თავიდან როუზმა ბროშურიდან სრულამძრავიანი „გრანდჩეროკი“ აირჩია, მაგრამ მუსტაფამ სტამბოლის გადაჭედილი ქუჩებისთვის რამე უფრო პატარა ურჩია. „ტოიოტა კოროლაზე“ შეთანხმდნენ.

ცოტა ხანში ორივე გამოვიდა ჩამოსული მგზავრებისათვის განკუთვნილი ზონიდან. შესაფერისი ზომის ბარგით დატვირთულ ურიკას აწვებოდნენ. გარეთ ნახევარწრეში მდგომ უცხო ადამიანებს წააწყდნენ. მათ შორის პირველი არმანუში შენიშნეს. გოგონა იღიმებოდა და ხელს უქნევდათ. არმანუშის გვერდით ბებია გულსუმი იდგა. მარჯვენა ხელს გულზე იჭერდა და ლამის იყო, აღელვებისგან შეღონებულიყო. მათგან ერთი ნაბიჯით უკან მუქი იისფერმინებიანი სათვალით გულგრილად იდგა დეიდა ზელიჰა.

17

თეთრი ბრინჯი

სტამბოლში ჩასულმა როუზმა და მუსტაფამ პირველი ორი დღე ჭამაში გაატარეს. კაზანჯების ოჯახის სხვადასხვა წევრის აქეთ-იქიდან დასმული კითხვების ნიაღვარს სუფრასთან პასუხობდნენ: როგორ ცხოვრობდნენ ამერიკაში? მართლა იყო არიზონაში უდაბნო? მართალი იყო თუ არა, რომ ამერიკელებს სწრაფი კვების პროდუქციის უზარმაზარი ულუფებით მარტო იმისთვის გაჰქონდათ თავი, მერე სატელევიზიო შეჯიბრებაში დიეტაზე რომ დამსხდარიყვნენ? ჯობდა თუ არა „ახალბედას“ ამერიკული ვერსია თურქულს? და ა. შ. მერე უფრო პირადი ხასიათის კითხვების ნაკადი წამოვიდა: რატომ არ ჰყავდათ საერთო შვილი? რატომ არ ჩამოსულიყვნენ სტამბოლში მანამდე? უფრო დიდი ხნით რატომ არ რჩებოდნენ? რა-ტომ?

ამ კითხვებზე ცოლ-ქმარს სხვადასხვანაირი რეაქცია ჰქონდა. როუზს, თავის მხრივ, დაკითხვის საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, მოსწონდა, ყურადღების ცენტრში რომ იყო. რაც შეეხება მუსტაფას, გაუთავებლად დუმდა და სულ უფრო და უფრო იკუნტებოდა.

მუსტაფა ცოტას ლაპარაკობდა და დროის უმეტეს ნაწილს თანაბრად კონსერვატიული და პროგრესული თურქული გაზეთების კითხვაში ატარებდა. თითქოს ცდილობდა, ფეხი აეწყო ქვეყნისთვის, რომელიც თავად დატოვა. დროდადრო ხან ამ პოლიტიკოსზე იკითხავდა რაღაცას, ხან იმაზე. პასუხი ვინც იცოდა, ის უპასუხებდა. ყოველთვის დიდი მონდომებით კითხულობდა გაზეთებს, მაგრამ პოლიტიკა ასე ძალიან არასოდეს აინტერესებდა.

- ესე იგი, კონსერვატიული პარტია, ხელისუფლებაში რომ არის, სისხლისგან იცლება. მოახლოებული არჩევნების მოგების რა შანსი აქვთ?

- თაღლითები! ერთი მუჭა მატყუარები არიან, - დაიბუზღუნა ბებია გულსუმმა იმის მაგივრად, რომ მუსტაფასთვის პასუხი გაეცა. კალთაში

სინი ედო, რომელზეც უმი ბრინჯის გროვა იდგა. ვიდრე მოამზადებდა, ბებია გულსუმი ბრინჯს აურევდა, ვაითუ შიგნით ქვები ან ქუჩუბოები იყოსო, - ხალხისთვის დაპირებების მიცემის მეტი არაფერი იციან, თავიანთი ნათქვამი კი მაშინვე ავიწყდებათ, როგორც კი აირჩევენ.

მუსტაფა ფანჯარასთან სავარძელში იჯდა. სახეს გაზეთი უფარავდა, ისე ახედა დედამისს.

- ოპოზიციაში რომ არის, იმ პარტიაზე რას იტყვი? სოციალ-დემოკრატებზე? - იკითხა მუსტაფამ.

- სულერთია, - უპასუხა ბებია გულსუმმა, - ყველანი ერთი მუჭა მატყუარები არიან. ყველა პოლიტიკოსი გაფუჭებულია.

- პარლამენტში მეტი ქალი რომ გვყოლოდა, საქმე სხვანაირად იქნებოდა, - შეუერთდა დედა-შვილს დეიდა ფერიდეც. ტანთ როუზის ნაჩუქარი მაისური ეცვა წარწერით: „I ლოVე აღIძონა“.

- დედა მართალია. მე რომ მკითხო, ამ ქვეყანაში ერთადერთი სანდო ინსტიტუტი ყოველთვის ჯარი იყო, - თქვა დეიდა ჯევრიემ.

- მადლობა ღმერთს, რომ თურქული არმია გვყავს. ის რომ არა...

- ჰო, მაგრამ ქალებს ჯარში სამსახურის უფლებას უნდა გვაძლევდნენ, - ჩაერია დეიდა ფერიდე, - პირადად მე იმწუთას წავიდოდი.

ასია როუზისა და არმანუშისათვის თარგმნას შეეშვა. დედა-შვილი მასთან ახლოს იჯდა. ორივემ ჩაიხითხითა, როდესაც გოგონამ ინგლისურად თქვა: „ჩემი ერთ-ერთი დეიდა ფემინისტია, მეორე - შეუპოვარი მილიტარისტი! ერთმანეთს კი ისე კარგად ეწყობიან. რა საგიჟეთია!“

ბებია გულსუმი ვაჟიშვილს მიუბრუნდა. უცებ რაღაცამ დააფიქრა.

- შენ რას იტყვი, ძვირფასო? როდის უნდა მოიხადო სამხედრო ვალდებულება?

ბებიას ნათქვამი უმალ გადათარგმნეს. შეჭირვებული როუზი ქმარს მიუბრუნდა და თვალები დაახამხამა.

- ჩემზე არ იდარდო, - თქვა მუსტაფამ, - იმ შემთხვევაში, თუ გადასახადს გადავიხდი და ვაჩვენებ, რომ ამერიკაში ვცხოვრობ და ვმუშაობ, სრულვადიანი სამხედრო სამსახურის მოხდა არ მომიწევს. დაწყებით სამხედრო მომზადებას გავივლი და ეგ იქნება. ერთი თვე და მორჩა...

- კი, მაგრამ ვადა არ გასდის? - იკითხა ვიღაცამ.

- გასდის, - მიუგო მუსტაფამ, - ეს მომზადება ორმოცდაერთ წლამდე უნდა გაიარო.

- მაშინ ეს წელს უნდა გააკეთო, - თქვა ბებია გულსუმმა, - ახლა ორმოცის ხარ...

დეიდა ზელიჰამ, რომელიც მაგიდის ბოლოში იჯდა და ფრჩხილებს მბზინავი ალუბლისფერი ლაქით იღებავდა, თავი ასწია და მუსტაფას მზერა ესროლა. მერე კი დაისისინა:

- რა საბედისწერო ასაკია. მამაშენიც ამ ასაკში მოკვდა, ზუსტად ისე, როგორც მამამისი და ბაბუამისი... გვარიანად უნდა ნერვიულობდე, ორმოცის რომ ხარ, ჩემო ძმაო... სიკვდილთან ისე ახლოს ხარ...

ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ასიამ უნებურად შიში იგრძნო.

- როგორ ელაპარაკები? - ბებია გულსუმი ფეხზე წამოდგა, ბრინჯიანი სინი ისევ ხელში ეჭირა.

- ვისაც რაც მინდა, იმას ვეტყვი, - მხრები აიჩეჩა დეიდა ზელიჰამ.

- თავს მჭრი! გაეთრიე, ქალბატონო, - მკვახედ თქვა ბებია გულსუმმა. ხმადაბლა და მკაცრად ლაპარაკობდა, - გაეთრიე ჩემი სახლიდან, ახლავე.

ზელიჰას ორი ფრჩხილი ჯერ კიდევ შეუღებავი ჰქონდა. ფუნჯი ბოთლშიჩატოვა, სკამი უკან გასწია და ოთახიდან გავიდა.

* * *

მესამედღეს მუსტაფა ოთახიდან არ გამოსულა. შეუძლოდ ყოფნას იმიზეზებდა - ამცივნებდა და ამის გამო არა მარტო ძალ-ღონე ჰქონდა გამოცლილი, არამედ ლაპარაკიც არ შეეძლო. მეტისმეტად წყნარი გამხდარიყო.

მიუხედავად იმისა, რომ არც მთვრალი იყო, არც ნამტირალევი, მუსტაფას სახე დაბრეცოდა, პირი გაშრობოდა და თვალებში სისხლი მოსწოლოდა. ზედიზედ რამდენიმე საათის განმავლობაში გარინდებული გულაღმა იწვა ლოგინში და ჭერზე გაჩენილ ჭუჭყისა და მტვრის ძლივს შესამჩნევ მაქმანებს აკვირდებოდა. ამასობაში როუზი, არმანუ-

ში და სამი დეიდა სტამბოლის ქუჩებში დასეირნობდნენ, ძირითადად, სავაჭრო ცენტრების მიმდებარე ქუჩებში დადიოდნენ.

იმ ღამით დასაძინებლად ჩვეულებრივზე ადრე დაწვნენ.

- გენაცვალე, როუზ, - ჩურჩულით უთხრა მუსტაფამ ცოლს, თან ღია ჩალისფერ თმაზე ხელი გადაუსვა. ცოლის სწორი, ქერა, პრიალა თმა ყოველთვის ამშვიდებდა და სათუთად იცავდა შავთმიანი ოჯახისა და შავთმიანი წარსულისგან. როუზი მუსტაფას მოპირდაპირე მხარეს იწვა. ისეთი თბილი და რბილი სხეული ჰქონდა, - როუზ, საყვარელო, უკან უნდა დავბრუნდეთ. მოდი, ხვალ გავფრინდეთ.

- გაგიჟდი? დღე და ღამე ჯერაც არეული მაქვს, - დაამთქნარა როუზმა და მტკივანი კიდურები გაჭიმა. ატლასის ნაქარგებიანი ღამის პერანგი ეცვა, იმ დღეს რომ ეყიდა „გრანდ-ბაზარში". ფერმკრთალი და დაღლილი ჩანდა, მაგრამ ეს დღისა და ღამის არევაზე მეტად საყიდლებზე გაშმაგებული სიარულის ბრალი უფრო იყო, - ასე რატომ ნერვიულობ? არ შეგიძლია ერთი-ორი დღე შენს ოჯახს უყურო?

როუზმა რბილი გადასაფარებელი ნიკაპამდე აიტანა და ლოგინის სითბოში მუსტაფას მკერდით მიეკრა. მერე ხელზე ისე მოეფერა, თითქოს პატარა ბიჭის მოთაფვლას ცდილობდა. გაუბედავად აკოცა კისერზე. სცადა, დაემშვიდებინა, მაგრამ როდესაც მოცილება დააპირა, აღმოჩნდა, რომ ვნებას მოწყურებულ მუსტაფას მეტი უნდოდა.

- ყველაფერი რიგზეა, - თქვა როუზმა, სხეული დაეძაბა და სუნთქვა გაუხშირდა, მაგრამ მალევე დაცხრა, - ისე დავიღალე. მაპატიე, ძვირფასო... კიდევ ხუთი დღეც და, სახლში წავალთ, - ამ სიტყვებით როუზმა ლამპა გამორთო, გვერდით რომ ედგა, და რამდენიმე წამში ჩაეძინა კიდეც.

იწვა სუსტი სინათლის ფონზე ერექციისგან ჭკუადაკარგული მუსტაფა და იმედგაცრუებული და დაძაბული ჩანდა. თვალებს ძლივს ახელდა, მაგრამ დაძინებას ვერ ახერხებდა.

გარინდებული იქამდე იწვა, ვიდრე კარზე დაკაკუნების ხმა არ გაიგონა.

- დიახ.

თვალის დახამხამებაზე ოდნავ მეტი დრო გავიდა და ოთახში დეიდა ბანუმ შემოყო თავი.

- შეიძლება შემოვიდე? - გაუბედავად, ხმადაბლა იკითხა ბანუმ და მიაყურადა. ჩათვალა, რომ შესვლა შეიძლებოდა და ფეხშიშველმა ოთახში დაგებული ხაოიანი ნოხი ფრთხილად გაიარა. ფეხები ნოხში ეფლობოდა. მერე გაჩერდა. ბანუს წითელი თავშალი ისე ელვარებდა, თითქოს რაღაცნაირი იდუმალი სინათლით ყოფილიყოს განათებული. შეშუპებული და ჩაშავებული თვალის უპეების გამო დეიდა ბანუ აჩრდილს ჰგავდა, - მთელი დღე არ ჩამოსულხარ. უბრალოდ მინდოდა, დამეხედა, - ჩურჩულით თქვა ბანუმ, თან როუზს არ აშორებდა თვალს, რომელსაც ბალიში მკლავებს შორის მოექცია და საწოლის მეორე მხარეს ეძინა.

- კარგად არ ვიყავი, - მუსტაფამ დას შეხედა, მერე კი უმალ აარიდა თვალი.

- აი, ძმაო, - თქვა ბანუმ და მუსტაფას ბროწეულის მარცვლებით მორთული აშურეს ფიალა მიაწოდა, - იცი, დედამ უზარმაზარი ქვაბით მოგიმზადა აშურე, - სერიოზულ სახეზე ბანუს ღიმილი დაეფინა, - დედას ნახელავია, მაგრამ ფიალები მე მოვრთე.

- გმადლობ, რა კეთილი ხარ, - ენის ბორძიკით თქვა მუსტაფამ, თან ზურგში ჟრუანტელმა დაუარა. უფროსი დის ყოველთვის ეშინოდა. მუსტაფამ ის ხმაც დაკარგა, მანამდე რომ შერჩენოდა, როდესაც დეიდა ბანუს გამომცდელი მზერა იგრძნო.

მიუხედავად იმისა, რომ ბანუს სხვების განსჯა სჩვეოდა, თავად ყოველთვის იდუმალებით იყო მოცული. დეიდა ბანუ როუზის სრული ანტიპოდი იყო - გამჭვირვალობა არ გახლდათ მისი ერთ-ერთი ღირსებათაგანი. თუ გნებავთ, ბანუ დაშიფრული ანბანით დაწერილ იდუმალ წიგნსაც კი ჰგავდა.

როგორც უნდა ეცადა მუსტაფას უფროსი დის ზრახვების გამოცნობა, მისი დანისლული გამომეტყველების ამოხსნას ვერასოდეს შეძლებდა. მიუხედავად ამისა, მუსტაფამ ბანუს აშურეს ფიალა გამოართვა და შეეცადა, მადლიერ ადამიანს დამგვანებოდა.

უძირო, მტანჯველი სიჩუმე ჩამოვარდა. არასოდეს ყოფილა სიჩუმე მუსტაფასთვის ასეთი აუტანელი. თითქოს სიჩუმემ შეაწუხაო, როუზი ლოგინში გადაბრუნდა, მაგრამ არ გაუღვიძია.

მუსტაფას ცხოვრებაში ბევრჯერ ყოფილა მომენტი, როდესაც ერთბაშად მოუნდებოდა ხოლმე ცოლისთვის ეთქვა, მხოლოდ ის არა ვარ, რასაც ხედავო, თუმცა, იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც უწარსულო მამაკაცს,დახვეწილ თვითაღკვეთას განასახიერებდა. მუსტაფას ამნეზია წინასწარმოფიქრებული კი იყო, მაგრამ შედეგზე გათვლილი არ ეთქმოდა.

ერთი მხრივ, სადღაც მუსტაფას გონებაში იყო კარიბჭე, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დაიკეტებოდა. ზოგიერთი მოგონება ყოველთვის ახერხებდა ამ კარიბჭის გავლით თავის დახსნას;მეორე მხრივ, ძალიან უნდოდა ხოლმე ამოექექა ყველაფერი, რაც მის გონებას მარჯვედ გაესწორებინა მიწასთან.

ეს წყვილი დინება მთელი ცხოვრების განმავლობაში მუდამ თან ახლდა მუსტაფას. ახლა, როცა ბავშვობის დროინდელ სახლში დაბრუნებული უფროსი დის გამჭოლ მზერას იტანდა, მუსტაფამ იცოდა, რომ ერთ-ერთ დინებას ძალა უნდა დაეკარგა. იცოდა, სახლში უფრო დიდხანს თუ დარჩებოდა, რაღაცები გაახსენდებოდა და ყოველი მოგონება მომდევნოს მოიყოლებდა თან. ჯადო, რომელიც მუსტაფას წლების განმავლობაში იცავდა საკუთარი მეხსიერებისაგან, მაშინვე დაიმსხვრა, როგორც კი ამ კაცმა ფეხი შედგა ბავშვობის დროინდელ სახლში. როგორ უნდა შეეფარებინა თავი გამოგონილი ამნეზიისთვის?

- რაღაც უნდა გკითხო, - ძლივს ამოისუნთქა მუსტაფამ.

ისე მძიმედ სუნთქავდა, თითქოს პატარა ბიჭი იყო და ვიღაც უტყაპუნებდა.

ტყავის ქამარი სპილენძის ბალთით. ბავშვობაში მუსტაფა იმით ამაყობდა, რომ არასოდეს ტიროდა, ერთი ცრემლიც კი არ ჩამოუვარდებოდა, როცა მამიკო ტყავის ქამარს მოიხსნიდა ხოლმე. ცრემლების მართვა კი ისწავლა, მაგრამ სულის ხუთვას ვერასოდეს მალავდა. რო-

გორ ეჯავრებოდა ეს სულის ხუთვა - სიცოცხლისთვის, ადგილისთვის, სიყვარულისთვის ბრძოლა.

მუსტაფა ცოტა ხანს დუმდა, თითქოს აზრების მოკრებას ცდილობდა.

- კარგა ხანია ერთი რაღაც არ მაძლევს მოსვენებას... - მუსტაფას სხვა მხრივ მშვიდ ხმას ოდნავი შიში ეტყობოდა. მთვარის შუქი ფარდებში აღწევდა და თურქულ ხალიჩაზე პაწაწინა წრეს ქმნიდა. მუსტაფა ამ წრეს მიაჩერდა და იკითხა, - სად არის ასიას მამა? - მიუბრუნდა მუსტაფა უფროს დას. უნდოდა, მისი სახის გამომეტყველება დაეჭირა, მაგრამ ბანუ თავს სწრაფად მოერია, - როცა გერმანიაში შევხვდით, დედამ მითხრა, რომ ზელიჰას ბავშვი ჰყავდა იმ კაცისგან, ვისზეც ცოტა ხანს იყო დანიშნული. თქვა, რომ იმ კაცმა მიატოვა.

- დედამ მოგატყუა, - შეაწყვეტინა ბანუმ, - რაღა მნიშვნელობა აქვს? ასია ისე გაიზარდა, რომ მამა არ უნახავს. არ იცის, ვინ არის. არც ოჯახში იცის ვინმემ, - ჩქარ-ჩქარა დაამატა ბანუმ, - რა თქმა უნდა, ზელიჰას გარდა.

- არც შენ? - უნდობლად იკითხა მუსტაფამ, - გამიგია, რომ ნამდვილი წინასწარმეტყველი ხარ. ფერიდე ამბობს, რომელიღაც ცუდი ჯინები დაგიტყვევებია და რაც გჭირდება, ყველაფერს მათგან იგებ. საიდან აღარ მოდიან შენთან კლიენტები და ახლა ცდილობ, მითხრა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ამბის შესახებ არაფერი იცი? შენს ჯინებს არაფერი უთქვამთ?

- მითხრეს, - გაუმხილა მუსტაფას ბანუმ, - ნეტავი არ ვიცოდე, რაც ვიცი.

როგორც კი ეს სიტყვები მოისმინა, მუსტაფას გულისცემა გაუხშირდა და გახევებულმა თვალები დახუჭა, მაგრამ დახუჭული თვალებითაც ხედავდა ბანუს გამჭოლ მზერას. სიბნელეში ავის მომასწავებლად ელვარებდა წყვილი, ძალიან ჩაცვენილი თვალიც. ნეტავ ბანუს ბოროტი ჯინი თუ იყო? მაგრამ ეს ყველაფერი სიზმარი უნდა ყოფილიყო, რადგან, როდესაც მუსტაფა კაზანჯიმ თვალები გაახილა, ის და მისი ცოლი ოთახში ისევ მარტონი იყვნენ.

და მაინც, საწოლის გვერდით მუსტაფას აშურეს ფიალა ელოდა. ფიალას დაჟინებით დააცქერდა და უცებ მიხვდა, რისთვის დაედოთ თასი მის საწოლთან და რის გაკეთებას სთხოვდნენ. არჩევანი მასზე იყო... მუსტაფას მარცხენა ხელზე. მუსტაფამ მარცხენა ხელს გახედა, ფიალის გვერდით რომ ჩამოედო. გაეღიმა, ისეთი ძლიერი ხელი ჰქონდა. ახლა მისი ხელი ან აიტაცებდა ამ ფიალას, ან მოისვრიდა. თუ მეორე ვარიანტს აირჩევდა, მომდევნო დღეს კიდევ ერთხელ გაიღვიძებდა სტამბოლში და საუზმეზე ბანუს შეხვდებოდა - წინაღამით მომხდარ გაცვლა-გამოცვლაზე არ ილაპარაკებდნენ და თავს მოიკატუნებდნენ, თითქოს ეს აშურე არც არასოდეს მოემზადებინათ, არც არასოდეს მიერთმიათ ვინმესთვის. პირველ ვარიანტს თუ აირჩევდა, ყველაფერი შეიცვლებოდა. რაკი კაზანჯის გვარის მამაკაცებისთვის დადგენილი ასაკობრივი ზღვრისთვის მიეღწია, სიკვდილი მაინც ახლოს იყო, - ცხოვრების ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთი დღით მეტი იქნებოდა თუ ნაკლები. მუსტაფას ქვეცნობიერი ერთ ძველ ამბავს ირეკლავდა, ამბავს კაცისა, რომელიც სიკვდილის ანგელოზისაგან თავის დახსნის იმედით ქვეყნის დასალიერამდე მხოლოდ იმიტომ მისულიყო, რომ ანგელოზს იქ გადაჰყროდა, სადაც მათი შეხვედრა თავიდანვე იყო განსაზღვრული.

სიკვდილ-სიცოცხლეს შორის არჩევანზე მეტად საკუთარ ნებას დამორჩილებულსა და უეცარ სიკვდილს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი. ასეთი ოჯახური მემკვიდრეობის პატრონი მუსტაფა დარწმუნებული იყო, ასე თუ ისე, მაინც მალე მოკვდებოდა. ახლა მის ხელს, დასაძრახ მარცხენა ხელს, შეეძლო, გადაეწყვიტა, როგორ და როდის.

ქაღალდის პატარა ნაგლეჯი გაახსენდა, ელ-ტირადიტოს აკლდამის ქვის კედელში რომ გაეჩხირა, - „მაპატიე, - დაეწერა მუსტაფას ქაღალდის ნაგლეჯზე, - წარსული უნდა წარხოცილიყო, რომ მეარსება“.

ახლა თავს ისე გრძნობდა, თითქოს წარსული ბრუნდებოდა და იმისთვის, რომ წარსულს ეარსება, თავად მუსტაფა უნდა წარხოცილიყო.

წლების განმავლობაში სულისშემძვრელი სინდისის ქენჯნა ღრღნიდაშიგნიდან, ცოტ-ცოტად, ისე, რომ გარედან ფასადი არ დანგრეულიყო. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა ბრძოლა ამნეზიასა და მეხსიერებას შორის, ისევე, როგორც თვალის მისაწვდენ მანძილზე გადაშლილი ზღვის აბრაზიულ ნაპირზე მიქცეული წყლის ზედაპირზე აქა-იქ ჩნდებოდნენ მშფოთვარე წარსულის მოგონებები?!

მუსტაფა აშურეს მისწვდა. შეგნებულად, გაცნობიერებულად დაიწყო ჭამა. ცოტ-ცოტას ჭამდა და ყოველ ლუკმაზე ტკბებოდა ყველაფრის გემოთი, რაც კი აშურეში იყო.

გულზე ისე მოეშვა, ერთდროულად რომ უღალატა წარსულსაც და მომავალსაც. გულზე ისე მოეშვა, ცხოვრებას რომ უღალატა. რამდენიმე წამში, მას შემდეგ, რაც აშურე გაათავა, მუცელში ისეთი მწვავე სპაზმური ტკივილი იგრძნო, რომ სუნთქვა შეეკრა. კიდევ ორი წუთიც და, სუნთქვა საერთოდ შეწყდა.

ასე მოკვდა მუსტაფა კაზანჯი ორმოცი წლისა და ცხრა თვის ასაკში.

კალიუმციანიდი

ცხედარი დაფნის საპნით განბანეს. ამბობენ, სამოთხეში რომ საძოვრებია, ისინიც დაფნის საპონივით სურნელოვანი, სუფთა და მწვანეაო. გახეხილ-გაწმენდილი და გარეცხილი შიშველი ცხედარი გასაშრობად მეჩეთის ეზოში ბრტყელ ქვაზე დატოვეს, რომ მერე სამპირ სუდარაში გაეხვიათ, კუბოში ჩაეწვინათ და უფროსების დაჟინებული რჩევის მიუხედავად, დღესვე დაკრძალეთო, კატაფალკში ჩაედოთ და ისევ კაზანჯების სახლში დაებრუნებინათ.

- სახლში ვერ წაიყვანთ! - შესძახა გალეულმა კაცმა, მიცვალებულებს რომ ბანდა, და მეჩეთის ეზოს გასასვლელში ჩადგა. ალმაცერად გახედა ყველას, ვისაც მისი ნათქვამი ეხებოდა, - ალაჰის გულისთვის, ეგ კაცი აყროლდება! ცუდ დღეში აგდებთ.

„აყროლდებასა“ და „ცუდ დღეში აგდებთ“-ს შორის თქორი დაიწყო. მეჩხერი, უხალისო წვეთები ისე მოდიოდა, თითქოს მათაც უნდოდათ ამ ყველაფერში მონაწილეობა, მაგრამ ერთმანეთის გვერდით ჯერ ადგილები არ დაეკავებინათ. მარტი სტამბოლში უდავოდ ყველაზე გაუწონასწორებელი და შფოთიანი თვეა და იმ სამშაბათსაც იფიქრებდით, მარტმა კიდევ ერთხელ გადაიფიქრა და გადაწყვიტა, ზამთარი ვარო.

- მაგრამ, ძმაო, - ქშენით უთხრა დეიდა ფერიდემ კაცს, მიცვალებულებს რომ ბანდა, - ისევ სახლში იმიტომ წავიყვანთ, რომ ყველას შეეძლოს მისი უკანასკნელად ნახვა, - აღელვებული მამაკაცი ფერიდეს უმალ შეეყვანა თავისი ჰებეფრენიული შიზოფრენიის ყოვლისმომცველ და ეგალიტარულ სამყაროში, - იცი, ჩემი ძმა იმდენი წელი იყო საზღვარგარეთ, რომ მისი სახე თითქმის დაგვავიწყდა. ოცი წლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ბრუნდება სტამბოლში და აქ ყოფნის მესამე დღეს უკანასკნელი სუნთქვა აღმოხდება. ისე მოულოდნელად მოკვდა, რომ მეზობლები და შორეული ნათესავები მისი გარდაცვალების ამბავს არ დაიჯერებენ, თუ მიცვალებულს ვერ ნახავენ.

- ქალო, გაგიჟდი? ჩვენს რელიგიაში ასეთი რამე არ არსებობს! - წამოისროლა კაცმა, მიცვალებულებს რომ ბანდა. იმედი ჰქონდა, რომ ამით გააჩერებდა ქალს, მიუხედავად იმისა, კიდევ რის თქმას აპირებდა ეს უკანასკნელი, - ჩვენ, მუსლიმანებმა, ჩვენი მიცვალებულების ვიტრინაში გამოფენა არ ვიცით. თუ თქვენს მეზობლებს მისი ნახვა უნდათ, სასაფლაოზე საფლავის ქვის ნახვა მოუწევთ, - ბოლო სიტყვებს რომ ამბობდა, კაცს, მიცვალებულებს რომ ბანდა, სახე აშკარად გაუქვავდა.

ვიდრე დეიდა ფერიდე იმაზე ფიქრობდა, რაც შესთავაზეს, დეიდა ჯევრიე გვერდით ედგა და მამაკაცს წარბაწეული მისჩერებოდა. ასე თავის მოსწავლეებს უყურებდა ხოლმე ზეპირი გამოცდისას, როცა უნდოდა, თავად გაეცნობიერებინათ, რამდენად ალოგიკური იყო მათი პასუხი.

- მაგრამ, ძმაო, - შეეპასუხა დეიდა ფერიდე, - როგორ დაინახავენ, როცა საფლავში იქნება ექვსი ფუტის სიღრმეზე?

კაცმა, მიცვალებულებს რომ ბანდა, იმედგაცრუებისგან წარბები ერთბაშად აწკიპა, მაგრამ არჩია, არაფერი ეთქვა, - ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ამ ქალებთან კამათს აზრი არ ჰქონდა.

იმ დილით დეიდა ფერიდეს თმა შავად შეეღება - სამგლოვიარო ფერად. ფერიდემ თავი შეუპოვრად გააქნია და დაამატა:

- არ იდარდო. შეგიძლია, დარწმუნებული იყო, ქრისტიანები რომ აკეთებენ ფილმებში, ისე არ გამოვფენთ.

კაცი, მიცვალებულებს რომ ბანდა, ერთი საშინელი წუთის განმავლობაში გაქვავებული იდგა და დეიდა ფერიდეს აქეთ-იქით მბრუნავ მკაცრ თვალებსა და ათრთოლებულ ხელებს გაბერილი უყურებდა. ამჯერად ნატანჯს უფრო ჰგავდა, ვიდრე გაღიზიანებულს, თითქოს უეცრად მიმხვდარიყო, რომ ქალი, რომელსაც ელაპარაკებოდა, ყველაზე გადარეული ვინმე იყო, ვისაც კი ოდესმე გადაჰყროდა.

კაცი, მიცვალებულებს რომ ბანდა, ქრცვინივით თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს შველას ელოდა. რაკი მშველელი არავინ გამოუჩნდა, მზერა ჯერ გვამზე გადაიტანა, მოთმინებით რომ ელოდა, როდის გა-

დაწყდებოდა მისი ბედ-იღბალი, ბოლოს კი ისევ ორ დეიდაზე. შეიძლება მისი ცივი, წინ და უკან მორბენალი გამოხედვის მიღმა რამე იმალებოდა, მაგრამ ამ გზავნილის გაშიფვრა არც ერთ დეიდას შეეძლო და არც მეორეს.

დეიდა ფერიდემ კაცს ბლომად ფული აჩუქა.

კაცმა, მიცვალებულებს რომ ბანდა, ფული წაიღო, კაზანჯებმა კი - თავიანთი მიცვალებული.

თვალის დახამხამებაში ჩადგა ოთხი მანქანა ავტოკოლონაში. პროცესიას კატაფალკი მიუძღოდა, მუსლიმანური ტრადიციის შესაბამისად, სალბისფერი მწვანე კატაფალკი. შავი ფერი უმცირესობათა წარმომადგენლების, სომხების, ებრაელების, ასევე ბერძნების დაკრძალვებისთვის შემოენახათ.

იდო კუბო სამგვერდიანი საბარგულის უკანა ნაწილში და რაკი მიცვალებულს ვიღაც უნდა გაჰყოლოდა, მასთან ერთად მგზავრობის სურვილი ასიამ გამოთქვა. არმანუში, რომელსაც სახეზე ერთთავად შეცბუნება ეწერა, ასიას ხელს ისე მაგრად უჭერდა, იფიქრებდით, ცხედართან ერთად მგზავრობის სურვილი გოგონებს ერთად გამოუთქვამთო.

- კატაფალკის წინა ნაწილში ქალების ყოფნა არ მაწყობს, - შენიშნა მძღოლმა, რომელიც შემაძრწუნებლად ჰგავდა კაცს, მიცვალებულებს რომ ბანდა. შეიძლება, ძმები იყვნენ - ერთი ბანდა მიცვალებულებს, მეორეს კი მიჰყავდა. შეიძლება, მესამე ძმაც ჰყავდათ, სასაფლაოზე მუშაობდა დამიცვალებულების დაკრძალვაზე აგებდა პასუხს.

- მოგიწევს, იმიტომ, რომ ოჯახში მეტი მამაკაცი აღარ გვყავს, - ისეთიცივი ხმით დაიბუზღუნა უკნიდან დეიდა ზელიჰამ, რომ მამაკაცი გაჩუმდა. შეიძლება მოისაზრა, რომ თუკი მართლაც არ არსებობდა მამაკაცი, რომელიც მიცვალებულს კატაფალკით გაჰყვებოდა, ორ გოგონასთან ერთად მგზავრობა გაცილებით სჯობდა მინიკაბიან და ცხვირში საყურეგაჩრილ საშიშ ქალთან ერთად მგზავრობას.

ასე რომ, მამაკაცი წუწუნს მორჩა და ცოტა ხანში კატაფალკი გრუხუნით დაიძრა.

კატაფალკის უკან როუზის „ტოიოტა-კოროლა“ მიდიოდა. შიშს, რომელსაც ეს ქალი განიცდიდა, მისი მანქანის ტორტმანი გასცემდა. როუზი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ და წარამარა ისე ჩერდებოდა, თითქოს რიტმული სლოკინისგან ხტოდა, ანდა ტრანსპორტის გიჟური მოძრაობის ეშინოდა.

ახლა, როცა როუზს სულ უფრო მეტად უკანკალებდა გული, ძნელი იყო მისი წარმოდგენა ხუთკარიანი, ულტრამარინისფერი, სრულამძრავიანი „გრანდ-ჩეროკი ლიმიტედის“ საჭესთან, რომელსაც 8.0-ცილინდრიანი ძრავა ჰქონდა. ქალი, რომელიც გუგუნით მიაქროლებდა მანქანას არიზონის პროსპექტებზე, სტამბოლის მიხვეულ-მოხვეულ, ხალხმრავალ ქუჩებში სხვანაირ მძღოლად ქცეულიყო. მართალი გითხრათ, იმ მომენტში როუზი სრულიად გაოგნებული გახლდათ - მდგომარეობის სირთულე და ორიენტაციის დარღვევა თითქმის ჯაბნიდა მის მწუხარებას. ჩამოსვლიდან სულ რაღაც სამოცდათორმეტ საათში თავს ისე გრძნობდა, თითქოს სივრცე-დროითი გვირაბის გავლით კოსმოსში გადავარდნილიყო და სხვა განზომილებას, უცხო მიწას გადაჰყროდა, სადაც ჩვეულებრივს არაფერი ჰგავდა და თავად სიკვდილსაც კი ზეერეალობა ახშობდა.

როუზის გვერდით ბებია გულსუმი იჯდა. ამერიკელ რძალთან, რომელიც თავის დღეში არ ენახა, ლაპარაკი არ შეეძლო, მაგრამ მასზე დარდობდა და ებრალებოდა, ქმარი რომ მოუკვდა, მაგრამ იმდენად არა, რამდენადაც საკუთარი თავის გამო დარდობდა და ებრალებოდა, ვაჟი რომ მოუკვდა. უკანა სავარძელზე დიდედა იჯდა, თავზე საგარეო თავშალმოხვეული. თავშალს მელანივით შავი კიდეები ჰქონდა. სტამბოლში ყოფნის პირველ დღეს როუზი დიდხანს ეცადა დაედგინა ძირითადი კრიტერიუმი, რომლის წყალობითაც ერთხელ და სამუდამოდ ნათელი გახდებოდა, რატომ ატარებდა თურქეთში ზოგიერთი ქალი თავშალს, ზოგი კი არა, მაგრამ მალევე დანებდა. თავსატეხი ვერც ადგილობრივ დონეზე ამოხსნა, ვერც ოჯახის დონეზე. რა ჯანდაბისთვის ატარებდა უბერებელი დიდედა თავშალს, მაშინ, როდესაც მისი რძალი გულსუმი უთავშლოდ დადიოდა და რატომ დადიოდა ერთ-ერთი დეიდა

თავშლით, როდესაც მისი სამი და თავშალს არ ატარებდა. ეს როუზის გაგებას აღემატებოდა.

ზუსტად როუზის უკან მოდიოდა დეიდა ზელიჰას მეტალის მსგავსი ვერცხლისფერი „ალფა-რომეო“. ზელიჰას სამივე და მის მანქანაში ჩაჭეჭყილიყო. სულთან მეხუთე დეიდა ჯევრიეს კალთაში, კალათში მორგოლილიყო. იმ დღეს სულთან მეხუთე გასაოცრად წყნარი იყო, თითქოს ადამიანის სიკვდილი მის ვერაგობასა და სისასტიკეზე დამამშვიდებლად მოქმედებდა.

ზელიჰას „ალფა-რომეოს“ გვერდით წუილით მიქროდა ყვითელი „ფოლკსვაგენ-ბითლი“. საჭესთან არამი იჯდა. უჭირდა იმის გაგება, თუ რატომ მიჰყავდათ კაზანჯის ოჯახის ქალებს თავიანთი მიცვალებული სახლში, მაგრამ საკმარისად ჭკვიანი იყო და იცოდა, რომ არაფერი ღლის ადამიანს ისე, როგორც დეიდებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მით უფრო მაშინ, როდესაც ასე არიან შექუჩებული. ამიტომაც არჩია, არაფერი ეკითხა. უბრალოდ, კვალდაკვალ მიჰყვებოდა კაზანჯებს და ცდილობდა, დარწმუნებულიყო, რომ მის გულის სწორს მთელ ამ აურზაურში არაფერი უჭირდა.

შუქნიშნებით გადაჭედილ ქუჩაში, შიშლისთან, მუსლიმანური სასაფლაოდან სულ რამდენიმე კვარტალის მოშორებით, სადაც ის კაცი უშვებდათ, მიცვალებულებს რომ ბანდა, ისე მოხდა, რომ ყველა მანქანა გვერდიგვერდ ისე გამწკრივდა, თითქოს მეწინავე პოლკი ყოფილიყოს შეუპოვარი ჯარისა, რომელშიც საბრძოლველად თავს წირავდნენ, მაგრამ საერთო მიზეზი არ ჰქონდათ.

დეიდა ფერიდემ ფანჯრიდან თავი გამოყო და ხელს აქეთ-იქით იქნევდა. აშკარად აეღელვებინა შემთხვევითობას, რომლის დამსახურებაც იყო, ყველანი ასე რომ გამწკრივებულიყვნენ და თავიდან შეწყობილად მოქმედებდნენ, თუნდაც ეს მხოლოდ ერთი წითელი, მექანიკური ნათურის ბრალი ყოფილიყოს. როუზს ფერიდეს ჟესტისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ბებია გულსუმს კი - ფერიდესთვის.

მომდევნო წითელ შუქზე ასია, რომელიც არმანუშსა და კატაფალკის მძღოლს შორის იჯდა, ისევ დააკვირდა მანქანებს, მათ ირგვლივ

რომ იყვნენ. საბედნიეროდ, ერთმანეთი თვალთახედვიდან დაეკარგათ. უეცარი, უტიფარი შვება იგრძნო, როდესაც თავის თვალსაწიერში კაზანჯის გვარის ვერც ერთი ნათესავი ვერ დაინახა, ცხადია, გარდა ერთისა, რომელიც უკან, კუბოში იწვა, თუმცა, მას ასიას თვალსაწიერს ვერ მიათვლიდით, რადგან გოგონას უკან არ მიუხედავს. როცა ძალიან მჭიდრო, შესქელებულ, ლაბისებრ მოძრაობას შეუერთდნენ, აქა-იქ მოულოდნელად რომ გახსნილიყო, სად იყო და სად არა, მათ წინ კოკა-კოლას კვასკვასა წითელი ფურგონი გაჩნდა.

როცა წითელი სინათლე მწვანემ შეცვალა და ისევ დაიძრნენ, მათგან ხელმარცხნივ, მოძრაობის ზოლზე, ფეხბურთის ფანების ფლოტილიაგამოჩნდა კეპიანი ქუდებით, შარფებით, დროშებით, ბანერებითა და ბენდენებით. ზოგიერთ მათგანს თმა აქა-იქ თავისი გუნდის ფერებად, წითელ-ყვითლად შეეღება. ნელი მოძრაობით იმედგაცრუებული ფანების უმეტესობა წამით ლეთარგიას მისცემოდა, ერთმანეთში ზანტად ჭორაობდნენ და დროდადრო ერთ ან ორ ბენდენას ფანჯრიდან აფრიალებდნენ. თუმცა, როგორც კი მოძრაობა ატორტმანდა, ფანებმა ისევ განაახლეს სახოტბო შეძახილებიდა ყვირილი. ცოტა ხანში კატაფალკსა და მის წინ მიმავალ კოკა-კოლას ფურგონს შორის წინდაუხედავად ჩადგა ყვითელი ტაქსი, ბამპერზე უამრავი დასაკრავი რომ ჰქონდა. ასიას გვერდით მჯდომმა მძღოლმა სვლა შეანელა და შეიკურთხა. უყურებდა არმანუში მათ წინ მიმავალ ტაქსის და სულ უფრო მეტად უკვირდა. ასია ბამპერის დასაკრავებზე გაკეთებული წარწერების წაკითხვას შეეცადა. ბევრ სხვა წარწერას შორის თვალი მოჰკრა ფერადოვან დასაკრავს, რომელზეც ეწერა: „Don’t call me wretched. The wretched too have a heart“. წინ მიმავალი ტაქსის მძღოლი უხეში შესახედაობის, შავგვრემანი კაცი გახლდათ და საპატასნაირი ჭაღარა ულვაში ჰქონდა. სულ მცირე, სამოცი წლისას ჰგავდა და მეტისმეტად ხნიერი იყო იმისთვის, რომ ასეთ საფეხბურთო აურზაურში მიეღო მონაწილეობა.

აშკარა შეუსაბამობა იყო ამ კაცის ყოვლად ტრადიციულ გარეგნობასა და მანქანის ასეთ გიჟურ მართვას შორის. თავად მამაკაცზე უფრო

საინტერესონი მისი კლიენტები თუ მეგობრები იყვნენ, მანქანაში რომ ისხდნენ.

კაცს, მძღოლის გვერდით რომ იჯდა, სახის ერთი ნახევარი ყვითლად შეეღება, მეორე კი - წითლად. უკან მიმავალი კატაფალკიდან მის სახეს ასია კარგად ხედავდა - მამაკაცს ღია ფანჯრიდან თავი გამოეყო, ცალი ხელით წითელ-ყვითელ დროშას აფრიალებდა, მეორით კი ოდნავ ეყრდნობოდა წინა სავარძელს. მისი სხეულის ზედა ნაწილი მანქანის გარეთ ძაგძაგებდა, ქვედა ნაწილი კი მანქანაში იყო და გეგონებოდა, ეს კაცი ვიღაც ჯადოქარს ორად გადაეჭრა. ასია შორიდანაც ხედავდა მამაკაცის ცხვირს, რომელიც ალკოჰოლისაგან ისეთი ჟოლოსფერი გამხდარიყო, რომ წითელ-ყვითელი სახის თანაფარდობას არღვევდა და წითელი ფერის სახელით სასწორის თეფშს თავისკენ ექაჩებოდა. სწორედ მაშინ, როდესაც ასია იმაზე ფიქრობდა, კონკრეტულად რომელ სასმელს შეეძლო ადამიანის ცხვირისთვის ასეთი განსაკუთრებული ფერის მიცემა, ლუდს, რაკს თუ ორივეს ერთად, მანქანის უკანა ფანჯარა ჩამოსწიეს და კიდევ ერთმა ფანმა ცალი ხელით ჰაერში დოლი აღმართა, მეორე ხელით მანქანის შიდა ნაწილს ეყრდნობოდა. ორი ხულიგანი აბსოლუტურ უნისონში ისე გადმოიწია ნახევარი ტანით მანქანიდან, თითქოს ტაქსიში ამოსული გასხლული ხის ტოტები ყოფილიყვნენ. მერე იმან, წინა სავარძელზე რომ იჯდა, ჩხირი გააძრო და დოლს დაუშინა, მეორე კაცს რომ გაეშვირა ჰაერში. ჩანაფიქრის განუხორციელებლობა, ალბათ, ძალას მატებდათ, რადგან ბრახაბრუხსა და ბრაგაბრუგს მალე ჰიმნიც მოაყოლეს. ტროტუარზე რამდენიმე ფეხით მოსიარულე გაოგნებული იდგა, მაგრამ კარგა ბლომად იყვნენ ისეთები, ვინც დუეტს ტაში დაუკრა და ხმა ააყოლა. სულ უფრო მონდომებულად გაიძახოდნენ:

„დაე, მიწამ, ცამ და წყალმა უსმინოს ჩვენს ხმას! დაე, ჩვენი მძიმე ნაბიჯები მთელ მსოფლიოს აზანზარებდეს!“

- რას ამბობენ? - იდაყვი წაჰკრა არმანუშმა ასიას, რომელიც გადათარგმნას არ ჩქარობდა. ასიას ყურადღება ერთ გამვლელს მიეპყრო. ძონძებში გამოხვეული გამხდარი, გაძვალტყავებული ყმაწვილი იყო.

ცელოფანის პარკიდან წებოს სუნთქავდა და შიშველ, ჭუჭყისგან გაშავებულ ფეხებს ჰიმნის რიტმზე აბაკუნებდა. რამდენიმე წამში ერთხელ ბიჭი წებოს სუნთქვას თავს ანებებდა და დანარჩენებს ჰიმნის სიტყვებს აწევდა. ავის მომასწავებელი ექოსავით ისმოდა ბიჭის ნათქვამი: „ჩვენი მძიმე ნაბიჯები“...

ამასობაში სხვა მოზეიმეებიც მხიარულად აჰყვნენ სიმღერას და თავიანთი მანქანებიდან დროშები და ბანდანები ააფრიალეს. მედოლე დროდადრო ჩერდებოდა და ტროტუარზე მყოფ ფეხით მოსიარულეებსა და ქუჩის მოვაჭრეებს ჩხირით ჰაერში არარსებულ გველებს ისე უხატავდა, თითქოს დირიჟორი ყოფილიყოს და მთელი ქალაქის ხმაურს თავად აკონტროლებდა.

როცა სიმღერის პირველი ნახევარი დამთავრდა, ცოტა ხანს ყველა დაბნეული ჩანდა - ჭრელჭრულ გუნდში მხოლოდ რამდენიმეს თუ ეცოდინებოდა მეორე ნახევრის ტექსტი. ისე, რომ მოსაბეზრებელი წვრილმანისათვის სოლიდარობის გრძნობის შერყევის ნება არ მიუციათ, სიმღერა კიდევ ერთხელ დაიწყეს თავიდან, ამჯერად უწინდელზე ნაკლებად აგრესიულად:

„დაე, მიწამ, ცამ და წყალმა უსმინოს ჩვენს ხმას! დაე, ჩვენი მძიმე ნაბიჯები მთელ მსოფლიოს აზანზარებდეს!“

ქაოსსა და ხმაურში წითელ-ყვითელმა ნაკადმა პროსპექტზე ერთბაშად ჩაიქროლა. არმანუში, ასია და მძღოლი მოძრაობას უხმოდ ადევნებდნენ თვალს. მათი მზერა წინ მიმავალ ყვითელ ტაქსის მიჯაჭვოდა. ავტომობილს იმდენად სახიფათო მანძილზე მიუახლოვდნენ, რომ ასიას უკანა ფანჯრიდან ლუდის ცარიელი ქილების დანახვა შეეძლო, აქეთ-იქით რომ დაგორავდა.

- ამათ შეხედე! ზრდასრული მამაკაცები ასე უნდა იქცეოდნენ?! - გაბრაზდა კატაფალკის მძღოლი, - წარამარა ასე ხდება. ვიღაც ფანატიკოსი კვდება, ოჯახს ან თავზე ხელაღებულ მეგობრებს კი უნდათ, კუბო ფეხბურთის ამა თუ იმ გუნდის დროშაში გაახვიონ. მერე უსირცხვილოდ ფიქრობენ, რომ წაბილწულ კუბოებს სასაფლაოზე წავიღებ! მე თუ მკითხავ, ეს ყველაფერი წმინდა წყლის ღვთის გმობაა! კანონი უნდა

არსებობდეს, რომელიც ამ სისულელეს აკრძალავს. მარტო მწვანე სალოცავი საფარველი უნდა იყოსნებადართული. მუსლიმანები არ არიან თუ რა?! ალაჰის გულისთვის, მკვდარი ხარ და ფეხბურთის დროშა რაღად გინდა? სტადიონი აქვს ალაჰს ცაში აშენებული,შეჯიბრებებია ზეცაში?

უხერხულობისგან ასია სავარძელზე აწრიალდა, არ იცოდა, ბოლო კითხვაზე რა უნდა ეპასუხა. ფანჯრიდან გადმოწეული გულშემატკივრის მობილურიდან მექანიკური მელოდია გაისმა. ახოვანმა ხულიგანმა, ცალი ხელით ისევ ტაქსის რომ ჩაჰფრენოდა, მეორით კი ისევ ქალაქს დირიჟორობდა, ტელეფონზე პასუხის გაცემა სცადა, - დაავიწყდა, საამისოდ მეტი ხელი რომ არ ჰქონდა. წონასწორობა დაკარგა, მასთან ერთად კი კიდევ ორი რამ: დოლის ჩხირი და მობილური ტელეფონი. ორივე მათგანი გზაზე დავარდა, ზუსტად კატაფალკის წინ.

ყვითელი ტაქსი ერთბაშად გაჩერდა. მათ შორის ნაბიჯიც არ იყო დარჩენილი, როცა კატაფალკიც გაჩერდა. უეცარი გაჩერებისგან ასია და არმანუში წინ გადაქანდნენ, მერე კი ორივემ ერთდროულად შეამოწმა უკან დადებული კუბო. კუბო მთელი და უვნებელი იყო.

დაცვენილი ნივთების პატრონი თვალის დახამხამებაში გადმოხტა მანქანიდან. ისევ იღიმებოდა და მღეროდა, წითელ-ყვითელი სახე აღფრთოვანებისგან უბრწყინავდა. უკან გაიხედა, თითქოს მოძრაობის შეფერხებისთვის ბოდიშს იხდიდა და მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ მანქანა, რომელიც მანამდე კუდში მისდევდათ, ჩვეულებრივი ავტომობილი კი არა, სალბისფერი კატაფალკი, ავბედითი აჩრდილივით ადევნებული სიკვდილის სიმბოლო გახლდათ. გრძელი, მტანჯველი წუთის განმავლობაში მამაკაცი შუაგულ მოძრაობაში იდგა და დაბნეულს ჰგავდა. დასასრულ, როდესაც გულშემატკივრების კიდევ ერთმა მანქანამ ჰიმნის სიმღერით ჩაუქროლა, ხოლო მისმა ძმაკაცმა მოუთმენლად დაჰკრა ხელი დოლს, კაცმა მობილურისა და ჩხირის გზიდან აღება მოიფიქრა. მას შემდეგ, რაც კატაფალკში ჩადებულ კუბოს უკანასკნელად შეხედა, მამაკაცი უკან მიტრიალდა და ისევ ტაქსიში შეძვრა. ამჯერად ფანჯრიდან თავი აღარ გამოუყვია. შიგნით იჯდა, დათრგუნვილი იყო.

არმანუშმა და ასიამ თავი ვერ შეიკავეს და გაეღიმათ.

- ალბათ, ქალაქში ყველაზე პატივცემული პროფესია გაქვთ, - გამოუცხადა ასიამ მძღოლს, რომელიც მომხდარს გოგონებთან ერთად ადევნებდა თვალს, - თქვენმა აჩრდილმა ყველაზე გულფიცხი გულშემატკივარიც კი შეიძლება შეაშინოს.

- არა, - თქვა მძღოლმა, - იმდენად ცოტას გვიხდიან, რომ არანაირი დაზღვევა არა გვაქვს, არც ჯანმრთელობის დაზღვევა, არც გაფიცვის უფლება გვაქვს, არაფერი. ადრე დიდ სატვირთო მანქანებს ვატარებდი ხოლმე, შორ მანძილზე გადაზიდვები, ხომ იცი? ნახშირი, ნავთობი, ბუტანი, ტექნიკური წყალი... სულო და გულო, ყველაფერი გადამქონდა.

- ამაზე უკეთესი იყო?

- ხუმრობ? რა თქმა უნდა, უკეთესი იყო! სტამბოლში ტვირთს დაიდებ და სხვა ქალაქისკენ გასწევ. არანაირი უფროსი არა გყავს, რომელსაც კუდი უნდა უქიცინო, არანაირი ზედამხედველი, რომელსაც უნდა შეეტენო! შენი თავის ბატონ-პატრონი ხარ. მოგინდება და, თუ უფროსი ტვირთის მეტისმეტად სწრაფად ჩატანას არ გთხოვს, შეგიძლია, ნელა იარო. სხვა დროს შეიძლება არც კი დაიძინო. სხვა მხრივ, სუფთა სამუშაო იყო, სუფთა და დაფასებული - თავს არავის უხრიდი.

მანქანებმა სვლას მოუმატეს და მძღოლმა სიჩქარე გადართო. მალე საფეხბურთო კოლონამ მარჯვნივ გადაუხვია, სტადიონისკენ.

- მაშინ იმ სამუშაოს თავი რატომ დაანებეთ? - დაინტერესდა ასია.

- საჭესთან ჩამეძინა. ერთ წუთს გზაზე სიჩქარეს ვუკლებ, მეორე წუთს საშინელი აფეთქება ხდება, თითქოს განკითხვის დღეს ალაჰს ყველა შევეკრიბოთ. როცა თვალებს ვახელ, გზის პირას ერთი ქოხმახის სამზარეულოში ვარ.

- რას ამბობს? - დაიჩურჩულა არმანუშმა.

- მერწმუნე, ამის ცოდნას არ ისურვებდი, - ჩურჩულით უპასუხა ასიამაც.

- კარგი, ჰკითხე, დღეში რამდენი მიცვალებული გადაჰყავს?

როცა არმანუშის შეკითხვა გადაუთარგმნეს, მძღოლმა თავი გააქნია:

- წელიწადის დროზეა დამოკიდებული. გაზაფხული ყველაზე ცუდი დროა - გაზაფხულზე ბევრი ხალხი არ იხოცება, მაგრამ მერე მოდის ზაფხული, ყველაზე მოუცლელი სეზონი. თუ ოთხმოც გრადუსზე მეტია, დიდ ციებ-ცხელებაში ვართ. განსაკუთრებით, მოხუცები... ბუზებივით იხოცებიან... ზაფხულში ბევრი სტამბოლელი კვდება!

კატაფალკის მძღოლი გაჩუმდა. ასიას ვერა და ვერ გაერკვია, რას ნიშნავდა ბოლო წინადადება, რომელიც ამ კაცმა თქვა. მერე მძღოლმა სმოკინგში გამოწყობილ გამვლელს შეავლო თვალი, რომელიც ბრძანების კილოთი ჩაჰყვიროდა რაღაცებს მობილურ ტელეფონს.

- ეს მდიდრები! - შესძახა მძღოლმა, - ჰა! მთელი ცხოვრება ფულს აგროვებენ და რისთვის? რა სისულელეა! სუდარას ჯიბეები აქვს თუ? ბამბის სუდარაა ის, რასაც ბოლოს ყველა ჩავიცვამთ. ზუსტად ასეა. არანაირი კოხტა ტანსაცმელი, არანაირი ძვირფასეულობა. ჩაიცვამ სამარეში სმოკინგს ანდა სამეჯლისო კაბას? ვისზე დგას ცა ამ ხალხისთვის?

ასიას სათქმელი არაფერი ჰქონდა. ასე რომ, მძღოლისთვის პასუხის გაცემა არც უცდია.

- თუკი არავის უჭირავს, მაშინ როგორ შეიძლება, რომ მის ქვეშ ვცხოვრობდეთ? მე ვერავითარ ციურ სვეტს ვერ ვხედავ. თქვენ ხედავთ?როგორ შეიძლება, ვინმემ ამ სტადიონებზე ფეხბურთი ითამაშოს, თუკი ალაჰი ამბობს: „თქვენთვის ცა აღარ მიჭირავსო“?

ის იყო, მძღოლის მიერ დასმული კითხვა ჰაერში გამოეკიდა, რომ კატაფალკმა კუთხეში მოუხვია და როგორც იქნა, კაზანჯების სახლს მიაღწია.

დეიდა ზელიჰა სახლის წინ ელოდათ. მძღოლს ერთი-ორი სიტყვა უთხრა და მომსახურების საფასური გადაუხადა.

„ფოლკსვაგენი“, მეტალის მსგავსი ვერცხლისფერი „ალფა-რომეო“ და „ტოიოტა-კოროლა“ სახლის წინ გაემწკრივებინათ. თითქოს ყველა კატაფალკზე ადრე მისულიყო. სახლი სტუმრებით იყო სავსე და ყველა კუბოს გადმოღებას ელოდა.

* * *

სახლში შესულ ასიასა და არმანუშს ქალებით სავსე სივრცე დახვდათ. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრების უმეტესობას პირველ სართულზე სასტუმრო ოთახში მოეყარა თავი, ზოგიერთი მათგანი წუთით სხვა ოთახში გადიოდა ხოლმე ბავშვისთვის საფენის შესაცვლელად ან მის დასატუქსავად, წასაჭორავებლად, ანდა სალოცავად - შუადღის ლოცვის დრო იყო.

რაკი სახლში განმარტოებისთვის ერთი საძინებელიც არ მოიძებნებოდა, გოგონებმა სამზარეულოს მხოლოდ იმისთვის მიაშურეს, რომ იქ ერთბაშად ყველა დეიდა აღმოეჩინათ. ქალები იმ ტრაგედიაზე ჩურჩულებდნენ, მათ რომ დაატყდათ თავს, თან სტუმრების გასამასპინძლებლად აშურეს ლანგრებს ამზადებდნენ.

- საწყალი დედა განადგურებულია. ვინ იფიქრებდა, რომ მთელ აშურეს, მუსტაფასთვის რომ მოამზადა, მასზე მოტირალებს მიართმევდნენ, - თქვა დეიდა ჯევრიემ, რომელიც ღუმელთან იდგა.

- აბა, აბა, ამერიკელი რძალიც განადგურებულია, - შენიშნა დეიდა ფერიდემ ისე, რომ თვალი არ მოუშორებია იდუმალი ლაქისთვის, იატაკს რომ ემჩნეოდა, - საბრალო! ცხოვრებაში პირველად ჩამოდის სტამბოლში და ქმარს კარგავს. რა საშინელებაა.

დეიდა ზელიჰა მაგიდასთან იჯდა, დებს უსმენდა და სიგარეტს ეწეოდა.

- ვფიქრობ, ამერიკაში დაბრუნდება და ისევ გათხოვდება, - მშვიდად თქვა ზელიჰამ, - ხომ იცით, ღმერთი სამობითაა. მეორედ თუ გათხოვდა, მესამედაც უნდა გათხოვდეს, მაგრამ მაინტერესებს, ერთი სომეხი და ერთი თურქი ქმრის მერე მესამედ ვის აირჩევს?

- ქალი გლოვობს. როგორ შეგიძლია ასეთი რამეების თქმა? - იკითხა დეიდა ჯევრიემ.

- გლოვა ქალწულობასავითაა, - ამოიოხრა დეიდა ზელიჰამ, - იმას უნდა მისცე, ვინც ყველაზე მეტად იმსახურებს.

გაგონილით გაოგნებული და განცვიფრებული ორი დეიდა ნელ-ნელა ამოძრავდა. სწორედ იმ მომენტში სამზარეულოში ასია და არმანუ-

ში შევიდნენ. მათ შიმშილისგან აკნავლებული სულთან მეხუთეც მიჰ-ყვათ.

- მოდი, დებო, კატას რამე ვაჭამოთ, სანამ მთელ აშურეს გადასან-სლავს, - თქვა დეიდა ზელიჰამ.

აი, მაშინ დეიდა ბანუ, რომელიც დაახლოებით ოცი წუთის განმავ-ლობაში დახლთან მუშაობდა, ჩაის აყენებდა, ლიმონს ჭრიდა და დაუს-რულებელ სჯა-ბაასს ისე უსმენდა, რომ ერთხელაც არ ჩარეულა, ყვე-ლაზე უმცროს დას მიუბრუნდა და გამოაცხადა:

- უფრო სასწრაფო საქმეებიც გვაქვს.

დეიდა ბანუმ უჯრა გამოაღო, უზარმაზარი, მოელვარე დანა ამოიღო, დახლზე დადებულ ხახვს დასწვდა და შუაზე გაჭრა. მერე ხახ-ვის ერთ ნახევარს გული ამოაცალა და დეიდა ზელიჰას ცხვირთან მი-უტანა.

- რას შვრები? - სკამზე შეხტა დეიდა ზელიჰა.

- ტირილში გეხმარები, ძვირფასო, - დეიდა ბანუმ თავი გააქნია, - არ გინდა, რომ იქ სტუმრებმა ასეთ დღეში გნახონ, არა? როგორი თავისუ-ფალიც უნდა იყო, სახლში, სადაც მიცვალებულია, ერთი-ორი ცრემლი შენც უნდა გადმოაგდო.

ისე, რომ ცხვირიდან ხახვი არ მოუშორებია, დეიდა ზელიჰამ თვა-ლები დახუჭა. ავანგარდულ ქანდაკებას ჰგავდა, რომელსაც მუზეუმში, სადაც ხელოვნების ძირითად მიმდინარეობებს მასპინძლობენ, გამო-ფენის არავითარი შანსი არა აქვს: „ხახვი და ქალი, რომელსაც ტირი-ლი არ შეეძლო“. დეიდა ზელიჰამ მომწვანო-მოლურჯო თვალები გა-ახილა და ცრემლი გადაყლაპა. ხახვმა იმოქმედა.

- კარგია! - თავი დააქნია დეიდა ბანუმ, - წავედით, ყველა სასტუმრო ოთახში უნდა შევიდეთ. ალბათ, სტუმრებს აინტერესებთ, სად არიან მასპინძლები, რომლებმაც მკვდარი მარტო დატოვეს!

ასე თქვა დამ, რომელიც ერთ დროს დეიდა ზელიჰას დედაშვილო-ბანას ეთამაშებოდა, ნახევრად გადაკეთებულ იავნანას უმღეროდა, შინ გამომცხვარ ნამცხვრებს მუყაოს ყუთებზე აჭმევდა, ვითომ მაგიდები იყო, უყვებოდა ამბებს, რომლებიც ყოველთვის იმით მთავრდებოდა,

რომ ლამაზი გოგონა პრინცს მიჰყვებოდა ცოლად, გულში იკრავდა და უღიტინებდა დას, რომელიც ისე აცინებდა, როგორც სხვა ვერავინ.

- კარგი! - დაეთანხმა დეიდა ზელიჰა, - მაშინ წავიდეთ.

სასტუმრო ოთახში მსუბუქად შეაბიჯეს. წინ ოთხი დეიდა მიდიოდა, უკან არმანუში და ასია მიჰყვებოდნენ. შეწყობილი ნაბიჯებით შევიდნენ სტუმრებით სავსე ოთახში, სადაც ცხედარი იყო. კუთხეში, იატაკის ბალიშზე, უცხო ადამიანებს შორის ჩაჭეჭყილი პუტკუნა როუზი იჯდა. ღია ჩალისფერ თმას შარფი უფარავდა და ტირილისგან თვალები შეშუპებოდა. უმალ ანიშნაარმანუშს, ჩემ გვერდით დაჯექიო.

- სად იყავი, ამი? - იკითხა როუზმა, მაგრამ ვიდრე პასუხს მიიღებდა, გოგონას კიდევ დააყარა კითხვები, - წარმოდგენა არა მაქვს, აქ რა ხდება. შეგიძლია, გაიგო, რას უპირებენ მის ცხედარს? როდის უნდა დაკრძალონ?

არმანუშს თავადაც არ ჰქონდა პასუხი როუზის კითხვებზე.გოგონა დედას უფრო ახლოს მიუჩოჩდა და მისი ხელი ხელში აიღო.

- დედა, დარწმუნებული ვარ, იციან, რასაც აკეთებენ.

- მაგრამ მე მისი ც-ც-ო-ლი ვარ, - ენის ბორძიკით თქვა როუზმა, თითქოს უკვე ეჭვი ეპარებოდა საკუთარი სიტყვების სისწორეში.

ცხედარი ტახტზე დაესვენებინათ. გულხელი ისე დაეკრიფათ, რომ ცერა თითები ერთმანეთზე ყოფილიყო გადაჭდობილი. გვამი რომ არ ამოზნექილიყო, მკერდზე ფოლადის მძიმე ლაპოტი დაედოთ. უცებ თვალები რომ არ გაეხილა, ქუთუთოებზე წყვილი ვერცხლის გაშავებული მონეტა ედო. პირზე რამდენიმე კოვზი წმინდა მექიდან ჩამოტანილი წყალი დაესხათ. თავთან სპილენძის თეფშზე სანდალოზის ხის საკმევლის ნატეხები იწვოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფანჯარა დაკეტილი იყო, ნახევრად ღიაც კი არ ყოფილა რომელიმე, რამდენიმე წუთში ერთხელ ოთახში კვამლი ისე აფორიაქდებოდა ხოლმე, თითქოს უხილავი ნიავი იპარებოდა საიდანღაც, კედლებს მიღმიდან. გამოცოცხლებული კვამლი ტახტის გარშემო იკანკელივით იკლაკნებოდა და, ბოლოს და ბოლოს, მონაცრისფრო ნაკადივით იფანტებოდა. დროდადრო კვამლი კონკრეტულ მარშრუტს მიჰყვებოდა და სწორედ ისე,

ნადავლს გამოდევნებული მტაცებელი ფრინველი რომ უახლოვდება ხოლმე დედამიწას ტრიალ-ბზრიალით, ისიც სულ უფრო უახლოვდებოდა ცხედარს. სანდალოზის ხის მძაფრი და მჟავე სუნი იმდენად გაძლიერდა, რომ ყველას თვალები აუცრემლდა, მაგრამ უმეტესობა არად დაგიდევდათ, - ისედაც ტიროდნენ.

კუთხეში ხეიბარი იმამი მიკუნჭულიყო, ყურანს ხმამაღლა კითხულობდა და საქმეში თავით გადავარდნილი სხეულის ზედა ნაწილით აქეთ-იქით ირწეოდა. იმამი ყურანს სულ უფრო სწრაფად კითხულობდა, ბოლოს კი ერთბაშად გაჩერდა. არმანუში შეეცადა, ყურადღება არ მიექცია სრული შეუსაბამობისთვის, იმამის პაწაწინა სხეულსა და გარშემომყოფ ტანსრულ ქალებს შორის რომ იყო. ასევე სცადა, არ შეეხედა სიცარიელისთვის, სადაც ამ კაცის თითები უნდა ყოფილიყო. თითო ხელზე იმამს მხოლოდ ერთი და კიდევ ნახევარი თითი ჰქონდა.

შეუძლებელი იყო, არ გეფიქრათ, ნეტავ რა მოხდაო. ასეთი დაიბადა თუ თითები მერე მოჭრეს? რაც უნდა გადახდომოდა იმამს თავს, მისი არასრულყოფილი სხეული გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც მანდილოსნები მის გვერდით თავს ასე თავისუფლად გრძნობდნენ. იმამის სრულყოფილების გასაღები მის ნაკლოვანებაში იყო, ხოლო მისი სიმრთელის საიდუმლო - მის ნაკლოვანებაში. იმამი სამყაროებს შორის ჩარჩენილი სული იყო და როგორც სამყაროებს შორის ჩარჩენილ ყველა სულში, იყო მასში რაღაც შემზარავი. კაცი იყო, თან ისეთი წმინდა, რომ შეიძლებოდა, კაცად არც კი ჩაეთვალათ. წმინდა კაცი იყო, მაგრამ მაინც იმდენად დასახიჩრებული, რომ მხედველობიდან, ალბათ, ვერ გამოგრჩებოდათ, რამდენად მოკვდავი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, ხეიბარ იმამს გონებაში წმინდა ყურანის გვერდების გადასაფურცლად თითები საერთოდ არ სჭირდებოდა. მთელი ყურანი გონებაში ჰქონდა, მისი ყველა სტროფი.

თითოეული სტროფის ბოლოს იმამი ერთი-ორი წამით გაჩერდებოდა და წმიდათაწმიდა სიტყვებისგან დატოვებული გემოს შესარგებად ნერწყვს გადაყლაპავდა. მერე კითხვას განაგრძობდა. სწორედ მისი ხმის ტალღისებური რიტმი უჩუყებდა გულს მგლოვიარე ქალებს, რო-

მელთაგან არც ერთს არ ესმოდა თუნდაც ერთი არაბული სიტყვა. მაშინაც კი, როდესაც თავს ვეღარ ერეოდნენ და ქვითინებდნენ, ქალები სულ იმის ცდაში იყვნენ, იმდენად ხმამაღლა არ ეტირათ, რომ იმამის ხმა ჩაეხშოთ. არც ასე ნელი ხმით ეტირათ ოდესმე, - არაფრით ავიწყდებოდათ, რომ ადგილი, სადაც ახლა ყველანი შეჭეჭყილიყვნენ, ölü evi იყო.

იმამის გვერდით, მეორე ყველაზე საპატიო ადგილზე, დიდედა იჯდა. მისი ერთი ბეწო, მოკუნტული და დანაოჭებული სხეული მზეში დატოვებულ გამომშრალ შავქლიავს ჰგავდა.

ყველა, ვინც მოდიოდა, დიდედას ხელზე ეამბორებოდა და მის მწუხარებას იზიარებდა, მაგრამ ძნელი მისახვედრი იყო, მოხუცს მათი ნათქვამი ესმოდა თუ არა. მათ, ვინც ხელზე კოცნიდნენ, დიდედა უმეტესად თვალის შევლებით უპასუხებდა, მაგრამ დროდადრო სტუმრებს კითხვებსაც აგებებდა.

„რომელი ხარ, ძვირფასო?“ - ეკითხებოდა დიდედა ნათესავებსა და მეგობრებს, რომლებსაც მთელი ცხოვრება იცნობდა. „სად იყავი ამდენ ხანს?“ „არსად წახვიდე, შე გაუგონარო გოგო!“ - ტუქსავდა სრულიად უცხო ადამიანებს, მერე კი დუმილის შესანიშნავ მომენტებსა და დასადუმებელ შენიშვნებს შორის სრულიად გულგრილ გამომეტყველებას იღებდა და ფარული შიშით შეპყრობილი თვალებს ხუჭავდა. ასეთ მომენტებში ვერაფრით იგებდა, რატომ იყო ეს ხალხი მათ სასტუმრო ოთახში და ამდენს რატომ ტიროდნენ.

დივანი უძრავად იდგა, ქალები გაუთავებლად მოძრაობდნენ. დივანი თეთრი იყო, ქალების უმეტესობას შავები ეცვა. დივანი უხმოდ იდგა, ქალები ჩურჩულებდნენ, თითქოს იმის საწინააღმდეგოდ მოქცევა, რასაცმიცვალებული აკეთებდა, სიცოცხლისათვის აუცილებელი იყო. ცოტა ხანში სათითაოდ ყველა ქალი წამოხტა და მორჩილად დახარა თავი. მწუხარების, მოწიწებისა და ცნობისმოყვარეობისაგან აღელვებული სახეებით უყურებდნენ, როგორ გადიოდა ოთახიდან ხეიბარი იმამი. როგორც კი იმამი გარეთ გავიდა, დეიდა ბანუ ხელზე ეამბორა და ბევრჯერ უთხრა მადლობა, მერე კი ფული აჩუქა.

წავიდა თუ არაიმამი, ჰაერი ლოყასავსე ქალის გამგმირავმა კივილ-მა გააპო. ეს ქალი მანამდე არავის ენახა. მისი ტირილი სულ უფრო მეტ დეციბელს ითვლიდა.

სულ რაღაც ერთ წუთში ქალს სახეზე სისხლისფერი დაედო, ხმა ჩა-ეხრინწა და მთელი სხეულით აცახცახდა. იმდენად უბედურ დღეში იყო და იმდენად აშკარა გახლდათ მისი ტკივილი, რომ დანარჩენები რი-დით შესცქეროდნენ.

ეს ქალი მოტირალი იყო, რომელსაც მიცვალებულის სახლში მის-ვლისა და ტირილისთვის წინასწარ გადაუხადეს. ისეთი ხალხის გამო მოთქვამდა, ერთხელაც რომ არ ენახა. ისეთი გულის ამაჩუყებელი გო-დება იყო, რომ ქალები ვერ უძლებდნენ.

არმანუში, რომელიც უამრავი მგლოვიარე უცხო ადამიანის გარე-მოცვაში აღმოჩნდა (იმ მომენტში დედამისიც უცხოს ჰგავდა), უყურებ-და, როგორ მიდი-მოდიოდნენ ქალები. ასეთ ჰარმონიასა და უცვლელ მონაცვლეობაში სტუმრები ახალმოსულებს ადგილებს უთმობდნენ. ჩიტების გუნდივით იმდენად ახლო-ახლო სხდებოდნენ სავარძლებზე, ტახტსა და იატაკის ბალიშებზე, რომ მხრებით ერთმანეთს ეხებოდნენ. უსიტყვო სალამს იძლეოდნენ და ყურისწამღებად ტიროდნენ. ყველა ეს ქალი ცალ-ცალკე შეიძლებოდა ისეთი ჩუმი ყოფილიყო, მაგრამ ერ-თად გოდებისას მეტისმეტად ხმაურიანები იყვნენ.

ამ დროისთვის არმანუშს უკვე აღმოეჩინა გლოვის რამდენიმე წესი. მაგალითად, სახლში საჭმელს არ ამზადებდნენ. სამაგიეროდ, ყველა სტუმარს საჭმლით სავსე სინი მოჰქონდა. სამზარეულო სავსე იყო ნა-ირ-ნაირი ქვაბით. თვალს ვერ მოჰკრავდით ვერც მარილს, ვერც ხორცს, ვერც სასმელს. არც პურ-ფუნთუშეულის მადის აღმძვრელი სუ-ნი იდგა. არომატებისა არ იყოს, სახლში ხმებსაც აკონტროლებდნენ. მუსიკა ნებადართული იყო, მაგრამ არავითარი რადიო და ტელევიზო-რი. არმანუშს ჯონი კეში გაახსენდა და თვალებით ასია მოძებნა.

დაინახა, რომ გოგონა რამდენიმე მეზობელთან ერთად ტახტზე იჯ-და. თავი მაღლა აეწია, დაბნეულად ექაჩებოდა კულულს და ცხედარს უყურებდა. სწორედ მაშინ, როდესაც ასიასაკენ წასვლა დააპირა, არმა-

ნუშმა დეიდა ზელიჰა დაინახა. ზელიჰა, რომელიც ქალიშვილის გვერდით იჯდა და გაუგებარი გამომეტყველება ჰქონდა, ასიას ყურში რაღაცას ეუბნებოდა.

* * *

ჰოდა, იდო მკვდარი სხეული ტახტზე, ხოლო ქალების ჯგუფთან ერთად, რომლებიც გაუჩერებლად ქვითინებდნენ და ტიროდნენ, ასია წყნარად იჯდა. სახეზე ფერი აღარ ჰქონდა.

- არ მჯერა შენი, - თქვა გოგონამ ისე, რომ დედამისისთვის პირდაპირ არ შეუხედავს.

- არც გაძალებ, - ჩაიბუტბუტა დეიდა ზელიჰამ, - მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ ვალდებული ვიყავი, ამეხსნა. ახლა თუ ასე არ მოვიქცევი, საამისო დრო აღარ დადგება. მკვდარია.

ასია ნელა წამოდგა და ცხედარს დახედა. ისე დაჟინებით უყურებდა, თითქოს არ უნდოდა, დავიწყებოდა, რომ დაფნის მწვანე საპნით განბანილი და სამპირ ბამბის სუდარაში გახვეული სხეული, სხეული, რომელიც ფოლადის ლაპოტისა და ვერცხლის გაშავებული ორი მონეტის ქვეშ უძრავად იდო, სხეული, რომელსაც მექიდან ჩამოტანილი წმინდა წყალი მიაღებინეს და სანდალოზის ხის საკმევლის სუნი ჰქონდა, მამამისი იყო.

მამამისი... ბიძია... ბიძია... მამამისი... ასიამ ცხედარს მზერა მოაშორა და ოთახს იქამდე ათვალიერებდა, ვიდრე არ დაინახა დეიდა ზელიჰა, რომელიც უკან ახლა ისე ურეაქციოდ იჯდა, რომ ახალგაჭრილი ხახვიც ვერაფერს დააკლებდა.

ასია დედამისს მიაჩერდა და უცებ მიხვდა, რატომ არ იყო ეს ქალი წინააღმდეგი, როდესაც ქალიშვილი „დეიდას“ ეძახდა.

მამიდა... დედა... მამიდა... დედა... ასიამ მკვდარი მამისკენ ნაბიჯი გადადგა. ერთ ნაბიჯს მეორე მიჰყვა. ახლოს მივიდა. რაც უფრო ახლოს მიდიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა კვამლიც. სადღაც, ოთახში, გაწამებული როუზი მოთქვამდა. გაუთავებლად მოთქვამდნენ სხვა ქალებიც. რეაქციისა და რიტმის თანამიმდევრობაში ყველანი ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული და მიუხედავად იმისა, აღიარებდნენ თუ არა

ამას ადამიანები, თითოეული მათგანის ამბავი სხვების ამბებთან იყო გადახლართული. ყველა წამოტირებაში რაღაცნაირი სიმშვიდე იყო, ანდა შეიძლება, საყოველთაო მწუხარებაში ყოველთვის არის ვიღაც, ვისაც არ შეუძლია სხვებთან ერთად გლოვა.

- ბაბა... - წაიბუტბუტა ასიამ.

ისლამი ამბობს, რომ თავიდან, ყველანაირ არსებაზე ადრე, იყო სიტყვა. რაც იყო, იყო, მაგრამ ასიას მამის შემთხვევაში საქმე სულ სხვაგვარად გახლდათ. თავიდან, არსებობაზე ადრე, სიტყვის არარსებობა იყო.

* * *

იყო და არა იყო რა.

ძალიან დიდი ხნის წინ ერთ არც ისე შორეულ ქვეყანაში, მაშინ, როცა საცერი ჩალაში იყო, ვირი ქალაქში ქადაგებდა და აქლემი დალაქობდა... როცა მამაჩემზე უფროსი ვიყავი და იტირებდა თუ არა, აკვანს ვურწევდი... როცა სამყარო თავდაყირა იდგა და დრო წრე იყო, რომელიც ტრიალებდა და ტრიალებდა, ხოლო მომავალი იყო წარსულზე ძველი, წარსული კი - ახალდათესილი მინდვრებივით სუფთა...

იყო და არა იყო რა. ღვთის ქმნილებები ხორბალივით ბევრნი იყვნენ და მეტისმეტად ბევრი ლაპარაკი ცოდვა იყო, რადგან ვერ იტყოდით იმას, რაც არ უნდა გხსომებოდათ, და ვერ დაიხსომებდით იმას, რაც არ უნდა გეთქვათ.

* **

კალიუმციანიდი უფერო შენაერთი, კალიუმისა და წყალბადის ციანიდის უფერო მარილია. შაქარს ჰგავს და წყალში ძალიან კარგად იხსნება. სხვა მომწამვლელი შენაერთებისაგან განსხვავებით, შესამჩნევი სუნი აქვს, ნუშის, მწარე ნუშის სუნი.

ბროწეულის მარცვლებითა და კალიუმციანიდის წვეთებით მორთულ აშურეს ფიალაში საწამლავის არსებობის გამოცნობა ძნელია, რადგან ამ დესერტის უამრავ ინგრედიენტს შორის ნუშიც არის.

- მბრძანებელო, რა ჩაიდინე?! - დაიჩხავლა ბატონმა სიმწარემ და გულმოსულად გაიკრიჭა, მისგან სხვა არც იყო მოსალოდნელი, - ცხოვრების მდინარებაში ჩაერიე!

დეიდა ბანუმ ტუჩები მოკუმა.

- ჩავერიე, - თქვა ბანუმ. ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, - მართალია, მე მივეცი ის აშურე, მაგრამ მისი შეჭმა თავად არჩია. ორივემ გადავწყვიტეთ, რომ ასე ჯობდა. ეს გაცილებით ღირსეული საქციელი იყო, ვიდრე მეტხანს სიცოცხლე და წარსულის ტვირთის ტარება. ცოდნასა და არაფრის გაკეთებას ასე სჯობდა. ალაჰი არასდროს მაპატიებს. სათნოთა სამყაროდან სამუდამოდ ვარ განდევნილი. სამოთხეში ვერასდროს მოვხვდები. პირდაპირ ჯოჯოხეთის ცეცხლში მომისვრიან, ალაჰმა იცის, რომ ცოტაა ჩემს გულში სინანული.

- ალბათ, სალხინებელი იქნება შენი სამუდამო სამყოფელი, - ქალბატონი სიამე შეეცადა ცოტათი მაინც ეცა ნუგეში. უყურებდა ატირებულ მბრძანებელს და თავს უმწეოდ გრძნობდა, - სომეხ გოგოს რა მოუვა? ეტყვი ბებიამისის საიდუმლოს?

- არ შემიძლია. მეტისმეტია, თანაც, არ დამიჯერებს.

- ცხოვრება დამთხვევაა, მბრძანებელო, - ისევ ამოიღო ხმა ბატონმა სიმწარემ.

- ამ ამბავს ვერ მოვუყვები, ამას კი მივცემ, - დეიდა ბანუმ უჯრა გამოაღო და ოქროს ბროწეულივით გულსაბნევი ამოიღო, შიგნით ლალის მარცვლები რომ იყო ჩასმული.

ბებია შუშანა, რომელსაც ერთ დროს ეს გულსაბნევი ეკუთვნოდა, სამშობლოდან გაძევებული ადამიანი იყო. მისი ხვედრი ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასასვლელად ხან ერთი, ხან მეორე სახელის მიღება გახლდათ.

დაბადებით შუშანა სტამბოლელი მოგვიანებით შერმინ 626 გახდა. მერე შერმინ კაზანჯი იყო, მერე შუშანა ჩახმახჩიანი. ყოველი ახალი სახელის შეძენასთან ერთად სამუდამოდ იკარგებოდა მასში რაღაც.

რიზა სელიმ კაზანჯი გამჭრიახი საქმოსანი, ერთგული მოქალაქე და თავისებურად კარგი ქმარი იყო. საკმაოდ შორსმჭვრეტელი იყო იმის-

თვის, რომ რესპუბლიკის ეპოქაში, სწორედ მაშინ, როდესაც ნაციას სამშობლოს მოსართავად მეტი და მეტი დროშა სჭირდებოდა, ქვაბების კეთებიდან დროშების კეთებაზე გადართულიყო. ასე გახდა რიზა სელიმი სტამბოლში ერთ-ერთი შეძლებული საქმოსანი.

ობოლთა თავშესაფარში დაახლოებით მაშინ მივიდა, როცა იქაურ დირექტორთან შესაძლო საქმიანი თანამშრომლობის შესახებ დასალაპარაკებლად აპირებდა შეხვედრას. თავშესაფრის ცუდად განათებულ დერეფანში ისლამზე მოქცეული თოთხმეტიოდე წლის სომეხი გოგონა დაინახა. დიდი დრო არ დასჭირვებია იმის მისახვედრად, რომ გოგონა იმ კაცის ძმისწული იყო, ვისაც ამქვეყნად ყველაზე მეტად აღმერთებდა, ოსტატი ლევონის, კაცის, რომელმაც ქვაბების კეთების ხელოვნება ასწავლა და ერთ დროს გაჭირვებულ ბიჭს ეხმარებოდა. ახლა რიზას ჯერი იყო, ახლა ის უნდა მიხმარებოდა ოსტატ ლევონის ოჯახს. და მაინც, მრავალრიცხოვანი ვიზიტების შემდეგ, როცა რიზა სელიმმა გოგონას ხელი და გული სთხოვა, მისი საქციელი არა სიკეთით, არამედ სიყვარულით იყო ნაკარნახევი.

დარწმუნებული იყო, რომ შერმინს შეეძლო და, ბოლოს და ბოლოს, დაივიწყებდა კიდეც. დარწმუნებული იყო, კეთილად და სიყვარულით თუ მოექცეოდა, ბავშვსა და საუცხოო სახლს თუ აჩუქებდა, ნელ-ნელა გოგონა საკუთარ წარსულს დაივიწყებდა და საბოლოოდ განიკურნებოდა. უბრალოდ, დროის ამბავი იყო. რიზა სელიმი ფიქრობდა: მას შემდეგ, რაც ბავშვს გააჩენს, ქალს თავისი ბავშვობის ტვირთის ტარება აღარ შეუძლიაო.

ასე და ამგვარად, როდესაც გაიგო, რომ ცოლს მიეტოვებინა და ძმასთან ერთად ამერიკაში წასულიყო, ახალ ამბავს რიზა თავიდან არ იჯერებდა, მერე კი მოიკვეთა ცოლი. გაქრა შუშანა კაზანჯების გვარის მატიანიდან, მათ შორის საკუთარი ვაჟის მეხსიერებიდანაც, რომლისთვისაც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ლევონი ერქვა თუ ლევენთი.

ასე იყო თუ ისე, შუშანას შვილი სასტიკი კაცი დადგა.

რამდენადაც უწყინარი და თავაზიანი იყო გარეთ, იმდენად ულმობელი იყო შვილების, ოთხი გოგონასა და ერთი ვაჟის მიმართ.

ოჯახური ისტორიები ერთმანეთთან ისეა გადახლართული, რომ თაობების წინ მომხდარ ამბავს შეიძლება აწმყოს თითქოსდა უადგილო ამბებზე ჰქონდეს გავლენა. წარსული ყველაფერია, გარდა იმისა, რაც იყო. დადგებოდა თუ არა მისი ერთადერთი ვაჟის, მუსტაფასაგან სხვანაირი ადამიანი, ლევენთ კაზანჯი ასეთი სასტიკი და გესლიანი რომ არ გაზრდილიყო?! იქნებოდა კი დღეს ასია ნაბიჭვარი, თაობების წინ, 1915 წელს, შუშანა რომ არ დაობლებულიყო?!

ცხოვრება დამთხვევაა, თუმცა, ზოგჯერ ამის მისახვედრად ჯინია საჭირო.

* * *

შუადღე ილეოდა. დეიდა ზელიჰა ბაღში გავიდა.

არამს სახლში შესვლა არ უნდოდა და ზელიჰას რამდენიმე საათის განმავლობაში ელოდებოდა. კარგა ხნის წინ მოეწია ყველა სიგარა.

- ჩაი მოგიტანე, - თქვა ზელიჰამ. გაზაფხულის სიო სახეზე ელამუნებოდა და ყველა მხრიდან მოჰქონდა ზღვის, მობიბინე ბალახისა და სტამბოლის ნუშის ხეების ჯერაც გაუშლელი ყვავილების ათასნაირი სუნი.

- გმადლობ, საყვარელო, - მიუგო არამმა, - რა საყვარელი ჩაის ჭიქაა.

- მოგწონს? - დეიდა ზელიჰამ ჩაის ჭიქა ხელში შემოაბრუნა, რაღაცას მიხვდა და სახე გაუბრწყინდა, - რა საოცარია. იცი, ამ წუთს რას მივხვდი? ეს სერვიზი ოცი წლის წინ ვიყიდე. რა უცნაურია!

- რა არის ასეთი უცნაური? - იკითხა არამმა და იგრძნო, როგორ დაეცა წვიმის წვეთი.

- არაფერი, - თქვა დეიდა ზელიჰამ, თან ხმას დაუწია, - უბრალოდ, არასოდეს მიფიქრია, რომ ამდენ ხანს გაძლებდა. სულ მეშინოდა, რომ ადვილად დაიმსხვრეოდა, მაგრამ, ალბათ, იმისთვის არსებობს, რომ იმ ამბავს მოჰყვეს. ჩაის ჭიქებიც კი ჰყვებიან!

რამდენიმე წუთში სახლიდან ნელი, რბილი ნაბიჯებით სულთან მეხუთე გამოვიდა. სავსე სტომაქი და ნამძინარევი თვალები ჰქონდა. ზელიჰასა და არამს გარს შემოუარა და დეიდა ზელიჰას გვერდით მოირ-

გოლა. ცოტა ხანს თითქოს ბრჭყალს ილოკავდა გულმოდგინედ, მერე გაჩერდა და შეშფოთებულმა ირგვლივ მიმოიხედა. აინტერესებდა, რას შეიძლებოდა ეს სიმშვიდე დაერღვია. იმის ნაცვლად, რომ პასუხი მიეღო, სულთან მეხუთეს ცხვირზე მოთბო წვეთი დაეცა. ერთ წვეთს მეორე მოჰყვა. წვეთი ამჯერად თავზე დაეცა. ერთობ უკმაყოფილო კატა ნელა წამოდგა და ვიდრე ისევ სახლს მიაშურებდა, თათები გაჭიმა, გაიზმორა. კიდევ ერთი წვეთი ჩამოვარდა. სულთან მეხუთემ ნაბიჯს მოუმატა.

შეიძლება, კატამ წესები არ იცოდა. უბრალოდ, არ იცოდა, რომ კურთხეულია ყველაფერი, რაც ციდან მოდის, მათ შორის - წვიმაც.

* * *

ეს რომანი არიზონას, ნიუ-იორკსა და სტამბოლს შორის მისვლა-მოსვლისას დაიწერა. მადლობას ვუხდი უამრავ სომხურ და თურქულ ოჯახს, რომლებმაც მიმიღეს, თავიანთ სახლებში მიმასპინძლეს, საჭმელს მიმზადებდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მტკივნეული წარსულის გახსენება ძნელი იყო, თავიანთ პირად ამბებს მიზიარებდნენ. დიდ ვალში ვარ სომეხ და თურქ ბებიებთან, რომლებსაც თითქმის ბუნებრივად გამოსდით საზღვრების დარღვევა, რომლებიც ნაციონალისტებს, აქეთაც და იქითაც, გარანტირებული ჰგონიათ.

უბადლო მხარდაჭერის, შრომისა და მეგობრობისთვის დიდი მადლობა ჩემს ლიტერატურულ აგენტებსა და მეგობრებს, მარლი რუსოვსა და მაიკ რადულესკუს. მადლობა პოლ სლოვაკს სარედაქტორო მითითებების, ნდობისა და გამხნევებისთვის. დიდი წვლილისათვის მადლობა მუგე გოჩეკს, ანა ბეტერიჯს, ენდრიუ უედელსა და დიან ჰიგინსს.

რომანის თურქული გამოცემის გამოსვლის შემდეგ, იქამდე, ვიდრე 2006 წელს მისი ინგლისური გამოცემა გამოვიდოდა, თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლით „ნაციისათვის ჩირქის მოცხების გამო“ გამასამართლეს. ბრალდებები რომანის სომეხი პერსონაჟების სიტყვებს ეყრდნობოდა. შეიძლებოდა სამწლიანი პატიმრობა მოესაჯათ, მაგრამ საბოლოოდ ბრალდებები მომიხსნეს.

ამ დროის განმავლობაში გამიმართლა და სრულიად განსხვავებული ეროვნებისა და სარწმუნოების ძალიან ბევრი ადამიანისგან, მეგობრებისგან, ასევე, უცხო ხალხისგან, უზარმაზარი მხარდაჭერა მივიღე. მათი იმაზე მეტი მმართებს, ვიდრე სიტყვით შემიძლია გამოვთქვა.

დასასრულ, როგორც ყოველთვის, მადლობა ეიუპს, მოთმინებისა და სიყვარულისთვის... იმისთვის, რომ ასეთია.